ISSN 0132-6023

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისკარი

7

1985

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

336

გამოცემის ოცდამეცხრე წელი

7

ივლისი

1985

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

3. ცხოვრების მხარდამხარ

## პოეზია და პროზა

6. დოდო ჭუმბურიძე — ლექსები
9. შოთა არაბული — მკვდარი სიკვდილი. მოთხრობა
15. ვახტანგ ხარჩილავა — გამოთხოვება. პოემა
22. ლეილა მესხი — თავდავიწყება. მოთხრობა
41. ომარ თურმანაული — ლექსები
46. ჯემალ ქირია — მოკლე. მოთხრობა
52. თამაზ მეტრეველი — ლექსები
53. ელისო ზარიძე — ოქრო შიო. მოთხრობა
56. დომენტი ახობაძე — ლექსები
57. აკაკი ჯორჯაძე — ჟამი მერყეობისა. ნაწყვეტი რომანიდან
75. ლილი ხუციშვილი — ლექსები
76. ჯანრი ბოგვეშვილი — თეთრი კედელი. რომანი. დასაწყისი

## ახალი თარგმანები

97. ძველეგვიპტური „მკვდართა წიგნიდან“ — თარგმნა ზვიად გამსახურდიამ

## წერილები

105. გასტონ ბუაჩიძე — ტიციან ტაბიძე და ლოტრეამონი
115. ნოდარ კომახიძე — „ჩვენი გული თქვენდა წაილოთ“ ანუ შეხვედრები გ. სააკაძესთან სტამბოლში

## პოლემიკა

122. თამაზ წივწივაძე — „ჯვარს ეცვი, თუ გინდა, საშველი არ არის“...
145. ოლია სოსელია — შენიშვნები თამაზ წივწივაძის კრიტიკული წერილის გამო
149. ჯანსუღ ღვინჯილია — აუცილებელი განმარტებანი

## ლიტერატურული მემკვიდრეობა

155. კარლო სიხარულიძე — ჟურნალ „მოამბის“ პუბლიცისტიკა

## ხელოვნება

158. ქეთევან ანანიაშვილი — დაბრუნებული ბავშვობა

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:
გივი ალხაზიშვილი
თედო ბექიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გურამ გეგეშიძე
გივი გეგეჭკორი
გიორგი გუგლია
თეიმურაზ დოიაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მედეა კახიძე
ჯემალ მარგველიძე
შოთა ნიშნიანიძე
გურამ ფანჯიკიძე
მორის ფოცხიშვილი
ნუგზარ შატაიძე
ავთანდილ ჩხიკვიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გოგი წერეთელი
ტარიელ ჭანტურია
ბადრი ჭოხონელიძე
მაკა ჯოხაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხოვრების მხარდამხარ

დადგა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი ჩვენი ცხოვრებისა. საბჭოთა ქვეყანა ემზადება პარტიის მორიგი XXVII — ყრილობისათვის — დამამთავრებელ ფაზაშია მეთერთმეტე ხუთწლედი, ისახება ახალი XII — ხუთწლედის კონტურები.

ჩვენი ხალხის, პარტიისა და ხელისუფლების წინაშე მდგარ სადღეისო პრობლემებზე კონკრეტულად ისაუბრა ამხ. მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა 1985 წლის აპრილის პლენუმზე.

მთავარ პრობლემატურ საკითხებთან ერთად, რასაც პარტია მიზნად გვისახავს, იქნება ეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება თუ სხვა დიდად მნიშვნელოვანი სამეურნეო პრობლემები, მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში საგანგებოდაა ხაზგასმული ლიტერატურისა და ხელოვნების, მთელი ჩვენი კულტურის წინაშე მდგომი სადღეისო ამოცანები.

ლიტერატურა ცხოვრების სარკეა. მითუმეტეს ჩვენი სოციალისტური ლიტერატურის განმსაზღვრელ ნიშნად თავიდანვე იქცა სწორედ ცხოვრებასთან სიახლოვე, ახალი კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ადამიანი, მისი სულიერი სამყარო, მისი ჰეროიზმით გამსჭვალული ბუნება და ოპტიმისტური შემართება.

სწორედ ამ ბრძოლისა და შენების პროცესში ჩამოყალიბდა სრულიად ახალი ტიპის ლიტერატურა, რომლის სათავესთანაც სოციალისტური რეალიზმის მამამთავრები დგანან.

თვით ჩვენი იდეოლოგიური მტრებიც კი ვერ უარყოფენ ამ დიდი ლიტელატურის მხატვრულ სიმაღლეებს და ისტორიულ ღირებულებას.

აპრილის პლენუმზე წარმოთქმულ ამხ. მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში ნათლად გამოიკვეთა მემკვიდრეობითობის ლენინური პრინციპი. ეს ეხება ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს და ცხადია, მათ შორის ლიტერატურასაც.

უმდიდრესი ტრადიციების მქონე ქართული ლიტერატურა, რომელზედაც ორგანულად ამოიზარდა თანამედროვე ქართული საბჭოთა მწერლობა, კვლავაც ერთგული უნდა იყოს იმ ძვირფასი ტრადიციებისა, რაც ახე წმინდათაწმინდა და „ხელიხელ საგოგმანებია" ჩვენთვის. ტრადიციები ხელს უნდა გვიწყობდეს სადღეისო პრობლემების უფრო ნათლად და მაღალმხატვრულად წარმოჩენაში.

პრესაში გამოქვეყნდა და მთელმა ჩვენმა ხალხმა წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის, ამხ. ე. ა. შევარდნაძის მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 6 ივლისის პლენუმზე.

მოხსენებაში ნათლად, დაწვრილებითაა გაანალიზებული რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ძირითადი ამოცანები. მასში დაუფარავად, დიდი გულახდილობითა და პარტიული პრინციპულობითაა შეფასებული ყველა სასიკეთო ტენდენცია და ყველა ნაკლი, რაც ხელს გვიშლის შემდგომი წარმატებების მიღწევაში.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მოხსენებიდან ბევრი საგულისხმო დასკვნა უნდა გამოიტანოს ქართულმა მწერლობამ.

ამავე პლენუმზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლად არჩეულმა მდივანმა ამხ. ჯ. ი. პატიაშვილმა გარკვევით ჩამოაყალიბა ჩვენი სახვალიოთ საქმეების გეზი — „უწინარეს ყოვლისა, უნდა დავამკვიდროთ მიღწეული და ვიაროთ წინ, დავიპყროთ ახალი მიჯნები...“

ჩვენ ვცხოვრობთ რთულ, წინააღმდეგობებით აღსავსე დროში. და ისევე, როგორც ცხოვრებაშია უამრავი გადასაწყვეტი პრობლემა, მწერლობაც არაა მათგან თავისუფალი. ბოლო წლების ქართულ მწერლობას ბევრი რამა აქვს თავმოსაწონები და საამაყო, ამაღლდა მისი დონე, გაფართოვდა ინტერესების სფერო, მხატვრული კვლევის მეთოდები, გაიზარდა მისი საკავშირო და მსოფლიო რეზონანსი, მაგრამ ეს როდი გვაძლევს დამშვიდებისა და დაარხეინების უფლებას. პირიქით — ჩვენ თუ არ გავერკვიეთ რთულ და დაძაბულ სოციალურ პრობლემებში, ხვალ შეიძლება ჩამოვრჩეთ. დამდგარი წყალი ობდება. „მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა“... დიდი ილიას ეს ანდერძი უნდა იყოს ჩვენს დროშაზე წარწერილი, ამ დროშით უნდა ვიაროთ წინ. არა ზერელე კონსტატაცია ცხოვრებაში მიმდინარე სოციალური გარდაქმნებისა — არამედ, ჩვენ თვით უნდა ვასწრებდეთ მოვლენებს და წინასწარ ვგრძნობდეთ იმ არსისმიერ ცვლილებას, რაც დღეს შეიძლება მხოლოდ ტენდენციის სახით იყოს წარმოჩენილი.

ქართულ მწერლობას აქვს საამისო გამოცდილება. ყველაფერი, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება, როგორც აქამდე ყოფილა, კვლავაც ჩვენი ფიქრისა და ზრუნვის საგანი უნდა იყოს! უფრო ახლოს, უფრო სისხლხორცეულად უნდა დავუახლოვდეთ ცხოვრებას, უფრო თამამად უნდა ამოვიტანოთ მისი სიღრმეებიდან ის ნათელი და სანიმუშო, რითაც მძლავრია ჩვენი ქვეყანა, რასაც წინ მიჰყავს იგი პროგრესისა და სრულყოფის გზაზე.

ვიყოთ გულწრფელნი. ამ მხრივ ბევრი რამე გვაქვს გასაკეთებელი, კრიტიკულად გადასახედი, შეიძლება ითქვას, გამოსასწორებელი. ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე დიდი სამეურნეო ძვრები, ახალი ეკონომიკური ექსპერიმენტები, რაც უკვე ზოგადდება და საკავშირო მასშტაბს ღებულობს, ჯერჯერობით ჯეროვნად ვერ აისახა ლიტერატურაში. იმ თამამ ცხოვრებისეულ ექსპერიმენტებს კონკრეტული პიროვნებანი ატარებენ, რთული, დაძაბულია მათი ცხოვრება, უაღრესად საინტერესოა მათი შინაგანი სამყარო, მათი აქტიური ცხოვრებისეული იმპულსების სათავე. მწერლობა მოვალეა ახლოს მივიდეს მათთან, ჩაიხედოს მათ სულში, დაგვიხატოს დადებითი გმირი, რომელსაც მიბაძავს ჩვენი ახალგაზრდობა, დაუჯერებს, გაჰყვება, მხარში ამოუდგება და ხვალ თვით იქცევა ნიმუშად მომავალი თაობებისათვის.

დღეს, რაღა თქმა უნდა, აღარ გვჭირდება იმის მტკიცება, რომ არ არსებობს ლიტერატურა ლიტერატურისათვის. ამგვარი დიდი მწერლობა არ იცის ლიტერატურის ისტორიამ. დიდი მწერლები ყოველთვის ხალხის სამსახურში იყვნენ და ხალხის სანუკვარ იდეალებს გამოხატავდნენ...

ცხოვრება დღის წესრიგში აყენებს ახალ-ახალ საკითხებს. ჩვენ ვცხოვრობთ საოცრებათა საუკუნეში. ყოველ დღეს მოაქვს რაღაც სიახლე, დაჩქარებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი არნახული რიტმით მიიწევს წინ. ჩვენ ვცხოვრობთ დროში, როცა თითქმის ყოველდღიურად ძველდება გუშინდელი სიახლეები. 11 ივნისს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართული საგანგებო თათბირი ამის კიდევ ერთი დადასტურებაა. თათბირზე წარმოთქმულ ამხ. მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში მთელი სიცხადით წარმოჩინდა ამ პრობლემის აქტუა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობა. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების აუცილებლობა ცხოვრებამ დააყენა დღის წესრიგში. ერთი შეხედვით ამ პრობლემას მწერლობასთან თითქოს პირდაპირი კავშირი არა აქვს, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. არაფერი არ ხდება ადამიანების გარეშე. ადამიანი დგას ყველა გამომთვლელი მანქანისა და ყველა მეცნიერული აღმოჩენის უკან. ამ ადამიანს უნდა მივაყურადოთ, მის სულიერ ცხოვრებას ჩავწვდეთ, ავსახოთ, მისი ინტერესების სფეროში გავერკვეთ, მისთვის ვწეროთ. მოძველებული, სტერეოტიპული, ზერელე მხატვრული ნაწარმოებებით, ცხადია ვერ დავაინტერესებთ იმათ, ვინც თანამედროვე მეცნიერების ურთულეს პრობლემებზე ფიქრობს! უპირველესად ჩვენი ახალგაზრდული მწერლობის ვალია ყური მიუგდოს ცხოვრების მაჯისცემას, არ ჩამორჩეს მის დაჩქარებულ რიტმებს, არ აღმოჩნდეს პასიური მჭვრეტელის როლში, არ გაიოლოს ამოცანა, რომელსაც ჩვენი დღევანდელობა გვისახავს. შემოქმედებითი და სამუშაო ატმოსფერო, რომელსაც პარტია და ხელისუფლება გვიქმნის, პატიოსნად, კეთილსინდისიერად უნდა გამოვიყენოთ.

რამდენი რამე ხდება დღეს ჩვენს რესპუბლიკაში ქართველი მწერლისათვის სისხლხორცეული და საინტერესო! მთის დაცარიელებული სოფლების აღორძინება, ახალმოსახლეობანი მესხეთ-ჯავახეთში, ფოთისა და აბაშის თამამი სამეურნეო ექსპერიმენტები, ენგურისა და ჟინვალის გიგანტური მშენებლობები, ტრანსკავკასიის ახალი რკინიგზის მშენებლობის მზადება, ზვრებსა და პლანტაციებში გაჩაღებული მუხლჩაუხრელი შრომა... ქართულ მწერლობას ვერ დავწამებთ ამ თემისადმი უყურადღებობას, მაგრამ უფრო მეტის გასაკეთებლად უნდა ვილვაწოთ, უფრო ახლოს და თამამად უნდა ვიაროთ ცხოვრების მხარდამხარ! სწორედ ამ სითამამისაკენ, შემოქმედებითი აქტიურობისაკენ მოწოდებად უნდა აღვიქვათ ამხ. მ. ს. გორბაჩოვის სიტყვები: „საქმიანობის — როგორც კონკრეტული, ისე პასუხსაგები საქმიანობის — ვრცელი ასპარეზი გადაეშლება იდეოლოგიურ, პროპაგანდისტულ მუშაობასაც. ადამიანებს უნდა დავეხმაროთ დარწმუნდნენ, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება — ეს საარსებო დიდმნიშვნელოვანი საქმეა, რომელიც შეესაბამება ყველას ინტერესებს, თითოეულს საშუალებას აძლევს ფართოდ გამოავლინოს თავისი უნარი და ნიჭი...“

დასახულია დიდი მიზნები.

ვრცელია სამოქმედო ასპარეზი.

საქმეს სერიოზულად უნდა მოვკიდოთ ხელი, რათა ღირსეულად შევხვდეთ ჩვენი ცხოვრების საეტაპო ნიშანსვეტს — პარტიის XXVII ყრილობას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დოდო ჭუმბურიძე

### გული

როცა მრავლდება ღვარძლი და შური
გაუტანლობას სიკეთით ძლიე,
როცა გონება კი არა, გული
კითხულობს რამეს — პასუხი მიეც.

ნუ დაივიწყებ, რომ ის განძია,
ლხენაც, წუხილიც იქ რომ დამარხე,
ის გეტყვის სხვაზე უფრო აზრიანს,
ყველაზე წრფელ ფიქრს ის გიკარნახებს.

როცა მამულის ტკივილებს აჩენს
და დრო მოითხოვს შენს თავსაც კრული,
მანამდე უნდა პასუხი გასცე,
სანამ შეკითხვას მოგცემდეს გული.

ხანდახან დღის შუქს დააგზნებს ღამეს
საქმე, ქვეყანას რომ უცვლის იერს,
როდესაც გული კითხულობს რამეს,
აუცილებლად პასუხი მიეც.

●

როგორც მდინარე ზღვას ერთვის მდორედ,
ვით ნაკადული მდინარეს ერთვის,
ვით იერთებენ ეს მთები გორებს
და სისხლი ძარღვებს მოჰყვება შენთვის,
როგორც იერთებს ზამთრის ველი თოვლს,
როგორც თვალებში წანწკარებს ცრემლი —

რომ შეგიერთდეს, რომ შეგინივთოს
ჩემი სული და სიცოცხლე ჩემი —
შენსკენ მოვდივარ, აქა ხარ ვგონებ
და სისხლიც ძარღვებს მოჰყვება შენთვის —
როგორც მდინარე ზღვას ერთვის ხოლმე,
ვით ნაკადული მდინარეს ერთვის...

### ძვირფასი ქვები

გელათში ქვებს ვკრეფ — ქარ-წვიმით ნაშალს...
იქნება დიდი დავითის ხელი
შეეხო როსმე, ან ფიცხი ლაშას
ფიცით მთრთოლვარე ტუჩები ცხელი.

ო, ღმერთო ჩემო, რის ქვები, ქვები,
სასწაულია ამათი ნახვა,
ყველაზე უფრო ძვირფასი თვლები,
ძვირფასი თვლები ვიპოვე ახლა.

თბილისში წავალ, წავუღებ ოსტატს,
რომ დამიჯეროს, ვუბრძანებ მკაცრად —,
გამართოს ჩუმი დუელი დროსთან,
იხმაროს ზურმუხტ-ალმასის ნაცვლად, —

და ქართველ ქალებს ეს მკრთალი ქვები
სამკაულებში ჩაგვისვამს ლოცვით,
როგორც ძვირფასზე ძვირფასი თვლები —
როგორც ნაწილი მამულის ხორცის...
იქნებ შეეხოთ დავითის ხელი.
ან ლაშას ბაგე ფიცხელი ფიცით —
თუ ის ოსტატი იქნება ჩვენი
ჯიშის და მოდგმის, გამიგებს, ვიცი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

— როგორც წვიმაა ბაღების დედა,
— როგორც ქარია ხეების მტერი,
ეს შემოდგომა მაცილებს შენთან,
და მართობს ნატვრის ქსოვით და
კერვით.

სამშობლო როცა ჩვენი ხატია,
ცხოვრება ისეც მაღლდება უფლით...
ცაზე გახედე, ღრუბლით ჰხატია
ჩემი და შენი ჩრდილები, ღრუბლით...

## შენი ხმა

იქნებ მდინარეს მოჰყვება ჩვენსას,
იქნებ მავთულებს, გაბმულებს ცაში,
იქნებ მოჰყვება ქარების კვნესას
ან ტირილს ღამით პატარა ბავშვის,

იქნებ მოჰყვება ნიაღვრის მოსვლას,
გვალვების შემდეგ წვიმიან თქორებს,
იქნება ჭორსაც მოჰყვება, ჭორსაც,
იქნებ პირველ თოვლს მოჰყვება
სწორედ.

სივრცეებს როგორ იპყრობს სურვილი,
რით ემალება ქვეყანას შეყრილს, —
შენი ხმა ასე სასწაულივით,
სასწაულივით გულში რომ მეკვრის.

●

არ მითხრა, შენში არ წვეთდეს ნელა
ღვთიური შუქის პატარა ალი,
რომ ჯადოქრები ანთებდნენ ველად
შენს ნაცვლად ხანძრებს და მწვავდნენ
მალვით.

არ მითხრა, იყოს დრო გადაბმული
და დღე და ღამე უშენოდ რბოდეს,
მსუბუქ ნაბიჯებს დგამს გაზაფხული,
ვაიმე, მსუბუქ ნაბიჯით მომდევს.

არ დავიჯერებ, შენი სახელი
არ წაეწეროს ქარებს ზეფირზე,
ოჰ, ამ არაფრის გამო ნაღველით,
ჩვენც ერთმანეთთან არ გავეთიშეთ.

არ მითხრა, — ყველა არ გცნობდეს,
ყველა —
გადარეული სიზმრების გამძლებს,
და ჯადოქრები კი არა, ველად
შენ არ ანთებდე ბნელ ღამით ხანძრებს.

●

— რას აკეთებს ქარი — ასე რომ მირბი-მორბის
სახურავებზე და მაღალ ჩინარებზე.
— ალბათ სიმღერებს წერს, უდარდელ სიმღერებს...
— რას აკეთებს წვიმა, ასე რომ წკაპუნებს
საწვიმარი მილებიდან ამ შუაღამისას.
— ალბათ ტირის და განთიადს ელოდება.
— რას აკეთებს ქართლის ველზე პატარა ტბები —
ვარსკვლავებსა და ღრუბლებს როგორ იხუტებენ
ცისფერ თვალებში.
— რას აკეთებს დედამიწა ამ გაზაფხულზე —
— გულ-მკერდს იხსნის და ყვავილები ამოჰყავს ჩვენთვის,
გვირგვინებისთვის, საყვარელო, გამოგვადგება.
ვაიმე, მაშინ, როცა მიწა კვლავ გადიხსნება
და ყვავილების მოლოდინში გარინდებულებს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენც ჩაგვიყოლებს შავ ნაპრალში და ჩაგვითესავს.
— რას აკეთებენ მეგობრები ახლა, ამ წუთში,
იქნებ წერილებს წერენ ჩვენთვის და თუ ჩვენამდე
ვერ გამოგზავნეს, სიყვარული ვერ ანდეს ფოსტას —
მაშინ იმ სიტყვებს ცხელ გულებში ჩაიმარხავენ —
ჩვენთან შეხვედრის ჟამს სახეზე რომ გადიფინონ...
— რა ხდება კიდევ ამ შუაღამით...

●

შენ გამახსენებ გარდასულ მხედრებს
ვინც მამულს მისცა გული და სისხლი,
ქართლის ველებზე რომელთა ცხედრებს
ეფარათ ჩემებრ მტირალა ნისლი
შენ გამახსენებ სამშობლოს იღბალს,
მესაუბრები და ბრუნავს ეტლი —
როცა ენთება ხევბის მიღმა
მთვარე და ცისკრის ვარსკვლავი კენტი.
გადადის ჟამი, ჩვენც მივიქცევით
და ჩვენს გულებსაც მოძოვს ბალახი,
გამოგვაღვიძებს ჩვენც თბილი
ცრემლით
ოდესღაც ვინმეს დარდი ფრთალაღი.
ახლა კი, სანამ ცოცხლები დავალთ,
სანამ გულები გვიდუღს მზესავით —
ვიცოდეთ ვინ ვართ, ვიცოდეთ რა ვართ,
ვისი სისხლი ვართ და ნათესავი...

●

ნეტავი პურის ყანა ვიყო და ერთი წელი
უბრალო და პატიოსანი ქართველი კაცის ოჯახისთვის
სარჩოდ მაკმარა!..

ნეტავი ვიყო ოცნებაში შექმნილი ჰანგი —
ბედნიერი შეყვარებულები რომ მიმღერებდნენ
შეხვედრების წინ!..

ნეტავი ვიყო შენი ყველაზე მაღალი მთა,
რათა იქედან მდინარეებად დავეშვა ზოგჯერ
რომ შენს ველ-მინდვრებს
და ქალაქებს მივეალერსო!..

## ნუ დამემდურები

ნუ დამემდურები —
თუ ვერ მოვიხედავ შენს დაძახებაზე,
კალთაზე პეპლები მყავს დაფრენილი,
ჭრელი, ჭრელი და ლამაზები,
რომ გაგაგონო, ხმა რომ გაგცე,
ვაითუ დაფრთხნენ და გამიფრინდნენ.

ნუ დამემდურები —
თუ ვერ მოვალ შენს დაძახებაზე...
შენთან მოსასვლელი გზები
ისეთი ყვავილების ბილიკებით
დაუფარე,
მეშინია, — ფეხი არაფერს დავაბიჯო
და ვერ ვინძრევი.
ნუ დამემდურები —
თუ ვერ შეგხედავ,
თვალებდახუჭულს ხსოვნის ისეთი
ჩრდილები მყავს
იქ მომწყვდეული,
თვალს თუ გავახელ ხომ გამიქრება...
ნუ დამემდურები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა არაბული

# მკვდარი სიკვდილი

მოთხრობა

(ხევსურეთის წარსულის ქრონიკებიდან)

მხოლოდ თიბათვის მცხრალი მთვარე იდგა მოულოდნელად აფეთქებული ვნების უნებურ მეთვალყურედ. მხოლოდ ის დაჰყურებდა ხახმატის ხატის მეზღვნე-მეხვეწურის ღამის თევას ფხიზელი თვალით.

მთებიც მთვრალებივით ბარბაცებდნენ მედღეობეთა მოძახილ-კაფიაზე.

უხილავმა ქარიშხალმა აადგანდგარა გაყუჩებული ზღვა ვნებისა.

მოგრაგნა და მოგრაგნა შმაგი ტალღები ზღვარის გადამლახავნი.

მღილის ოდენა ღრუბელიც არ ჩანდა ცაზე.

ზღვა კი გადარეულიყო, ტიელი...

ბოლოს შემოილეწა მკერდზე მძაფრმა ტალღამ სწორფერთა წმინდა ნავი და ვნების უძირო მორევმა ჩაიხვია მენავენი.

შემკრთალი გაცურდა ცაზე თიბათვის სავსე მთვარე, ერთადერთი მოწამე ზღვის ცოდვისა.

. . . . . . . . .

განთიადისას ჩაცხრა ღელვა, ჩადგა ქარიშხალი, ჩაკვდა, გაინაბა ყინმოკლული ზღვა და ფინიასავით გაუწვა ფეხებთან ზეცას.

ბადრი მთვარე კი გაწითლებული ჩაეშვა მთების იქით.

გათენდა.

●

— არაფერი არ შეცვლილა ჩემს გარდა გუშინს მერე, — თქვა ქალმა, — ყველაფერი ისევ ისეთია...

— რა თქვი ნათია?

— მე აღარა ვარ ისევ ისეთი.

— ნუ ამბობ ეგრე, ნათია...

— გახედე, მთები ისევ ლამაზებია, ცაც უფრო ლურჯი, წყარონი წმინდა და ანკარანი... მე კი...

. . . . . . . . .

— ნათია, მოგვხედე! — ეძებენ მედღეობენი.

— ნათია, სად დაგვეკარგე? — კისკისებენ დობილები.

— ნათია, ნათელო!... — უხმობენ სწორფერნი.

ველის ყვავილიც ყველგანაა დილის ცისკარივით ამონათებული, ჯეირანივით ყელაღერილი, ტოლებზე ლაღი და ლამაზი.

„ათენგენობა“ ვის ახსოვს ახლა?!

ვის ახსოვს ხატი და ღმერთი!..

ღრეობენ არაგველები, იმიზეზებენ „ათენგენობას“ და ღრეობენ.

გურამი ლუდით სავსე თასს ჩაშტერებია.

მაცილი შემოსცინის თასიდან...

ნიავივით ფრთხილად, უჩუმრად წაადგა თავზე ქალი:

— ნეტავ იქ რა ამბებია ქალაქში? — კითხულობს სხვათა გასაგონად იგი.

—კარგი ამბები, — პასუხობს გურამი.

— მაშ ხახმატში რაღა გინდოდა? — ვითომ წუხელაც არ ეკითხოს.

— „ათენგენობა“ უნდა ვნახო.

— „ათენგენობაზე“ მოსულს საკლავი უნდა მოგეყვანა, სანთელიც, სასმელიც, — ასმენინებს ხევსურებს ქალი.

— რისთვის ნათია? — კითხულობს გურამი.

— ხატისთვის!

— სადაა ხატი, ნათია?

— მაშ ეს ხალხი რას ლოცულობს?!

— აღარავის სწამს ხატი...

— არც შენა?

— მე ჩემი საკუთარი ხატი მწამს.

— სადაა ის ხატი?

— აქ, ხახმატში, ნათია...

ქალი განზე გაკრთა, ზემოდან გადმოხედა ვაჟს ამზერილმა და გაფითრებულმა:

— წუხელს მერე აღარ არსებობს ეგ ხატი, მოკვდა! — ჩურჩულებს.

— ნათია!

— გაჩუმდი ქალაქელო!..

●

ქიქინის ბადეს ქსოვს ერთიმეორეში არეული მედღეობეთა ხმები.

სიმღერების მარულა გადარბის გორებზე: „ფერხისა“, კაფია, „თუშური“, „ფშაური“, ქალაქური...

გურგურებს გალექებული მეზღვნე-მეხვეწური.

ჭილყვავთა გუნდში უცხო ფრინველივით ირჩევა ნათია ალუდაური ამ ლუდ-არაყით დამბალ ბრბოში.

ცეკვავენ ნათიას დობილნი და იწვევენ ნათიას.

ნატიფ მკლავებს შლის ქარაფის პირიმზე, ნარნარად მიარხევს სადიაცოს აყვავებულ კალთა-ქოქომოს შორეული საუკუნეებიდან გადმოსული სერაფიტას ჯილაგი.

— საოცრებაა! — ფოტოაპარატებს აჩხაკუნებენ ტურისტები.

— ველური სრულყოფილებაა! — ამბობს უცხოელი.

— პირველყოფილი მშვენიერებაა!..

. . . . . . . . .

ხარივით ეწაფება ლუდ-არაყს გურამი და ხარბად ისუნთქავს ხახმატის მიწის მკერდიდან ავარდნილ სიცოცხლის სურნელს, მაგრამ წუხანდელი ღამის გახსენება მაჯლაჯუნავასით სწვდება ყელში, სიზმარეულ სიტკბოებასთან შერეული ტკივილი სწკენტავს გულზე მწარედ.

სულჩადგმული, ხორცშესხმული სირცხვილი სამზეოზე დაიარება და მაცილივით ბოროტად შესცინის თვალებში: „რა ქენი? შებღალე წმინდა ადათი სტუმარ-მასპინძლობისა, ვაჟკაცმა საკუთარი ვნება ვერ მოთოკე... წმინდა ადათი...“

„ეშმაკსაც წაუღია ეგეთი ადათი“, — ფიქრობს ღამის გახსენებით გატანჯული და სასმელში ეძებს ხსნას.

— ადამიანის ფერი აღარ გადევს ბეჩავო, — ისარივით ესობა ქალის სიტყვები.

— ალბათ...

— მიკვირს, რით შემხიბლე?! — იკითხა ქალმა.

— ძალიან საყვარელი ხარ, ნათია...

— სიყვარულთან ძალადობას რა ხელი აქვს?

— არაფერი...

— მაშ წუხელის რად არ გახსოვდა ეგ?

— ვერ შევძელი, ვერ...

— ვერ ყოფილხარ ქალთან ვაჟკაცი, ქალაქელო!

— ადათთან ვერ ვივარგე...

— სწორფრობა რა ქალაქელის საქმეა, ქალაქელს ქალი საუფროდ* უნდა...

— არა, ნათია, მაგრამ ეგ წამების წესია, წყეული წესი...

— ფუჰ, გაჩუმდი! შენი თავი შენ ხელთ უნდა იყოს...

— ძალა არ მეყო, ვერ შევძელი.

— მთაში რომ გაზრდილიყავ, მაშინ შეძლებდი.

ვაჟმა უაზრო თვალებით გახედა ხატის მინდორზე მობანცალე ხევსურებს.

— ალბათ, — თქვა მერე, თუმცა გულში არ სჯეროდა თავისი ნათქვამისა.

— ჩემი ბრალია... რაადამ მეგონა, შენ არ იკადრებდი მაგისთანას...

— მაკმარე წამება, ნათია!

— ხევსური არ იკადრებდა მაგას!

— ნამდვილად.

---

* საუფროდ — ცუდი საქმისთვის (ხევს.).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ჩემი მამა-ძმების სახელი, პურადობა, გულადობა მთელ საარაგვოს აზანზარებს.

— ვიცი ნათია.

— ქუდები მოვხადე, რომ ვინმემ გაიგოს, შევარცხვინე ისინი, ქვეყანაში გამოსავალი დავუკეტე...

— უთხარი, ამკაფონ!

— შემიძლია, ნაკუწებად ქცეული გავუგზავნო შენი ტანი ქალაქში დედაშენს.

— გაუგზავნე, ნათია! — ვაჟმა ხელებში ჩამალა ალეწილი სახე.

— ლამაზი ტანი რო გაქვს, მიწის ჩასახვევო...

●

მღრეობე ხალხისგან განცალკევებით ლოდზე ბეჭმიბრჯენილი ზის გურამი, თამბაქოს ბოლი ნისლივით ეხვევა.

ზიმზიმებს გალექებული ბრბო ხატის მინდორზე.

დილის აქეთია, ამაოდ ცლის ჯიხვის ყანწებს გურამი, არაფერმა გასჭრა. მის დაძაბულ ნერვებს სიმთვრალე არ მიეკარა.

მლოცველთა შორის აპრილის პეპელასავით მოფარფატე ქალიშვილი ატყვევებს უნებურად მის მზერას, სულს, გულს, საფიქრალს...

აგერ, კვლავ გაცამცმული* ჯიხვით დაიძრა ახლაც გურამისკენ.

ხალხის სათვალფროდ ღიღინ-ღიღინით მოდის, მოაფრიალებს ჭრელ-კვრელი სადიაცოს ყვითლიან ქოქომოს, მოღიღინებს, თუმცა წამწამებზე ცრემლის მარგალიტი უბრწყინავს.

— სიკვდილი თუ გაშინებს ქალაქელო?

— სირცხვილი მაშინებს ნათია.

— წუხელის რად არ გაშინებდა სირცხვილი?! — ყურთან ჩაუსისინა ქალმა.

— ამას კითხე ნათია, — ყანწზე ანიშნებს გურამი.

* გაცამცმული — პირთამდე სავსე (ხევს.).

— ეს ვაჟკაცს ვერ ჯალდავს.**

გურამი ხარბად ცლის ვეება ყანწს.

— იქნება საწამლავს გასმევ?!

— ნეტამც ეგრე იყოს... — ოხრავს გურამი.

— ვაი იმ ვაჟკაცს, ვინც ღამით ჩანადინარზე დღისით გმინავს, — კისკისებს ქალი.

სიკვდილის სიცილს გავს მისი სიცილი.

— არ ვიცი, რა გიყო ნათია, ან რა ვქნა...

— ნუ გეშინის გურამ, მე თავად ვიცი...

— რა იცი, ნათია?

ქალიშვილი „გაამოსო" სხვათა გასაგონად ხმამაღლად ეუბნება გურამს, დაცლილ ყანწს ართმევს და კვლავ ხალხს შეერევა.

●

ლაბახი შედგეს ხატის გორზე.

ხახმატურის სახელზე „სრევას" აპირებენ ვაჟები.

თოფები დაიტორიკეს მეთოფეებმა.

ერთ-ერთ ვაჟს თოფს ართმევს ნათია, მეც მასროლინეთო.

ხატის ლაბახს ქალი ვერ ესვრისო, ახსენებენ ვაჟები.

მხარს ზემოდან წუთით გაავებულ მზერას ესვრის ქალი ლოდთან ლოდად ქცეულ გურამს.

მძიმედ წამოიმართა ახოვანი ტანის გურამი და წამოდგა. განიერი მკერდი გაშალა და დოინჯშემოყრილი ამაყად მიაშტერდა გაღრევებულ მილეთს.

ქალმა ნელა ასწია თავი და გურამს თოფი დაუმიზნა.

გურამმა სადღაც მთებისკენ გაიგდო მზერა და სიგარეტი მოქაჩა, მის თვალებში წამით გაიელვა სიცოცხლის წყურვილის სიხარბემ, მხოლოდ წამით და გაქრა.

ქალმა თოფი დაუშო და გურამისკენ წავიდა.

გურამი სიგარეტის ფერფლს დაჰყურებდა.

** ჯალდავს — ჯობნის (ხევს.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორიახლო გაჩერებულ ნათიას ფერფლის ფერი ედო სახეზე.

— ხო არ ფიქრობ ქალაქელო, რო შიშით ვერ გესრიე? — ჰკითხა გაბზარული ხმით ქალმა.

— არა, არ ვფიქრობ.

— სიკვდილის თუ არა, სირცხვილის ხო გეშინის, შე ჯოჯოხეთო?!

— დიახ, ნათია...

ქალი წამით ჩაფიქრდა.

— ნუ! ნუ გეშინის გურამ, მე ხევსურის ქალი ვარ და... ნუ გეშინის.

— რა შუაშია ხევსურის ქალი? — უკვირს გურამს.

— თავის სირცხვილს ვაჟთან საზიაროს არ გახდის, იმ შუაშია.

— წუხანდელ ღამეს რა ვუშველოთ, ნათია?

— მაგისაც მე ვიცი... თავის ცოდვას თავად ვზღავ.

— უნდა წამომყვე ქალაქში, ცოლად! — ეუბნება მტკიცედ ვაჟი.

ქალი სინანულით ჩაიცინებს:

— ეეხ, ქალაქელებს სიყვარულიც გაშინებთ...

— ეგ როგორ გავიგო?

— ვერ უძლებთ და კლავთ სიყვარულს...

— არაფერი მესმის შენი სიტყვებისა...

— შენ მოკალი ჩვენი სიყვარული, გურამ!..

. . . . . . . .

— საით წახვედი ნათია? — კითხულობს გურამი.

— ყვავილთ მოგიკრეფ ქალაქურ წესზე, — მოაძახა მან და ფერდობს შეუყვა.

— როგორ ქალაქურ წესზე?

— ხევსურები მოუწყვეტავ ყვავილებს უმზერენ და იმით ლაღობენ. ქალაქელები კი... — არც ახლა მოუხედავს მას, გურამს მოეჩვენა, რომ ქალიშვილს მხრები უთახთახებდა.

ნათია ყვავილებით ათრთოლებულ სათიბებზე ადიოდა.

— ეგ თოფი რადღა გინდა ნათია? — გასძახა გურამმა.

— სიკვდილი უნდა მავკლა, ქალაქელო...

მუხლამდე სათიბებში შესული ნათია ყვავილებს ეხრებოდა.

მაცილი მხარზე დასჯდომოდა გურამს. გული რაღაცას ავს გუმანობდა, მაგრამ გურამს ვერ აეხსნა, რას.

უნდოდა ქალიშვილს კვალში ჩასდგომოდა, მაგრამ ნათიას მამა-ძმები იზნევდნენ.*

●

თოფები ტყვრებოდა ხახმატის გორზე.

ხახმატელნი ისევ ღაბახს თოფავდნენ.

გალექებული მეთოფეები ვერ უსწორებდნენ მიზანს სამიზნეს.

... გურამი ზვიადად დგას ხავსიან ლოდზე მეთოფეებისკენ მკერდშეშვერილი და საოცრად გულგრილი გამომეტყველებით აბოლებს სიგარეტს.

რა დაემართა? ხევსურებთან ის ყოველთვის ლაღი, თავისუფალი და მხიარული იყო. ცხრა მზე ამოსდიოდა ამ კუთხეში ამოსვლით, ახლა კი...

შარშანწინაც იყო ხახმატი, შარშანაც, მის თვალწინ დაქალდა და გაივსო ნათია ალუდაური, ჯიშ-ჯილაგიანი გვარისა და მამის ასული. ძმებითა და ბიძაშვილებით სავსე, ლაღი და ნებიერი, საარაგვოს ყვავილივით მშვენიერი.

მაგრამ... დღემდე მაინც უბრალო სოფლელი გოგო იყო, რომელსაც ხუმრობით გურამი ხევსურულ წესზე სწორფერს ეძახოდა, ხუმრობით...

წუხელ კი... თბილისიდან ამოსულს გულხელგაშლით შეხვდნენ ხახმატელი მასპინძლები, დააძალეს ჯიხვები, დაეწაფა თავადაც, უზომოდ, მღერეობებში საღრეობოდ ატეხილი... გალრევდა და გახევსურდა, იმღერა და იკაფიავა. მერე, ნაშუაღამევს, განცალკევებულ ქვითკირში გაშლილი ლეკური ნაბადი, ნათია...

ახსოვს და არც ახსოვს რაც მოხდა. თავის გასამართლებელ საბუთს ეძებს

* იზნევდნენ — იწყენდნენ (ხევს.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თავი ეზიზღება ამ ძებნის გულისთვის.

ნათია კი თურმე მხოლოდ „უბრალო სოფლელი გოგო“ არ ყოფილა... დღეს აღმოაჩინა ეს გურამმა.

. . . . . . . . .

ხახმატელნი კვლავ ღაბახს თოფავენ.

ხორხოცებენ, ჯიხვებს სცლიან და ამღვრეული, სიცილჩაღვრილი საცერა თვალებით ღაბახს უმიზნებენ.

ბოლოს როგორც იქნა „დახკრა“ რომელიღაცამ.

ყიჟინის ტალღამ გადაუარა მლოცველთა საკრებულოს და თოფების ბათქიც ჩაკვდა. ბალღებმა ღაბახის კვერი ხატის გორიდან ჩამოარბენინეს და ჯარზე მსხდომ მოხუცებს მიართვეს.

— წაუთავჩიგებია!* — თქვა ერთმა.

— თავში მსრეველი აქვს ბეწინას! — განმარტა მეორემ.

— ყინჩად დანალიშნებია! — ჩაიღიმა მესამემ.

ხევსურებმა საკარგყმო საწდე მიართვეს გამარჯვებულს.

ამ დროს უცბად მოწმენდილ ცაზე გავარდა მეხი, ეძგერა მთებს ეს ხმა, ხუილ-შხუილით დაუარა გულ-ღვიძლში, საშინელი ზრიალით, ვიშითა და კივილით ჩაიკარგა სადღაც ხეობებში მერე.

ეს თოფის ხმა იყო, კენტად გავარდნილი თოფის ხმა, მაგრამ მეხის გავარდნას გავდა, მოულოდნელ გავარდნას, ირგვლივ ყოველივე სულიერი თავზარდაცემით რომ გააქვავა.

ტყვიანაკრავივით შებრუნდა გურამი სათიბებისაკენ.

წელში არაბუნებრივად წახრილ ნათიას ჯერ თოფი გაუვარდა ხელიდან, მერე ფრთამოტეხილი ფრინველივით მიიფლოხვა იგი ბალახებზე და ოდნავ ჩამოცურდა.

გურამმა უჩვეულო სისწრაფით აირბინა აღმართი და შამბნარში თავდაღმა წამოქცეულ ქალიშვილთან მიიჭრა.

— რა ქენი ნათია?! — აღმოხდა მას, სულთმობრძავ ქალიშვილს რომ დახედა.

— სიკვდილი მოვკალი გურამ... სირცხვილიც...

— ნათია!..

— ახლა კი... დავრჩები შენს გულში... — გაღიმება სცადა ქალიშვილმა, — ახია შენზე, სამზეოს ჯოჯოხეთო, ვეღარ დამივიწყებ...

ბაგის კუთხეში სისხლი გადმოუგლინდა.*

— ნათია! — მუხლებზე დაეცა გურამი.

●

თოფის ხმაზე ჯერ დამბლა დაეცა ხატის მინდორზე მოგურგურე გაღრევებულ მეზღვნე-მეხვეწურს, მერე დიდმა და პატარამ, მთვრალმა და ფხიზელმა, ყველამ სათიბებისკენ ქნა პირი.

გურამმა თვალები დაუხუჭა ქალიშვილს და განზე გადგა.

ვაი-ვიშითა და მოთქმით მოცვივდნენ ნათიას დობილები.

ხარებივით აბღავლდნენ ძმები.

ცას ჭერიტი გასდევს ბიძაშვილებმა.

ფერდაზე შემოფენილ ხალხს როგორღაც უკან ჩამორჩნენ ნათიას დედა და მამა.

გაუბედავად ამოდიოდნენ, ფეხ-ტეხით.

გურამი მწუხარებისგან დაზაფრულ ცოლ-ქმარს აშტერდებოდა.

„მშობლების ნათელი გამოჰყოლია ნათიას, ამათი ეშხი და დავლათი“, პირველად ეს გაიფიქრა გურამმა.

ნათიას დედ-მამა მოშორებით შეხერდნენ.**

დედამ ალმაცერი, გაქვავებული მზერა დაადგა ბალახებზე ყელგადაგდებით გაწოლილ ქალიშვილს და მერე ქმარს შეხედა:

— მართლა ჩვენა ქალა კი არ იყოს, კაცო?! — იკითხა გაბზარული ხმით, თუმცა კარგად ხედავდა, ვინც ესვენა ბალახებზე.

* წათჩიგება — ზემოდან გადაცდენა (ხევს.).

* გადმოგლინება — გადმოცოცება. მალვით გადმოსვლა (ხევს.).

** შეხერება — გაშტერებით შედგომა (ხევს.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცმა ცოლს თვალი აარიდა, ჯიბეში ხელის ფათურით გაზეთის ნახევი იპოვა და ახლო მდგომ ხევსურებს ნაძალადევი მშვიდი ხმით უთხრა:

— მაგრის თამბაქოსა ვის გიყრავთ, მომაწევიეთ!

ქალებმა გაიწ-გამოიწიეს და დედა უფრო წინ წადგა:

— მართლა ნატყვიარი კი არ გჭირდეს ქალშავავ, რა უფრად* გათეთრებული მეჩვენები?!

მოზარეები არადაამიანურ ხმაზე აბღავლდნენ.

დედამ წარბები შეკრა, ქალიშვილისკენ წაიხარა.

— ქალავ, ნათიავ, რა შნოზე იბარძღლები, სადიაცო ჩამაიწიე, — უკვე სულ სხვა ხმით დატუქსა მკვდარი ასული დედამ.

მოზარე ქალმა კაბის კალთა ჩამოუწია შიშველ მუხლზე ცხედარს.

საკუთარი განცდით გაოცებული გურამი, ყველაფერს ისე უყურებდა, როგორც თეატრალურ სანახაობას, ბრწყინვალედ დადგმულ სპექტაკლს. თავისი ორეული ედგა გვერდზე, რომელიც საშინლად სძულდა.

თუმცა უნებური მიზეზი თვითონ იყო ამ „სანახაობისა", მაგრამ მის „დანაშაულზე" უფრო ბევრად რთული, თავისებურად მაღალი, საოცარი და ასე ვთქვათ, მომხიბვლელი რაღაც ხდებოდა მის თვალწინ.

სიკვდილის გარდა კიდევ სხვა რაღაცა იყო, რაც კაცთა წუთისოფლის ვნებათა მწვერვალს აგვირგვინებდა და ამშვენებდა...

თითქოს ეს სამკაულიც საჭირო ყოფილიყო ამქვეყნიური სრულყოფილებისათვის.

„სიკვდილის მკვლელი... მკვდარი სიკვდილი": ჩურჩულებდა გურამი თავისთვის და გარინდებული აკვირდებოდა „სპექტაკლის" მსვლელობას.

სირცხვილის გამხელისა ერიდებოდა, იმ სირცხვილისა, რომლის განადგურებას, წაშლას, გაქრობას ნათია ალუდაურმა ასეთი ლამაზი სიცოცხლე შესწირა, თორემ საშინლად მოუნდა, ამ სპექტაკლში" ერთ-ერთი მთავარი როლი თავადაც შეესრულებინა, თოფისთვის წამოევლო ხელი და... თუმცა... „სანახაობა" მაშინ თავის ელფერს დაკარგავდა, უცბად ჭუჭყიანი, ბინძური ბურუსი გადაეფარებოდა ყველაფერს, შეილანძღებოდა ნათიას სიწმინდე, მოკლული სიკვდილი გაცოცხლდებოდა და ირგვლივ სიძულვილისა, წყევლისა და სირცხვილის მარცვალს გააბნევდა...

— მაგის საკადრისა სამზეოზე არა იყო რა და იმით გაწირა წუთისოფელი, — თქვა მთვრალმა ხევსურმა.

—ამაყი იყავ ქალბნელო, მზეს სწუნობდი და იმად დასთმე სამზეოც, — დაატირა მოხუცმა ქალმა.

— მარსკვლავი წუხრ ამახდების და დილას ჩახდების, — თქვა თავისთვის მეორე მთვრალმა ხევსურმა.

ახალგაზრდებმა ნედლი ტირიფის ფოთლიანი ტოტების საკაცე შეკრეს, ცხედარი საკაცეზე ფრთხილად დაასვენეს და ზეასწიეს.

— გაგონილა ასეთი ველური გულქვაობა?! — ტურისტი გურამთან მივიდა, — მშობელი შვილს არ ტიროდეს?!

გურამი ტირიფის საკაცეზე მოქანავე ნათიას გაჰყურებდა.

— თქვენ ისეთი აღფრთოვანებული სახე გაქვთ, თითქოს დიდებულ სანახაობას უყურებდეთ, — უთხრა ჩუმად ტურისტმა კვლავ გურამს.

მას არც ახლა გაუგონია ტურისტის სიტყვები.

— ძალიან იოლად თმობენ ხევსურები სიცოცხლეს, — თქვა მეორე ტურისტმა რაღაც ხელოვნური სინანულით.

— სიცოცხლის ნამდვილი ფასი არ იციან და იმიტომ! — უპასუხა პირველმა ტურისტმა თავდაჯერებულად და ხატის ვაკეზე ჩასულ პროცესიას ფოტოაპარატი მიუმარჯვა.

. . . . . . . . .

... თურმე იმ დღის მერე ის ქალაქელი გურამი თავგადადებული დაეძებდა სიკვდილს, სანამ არ შეხვდა და არ შეებრძოლა...

* უფრად — ცუდად (ხევს.).

11

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვახტანგ ხარჩილავა

### გამოთხოვება

მთავრდება ჩემი ახალგაზრდობა...
დასდევდნენ ცაში არწივის მართვეს
და ძირს ჩამოსვლას თხოვდნენ.
დასდევდნენ ქარს მინდორში
რომ როგორმე შინ შეეტყუებინათ,
შინ, ოთხკედელში,
როგორც თავლაში ურა კვიცი.
უსაფრდებოდნენ მდინარეს მოსახვევში
რომ მაშინ წაევლოთ ხელი,
როცა სვლას ოდნავ შეანელებდა
და მკლავზე ღვედივით დაეხვიათ.
ასე ცხენებს ხედნიან ხოლმე,
დიდხანს ურტყამენ ქანცგაწყვეტამდე
რომ მერე მშვიდად მოაჯდნენ ზურგზე.
თქვენც ხომ ყოფილხართ ახალგაზრდები
და ხომ გიგრძვნიათ როგორ გიჭერთ
ყელში მარყუჟი გასანთლულ თოკის?
მთავრდება ჩემი ახალგაზრდობა:
ახადეს თავი ჯადოსნურ სკივრს
და დამარწმუნეს:
იქ არა სახლობს კეთილი ფერია,
იქ გველები დაცურავენ
და ერთმანეთის ხორცით ძღებიან.
დახსნეს კარები და გალიიდან,
სადაც ლურჯი ფრინველი მეგულებოდა,
ჭილყვავები გამოფრინდნენ ჟივილ-ხივილით.
ვარდისფერ სივრცეს, ვით გაორთქლილ მინას,
ხელი გადაუსვეს
და გამოჩნდა ხრიოკი ველი.
ბაღი მეგონა ამ ადგილას და ღამღამობით
იქიდან წყნარი, უშფოთველი გალობა მესმოდა.
გაქრა მირაჟი,
დაიწმინდა თვალსაწიერი,
გაცხადდნენ მქრქალი კონტურები
და რუხ კედელზე
ახლა გარკვევით იკითხება ჩემი იღბალი.
უნდა ვიცხოვრო ოცნების ნაცვლად
აწ სინამდვილის მკაცრი კანონით.
გადაიწვიმა და ქარი ჩაცხრა,
მდინარის გაღმა იცდის ქარონი.
მთავრდება ჩემი ახალგაზრდობა,
სიზმარი იყო იგი ტკბილი და სასურველი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეორე დღეს რომ ცუდად ახდება.
იმისი დავიწყება მოვასწარი
ვინც მიყვარდა,
ხოლო ვინც მძულდა, შევეგუე და ვაპატიე.
დაპირებების, იმედების გარდახდა ჟამი.
როგორ მაცთუნეს და მომატყუეს,
შუქი, რომელიც კიაფობდა უღრანი ტყიდან,
შხამიანი ყვავილების შუქი აღმოჩნდა,
სასაფლაოზე რომ ბჟუტავდა მთვარის მოქცევისას.
მადლობა მაინც, დიდი მადლობა,
ნექტარიც, გესლიც ერთად ვიგემე.
მთავრდება ჩემი ახალგაზრდობა,
ან ჭკუას ვილას დაარიგებენ.
ბრძენნი, რომლებმაც არ უწყოდნენ:
ადამიანი მაინც ჩაიდენს თავის წილ ცოდვას,
თავის წილ შეცდომას მაინც დაუშვებს,
რაც უნდა მოძღვრო.
განაჩენია ეს მისი და მოვალეობა,
ერთხელ მაინც უნდა შეტოპოს ჭაობში,
რომ თვითონ მიხვდეს რა მძაღეა მისი სურნელი.
სიბრძნეს არ სწავლობენ,
მას იძენენ თანდათანობით
და ბედნიერი ის არის, ვინაც
თვითონ, თავისით მოიპოვა სულის სიმშვიდე,
თვითონ დაიდგა ტაძარი თვისი,
თავისი სისხლის, ოფლის დუღაბით
ვინც შეკრა ჟამი და კედლებად შემოიშენა.
მთავრდება ჩემი ახალგაზრდობა
რა უგემურად და რა საბრალოდ.
მთავრდება. მიდის. ახლა მარტო ვარ,
აწ შეცდომები ვის დავაბრალო.
ვის დავსდო ბრალი? ვინ გავამტყუნო?
დღეიდან თავი როგორ ვიმართლო?
გვიან ილვიძებს თოვლში ჩანთქმული
ჩემი სამყოფი და საბინადრო.
რაც თქვენთვის იყო მწარე სამსალა
მე საამო და ტკბილი მეჩვენა.
მერე მითხრეს და მერე მასწავლეს,
ასე იცისო შხამთან შეჩვევამ.

ახალგაზრდობა მფლანგველების ქვეყანაა,
მფლანგველებისა,
რომლებსაც ჰგონიათ რომ ხვალაც მდიდრები იქნებიან
და არც არასდროს გაკოტრდებიან.
მეც ძველი მფლანგველი გახლავართ,
სახელგანთქმული ქარიფანტია.
მათ მხარეზე ვარ, მფლანგველების და მფანტველების,
დაუდევრების და უგონო ქარაფშუტების,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნების და ღვინის ქარტეხილში გამოვლილების.
მათ მხარეზე ვარ, ვინც ბაგეს ბაგეს არ არიდებდა,
ვინც სიყვარულის აგონიას არ გაქცევია
ვით დეზერტირი, სულმოკლე და მშიშარა.
მე ბაღებში და სკვერებში გახიზნული წყვილების
მხარეზე ვარ,
იმ ბიჭის გვერდით ვდგევარ,
ვინც ახლა ჩხუბობს თავისი კაცობის სახელით
და მუშტში ელვაგამომწყვდეული
უშიშრად მიიწევს მეტოქისკენ.
ის მეცოდება, ვინც არ იცის რომ სიჭაბუკეს,
ვერ გადამალავ, ხვალისთვის ვერ გამოიზოგავ,
ვერ შეექცევი დაგემოვნებით.
სიჭაბუკე ის სიმდიდრეა, რომელიც არ შეინახება.
ის ოქროა, რომელიც დღეს უნდა დაიხარჯოს.
ორჯერ ვერ შეხვალ ერთ მდინარეში,
ორჯერ ჭაბუკი ვერ იქნები
და ვერც ორჯერ განმეორდები.
ყველაზე მწარე სინანული
უქმად გარდავლილ სიყმაწვილეზე სინანულია.
ფერუმარილით ნაოჭები არ იმალება,
ერთხელ ჩამქრალ სისხლს მეორედ ვერ ააღორძინებ.
მე მებრალება სიბერიდან ჭაბუკის ნიღბით
ვინც იხედება,
ვის თვალებშიც ნაღველი სახლობს...

ასე მგონია სხვამ იცხოვრა ჩემი ცხოვრება,
მე კი შორიდან ვუთვალთვალებდი.
და ამ სპექტაკლში არ შემეძლო არაფრის შეცვლა
მე ფარდის უკან ვიდექ მორჩილად,
ის კი სცენაზე გამოდიოდა ჩემი სახელით.
ის იყო ჩემი მარჩენალი,
მას შემოჰქონდა პური სახლში
და რამდენჯერაც
დავიყვირე, რომ ის სხვა იყო, იმდენჯერვე მშიერი დავრჩი.
ის საშოვარზე გაშვებულ მათხოვარს ჰგავდა
ოჯახის წევრებმა რომ შავი ხილაბანდით
აუკრეს ცალი თვალი.
და ცალი მკლავიც დაუმალეს მოსასხამისქვეშ,
რომ მოწყალე ხალხს ასე უფრო შებრალებოდა.

ვით ცეცხლს ნაცარში, ისე მძინავს
ჩემს სიმშვიდეში.
მოვა ქარი და გამომაღვიძებს.

მთავრდება ჩემი ახალგაზრდობა...
ან რას მეტყვიან ისინი,
რით დამამშვიდებენ ისინი,

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვინც მეუბნებოდნენ: — მოითმინე!
ჯერ ახალგაზრდა ხარო!
ხომ გაჯობეთ და შეუვალი ეს არგუმენტი
ხომ გაგიქარწყლეთ,
ახლა რაღას მეტყვით ნეტავი?
როცა დავბერდები
ნუთუ მეც პურს და ჰაერს წავართმევ
ჩემს შვილს, რომელსაც ასე ძალიან შია,
რომელსაც მძლავრი, ღონიერი ფილტვები აქვს
და მგლის მადა.
ნუთუ ავართმევ იმ ხორცის ნაჭერს,
რომელსაც ჩემი გაცვეთილი კბილები ვერ მოერევა,
მაგრამ მაინც ჯიუტად ვღმურძლავ
სიხარბის გამო...
ნუთუ მეც დავივიწყებ
ჩემი წინაპრის ბრძნულ ტრადიციას:
როცა ოთახში ბავშვი შემოვა
კრძალვით ფეხზე არ წამოვუდგები?

მთავრდება ჩემი ახალგაზრდობა
მწვერვალები ჩამოვიდნენ სიმაღლეებიდან
და თავისი ჩრდილის გვერდით განერთხნენ.
დაბლობები გამოჩნდნენ, დაბლობები,
ზედ მიმავალი ქარავანი მშიერ-მწყურვალი,
რომელმაც დიდხანს უნდა იაროს ამ უდაბნოში.
მეც იმ ქარავნიდან ვარ,
კბილებში ქვიშა მიხრჭიალებს და ყელში ქვა მაქვს გაჩრილი.
ჩემს ენას დოლაბი გამოაბეს,
ჩემს ბაგეებს ბოქლომი დაადეს
და გასაღები მოისროლეს ღამის წკვარამში.
ასე საკანს კეტავენ ხოლმე
რომ ძვირფასი მძევლები არ გაიქცნენ.
მეც ვისწავლე ჭკუა,
მეც ვისწავლე ქარაგმული ლაპარაკი
სიტყვებს ბოლოჯან წარმოვთქვამ ხოლმე.
ყვავებად გადაღებილი მაფშალიები
არარსებულ ბაღში გალობენ.
შრიალებენ ხეები, რომლებიც ჯერ არ აღმოცენებულან.
იმ წყალს ვსვამ, ჯერ რომ მიწიდან არ ამოხეთქილა.
ის ქარი მაგრილებს
ჯერ რომ არ დაძრულა მთებიდან.
ლოგინში ტიკინა მიწევს,
სულის ნაცვლად ნახშირორჟანგი რომ ჩაბერეს.
ჩემი საუკუნე — უკულმართი სელექციონერი —
სინთეტიკის და რეზინისგან გამოჰყავს ხორცი,
წყალში მეწამულ სითხეს ურევს
და სისხლის ნაცვლად ძარღვებში გვისხამს.
თავის ნაცვლად უცნაური ყუთი მადგას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყუთი, რომელიც ათასგვარ ღილაკსა და
ჩასართავებთანაა შეერთებული
უამრავი სადენით და მილაკით.
თავისუფალი მინდვრების და ტყეების სურნელის ნაცვლად
იმას ახლა აკუმულატორებით ასაზრდოებენ.
დაატრიალებს ვიღაც ღილაკს და ავმღერდები,
დაატრიალებს ვიღაც ღილაკს და ავტირდები,
სიცილის ტალღაზე გადამრთავენ და ვიცინი.
ჩემი მექანიკური თავი, ჩემი საუკუნის პირმშო.

ღამით ლოგინში დავიძინე
დილით კი ცაში გამომეღვიძა,
წეროებსა თუ ტოროლებს შორის,
გზით განათებულ ღრუბლებთან ახლოს.
ძილბურანიდან ლურჯ ლაჟვარდში
გამოვერკვიე.
ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ...
ახლა ვვარდები,
ძირს, ძირს მიმათრევს ხორცის სიმძიმე
რომ მთელი ძალით დამანარცხოს
ამ ქვაფენილებს და მიმახვედროს:
ლოგინში ჩაძინებულს
ლოგინში უნდა გამოგეღვიძოს.
ახლობლების თვალის ასაბმელად
საბანქვეშ შენს სანაცვლოდ მუთაქა არ უნდა დამალო
და თვითონ ცაში არ უნდა გაიქცე.
დიახ, ლოგინში ჩაძინებულს დილით ცაში გამომეღვიძა.
მაგრამ ეს იყო დიდი ხნის წინათ
და აწ არასდროს არ მოხდება ეს სასწაული,
აწ შეიძლება გამეღვიძოს ქინქლად და ხოჭოდ,
ვით გრეგორ ზამზას
და კედლებზე ხოხვა მომინდეს.

გახსოვს: როდესაც თხუთმეტი წლის ბიჭი იყავი
სიბერის როგორ გეშინოდა, როგორ გაკრთობდა,
რომ შენც ნელინელ დაჭკნებოდი და დაშრებოდი.
ოცდათხუთმეტი შენ სიბერე გეგონა მაშინ...
დღეს როგორ ფიქრობ?
ხომ წინ არის ჯერ ყველაფერი?
ასე იქნება მაშინაც კი, როცა სამოცის გახდები
და მაშინაც,
სიკვდილამდეს რომ ერთი ღამე დაგრჩება მხოლოდ.
მაინც გექნება იმედი და ამ ჩვეულებას
სანამდის ცოცხლობ ვერასოდეს გადაეჩვევი...

ეჭვიანმა ცოლმა ქმარს მოუწყო აუტოდაფე:
ამოყარა უჯრებიდან მისი სატრფიალო ბარათები
და ცეცხლს მისცა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვეულებრივად გიზგიზებდა ბუხარში ცეცხლი
და მთავრდებოდა სიყვარულის კრემაცია,
მაგრამ აქ ერთი უჩვეულო ამბავიც მოხდა:
იწვოდა ქაღალდი,
მაგრამ სტრიქონებს ცეცხლი არ ეკიდებოდა
ვარვარებდა ოქროს ზოდივით:
„მე შენ მიყვარხარ“.
„მენატრები, ჩამოდი მალე“ და ა. შ.
წითლად კაშკაშებდნენ ასოები,
ასე დამღას ახურებენ მეჯოგეები.
ჩემი დამღაც ეს არის, ჩემი საგვარეულო ღერბი,
ჩემი ნიშანი, ჩემს მკერდზე და ჩემს თვალებში
ამოშანთული.
„მე შენ მიყვარხარ“ —
აწერია გაზაფხულით ავსებულ სივრცეს,
„მე შენ მიყვარხარ“ —
აწერია მთვარეს და ვარსკვლავს,
„მე შენ მიყვარხარ“ —
აწერია თოვლსა და წვიმას
და არვის ძალუძს მისი ამოშლა.
მთავრდება ჩემი ახალგაზრდობა,
მთავრდება ჩემი სიყვარულის დიდი შუადღე.
ულამაზესმა განთიადმა
მზით გასხივოსნებული ცა გადმოიარა
და მწუხრს შეერთო.
თითქოს ქალწული წამიერად გაკრთა ბურუსში
და კვლავ უეცრად გაუჩინარდა.
ნუ გამიწყრებით, ვინც მიყვარდით და მიგატოვეთ,
ლანდები მიმაქვს მხოლოდ აქიდან,
აჩრდილები და მოგონების მირაჟი მიმაქვს,
სხვა ტვირთს ვერ ზიდავს ჩემი მხრები
და ჩემი ხსოვნა.
ნუ გამკილავთ, აუგად ნუ მომიხსენიებთ,
დამნაშავე ვართ ორივე მხარე:
იმას ვეძებდით ერთმანეთში, რაც არ გაგვაჩნდა,
დიდი ხნის წინათ რაც დავკარგეთ
მას ვპირდებოდით.
დამნაშავე ვართ ორივე მხარე, რომ ერთმანეთი გამოვიგონეთ
და სიყვარული დავარქვით იმას,
რაც ლანდი იყო და მოჩვენება.
კი არ ვიცხოვრეთ, სარკეებში ვნახეთ ერთმანეთი,
წავედით და გაქრნენ ჩვენი კონტურები.
სარკე არაფერს არ იმახსოვრებს,
მას მხოლოდ წამით ვესიზმრებით
და იქვე გვივიწყებს როგორც კი სხვა მოვა.
(წყლის ზედაპირზე არეკლილი სილუეტები
ვიღაცამ კენჭი ისროლა და გაგვაცალკევა)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავრდება ჩემი ახალგაზრდობა...
ყველას გილოცავთ გამარჯვებას,
ხომ დამიმსგავსეთ,
ხომ მომტეხეთ და თქვენს ადათზე ხომ მომაქციეთ?
თქვენ მომავლისა გეშინოდათ და თავს იზღვევდით,
როცა მე მწვერთნიდით...
დღეს ჩემი ბიჭი დგას კუთხეში, დაიწყო ომი ისევ თავიდან
დგას ის კუთხეში, ურჩი, ამაყი
ზურგსუკან თვალებს მიბრიალებს
და მუშტს მიღერებს.
ეს მომავალი მიღერებს მუშტებს,
მომავალი მექადნება და მემუქრება.
მე აქეთ ვდგევარ, წესიერი მამების ბრბოში,
ის კუთხეშია მიმწყვდეული, სუსტი, უმწეო,
ჩემს სიმართლეზე მიგდებული,
ჩემი გულმოწყალების მომლოდინე.
იდგეს ცოტახანს!
განა მთელი კაცობრიობა კუთხეში არაა გაზრდილი?
განა სუყველანი იქიდან არ გამოვიქეცით?

თქვენ თუ ყრმობიდან,
ბავშვობიდან ხართ წარმოშობით,
მე ღამიდან ვარ, და ობლობიდან.
მე მარტოობის კუნძულიდან მოვედი თქვენთან,
რომელსაც ირგვლივ სქელი ნისლი ეკრა ყოველთვის.
და შიგ ვერავინ შეიხედა, შიგ ვერავინ ვერ შეაღწია.
მე იმ სევდიან სიმღერიდან გამოვილანდე,
მე იმ ნაცრისფერ დღეებიდან გამოვფერმკრთალდი,
მე იმ სივრციდან ამომგლიჯეს,
რომელსაც დიდხანს, ძალიან დიდხანს
ალბათ სახელს ვერ მოვუძებნი.
იმ უსახელო ქვეყნიდან მოვალ
და თან კვალდაკვალ მომდევს მზერა დაჟინებული,
თითქოსდა სხივი მომდევს გვერდიგვერდ
და იმ სხივისთვის მიკიდია ორივე ხელი,
ვით წყალწაღებულს მაშველ თოკისთვის.

მთავრდება ჩემი ახალგაზრდობა...
დამარცხებული კაცის ლექსია ეს ლექსი,
ჯებირთან მიჩიხული იმ მდინარის ბორგვაა,
თავის სათავეს რომ ვერ დაუბრუნდება
ხელმეორედ
და კვლავ აღმა ვერ აუყვება
ერთხელ გამოვლილ გზას...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლეილა მესხი

# თავდავიწყება

მოთხრობა

სულ მაღლა, მაღლა მიიწევდა თეთრი შენობა, სართული სართულს ემატებოდა, კედლები-კედლებს. იმოსებოდა კარებით, ფანჯრებით, ფერად-ფერადი აივნებით. სიმაღლესთან ერთად, სილამაზესა და ჰაეროვნებას იძენდა. ამ სახლს კომპოზიტორთა კავშირი აშენებდა, მშენებლები „მუსიკოსების სახლს" ეძახდნენ.

მთის თხემზე შემომდგარი თეთრი კოშკი მიუწვდომელი და ნატიფი ჩანდა ახლომახლო, დაბალსართულიან, კიბედაბრეცილ, ძველისძველ ნაგებობათა ფონზე, ფუტკრის ნაყარივით რომ შესეოდნენ ფერდობს... ამიტომ იყო, ყოველი აგურის დადებას, ყოველი კედლის ამოყვანას, ისე აფორიაქებით რომ შესჩერებოდნენ ამ უბნის მცხოვრებნი, თითქოს მათთვის შენდებოდა ეს გედივით თეთრი სახლი.

ამინდიც საამო დაიჭირა, მზიანი, ჩახჩახა, სიგრილით შეზავებული. დღე ერთი იყო და, ამ კუთხის გოგო-ბიჭები ცხრაჯერ აირბენდნენ კიბეს, ახალი სახლის ზედა სართულიდან ქალაქის ულამაზესი ხედი იშლებოდა.

ბოლო დროს, ხშირად, ღია ფანჯარასთან იჯდა ცოლ-ქმარი. კაცი არ მუშაობდა, ქალი ქარხნის ბიბლიოთეკას ადრიანად გამოკეტავდა და სანამ გოგონა სკოლიდან დაბრუნდებოდა, უკვე შინ იყო.

ისხდნენ ღია ფანჯარასთან და ახალ სახლს შესცქეროდნენ. სხვისი ცხოვრებით ტკბებოდნენ, ხალისობდნენ. ჯერაც მოშიშვლებული ფანჯრები, გაუწყობელი ავეჯი, დაულაგებელი ბინა, უცხო ცხოვრების ახალ ჩვევებს, სამყოფელს უფენდათ თვალწინ. ცოლი ამბობდა: მობინადრეთა უმრავლესობას პიანინო ან როიალი უდგას, — მერე დასძენდა: — ყველამ ერთად რომ დაუკრას, ნეტავ სახლს რა დაემართებაო?

— დაინგრევაო... — ძუნწად პასუხობდა კაცი.

საღამოს ქარმა რომ აწეწა სივრცე და ფანჯარა მიხურეს, სრულიად უადგილოდ გაიხსენა კაცმა: „გახსოვს, რა ტკბილად მღეროდი?" „რამ მოგაგონა?" — ჩაეცინა ქალს. „მომენატრა". „კი, ბატონო! გაშალე კარგი პურ-მარილი და სიმღერა ჩემზე იყოს", — ჩაიკისკისა ქალმა. — „ახლა ისე ვერ იმღერებ", — სინანული ერია კაცს ხმაში. „ვითომ რატომ?" — მოხედა ქალმა. „მაშინ სხვა დრო იყო"... „რა დრო?!" „სიყვარულის დრო..." მეტი არაფერი, მხოლოდ ხელახლა რომ მოხედა ცოლმა, თითქოს პირველად შეამჩნია მამაკაცის შუბლზე გადაწოლილი ღრმა ნაოჭი, ჭაღარით შეთრთვილული საფეთქლები. მთელ სახეზე უიღბლობისა და გაუხარებლობის ბეჭედი ესვა. შეებრალა.

მოგვიანებით გოგონამ გაკვეთილები მოილია და ტელევიზორი ჩართო. თვითონაც იქვე დასკუპდა, დაბალ სკამზე. კაცი ძველ დივანზე მიწვა, ერთხანს გაზეთები იკითხა, მერე ჩაეძინა. ტელევიზორის ხმა ბანგივით მოქმედებდა მასზე, უდროო დროს იძინებდა. მართალია, ოჯახი დიდი არ იყო, მაგრამ ქალს საქმე არასდროს ელეოდა,

ამიტომ სატელევიზიო გადაცემებსაც ნახევრად უსმენდა და არც უსმენდა. მხოლოდ გოგონა იჯდა ცქვიტად. იგი ცნობდა დიქტორებს, მსახიობებს, ზეპირად იცოდა გადაცემათა მთელი პროგრამა. გოგონამ ლექსებიც იცოდა — ვაჟას, აკაკის, გალაკტიონის. ნიჭიერიაო, მეზობლები აქებდნენ. შვილის ნიჭიერებაში დიდად დაჯერებული არ იყო დედა, ბავშვის მთავარ აღმზრდელად, რატომღაც ტელევიზორს თვლიდა, თავისი ათასგვარი გადაცემებით, მოზარდისათვის მიუღებელი პროგრამით.

ახლაც, ჯერ ქართულ ხალხურ სიმღერებს გადმოსცემდნენ. „აჰ! გოგონა, გოგონაო...“ ამღერდა ქალი სამზარეულოში. გაბედულად აჰყვა მომღერლებს, არაფერი გამოუვიდა. კაცი ხვრინავდა დივანზე. მერე „კამერული მუსიკის კონცერტიო“ და „გამორთეო“ დასჭყივლა ბავშვს. არ შეეპუა გოგონა, „უნდა ვუსმინოო“. ვიღაც შავკაბიანი, ლამაზი ქალი უკრავდა როიალს. უკაკუნა და უკაკუნა, წაიღო ყურები. უმეტესად მისი თითები მოჩანდა, შხვართალა, მოქნილი თითები. ერთი ორჯერ სულ ახლოს მოიტანეს ქალის სახე. თვალები მიელულა, ლამის დაეხუჭა, „ნეტავ როგორ უკრავსო?“, — გაუკვირდა ცოლს. როგორც იქნა, დამთავრდა კონცერტი, ერთხანს გაუნძრევლად იჯდა ბავშვი, მერე წამოხტა და ტელევიზორი გამორთო.

კაცი კვლავ ხვრინავდა.

ეზოში ბავშვების მხიარული ხმები ისმოდა.

— გავალ ცოტა ხნით... — თხოვა გოგონამ.

— წადი.

ის იყო გოგონამ კარი გაიხურა, რომ ფრთხილად დააკაკუნეს. გააღო. ორნი იყვნენ. წინ მეზობლის ქალი იდგა, ლიფტიორის ცოლი, ცხვირპაჭუა რუსის ქალი, ვერა. ხშირად ქმარს ენაცვლებოდა, მის მაგიერ მორიგეობდა. მშობლიურ ენაზე მეტად, ქართულად ლაპარაკს არჩევდა. ახლაც...

— გამარჯობათ, რეზო სახლშია? —

ბიბლიოთეკა

იკითხა.

— კი.

— დაუძახე. საქმე გვაქვს...

— შემობრძანდით.

ვერას უცხო ქალი ედგა გვერდით. ის იყო უცნობის მისაღებად თუ მისაპატიჟებლად მოემზადა მასპინძელი, რომ წამით შეკრთა, დაიძაბა. ეს ქალი სადღაც ენახა. სულ ახლახან, ამ წუთში. თითქოს ტელევიზორის ხმაურიანი ყუთი დაეტოვებინოს და მას მოსდგომოდეს კარს. ოღონდ, საკონცერტო კაბის ნაცვლად საშინაო ხალათი ეცვა და მხრებზე თბილი შალი მოესხა. იგი ოდნავ დაბნეული ჩანდა.

— სამზარეულოში კაფელი უნდა... — წამოიწყო ვერამ.

მასპინძელს მისთვის არ ეცალა, იგი უცნობის უეცარმა გამოცხადებამ, ტელევიზორიდან ასე ჰაიჰარად გამობრძანებამ გააოცა.

— თქვენ ახლა, ტელევიზორში... — აღარ დაამთავრა.

— დიახ... დიახ... — ჩაიცინა სტუმარმა. — ეს კონცერტი ერთი თვის წინ ჩაიწერეს და ახლა გადმოსცეს.

შინ შეიწვია სტუმრები. არ შევიდნენ. სადაც იყვნენ, იქვე დარჩნენ. ლიფტიორის ცოლი მის ქმარს აქებდა, ხელობას უწონებდა, ოქრო ხელი აქვსო, ამბობდა.

— ჩემი ქმარი ხელოსანი არ გახლავთ, — იუარა ცოლმა — მხატვარ-კერამიკოსია, სილიკატების ქარხანაში მუშაობს, ახლა დროებით უმუშევარია, დაკვეთებს არ იღებს. ბავშვის ნათლიამ თხოვა და უარი ვერ უთხრა... — თითქოს თავს იმართლებსო, წუხდა, წრიალებდა ქალი.

— ჰოდა, ნათლიას თუ გაუკეთა, ახლა ამ კარგ ქალს... — არ დააცალა ვერამ, მხარზე ხელი მოუთათუნა, — წადი, დაუძახე.

— არ შემიძლია, — იუარა ქალმა — ვერ გავაღვიძებ...

— მაშინ ხვალ მივიდეს ამასთან. ახალ სახლში ცხოვრობს...

— არ ვიცი. — მხრები აიჩეჩა მასპინძელმა. — გამოიღვიძებს და ვეტყვი. ისეთი კაცია...

— პირველი შესასვლელი, ბინა 7, ეთერი მქვია.. — უღიმოდა სტუმარი. ამ ღიმილით იგი თითქოს ანიშნებდა, ყველაფერს ვხვდებიო.

— ორი კაპიკი ზედმეტი აიღოს, ცუდია? — მოხედა ვერამ.

სიმართლეს ამბობდა, რა უნდა ეთქვა.

ცოლმა ერთხანს ოთახში იბაკუნა, ქმრის შეღვიძება დააპირა, მაგრამ ვერ გაბედა. გამწყრალ-გაავებულმა კაცმა ისეთი გამოღვიძება იცოდა, მტრისას! ხეირიან პასუხს არ მისცემდა, უმჯობესი იყო დაეცადა. დრო შეერჩია. არადა, ვერას თქმის არ იყოს, ზედმეტი და გადასაყრელი სად ჰქონდათ, მით უმეტეს ახლა. ექვსი თვეა კაცი უმუშევარია. ბიბლიოთეკაში აღებულმა კაპიკებმა რა ხვავი უნდა დაუყენოს. ყოველი მანეთი წინასწარ გამოანგარიშებული და გამოზომილი აქვთ. მცირე დანამატი ოდნავ მაინც წაეშველებოდათ, ოღონდ ქმრის დათანხმება იყო მთავარი. ისეთი გამოღლილ-გამოსავათებული სახე ჰქონდა მძინარეს, გაღვიძება დაენანა, არადა, უცაბედად შემოსული თანხა ძნელი ხელსაკრავი იყო. ყველაფერს თავი დავანებოთ, ცოლი თითქოს რაღაც ცდუნებას აჰყოლოდა. თავისდა უნებურად სურდა ქმრისთვის პირდაპირ ტელევიზორიდან გადმოსული ეს უცხო ქალი გაეცნო. ამას რისთვის სჩადიოდა, თავადაც არ იცოდა, მაგრამ გუმანით გრძნობდა, კაცი უეჭველი ყურადღებით მოეკიდებოდა მუსიკოსი ქალის თხოვნას. ქმარს უყვარდა ხელოვნება, მხატვრობა, მუსიკა... ლექსებიც უყვარდა. და აი, ამ სიყვარულის გამო სურდა გაეცნო მისთვის უცნობი ქალი.

ჩაუარა და ჩამოუჯდა ძველ დივანს. სკამი გაარიხინა, ჰიქა-საინი გააწკრიალა, აღარაფერმა უშველა. კაცმა მხარი იცვალა და ძილი განაგრძო.

— რეზო! ჰე, ბიჭო!.. — წაუთათუნა ქალმა. — გამოიღვიძე, რაა ამდენი ძილი. ღამით არ დაგეძინება.

კაცმა ღრმად ამოიხვნეშა და თვალი გაახილა.

— დაღამდა? — იკითხა ჩახლეჩილი ხმით.

— კი.

— ბავშვი სადაა?

— ეზოში.

— დაუძახე.

— იყოს... ახლა ჩავიდა. განათებულია იქაურობა. ცოტას გაირბენს სუფთა ჰაერზე.

კაცი ერთხანს ჭერს შესცქეროდა. გაუნძრევლად იწვა.

— ცუდად ხომ არა ხარ? — ფეხებთან ჩამოუჯდა ცოლი.

— რა ვიცი ყოველთვის ცუდ ხასიათზე მეღვიძება...

— ჰი... — ჩაიცინა ქალმა.

— რა იყო?

— დღეს უცნაური სტუმარი გვყავდა.

— ვინ?

— ლიფტიორის ცოლს ახლდა, — ქალი მიჩუმდა.

კაცმა მოხედა.

— ვინ იყო?

— პირდაპირ სასწაული მოხდა. ტელევიზორში კონცერტს გადმოსცემდნენ. ვიღაც ქალი როიალზე უკრავდა. დამთავრდა კონცერტი და ჩვენს კარზე დააკაკუნეს. გავაღე და ის ქალი არ გამომეცხადა?!

— ვინ ქალი?

— პიანისტი.

— დაგსიზმრებია...

— არა, კაცო! მართლა მოვიდა.

— აქ?!

— ჰო, შენ გიკითხა.

— შენ ცოტა ხომ არ აურიე?! — ეჭვით მოხედა კაცმა.

— არ გჯერა ხომ, ვერც მე დავიჯერე... მთხოვა, სამზარეულოში ეგებ კაფელი გამიკრასო. კარგი ხელი ჰქონიაო... ფულს რამდენსაც უნდა...

— უჰ, რა ქალი ხარ! — დაიბოღმა კაცი.

— რა გინდა კაცო, ხომ არ ვიტყუები, მართლა მოვიდა... — შეწუხდა, ქალი.

— გინდა, ქუჩა-ქუჩა მატარო... გამამაიმუნო... კაპიკებისთვის ხელები გამაშვერინო, ხომ?! — წყენისაგან ხმა ჩაეხლიჩა კაცს.

— როგორც გინდა, — წამოდგა ქალი, ცრემლმა მზერა აუმღვრია. — მე არ გაძალებ...

— მომეშვი!

— მოშვებული ვარ! ღმერთმა იცოდეს, ჩემი ჩაცმა-დახურვისთვის არ გთხოვ...

ქალი ოთახიდან გავიდა.

კაცი ერთხანს თვალებდახუჭული, უმოძრაოდ იწვა. ღია ფანჯარაში ბავშვების მხიარული ხმები ისმოდა.

— რომელ სახლში ცხოვრობს? — იკითხა კაცმა მოგვიანებით.

— ახალ სახლში, მუსიკოსების... — არ დაამთავრა ქალმა.

— ახლა მუსიკოსები, მერე მხატვრები... თფუ, ასეთ სიცოცხლეს!.. — გააფურთხა კაცმა.

ქალი გაერიდა.

●

უცნობ ქალს მშვენიერი ქართული სახელი, ეთერი ერქვა. ამ სახელით უნდა მოენახა იგი კაცს, ეპოვნა. ასე დაავალა ცოლმა. მისამართიც უთხრა, შესასვლელიც, ოთახის ნომერიც.

კარი გაუღეს.

სავსე მკერდი, მრგვალი ბეჭები, გადატკეცილი შუბლი, თაფლისფერი თვალები... ოღონდ ხალათი არ უხდებოდა, არც წელზე შემოხვეული თბილი შალი. იგი გაცივებული ჩანდა, წამდაუწუმ ცხვირსახოცს ეძებდა ხალათის ჯიბეში. მამაკაცს მოეჩვენა, მის მოსვლამდე ქალი სიგარეტს ეწეოდა და გამოჩენისას გადააგდო, სადღაც ჩაასრისა. აი, ამ გადაგდების თუ ჩასრესვის, ფერფლის დაბერტყვის, სტუმრის მისაღებად შემზადების პირველი წუთებით შეეგება იგი მას. თითქოს მოელოდა კიდეც. ღიმილით შეეგება. წინ წაუძღვა. ანახა. თუმცა რა იყო სანახავი, ასეთივე სამზარეულო და ტუალეტი ამ სახლის ყველა სართულზე შეეძლო ენახა. ბევრი სათათბირო და სავაჭროც არაფერი ჰქონდათ. ქალმა იქვე, კართან უთხრა: არაფრის თავი არ მაქვს, არც არავის ვიცნობ, თუ დამეხმარებით, მადლობელი ვიქნებით. მერე უყურადღებოდ რომ შეათვალიერა კაცმა ჭერი და კედლები, აჩქარდა ქალი, საძინებელი ოთახის კარი შეუღო. ყველაზე მეტად აი, რა მაწუხებსო, — უთხრა, ჩამტვრეული მინა დაანახა. უბერავდა. ოთახში სიცივე იდგა. ჩარჩოზე პლედი გაეკრათ. წითელზოლიანი, სქელი შალი. ვერ ფარავდა. სიცივე უსიამოს და ძნელად შესაგუებელს ხდიდა ბინას. სწორედ შეუგუებლობა აღბეჭდოდა ქალს სახეზე. არადა, ეცოდვილა. ჟანგიანი ლურსმნებით დაემაგრებინა ფანერის მოზრდილი ნაჭერი.

კაცმა ჯიბიდან სანტიმეტრი ამოიღო, ჩარჩო გაზომა.

— მინა გაქვთ? — ჰკითხა.

— არა.

— კაფელი?

— არა...

თუმცა ბინაში შემოსვლის პირველსავე წუთებში განუცხადა ქალმა, არაფრის შოვნის თავი არ მაქვს, არც არავის ვიცნობო, კაცი მაინც განაგრძობდა დაკითხვას.

— ცემენტი?

— არა. რემონტს არ ვაპირებდი, ვიფიქრე, ახალი აშენებულია, არაფერი დამჭირდება-მეთქი, არადა, კედელს ვერ მიედები, ცვივა რაღაც...

— დაუწვავი კირია...

— დაუწვავი?

— ჰო...

— მერე, რა ეშველება?

— უსაშველო რა არის, — მამაკაცს ხეირიანად არ ესმოდა, რას ეკითხებოდა ქალი, რაღაც სხვაზე ფიქრობდა.

მისაღებ ოთახში გამოვიდნენ. შავად მბზინავ როიალს ლამის ამოევსო იქაურობა. ორიოდე სკამი, დივანი, საფე-

რფლე, გაშლილი წიგნი, ნახევრად გათლილი ვაშლი და ცისფრად დალვრილი ღამის ნათურა, სულ ეს იყო. კედელზე სურათებიც მოჩანდა, მაგრამ მათთვის არ ეცალა ახლადმოსულს.

თაროზე თიხის სურები, აზარფეშები, გრძელყელა დოქები იდგა. მათკენ გაიწია. ერთმანეთის გვერდიგვერდ, ერთმანეთის მხარდამხარ იდგნენ. შეენოდნენ თაროს, კედელს, ოთახის სივრცეს, სიმყუდროვეს. იგრძნო კაცმა, საოცრად მონატრებოდა ისინი, ხელის შევლება მოუნდა.

— ქართული კერამიკაა, — თქვა ქალმა.

— ვიცი. თიხა შესანიშნავი მასალაა — ყრუ ხმით ჩაილაპარაკა კაცმა, — მისგან ყველაფრის გაკეთება შეიძლება...

— ყველაფრის? — ჩაჰკითხა ქალმა.

— დიახ. ადამიანს უჭირს თიხის შელევა...

— თიხა ცივია და ხორკლიანი, — იუარა ქალმა.

— როგორ გეკადრებათ, თიხა თბილია, საოცრად დამყოლი. იგი კანს კი არ აუხეშებს, არბილებს.

ქალი თვალმოუცილებლად უცქერდა.

— მე მეგონა, ცივი იყო და უსულო...

— სული ადამიანმა უნდა ჩაჰბეროს.

— ადამიანმა?

— დიახ.

იგრძნეს, რაღაც სხვა ენაზე ალაპარაკდნენ.

— აი, მუსიკა... — თქვა ქალმა.

— რა თქმა უნდა, მუსიკა... — არ დაამთავრა კაცმა. მიხვდა, როიალით ამოვსებულ ოთახს, ზოლიან პლედში გამოღწეულ მზის ბოლო სხივებს, კედლიდან მზირალ უცხო სახეებს, პირველად ხილვის, პირველად აღმოჩენის, თუ მიკვლევის საოცარი განცდა მოჰქონდა. ყველაფერი სიამოვნებდა, ქალის სიახლოვე, მისი მშვიდი ნაბიჯები, ხმის ტემბრი.

თუმცა, ამას უფრო მოგვიანებით ჩახვდა.

ქალი ორმოცი წლის იქნებოდა, შეიძლება მეტისაც. თითქოს არსად ენახა იგი, არც თვალი მოეკრა, მაგრამ ყოველი მიხვრა-მოხვრა, შემოხედვა, თითქოს დიდი ხნიდან ახსოვდა, ლამის ბალღობიდან... ახლად წამოჩიტებული ყმაწვილკაცის პირველი სიზმრებიდან თუ იმ გაუხუნარი სურვილებიდან, იმ უსაშველო მონატრებიდან, სისხლითა და ხორცით დატენილ, ოდნავ უკანდახეულ, მორცხვ მამაკაცებს რომ გაუჩნდებათ ხოლმე, ნამდვილი დედაკაცის ხილვისას.

უხერხულობის დასაფარავად კენტად დაკიდებული სურათისკენ გაექცა მზერა. ფანქრით შესრულებული ნახატი იყო. ხეირიანად ვერც შეამჩნია, ვინ იყო ზედ აღბეჭდილი. სურათის მინა ნათურის ასხლეტილ სხივებს ირეკლავდა, ხილვა ჭირდა. ორიოდე ნაბიჯი მოინაცვლა და იცნო, მასპინძელი იყო. ოღონდ უფრო გამხდარი და სევდიანი. თვალის უპეებს ნაოჭის ღრმა კვალი გასდევდა.

— ვინ დახატა? — იკითხა კაცმა.

— ერთმა მეგობარმა...

კაცმა ისე მიმოიხედა, თითქოს მხატვარს ეძებდა.

ქალს ჩაეცინა.

— როდის მოხვალთ? — ჰკითხა მან.

— როცა მასალას ვიშოვი.

— ფული წაიღეთ...

— მოვასწრებ...

— მაშინ გასაღები... შეიძლება ისეთ დროს მოხვიდეთ, შინ არ ვიქნე.

— როგორც გენებოთ...

კაცი ერთხანს უაზროდ დასცქეროდა გასაღებს, მერე ჯიბეში ჩაიდო. გარეთ გამოსვლის წინ ერთხელ კიდევ გახედა ფანქრით შესრულებულ სურათს, და თავისდა უნებურად გაიფიქრა: „რად დახატეს ასე სევდიანი და მარტოსული, არ შეენანათ?!“

●

მეორე დღეს თეთრი სახლის სადარბაზოში მძიმე ნაბიჯით შევიდა კაცი. მინის ფურცელი მიჰქონდა. ყრუ თახთახით აჰყვა კიბეს, ძლივს მიატანა ნაცნობ ბინამდე; გაძნელებით ააწკრი-

ალა ზარი. ჯიბეში გასაღები მოიძია, ამოღება ვერ მოახერხა. რატომღაც სურდა, თავად მასპინძელს გაეღო მისთვის კარი. ასეც მოხდა.

შუბლზე ცვარგადაპკურებული, სუნთქვამოძალებული კაცი უხმოდ გაატარა ქალმა.

ილრჭიალა და ილრჭიალა ალმასის პირმა, ერთგან მინა გაიბზარა, მეორედ გამოჭრა. კოხტად ჩასვა. ჩაჭედა. ზედმეტი ერთგულების გამოჩენის მიზნით თუ უბრალოდ მისეული თვისება იყო, საგულდაგულოდ შემოგოზა. საკეტები შეამოწმა. „თავისუფალიაო", — თქვა.

— თქვენ გაიხარეთ... იბედნიერეთ...

კაცი თითქოს ვერ ამჩნევდა მასპინძლის სიამისაგან აციმციმებულ თვალებს, არც დალოცვა ესმოდა. უბრალოდ, ის აწუხებდა, საქმეს რომ მოილევდა, კარი უნდა გაეღო და გარეთ გასულიყო. ამას ისიც დაემატა, ქალი რაღაცას ეძებდა უჯრაში, ალბათ გასამრჯელოს მიცემას აპირებდა. ეს კი ყველაზე საშინელი იყო. ისე უხმაუროდ გაიპარა კაცი ღრიჭოდ დარჩენილ კარში, თითქოს მოსდევდნენ და უნდა გაქცეოდა.

მეორე, თუ მესამე მოსვლისას, უკვე თავად ცდილობდა არ შეჰფეთებოდა მასპინძელს. ერთი ორჯერ დაუდარაჯდა კიდეც. მზისყურში თვლემამოძალებულივით უჭვრეტდა, როდის წავიდა ან როდის დაბრუნდა ქალი. მიიხურებოდა ავტობუსის კარი და ოჯახის ერთგული მამაკაცივით, მძიმედ დატვირთული მიადგებოდა ნაცნობ ბინას. ეზიდებოდა კაფელის ფილებს, ცემენტის პარკებს, სილით სავსე ტომრებს. აავსო იქაურობა.

ბინაში ისე ნელი, ოდნავ დამფრთხალი ნაბიჯებით დადიოდა, თითქოს მასპინძელს სადღაც ახლოს ეძინა და მის გამოღვიძებას ეკრძალებოდა.

სამზარეულოში, ვიწრო მაგიდაზე, შოთი პური, შუშა კილრები, შემწვარი თევზი და თუშური ყველი ელოდა. ერთი ბოთლი ქინძმარაულიც იდგა კენტად.

უხმოდ მიუჯდებოდა მაგიდას, ორიოდე ლუკმას წაკიკნიდა და ჭიქებს ღვინით აავსებდა. ერთს თავისთვის, მეორეს — მასპინძლისთვის. ჭიქას ჭიქას მიუჭახუნებდა და სითხეს სიამით ჩაირაკრაკებდა ყელში. ღვინო ათბობდა, ოდნავ აბრუებდა. სანამ მარტოკაცის მძიმე სამუშაოს შეუდგებოდა, ერთხანს შუა ოთახის კუთხე-კუნჭულს უჭვრეტდა, რატომღაც სიამოვნებდა ამ ოთახში შემოსვლა. ხეირიანად ვერ მიმხვდარიყო, რა იზიდავდა, როიალის ბზინვარება, გადაშლილი ნოტები, დივანზე უგერგილოდ მიგდებული შალი (თითქოს ეს წუთია მოეხსნა ქალს მხრებიდან), თუ თაროზე ჩამომწკრივებული თიხის სურები უფორიაქებდა სულს, აღიზიანებდა.

საიდან იწყება მისი გაღიზიანება, სულის ფორიაქი, ხეირიანად ვერ მიმხვდარიყო. მაინც რომელი წუთი აღვიძებდა მოგონების უსიამო განცდას, ფოთოლცვენასავით ჩუმად და უხმაუროდ რომ ეფინა სულის სიღრმეში.

და ახლაც, თავისდა უნებურად თუ თავისდა გასაოცრად თუკი რამ წყენა შეხვედროდა ობლობის კვერით გამოკვებილ გულმართალ ბიჭს, სულ თვალწინ გაეფინა. გაიხსენა, სად გაახარეს და სად ატკინეს გული, სად მოადინეს სიმწრის ოფლი. სწავლამოწყურებულ ყმაწვილკაცს სამხატვრო აკადემიის თალებქვეშ თავშესაფარი რომ არ აღირსეს, ეს არ იყო მთავარი; არც ის, საალალბედოდ შემოხეტებული მგზავრივით იოლად რომ გამოისტუმრეს გარეთ.

მუშად ვინ არ მიიღებდა, ვინ ეტყოდა უარს. განა ყველას სურს ცხელ ღუმელთან ტრიალი? მერე თიხამ მიიზიდა... რბილი და დამყოლი იყო თიხა. შროშის, ქსნის, ნორიოს თიხა. შეზელაც ისწავლა. მისი ჭაბუკობა ისე ჩაილია, ქართულ კერამიკასთან საქმე არ ჰქონებია, უფრო ფერებს მიელტვოდა, ციურ, უხილავ ფერებს. თიხასთან შეჩვევამ, ყოველდღიურმა შეხსენებამ, თითქოს ხელახლა აღმოაჩინა

თუ შეაღვიძა მასში ის სამყარო, ფერებით აზროვნება რომ ერქვა. თიხა მალე შრებოდა. ნაკაწრებისაგან გასუფთავება, მოხატვა... თანდათან ეუფლებოდა საქმეს. მერე მხატვარ-შემსრულებლად გადაიყვანეს, ნახატის მიხედვით ადებდა ფერებს, ტყვიის ჭიქურით ფარავდა დეკორატიულ თეფშებს, მუცელგამობერილ დოქებს, ქარხნის მთავარი მხატვრის გემოვნებით რომ იხატებოდა. მას ვინ ჰკითხავდა, რა მოსწონდა და რა არა, არადა, აივსო მაღაზია მდარე პროდუქციით. ადმინისტრაციისათვის რაოდენობა იყო მთავარი, პროდუქციის შემქმნელისათვის — ფულადი ანაზღაურება. ასე გადიოდა დღეები...

ასეთ დროს, თავად კაცი უნდა იყო დამთბობი, უკანდახეული, უთავო და უხერხემლო. თუ შენს სულში აფორიაქებული, გაწბილებული პიროვნება თვლემს, ძნელია შეგუება. უჭირდა მწარე ლუკმის მონელება. ოღონდ ეს იყო, თავის ბინაში კედელი გამოანგრია და თარო ჩასვა. ერთხანს ცარიელი იყო თარო, მერე ნელ-ნელა საკუთარი ნახელავი ჩამოამწკრივა. თუმცა რა ნახელავი, უფრო სურვილი იყო... აუსრულებლისა და მიუღწეველის დიდი სურვილი. სანამ ამ რთულსა და ძნელად დასამორჩილებელ საქმეს შეუდგებოდა, საკუთარი თავი ვიღაც-ვიღაცებთან საბრძოლველად თუ სადავიდარაბოდ შეამზადა. თავისუფალ საათებში მუზეუმებსა და საგამოფენო დარბაზებში დაეხეტებოდა. ყველაზე დიდი ხნის ისტორია თიხის ჭურჭელს ჰქონდა. უძველეს სამარხებში, ნამოსახლარებში, ყველგან, თიხის ჭურჭელს პოულობდნენ. ღარული ორნამენტით შემკული, ნაჭდევებით ხელდამჩნეული ძველისძველი ოსტატების ნაკეთობაშავპრიალა ჯამები, ამფორები, წითელლაქიანი ჭურჭელი, ყურმილიანი ბიკონუსური ხელადები, ჭინჭილები, მაღალფეხიანი სასმისები, ყველა ისინი ძველი კოლხური თიხის ჭურჭელი იყო. გამჭვირვალე ჭიქურით დაფარულ თიხას საოცარი გამძლეობა და ლაზათი ჰქონდა. რა ექნა?! აგრე ურცხვად გადმოეღო მამა-პაპათა ძველებური ხელწერა? დამსგავსებოდა მათ და გამგრძელებლად ჩაეთვალა თავი? შეუძლებელი იყო. ეგებ სჯობდა თანამედროვეთათვის მიებაძა, ფერისა და ფორმის ძიებაში გაეყვანა დრო. შინ მომუშავე ოსტატთა მარაქაში ჩარეულიყო და გამოფენაც მოეწყო... თან ეჭვი კლავდა. მაინც რა უნდა შეექმნა ისეთი, საქვეყნოდ გამომზეურების ღირსი რომ გამხდარიყო. ძნელი იყო სხვებისათვის თვალის გასწორება. თუნდაც, ქარხნის მთავარი მხატვრისთვის, ბეჭებში მოხრილი, აწოწილი კაცისათვის, სამხატვრო აკადემიის დამთავრების დიპლომთან ერთად, პერსონალური გამოფენების დიპლომებით რომ იწონებდა თავს.

არადა, ნედლი მასალით შეჩორკნილ თაროზე თანდათან მატულობდა თიხის ნაკეთობათა გრძელი რიგი. ისინი რაღაცით ძველ სამარხებში ნაპოვნ ნივთებს ჰგავდნენ...

თიხისადმი უსაზღვრო სიყვარული, განსაკუთრებული დაინტერესება, ფორმების ძიება, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. სადღაც, ვიღაცამ მის ნახელავს წაჰკრა თვალი, მოუწონა და მოუთითლისმა, მერე რომ არ ელოდა ისე, ერთ დღეს, დირექტორმა კაბინეტში გამოიძახა. როყიო ხმა, ფართო ბეჭები და თავხედი მზერა ჰქონდა დირექტორს; სულ სათითაოდ ჩამოამწკრივებინა გრძელ მაგიდაზე ტანწერწეტა კულები, ძველ ქართული ორნამენტით შემკული ჯამები, მაღალფეხიანი სასმისები... მოწონებას, მხარდაჭერასა და ხელის გამართვას რომ მოელოდა, შეკითხვა მისცეს:

— ეს დანაკლისი ვის დაეწერება? — დირექტორი კითხულობდა.

— რა დანაკლისი?

— თიხა... ჭიქური... ტყვია... ოქრო... ეგებ მამიშენის დუქნიდან მოიტანე? ვინ მოგცა უფლება?

— რა უფლება?

— არ იცი, ხომ! ახლავე მთავარ მხატვარს დამიძახეთ!

ისე დაბნეული, აფორიაქებული შემოვიდა მხატვარი, თითქოს ეძინა და ახლა, ამწუთში გამოაღვიძეს.

— ეგებ არც შენ იცი?!

— რა?! — გაოცებული სახე ჰქონდა მხატვარს.

— აგერ, — მაგიდაზე გადაფენილი ტანწერწეტა სურები დაანახვეს.

მხატვარი ბორძიკა ნაბიჯებით მიუახლოვდა მაგიდას. სათვალე მოიმარჯვა, ერთი მათგანი ხელში აიღო და მზის შუქზე გახედა.

— ვინ გააკეთა? — იკითხა.

— მე მეკითხები?! — იღრიალა დირექტორმა. — ახლავე საწყობს ჩააბარეთ!.

— საწყობს? — უაზროთ იკითხა რეზომ. — რატომ, რა მიზეზით?

— იმ მიზეზით, რომ ქურდი ხარ შენ, მძარცველი!

— რატომ ვარ ქურდი?

— აუხსენი ახლა ამას. გაეთრიე გარეთ!

გაეთრიეო და ეს ამდენი ნაშრომი, ნასათუთები და ნაფერები, მკლავის ერთი მოსმით ძირს გადახვეტა. დაიმსხვრა კულები, დაიბზარა. ოთხმა-ხუთმა კაცმა ძლივს გამოიყვანა გარეთ. მორჩა, ფეხი აღარ დაუდგამს ქარხანაში. დარჩა უმუშევარი, უხელფასო. ადამიანებზე, ქვეყანაზე განაწყენებული. თავი ხომ უნდა ერჩინა, ცოლ-შვილი გამოეკვება და აჰა! ახალი ხელობაც გამონახა. სხვა რაღა უნდა...

რამ მოაგონა?!

თავი უბრუოდა, საფეთქლებში გამალებით სცემდა. გამობრუნდა, აბაზანის კარი შეაღო, წყალი მოუშვა... ერთხანს უაზროდ ჩასჩერებოდა შარვლის ტოტზე აშხეფებულ წყლის წვეთებს, სარკეში ალიცლიცებულ საკუთარ გამოსახულებას, ყველაფერ ამას ხედავდა ბუნდოვნად, დაცალკევებულად.

წამით ყრუ გუმანით იგრძნო, ყველაზე მეტად ახლა მასპინძლის მოსვლა გაახარებდა. მასთან პირისპირ შეყრა, აზრის გაზიარება, გულისტკივილის გამხელა. ნეტავ რას ეტყოდა, რა რჩევას მისცემდა?!

და იგრძნო, ამ უჩვეულო მონატრებამ, თუკი რამ სიმწარე ჰქონდა გულში, ერთბაშად გაათავისუფლა, გაწმინდა, თავს მსუბუქად გრძნობდა.

ყველაზე უცნაური ის იყო, ოდესღაც მოსმენილი ხალხური ლექსი, თავისი კილოთი და მისამღერით, რატომღაც ახლა გაახსენდა, ენის კლიტეს აეწეპა:

არაფერი არ მინდოდა,
არაფრისთვის ვიყავ ცადო,
არაფერი არ გამოვა,
არაფერი უნდა ვცადო.

ღიღინით გააგრძელა მარტოკაცის სამუშაო...

●

ფანჯრის რაფას მიყრდნობილი მუსიკოსი ქალი კარგა ხანს უჭვრეტდა მითვლემილ სივრცეს, იგონებდა რაღაც ძველს, ძნელად მოსაგონარს. იგონებდა და ვერც იგონებდა...

შორს, სინათლის ვარდისფერ არილში გახვეული ქალაქი მოჩანდა. მშვიდი საღამო იდგა. მეოთხე თუ მეხუთე სართულზე ერთხანს გამებს უკრავდნენ. მერე გამების რიტმი შეწყდა და ხმელი ფოთლების შრიალივით წყნარი მუსიკა დაირხა. იცნო ნაწარმოები, კომპოზიტორიც. მსუბუქი ჩქამი ყრუანტელივით მოედო სხეულს...

სწორედ ამ დროს, გასაღებმა გაიჩხაკუნა და კარი გაიღო. ვიღაც შემოვიდა. მიხვდა, ვინც იყო. სხვას ვის შეეძლო ასე დაუკითხავად შემოსვლა...

კაცი ფეხაკრეფით შემოვიდა, თითქოს სიზმრიდან გამოიპარაო, მსუბუქი და ჩქამგაცლილი ნაბიჯები ჰქონდა. რაღაც შემოიტანა თუ შემოათრია. ერთხანს შემოსასვლელში იბაკუნა. სამზადში წყალი მოუშვა. კარგა ხანს იშხრიალა ნაკადმა. ხარბად სვამდა. აჰა, რაღაცას გაედო და გადმოაგდო. ასანთი გაკრა, გააბოლა. ოთახებში თამბაქოს სუნი დატრიალდა. მერე

დიდხანს ფხეკდა თუ ზელდა რაღაცას.

ოთახის სიღრმეში მიკარგულ ქალს მისი ყოველი ნაბიჯი, მცირე ჩქამი, ღრმა ამოსუნთქვაც კი ესმოდა. რატომღაც მოესურვა ასე შეუმჩნეველი დარჩენილიყო და შორიდან ეთვალთვალა. დე, კაცს ჰგონებოდა მარტო ვარო...

მერე თანდათან რომ ჩამობნელდა და მწუხრი მოეძალა ტატნობს, ოთახში განმარტოებული ქალი თანდათანობით ფიქრმა წაიღო. წარმოიდგინა, რომ საცეცებმომარჯვებულ ობობას წააგავდა თვითონ, ხოლო ეს ჩუმი კაცი მისი მსხვერპლი იყო. სკუპ და, — დაიჭერდა, სასაცილო იყო, ხომ?! რას იზამ, ერთობოდა მოცლილობის ჟამს. წუთით არ დაფიქრებულა, ამგვარ ცდუნებას თუ შეიძლებოდა მოჰყოლოდა სხვა, უფრო რთული, მტკივნეული და ამაფორიაქებელი...

ზედა სართულზე კვლავ გაისმა მუსიკის ხმები. ახლა მხიარულ მელოდიას უკრავდნენ. ძველი, მივიწყებული რომანსი იყო.

სხვათა ხმების მიყურადღებამ თუ საკუთარ თავში გამოხმობილმა სურვილმა როიალთან მიიყვანა. შავ-თეთრ კლავიშებს მონატრებით დახედა. თვითონაც არ გაუაზრებია, რომელმა წუთმა წარმოშვა ინსტრუმენტთან მოახლოების სურვილი, არადა, იგრძნო, კლავიშებზე გადათამაშებულმა თითებმა, რიბირაბოდ გამოხმობილმა პირველმა ბგერებმა გამოიწვია სხვა დანარჩენი... ოთახი ხმებით აივსო. იგი მიეხალა ცისფერ ფარდებს, თაროზე ჩამოლაგებულ წერწეტა სურებს, მიანელა სამზარეულოში წყლის გაუთავებელი შხაპუნი. ხმებმა დაგმანა ყველა სარქველი, ამოავსო ყველა ჭრილი.

თიხის ფილა თითებში გაუშეშდა კაცს... ამ ხმებმა მოადუნა იგი. თავდაპირველად სიჩუმისა და სიმარტოვისაგან დოლივით ბაგაბუგი რომ გაქონდა ყურებს, ერთბაშად გაქრა. თითქოს საცობი მოხსნეს და სმენის არხი გაუთავისუფლეს.

თავდავიწყებით უკრავდა ქალი. ერთადერთი მსმენელისათვის უკრავდა.

მის შუბლს თანდათან სცილდებოდა ჭმუნვის იერი, სიმარტოვის განცდა, როგორც სულიერი არსება, ისე შემოდიოდა ბინაში ინსტრუმენტის მომლხენი ხმა. ჩაგმანული სივრცე, მოხურული კარ-ფანჯრები, მართალია ოდნავ გუდავდა მის სილაღეს, ხმებს ახშობდა, მაგრამ ერთმანეთისაგან განაპირებული ორი არსებისათვის საკმარისი იყო.

აბაზანის ვიწრო ოთხკუთხედში გამომწყვდეულ კაცს მუსიკა როგორც სულდგმული, ცოცხალი არსება, ისე უტრიალებდა ირგვლივ, მხარზე თავს ადებდა, მკერდში იკრავდა. პირველი თოვლის სიფაფუკით ეფინებოდა გაფიცხებულ ბაგეზე, უთბობდა და ურბილებდა სიგარეტის კვამლით შებურულ, გაუხეშებულ სახის ნაკვთებს. არ შეიგრძნობოდა დრო, სივრცე, მანძილი, იყო მხოლოდ საკუთარ თავში შეღწევის უსაშველო სურვილი, ყოველივე იმის ამოცნობა და ამოკითხვა, რაც ჯერ კიდევ გამოცანად რგებოდათ. ეს იყო ხმებით გამოხმობილი უჩვეულო სამყარო, რომლის წიაღშიც, მას, როგორც ერთადერთ მსმენელს, თანდათან იტყუებდნენ.

ყრუ გუმანით ხვდებოდა კაცი, მისთვის უკრავდა ქალი, მხოლოდ მისთვის. საოცარი სიმშვიდე იგრძნო. ეს იყო სიხარულით გამოწვეული სიმშვიდე, რომელიც მაშინ ეუფლება ადამიანს, როცა დიდი ხნის ნატვრას, სურვილს აისრულებს.

მერე ეჩვენებოდა, რომ მისი სული გამოდიოდა ცემენტით გადაჯიგულ ტანსაცმელში გახვეული სხეულიდან და ჰაეროვანი, ზეაწეული ხდებოდა. ამას ერთვოდა მეორე უცნაურობა, მის ვიწრო სამყოფელში, ერთიმეორის მიმდევრობით შემოდიოდა უცხო მოლანდებები, თანდათან რომ იცვლიდნენ თმისა და სახის ფერს. ისინი თმადაკულულებული, პარიკიანი ვაჟბატონები და ჰაეროვანი ქალბატონები იყვ-

ნენ. ხედავდა ზღვის სანაპიროს და პალმების მწკრივს, კლდიდან დაშვებული ჩანჩქერების თეთრ მაქმანსაც... და როცა ყველა ხილვა ერთ ფოკუსში იყრიდა თავს, კაცი ხვდებოდა, რომ ყველა ეს მოლანდება არსებობდა მაშინ, როცა მუსიკა იწერებოდა. კომპოზიტორის მაგიურ ხელს, თითქოს უცხო სკივრში მოემწყვდია ისინი. ქალის მთრთოლვარე თითები სიცოცხლის ძალას ანიჭებდა მათ.

გამოერკვა. მიმოიხედა.

წყალში ჩალბობილი სარეცხი, თოკზე დამაგრებული ორკბილა საჭერის მთელი აცმა, ლილა და საპონი... არ გაუგია, როდის გადმოინაცვლა სააბაზანოდან სამზარეულოში. მხოლოდ ამ ორ სათავსოში მიმოსვლის უფლება ჰქონდა. ყრუდ ჩაიკვნესა. ჩვეულებრივი, ძნელად შესამჩნევი საგნები ეჩრებოდა თვალში. სამზარეულოში — მჟავე კიტრის თავმოხსნილი ქილა, შემწვარი კარტოფილის ნარჩენები, პურის ნამცეცები...

მიხვდა, ყველა მოჩვენება, ნანახი თუ განცდილი, მხოლოდ წარმოსახვა იყო, მუსიკის ხმებით გამოხმობილი სამყარო. თუ შეწყდა და შენელდა უცნაური მოლანდებები, იმიტომ რომ ქალმა დაკვრა შეწყვიტა. დაისვენა. დაღლილი მკლავები როიალზე ჩამოაწყო, თავიც კლავიშებზე ჩამოდო. ოდნავ გადახრილ სხეულში, მოშვებულ ჯდომაში, დაღლილ ადამიანთან ერთად, თრთოლვით მინაბული სული თვლემდა.

ქალი ეძახდა მას...

კარში ჩადგა კაცი.

ღრმად სუნთქავდა. ერთი სურვილი ჰქონდა, ხელში აეყვანა ეს დაღლილი ქალი და ისე თავისუფლად, უყოყმანოდ მოქცეოდა, როგორც უკვე შეჩვეულს, ნაალერსებს...

დიდი იყო ეს სურვილი.

...მერე ქალმა წყნარად მოიწორა მისი მკლავები და წითლად ატკეცილი სახე გვერდზე მიაბრუნა. მამაკაცი კვლავ ეხვეოდა, ყელს უკოცნიდა. ქალი მორცხვად იღიმოდა. მომხიბვლელად ისწორებდა თმას. ღრმად სუნთქავდა. როცა ტუჩები ერთმანეთს შეეხნენ, ორთავეს უნეტარესი სიამის განცდა დაეუფლათ...

გამოერკვა.

ლოყით ცივ კედელს მიჰკვროდა.

ოთახებში სიჩუმე იყო.

უჩუმრად, თვალებდახრილი გამოვიდა გარეთ.

იისფერი ნისლით ჩაბურული ხეობის იქით, სინათლის ცრიატა ფერებში შთანთქმული ქალაქი თვლემდა. სიჩუმე იყო.

●

ქმრის მოწყენილობა, დაფანტულობა, ყველაზე ადრე ცოლმა იგრძნო. ქალური გუმანით მიხვდა, რაღაც ახალი დაიწყო მათ ცხოვრებაში.

ისე გულჩამკვდარი დადიოდა კაცი, ისეთი უსასოო, დამორჩილებული მზერა ჰქონდა, ეჭვიანობისა და შეხლა-შემოხლის ნაცვლად, საოცარმა სიბრალულმა შეიპყრო ქალი.

რაღაც იყო საჭირო... რა?! ვერ მიხვდა.

ერთი ორჯერ დააპირა, სამუშაოზე მოულოდნელად სწვეოდა ქმარს, კარი შეეღო და თავზე დასდგომოდა. ვერ გაბედა, იმიტომ კი არა, რომ შიში ჰქონდა, უსიამო სცენას წავაწყდები და თავს უხერხულობაში ჩავიგდებო, რაღაც უხილავი ძალა ბორკავდა მის სურვილს. გრძნობდა, ეჭვიანი ცოლის როლი არ გამოადგებოდა, არა მარტო გაანაწყენებდა და აღაშფოთებდა ქმარს, არამედ რაღაც საშინელებას ჩაადენინებდა. წლობით ერთად ცხოვრებამ მიახვედრა ქალი, ქმართან სცენების გამართვა, საქვეყნოდ თავის მოჭრა არ გამოადგებოდა. იგი ისეთ მამაკაცთა რიგს ეკუთვნოდა, უპირველესად საკუთარ თავს რომ მტრობენ. ეგებ მანქანას შევარდნოდა, ან თავი ჩამოეხრჩო... ამგვარი წინათგრძნობა ზაფრავდა ქალს. საიდან მოდიოდა ეს უსიამო განცდა, ვერ მიმხვდარიყო, არადა,

თითქოს კარზე მოსდგომოდა საშინელება, ერთი ნაბიჯის გადადგმა და... ასეთ დროს, ყველაზე მეტად მოთმინება მართებდა. და ითმენდა კიდეც.

ამ ბოლო დროს ერთი უცნაურობა დასჩემდა კაცს, ერთ დღეს ხომ წაიმუშავებდა მუსიკოსი ქალის ბინაში, სამ დღეს არ მიეკარებოდა. იყო თავისთვის, ყველას და ყველაფერს გაურბოდა. იწვა დივანზე, მარტოობაში გაჰყავდა დრო. ფარცაგი არ იყო მის თავს!

ერთი ფიქრით, მუსიკოს ქალთან მისვლა გადაწყვიტა ცოლმა; გამოკითხავდა, რა მოხდა, რაზე გაანაწყენეთ კაციო, გაიცინებდა ის ქალი, ზარივით, წკრიალა ხმა ექნებოდა, უდარდელი და უწყინარი. გაოცებით აწკეპდა წარბებს, მე გავანაწყენეო?! — ჰკითხავდა. — საქმე დაუმთავრებელი დატოვა, სადღაც დაიკარგა... ეგ რა საქციელიაო?!

იმ დღეს სამსახურიდან ადრე დაბრუნდა ცოლი. მოზრდილი ფუთა მოიტანა. კარადაში დამალა. კაცს არ ეცალა მისთვის, დივანზე იწვა, სახე მკლავით დაეფარა; შეუჩნდა ქალი, თეთრეული გამოვცვალე და უნდა იბანავოო, დამორჩილდა კაცი. თბილი წყლისაგან სახედარბილებულმა, წვერიც გაიპარსა, ოდეკალონიც ისხურა.

ახლა ეს ჩაიცვიო, და ცოლმა, უთოში გამოყვანილი, სულ ახალთახალი ნაცრისფერი კოსტიუმი გამოუტანა, უცხო წარწერებით. ცისფერი ხალათი და შავი ფეხსაცმელიც მოაყოლა ზედ. არც ჰალსტუხი და ცხვირსახოცი დავიწყნია.

ვინ გაქურდეო? ჰკითხა კაცმა. გასაქურდის მეტი რა არისო — ჩაიცინა ქალმა. არა, მართლა — არ მოეშვა კაცი. ღმერთმა ჩამომიგდოო და გაეცალა.

კაცი სარკეს შერჩა. ფეხსაცმლის ძირი რბილად ეკვროდა ფეხისგულს. უცხო სურნელი ასდიოდა ხალათს, პიჯაკს. თავს მსუბუქად და ლაღად გრძნობდა. საკუთარი გარეგნობით, ეშხ-ლაზათით მოხიბლული კაცი თავს იჭერდა ფიქრში, რომ საზამთრო პალტოც სჭირდებოდა, ქუდიც. ცოტა ჰალსტუხი ეჩოთირებოდა, ჭყეტელა ეჩვენა, მაგრამ ცოლისთვის საყვედურის თქმა, გემოვნების დაწუნება ვერ გაბედა, მოეხათრა. ცოლი თითქოს რაღაც უცნობ, გარეშე ქალად იქცა, თუნდაც მაღაზიის გამყიდველ დედაკაცად, რომელსაც მხოლოდ შერჩევის, მოწონების, ახლის შეთავაზების უფლება ჰქონდა, სხვა ყველაფერი მისგან შორს იყო. ვერც იმას მიაკვლია, რას მოასწავებდა ცოლის თავგამოდება, ამდენ ხანს თუ უფულობას, არქონებას იმიზეზებდა, ახალ სამოსს არც თავისთვის იმეტებდა, აღარც ქმარს აღირსებდა, ახლა რა მოუვიდა?!

ახსოვს, ცოლმა კარადა და საწოლები რომ იყიდა, აღმოსავლური ორნამენტებით ნაქსოვ ხალიჩას დაადგა თვალი. კაპიკების შეკოწიწება დაიწყო. სანამ საჭირო თანხა შეაქუჩა, ხალიჩა ორჯერ მეტად გაძვირდა. მერე ისტრუმენტი ვუყიდოთ შვილსო — დაიჩემა. ბავშვსაც მობეზრდა სხვის კარზე წანწალი. მეზობელიც ძველებური ხალისით ვეღარ უღებდა კარს. არადა, გოგონა უკვე მუსიკალური სასწავლებლის მესამე კლასში სწავლობდა.

წამით სარკემ ლოჯიის ფანჯრები არეკლა, ცოლის ფერმკრთალი სახე სულ ახლოს მოიტანა და, მიხვდა კაცი, კარგა ხანს მოუწევდა გოგონას სხვის კარზე წანწალი.

— რამდენი გადიხადე?.. — ჰკითხა ცოლს.

— არც ისე ბევრი, — არ დააბოლავა ქალმა. — ეგებ არ მოგწონს?

— როგორ არა...

— წადი, რუბენას ანახე, ქსოვილის ცნობა მან იცის.

გარეთ ისტუმრებდა.

რუბენა თათევოსიანი მათი მეზობელი იყო, მეორე შესასვლელში ცხოვრობდა. წლების განმავლობაში ცენტრალურ უნივერმაღში მუშაობდა უფროს

საქონელმცოდნედ, ახლა პენსიაში გავიდა და ავადმყოფ ცოლს უვლიდა.

კიბეს ჩამოჰყვა რეზო.

რუბენას კარს რომ მიადგა, გადაიფიქრა, ასე თავმომწონედ ჩაცმულს, მოხუცი ცოლ-ქმრის ჩაბნელებულ, წამლებისა და დამდგარი ჰაერის უსიამო სუნით გაჟღენთილ ბინაში შესვლა ნამდვილად არ სურდა, არც სიმარტოვისა თუ მოწყენილობისაგან ჩაშავებული მათი სახეების ხილვა ეწადა.

ეზოში ბავშვები თამაშობდნენ. გოგონამ არ დამინახოსო და ჩრდილ-ჩრდილ გაიძურწა.

თეთრი სახლის შესასვლელში ლიფტის გრიალი ისმოდა.

პირველი სართული, მეორე... გამოერკვა. აქ რატომ მოვიდა?! წამით გაახსენდა, სანამ აქამდე მოაღწევდა, კედელს აკრული ძურწივით მოიწევდა, განუწყვეტლივ ვიღაცის თვალების თვალთვალს გრძნობდა. საიდან უჭვრეტდნენ? დაბალსართულიანი სახლის ნაცნობი შუშაბანდებიდან? ეგებ ცოლი იყო... კაცი წინ გაუშვა და თვითონ უკან დაედევნა?!

დაფეთებით მოიხედა უკან. არვინ ჩანდა. არც ნაბიჯების ხმა ისმოდა. სწრაფად აჰყვა კიბეს. ნაცნობ კარს, როგორც საიმედო თავშესაფარს, ისე მიეჭრა. თითქოს მდევრები მოსდევდნენ და წმინდა ტაძარს შეაფარა თავი. აქ დაცული იყო, გადარჩენილიც...

ნაცნობ კარზე ვერცხლისფერი ფირფიტა მოჩანდა, „ე. თოთიბაძე“ — იუწყებოდა წარწერა. ფირფიტა ახალი იყო. პირველად შეამჩნია.

მიაყურა. კარს იქით მხიარული ხმები, სიცილ-კისკისი და ჭიქა-საინის წკრიალი ისმოდა.

შედგა. ძლივ-ძლივობით ჩაყლაპა ნერწყვი. აქ რა უნდოდა? რისთვის მოვიდა? ვინ უნდა გააკვირვო ახალი სამოსით, შე საცოდავო, საბრალო?! ვის რად სჭირდება შენი ჩაცმა-დახურვა, ჭრელი ჰალსტუხი... შენ მუშა ხარ! დაქირავებული ხელოსანი. შენი მოვალეობაა დაჭმუჭნილი ხალათით ცემენტი-ზილო, ქაფჩა მარჯვედ იხმარო, კედელზე კაფელი გააკრა. ეგებ მინა ჩაემსხვრა ვინმეს და ამასაც ნუ დაზარდები, ჩაუსვი...

ზარის დასარეკად აწეული ხელი დაბლა დაუშვა. მძიმე ნაბიჯით ჩამოჰყვა კიბეს. ეზოში რომ გავიდა, ცივმა ნიავმა გულისპირი გაუნანავა.

იგრძნო, ამქვეყნად აღარაფერი აინტერესებდა, არც არავინ ახსოვდა... მთავარი იყო, დროულად გაეხადა სამოსი; უჭერდა ჰალსტუხი, ბებერაზე აჭერდა ტუფლი. სადღაც დოლ-გარმონს უკრავდნენ, სკდებოდა დოლი, თავდაღმართში კივილით გარბოდა ორთქმავალი, ხმაურით მისდევდნენ ცარიელი ვაგონები. ერთი ბრძოლა უკვე წაგებული ჰქონდა, ბრძოლა საკუთარ თავთან.

„არასოდეს ისე არ მცირდება ადამიანი, როგორც საკუთარი თავის განქიქების ჟამს“, — გაუელვა წამით. უკვე შინ იყო. თვალი სარკისკენ გაექცა. ნაცრისფერ კოსტიუმში გამოწყობილ ამ დიდცხვირა კაცს, თავი თითქოს ბეჭებზე ედგა. ტლანქი და მოუქნელი ჩანდა. ფართო, მსხვილ-მსხვილი თვალები ნაჯაფ ხარივით ამღვრეოდა.

მღელვარებისაგან ფერდაწრეტილმა სიგარეტი ფილტრამდე მოსწია, მერე კარადის კარი გამოაღო და პიჯაკი დაჰკიდა.

არა, არ შვენოდა ნებიერი უფლისწულის როლი.

●

დედა-შვილმა ძლივს მიუსწრო ავტობუსს. გოგონა ნოტების ჩანთას მოათრევდა, დედა — სანოვაგით დატვირთულ ბადურას. მოწყვეტით დაასკდა სკამს. ბავშვი ფეხზე დარჩა. მისი ადგილი არ იყო. ერთხანს სულის ჩათქმას და სანოვაგის მოწესრიგებას მოუნდა, მერე მგზავრთა სახეები შეათვალიერა, ვერვინ იცნო.

ფანჯარაში მზე აჭყეტდა, მზერას უბორკავდა. ერთხანს მტკვრის ნაპირს მის-

დევდა მანქანა, მერე მრავალსართულიანი სახლების გრძელ მწკრივს გაჰყვა.

გონებიდან თითქოს ფიქრებს ბერტყავდა ქალი, ხან ერთ ფიქრს გაედევნებოდა, ხან მეორეს. მოხუჭული თვალებით, რწევას აყოლილი ტანით, ბუნდოვნად, გარკვეულად აზროვნებდა. გოგონა მხართან ედგა, ნახევრად ჩამოყრდნობილი, ნახევრად ჩახუტებული. ჩანთა დედის მუხლებზე დაედო.

თვალებს ისრესდა, ამთქნარებდა.

— გეძინება? — უჩურჩულა დედამ. — კალთაში ჩამიჯექი.

— არ მინდა... — იუარა გოგონამ, ჩაჯდომით კი ჩაჯდა. დედა-შვილმა თავი თავს მიადეს. გაიტრუნენ.

გაჩერებები გაჩერებებს მოსდევდა.

უცებ დედა დაიძაბა. ბავშმა იგრძნო მისი შეკრთომა. წამოიწია, მიმოიხედა. დედა დაძაბული მისჩერებოდა ავტობუსის წინა კარს. პირველ საფეხურზე ცისფერკაბიანი, საშუალო ტანის, ლამაზი ქალი იდგა. იცნო მუსიკოსი ქალი.

დედა-შვილის წინ ადგილი გათავისუფლდა.

— მობრძანდით, ქალბატონო! — მგზავრებმა უცნობი ქალი მოიხმეს.

ცისფერკაბიანი დაჯდა. მის გვერდით ადგილი ცარიელი იყო, იქ ჩამოჯდომა არავინ ისურვა, მგზავრები შორიდან უჭვრეტდნენ უცნობ ქალს. დედა-შვილიც უჭვრეტდა.

წაბლისფრად შეღებილი თმა, მძივი, საყურე, ღია ფერის პომადა, ყველაფერი შვენოდა. სამაჯურების მთელი აცმაც შვენოდა, ფანქრის ორიოდე მონახაზიც თვალის უპეებთან... რაც ეცვა, ყველაფერი გემოვნებით, ლაზათით იყო შერჩეული.

გოგონა თვალმოუცილებლად შესცქეროდა უცხო ქალს. დედას გაახსენდა, რომ ასე თავისუფლად, ქალური მომხიბვლელობით, არასდროს უტარებია მძივი თუ საყურე, არც სამაჯურის რგოლები. სადაც უნდა მოხვედრილიყო, საზოგადოებაში თავს მუდამ დაძაბულად, გატანჯულად გრძნობდა. მხოლოდ შინ იყო ლაღი, თავისუფალი... „ყველაფერს შეჩვევა უნდა", — გაიფიქრა. მერე თავის თავზე თუ ვიღაც სხვაზე განაწყენებულმა, გოგონას მუნჯურად ანიშნა, გადაჯექიო. ნოტების ჩანთაც მიაჩეჩა ხელში, ბავშვი გაკერპდა, ფეხი არ წადგა, შენთან ვიქნებიო, — კიდევ უფრო მჭიდროდ მიეკრა დედას.

ცისფერკაბიანი ფანჯარაში იცქირებოდა, არავის ყურადღებას არ აქცევდა. არადა, ერთი სული ჰქონდა დედას, სანამ გამოეცნაურებოდა, თავს შეახსენებდა, თუ მიცანითო, — ჰკითხავდა. — ჩემი ქმრის ნამუშევარი როგორ მოგწონთო. ქალი თავისას იტყოდა, თვითონ — თავისას და ასე გამონახავდნენ საერთო ენას.

შეეძლო კი?! ყველაზე გასაოცარი ის იყო, ამ ქალისადმი არავითარ შურს, წყენას, არ გრძნობდა, პირიქით, ოდნავი რიდითაც კი შესჩერებოდა. რატომღაც სწამდა, ამ ქალმა მისი ქმრის ამბავი არ იცოდა, არც ის, თავდავიწყებით რომ იყო კაცი შეყვარებული. კიდეც რომ სცოდნოდა, სასაცილოდ მოეჩვენებოდა საქვეყნოდ ცნობილი მუსიკოსი ქალი (პირდაპირ ტელევიზორიდან გადმოსვლა რომ შეეძლო) და მისი საცოდავი ქმარი?! (უმუშევარი... გაუნათლებელი... ღრჯუ და უხასიათო) თვითონ როგორ უძლებდა, ეს იყო საოცარი, თორემ ეს თავმომწონე ქალი?! სწორედ ამიტომ სურდა მასთან გასაუბრება, მერე, მოგვიანებით, შეთამამებული, ეგებ შეხუმრობოდა კიდეც: ჩემს ქმარს მგონი შეუყვარდითო. რამდენს იცინებდნენ!

მაგრამ, რაც უფრო დიდხანს აცქერდებოდა ქალის სანდომიან პროფილს, შინაგანი სითბოთი გადანათებულ მის სახეს, ხვდებოდა, ამ ქალის აკისკისება არც ისე ადვილი იყო... ეგებ არც ისე იყო საქმე, მას რომ ეგონა, ქმრის მოქუფრული სახეც გაუცხადებელი სურვილის წინასწარი დარდია. ან რომელ ქალს არ სიამოვნებს, როცა ვინმეს უყვარს, ვიღაც აღმერთებს, დღედაღამ მასზე ფიქრობს, მით უმეტეს, ხელოვან ქალს, მარტოდმარტო რომ შეფარებია უცხო სახლსა და გარემოს.

ამ ფიქრმა გაალიზიანა და გაანაწყენა ქალი. გზაც რომ არ დამთავრდა. ბავშვი მაინც რამ დაამძიმა, დაამტვრია მუხლები. წაუბიძგა გოგონას, თავისუფალ ადგილზე გადადიო, ანიშნა, ვერ დაიმორჩილა. მამამისის შვილი არ იყო! უხასიათო. არ მინდაო, შემოუბღვირა.

განაწყენებულმა ქალმა ახლა მუჯლუგუნი გაჰკრა. შენ რას დაეძებ, ჩამაწყდა მუხლებიო... იკადრა გოგონამ წამოდგომა, ზლაზვნით დაითრია ნოტების ჩანთა. დაჯდა. უცნობმა ყურადღება არ მიაქცია, იგი კვლავ ფანჯარაში იცქირებოდა. გოგონამ ნოტების ფურცვლა დაიწყო. მასწავლებლის ჩანიშნული გაკვეთილი მოიძია, „ცალი ხელით“, — ეწერა ერთგან. „ორივე ხელით“, — ეწერა მეორეგან. ისე ხმაურით აშრიალებდა ნოტებს, ხან აქეთ გადაფურცლავდა, ხან იქით, თითქოს გვერდით მჯდომის ყურადღების შემოტყუება სურდა სანოტო ნიშნებით აჭრელებულ რვეულში.

ქალმა მოხედა, გაუღიმა, თავზე ხელი გადაუსვა.

—რომელ კლასში სწავლობ? — ჰკითხა.

— მესამეში.

— ვინ გასწავლის?

მასწავლებლის გვარი დაუსახელა. კიდევ ჰკითხა რაღაც, მაგრამ დედამ ვერ გაიგონა. მერე თავდახრილნი კარგა ხანს ნოტებს ჩასცქეროდნენ. მუსიკოსი ქალი ხმადაბლა აჩურჩულდა. ბავშვი უსმენდა.

გადიხარა. სმენა გაამახვილა.

—ეს შესანიშნავი მენუეტია... ლაღად უნდა დაუკრა. ხალისით. აი, ინსტრუმენტი რომ გვქონდეს, განახებდი.

დედას ჩაეცინა. ეს ქალი ცოტას ურევდა. ბენზინის სუნით აყროლებულ, ხალხით გადაჭედილ ავტობუსში ვინ შემოუტანდა ახლა როიალს...

უცნობმა ჩურჩული განაგრძო:

— წარმოიდგინე საღამო... მდინარის ნაპირი. ფუნდუკში მუსიკა უკრავს. წყვილები ცეკვავენ, გრძელკაბიანი ქალები... და შავსამოსიანი მამაკაცები, მოქნილები, ფართო, ფარფალა ქუდებით... მათ სიცოცხლე უყვართ... ესაა მთავარი, ამიტომ ცეკვავენ ასე ლაღად.

გოგონა გაფაციცებული უსმენდა. არა! ეს ქალი არ ურევდა. იგი საშიში იყო! როგორც ქმარი მიიტყუა და მიითვისა, ისე იტყუებდა ბავშვსაც. რაღაც უხილავი მიზიდულობა გააჩნდა, ძნელი იყო მისგან თავის დაღწევა.

— რამდენ საათს მეცადინეობ? — ეკითხება იგი.

— როცა ქეთო დეიდას სცალია...

— ვის?

— მეზობელია. მასთან ვმეცადინეობ.

— ინსტრუმენტი არ გაქვთ?

— არა...

და იგრძნო დედამ, ახლა თავისთან მიიწვევდა იგი ბავშვს. მე გამეცადინებო, — ეტყოდა, შეშინდა.

ერთბაშად წამოფრინდა ზეზე.

— ჩავიდეთ! — მკლავში სწვდა გოგონას.

— აქ?

— ჰო, საპონი უნდა ვიყიდო მაღაზიაში.

—საპონი?! — გაოცებით იკითხა ბავშმა, დედას მოხედა.

— ჰო... ჰო.

— თქვენი გოგონაა? — გაუღიმა ქალმა.

— დიახ. ჩავიდეთ! — უბრძანა ბავშს.

ჩამოვიდნენ. ცალი ხელით ბადურას მოათრევდა, ცალით გოგონას — თავის ჩანთით.

— დედა! იმ ქალს იცნობ? — შედგა ბავშვი.

— არა!

— რატომ იტყუები?

— არ ვიტყუები.

„მთლად მამამისს ჰგავს“, — გაუელვა ქალს.

●

იმ დღეს ქარხნიდან ორმა ძმაკაცმა მოაკითხა რეზოს, ცხელ ღუმელთან წლობით ოფლნადენმა, გამომწვარ-გამოხრუკულმა კაცებმა — ვანო გოგია-

შვილმა და ჟორა ქოქოევმა. ხილი ხომ მოიტანეს, ცხელი ლავაში და ძეხვიც თან მოაყოლეს. პიჯაკის ჯიბიდან არყიანი ბოთლებიც დააძვრინეს. საყვედურიც უთხრეს, თუ რაიმე ხეირიანს ქმნიდი, სხვების თვალდასატანი რატომ გახადეო. ენაკვიმატობდნენ ძმაკაცები, ძველსა და ახალს იგონებდნენ, არავის ინდობდნენ. მერე ზარი რომ გახმოვანდა შემოსასვლელში და მოღებულ კარში ქარხნის მთავარი მხატვარი შემოეყუდა, მისმა დანახვამ მიახვედრა ცოლი, ყოველივე წინასწარ განზრახული იყო, ის ორიც იმიტომ მოადგათ ხალისითა და სიცილ-ხარხარით, რომ მესამეს გაადვილებოდა შემოსვლა. მოიწვია.

მაგიდას შემოუსხდნენ, სტუმრების ორ ბოთლს, ერთიც თავისი მოუმატეს. ისე გამოთვრნენ, ერთმანეთს ვეღარ ცნობდნენ. ყველაფერზე ილაპარაკეს, მთავარზე — არაფერი. ხვევნა-კოცნით დაშორდნენ ერთმანეთს. წასვლის წინ მთავარმა მხატვარმა შუბლზე აკოცა გოგონას, მერე რეზოს მოუბრუნდა და ორჯერ გაუმეორა: „ხვალ ქარხანაში მოხვალ!“ ხელი აუქნია, კაცმა, მომეშვიო, ანიშნა. კვლავ გაუმეორა მთავარმა მხატვარმა; პასუხიც მიიღო: „სანამ ის კამეჩი კაბინეტში ზის, მომსვლელი არ ვარ!“ „არ ზის...“ „როგორ?“ „გაადგეს“.

სტუმრების წასვლის შემდეგ, გონარეული და ხასიათჩაშხამებული კაცი ცოლს აუხირდა: შენ დამაყენე ეს ხალხი თავზე... ამდენ ხანს არავის გავხსენებივარო. ატირდა ქალი — ყველაფერში მე როგორ ვარ დამნაშავეო?! სულში ნუ მიძვრები,—მომეშვი, — შეუღრინა კაცმა,—გაერიდა ცოლი, შორიდან უთვალთვალა. რომ ეგონა, ნასვამი კაცი მიწვება და მიიძინებსო, შენც არ მომიკვდე! პიჯაკი დაითრია, კარი გამოაღო და გავიდა. შეკრთა ცოლი. თავი არ მოიჭრას, იმ თავმომწონე ქალს არ მიაკითხოსო, გული გადაუქანდა. ლანდად აედევნა.

ნასროლ ქვასავით მიასკდა კაცი თეთრ სახლს, მის კედლებს...

გრილი, გამაცოცხლებელი ნიავი ქროდა.

ჩრდილს აკვროდა ცოლი, კაცის ყოველ ნაბიჯს უთვალთვალებდა, შიში ჰკლავდა, არ მოიხედოს და არ დამინახოსო. მიტოვებაც არ შეეძლო, ვინ იცის, რას ჩაიდენდა უგონო და უაზრო კაცი.

თეთრი სახლის შესასვლელში სინათლე ენთო. სადღაც იცინოდნენ. სიბნელეში ჩრდილად ალანდული კაცი ერთბაშად გაქრა. ცამ შთანთქა თუ დედამიწამ, მზერა ვერ მიატანა. „ალბათ შევიდა“, — გაუელვა ქალს.

სივრცეში მდორედ მიცურავდა თბილი, კვამლისფერი ღრუბლები.

შიშითა და რიდით შესჩერებოდა ქალი თეთრ სასახლეს, ტელევიზორების ცისფერ შუქს, მოქანავე თეთრეულს, გაჩირაღდნებულ ფანჯრებმიღმა მოლაცლაცე ადამიანთა სილუეტებს. ყველა ისინი, სადღაც, შორს, მიუღწეველში არსებობდნენ, მასთან არაფერი ესაქმებოდათ. წამით შეკრთა, მესამე სართულზე სინათლე ენთო და ვიღაცის ლანდი ირხეოდა. თითქოს ეცნო, ქმრის ლანდს მიამსგავსა. დაძაბულობამ ყელი გაუშრო. თვალები დახუჭა, უცნაურ თვითდამცირებას განიცდიდა. იმასაც ვერ მიმხვდარიყო, რა იყო ასეთ დროს საჭირო, ვაი-უშველებლის ატეხვა თუ მიჩუმება...

ჩრდილსა და ბუჩქებს გაერიდა. ოდნავ წინ წადგა ნაბიჯი, ხელახლა დააპირა განათებული ფანჯრების შეთვალიერება, რომ... ხუთი ნაბიჯის იქით, ნაძვის ხის ჩრდილში, ვიღაც კაცი დაინახა. იცნო. ქმარი იყო. მორჩილი ბალღივით აკვროდა ხის ტანს. მლოცველივით შესჩერებოდა მესამე სართულის განათებულ ფანჯრებს.

— ვაი შენ, ჩემო თავო! — ჩაიკვნესა ქალმა.

სხვის ფანჯრებს შეჩერებული კაცის გამოხედვა ისე დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი ეჩვენა, სიმწრისგან ლამის

ეკივლა. როგორ მორეოდა ყელში მოწოლილ ბოღმას?

გაშეშებული თითები ხალათის ჯიბეში ძლივს ჩაატია.

— „რა ეშველება ამ საცოდავს?!“ — გაიფიქრა.

ამის გაფიქრებაზე ისეთი უსასოობა იგრძნო, თითქოს პირველად აეხილა თვალი და სინამდვილე შეიცნო. მის პატარა ოჯახს დანგრევის საფრთხე ელოდა. წინ წასვლის ნაცვლად, უკან მონაცვლა ნაბიჯი, მოიხარა, ბუჩქებს შორის გაძვრა და გაიპარა. კარგა მანძილზე რომ ჩასცილდა თეთრ სახლს, კვლავ მოხედა. სიბნელეში აჭიატებულმა სიგარეტის ნამწვმა მიახვედრა, ისევ იქ იდგა კაცი.

აფორიაქებული, გათოშილი ქალი კანკალებდა. ამდენ განათებულ კარ-ფანჯარაში, ოჯახი არ ეგულებოდა, უდროო დროს კარს მისდგომოდა და თავისი გასაჭირი ეამბნა, ეგებ ცოტათი მოეშვებოდა გულს.

ბინაში სითბო იდგა. გოგონას ეძინა. შვილის საწოლთან მიახლოება ვერ შეძლო. თავი უბრუოდა, აზიდებდა. სამზარეულოში გავიდა. გაშლილ მაგიდას ისე დაფეთებით დახედა, თითქოს ახლა შეამჩნია, დასარეცხ-დასახვეტი რომ ელოდა. სტუმრები წავიდნენ, სუფრა აულაგებელი დარჩა. ეამა. წინსაფარი აიფარა, მკლავები დაიკაპიწა, თეფშები... იატაკი... ფარდაგები. ამას რომ მორჩა, მყავე ჯონჯოლი ჩაიტენა პირში, ღვინოც მოსვა. წიწაკიანმა საწებელამ პირი გამოუკეთა. აქამდე თუ იშვიათად ჩაიხედავდა სარკეში, მეორე ჭიქის გადაკვრის შემდეგ, პირდაპირ იქით გაეშურა. არაფერი არ შვენოდა, არც შუბლზე ჩამოყრილი თმა, არც წვრილად გამოქნილი წარბები... მაგრამ კარგ ხასიათზე იყო...

მიხვდა, ორმა ჭიქა ღვინომ ყოველგვარი ყოყმანისაგან გაათავისუფლა. ქმრისადმი გაჩენილი მტრული გრძნობა თანაგრძნობით შეცვლოდა. მერე იგონებდა, ტექნიკუმში სწავლისას როგორ უყვარდა თანაკურსელი ვაჟი. ჩუმად უყვარდა, თავისთვის, გაუმხელლელად. მის ნაჯდომ სკამს ეფერებოდა, მის მონასვამ ჭიქას კოცნიდა. ისე დასცილდნენ ერთმანეთს, ერთხელაც არ უგრძნობებია. ასეთი სიყვარული მხოლოდ ბუნებით მორცხვ, სათნო ქალებს შეუძლიათ. კვლავ უღიმოდა საკუთარ თავს სარკეში. თვალს უპაჭუნებდა, ნუ გეშინიაო, ანიშნებდა.

მოგვიანებით ნაცემი ძაღლივით მდურვით რომ შემოეტუზა კაცი კარებში, უხმოდ შეეგება. მხარზე ხელი მოუთათუნა, თითქოს ანიშნა, რა მოგივიდა, აგერ არ ვარ, შენს გვერდითო...

უხმოდ ჩაუარა კაცმა, მეძინებაო, — უთხრა.

კვლავ სარკეს მოუბრუნდა, ერთადერთ მოსაუბრეს, ფიქრის გამზიარებელს. ახლა მოღიმარ თოჯინას წაავავდა ქალი, ფეხმრუდსა და თმაგაჩეჩილს. ცალი ღაწვი ისე უვარვარებდა, თითქოს სილა გაეწნა ვინმეს. მოგვიანებით, უძილობამ თვალები რომ ამოუწვა, უჩუმრად გაიძრო სამოსი, ფეხაკრეფით შეიპარა და ნასვამ კაცს ფეხებთან მიუწვა. ძილში წუხდა, კვნესოდა კაცი. ქალის სიახლოვე არ უგრძვნია, არც გაუგია.

უძილოდ გატარებული ღამის დასასრულს, მზის ამოსვლის ჟამს, ერთბაშად იგრძნო ქალმა, ცოლ-ქმარს შორის ოდესღაც არსებული სიყვარული, ალერსი თუ თავდავიწყება, გამქრალიყო. ქალის სიახლოვეს, მისი სხეულის სითბოს, კაცი ისე შეჩვეოდა, როგორც ბალიშს, მზეზე გახუხუნებულ თბილ ქვეშაგებს, ყველაფერს, რაც წლების განმავლობაში ახლობელი და ძნელად შესამჩნევი ხდება-ხოლმე. ქალს არ უშფოთია, მხოლოდ ერთხელ წამოიწია, შიშველ მხრებზე საბანი წააფარა მძინარე კაცს და ასე მოკუნტულმა დაიძინა.

●

შინ დაბრუნებული მუსიკოსი ქალი, როცა დაცარიელებულ ბინას მოივლიდა, კუთხეში მიყრილ ხელსაწყოებს, კირით გადათეთრებულ ხალათსა და თასმა შეხსნილ ფეხსაცმელს უცაბედად აღ-

მოაჩენდა, ისეთი განწყობა ეუფლებოდა, თითქოს, სადღაც, უხილავი კუთხიდან მამაკაცის ნაღვლიანი თვალები უმზერდა.

თავად მოწყალედ, ოდნავ დამცინავად, ზემოდან დასცქეროდა კაცს. არადა, ამჩნევდა, ყოველ შეხვედრისას, პირისპირ შეყრისას, გრძელი, უსასრულო ღამეების მოახლოებისას, როცა წასასვლელად გაემზადებოდა იგი, კართან შემდგარი, დამშვიდობების ნაცვლად, იმგვარი მზერით შემოაჩერდებოდა, თითქოს რაღაც აუცილებელი სათქმელი ჰქონდა და ერთბაშად დავიწყნოდა. საქციელწამხდარს, ვეღარც წასვლა მოეხერხებინა და ვეღარც დარჩენა. ერთხანს ასე ყოყმანობდა კაცი, მერე ერთბაშად გამოაღებდა კარს და სიბნელეში შთაინთქმებოდა.

მაინც რა უნდა ეთქვა?

ქალთა უმრავლესობას შეუცნობი ხილვები გააჩნია, ისინი ადვილად ხვდებიან მამაკაცის გულისთქმას, მით უმეტეს მის მსგავს ქალს, უთვალავი შეხვედრების, მხიარული საღამოების მონაწილე მუსიკოს ქალს, არასდროს გასძნელებია ჭეშმარიტისაგან ყალბის გამორჩევა. მისი ცხოვრება ხომ ამ შეხვედრებით იწყებოდა და მთავრდებოდა. მერე შეხვედრები ერთფეროვნდებოდა და ერთ ჩვეულებრივ დღეს აღმოაჩენდა, რომ სულ მარტო იყო. ასეთ დროს არც მუსიკა შველოდა, არც სტუდენტები, მალიმალ რომ შემოუღებდნენ კარს, თუმცა ახალი ბინის მიღების შემდეგ, მანძილი ეშორათ თუ დრო ვერ გამონახეს, კონსერვატორიის გოგო-ბიჭები ნაკლებად აკითხავდნენ.

ახლა კი მთელი კვირა ისე ჩაილია, კაცი არ გამოჩენილა. ნახევრად აკრული კაფელი, ცემენტით გადათეთრებული იატაკი, აფრთხობდა ქალს. იქით გახედვა არ უნდოდა, ეჩვენებოდა, თითქოს რაღაცით გაანაწყენა, გააქცია კაცი. რით?! ავტობუსში მის ცოლ-შვილთან ერთად მგზავრობამ (პირველსავე წუთში იცნო ქალი), წუთიერი სიახლოვით გამოწვეულმა წყენამ თუ სიამემ, შეაშფოთა იგი. მოეჩვენა, რომ რაღაც დანაშაული მიუძღოდა მათ წინაშე, რის გამოც ებუტებოდნენ ისინი, სახეს უმალავდნენ, გაურბოდნენ. მერე როგორ გაუწია გულმა, განსაკუთრებით გოგონასკენ. მისი თხელი თითები, შუქიანი თვალები ისე მოეწონა, ისე ახლოს მიიტანა გულთან, მოფერება, მკერდში ჩაკვრა მოუნდა. შეეძლო საათობით ჰყოლოდა თავისთან. ესაუბრა, ეტიკეტიკა, ინსტრუმენტთან ისე მიიყვანდა, როგორც სალოცავ ხატთან. მუსიკალურ სამყაროში შესვლასაც ხომ თავისი იდუმალი წესი აქვს. იქ ხმაური არ შეიძლება, არც უთავბოლო შეგონება. სიჩუმეა საჭირო... კომპოზიტორებსაც შერჩევა უნდა... ნაწარმოებებსაც. არადა, ბავშვს ისეთი გონიერი მზერა ჰქონდა, ისე ალერსიანი გამოხედვა, არ შეიძლებოდა არ აჰყოლოდა მასწავლებელს. მერე რამდენ რამეს გააცნობდა, მოასმენინებდა, შეაყვარებდა... ამას ჩაიდენდა მხოლოდ იმ გოგონასთვის, იმ უცნაური კაცის შვილისთვის...

მერე ახსენდებოდა, იმ შეუხედავი, უხეში კაცის დანახვისას, ყოველთვის აწვალებდა ფიქრი, რომ დიდი ხანია იცნობდა მას, თითქოს ერთ მერხზე ისხდნენ ოდესღაც, ერთ კუპეში მგზავრობდნენ, მერე სადღაც ჩამორჩა. სად?!

— „ვაი მას, ვისი მიზეზითაც მოხდა ცოდვა!“ — შეახსენებდა ვიღაც.

●

ეძინა და არც ეძინა კაცს. ხმები შემოდიოდა გარკვევით, ნათლად. ონკანიდან გამსხლტარი წვეთების წკაპაწკუპი, ეზოში ატეხილი გნიასი, ბავშვების ყიჟინა, ბურთის ცემა. წუთით ჩასთვლემდა, სიზმრისეული მოლანდებები გაებლანდებოდა თვალწინ, უმალ გაქრებოდა. ასე განუწყვეტლივ. ზოგჯერ გარკვევით ხედავდა სასურველ სახეს, თვალებს, თიხასაც ხედავდა... გამოსაძერწად გამზადებულს, მუქ-ნაცრისფერ თიხას. არ ჩქარობდა, ნაცნობი ნაკვთების გამოძერწვა უფრო ძნელი იყო,

ვიდრე გონებაში მათი ცოცხლად წარმოსახვა. არადა, გრძნობდა, როგორ მონატრებოდა ისინი: ქალი და თიხა. ორივე თბილი, დამყოლი, ნებიერი...

აი, ამ მონატრების წილნაყარი იყო თვითონ.

„ხვალ ქარხანაში მოხვალ!“ — შეახსენა მკვეთრმა ხმამ. გუშინ ნასვამმა და უგუნებომ, მთავარ მხატვარს წინააღმდეგობა გაუწია, სიტყვა ბანზე აუგდო. ძველი წყენა-შეურაცხყოფა შეახსენა. რა ექნა, ვერ მოენელებინა.

ახლად ნაზარდ კვირტს, პირველ შხორალს, მოფერება და ტანის გამართვა უნდა; მისი გადატეხა, ჩაჩეხა არ შეიძლება. ის კი ჩაჩეხეს. უაზრო ადამიანებმა, ბრძანების მოყვარულმა ვიგინდარებმა, ზედ ნაყარში გადატეხეს, გადაამსხვრიეს. სწორედ ამას მისტიროდა ახლა. ამიტომ გააუქმა თაროები, კედელი ამოლესა, ძველი გატაცების ყველა კვალი წაშალა. მაგრამ გული, გონება? ეს ამოულევი სკივრი?! რისთვის არსებობს?! ეგებ ის ქალიც იმიტომ აღმოაჩინა, გულის დარდად ჩაისახა, რომ მასზე ეფიქრა, ეწვალა, ეტანჯა... ეგებ თავდაპირველად ქალი იყო და მერე სხვა, დანარჩენი... მთელი ეს წლები, გაუთავებელი, დამაშვრალი და უყოყმანო წლები იმიტომ მოდიოდა რომ მასთან მისულიყო. მისი სახლის კარიბჭემდე მიეღწია. და აგერ, მტვრიანი სამოსით, გახეშეშებული ხელისგულებით, დაღარული პირისახით, მიაღწია კიდეც.

მაშ ეს ენძელა გოგო და თვალების სითბოდ დაღვრილი ქალი ვისი დარდი იყო, თუ არა მისი?

ფიქრი შეუწყდა. მიხვდა, კვლავ უბრუნდებოდა იმას, რისგანაც იწყებდა...

ვერ გაარჩია, რა დრო გავიდა. ჩამავალი მზის სხივები ფანჯარაში იჭრებოდნენ და გრძელ-გრძელ ლანდებს ფენდნენ.

უცებ კივილი ჩაესმა. ჯერ სუსტი, მოგუდული, მერე ძლიერი, შემზარავი; მეზობელ შესასვლელში კიოდნენ ქალები, მამაკაცებიც აჰყვნენ. მწარე სულჩაუთქმელი წუთები იდგა...

რეზო გაშეშდა. სანამ გამოერკვეოდა, სანამ ხალათს მოიცვამდა და დაბლა ჩაირბენდა, თავისი დაემართა. მწუხარე, შემაშფოთებელი ხმები მოძრაობას უშლიდა. ნაბიჯებს უბორკავდა. თავბრუს ასხამდა.

ეზო ფუტკრის სკად ქცეულიყო. დიდი და პატარა მახლობელ შესასვლელს შესეოდა. საერთო გნიასში სინამდვილის გარკვევა გაუძნელდა. კარზე მომდგარი უბედურების ჟამს, ადამიანი ყოველთვის თავის ახლობლებს მოიძევს, ვინ სად არის და, ვის რა საფრთხე ემუქრება. ახლაც, ფეხსაცმელაფლატუნებულმა, გულისპირჩახსნილმა კაცმა, ჯერ საკუთარი ოჯახის წევრები მოიძია: ცოლი და გოგონა. სადღაც, ქალების ჯგუფში ცოლის ჭრელ ხალათს წაჰკრა თვალი, გოგონა დედას აჰკვროდა. მათთან მიახლოება არ უფიქრია. წინ წასულებს გაედევნა.

აბაზანაში, მოკლე კაუჭზე, ოჯახის უფროსს, ორმოცი წლის მამაკაცს ჩამოეხრჩო თავი, ცოლი სამსახურში იყო, შვილები — სკოლაში, ქმრით დაეხრჩო თავი.

ხალხი ქოთქოთობდა, წიოკობდა. მიზეზს იკვლევდა. ისმოდა ძახილი, ტირილი, სლუკუნი...

ოთახის სიღრმიდან დედის ყრუ, ცრემლით ჩაგუდული ხმა მოდიოდა: «Ой, сынок! Какое горе у меня в душе!... Сынок!»

შემობრუნდა რეზო. ხალხს გაერიდა. მწუხარე ჟამი იდგა. არავის დამშვიდება არ შეეძლო, არც დალაპარაკება. დაიმედება სულ არა... გასართობად, სხვათა ამბის გამოსაძიებლად ახეტება კი არ სურდა.

შინისკენ იბრუნა პირი, კვლავ დივანზე მიწვა, კვლავ სახეზე წაიფარა. „Сынок!.. Ой, сынок!“ — შეზარა ამ ხმამ, არადა, ვერაფრით ვერ გაიხსენა იმ უბედურის სახე, გარეგნობა, მაინც რამ აიძულა გადაედგა ეს საბედისწერო ნაბიჯი?! მაინც რისთვის იკლავს ადამიანი თავს?! რომელი წუთი აიძულებს?!

ყოველივე შეუცნობელი და ძნელად მისახვედრი ეჩვენა. როცა მთელი არსებით გამოთიშული და გამოცარიელებული ხარ, უკან მოსახედი და გულდასაწყვეტი არაფერი გრჩება, ალბათ ადვილია ამ ნაბიჯის გადადგმა. მხოლოდ განაწყენებული, გაავებული კაცი სჩადის ამას.

თავადაც ვერ მიხვდა რეზო, რას მოასწავებდა მისი სულიერი შფოთვა, საიდან მოდიოდა და საით მიიწევდა... როცა საკუთარ თავს ვერაფერს უხერხებ, ვერც ერთ ნერვს ვერ იმორჩილებ, როგორ უნდა მოიქცე?! კაუჭზე ქამრით დაკიდებულმა სხეულმა, საკუთარი სურვილით სხეულს გაცლილმა სულმა რაღაც ისეთს მიანიშნეს, ამდენ ხანს მიგნება რომ უჭირდა. მოხუცი დედის ყრუ მოთქმა, თითქოს ფეხდაფეხ მოსდევდა, თავს ახსენებდა. უსასრულობიდან ამოტყორცნილ ავ მაცნეს წააგავდა იგი, საკუთარი ბედის გადაწყვეტის ჟამს რომ ჩაესმის ხოლმე ადამიანს.

წამოდგა. სწრაფად ჩაიცვა, ოღონდ ახლები და კეწკეწა კი არა, ძველები, კარგა ხნის ნახმარი. კარი გამოიხურა. გასაღები იქვე შეატოვა. ხალხით ახორხოცებულ ეზოს სიღრმეში არ გაუხედია, აღმართს შეჰყვა. საით მიიწევდა, არ იცოდა. ყოველი ნაბიჯი გაუაზრებელი ჰქონდა. ქვემოთ, ხევს იქით, მტკვარი იმღვრეოდა, ბობოქრობდა, სადღაც ახლოს მატარებლის გუგუნი ისმოდა. ერთხანს უაზროდ იდგა. მერე შებრუნდა, თეთრი სახლი ჩაგმანულ-ჩაჩუმებული ჩანდა. მესამე სართულისკენ არ აუხედია; სირბილით აჰყვა კიბეს. ზარს თითი დააჭირა. კარი გაუღეს.

დერეფანში ბნელოდა. მხოლოდ სამზარეულოში ენთო შუქი. ბინაში ახლად მოდუღებული ყავის სუნი იდგა. ხარბად ჩაისუნთქა გამაბრუებელი, არომატული სურნელი. ოდნავ დაამშვიდა ამ სუნმა, ირგვლივ გამეფებულმა სიწყნარემ.

წინ წასულს დაეწია...

სანამ ქალს მისწვდებოდა და შემოაბრუნებდა, უცნაური თრთოლვა იგრძნო, მუხლები უცახცახებდა...

თვალები დაეხუჭა ეთერს. გადაფითრებულ სახეზე მკვდრული სიმშვიდე ეფინა. დიდი ხნის გადაღლილი გული, გამოფიტული სხეული, ერთბაშად რომ შეწყვეტს ძგერას, თმენა და სურვილი ერთმანეთში რომ აერევა, ამგვარად დამორჩილებული, ცნობამიხდილი იდგა იგი.

მამაკაცი მოწყვეტით დაეშვა სკამზე. ახლა ქალი ადგა თავზე. თბილი თითებით ეხებოდა მის შუბლს, თმას...

საღამოს მკრთალი, მოცახცახე შუქი თანდათან ილეოდა.

მოულოდნელად საძინებელ ოთახში ფანჯარა გაიღო, ერთბაშად გაიღო, ზათქით. ადრეული გაზაფხულის სუნთქვა შემოიჭრა. გაშიშვლებული ხეების, გამხმარი ფოთლების ნაცვლად, ბროლივით გამჭვირვალე ჰაერმა პირველი იების, ყელყარყარა ენძელების სურნელი შემოიტანა. ორივე გააბრუა ამ სურნელმა. ქალმა სახე გაარიდა მის გაფიცხებულ ბაგეს. მათი სიახლოვე ნეტარებად მაშინ იქცა, როცა ორივემ დაკარგა ერთმანეთთან სიახლოვით გამოწვეული შიშის გრძნობა, როცა გარე სამყარო ერთბაშად გაბუნდოვანდა და გაქრა.

„არ შეიძლება ადამიანმა ყველაფერი აუკრძალო საკუთარ თავს“, — გაუელვა კაცს, ეს იყო სულ ბოლო ფიქრი.

**მინაწერი:** ამ მოთხრობის წერის დროს განუწყვეტლივ ვგრძნობდი ჩემი გმირების სიახლოვეს, შიშ-ფეთებით შემოჩერებულ მათ თვალებს და ერთადერთ სურვილს — ვინაობა არ გამემხილა. ადამიანებს ხომ ყველაზე მეტად ჭეშმარიტების შეცნობა უჭირთ, ნამდვილი გრძნობის გამხელაც უძნელდებათ, ხოლო სიყვარული, რაკი თავისთავად მიუღწეველისადმი უსაზღვრო ლტოლვაა, ყოველთვის აუხდენელ სურვილად რჩება. მოდი, ჩემს გმირებსაც ვაპატიოთ ეს სურვილები...

[4]
ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ომარ თურმანაული

### ენა ჩემი და ხელები ჩემი

I

გათხრების დროს, ბაბილონის ერთ-ერთ ნანგრევთან,
აღმოაჩინეს თიხის ფირფიტა, ლურსმულ წარწერით;
გაშიფრეს, თარგმნეს დედამიწის ყველა ენაზე
და მთელ მსოფლიოს გააგებინეს,
რომ წარღვნამდე ათას წლით ადრე
მე შენ მიყვარდი;

მეორე დღეს,
დედამიწის ყველა კუთხიდან ჩამოსულმა ჟურნალისტებმა
და მრავალმა ცნობისმოყვარემ
გადამითქერეს სახლის ირგვლივ მოსული შამბი
და მთხოვეს მათთვის მეჩვენებინა ხელები — რითიც გეფერებოდი
და იმ ენაზე, მრავალი წლის წინ
საალერსო სიტყვებს ყურში რომ ჩაგჩურჩულებდი,
ინტერვიუ მიმეცა მათთვის;

დიდხანს ვეძებე, ვერ ვიპოვე ხელების ნაშთიც
და ვერც ვერაფრით ინტერვიუ მივეცი ვერვის,
რადგან ენაც და ხელებიც ჩემი
შემომქრობოდნენ ყოველივეს — თქმულის და ქმნილის —
ამაოებას შეგუებულნი.

II

და აი ახლა, მე ვარ უხელოდ. და უენოდ ვარ.
და რას გაუგებთ ჩემს მდუმარ მუზას მსუბუქ სიტყვათა ნისლეულში,
ათასი ღია ბაგის ქაოსში?

მინდა კი გითხრათ, ყველას გითხრათ, რომ:
„აგერ ქალის თმა გადაშლილი კაცის მკლავებზე.
აგერ ქალის თმით შეხვეული ჯვარი ვაზისა.
ორჯერ ორი ოთხიც არის და ოთხზე მეტიც
და ქვეყნად არრა არის საეჭვო,
მაგრამ ყველაფერს სასრულობა მისი დასცინის".
მინდა ეს გითხრათ. ვერ გეუბნებით,
რადგან ენაც და ხელებიც ჩემი
შემომქრობიან თქმულის და ქმნილის ამაოებას შეგუებულნი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

III

აი სურათი: ღამის ქალაქი.
მის ბნელ ჩრდილებში კი ამაოდ ბრწყინავენ ახლა
ძვირფასი თვლები: უპატრონო მეეფარის ცრემლი,
სულელი ბიჭის გულუბრყვილო შეკითხვები და
ჩემი სუსტი ბიოდენები.

ფარდებს მიღმიდან გამომკრთალი ნოეთა მზერა
ყოველ ნაბიჯზე უნდობლობის კოცონებს გვინთებს...

„ზეთისხილის რტო!.. სად ვიპოვოთ ზეთისხილის რტო?“ —
ამ კითხვის მიღმა მივატოვეთ მოგონებები მშობელ დედებზე,
პატრონზე და ჩვენს წილ მიწაზე
და ქალაქის ბნელ ჩრდილებს ავსებს
ყველასაგან მიტოვებული ძვირფასი თვლები.

— ჩუ! — აჩუმებენ კიდობნების კედლების მიღმა მტირალ პატარებს...
— ჩუ! — აჩუმებენ მიწის სუნთქვას ქვაფენილები...
— ჩუ! — აჩუმებს ღამის ზეცას უხვი ნეონი
და კიდობნები მილიარდობით დატივტივებენ შიშისა და
უნდობლობის ოკეანეში.
და მაინც... აი ზეთისხილის რტო —
ქვას და ქვას შორის ამომსკდარი მწვანე გმინვა, მწვანე ბალახი.
და კიდევ: აი ფერმკრთალი მთვარეც
და ფანჯარაში მომღიმარე ბავშვის თვალებიც...
მაგრამ საით წავიღოთ ეს ზეთისხილის რტო?
რომელი ნოე დავაჯეროთ:
— გამოჩნდა მიწა!
— გამოჩნდა ცა!
გამოჩნდა... გული!
რომელ კიდობანს დავაწვეთოთ დაღლილი მტრედის ოფლის წვეთები?
სად გამოვკიდოთ ცისარტყელა ჩვენი ცრემლების,
ჩვენი ფიქრის და ჩვენი სუსტი ბიოდენების?
ვის ვუთხრა... ანდა როგორ ვუთხრა,
მრავალი წლის წინ შემომაცვდენ მე ენა ჩემი და ხელები ჩემი
ყოველივეს — თქმულის და ქმნილის — არარაობას შეგუებულნი.

IV

მე ვარ უხელოდ და უენოდ ვარ.
წყნარია ჩემი შავი დღეები
და მე გონების სუსტი ნათელით განათებულ დედამიწის
ბნელ წიგნს ვკითხულობ,
სავსეს მრავალი კითხვის ნიშანით,
სისხლის უგნური ძახილის ნიშნით,
ვნების წერტილმძიმეებით და ასე შემდეგ.
და სულ ამაოდ ბობოქრობენ სათაურები:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კერპთა და ღმერთკაცთ სახელები
სხვანი და სხვანი...
ყოველივეს სასრულობა მისი დასცინის.

მე ვარ უხელოდ და უენოდ ვარ.)

## მთვარე

ნეტაი შენა მთვარეო,
რო სუყველასა ხედაო...

ხალხური

ნეტავ კიდევ თუ არსებობს მთვარე...
რა ხანია, რაც აღარ მინახავს...
მშრალი ფიქრი და ვერლიბრის ბწკარი,
როგორც თევზს მწარე ბოლი, მინახავს.

მთვარემ დღესავით ღამე იცოდა.
კაცი კაცს შორ მანძილზე იცნობდა.
მთვარიან ღამით წველიდნენ ნახირს.
დედა წველიდა ირმია ძროხას...
მახსოვს, მთვარეზეც მაჩვენა: „ნახე,
იქ ქრისტეს დედა წველისო ძროხას“.

სოფელში მაინც თუ არის მთვარე?
სოფელი კიდევ თუ არის ნეტავ?
კიდევ თუ არის სოფლელი ქალი?
კიდევ თუ წველის ნეტავი ძროხას?

კიდევ თუ არის ძროხა სოფელში?
მთვარე... მთვარეზე რა უნდა ძროხას...

ნეტავი ვინმე თუ ხედავს მთვარეს,
მთვარის ამოსვლას თუ უცდის ვინმე,
იქნება აღარც ამოდის მთვარე?
მთვარე... კიდევ თუ არსებობს მთვარე,
რა ხანია რაც აღარ მინახავს!

მთვარის შუქი თუ ახარებს ვინმეს,
სიხარული თუ კვლავ ძალუძს ვინმეს,
მთვარეს კიდევ თუ უძღვნიან ლექსებს,
ლექსებს კიდევ თუ უძღვნიან ვინმეს,
კიდევ თუ ვინმე შენატრის მთვარეს...
თუ ვინმეს ძალუძს დღეს კიდევ ნატვრა
ასე: „ნეტაი შენა მთვარეო...“

●

რა მანძილია, ვფიქრობ ჩემთვის, ამ საზკვების სასადილოდან
(სადაც ვზივარ და უგემურ კატლეტს ვღეჭავ),
უსუპის ძმისწულის, ცამცუმის კოშკამდე?

ეჰ! იქ კარგია. რაც არ უნდა შორი გზა იყოს,
წასვლა ღირს, მაგრამ გზას ვინ მასწავლის?

რაღა თქმა უნდა, გზად ათასი ფათერაკია,
ისიც ვიცი რომ გზაჯვარედინზე,
შეიძლება სწორედ იქით მომიხდეს წასვლა,
საიდანაც არ ბრუნდებიან,
მაგრამ მერე რა,
გზას ვინ მასწავლის?..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გუშინ მივიღე დედის წერილი და მივხვდი, რომ ღრმად შემიტოპავს,
მივხვდი რომ უნდა მივატოვო ეს უსახელო ქალ-ვაჟები,
ეს უსახელო ჭარმაგები და მოხუცები,
რომლებიც აგერ ჩემს პირდაპირ,
ჩემს ზურგს უკან, თუ იქეთ-აქეთ,
კითხვის ნიშნებივით მოხრილან
და თავიანთ თეფშებსა და ჯამებს ჩასცქერენ.
იღიმებიან, არ ვიცი, რატომ.
ლაპარაკობენ, არც ვიცი, რაზე.
და მიდიან, არ ვიცი, საით...

თვითონ, თვითონ თუ იციან?
არც ეს არ ვიცი.

უსახელო ქალ-ვაჟები,
უსახელო ჭარმაგები და მოხუცები...

ნუთუ მეც ერთი ამათგანი ვარ, მეც ერთი მუქი კითხვის ნიშანი?..
გზები და გზაჯვარედინებიც დახვეულან კითხვის ნიშნებად
და ყოველი გზის დასაწყისშიც მოჩანს მხოლოდ კითხვის ნიშანი...

რას ნიშნავს ეს?
სად არის ის გზაჯვარედინი, სადაც წერია:
„მარჯვნივ წახვალ, ცხენს მოგიკლავენ,
მარცხნივ წახვალ, თვითონ მოკვდები,
პირდაპირ წახვალ, შენც და ცხენიც დაიღუპებით“.
რა მანძილია ამ საზკვების სასადილოდან,
უსუპის ძმისწულის, ცამცუმის კოშკამდე?

სად მთავრდება სამფლობელო კითხვის ნიშნების,
და სად იწყება ის ქვეყანა, სადაც ყველას და ყველაფერს სახელი ჰქვია
დევებს — ბედელა, ბაყბაყა და ცხრათავიანი,
ხთიშვილთ — კოპალა, იახსარი, პირქუში, გიორგ;
ხალხს — მირიანი, ამირანი, ნინო, ქეთევან...
დღეს რომ დღე ჰქვია და ღამეს — ღამე...

რა მანძილია ამ საზკვების სასადილოდან,
უსუპის ძმისწულის, ცამცუმის კოშკამდე?
მერე რა, თუ მეც და ცხენიც დავიღუპებით,
იქ ხომ მკვდარიც ამხელს თავის წუხილს, სატკივარს,
ვინაობას: „...ძმისწული ვარ უსუპისი,
სანამ ვიყავ, მტერი ვმუსრე, არ შევჭამე ჯავრი მტრისი,
მოვკვდი, მხოლოდ ჯავრი ჩამყვა ერთი დევის, ბაყბაყისი...“

რა მანძილია ამ საზკვების სასადილოდან
უსუპის ძმისწულის, ცამცუმის კოშკამდე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფიქრი მტკვრის სანაპიროსთან

> დაწუხებულმა, არაგვო,
> რო გნახე, გავიხარეო,
> სრულიად გამოვიცვალე...
>
> ვაჟა

აუცილებლად არსებობდეს უნდა არაგვი,
რადგან სხვა ყველა, ყველაფერი და კიდევ მეტი,
ის, რაც არ არის თავად არაგვი,
ამ არაგვის ნაპირი ან შენაკადია.

გაღმა ატლანტის ოკეანე, გამოღმა კანატიისძირი და ხილიანი,
მაღლა ზეცა, დაბლა ქვესკნელი,
ყველაფერი არაგვიდან ერთი ფიქრის გაშლაზე არის,
ყველაფერი ამ არაგვის ნაპირი, ან შენაკადია
და ყველაფერი, ჩემი ფიქრის ქვიშრობის გავლით,
მზეც, ვარსკვლავებიც, ბაბილონიც, ხეთაც, ჭერემიც,
ლეთაც და აბზუც და არაგვიც
არაგვს შეერთვის.

და თუ არაგვი არ იქნება
მაშინ სამყაროს არ ექნება თავი და ბოლო,
და მაშინ, ალბათ, არც ჩვენ ვიქნებით
ან, თუ ვიქნებით, ვერ გავიგებთ, ვართ თუ არა ვართ,
რა ვართ, სადა ვართ, ვერ გავიგებთ ვერასდიდებით.

თუ არაგვი არ იქნება: არ იქნება არც ძმა, არც მტერი,
არც აღმოსავლეთ — დასავლეთი იქნება მაშინ
და მზეს სადაც უნდა ამოვა,
და როცა უნდა, ამოვა მაშინ.

და მე რომ დედა-მშობელი ვიცნო,
რომ გავიგო თვითონ ვინა ვარ,
რომ სხვის მაგიერ სხვას არ ვაკოცო,
ან საკუთარ თავს უცხოსავით არ ჩავუარო
და საჭმელზე ფიქრში გართულმა,
ბოლო ლუკმით ხელში ან ყელში არ გადავტოპო ლეთა მდინარე,
ამისათვის საჭიროა არაგვი იყოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯემალ ქირია

# მ ო კ ლ ე

მოთხრობა

კარის მეზობელი იყო იოსებ ბჟალავა, მაგრამ ისე გავიზარდე, სულ რამდენიმეჯერ შევეყარე პირისპირ. სახელით არავინ იხსენიებდა, მეზობლებიც „თავმჯდომარეს“ ეძახდნენ. მეც ასე ჩამრჩა მეხსიერებაში, თუმცა თავდაპირველად არც ვიცოდი ამ სიტყვის მნიშვნელობა. მოგვიანებით კი ტვინი მაინცდამაინც არ შემიწუხებია იმის გარკვევით, თუ რას „თავმჯდომარეობდა“. ცოლი ერთი აშარი და როყიოდ მოუბარი ჰყავდა, ცხვირზე ზეთი ჩამოსდიოდა; ბავშვები ქვეყნის ამკლებნი... დრო იყო მშიერი, ესენი კი გატიკნულნი დადიოდნენ, თუმცა იქნებ თვითონ დღენიადაგ დამშეულს მეჩვენებოდა ასე... მამა არ მყავდა, დედაჩემს კი რატომღაც ეს ოჯახი გულზე არ ეხატებოდა. ალბათ თავმჯდომარის ცოლთან არის უმძრახად-მეთქი, ვფიქრობდი. ხომ ასეთი ოხერი იყო თავმჯდომარის ცოლი, როგორც კი ქუჩის ბოლოს მწვანე ვილისი გამოჩნდებოდა, თითივით მოიკაკვებოდა, ისიც და მისი ბავშვებიც საოცრად წყნარნი, უტყვნი, მომთმენნი ხდებოდნენ. თუ არა და, თავმჯდომარის აწეული ხმა მე არ გამეგონა, არც მისი შვილები უნახავს ვინმეს მამისაგან ატირებულნი, მაგრამ ვილისის გამოჩენაც კმაროდა, რიდი და კრძალვა სადგურდებოდა ბჟალავების ოჯახში. მანქანა მაშინ იშვიათი იყო, გასუსული ბავშვები თვალს ვერ ვაშორებდით. უფრო ხშირად ვერც ვამჩნევდი, თავმჯდომარე როგორ ჩამოდიოდა მანქანიდან, როგორ შედიოდა შინ. საერთოდ, რა უნდოდა აქ? ჩემს ბავშვურ გონებაში ვერ ლაგდებოდა აზრი, რომ თავმჯდომარეც სადილობდა, იბანდა, იძინებდა... ის ხომ ჩვეულებრივი ადამიანი არ იყო. მას თითქოს უჩინმაჩინის ქუდი ეხურა, ამ მწვანე ვილისში უჩინარდებოდა და ამ გაუჩინარებაში იგრძნობოდა რაღაც შიშისმომგვრელი და გაუგებარი... ერთხელ თავს ვსძლიე, ჩავუსაფრდი. თვითონ პატარა ვიყავი და დევკაცად მომეჩვენა. გიმნასტურა ეცვა, წელზე ფართო ქამარი შემოერტყა და იმ ქამარზე რევოლვერის ბუდე ეკიდა. შვილს რომ ჩაუარა, კეფაზე მსუბუქად წაუთაქა. გაკვირვებისაგან პირი დავაღე. თუმცა მის ამ მოძრაობაში იგრძნობოდა აჩქარებულობა, მოუცლელობა, მაგრამ ეს მაინც საალერსო ჟესტი იყო... მეორეჯერ მთლად პირისპირ შევეჩეხე და ისეთი თავზარი დამეცა, მხოლოდ შინ მობრუნების შემდეგ გამიარა ელდამ და ავტირდი... თუ არა და, ისეთი რა მოხდა?.. ვილისთან არავინ იდგა და ცნობისმოყვარეობამ მიმიზიდა. იმდენი გაბედულება მეყო, მანქანას ხელი დავადე. დღე თბილი იყო, მანქანის სითბო გადმომეცა და მეც, არ ვიცი, რის გამო, გულში თბილი ტალღები მივლიდა. იქნებ იმიტომ, რომ სიცოცხლეში პირველად მწვანე ვილისთან ვიდექი და ხელიც კი მედო კაპოტზე. „ვისია ეს ბავშვი?“ — რკინის ურჩხული რომ წამომპარვოდა, ნაკლებ შემეშინდებოდა ალბათ. თავმჯდომარე ჩქარი ნაბიჯით ეზოდან გამოვიდა, თან გზა-გზა ქამარს იკრავდა, გიმნასტურას ისწორებდა. ჩემთვის არც შემოუხედავს, ისე იკითხა, ვისია ეს ბავშვიო. უკვე ვილისში ჯდებოდა (თურმე

მძღოლს საჭეზე ჩამოყრდნობილს ეძინა), ცხენივით რომ დაიხვიხვინა: „ჯერ კიდევ არ გათხოვდა, ბიჭო, დედაშენი?!“

დრო გავიდა და მეღიმებოდა იმ შიშის გახსენებაზე. იოსებ ბჟალავა ჩვეულებრივი ადამიანი იყო, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი თავმჯდომარე. გარეგნობითაც სულაც არ ჰგავდა დევს. ცამეტი წლისამ გადავასწარი სიმაღლეში. გიმნასტურაც რა ხანია თეთრი კიტელით შეცვალა და თუმცა კალთა უკნიდან რევოლვერის ბუდეთი ამობურცვოდა, ძველებური მრისხანების ნატამალი არ აჩნდა. არც ის მახსოვს, დამლაპარაკებოდეს ოდესმე. მე ვის დავეკარგე, როცა საკუთარმა ნაშიერებმა არ იცოდნენ, რა იყო მამის ალერსი, მის დანახვაზე შიშისაგან ბეღურებივით იბუზებოდნენ. გვიანღა მივხვდი, მოუცლელობისა და დაღლილობის შედეგი იყო ყოველივე, მაგრამ ამისი ანალიზით თავი მაინცდამაინც არასოდეს შემიწუხებია. კარგა ხანი იყო, რაც იმ ჩემს ძველ ქუჩაზე არ ვცხოვრობდი, მოგვიანებით კი სხვა ქალაქში გადავბარგდი, იშვიათად ჩამოვივლიდი სტუმრად ჩვენებთან და თავმჯდომარე მაშინღა გამახსენდებოდა, უნებლიეთ ბჟალავების სახლისაკენ თუ გადამიცდებოდა მზერა. ერთმა უბრალო შემთხვევამ, რაც ამას წინათ გადამხდა, ცალი თვალით ჩამახედა ჩემთვის იდუმალ წარსულში, რაც „თავმჯდომარის“ სახელს იყო ამოფარებული.

სულ ერთი დღით ვიყავი ჩამოსული. დაცარიელებულ ქუჩაში გავისეირნე. არც მთლად მოცლილი გახლდით და არც ისე მეჩქარებოდა, ვინმესთვის სალამი დამემადლებინა. ვხედავ, ყოფილი თავმჯდომარე იოსებ ბჟალავა საკუთარი სახლის წინ ძელსკამზე ჩამომჯდარა.

ნაბიჯი შევანელე.

მზე უკვე გადაქანებულიყო. თავზევით წამომხობილი მსხლის ჩრდილმა განზე გადაიწია და თავმჯდომარე მზეს მიფიცხებოდა, თვალი მიელულა. ჯერაც საკმაოდ ახალგაზრდად გამოიყურებოდა. უნაოჭო, ბიჭური სახე, ჭაღარაშერთული თმა, პატარა ტანი, მოკლე ხელები, მუხლებზე რომ დაეწყო მშვიდად, ასევე მოკლე ფეხები, — ძელსკამზე იჯდა და ფეხსაცმლები მიწას ასცილებოდნენ. „რა კარგად შენახულა?“ — გავიოცე. ოღონდაც, ამ ახალგაზრდულ გარეგნობაში იყო რაღაც ფარული, გარდაუვალი, მიჩქმალული, რაც მიგახვედრებდა მის ასაკსა და იმ რღვევას, სიბერესა და წლებს რომ მოაქვს.

ალბათ სძინავს-მეთქი, ყოველი შემთხვევისათვის, თავი უხმოდ დავუქნიე და გზა განვაგრძე. მოულოდნელად გამოიჭყიტა და გამიღიმა იმ კაცის ღიმილით, ვისაც, მართალია, ჩვენი დანახვა გაუხარდა, მაგრამ ხასიათმა და ცხოვრების წესმა ბუნებრივ ღიმილს გადააჩვია, ახლა კი წვალებით ცდილობს ბაგეთა კუნთებს სათანადო ფორმა გამოუძებნოს. ვერცხლის კბილებმა და გაბზარულმა ხმამ მისი ჭეშმარიტი ასაკი გაამხილეს და მე მორიდებით შევჩერდი, სალამზე ვუპასუხე, როგორც წესი და რიგია, მოვიკითხე.

— გეჩქარება? ჩამოჯექი ცოტა ხანს, უნდა გაცინო! — იმ კაცის სულსწრაფობით შემომთავაზა, ვინაც მთელი ცხოვრება მოუცლელი იყო, ახლა კი არ იცის სად წაიღოს ტვირთად ქცეული მოცლილობა. შევყოყმანდი, საათზე საქმიანად დავიხედე, ერთი ათი წუთი კი მაქვს-მეთქი, ჩავიდუდღუნე და ძელსკამზე ჩამოვჯექი. რა თქმა უნდა, დარწმუნებული ვიყავი, თავმჯდომარის იუმორის გრძნობა ტემპერატურის სკალაზე ნულს ვერ გადაამეტებდა, მაგრამ მოთმინება ერთ-ერთი უკეთილშობილესი გრძნობაა და მეც მოთმინებით აღვიჭურვე.

— ორმოცი წელი ისე ვიმუშავე, შვებულება არ ვიცოდი რა იყო! — ჯიქურ მომახალა. დავაკვირდი. ოდესღაც იქნებ ლამაზი თვალები ჰქონდა, მაგრამ ახლა გაუფერულებოდა, რაღაცნაირად ამოშრობოდა და მზის სხივს რომ ირეკლავდა, ეს უფრო შუშაზე არეკლილ შუქსა ჰგავდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მუშაობაში კვესი ვიყავი, ცეცხლს ვუნთებდი!

უცბად მოვიწყინე. ამანაც იცოდა, გაზეთში რომ ვთანამშრომლობდი. წინათ თუ ეკლესიაში მიდიოდნენ ცოდვის მოსანანიებლად, ახლა უპირველეს ყოვლისა ნაცნობ ჟურნალისტთან გარბიან. მერე რამდენი მსგავსი მონოლოგი მომესმინა, უფრო ცრუმონანიებანი, ვიდრე ჭეშმარიტნი, რადგან თავიდათავი ბიძგის მიმცემი პატივმოყვარეობა უფრო იყო, ვიდრე სინდისი. მომნანიებელი, როგორც წესი, ვერც გრძნობდა, რომ ამით ცოდვას ცოდვა ემატებოდა.

— ტანით პატარა გამოვედი, მაგრამ გული მქონდა ისეთი, დევი რომ შემხვედროდა, ზედ შევასკდებოდი. ძალიან კი განვიცდიდი ჩემს სიპატარავეს. სულ იმას ვშიშობდი, რაკი მოკლე ვარ, მხდალი არავის ვეგონო-მეთქი. ერთხელ ხიფათსაც გადამკიდა ამ ჩემმა ზნემ... ახლა უნდა გაცინო!.. თხუთმეტ-თექვსმეტის ჯეელი ვიყავი და ცხონებულმა მამაჩემმა, — ისიც ჩემსავით პატარა იყო, პეტრე ერქვა და მოკლე პეტრეს ეძახდნენ, — ცხონებულმა მამაჩემმა ტყეში წამიყვანა. ლაკადის მთაზე ხეს ვჭრიდით. რამდენიმე კაცი ერთად ვცხოვრობდით მეტყევის ქოხში. სხვა ჩემი სოფლელებიც გვახლდნენ, მასალა სჭირდებოდათ იმათაც. ტყე იყო, მარა, რა ტყე! ისეთ წაბლებს ვაქცევდით, ხუთი კაცი ვერ შემოსწვდებოდა. ახლა სად არის მაგეთი ტყე! ახლა ტურა ვერ ჩამალულა ჩირგვში. იმ დროს კი, დაღამდებოდა თუ არა, შიშის ზარი დაგვეცემოდა: აქეთ ტურა კიოდა, იქით მგელი ყმუოდა, ხან დათვი ჩაივლიდა ბურდღუნით, ტყის კატა დაიჩხავლებდა ხეზე. სხვისი არ ვიცი და ზურგზე სულ ჭიანჭველები მივლიდა. ერთხელ სოფლიდან ამბავი მოიტანეს, მეზობელი გარდაიცვალაო. ხალხი სატირალში წავიდა, მე კი ქოხში დამტოვეს. აქაურობას მიხედე, ჩვენ დილაუთენია მოვბრუნდებითო. თავდაპირველად ყოჩაღად ვიყავი. ვიჯექი კერის პირას, გაგანია ცეცხლი მენთო და ხმამაღლა ვმღეროდი. სიმღერა, ხომ იცი, შიშს ერეკება. თანდათან ბინდი ჩამოწვა... მე კი უფრო და უფრო ხმამაღლა ვმღერივარ. უცბად, ზედ ლაფაროსთან დაიჩხავლა ტურამ... მარტო დარჩენილხარ ოდესმე ტყეში?.. თუ არ დარჩენილხარ, იმასაც ვერ მიხვდები, რა შიში ვჭამე. ხმა ჩამივარდა!.. შეშა გამომელია და გარეთ გასვლას ვერ ვბედავ. კარი ადრევე მივხურე, ოღონდ საგდული აქვს გატეხილი და კარგად არ იკეტება. აქამდე ამისათვის ყურადღება არავის მიუქცევია, ახლა კი მეჩვენება, წუთით წუთზე შემოვარდებიან ამ კარში და ცოცხლად გადამყლაპავენ. ბედი არ გინდა, იარაღიც არაფერი მაქვს. ერთადერთი ცული შემრჩა. სხვა რა გზა მქონდა, ნარზე წამოვწექი, მამაჩემის ნაბადი ზევიდან მოვიხურე, ის ცული კი გვერდით მოვიწვინე, თან ტარი ორივე ხელით ჩავბღუჯე, ვინძლო სადმე არ გამქცეოდა. ვწევარ ასე და ყურს ვუგდებ. ისმის გაუთავებელი წკავწკავი, მოთქმა, ყმუილი, კივილი, ფხრაწუნი, შრიალი... ზოგი ხმა მართლაც ისმოდა, ზოგიც ალბათ მეჩვენებოდა და რა ეშმაკი დამაძინებდა. მაინც ჩამთვლიმა. სიბნელეში გამომეღვიძა. ცეცხლი მინავლებულიყო, ნაკვერჩხლებილა ფშუტუნებდა. კოჭობი კი ალბათ ჩაილია... არ გათავდა ის ღამე, მიიზლაზნებოდა აუჩქარებლად... მე კი ისევ ისე ვწევარ, ზურგით კედელს ვებჯინები, ხელი ცულისათვის ჩამივლია. მხარი დამიბრუჟდა, მაგრამ გვერდის შენაცვლებას ვერ ვბედავ. ვაკვირდები სიბნელეს და ქოხში თაგვიც რომ გაფაჩუნდეს, გული გამისკდება... ბოლოს და ბოლოს დაღლილობამ თავისი ქნა. არ მახსოვს, როდის ჩამეძინა... თვალი რომ გავახილე, ქოხში სინათლე შემოპარულიყო. ტყიდან ნელი შრიალი მოისმოდა, დილის ნიავი ფაჩუნობდა ტოტებში... გათენდა! კინაღამ ვიყვირე, ისე გამეხარდა და ფეხის ხმაც ამ დროს გავიგონე. რამდენიმე საფეხურიღა ჰქონდა მეტყევის ქოხს და იმ საფეხურებზე ვიღაცა მძიმედ ამოდიოდა, ტვირთქვეშ მოკაკვული კა-

ცი რომ ამოვა, ისე. წამოვიწიე, თან ხელთ ცული მიპყრია. ის ვილაცა კარს მოაწვა და ცული ამ დროს გამახსენდა. შემრცხვა, დამინახავენ და სიმხდალეში ჩამითვლიან-მეთქი, . ცული შორეულ კუთხეში მოვისროლე და მხიარულად გავძახე: „მობრძანდით!“ კარი გაიღო და... უზარმაზარი დათვი შემობაჯბაჯდა...

ათიოდე წამი ვიჯექი ალბათ. გონებას ძალას ვატანდი, ამ ნაამბობს მარილი სად აქვს-მეთქი და უცებ გამეცინა. იოსებ ბჟალავამაც ჩაიცინა, ოღონდ მოკლედ, ჩატეხილად, მიუჩვეველივით.

— ხომ გითხარი, გაგაცინებ-მეთქი!.. ახლა კიდევ უნდა გაგაცინო!.. თავიდან ვთქვი, ორმოცი წელიწადი ისე ვიმუშავე, შვებულება არ მღირსებია-მეთქი... ტანით პატარა გამოვედი, მაგრამ უბედურის ერთი კი ვიყავი. მამაჩემს მოკლე პეტრეს ეძახდნენ, მაგრამ ისიც უბედურის ერთი იყო. ჩხუბი იცოდა, წინ რომ დევგმირი აყუდებულიყო, თავურით ჩამოიღებდა ძირს. ჩვენს გვარში ყველანი ასეთები ვიყავით, მოკლე ტანისანი და უბედურის ერთები... მეგონა, რაკი მოკლე ვარ, კომკავშირში არ მიმიღებენ-მეთქი. თუ არ მიმიღებდნენ, თავი უნდა მომეკლა, ასე მქონდა გადაწყვეტილი... ამას წყალი არ გაუვიდოდა... კრებაზე გულისფანცქალით შევედი. კალთის ქვეშ ფიცრის ნაჭერი დავმალე. როცა გამომიძახეს, იმ ფიცარზე შევდექი, თან თითის წვერებზე ავიწიე... მაინც მოკლე ვჩანდი!.. მიმიღეს, სულ ზეპირად ვიცოდი წესდება და პროგრამა და რატომ არ უნდა მიველეთ, მაგრამ მოკლე რომ ვჩანდი, იმიტომ მეშინოდა... იმ დღიდან, ორმოცი წელი, რაც კრება და თათბირი მოუწვევიათ ლაკადიდან ჭურიამდე, ყველას დავსწრებივარ... აბა!.. ომი რომ დაიწყო, შენო, მითხრეს, ჯავშანი გაქვსო და ფეხი არ მოიცვალოო. მაშინ თავმჯდომარეებს ჯავშანი ჰქონდათ... რევოლვერით მივუვარდი კომისარს, თვალებში ხომ არ გეპატარავები-მეთქი. იმან უხეში სიტყვა მკადრა, აქაოდა, ეს რევოლვერი [illegible] ირჭეო... ენა ჰქონდა მწარე და თავის ენას გადაჰყვა კიდეც. მე კი მდივანთან მიჩივლა, რევოლვერით მემუქრებოდაო. აგერ კაცი, ტყვიას რომ არ ეპუებაო, გაეცინა მდივანს და სამწლიანი ფრონტი აქ გამიხსნა. იარაღით ხელში ტყე-ტყე დავდევდი დეზერტირებსა და ხალხის მტრებს... ახლა უნდა გაცინო!.. ერთი ვინმე ზაქრუა გავარდა ყაჩაღად ჯერ კიდევ ომამდე, მთავრობასთან მოუვიდა ჩხუბი. ომი რომ დაიწყო, შემოგვითვალა, მე ჰიტლერის დედა ვატირე, შემომირიგეთ და ფრონტზე წავალო. თანხმობა შევუთვალეთ და ადგილიც დავუთქვით, სადაც ჩაგვბარდებოდა. ყოველი შემთხვევისათვის, მახე დავუგეთ, აბა, ყაჩაღის სიტყვას როგორ ვენდობოდით. მიხვდა, რასაც ვუპირებდით და არ გვენდო. ატყდა ერთი ბათქა-ბუთქი. ტყვიის შიში მაშინ არ ვიცოდი რა იყო. გაგვექცა, მაგრამ სამი დღე ვსდიე ფეხდაფეხ. გაუვალ ჭაობში მივიმწყვდიე. დაჭრილი იყო და ვერ გამოზომა. ისეთ უძირო ტლაპოში ჩავარდა, ვინც მანამდე ჩავარდნილა, ალბათ ჯოჯოხეთამდე უწიეს უკვე. გნებდებიო, დამიძახა. მჯერა-მეთქი, ვუპასუხე და იქვე ჩამოვჯექი. მეც ხომ დავიღალე ამდენი დევნით. ადამიანი არა ხარ, ხელი გამომიწოდეო, შემეხვეწა. ხალხის მტერი ხარ და ხელი როგორ გაგიწოდო-მეთქი, ვუპასუხე. მიხვდა, აღსასრული რომ მოადგა. ახალგაზრდა ხარ, მოკლევ, და იმიტომ მწირავ იოლად, იცოდე სიბერეში გაგახსენდები და გამწარდებიო, ამის თქმა მოასწრო. პირი რომ ლაფით აევსო, თვალებში ისევ შიში და მუდარა ედგა. იქნებ კიდევ ჰქონდა რაღაცის იმედი. მე კი შევცინე და გულმშვიდად გამოვბრუნდი!.. სასაცილოა?.. სიბერეს გაგიმწარებსო!.. აგერ სიბერეც მოვიდა, მე კი დღევანდელ დღეზე უფრო მახსოვს... ახლაც ვიცინი, ვიცინი...

---

**ჯემალ ქირია**
მოკლე

იცინოდა? ვერცხლის კბილები მოუჩანდა გახსნილი ბაგეებიდან, სახის კუნთებს ჩვეული ფორმა დაჰკარგოდა, მაგრამ ეს არ ჰგავდა სიცილს. შემზარა ნაამბობმა, თუმცა იგონებდა ალბათ... საათზე დავიხედე და წასვლა დავაპირე.

— გეჩქარება?.. მთავარი კი არ მითქვამს... შვებულება არ ამიღია-მეთქი, მთლად მართალი არ არის. ერთხელ მომცეს შვებულება, ცხრაას ორმოცდაშვიდში... მოსავალი ავიღეთ, დავაბინავეთ, ყველა მაჩვენებელი რიგზე მქონდა და ერთი მეც დავისვენებ-მეთქი, ვიფიქრე... ოღონდ ვინ გაცალა!... იმ დროს ქვიშა უჭირდა რაიონს. კარიერი გამოილია თურმე. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ. ძნელია კაი ქვიშის შოვნა. ერთი ვიღაც ბუკია იყო, შენ არ გეცნობა, დიდი ხანია, მოკვდა, ჰოდა, იმ ბუკიას უთქვამს, ოღონდ თავმჯდომარე ბჟალავასთან არ გამამხილოთ და მე ვიცი სადაა წმინდა ქვიშაო. დაადო თურმე კურდღლის ჭალას ხელი. იქ ყოველ წელიწადს ხუთ ჰექტარზე ისეთი სიმინდი მეთესა, რაიონში გამორჩეული. შიგ ცხენოსანი ლაშქარი დაიმალებოდა. კოკისპირული რომ მოსულიყო, ზედმეტი წყალი არ გაჩერდებოდა, გვალვის დროს კი მორწყვას არ ითხოვდა. არც სასუქი შემიტანია გრამი. მოსავალი კი, როგორც ბებიაჩემი იტყოდა, ისეთი მოდიოდა, თითქოს ღმერთს გადმოებერტყა თავისი კალთა..· შემიწყვიტეს შვებულება, გამომიძახეს მდივანთან. ასე და ასეა საქმე, დღესვე ხალხი წაიყვანე, გადახსენი მიწის ფენა და ქვიშა გამოაჩინეო. გამისკდა გული, მაგრამ რას ვიზამდი. მთავრობა რომ გიბრძანებს, სხვა რა გზა გაქვს!.. სად იყო ტრაქტორი და ბულდოზერი, ან ექსკავატორი! ახლა ერთი ძირი ხე რომ დარგო, იმისი ორმოს ამოჩიჩქნა გვიჭირს. მაშინ კი სოფელში ქუდზე კაცი შევყარე, ვსტაცეთ ხელი ბარებს და ეს ხუთი ჰექტარი მიწა კაცის სიმაღლეზე გადავხსენით. თურმე ქვეშ მართლაც ქვიშა იყო, ისეთი წმინდა, გაცრა არ სჭირდებოდა...

— იმ ჭალას რა დაემართა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რომელ ჭალას? — უცებ ვერ მიმიხვდა იოსებ ბჟალავა. — აჰ, იმას?.. ჩამოვწერეთ! ეკალბარდები მოედო და მართლაც საკურდღლია გახდა... სასაცილოა, ხომ?

ვაგრძნობინე, ახლა კი ნამდვილად უნდა წავიდე-მეთქი, ისედაც წამიხდა გუნება და მეტი არაფრის მოსმენა არ მსურდა. მან კი მკლავზე მომქაჩა.

— მეტ დროს არ დაგაკარგვინებ!.. წასვლის წინ ერთიც უნდა გაცინო, მოკვდები სიცილით! შვებულება მომცეს მეთქი, რომ გითხარი, იმ დროს ერთი ამხანაგი მყავდა, კალე ერქვა, დიხამინჯია. ერთად ვათენებდით და ვაღამებდით. ისიც პარტმუშაკი იყო, დიდად ენამოსწრებული და ხუმარა კაცი. მეც კაი ხუმარა ვიყავი, მაგრამ იგი მიგებდა სიტყვაში. მე ერთს ვიტყოდი, ის სამს მეტყოდა. კვიმატი ვიღაცა იყო და მჯაბნიდა. მე რომ შვებულებაში გავედი, იმავე წელსა და თვეს იოსებ სტალინიც გავიდა შვებულებაში. გასაკვირი ამაში რა იყო, დაიღალა კაცი, ამოდენა ომის ხელმძღვანელობა იოლი საქმე ხომ არაა!.. ამ კალეს, თურმე, მეგობრებში უხუმრია, იქ იოსებ სტალინი გავიდა შვებულებაში, აქ ჩვენი იოსებ ბჟალავა, რა ეშველება ახლა ქვეყანასა და რაიონსაო. ბევრი უცინიათ თურმე. გავიგე ეს ამბავი და ვიფიქრე, ახლა ვიყრი შენს ჯავრს, ვნახოთ თუ არ დაგაჩოქე-მეთქი. წავედი რაიკომში. თათბირი იყო და იმ დროს მივუსწარი, როცა უკვე გამოდიოდნენ კარიდან. როგორც კი კალე გამოჩნდა. ზურგი შევაქციე და წამოვედი. „ბიჭოს, ეს ჩვენი იოსები არ არის?“ — მომესმა კალეს ხმა. ყურადღება არ მივაქციე. დამეწია და მკლავზე ხელი მტაცა. „იოსები არა ხარ, ბიჭო? რო გარბიხარ, გამარჯობა დაგავიწყდა?“ წარბები შევყარე და მკვახედ შევეპასუხე: „შენც შეგარცხვინა ღმერთმა და შენი გამარჯობაც! ენა რომ გადმოგიგდია, ამხანაგო, ქუჩაში და ლაქლაქებ, ზომა არ უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცოდე?!“ გაოცებისაგან თვალები დააჭყიტა კალე დიხამინჯიამ, „რა იყო, შე, კაცო, რა დავაშავე ისეთი?“ „რა იყო და, შენ თუ არ გენანება შენი ოხერი თავი, მე მაინც რატომ არ გებრალები? როგორ გაბედე, ამხანაგო, მე, პარტიის ერთი პატარა ჭანჭიკი, დიდ სტალინს რომ შემადარე, რანაირი ხუმრობაა ახლა ეს?!“ მიყურებს ეს ჩვენი კალე, ენა მუცელში ჩაუგდია, ჰაერი არ ყოფნის, ალბათ მეტი მომივიდა. კალე დიხამინჯიას უცბად ყბა ჩამოუვარდა, სახე მოეღრიცა და ამოდენა კაცმა ძირს მოადინა ძნეყვა... გეხუმრე, ბიჭო, გეხუმრე-მეთქი, ჩავძახე, მაგრამ მტერმა გაიგონა ისე...

— მოკვდა?

— სიკვდილს კი გადაურჩა, მაგრამ ერთი თვე არ გამოსულა საავადმყოფოდან. მას შემდეგ, შემხვდებოდა თუ არა, ყბა ჩამოუვარდებოდა ხოლმე. ათი წელი კიდევ იცოცხლა მაგ საწყალმა. სამსახურს კი მაშინვე დაანება თავი... ხომ სასაცილოა, არა!..

— დიახ, სასაცილოა! — გაოგნებულმა კვერი მექანიკურად დავუკარი. მან კი კვლავ გამოაჩინა თავისი ვერცხლის კბილები და ისეთი ბგერები გამოსცა, თითქოს ტაფაზე დანის პირს აჩრიალებდა. მივხვდი, იცინოდა... შინისაკენ მივდიოდი, თან უკან-უკან ვიხედებოდი. იოსებ ბუალავამ თვალები კვლავ მილულა, სახე მზეს მიუშვირა... მხრები ჩამოეყარა... მოცლილობის მძიმე ტვირთი არ იცოდა სად წაეღო...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თამაზ მეტრეველი

●

თქვენ საქართველოს ვინც აშენებთ, ვინც აცისკროვნებთ,
რა ძვირად გვიღირს თქვენი სისხლი, თქვენი სიცოცხლე.

დალოცვილიყოს თქვენი კერა, თქვენი აკვნები,
ანთებულიყოს მეცხრე ცაზე თქვენი ტაძრები.

მინდა მჯეროდეს რომ ბოლომდე ლელოს გაიტანთ,
რომ თვალს ამიხელთ, გამომიყვანთ ამ სიზმარიდან.

თქვენ ვისაც გქვიათ ახალი და ნაღდი თაობა,
დაგბედებოდეთ ქარიშხლების გამბედაობა.

ჩვენი მამულის ჩაგებლუჯოთ ხელში სადავე,
დაგყვეთ მგლის მუხლი, ვეფხის სისხლი და სისადავე.

თქვენ საქართველოს დღევანდელი ხართ კელაპტრები,
მიყვარხართ, მწამხართ, მენატრებით და მენაღვლებით.

●

ჯერ ისევ ვიცდი, ჯერ ისევ მჯერა,
ამ ჯადოსნური სივრცის და რკალის...
თუმცა მწყურია ღრუბლებში ფრენა,
თუნდაც სულ ერთი, სულ ერთი წამით.

თქვენ კი დამდევთ და საოცრად
სწუხართ,
და ძველებურად მიდულებთ ყავას,
დამტვერილ ფურცლებს, დაკარგულ
სურათს,
მაჩეჩებთ ხელში, მაბრალებთ ღალატს.

განა მე მსურდა წარსული წლების,
გადაყვითლებულ ფოთლებად ქცევა?
ტყუილად სწყრებით, ტყუილად
სწყრებით,
ლამაზი არი ეს ფოთოლცვენა...

ელისო ზარიძე

# ოქრო შიო

მოთხრობა

იშვიათად ახსოვდა ასეთი თებერვალი. ჯერ გაზაფხულს ერთიც არ გამოეჭვრიტა. ჯერ ისევ შუაგულ ძილში იყო და არხეინადა ფშვინავდა. ისევ გაგანია ზამთარი იდგა, გვერდებამოკეცილი ფუმფულა საბანში საგულდაგულოდ ჩათბუნებული. ჯერ ისევ საზეიმოდ ცეკვავდნენ ფანტელები. დიდ გულზე იყო თებერვალი. რა დროს გაზაფხული იყო! არა და, ერთი სული ჰქონდა, როდის დათბებოდა. მისი ერთი ბეწო ჯიხური ყინვაში ისე იყო ალაპლაპებული და სველი თოვლით გადაგლესილი, ლამის სულაც ყინულის ლოლუად ქცეულიყო. სველი, გაზეპილი, ლურჯად აალებული თოვლი ედო. იმოდენა, რომ ლამის დაეტანა და ქვეშ მოექცია. ან როგორ უძლებდა! თითის სიგრძე ხუხულა იყო, მაღაზიის კედელს მიკრული, მიჭყლეტილი, ღარიბი ნათესავივით მიტმასმნილი. თხელ, კოჟრიან ფიცრებს ლანდი გასდიოდა. ჭუჭრუტანებში თოვლი და წვიმა ატანდა. არც გადაუთოვლია, სიცივეს დაიჭერსო. გახედა და შეეცოდა. მაინც შუბლგახსნილი და უჩვეულოდ გადაბადრული მიაბაკუნებდა ყავარჯენს. იმ ყინვაში მკერდი გადაეღელა და დილის სუსხს რაღაცნაირი სიამით უშვერდა.

— გამარჯობა, ოქრო შიო! — თბილად ულიმოდა შოფერი იასონა. — ნახე სტენდი?

— ვნახე.

— მოედანზე, კაცო! ყველას თვალწინ! გაივლიან, შეხედავენ. გამოივლიან, შეხედავენ. როგორია, ჰა?

— იქაც ვეკიდე, კანტორაში.

— იქ, რა! მოედანზეა, რაც არი! მართლა ოქრო ხარ, რა! ჩემი ცოლი ამბობს, ეგ რო ტუფლის ქუსლს გააკეთებს, მერე ძალითაც ველარ გააფუჭებო. ტუფლი ცვდება და ქუსლი რჩებაო. ალალია!

იცინოდა. წამოვიდა და შორიდან რომ გახედა თავის ჯიხურს, ერთბაშად რაღაცამ ატკინა გული. აბა, რა სახელოსნო იყო, თვალმიუვალი. გული არ მიგიწევდა, რომ მისულიყავი, სარკმელში ხელი გადაგეყო და ფეხსაცმელი გადაგეწოდებინა. მაგრამ მაინც ზედ გულზე ეკიდა. თავისი ყავარჯენივით იყო მიჩვეული და პაწაწინა მყუდრო ბუდესავით შიგ მოკალათებულიყო, ულაზათო დაუძახე შენა! ხომ მოდიოდნენ მაინც. მთელი დაბა მოდიოდა. ნაცნობი და უცნობი სულ ერთსა და იმავეს უმეორებდა: „ოქრო შიო, ერთი შენებურად დააგვირისტე... „გადმოაწვდიდნენ მოფლაშულ, ლანჩაამძვრალ, უკვე ფერშეცვლილ და მობრეცილ ფეხსაცმელს: „შენი ხელი დაატყვე, ოქრო შიო, ერთი შენებურად გამიხალისე..." ისიც იჯდა და მშვიდად, გულდაგულ აკერებდა და ჰგვირისტებდა. ახლა კანტორაში! ოღონდ შეევლო, ოღონდ რამე მოეკითხა, თვალსა და წარბში შეჰყურებდნენ. გუშინაც, კრებაზე, ძალაზე ედგნენ, არ გაინტერესებს, გეგმა რამდენი გაქვსო? რაში აინტერესებდა, შეასრულებს კი და! რამდენიც უნდა ჰქონდეს. რამდენი კლიენტიც მოუვა, რამდენ ფულსაც დააგროვებს, აქ არ იქნება! მაინცადამაინც ყველაფერი სულ მისხალ-მისხალ უნდა თვალო და წონო. ზოგიერთი ისეთი კლიენტიც გამოერევა, რო ეტყვი, სამოცი კაპიკიო, აილებს და მანეთიანს დაუგდებს, რამდენიც უნდა იყაროს, ხურდას არართმევს. ერთი უჯრა აქვს და ფულსაც ერთად ინახავს. თვის ბოლოს წამოკრიფავს და მიადგება მოლარეს. ყველაზე მეტი შენი გამოდისო, იცინის ხოლმე მოლარე, რაღაცნაირად შემკრთალი და აწრიალებული. სხვებზე ორჯერ, სამჯერაც მეტიო. გამოვიდეს! მარტო ის რად ულირს, იმის სურათი მოწინავეთა დაფაზე რომ გააკრეს და აღარც ჩამოუღიათ. ეხლა კიდევ, ზედ მოედანზე გამოჭიმეს. კაცია, ქუდი ხურავს. ამ ერთი ბეწო დაბაში ყველა ერთმანეთს იცნობს, ყველა თავისი ახლობელი და ნათესავი ჰგონია, ყველას ასავალ-დასავალი იცის, ყველას ჭირი და ლხინი. ღალატი იქნება!

ბარდნიდა. გულიანად, მონდომებით ეკვროდნენ ფანტელები ერთმანეთს, ლამის ჰაერშივე ეხუტებოდნენ და მერე სველ თოვლს ეგლისებოდნენ. თვალდათვალ სქელდებოდა ის სველი თოვლი. რომ შეხედავდი, ისე იყო მოლიპული. გეგონებოდა დნობა უნდა დაიწყოსო, გაიხედავდი და ისევ არ წაუყინავდა! ჯიხურის წინაც ლურჯი ყინული ლაპლაპებდა. ყავარჯნის წვერით ამსხვრევდა ხოლმე და სხეულში უსიამოვნო ჟრუანტელი უვლიდა. სანამ გაჯიუტებული კლიტით კარის გაღებას ლამობდა, სულ გადაუთეთრდა მოხრილი მხრები. ის კლიტე მაღაზიიდან გამოსულმა კაკოს პატარა ბიჭმა გაუღო. წარამარა სარკმელში თავს რომ გადმოჰყოფდა და დაუძახებდა: „ძია ოქრო შიო... აქვე ედგნენ, გვერდით კი არა, ქუჩის გადაღმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმათი სახლის ფანჯრები სწორედ იმის ჯიხურს გადმოსცქეროდა.

შევიდა და აფუსფუსდა. წინსაფარს გადასწვდა. ელექტროქურაზე წებო შემოდგა, სადგისს წვერი ხელისგულით მოუსინჯა. შესაკეთებელი ფეხსაცმელი ხელში წალმა-უკუღმა შეატრიალა. ქალის სქელლანჩიანი ფეხსაცმელი არ უყვარდა. ეს რა ქალის საკადრისიაო. ქალს ნაზი, წვრილქუსლიანი ფეხსაცმელი უნდა ეცვასო. აიმრიზა და უცებ ელიკო გაახსენდა, იმ სქელლანჩიანი ფეხსაცმლის პატრონი. ელიკოს სქელი ფეხები ჰქონდა, თან მარილებისაგან საცოდავად დაკოშტებული და დაბუშტული რაღაცისა შერცხვა მოღალატე კაცივით. აბა, ელიკო წვრილქუსლიან ფეხსაცმელს ჩაიცვამსო? და ჯერ იმის ტუფლის დაკერება გადაწყვიტა. ცხვირწინ დაიწყო და სწორედ მაშინ არ შემოვიდა კაკო, მეზობელი! შემოვიდა კი არა, კარი შემოდლლიზა და გაჩაჩხული დევივით დაეყუდა. კაცმა შეხედა და გაშრა. უბღვეროდა კაკო. დაბოლმილი ჩამოსცქეროდა, არც მისალმებია. თვითონ დაასწრო:

— გამარჯობა, კაკო, რა იყო?

კი არ დაილაპარაკა იმან, დაიბუყუნა, დუდილშეპარული საარაყე ქვაბივით:

— როდის მოვა ის ბიჭი!

— ვინ ბიჭი...

— ის... რა ვიცი, ვინ არი, ვინ აიკვიატე!

— ისა? — ძლივს გაიღიმა კაცმა. — რა ვიცი, მოვა.

— აი, რას გეტყვი, შიო: კაი კაცი ხარ და ტყუილ-უბრალოდ ნუ გადამიმტერებ. იმ ბიჭის ფეხი აქ აღარა ვნახო! ლანდი! ჩრდილი! იცოდე, ჩემ გოგოს ხმა რო გასცეს, ორივეს ჩემთან გექნებათ საქმე, შენცა და იმასაც! ერთი უბრალოთ რო გაელაპარაკოს...

— რა იყო, მაჰარია. მაგის ხნისა არა ყოფილხარ?

— რა ქომაგათ უდგები? ვთქვი და გავათავე. კონცერტებს მიწყობთ აქა! ერთი რო გაელაპარაკოს...

— გაელაპარაკოს არა...

— ლანდი! ჩრდილი! — გასწორდა, ჭერსა ხეთქა თავი. მოიხარა. გინება ენის წვერზე ეკიდა. გავიდა და კარი ღია დატოვა.

კაცს უცებ ჩამოუღამდა სახე. გულში თითქოს რაღაც ჩასწყდა. მერე გაბრაზდა: ამას არ უყურებ, როგორ აგუგუნდა! ყავარჯენს მაინც ვერა ხედამდა? განა ხელიც მაკლია! იმუქრება აქა! ბიჭი გოგოს გაელაპარაკა, საქმედ არ გახადა? როდის მოვაო! როცა მოეგუნებება, მაშინ მოვა!

— ოქრო შიო! — დაუძახა ვიღაცამ. გამოაღო სარკმელი, გახედა. კატუშას ბიჭი იყო. ტრაქტორისტი. იმის სურათიც მოედამზე ეკიდა. — საბურავი დამეხა, ოქრო შიო, სალამოზე მოვიდე? — ფეხი ასწია და გვერდგარღვეული ფეხსაცმელი დაანახა.

— მოდი.

გარედან თეთრი და სქელი ჰაერი შემოდიოდა. ცივი, მსუსხავი ნაპერწკლები სცვიოდა და ტყავისა და წებოს სუნს ერეკებოდა. ის სუფთა ჰაერი ჩხვლეტდა, ნესტოებში უღიტინებდა, აბრუებდა, მაგრამ მაინც არ ჩქარობდა სარკმლის მიხურვას. თეთრი ფანტელებით მოდებულ, აბარგანავებულ ქუჩას გახცქეროდა. მერე უგულოდ, ზანტად სანთლავდა ძაფს, სიფრიფანა ლურსმანს არჩევდა, ჩაქუჩს გულმოსული უტყაპუნებდა და სულ იმ ბიჭზე ფიქრობდა: ბოლოს რომ მოვიდა, ერთი ბოთლი არაყი არ მოიტანა! შენთან უნდა დავლიო, ოქრო შიოო. ისხდნენ. ცივ ხაჭაპურს იღეჭებოდნენ. განა არა, ბიჭს თვალი სულ იმ მტკაველივით სარკმლისაკენ ეჭირა, უცებ წამოვარდა, ქუჩის იქით გადაფრინდა და კაკოს გოგოს წინ არ დაერჭო! პირღია დარჩა კაცი. გაყო სარკმლიდან თავი, როგორა ჭუკჭუკებდნენ! ღმერთი, რჯული, აუგი არაფერი უკადრებია, ქრისტეს მადლმა. ეს კიდევ: იმის ფეხი არა ვნახოო! უფროსად არ დაუდგა! აუგი რამე ეკადრებინა, ვინ მამაძაღლი, იდგნენ, ერთმანეთს შესციცინებდნენ... გაფხუკიანდა აქა!

სარკმელი უნდა მიეხურა, კაკოს პატარა ბიჭი რომ დაინახა. ისე საცოდავად გამოსცქეროდა, სახტად დარჩა კაცი. ისიც კი მოეჩვენა, ტირილს აპირებსო. ჰა და ჰა, საცაა ამოხეჩავსო. გასძახა:

— რა იყო, ბალღო, შენც მამაშენმა ხო არ დაგცოფა!

თვალი აარიდა ბიჭმა.

— წადი, იცურავე. რა პირი დაგილია.

— ციგა დამიმტვრია...

— ვინა...

— მამაჩემმა.

— აბა, ერთი მაჩვენე.

შემოვიდა. შემოათრია ციგა. სიცივისაგან წითლად ალანძულ ლოყებზე ცრემლი ჩამოსდიოდა. არ აცლიდა ძირამდე ჩაგორებას, გალურჯებული, დამსკდარი ხელებით იწმენდდა იმ ცრემლს, ზედ ლოყებზე იგლესავდა. უცინოდა კაცი:

— მიყურე, ერთი, როგორ მოგისულიერო ეს შენი ციგა. ახალზე კარგი უნდა გაგიხადო. ეგ დიდი ჩაქუჩი მომაწოდე, ერთი. ეგე, ყუთში გდია. დაუკოჭლებია და ეგ არი. ჩემსავით უფეხო არ გაუხდია! დაუშავე რამე?

— ნწ...

უგუნებობამ გადაუარა. გადაავიწყდა კაკო. კიდეც გაამართლა გულში: რა ვუყოთ, ყველას თავისი საწუხარი აქვსო, თავისი თავში სახლელი ქვაო, მამაო, შვილზე ზრუნავსო. მაშ, სხვანაირად როგორ იქნებაო? მოვა დღესხვალ, შემომხედავს ამ ჯიხურში და დაირცხვენსო. როგორ ავპილპილდი კაცოო, ეტყვის. ეს რა ღმერთი გამიწყრაო?.. სულ მოიდარა. ელიკოს ტუფლის დაკერებას რომ მორჩა, ან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზდად უსახელო ქეთოს მაღალქუსლიან ქოშებს დასწვდა და უგემურად დაიჭყანა. იმ ქალმა ქალაქში მამისტოლა კაცს ცოლშვილი დააყრევინა და დაბაში გამოიტყუა! ორ კვირაზე მეტია იმისი ქუსლებდატყავებული ქოშები ეგრე ეყარა, ხელუხლებლად. გული არ უშვებდა, რომ გაეახლებინა. სალამოზეო, ხვალაო, ზეგაო, თავის თავს ატყუებდა. გაახვია ის ქოშები გაზეთში, გვერდით გადადო და გაიღიმა: რომ მოვა ქეთო, ადგება და იტყვის, ქალაქში კარგი ხელოსნები არიან, იმათ შეაკეთებინეო. მერე პარიკმახერი ლენას ჩუსტებს აკერებდა და გულში ელაპარაკებოდა:

— ხუ რწყილივით რო დახტუნაობ, გაილევა ეს ამხისქე ძირი, მა რა მოუვა? თანაც, როგორ გვერდზე აგიცვეთია! ქალი დინჯად უნდა დაიარებოდეს. საწყალი დიმიტრი მეტი შრომისაგან წელშია გადუნული. წელიწადში სამი წყვილი ტუფლი არ გაგიძლებს...

—გამარჯობა, ოქრო შიო! — შემოსძახა დალაქმა მალხაზამ. შემოვიდა და ღვინის ხუნი შემოიტანა. — ღვინო არ დავლიოთ მე და შენა? თუ აღარა მკადრულობ, ამბობენ, ახალ სახელოსნოს უშენებენ, გაზაფხულზე გადავაო.

ულვაშებში ჩაიღიმა კაცმა. უშენებდნენ. აკი გადახურეს კიდევაც. წარამარა მიიპარებოდა და უყურებდა ხოლმე, როგორ აშყავდათ კედლები, რამსიმაღლეზე. მერე ჰერსა ხურავდნენ, ღებავდნენ... არც კი სჯეროდა, რომ იმ ლამაზ შენობაში იმის ოთახიც იქნებოდა. ოთახი და თანაც როგორი! სარკეებიანი, ონკანებიანი, რიგიანი მაგიდებით ჩამწკრივებული. ახალთახალი ხელსაწყო-იარაღებით დამშვენებული. თბილი...

— უნდა მოგიტანო და ტიტველა ქალების სურათები გაგიკრა, — იღრიჭებოდა დალაქი მალხაზა.

— რათ მინდა...

— გეერთობი. მთელი დღე ამ სოროში გდება არა გბეზრდება?

რა მომაბეზრებსო, გაიფიქრა, კაცმა. აგერა, რამოდენა ფეხსაცმელები მახვევიაო.

ჭიკჭიკებდა დალაქი მალხაზა:

— იქ რო გადახვალ, ახალში, უნდა დავასველოთ. ქვეშიდან კი არ გამოხვიდე! მე მოვხდი.

— რასა...

— ქვევრსა, რასა!

და გარეთ, ქუჩის გადაღმა, კაკო ყვიროდა. იგინებოდა კაკო. ხალხის ყაყანიც შეესმა და წამოვარდა კაცი, ყავარჯენს გადასწვდა და ეგრევე, უქუდოდ გააბაკუნა. კაკოს გინება მისწვდა:

— ვინ აიკვიატე, მე შენი...

ვერც კი იაზრა, მისკენ რომ იწევდა კაკო და რომ იჭერდნენ. ბაიბურშიაც არ იყო. რაღაცნაირად მობუზულმა დაილაპარაკა:

— რა მოხდა, ბალღო...

— კაკოს გოგო მოიტაცეს, კაკოსი — ვიღაცამ ჩასძახა ყურში და იგრძნო, როგორ ციებ-ცხელებიანივით შეაძაგძაგა. [illegible] აქეთ დალაქი მალხაზა აიქოჩრა: [illegible], ვინ გაბედავს ოქრო შიოს ბუზი აუფრინოსო! მილიციის მანქანა რომ მოვიდა და გვერდით მიდგა, თოვლში, კაკო ერთბაშად დაუსხლტა შეგროვილ მეზობლებს, იმ მანქანასთან მიიჭრა და მისკენ გაიშვირა ხელი:

— ეგეც ჩააყუდეთ! ერთად გაილეშებოდნენ! მაგას დააკაკვლინეთ ყველაფერი! მერე მილიციის სამორიგეოში იჯდა. დაქანცული სახე ჰქონდა. ჰკითხეს:

— აბა, ძია კაცო, რა იცით ამ საქმისა?

— რა საქმისა...

— მართლა იცნობთ იმ ბიჭს?

— მართლა.

— ვინ არის?

— რა ვიცი, ქალაქელია.

— თქვენთან რა უნდოდა?

— მოდიოდა ხოლმე. ისე...

— როგორ, ისე?

— ისე... ერთი-ორჯერ ტყავი მომიტანა.

— რის ტყავი!

— ტყავი. საპირე.

—მოგყიდა?

— მა, ხო არ მაჩუქებდა!

—გოგოს მოტაცებას უპირებდა?

— მოტაცებას, არა...

და ვიღაცამ ამბავი შემოიტანა:

— არაფერი, კაცო, თვითონ გაჰყოლია გოგო. წერილი იპოვეს, მიყვარს და მივდევო.

მოეშვათ გულზე. გაიცინეს. ამანაც გაიცინა. ვიღაცამ მხარზე ხელი დაუტყაპუნა, — შეგაწუხეთ, ძია კაცოო. ადგა, რა უშავს, ბალღო, ხდებაო. წავიდა კარისაკენ რაღაცნაირად სასიამოვნოდ მოთენთილი, მოდარებული. ყავარჯენს მხიარულად მიაბაკუნებდა და უცებ:

— მოიცა, მოიცა, რას ამბობდი წელან, ტყავი ჩამოჰქონდათ? მაშ, უფაქტურო საქონელი გქონდა, არა? აბა, ერთი, აქეთ მობრძანდი!..

. . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ყველაფერი ერთად შეაგროვა კაცმა, რაც თავისი იყო და რისი წაღებაც შეეძლო. ბოლჩაში გამოჰკრა. ჭიისაგან დაღრღნილ, ყავისფრად ჩამოფქვილ ფიცრის კედლებს ხელი აუსვ-დაუსვა, სამფეხა მაგიდასაც მიუფათურა, თავისავით ხეიბარს, ერთი ფეხის მაგივრად აგურები რომ ჰქონდა შეწყობილი: გამოვიდა და იქვე, კართანვე, კაკო დახვდა ატუზული:

— მაშ, მოგხსნეს...

— დღესვე გადააბარეო, — კაკოს კი არა, ჯიხურს შესცქეროდა კაცი. — მენანება, ეს ტიალი.

— იმ ოხერი ტყავის გულისთვის... რამ გაყიდვინა!

— შოფერი იასონას მამა ხო იცი? სოლომონა. ჩექმას არი მიჩვეული. ჩიოდა, ქალაქ ველარ ჩავდივარ, რო შევაკერინოო. შევუკერავ და ვუფეშქაშებ-მეთქი. იმში ერთად ვიყავით...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## დომენტი ახობაძე

### ჩემი მრავალჟამიერი

ახალგაზრდა პოეტებს

წლებთან ბრძოლებით დაღლილმა
რა ველი უნდა გადავხნა?
ამიტომ ვამბობ ხმამაღლა:
თუნდ მთები გადაიჭენოთ, —
ნუ მოხუცდებით, ბიჭებო!
ნუ მოხუცდებით, ბიჭებო!

სულ მაყვლისფერი დიოდეს,
სულ მაყვლისფერი დიოდეს —
მაყვალს ჩაგრავდეთ ქოჩრითა!
დავდიოდე და ვყიოდე:
ხარი დამდგარა მოზვრიდან!
ხარი დამდგარა მოზვრიდან!

ო, ერთხელ, ისიც წამიერ,
ო, ერთხელ, ერთხელ წამიერ,
ყანწი გამივსეს, დავლიე!
დავლიე, სუფრაც ავრიე...
ჩათავდა მრავალჟამიერ!
ჩათავდა მრავალჟამიერ!

გათავდა ჩემი აღმართიც!
აწი რა კორდებს გადავხნავ!
ამიტომ ვამბობ ხმამაღლა:
თუნდ მთები გადაიჭენოთ, —
ნუ მოხუცდებით, ბიჭებო!
ნუ მოხუცდებით, ბიჭებო!

### ქალიშვილები სამხატვრო გალერეაში

ვალერიან შიზანდარს

ყინავს გარეთ. ყინვისაგან ტკაცატკუცი გააქვს მთა-ველს,
ოდნავ, ოდნავ ლილისფერი მოსდებიათ შიშველ მკლავებს.

ვერც ფანტელებს, ვერც სიცივეს ვერ ხედავენ, ვერცა გრძნობენ
გახელილი თვალები და წამწამების ვიწრო ღობე.

ფოლადისფრად ელვარებენ სხეულები მათი მკვრივი,
მიწიერი მიწას დარჩა, ელავს მარტო ღვთაებრივი.

უკვდავებას უღიმიან, სხვა არაფრად აღარ უღირთ,
შიში არ აქვთ, რიდი არ აქვთ წუთისოფლის მძიმე უღლის!

სუნთქვით გრძნობენ, უკვდავება რომ ჭაბუკი არის ისევ,
და ტკბილ ამბორს არ აკმარებს ამ ზამთარში ასე შიშვლებს!..

ყინავს გარეთ. ყინვისაგან ტკაცატკუცი გააქვს მთა-ველს,
ოდნავ, ოდნავ ლილისფერი მოსდებიათ შიშველ მკლავებს!

აკაკი ჯორჯაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟამი მერყეობისა

(ნაწყვეტი რომანიდან „ნისლს ქარი ფანტავს")

ადამიანთა უმრავლესობას ერთი სული აქვს, როდის მიეცემა საშუალება, რომ ჩაჯდეს ავტომანქანაში, თვითმფრინავში, გემში თუ მატარებელში, და შემოიაროს სოფლები, ქალაქები ქვეყნები... არიან ისეთებიც, მოგზაურობა ჩვეულებრივ სამსახურებრივ მოვალეობად რომ გაუხდიათ და მათაც ერთი სული აქვთ, როდის მოელება ბოლო გაუთავებელ წოწიალს. მაგრამ მოგზაურობა მაინც მოგზაურობაა და თავის „ცუდთან" ერთად ბევრი კარგიც აქვს. ჯერ ერთი, უკავშირდები ახალ-ახალ ადამიანებს (თუნდაც — ცირა!), მეორეც, კიდევ და კიდევ ავლებ თვალს შენს მშობლიურ მიწა-წყალს, შენს მთებს და ველებს, შენს ტყეებს და ზვრებს... და მესამეც, უამრავი დრო გრჩება ფიქრისათვის, განსჯისათვის, შედეგების შეჯამებისათვის... ლევანს მიაჩნდა, რომ უმეტესად ასეთი ფიქრი სასარგებლოა და მოგზაურობისას ერთ მეტად დამაფიქრებელ დასკვნამდე მივიდა: ადამიანი ყოველდღიურ წვრილმანებში იფლანგებათ. ამ შემთხვევაში წვრილმანებად თვლიდა ზედმეტ ძილს, სიგარეტის მოწევას, ათასგვარი მიზეზით და უმიზეზოდ სმას და კიდევ უამრავ სხვა წვრილმანს, ყველას რომ ვერ გაიხსენებ და ყველას ვერ დაწერ; თუნდაც, ოთხი დღის განმავლობაში ვაგონში რომ იჯდა და ათი საყრდენი სადგური შემოიარა, რა ნახა ახალი? რა გაიგო ისეთი, რაც არ იცოდა? — გასახდელი კარადები არ ჰყოფნიდათ და არც ახლა ჰყოფნით, დასასვენებელი ოთახები არ ჰქონდათ და არც ახლა აქვთ, სასადილოები, აბანოები, მოწყობილი ბაქნები, მექანიზმები, ანუ მუშაობის ელემენტარული პირობები რასაც ჰქვია, არ ჰქონდათ და არც ახლა გააჩნიათ (წნორში სახმელი წყალი არ ჰქონდათ, არათუ დაბაბანი; მტვრით და მურით გათხვრილი ესტოკადის მუშები მწარედ იცინოდნენ, ასე რომ მიადგები ქალს, უკან არ უნდა გამოგატრიალონო?!). დიახ, ადამიანი ყოველდღიურ წვრილმანებში იფლანგება!.. ლევანი ახლა ამ აზრიდან გამომდინარე, ასეთმა კითხვამ გატანჯა: რა გვჭირს ამისთანა ადამიანებს, რომ ორიოდ წუთით მოვსულვართ ამქვეყნად, ერთხელ ამოსუნთქვას ძლივს ვასწრებთ, ხოლოდ მიქელ-გაბრიელი გვეპატიჟება თავისთან და მაინც, ბუნების, განგების, თუ მამაზეციერისაგან ნაბოძებ უნარს, ძალას, ჭკუა-გონებას, ნაცვლად საკაცობრიო საკითხების მოგვარებაზე ზრუნვისა, რაღაც არაფრისმთქმელ წვრილმანებში ვფლანგავთო (საკაცობრიოში, ლევანი, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს გულისხმობდა. ალბათ იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, შორს არ მიუწვდებოდა ხელი და მეორეც — კაცობრიობას საკუთარი თვალსაწიერიდან ხედავდა და იწყებოდა იგი საკუთარი ოჯახიდან, საკუთარი დედაქალაქიდან, საკუთარი საქართველოდან!..), თავისი დასკვნები ფაქტებითაც რომ გაემყარებინა, ახლა ცალკეული წვრილმანის დამუშავებას შეუდგა. ვთქვათ, რამდენ დროს ართმევს ადამიანს სიგარეტი!.. ჯერ ერთი, სიგარეტი ჯანმრთელობისთვისაა მავნე, მეორეც — ისედაც ცარიელ ჯიბეს უარესად აცარიელებს, მესამე (რაც ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნია!), ყოველთვის ვერ შოულობ ისეთს, რომ მოიწეოდეს! არადა, დადიხარ მაღაზიიდან მაღაზიაში, ფარდულიდან — ფარდულში, ხშირად ეხვეწები მათხოვარივით ვიღაც უცხოს, ერთი ღერი მომეციო; ან იშოვი სადღაც დახლ ქვეშ ზედმეტ ფასში და წამოხვალ მოშხამული, ნერვებაწეწილი, ხალხზე და ქვეყანაზე გაბოროტებული. რამდენი დრო და ჯანმრთელობა მიაქვს ამ საძაგელ ჩვევას. არადა, ესეც შენი წვრილმანი!..

ახლა, ვთქვათ — სმა!., ვინ მოთვლის, რა დროა დახარჯული მაგიდასთან!.. უმჯობესია, ნუ შევუდგებით ანგარიშს და ესეც წვრილმანებში ჩავთვალოთ. არადა, მართლაც რამდენი უბედურება მოუტანია ამ საძაგელ ჩვევას ადამიანებისათვის, რამდენი ოჯახი გაუმწარებია, საგონებელში ჩაუგდია, განსაცდელში ჩაუყენებია, რამდენი ადამიანი დაუცია ძირს და ტალახში ამოუსვრია, ბოლომდე გაუნადგურებია. და ესეც შენი წვრილმანი!..

წვრილმანებში ლევანმა სახლიდან გამოსვლის წინ მორთვა-გალამაზებაც ჩათვალა და ახლა ამ „თემის" დამუშავებას შეუდგა: „გაღვიძებისათანავე ტუალეტში გარბიხარ, დაიბან, დაივარცხნი, სარკეში შეითვალიერებ სიფათს, ხომ ლამაზა ვარო, თუ გასაპარსი ხარ — გაიპარსავ და ამასობაში ხშირად უჭმელი რჩები.

რატომ? — იმიტომ, რომ საკუთარი შიმშილის ფასად ვიღაცას მოეწონო? ესე იგი, ირთვები და ლამაზდები იმიტომ, რომ სხვას მოეწონო; რომ ადამიანთა შორის შეძლებისდაგვარად უკეთესი გამოჩნდე! რატომ, რატომ გინდა ლამაზი იყო, მოეწონო სხვას, უკეთესი გამოჩნდე სხვასთან შედარებით? — იმიტომ, რომ ყოველ ადამიანში საკუთარი „მე“ ყვირის შიგნიდან; ყვირის გამუდმებით, სამწუხაროდ, დღეც და ღამეც, ძილშიც და ღვიძილშიც. არადა, რამდენი დრო იხარჯება გალამაზება-გაკოხტავებაში, რამდენ ფულს ვხარჯავთ სასურველ ჩასაცმელ-დასახურავში, რამდენ სისხლს ვღვრით, თავის ფასში რომ ვერ ვშოულობთ და ვიღაც გადამყიდველს ორმაგს და სამმაგს ვაძლევთ... და ესეც შენი წვრილმანი!...“

„არა, — უთხრა ბოლოს თავის თავს ლევანმა — ადამიანი წვრილმანებში არ იფლანგება; ადამიანი წვრილმანებით ცხოვრობს, თუ შეიძლება ითქვას — ცოცხლობს წვრილმანებით!.. რადგან ორიოდ წუთით მოვსულვართ, კიდევაც უნდა ავიღოთ ყველაფერი ცხოვრებიდან, რის აღებასაც მოვასწრებთ. ისე რა აზრი აქვს სიცოცხლეს!.. დიახ, ადამიანმა ყველაფრის ნახვა უნდა მოასწროს, სულის მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს, ერთდროულად უნდა განიცადოს და გამუდმებით უნდა უყვარდეს კიდეც!.. უნდა გიყვარდეს და მხოლოდ გიყვარდეს!.. — და აქვე საჰოჰმანო აზრი გაუჩნდა; — მაგრამ სხვას თუ არ უყვარხარ, მაშინ?.. სხვა თუ მოკვლას გიპირებს, მკერდი უნდა მიუშვირო?!.“

კი, ლევანმა იცოდა, რომ მტერსაც სჭირდება პატივისცემა, დაფასება, შეფასება. სხვაგვარად დაგჯაბნის ის მტერი და დაგამარცხებს. მაგრამ ვერ გარკვეულიყო, სიყვარული სჭირდება თუ არა მტერს. „ან გაარკვევ, ვინ მტერია და ვინ მოყვარე?! — ბრძოლის ველზე იარაღაყრილი დგახარ, ირგვლივ ბრბო გახვევია, ვიღაცას შენს გულში ჩასაცემად გამზადებული ბებუთი უდევს ჯიბეში...“

ადამიანს თუ საქმე აჩენს, მტერსა და მოყვარესაც საქმე გამოაჩენს, — დაასკვნა ლევანმა. ხოლო, რამდენადაც საქმე ჯერ არ იყო დამთავრებული, მტერ-მოყვარეც ჯერ არ გამოკვეთილიყო. არადა, ახლოვდებოდა ეს დრო და, რაც უფრო ახლოვდებოდა, მით უფრო ეწურებოდა და ეწურებოდა გული. გული ეწურებოდა იმითაც, რომ ვერ იქნა და ვერააწყო პირადი ცხოვრება. ვერც გულს გაუგო, რა სურდა, საით გაურბოდა, რატომ იყო ასეთი მერყევი და არათანაბარი; რატომ ჩხვლეტდა და რატომ წიწკნიდა დაუნდობლად... ყველაფერს მოუძებნა თავისი ახსნა, ხოლო ქალსა და მამაკაცს შორის წარმოქმნილ სიყვარულს ვერავითარი ახსნა ვერ მოუძებნა. ვთქვათ, რატომ უნდა შემყვარებოდა ჯერ ნელი და შემდეგ ცირა...

„შემყვარებოდა?! — ჰკითხა თავის თავს — ასე რომ ვიფიქრო, იმას ნიშნავს, რომ შემიყვარდა?!. სისულელეს ვროშავ. რა შუაშია ჩემს სიყვარულთან ცირა... ცირა უბრალოდ კარგი გოგოა, ლამაზი, სათნო, უეშმაკო, მეოცნებე... ეგ არის და ეგ, მეტი არაფერი..“

მერე მიხვდა, გულის მივარდნილ კუნჭულში ცირა რომ მიმალულიყო და დროდადრო სასიამოვნო ტკივილით თავს ახსენებდა უნებლიედ. ახსენებდა და მაშინვე ცდილობდა ნელის გახსენებას; ნელის, ასე რომ უყვარდა და უიმისოდ სიცოცხლე ვერ წარმოედგინა...

„გვიყვარდა კი?!.“ — იქვე წყდებოდა ფიქრი, უჩნდებოდა ეჭვი და ნაღველით ევსებოდა თვალები. შიგადაშიგ სიბრაზის ალმური აჰკრავდა ხოლმე სახეზე, ქალისაგან ასე დაწიხლული და მიტოვებული რომ ჩანდა. ქალის დაწუნებულ კაცს სადღა ჰქონდა თავი გამოსაყოფი. ვილას უნდა სჩვენებოდა თავაწეული და წელგამართული; ვისთვის მიეცა რჩევა და დარიგება, ვინღა ჩათვლიდა პიროვნებად?..

რა ცოტაა საჭირო, რომ ადამიანს იმედი მიეცეს და რა ცოტაა საჭირო, სასოწარკვეთამ რომ მოიცვას. ეს ორი გრძნობა იმდენად ახლოსაა ერთმანეთთან, ვერც გაარკვევ უცბად, რომელს რომელი ცვლის, რომელს რომელი ჰარბობს, ან რომელს უფრო შესამჩნევი შედეგების გამოწვევა შეუძლია. წინანდებურად ლევანს აღარ შეეძლო ემტკიცებინა, რომ ცხოვრებაში ყველაფერი სიყვარულის გზით მიდის; ვეღარც იმ სახით წარმოედგინა ხვალინდელი, როგორც ადრე, ბედნიერი წუთებით რომ სუნთქავდა და ენით აუწერელი სიხარული ჩასდგომოდა თვალებში. უსიყვარულოდ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობიაო, ფიქრობდა სახლისკენ მიმავალი და, იქვე ღუღუნებდა სულის დამთრგუნველი კითხვა: „ვინ ვარ მე?.. ცოლისაგან მიტოვებული კაცი ვარ მე?!, სად არის ახლა ჩემი პიროვნება!..“ გამუდმებით „მე, მე,...“ ყვიროდა ლევანში და, საკუთარი ეზოს ჭიშკარს რომ მიუახლოვდა, დაასკვნა: ადამიანისთვის ცხოვრებაში მთავარი პიროვნების ღირსების შეცნობა ყოფილაო.

ოთხ დღეში ათი საყრდენი სადგურის შემოწმება მოასწრო და ორი დიდი რვეული გაავსო ჩანაწერებით...

რა თქმა უნდა, ახალი არაფერი აღმოუჩენია, მაგრამ დავალება არის დავალება და ლევანს არ შეეძლო სხვაგვარად; ვერ დაჯდებოდა სადმე თვალთმიფარებულ მყუდრო ადგილზე, საგაზაფხულო აქტებში ჩამოწერილ საკითხებს ვერ დაიდებდა წინ და ბრმად ვერ გადმოწერდა. ორჯერ კი არა, ათჯერაც რომ დაევალებინათ, ათჯერვე წავიდოდა შესამოწმებლად და ათჯერვე საკუთარი თვალით ნახავდა ერთი და იგივეს, ათჯერვე გამოელაპარაკებოდა მუშებს, გამოჰკითხავადა, რა გიჭირთ და ათჯერვე შე-

ჰპირდებოდა, გაამხნევებდა, მოითმინეთ, ხვალ ყველაფერი გამოსწორდებაო.

თავიდან, იმ ალელვებულ გუნებაზე უცბად ვერ გაარკვია, როგორ მოქცეულიყო, თითქოს ეწეოდა გული შინისკენ, თითქოს არ შეეძლო ენახა გამოცარიელებული სახლი, სადაც აღარც ცოლი დახვდებოდა და აღარც შვილი, და გადაწყვიტა, ობიექტების შემოვლა თბილისის განყოფილების დასავლეთ ნაწილიდან დაეწყო (აღმოსავლეთისაკენ გამოყოლებით!). გზად რუსთავშიც აპირებდა ჩავლას (იქ სხვა საქმეც ჰქონდა!), მაგრამ იმდენად მოღალა და მოქანცა ოთხი დღის შეუსვენებელმა წანწალმა, ერთი და იგივე საკითხების შემოწმებამ, წერამ, ლაქლაქმა, ამასთან, ისე ჩქარობდა, რომ რომელ ბაქნიდანაც გარდაბანში გადადიოდა მატარებელი, იქ ჩაჯდა სექციაში და რუსთავის ნაცვლად, წნორში ამოჰყო თავი. ამაზე დიდად აღარ უჯავრია. პირვანდელი ღელვა ერთგვარად დამცხრალიყო, სექცია დაიძრა თუ არა, მაშინვე გაიგო, საითაც მიდიოდა, მაგრამ რაღა მნიშვნელობა ჰქონდა, კახეთის უბანიც უნდა შეემოწმებინა.

წნორში უცბად მორჩა საქმეს, გურჯაანის ობიექტზეც დიდხანს არ დაყოვნებულა და შუადღისთვის შინ მაინც ავიდა (კილომეტრ ნახევარზე ჰქონდა სახლი სადგურიდან!), გემრიელად ვისადილებ, თელავში ასვლამდე ცოტას დავისვენებ და თან დედაჩემს ნელის წასვლის ამბავსაც დაწვრილებით გამოვკითხავო...

გზად მხოლოდ ბობი შემოეგება. ძაღლმა ხალისით დაუყნოსა-დაულოკა ხელები, მერე კიბის გვერდით დარგული ყვავილებისაკენ გაქანდა, ჩრდილში მიწოლილი კატა წამოახტუნა, მთელი სისწრაფით შემოურბინა ღობის გასწვრივ ეზოს და კუდის ქიცინით მარათონი ლევანთან დაამთავრა.

ლევანს ძაღლისთვის აღარ სცხელოდა. ეზოში ფეხის შედგმისთანავე უცნაურმა გრძნობამ მოიცვა. ერთგვარად შემკრთალი და თითქოს კიდეც შეშინებული, თავისდა უნებურად გამალებით აცეცებდა თვალებს აქეთ-იქით; სადამდისაც მზერა მიაწვდინა შორიდან, ეზოს ყოველი კუთხე-კუნჭული მოათვალიერა (ფიგულსაც კი დააკვირდა, ისევ გაპრიალებული რომ იდგა სადგომში, შიგ ხომ არავინ ზისო!), ეძებდა ვილაცას, ვისი იმედიც არ ჰქონდა, რომ ნახავდა და თან ეშინოდა ამ დანახვის; თითქოს ყოველ წამს ელოდა, ჰა, ჰა, შემომეგებებაო გზად და თან ეშინოდა, მოულოდნელობისაგან გული უცბად არ გამეგლიჯოსო. და უცბად, სულ ორიოდ წუთში მიხვდა, რას ნიშნავს თურმე კაცისათვის საკუთარი ოჯახი, საკუთარი კერა და ამ კერიაში საკუთარი ცოლი და შვილი. მიხვდა იმასაც, რომ გრძნობის რომელიღაც შრეში ხძინებია იმედს, — ნელი არ გამწირავსო, ასე იოლად არ შემელევაო, სიყვარულს აბუჩად არ აიგდებსო, მაგრამ... განწირულიც აღმოჩნდა, დაწიხლულიც და მიწასთან... გასწორებულიც. ამაოდ უცქირა ერ[illegible] ხე[illegible]ტებს შორის გაბმულ ჰამაკს, ამაოდ აღებდა და აღებდა პირველი და მეორე სართულის ოთახების კარებს: ყველგან სიცარიელე... ყველგან სიცარიელე... არადა, ისე დიდი აღმოჩნდა განცდა, სადღაც ხელიდან გაუვარდა ხელჩანთა, სადღაც პიჯაკი თვითონ დააგდო, მერე საწოლზე გულაღმა გაიშოტა და თვალები დახუჭა...

წამმზომის ისარმა მეოთხედი წრე შემოხაზა და გაჩერდა... სხეულმა დაკარგა წონა; საგნები არათანაბრად, ქაოტურად გაიფანტნენ სივრცეში ... უცვლელია სივრცე, უკან რომ იხევს საგნებიანად უსასრულობისაკან. რჩება მხოლოდ გზა, ეზო, სახლი და უკუნი წყვდიადი, რომელშიც შთანთქმულია ყოველი... ლევანიც დააბიჯებს, უფრო სწორად, დაქრის ამ წყვდიადში; ვერ გრძნობს საკუთარ წონას, დროის დინებას; მიაბიჯებს თამამად, რადგან ნაცნობია გზაც, ეზოც, სახლიც... გაივლის გზას, გაივლის ეზოს, მსუბუქად აუყვება საფეხურებს და შუშაბანდში შედის... ღია ფანჯრის გავლით, ძაფივით წვრილი ერთადერთი სხივი უსასრულობიდან გიას შუბლთან წყდება. სძინავს გიას და სძინავს სხივს... გვერდით ლოგინია ცარიელი.,. „ესე იგი, ნელის ჩემს საწოლში სძინავს?.. თუ მელოდება?“. გაივლის მისაღებს, შედის თავის ოთახში და უცბად, წამზომის ისარი აგრძელებს წრიულ მოძრაობას, საგნები წყვეტენ ქაოტურ ბრუნვას და ლაგდებიან თავთავიანთ ადგილებზე... პატარა ტუმბოზე მდგარი ღამის ნათურა ნაცრისფრად ანათებს ქათქათა ლოგინს და ლოგინში — ნებიერი ბავშვივით მიძინებულ ნელის... „ლვთაებას“ ცალ ხელში წიგნი შერჩენია, მეორეში — ლევანის ახალგაზრდობისდროინდელი ფოტოსურათი... ხვეული თმა ბურბუშელასავით მიმობნეულა ბალიშზე, შიშველ მკერდზე. ოდნავ შუბლშეკრულს, ტუჩზე იდუმალი ღიმილი შერჩენია და არათანაბრად სუნთქავს... ლევანი ფრთხილად აცლის წიგნს და ფოტოსურათს, გვერდით მდგარ ტუმბოზე დადებს, მერე სასწრაფოდ იხდის ტანსაცმელს და ასევე ფრთხილად ადებს ტუჩებს ნელის ცეცხლოვან ტუჩებს..,

„შენ ხარ, ფისო?.. — ბუტბუტებს ნელი, მკერდში იკრავს ლევანს და თან სიამოვნებით ნაბავს თვალებს, — როგორ გელოდი, რომ იცოდე, როგორ მომენატრე.., ბავშვი სულ შენ გკითხულობს, მამა მინდა, სად არის ჩემი მამა, როდის მოვა ჩემი მამაო... როგორ გელოდით რომ იცოდე, ორივე... მშიერი იქნები; ახლავე ავდგები და... უჭმელი ნუ წახვალ ხოლმე სამსახურში. შენ თუ არ მეყოლები, ყველაფერი წყალსაც წაუღია.,. როგორ შეგტყობია უჩემობა. ახლავე ავდგები და გაჭმევ...“

„შე მძინარა, შენა... არაფერი არ მინდა, იწექი... — ნებივრობს ლევანი ცოლის მკერდზე,

— სხვათა შორის, კარგად დამსხვილებულხარ ამ ერთ კვირაში, ჩათქვირებულ დედაკაცს ჰგავხარ, ქალბატონო...“

„რომ იცოდე, ისე ვნერვიულობ, ვერც ვჭამ, ვერც ვისვენებ... არ შემიძლია უშენოდ, გესმის, არ შემიძლია!.. — წამოიძახებს გამწყრალი, მოიცილებს ლევანს და წამოჯდება გაბუტულივით შუბლშეკრული, — ვიცი, არ გიყვარს, მაგრამ... მოვიმატე და ჩემი ბრალია?.. მაგრამ ხომ არ ვარ სქელი?.. არ ხარ-თქო, მითხარი; არ ვარ მე სქელი!..“

„ჰო, არ ხარ, დაწყნარდი...“

„მასეთ არას, ჰო მერჩია... და იცი, რის ბრალია? ჩემზე კარგად ვინ იცნობს ლევან ვაჩნაძეს; დაძვრები უკვე გოგოებში, ხომ?!.“

„გოგოებში კი არა, ჩემი თავი არ მახსოვს, დღე და ღამ წარმოებაში ვტრიალებ!..“

„ჰო, შენ საქმის კაცი ხარ, დიდი ორგანიზაციის მთავარი ინჟინერი; საქმით მყავხარ გადაღლილი და დასვენება გჭირდება, — დგება ნელი და კარისაკენ მიდის, — არავისთვის არ გცალია შენ; არც ჩვენთვის გცალია; დაღლილი ხარ საქმით, დასვენება გჭირდება... მე იქ, ბავშვთან, შენ აქ, შენს ლოგინში...“

„ნელი, შეჩერდი!.. ნელი!.. ნელი!..“

წამზომის ისარი კვლავ წყვეტს მოძრაობას. საგნები კარგავენ წონას და ქაოტურად გარბიან სივრცეში. საიდანღაც მოისმის ექო და ამ ექოს თან მოაქვს შიშის მომგვრელი საძაგელი სიცილის ხმა. წყვდიადი თანდათან ნისლში ინთქმება. უკან-უკან იწევს ნელი და თეთრ გამჭირვალე სამოსში ბუნდოვნად იკვეთება მისი შიშველი სხეული... სადღაც, შორეთში ერთადერთი ვარსკვლავი ციალებს და ისიც დროდადრო ქრება...

— გაიღვიძე, შვილო, არ დაიხრჩო... შემეშინდა, ისე ხრიალებდი, — კვლავ ექოსავით ჩაესმა მარიამის ხმა და ლევანმა თვალები დააბრიალა.

— ეს შენ ხარ? — ძლივს ამოილუღლუღა ბოლოს.

— აბა, ვინ იქნება, — მწყრალად ჩაილაპარაკა მარიამმა, დამნაშავესავით სახე მოარიდა შვილს, მაშინვე შებრუნდა და ოთახი დატოვა...

ლევანის გულს ბაგაბუგი გაჰქონდა და თვალებში სისხლი აწვებოდა, მოსვენების ნაცვლად, საოცრად დაღლილიყო; თითქოს მთელი საუკუნე ებორიალოს გაუგებრობათა სამყოფელოში, სადაც დაუნდობლად ართმევენ ადამიანს სიხარულს, სიყვარულს და სიყვარულთან ერთად — სულს და გულს... ძილ-ბურანში ნელის გამოცხადებამ, ახალ მღელვარებაში შეითრია, როგორც პაწია ნაფოტი უშველებელ მღვრიე მორევში, დაატრიალა, თავგზა აუბნია. აღარ იცოდა, სად იყო სინამდვილე და სად სურვილი... კი, იყო ასეთი შეხვედრა, მაგრამ მაშინ ნელი იყო ცივი და განურჩეველი, მის შუბლზე არცერთი ძარღვი არ ტოკავდა იმ სიამტკბილურ წვაში და დაგვაშე; და არა მარტო შუბლზე — იგი იწვა ლოგინში, როგორც ქვადქცეული ქანდაკება, უმოძრაო და საოცრად ცივი. აკი იმიტომაც ჰკითხა ბოლოს ლევანმა, რა დაგემართაო და წამოხტა კიდეც საწოლიდან ნელი.

„რა მომივიდა?!. — წამოიძახა განწირულის ხმით, — აბა, ვიყოთ ასე!.. ასე სჯობია, რა თქმა უნდა: შენ იქ, მე აქ. მთელი კვირა ვერ განახო, იქნებ — ორიც, საქმეს როგორ უღალატებს კაცი!.. ჩამოხვალ — ვენახში იმუშავე; ხან ბარე, ხან თოხნე; აქ რა, ამ ოხერ ვაზს სამუშაო დაელევა!. წადი, ბატონო, თავისუფალი ხარ. მე კიდევ შენი სასტუმროს კახპა ვიქნები. როცა მოგინდება, ჩამოდი და აქ დაგხვდები. შესანიშნავია! ამაზე ვოცნებობდი მთელი ცხოვრება!..“

მეორე ოთახიდან მარიამმა კედელზე მოაკაკუნა, მაშინ კამათი ამით შეწყვიტეს, და იმ დღიდან ნელიმ ქმართან ლოგინი გაყო. მიზეზი თითქოს ცალ-ცალკე ცხოვრება, ლევანის მოუცლელობა იყო, მაგრამ ლევანი გრძნობდა, ან უბრალოდ ასე ფიქრობდა, რომ კამათის ძირითადი მიზეზი სხვა რამ იყო. გაუთვითცნობიერებლად ბორგავდა შინაგანი ხმა, — ერთია, როცა ქმარს ცოლი უწყრება, ცალ-ცალკე ნუ ვართო და მეორე — როცა ცოლი ქმრისადმი გულგრილი ხდებაო... ეს აზრი ახლაც აწუხებდა ლევანს და თავზე ხელშემოდებული ცდილობდა ამოეხსნა, როდის დაუშვა შეცდომა, სად გაეპარა სიყვარული.

მერე ადგა, გაიარ-გამოიარა, წიგნების კარადასთან შეჩერდა... ბავშვობიდანვე ჩვევად ჰქონდა წიგნების კარადასთან დგომა. თვალს ავლებდა ხოლმე დალაგებულ სხვადასხვა ზომის უკვე გადაკითხულ წიგნებს და ხელახლა იხსენებდა გმირებს, რომელთაგან ბევრი წვალობდა, იტანჯებოდა, ეწირებოდა იდეას, ხალხის კეთილდღეობას; აღიდგენდა, როგორ აღწევდნენ თავს ათასგვარი განსაცდელისგან, გაჭირვებისაგან, იხოცებოდნენ სახელოდ, უსახელოდ; სწამდათ, ურწმუნოები იყვნენ: ყველა მათგანი ახალს ეუბნებოდა ლევანს, მაგრამ ამჯერად არაფერი შეეძლოთ ერჩიათ, ჰკუა დაერიგებინათ, ბოლომდე გაეხსნათ ყველა საიდუმლო... უცბად საათს დახედა და გული გადაუქანდა, თელავში ასვლა დამაგვიანდებაო, სასწრაფოდ დაიბანა ხელ-პირი, გაიგრილა ტანი, ჩაიცვა შინ დატოვებული და უკვე დარეცხილდაუთოვებული და წასვლის წინ სუფრას მიუჯდა, მარიამს რომ გაეშალა შვილის დასანაყრებლად.

— დედა, უჩემოდ მოხდა რამე? — როგორც იქნა შებედა ლევანმა და წამიერად შეხედა მარიამს, აქამდე პირმოკუმული რომ ტრიალებდა ციბრუტივით და გამუდმებით დამნაშავესავით სახეს არიდებდა შვილს.

— არაფერი, შენს გაზრდას, — სწრაფად

დაუბრუნა მარიამმა პასუხი, მცირე ხნით დადუმდა, მაგიდასთან წინ დაუჯდა და მერე განაგრძო: — ვიყავით, ვცხოვრობდით... დედაშენს მაინც იცნობ: ხელს არაფერზე ვაკარებინებდი, დარეცხვა, დაუთოება, საჭმელი, სასმელი, სახლი, კარი, ეზო, ყურე, ყველაფერი ჩემს კისერზე იდო, მამაშენი, როგორც ყოველთვის, სისხამ დილით რომ გადის, შინ მოსვლა აღარ აფიქრდება. წელში ვარ ქალი საქმით გაწყვეტილი, მაგრამ ერთხელაც არ მითქვამს სამდურავი, ერთხელაც არ მიკადრებია, წინ ზიხარ, უკან მიიწი-მეთქი. აი, ხანდახან თუ დავარიგებდი, ეგ იყო და ეგ!.. თუარა, კიდევაც რომ სწყენოდა რამე, ადამიანი მუნჯად ხომ ვერ დაჯდები, ხან რას იტყვი, ხან რას. რაც ჩემს ცხონებულ დედამთილს ჩემთვის უწყენინებია, ყველაფერზე რომ გული მომსვლოდა და სახლიდან გავქცეულიყავი, ცხრა მთას იქით უნდა ვიყო გადაკარგული,. მაგრამ ვითმენდი. ახლა კიდევ, ხომ ხედავ, ოჯახიც მაქვს და სხვაზე ნაკლებად არ ვცხოვრობ... შენი ჯავრი რომ არ მკლავდეს, მეტი არაფერი მინდა...

— მაშ, გაგიჟებულა, — სიტყვა ჩამოართვა ლევანმა, იცოდა, რადგან დაიწყო, მარიამი ასე იოლად აღარ გაჩერდებოდა, მაგრამ რაღაცას კი იტოვებდა თავისთვის და ამიტომაც გაუმეორა, მაშ, გაგიჟებულაო.

— ეჰ,.. აილე, შვილო ჭამე, ახლად დაკლული დეკეულის ხორცია, — პირდაპირ პასუხს მაინც თავი აარიდა მარიამმა. — მაშინაც იმიტომ არ მინდოდა მაგათი გვარისა ჩემს ოჯახში შემოსულიყო, — წყრომით თქვა, — ბავშვი იყავი, მაგრამ გაგონილი გექნება, მაგის დედაც რამდენჯერმე გაექცა ნიკას. ეს საცოდავი შენი სიმამრი კიდევ, წავიდოდა, შეეხვეწებოდა, შეემუდარებოდა, შეჰპირდებოდა, ამას გიყიდი, ასე მოვიქცევიო და, ის ქალბატონი, შენი სიდედრიც გამოჰყვებოდა... ბოლოს კიდევ, ხომ ნახე, რა უყვეს: იმდენი ქნეს, კაცს გული ააცრუებინეს აქაურობაზე. ჰკუათმყოფელი კაცი მამაპაპისეულ სახლ-კარს მიატოვებს და ცოლს ჩამოუჯდება ასფალტებში?! — არ ჩამოუჯდება.

— მაინც რაღაცას მიმალავ, მარიამ, — შენიშნა ლევანმა და ვითომ არ აინტერესებდა, ხორცი გადაილო, ბოლოჯკი ჩაახრამუნა და მერე წიწმატით პირი გაიმწარა, — ნელიმ ძალიან კარგად იცის, ქუთაისში წამსვლელი მე არ ვარ, — მერე ადგა, შალვას შენახული მანქანის სათადარიგო გასაღები დაუკითხავად გამოიტანა და მარიამს აჩვენა, — მაგვიანდება და უნდა წავიყვანო. მამაჩემს კი გადაეცი, არ იჩხუბოს, სამუდამოდ არ მიმყავს.

— იჩხუბოს, შვილო, მაგის ჯავრი ნუ გექნება, — დათმობაზე წავიდა მარიამი, თითქოს ამ წუთში ყველაფერს დაუთმობდა, ოღონდაც შვილისთვის რამე ესიამოვნებინა, არადა, თან რაღაც ბოლმა აწვალებდა, მალ-მალე ხელს იდებდა ყელზე და ნერწყვს ძალიძალად ყლაპავდა. ბოლოს კი ველარ მოითმინა და უცბად წამოიძახა:

— ლევან, შვილო!..

— რა, დედაჩემო;

— რა და... — ხელები მოისრისა მარიამმა, — არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ დედის გული არ უნდა გაჩენილიყო ქვეყანაზე. დავიხრჩობი ალბათ, რომ არ გითხრა...

— იჩხუბეთ? — შემპარავად ჰკითხა ლევანმა და მარიამმა მაშინვე თავი გააქნია უარის ნიშნად.

—ცოდოს ვერ ვიზამ. რამდენი რამ მითქვამს, მაგრამ ერთხელაც არ შემოუბრუნებია ენა. მაგ მხრივ ძალიან კარგი იყო, შენს გაზრდას...

— დედაჩემო, თელავში უნდა მივასწრო ხალხს სამსახურის დამთავრებამდე.

— ახლა კი არა, რამდენჯერაც დავაპირე თქმა, იმდენჯერ გულის ფრიალი ამიტყდა. საერთოდ, მშობლისგან ყველაფერი უკუღმა გესმით, მაგრამ ახლა სხვა გზა არა მაქვს, გეტყვი... ამ ერთი თვის წინ, საღამოს რომ უნდა ჩამოსულიყავი და გვიან ჩამოხვედი, გახსოვს? — ჰკითხა მარიამმა და რადგან პასუხი ვერ მიიღო, განაგრძო, — იმ დღეს, ასე, შენი ხნის იქნებოდა, ვიღაც ბიჭი მოვიდა საკუთარი მანქანით. მარტო იყო. ლევანი შინ არისო? ჯერ არ ჩამოსულა-მეთქი. მერე ისიც ვუთხარი, საღამოსთვის გამოიარე-მეთქი, მაგრამ, დეიდა, მეჩქარება, ნელისთან წერილი გამომატანეს ქუთაისიდან, მთხოვეს, პირადად გადაეციო. მეც რაღას ვიზამდი, ქალბატონს ეძინა და გავაღვიძე... აი, ასე ჩემს თვალწინ, არც მომეხატრნენ და არც არაფერი, კარგი შეყვარებულებივით გადაკოცნეს...

— მაგას ახრჩობინებდი თავს? — პირზე ღიმილი მოადგა ლევანს და მანქანაში ჩაჯდა, — ეგ ხომ მეც ვიცი. ის წერილი თვითონ წავიკითხე.

— იმის შემდეგ ის ბიჭი კიდევ ყოფილა, — თვალები დაქაჩა მარიამმა, — მალაზიაში ვიყავი გასული და რომ მოვედი, მეზობლებმა მითხრეს. ხომ იცი, სოფელში არაფერი დაიმალება.

— ალბათობის თეორიით არც ასეთი შემთხვევაა გამორიცხული, მოხვდა აქეთ კაცი და ... — მანქანა მომართა ლევანმა. — ისე, რა ერქვა იმ ბიჭს, თუ გახსოვს?

— სიყმეც რომ გაუხმეს! — ხელები გაასავსავა მარიამმა, — ბოლოს იმან წაიყვანა მანქანით!.. — მერე მოეშვა; — სახელი კი არ მახსოვს, ნამდვილად არ მახსოვს... არ ვიცი, იქნებ არ უნდა მეთქვა, მაგრამ ახლა ცოტა გულზე მომეშვა, რომ აღარაფერს გიმალავ.

დაგვიანებით თქმას მართლაც უთქმელობა სჯობდაო, გაიფიქრა ლევანმა, არაფერი კი უთხრა დედას და მანქანა ადგილიდან მოსწყვიტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მოსაღამოვდა. ქუჩებში ლამპიონები ჩართეს. ცივგომბორის ქედიდან მონაბერმა ნიავმა სასტუმროს გრძელი ფარდები ააფრიალა და მათთან ერთად სიგარეტის კვამლის თხელი ზოლები ფანჯრიდან ქუჩისკენ გამოწელა.

ორადგილიან ნომერში წინ და უკან დადიოდა ლევანი, სიგარეტს სიგარეტზე სწევდა, დროდადრო სახეს იჭყლეტდა, მუშტებს ხან უბეზე იჭერდა, ხან ერთმანეთზე გამეტებით დაჰკრავდა ხოლმე და პირმოკუმული, დაჭრილი მხეცივით გმინავდა, ხმა გარეთ რომ არ გასულიყო...

თელავის სადგურში ხალხსაც მიასწრო, რუსთავშიც ილაპარაკა, ხვალ დილით მანდ ვიქნებით და მოძალებული ღვინის სმისაგან თავის დაღწევაც შეძლო. ბევრი ეხვეწეს, დავსხდეთ, ნადიკვარზე მოვახერხებთ რაღაცას და პატარა წავულილინოთო, მაგრამ ლილინის ხასიათზე არ იყო ლევანი და, ვერც ის აეტანა, რომ პატივისცემა უნდა მიელო როგორც უფროსს და არა, როგორც სასურველ სტუმარს. იქნებ მისი თანამშრომლები ალალმართლებიც იყვნენ, ძნელად დასწამებ კახელს პირფერობას, თუმც ლევანმა მაინც ცივი უარით მოიცილა ძალაზე მომდგარი მასპინძლები, მანქანით ვარ, თანაც კარგა ხანია საჭესთან არ ვმჯდარვარ, მართვა ისედაც მიჭირსო და ისინიც შეეშვნენ... თელავში კი დარჩა... რუსთავში პირდაპირ წასვლას აზრი არ ჰქონდა და გურჯაანშიც არ სურდა ღამის გათევა. სახლისკენ აღარ ეწეოდა გული, თითქოს ხელახლა განუახლებდა ჭრილობას, რომელიც ისედაც სტანჯავდა უმოწყალო ტკივილით და ერთდროულად თრგუნავდა და ზაფრავდა. ან მოიშუშებდა კი ოდესმე?! — ცოლთან გაცილების ყველანაირი მიზეზი ერჩია, ოღონდაც ის არა, რა სახესაც ლებულობდა... ხოლო, როცა მარტო დარჩა სასტუმროში და არც მარტო იყო, რომ ყველასაგან განაპირებულს თავისუფლად დაეწყევლა საკუთარი ბედი და მთელი ხმით მწარედ აქვითინებულიყო, ინანა, წიხლი რატომ ვუკარი თელაველებს შემოთავაზებულ პატივისცემაზეო. ახლა მართლაც დალევდა და დათვრებოდა უგონოდ, რომ მერე ისედაც გადაქანცული სხეული ძილში დაეცხრო და დაემშვიდებინა... თავისდა უნებურად დატოვა ოთახი, ცივი წყლით გაიგრილა საფეთქლები და საითაც ბოლოს ფეხებმა გადააბიჯეს, იქით წავიდა. მერე მიხვდა, რომ მისამართის გაგება სურდა, ადმინისტრატორს ტელეფონების წიგნი მოსთხოვა, იქნებ ამაში ვნახოო, და გაუმართლა, სხვა გვარებს შორის იოსებ ახმეტელიც ამოიკითხა...

დიახ, უცნაურმა სურვილმა შესძრა უცბად ლევანი; თითქოს ხელახლა დაუწყო სისხლმა ძარღვებში სირბილი, ხალისი მოემატა და სხვა ალგზნებამ შესძრა, შეაკრთო. ასე მოეჩვენა, ცირას შავი ფერით დამშვენებული თვალების ხილვა, მისი ტანის ჭაეროვანი რხევა და ბავშვური უეშმაკო ალტაცებული შეძახილები ისე დაუმშვიდებდა აფორიაქებულ სულს, როგორც უდაბნოს ცხელ ქვიშაზე მოსიარულეს ცივი წყლის შესმა... სასწრაფოდ ამოწერა წიგნიდან ნომერი და ტელეფონით ილაპარაკა. მერე კი გარეთ გავიდა და სასტუმროს წინ გაჩერებულ თავის მანქანაში მოთმინებით დაელოდა; ცირამ, ხუთ წუთში მანდ გავჩნდებიო...

— რომ იცოდე, რა კარგი ბიჭი ხარ, — მოსვლისთანავე კისერზე ჩამოეკიდა ცირა ლევანს და ლოყაზე აკოცა, — აქ საიდან გაჩნდი? — აქოშინებული და ალტაცებული ვერც მოქმედებას უწევდა ანგარიშს, ვერც სიხარულს მალავდა, მაშინვე მანქანაში შეხტა, — მართლა შენ ხარ? — აღფრთოვანებულმა ჰკითხა, — თითქოს არ მჯერა. ვიფიქრე, მორჩა, აღარც გავახსენდები-მეთქი. თუმცა, რა გასახსენებელია ერთი ქარაფშუტა გოგო, თავი რომ ვერ შეუკავებია და სულელურად იქცევა... თქვი, ბიჭო, რამე. ასე მგონია, სიზმარში ვარ, მართლა შენ ხარ?.. რომ იცოდე, რა დროს მომისწარი!

— რა არის ახალი შენს ცხოვრებაში, — როგორც იქნა ამოილუღლუღა ლევანმა და ღრმად ამოისუნთქა, თითქოს გულზე უარესი სევდა შემოაწვაო — კიდევ იცლი ფიქრისთვის? — ჰკითხა ბოლოს.

— უფრო ნაკლებად. რა კარგია!.. — სიხარულით შესძახა ცირამ, — წავიდეთ ჩვენთან, აქვე ვცხოვრობ; დედაც და მამაც, ორივე გველოდება.

— უხერხულია, ცირა... — აიწურა ლევანი და ცირამ აღარ დააცალა:

— რა არის, ბიჭო, უხერხული!.. აი, გაიცნობ და ნახავ, რა კარგი მამა მყავს. პირდაპირ ჩადი ქვემოთ და მერე მარცხნივ შეუხვიე.

თეთრი შუქი ილეოდა და ცა ნაცრისფერდებოდა; აღმოსავლეთით გაშავებაც მოესწრო, აღარ ჩანდა კავკასიონი... ლევანმა დამრეცი ქუჩის მარცხენა მხარეს ახალი თეთრი „ვოლგის“ უკან გააჩერა მანქანა. იქვე, გზის ორივე მხარეს ცირას მეზობლები გამოქუჩებულიყვნენ და სოფლური ცნობისმოყვარეობით, უტყვი მზერით გულმოდგინედ წონიდნენ უცხო სტუმარს, მაგრამ ცირას არც შეუხედავს მათთვის, მანქანიდან გადმოსვლისთანავე მკლავში ხელი გამოსდო ლევანს და პირდაპირ რკინის ალაყაფის ჭიშკრისკენ წაიყვანა.

ჭიშკრიდან სახლამდე ოციოდე მეტრის ტალავერი ჰქონდათ გასასვლელი. ხათალარე ვაზს რკინის მილებით შეკრული თალი ლურჯ გვირაბისთვის დაემსგავსებინა. გრილი ნიავი დანავარდობდა შაბიამნის ხსნარით შენაპკურებ ფოთლებში

და ნაზად ირხეოდნენ თავკვერის ჯერ კიდევ დაუმწიფებელი მტევნები. ტალავერის გასწვრივ წითელ-ყვითლად აფეთქებულ ვარდებს ირგვლივ საამო სურნელი დაეფრქვია. ტალავერის ბოლოში კი მკაფიოდ მოჩანდა აგურით ნაშენი სახლის არცთუ გრძელი კიბის განიერი საფეხურები.

თითქოს ეფერებაო, ცირამ ვარდის კოკრებს ზემოდან გადაუსვა ხელი, მერე მათ წინ დარგულ ბზის დაბალ ბუჩქებს ფოთლები შეაცალა, თავზე დაიყარა და ლევანსაც შეაყარა, ხტუნვა-ხტუნვით შემოტრიალდა და სულაც არ თხოულობდა პასუხს, ლაღად ეკითხებოდა: „მოგწონს?.. მოგწონს აქაურობა?..“,„ხომ მოგწონს ჩემი ვარდები?..“, „ბზა არ მოგწონს?..“, „რა ხასხასა ბალახია, არა?..“, „ხომ ლამაზი ეზო მაქვს?..“. ლევანი მხოლოდ ღიმილით ეთანხმებოდა. ეზოში შემოსვლის პირველსავე წუთიდან თვალი გაურბოდა განიერი საფეხურებისკენ, რომელთა „დაპყრობის“ შემდეგ სხვა სამყაროში უნდა აღმოჩენილიყო. ისევ დარია ხელი ნაცნობმა, პატივმოყვარეობით შეზაფრულმა სიმორცხვემ; თავი კვლავ სტკიოდა, გული აწუხებდა, სახე უხურდა, თითქოს კიდურებმაც უმტყუნესო, ნაბიჯებს ველარ დგამდა თავისუფლად... ცირა კი ვერ მალავდა სიხარულს. ნამდვილად წრფელად უცემდა გული, ყელმოღერებული და თავაწეული ხარბად სუნთქავდა ყვავილების სურნელით გაჟღენთილ მათრობელა ჰაერს და თვითონვე უკვირდა, როგორ ამოძრავებოდა მომცრო, მაგრამ მოწიფული მკერდი, როგორ ხალისით აჰყოლოდა ღრმა სუნთქვას და იდუმალ წადილს, ეს დღეები მის დამარხვას რომ შეალია და მაინც ვერ მორეოდა. ესეც ჩემი კოშკიო, ხელები გაშალა საფეხურებთან და გაჩერდა, ლევანს მიაშტერდა სახეში.

ლევანმა მდუმარედ შეათვალიერა ახლად ნაგები შენობა, მაგრამ იმ წუთს სხვა რამ აწუხებდა. აფიქრებდა, რას გამოიწვევდა მისი გამოჩენა ცირას მშობლებთან; ან იყო თუ არა გამართლებული ასეთი სტუმრობა, უცხო მამაკაცის თავხედობამდე მისული სითამამე. ცირა თითქმის მიხვდა, რატომ რჩებოდა უკან ფეხები ლევანს, არ კი აგრძნობინა და უფრო სწრაფად რომ გაეშინაურებინა „უცხო“ სტუმარი, გაწაფული გიდივით სხაპასხუპით შეუდგა ოთახების განლაგების მოყოლას:

— დაბლა მთლიანად მარანს უკავია. მაღლა ვცხოვრობთ. აქ შუშაბანდია, — კიბის თავზე ანიშნა, — მარცხნივ, სამზარეულო გვაქვს, მარჯვნივ — მისაღები, კარის პირდაპირ კი ჩემს საკუთარ ოთახს დაინახავ... ისე რომ [illegible]დე ახლოს ვერავინ მეკარება, როცა ჩემს ოთახში ვარ. როგორც იტყვიან, აქ კულტი ვარ! ერთი სიტყვით, რაც მინდა და როგორც მინდა!

— ეს უკვე საინტერესოა, — კმაყოფილმა ღიმილმა გადაურბინა ლევანს სახეზე და ცირას ოდნავ შეეცვალა განწყობილება.

— რის გამკეთებელი ვარ, ლევან, ამ გამოყრუებულ კედლებში? — გულდაწყვეტილმა თქვა, — და მე არ მყავს და ძმა. თანაც იცი, რა სიცარიელეს გრძნობ, როცა არავინ გაკითხავს, როცა არავის სჭირდები! დედაჩემის მშობლები წინანდალში ცხოვრობენ, ღრმად მოხუცებულები არიან და მოსვლა კი არა, საკუთარ თავს ველარ უვლიან. მამას საერთოდ არ ახსოვს თავისიანები, პატარა ყოფილა, როცა გარდაცვლილან. აქ არის და... — ღრმად ამოისუნთქა, — ჩემზე უფროსი ძმა უნდა მყავდეს, მაგრამ ისიც არ შეგვარჩინა ღმერთმა, თავმოხდილ ქვევრში ჩავარდნილა სამწლინახევრის. მეც იმ დღეს გავჩენილვარ, როგორ გგონია, კარგი ბედი მექნება?

— პირიქით, — თანაგრძნობით აივსო ლევანი, — უფრო დღეგრძელი იქნები.

— ეჰ, — ხელი ჩაიქნია ცირამ, — მთავარია, რომ წიგნები მაქვს და კითხვა მიყვარს, გასართობს ვშოულობ. ზოგიერთი წიგნი ათჯერ მაქვს წაკითხული...

— კიდევ რა გაქვს? — თავი გადალუნა ლევანმა და ისე ჰკითხა, თითქოს ძალიან აინტერესებდა. სინამდვილეში კი დროის გაყვანა სურდა, უსიამოდ ესახებოდა უცხო ადამიანებთან თავის წარდგენა, მაგრამ ცირასთვის მეტი არც იყო საჭირო, ლაღად გადაშალა ხელები და შემოტრიალდა.

— რასაც ხედავ, ყველაფერი ჩემია...

— არა, — სიტყვა გადაუჭრა ლევანმა, — საკუთარ ოთახში-მეთქი.

ცირამ ჯერ დაიმორცხვა, მერე თვითონაც გვერდზე გადალუნა თავი და ოდნავ განებივრებული ხმით თქვა:

— ასეთი დიდი სარკე, — ხელებით წრე შემოხაზა, — მაქვს კიდევ ერთმანეთზე მიდგმული ორი საწოლი, და იცი ორი რატომ?

— ვერ მივეჩვიე მარტო წოლას.

— არა, — სიცილით უარყო ცირამ, — როგორც ამბობენ, ბავშვობიდანვე ვყოფილვარ ასეთი.

— ვიცი, — გამხიარულდა ლევანიც.

— აბა, თქვი, რა იცი?

— დედამ და მამამ ამხელა გიყიდეს ბაზარში.

— რა კარგია!.. — შესძახა აღტაცებით ცირამ მართლაც ბავშვივით, — უფლისწული ხუმრობის ხასიათზე დადგა... გაგეცინება, მაგრამ ძილშიც ტრიალი ვიცი; რამდენჯერმე იატაკზე ჩამოვვარდი. ამხელა გოგო იატაკზე რომ დაეცემა, თანაც მძინარე, ცოდო არ არის, ამ სუსტ ძვლებს ეგლა უნდათ? — ნეკნებზე ხელი დაიდო და ლევანმა მაშინვე ჰკითხა:

— ახლაც ვარდები?

— ჰო, ლევან, და მამამ მითხრა, ამანაც თუ ვერ გიშველა, გათხოვდი, ბატონო, და ქმარი გიშველისო.

— მერე, როგორ არის საქმე, გშველის?

— ვინ, ბიჭო!

— მეორე საწოლი.

— არა, ლევან, არ მშველის!.. — იმდენად გულწრფელად უარყო ცირამ, რომ თავისსავე ნათქვამზე გულიანად აკისკისდა და თითქოს ჰაერს აჰყვაო, უცბად მსუბუქად შებრუნდა, ორივე ხელით ნაცრისფერი კაბის არც თუ განიერი კალთები ბარძაყებზე შემოიტმასნა და საფეხურებს სირბილით აუყვა. ლევანი მძიმედ, აუჩქარებელ ნაბიჯებით თავდახრილი მიჰყვა უკან; ადიოდა თვითონაც საფეხურებზე და ბევრს ალარაფერზე ფიქრობდა. გულს უხაროდა რაღაც და მისი გაგებით ეს „რაღაც", ცირას გულუბრყვილო, თბილი ხასიათი გახლდათ; ეს ის სითბო იყო, მისკენ რომ ეწეოდა, კმაყოფილ ღიმილს რომ ჰგვრიდა, განცდილ უსიამოვნებას რომ ავიწყებდა, მაგრამ საკუთარ თავს კი — არა. შედგა თუ არა ფეხი შუშაბანდში, თითქოს მართლა სხვა სამყაროში მოხვდაო, შემკრთალმა ირგვლივ უაზროდ მოავლო თვალი, ასე მოეჩვენა, გამოცარიელებული სახლის შეულებავი, გაჭით ახლად შელესილი, ოცდახუთსანთლიანი ნათურით ოდნავ შენათებული რუხი კედლები გადასანსვლას უპირებდნენ დაუპატიჟებელ სტუმარს.

— მხოლოდ არ გაგიკვირდეს, — ოდნავ დაიმორცხვა ცირამ, — რომ იცოდე, ჩვენს ოჯახს ვინც იცნობს, ყველა გაოცებულია, რისი გაკეთებაც შევძელით. მამას შესანახი არაფერი რჩება, — ტუჩებზე ხელმიფარებულმა უჩურჩულა, — გადამეტებულად ხელგაშლილია და ამხანაგებს გადაყოლილი. არც ასევარგა, არა? კაცმა ხომ უნდა იცოდეს ზომა? ჭერზე ვედრო ღვინოს სვამს, ლევან, ისეთი მამა მყავს.

— აბა, რა მეშველება ახლა მე? — ჩურჩულითვე ჰკითხა ლევანმაც და კიდევ ერთხელ მოავლო თვალი ირგვლივ. ჯერ ისევ საფეხურებთან იდგნენ, ცირას მინიშნებულ მისალებ ოთახიდან გაუგებარი ყრუ ხმაური რომ შემოესმა, შუშაბანდში კი მკაფიოდ გამოიკვეთა ჭიქების წკარუნი და უთავბოლო ყაყანი. „მამასთან კიდევ ჰო, მაგრამ ცირას დედასთან შეხვედრა არ გინდა?!." — გაიფიქრა ბოლოს და ამ აზრმა უფრო ააფორიაქა, ვიდრე მოქეიფეებთან შეხვედრის ან ვედრო ღვინის შესმის მოლოდინმა. უნებურად უკან გადადგა ნაბიჯი, ცოტა ხანს გარეთ ვისაუბროთო.

— ახლა გაგიშვებ? — მაშინვე ხელზე მოეჭიდა ცირა, — არც იფიქრო, თორემ ვიყვირებ. დედა!..

ლევანს გული გადაუქანდა. სწრაფად დაეთანხმა, მოვდივარო და კარიც გაიღო. ეგრეთ წოდებული მისალები ოთახიდან, ჰუჭყიანი თეფშებით ხელში, ცირას ხნის გოგო გამოვიდა. ლევანის დანახვაზე თითქოს დაიბნა, ჩაშავებულ-ჩამუქებული თვალები გაკვირვებით დააბრიალა, მერე ცირას მიუბრუნდა და თელაველისთვის დამახასიათებელი კილოთი უსაყვედურა.

— ჩემს გასაინჯად მოსულან?!.

ლევანი რაღაცას მიხვდა. გაახსენდა ცირას ნათქვამი, რომ იცოდე, რა კარგ დროს მომისწარიო, მაგრამ ფიქრისთვის დრო არ დარჩა, ცირამ იმ გოგოს წარუდგინა, ეს ჩემი მეგობარია, თბილისიდან ახლა ჩამოვიდაო. გოგომ წარბებს ქვემოდან, თავდახრილმა, მოლუშული გამომეტყველებით შეხედა ლევანს, სხვათა შორის დაუკანტურა თავი, დუდუნით ამცნო საკუთარი სახელი — გულნაზიო, მერე ისევ ცირას მიუბრუნდა, დედაშენი შენს აქ არყოფნაში თქვენმა ნათესავმა წინანდალში წაიყვანა, მგონი პაპა გაგხდომია ავად და დღეს თუ ვერ მოვასწარი ამოსვლა, დაიბარა, ხვალ დილით აუცილებლად აქ ვიქნებიო. ცირა ოდნავ შეწუხდა, მაგრამ ლევანთან არ მოჰყოლია მოთქმა-გოდებას, პირიქით, ნაძალადევად გაუღიმა კიდეც.

— მამა ხომ აქაა, არა? — მოჩვენებითი სიმშვიდით უთხრა და მაჯაზე ხელჩავლებული ლევანი თითქმის ძალით შეიყვანა უშველებელ ოთახში...

საჭმელ-სასმელით გადატვირთულ გრძელ მაგიდას ორი ქალი და ოთხი მამაკაცი უჯდა. მერე და მერე ლევანი უფრო კარგად დააკვირდება ყოველ მათგანს და ცირას შემწეობით დაადგენს კიდეც მათ სახელებს, მაგრამ პირველი, ვინც თვალში მოხვდა, ცირას მამა იყო, იოსები, სუფრის თავში რომ იდგა და ალბათ სადღეგრძელოს თქმას აპირებდა, ხელში ღვინით სავსე ჩაის ჭიქა ეჭირა. მეორე კი, ვინაც უფრო მეტად დააინტერესა, ახალგაზრდა ბიჭი გახლდათ — შოთიკო, სუფრის ბოლოში იოსების პირდაპირ რომ იჯდა და მოთმინებადაკარგული მწყურვალივით აბრიალებდა ხარივით უშველებელ თვალებს.

ცირამ ოთახში შესვლისთანავე რატომღაც თავნება ბავშვის როლი გაითამაშა: ნიშნის მოგებით გადახედა სუფრის წევრებს და ისე, რომ ლევანისთვის ხელი არ გაუშვია, იოსებს ალტაცებით მიაძახა:

— მამა, ლევანი მოვიდა, ვაჩნაძე!..

იოსები საშუალოზე მაღალი, საკმაოდ დაკუნთული მამაკაცი იყო; ტანმოვარჯიშესავით წვრილი წელი, მოჭიდევასავით მსხვილი კისერი, მოკრივესავით ჩატეხილი ცხვირი და მონადირესავით მკვირცხლი, მოელვარე თვალები ჰქონდა. ლევანის დანახვისთანავე ჭიქა დადგა, ორ ნაბიჯზე მოსცილდა მაგიდას, წარბებაქაჩულმა „ააას" ძახილით დათვური მკლავები მხრებზე შემოაჰდო სტუმარს და ისე გემრიელად ჩაკოცნა, თითქოს დიდი ხნის უნახავი მეგობარი გამოცხადებოდეს. მერე სუფრას გადაავლო თვალი, დროებით ჩამოწოლილი მდუმარების თუ უხერხულობის დასა-

ძლევად მძლავრად გადაისვა ორივე ხელი შეთხელებულ-შეჭაღარავებულ თმაზე და გვერდით ამომდგარ ცირას არცთუ მკაცრად შეუტია:

— რას გაშტერებულხარ, შე მამაძაღლო!.. სკამი, თეფში, ჭიქა!..

ყველა მოთხოვნა სწრაფად და ხალისიანად შესრულდა. ლევანი იოსების გვერდით დაჯდა, უჩვეულოდ თბილი შეხვედრით გათამამებულმა, ლუკმა გატეხა, ლიმონათი მოსვა და ახლა თვითონ გადახედა სუფრის დადუმებულ წევრებს ცნობისმოყვარედ, თან თითქოს უთხრა, მიირთვით, დალიეთ, ბატონებო, მე რას გიშლითო...

სუფრის ბოლოში საკმაოდ მოხუცი კაცი იჯდა. მოხუცს წვერი ჰქონდა მოშვებული, თხელ ტანზე გულთან მიკერებული დიდჯიბეებიანი ხაკისფერი ხალათი ეცვა და ზედ საკმაოდ მოზრდილი ღილები ებნია. მოხუცი თითქოს არ ღებულობდა მონაწილეობას ქეიფში (თუ მათ თავშეყრას ქეიფი ერქვა!), თავისთვის იჯდა, გრძელი დაკოჟრილ-ძვლებდაგრეხილი თითების დინჯი მოძრაობით ყალიონს ტენიდა და დროდადრო გულის გამასივებლად ბუხუნებდა. მაგრამ მაინც თბილად განეწყო ლევანი მისდამი: მოხუცის დამჭკნარ-დანაოჭებული, მზეჩაკიდებული, სპილენძისფერი სახე ძველი დროის ქართველის საოცარ გლეხურ სიწმინდეს გამოსცემდა და ყვრიმალებში ღრმად ჩავარდნილი თვალებიდან სიცოცხლის ხარბ წყურვილს აბნევდა... სწორედ ამ მოხუცის გვერდით იჯდა შოთიკო, ლევანის განსაკუთრებული ყურადღება რომ მიიქცია თავიდანვე. შოთიკო შავ კოსტუმში იყო გამოწყობილი, გახამებული ქათქათა პერანგი ეცვა და ყელზე მაგრად გაჭერილი ჰალსტუხი ნათურის სხივებზე უბრჭყვიალებდა. პიჯაკის პატარა ჯიბეში თეთრი ცხვირსახოცი უჩანდა; მოშავო-მოყვითალო ჩამრგვალებულ სახეს ერთგვარ ველურ სილამაზეს მატებდა ვეებერთელა ხარივით ცეცხლოვანი თვალები, გრძელი ქალური წამწამები, უშველებელი დატალღული თმა და ერთმანეთზე გადაბმული ხშირი წარბები... უფრო აქეთ იჯდა შოთიკოზე არანაკლებად საინტერესო, საშინლად ჩამრგვალებული ქალი, ღაბაბიანი მოკლე ყელი, აფუებული მკერდი, სქელი მაჯები და მსხვილი თითები, ძვირფასი ქვებით და ოქრო-პლატინის სამკაულებით რომ ჰქონდა დახუნძლული. გეგონებოდათ, მაგიდასთან კი არ მოსულა, მოუგორებიათო, წელზე ორი კაცი ვერ შემოაწვდენდა ხელს; ისე ამაყად და მედიდურად ეჭირა თავი, როგორც ჩანდა, თვითონვე იყო დარწმუნებული, ჩემზე მიმზიდველი და ლამაზი ქვეყნიერებაზე არავინ დადისო... ქალს გვერდით ეჯდა ფერმკრთალი, გამხდარი, შუახანსგადაცილებული მამაკაცი, რომელიც საკმაოდ მაღალი უნდა ყოფილიყო: დამჯდარიც კი ზემოდან გადაჰყურებდა დანარჩენებს. ამ კაცის გრძელი პირისახე, ოდნავ კეხიანი ცხვირი და პირქუში წარბები იმდენ საერთო მსგავსებაზე მეტყველებდნენ, რომ ეჭვი არ იყო, შოთიკო მისი შვილი უნდა ყოფილიყო.

შინაგანი მღელვარების მიუხედავად, ლევანს ისე ეჭირა თავი, თითქოს საკუთარ ოჯახში ყოფილიყო. ჯერ არ იცოდა, ვისთან მოუწევდა გამოლაპარაკება, ან რა ეპასუხა, თუ რომელიმე მათგანი მისი ოჯახური მდგომარეობით დაინტერესდებოდა, მაგრამ ერთი რამ მაინც ნათლად შეიცნო: იოსების ჭარბი ენერგიის მიუხედავად, ისე უუუუუნებდა ყველას თვალები, მათი დათრობა მაინცდამაინც არ უნდა გასჭირვებოდა; თუმცა დარწმუნებული იყო, „მძლოლს" არავინ დააძალებდა. და ბოლოს, დადგა ეს დროც. იოსებმა ჩაის ჭიქა ბოლომდე შეუვსო ახლად შემოსწრებულს და შესმა მოსთხოვა. ლევანმა ერთხელ მოიხადა ბოდიში მყუდროების დარღვევისათვის, თავისი შემოსწრება და მასპინძლების დახვედრა აღნიშნა, ჭიქა მხოლოდ ტუჩებზე მიიდო, ერთი წვეთიც არ ჩაუშვა პირში, მეორედ მოიხადა ბოდიში, უნდა მაპატიოთ, მანქანით ვარო და მხიარულად დაჯდა. იოსებს მაშინვე სახეზე ირონიულმა ღიმილმა გადაურბინა.

— ჰაი, დედასა... — ჩაილაპარაკა თავისთვის, მერე კი ყველას გასაგონად განაგრძო: — თელავში კაცი ამოვიდეს, თანაც იოსებ ახმეტელთან... ჰა, მეზობლებო, რას იტყვით, სცოდნია, ვინ არის იოსებ ახმეტელი?!

— მამა!... — წამოიძახა ცირამ, მამასა და ლევანს შორის სკამი ჩადგა და კარგი დამცველივით შუაში ჩაჯდა.

— ჩემს მტერს გადაეკიდე შენ! — ვითომ იხუმრა მაღალმა კაცმა, მაგრამ არ გამოუვიდა, გვერდით მჯდომი ჩამრგვალებული ქალის ალმოდებულ სახეს გადააწყდა და მაშინვე ხველებაში ჩაახშო წამოწყებული ხითხითი.

— კაცი როცა ოჯახში შედის, თუნდაც მტერი იყოს, ის უკვე ოჯახს ეკუთვნის! — მუშტი დაჰკრა იოსებმა მაგიდას — ის ოჯახის სტუმარიცაა და ოჯახის წევრიც, ასე ვიცი მე, ასე უნდა იცოდეს სტუმარმა!.. ასე არაა, მიხო პაპა?

— ჰო, აგრეა, მაგრამა... — ბოლომდე არ დაეთანხმა მოხუცი. იოსებმა თავისი განაგრძო:

— ჰოდა, რადგან ასეა, — ცირას მიუბრუნდა, — შენ მამას ნუ ჩაუვარდები პირში; მამამ ძალიან კარგად იცის, რაც უნდა თქვას და როგორც უნდა გააკეთოს. ჯერ ერთი, ხვალ შაბათია, მეორეც — აბა, რისთვის ამიშენებია ამხელა სახლი!.. როგორც ხედავთ, მდიდრულად არ ვცხოვრობ, მაგრამ გული ხომ მაინც მაქვს ქართული! ერთ კაცს ვერ გავათენები-

ნებ ლამეს?! — მერე ლევანს გადახედა, — თუ, შვილო, ავადმყოფი ხარ და აღარც კუჭი გივარგა, აღარც ღვიძლი, აღარც გული და აღარც ჯიგარი, მაშინ არ დაგაძალებ და...

ლევანს უკან დახახევი ყველა გზა მოჭრილი ეჩვენა. ისედაც, უნაყოფო ჭირვეულობით სუფრის წევრების ზედმეტ ყურადღებას თუ მიიქცევდა და ორივე ხელი დამარცხების ნიშნად მაღლა ასწია... სადღეგრძელოც შესვა და ზედიზედ კიდევ ხუთი ჭიქა ბოლომდე გამოსცალა: ეს ამ ჭერის და კედლებისო, ეს სამშობლოსიო, ეს წინაპრებისო, ომში წასულების და შინმოუსვლელებისო, კეთილი მეზობლებსო; და მეტი არც იყო საჭირო მთელი დღის მშიერის და სიგარეტის წევით თავგაბრუებულის გამოსათრობად, თვითონაც დანარჩენებივით აუჟუჟუნდა თვალები. კიდევ ორიოდ წუთი და ლევანმა მსუბუქად იგრძნო თავი, უკვე ყველას მოლიმარი მისჩერებოდა, მაგრამ მისდა გასაკვირად, არავინ მხიარულობდა. განსაკუთრებით ახალგაზრდა ყმაწვილკაცი, ანუ შოთიკო გამოიყურებოდა გაბუტულივით; შავი ფერის მიუხედავად, ყურის ბიბილოებიც კი გაწითლებოდა და, სწორედ მაშინ, როცა ცირა ლევანს რაღაცას უჩურჩულებდა ხოლმე, ჩუმი მზერით მწარედ იგესლებოდა. არც არას ამბობდა, არც ჭამდა, არც სვამდა; ცივი ლიმონათიც არ მოუსვამს, ცალი ხელით მანქანის გასაღებს წვენის გადენას უპირებდა, მეორეთი ოფლს იწმენდდა და იწმენდა გამწარებით. ცირამ ნელ-ნელა ყველას სახელი უჩურჩულა ლევანს, ისიც უთხრა, რომ თელავში ერთ-ერთი ძლიერი ოჯახიაო; ის გოგო კი (რატომღაც ლევანის ყურადღება რომ ვერ მიიქცია — მხოლოდ ძვირფასი საზღვარგარეთული კაბა ეცვა, ეგ იყო და ეგ!), შოთიკოსთან დაქალობს და ჩემი თანაკურსელიაო.

— სმა კარგია, მაგრამ დასათრობად მოვსულვართ? — სწორედ ამ დროს დაბალი ხმით იკითხა მოხუცმა, მაღალს გადახედა და პასუხი რომ ვერ მიიღო, ისევ ყალიონი გააბოლა.

იოსებმა კიდევ ორი სადღეგრძელო შესვა, კიდევ ორჯერ „აავსო აცრემლა“ მაგიდის წევრები, ბოლომდე მოითხოვა სასმისების გამოცლა და ლევანი ხუმრობის ხასიათზე დადგა: ცირას გადაუჩურჩულა, ამისთანა საინტერესო ქალი კინოშიც არ მინახავსო. მერე კი ჰკითხა:

— შენ არ მოგწონს?

— ძალიან, — ჩურჩულითვე მიუგო ცირამ და ლევანმა უნებურად ამოიოხრა:

— საწყალი სკამი!..

თავი ვერ შეიკავეს და აფხუკუნდნენ. ლევანმა ძლივს მოახერხა ჩვეულ სიდინჯეს დაბრუნებოდა, მაგრამ ცირა ლამის დაიხრჩო სიცილისაგან. მერე უკვე ლევანსაც უკვირდა, ამდენი რა აცინებსო. ჩამრგვალებულმა ქალმა, თითქოს მიხვდა რაღაცას, ირონიულად ჩაიღიმა და ამჯერად უფრო შესამჩნევად ამაყი იერი მიიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობის განსამუხტავად, იოსებმა ნასწრაფოდ სცადა კიდევ ერთი სადღეგრძელოს შესმა, მაგრამ მაღალმა კაცმა ხელით ანიშნა არაფერი თქვაო, უფრო სწორად, მე ვიტყვიო და რის ვაივაგლახით წამოიმართა, გეგონებოდათ, ჭერს მიაწვდინა თავიო, მხრებში კი მაინც მოღუნული იყო. სამაგიეროდ, იოსები დაჯდა; იმ საზღვარგარეთულკაბიანმა გოგომ მანამდე გულნაზის გვერდით პირზე ხელმიფარებული რომ იჯდა და აჭარხლებული სახე არ იცოდა, სად წაეღო, ბოდიშის მოხდით წასვლა ითხოვა და თითქოს ცირამაც დრო უხელთაო, უცბად წამოიჭრა ადგილიდან, სირბილით შემოუარა მაგიდას და იმ გოგოსთან ერთად ოთახი დატოვა. მათ გულნაზიც მიჰყვა. მაღალმა კაცმა თვალი გააყოლა გოგოებს, რატომღაც განგებ ჩაახველა და ჭიქა აიღო ხელში.

— რა მინდოდა მეთქვა, შენ ნუ მომიკვდები, — თავისუფალი ხელით სახე მოიჭყლიტა, კიდევ ერთხელ მწყრალად მოავლო თვალი სუფრის წევრებს, კარისკენაც გაიხედა, ჩაახველა, ამ პაპანაქებაში რამ გამაციაო, თავისთვის ჩაიდუდუნა და შუბლშეკრული მიჰყვა და მოჰყვა, რაც პირზე მოადგა, არაფერი დატოვა უთქმელი, თან აქა-იქ ურთავდა, შენ ნუ მომიკვდები, შენ ნუ მომიკვდებიო.

ლევანი სკამზე გადაწოლილი იჯდა, გემრიელად აბოლებდა სიგარეტს და, თუ შეიძლება ითქვას, თავისთვის დროს ატარებდა. ხომ მაქვს უფლება, ერთ საღამოს მაინც გავიხაროო და უხაროდა, სახეზე კმაყოფილი ღიმილი არ მოსცილებია; უხაროდა, ამ ორმეტრიან კაცს რომ მისჩერებოდა და ისიც აბდაუბდად რომ უყვებოდა, რაც თავს გადახდენია, რა გაჭირვებაც გამოუვლია და განვლილ უბედურებასაც იმიტომ უსვამდა ხაზს, ეტყობოდა, სურდა ეთქვა, დღეს არავისზე ნაკლებად არ ვცხოვრობ, ყოველივე ეს კი მოთმინებამ, ამასთან, მუყაითმა შრომამ მიმაღწევინაო. მერე ახალგაზრდებს მოუტრიალდა. მაგალითად, ჩემს შვილს დღეს არაფერი აკლიაო, ამაყად თქვა და აქედან გამომდინარე, დანარჩენ ახალგაზრდებსაც მოსდგა, დღეს მათ ყველაფერი აქვთ, მათ არ იციან რა არის შიმშილი, ჩაგვრა, ექსპლუატაცია, შანტაჟი და მისთანები, და მიუხედავად ამისა, სულიერად ცოტა მაინც გამოცარიელებულები ბრძანდებიან, დაკარგეს უფროსებისადმი პატივისცემა, ბრმად გადმოიღეს ყველა უბედურება, რაც ძირმომპალი დასავლეთის ახალგაზრდობას ხრწნის და უფრო და უფრო მიეძალნენ ფუქსავატურ ცხოვრებასო. სხვათა შორის, საკუთარი თავიც დაადანაშაულა, რომ ასეთი ცხოვრება თვითონვე შეუქმნა თავის ერთადერთ „ცხვირმოუხოცავს“, „ვოლგაც“ კი მიართვა და ყოველდღიურად ჯიბეებს ფულით უტენის. სამაგიეროდ, მხოლოდ მცირედი სიყვარული და მშობლებისადმი პატივისცემა მოსთხოვა, რომელიც ეტ-

ყობა, აკლდა და რაზეც ეტყობოდა წუხდა კიდეც. სულ ბოლოს, „მოხსენების“ თემას გადაუხვია, უცბად საბუღალტრო საკითხებში გადაერთო, ისიც კი ახსენა, ბალანსში არაფრის გასწორება რომ არ შეიძლება და, რომ კაპიკ-კაპიკ უნდა ედრებოდეს დებეტ-კრედიტი. მხოლოდ ეს ვერ ამოხსნა ლევანმა, რაში დასჭირდა ბუღალტერიის მოშველიება. ცოტა მიხა პაპამაც შეუშალა ხელი გარკვევაში, რას მიედ-მოედები, კაცო. საქმეზე გადადით, შუა ლაპარაკში ჩაეჩხირა შვილს და, ორმეტრიანმა კაცმა მცირე ხნის შესვენების შემდეგ განაგრძო:

— ჩემო იოსებ, — ჭიქა დადგა მაგიდაზე, — ვფიქრობდი, მანამდე ცირაც შემოვა-მეთქი, მაგრამ, რა ვიცი, აბა, მთავარი მაინც შენ ხარ. მეც მიცნობ და ჩემს ოჯახსაც, აგერ ვართ ყველა, შენ ნუ მომიკვდები; ოჯახს ნამდვილად ვერ დამიწუნებ, არც ისეთი ხალხი ვართ, ვინმესთან შესახვეწი გვქონდეს, შენ ნუ მომიკვდები და...

— შესახვეწი? — გამოცოცხლდა იოსები, — ვერ გავიგე, ვიღას აქვს შესახვეწი?.. მთელი მსოფლიოს ოქრო-პლატინას მირჩევნია ჩემი შვილი!..

— მეც მაგას არ ვამბობ? — უკან დაიხია მაშინვე მაღალმა, — არც შენ და არც ჩვენ არავისთან გვაქვს შესახვეწი და...

— იმიტომაც არ მინდოდა, რო დაგელია, — წვრილი გამჭოლი ხმით სივრცე შეარხია ჩამრგვალებულმა ქალმა და მაღალს შეუტია, უკვე რომ ჯდებოდა, — რას აიტეხე, კაცო, შესახვეწნი, შესახვეწნი, — გამოაჯავრა, — მოკლედა ვერ იტყვი? აგერ ბიჭი და აგერაც ჩვენ. კალიცოც მოგვიტანია, საათიცა, ორივე პლატინით გაწყობილია, მარგალიტისთვლიანი ბეჭედიცა და ზურმუხტისთვლიანი საყურეცა. ჰოო? — ჰო. არა?... ბიჭმა აიტეხა, თორემა, რა დროს ჯერ ამის ეგენია, ეს კი მამიკვდეს და აღარა მყავდეს!

— დადექ, ჩემო რძალო, — მძიმედ ასწია ხელი მოხუცმა და იოსებს გადახედა, — ძალიანაცა კარგი დროა და ყველაფერიცა. ჩემი ელენე ცამეტისა იყო, ჯვარი რომ დავიწერე. ეს ბიჭი კიდევა, უკვე ინსტიტუტს ამთავრებს, მეტი რაღა!.. ხელი-ხელ მიეცით და გაათავეთ ბარემა, ისაი ჯობია.

— მიხო პაპავ, — სიცილი აუტყდა იოსებს, — მე რომ ხელი მივცე, მე უნდა გავყვე? დავუძახოთ გოგოს, ვკითხოთ და... მე სულაც არ მინდა ჩემი შვილის შინიდან გაშვება... შვილო, ცირა! — შესძახა უცბად იოსებმა და ამ დროს ლევანს უცნაური რამ დაემართა. თავბრუ ხომ ისედაც ეხვეოდა, ახლა გულიც აუფართხალდა კაკანათში გაბმული ჩიტივით. ვერაფრით ვერ გაარკვია, რა სურვილმა შესძრა, რა მოსთხოვა ამ გასაცოდავებულმა გულმა. შემოვიდოდა ცირა და მერე?.. მერე თავისუფალი იყო ლევანიც!.. არავითარი სხვა გრძნობა, არავითარი მოვალეობა; არც ვინმეს აყენებდა ტკივილს და არც ოცნებით ნაგებ კოშკს უნგრევდა. გაუმარჯოს სხნას და თავისუფლებას! გაუმარჯოს კიდევ ერთი ახალი ოჯახის შექმნას!.. მაგრამ იქვე საშინლად არ ესიამოვნა მორიგების მოწმედ ყოფნა. თითქოს ერჩია, მეხი დასცემოდა თავზე, ან ჩანგრეულიყო იატაკი და თვითონაც თან ჩაეყოლოდა, ან იქნებ უჩინმაჩინის ქუდი სჯობდა, რომ ყველასგან შეუმჩნევლად გამქრალიყო თავის გაურკვეველ სურვილებთან ერთად...

უცბად ტელეფონის ზარი აწკრიალდა. ცირა შემოვიდა. შემოვიდა ლაღი, მოცინარი; ხალისით მიუჯდა კვლავ ლევანს გვერდით, ლიმონათი მოსვა... ოთახი სავსე იყო ლოდინით, ძრწოლვით და კრთოლვით, მოთმინებით და მოუთმენლობით, და რაც უფრო გრძელდებოდა სანუკვარი თუ სატანჯველი წუთები, პასუხის მოლოდინში დაიტანჯა ხალხი ქშენით, ოფლის წმენდით, ცხვირსახოცის ფრიალით.

იოსებს ჯერ ყურმილი ეჭირა ხელში, გუნებაწამხდარი წრიალებდა ერთ ადგილას ფანჯარასთან (რაფაზე იდგა ტელეფონი!), „ჰოარას“ პასუხობდა მხოლოდ ვიღაცას, ერთხელ ისიც უთხრა, სტუმრები მყავსო და მერე ისევ „არა-ჰო-თი“ დაამთავრა საუბარი. ჭმუნვით და მერყეობით, ჰოს და არას შინაგანი დავით დაუბრუნდა სათამადო სკამს, წარბაზიდული მიაჩერდა ლევანს, თითქოს აწონ-დაწონა თვალით და მზერა ცირაზე გადაიტანა, მაგიდაზე იდაყვებდაყრდნობილი პასუხისთვის რომ ემზადებოდა.

— ცირა, შვილო, — დაჭყლეტილი ცხვირი უარესად მოიჭყლიტა მუშტით იოსებმა და განგებ ჩაახველა, — გინდა გათხოვება?

— ეგეც თუ საკითხავია! — ვითომ არხეინად წამოიძახა ცირამ. — მამაჩემო, ქალს შეიძლება რომ გათხოვება არ უნდოდეს?

— მოიცა, შვილო, — კიდევ ერთხელ ჩაახველა იოსებმა, — ქალს რა უნდა, მამაშენს ნუ ასწავლი. გინდა-მეთქი გათხოვება?

— დაგიშავეთ რამე? — თითქოს გული ამოუჯდა ცირას, ღრმა ხუნთქვას აჰყვა.

— ლექსაობის დრო არ მაქვს, ხალხი შენი ხელის სათხოვრად მოსულა.

— ვიცი!

— იცი და, მე რა პასუხი გავცე, შენ უნდა გადაწყვიტო. ოჯახსაც იცნობ და ბიჭსაც... ან იქნებ შეიცვალა რამე შენს ცხოვრებაში?

— არაფერიც არ შეცვლილა, მამა, შენ არ იცი?

— ეხე იგი, არ გაჰყვები.

— არა. — მოკლედ მოჭრა ცირამ და თვალი ლიმონათიან ჭიქას გაუშტერა.

— იქნებ მიზეზსაც ეტყვი ამ ხალხს.

— მამა!.. — წამოიძახა ცირამ, — უფლება არ მაქვს, ის არ გავაკეთო, რაც მე არ მინდა, ან არ ვთქვა ის, რისი-თქმაც არ მინდა?!. იქნებ სხვა

მიყვარს, არა მაქვს უფლება?.. — თქმით კი გაბედა ეთქვა, მაგრამ სახე ისე წამოუწითლდა, თითქოს ცეცხლის ალზე შებრაწულს, სადაცაა კანი დაუსკდებაო და ლევანს გულზე მოეშვა კიდეც. იოსებს პირზე ღიმილი მოადგა. მაგიდის წევრები უხერხულად აწრიალდნენ. ახალგაზრდა ბიჭი, ანუ შოთიკო, მთლად გაფითრდა, გველნაკბენივით მწარედ გააქნია თავი, ადგილიდან მხეცივით წამოიჭრა და მიხო პაპამ პიჯაკის ჯიბეზე უტაცა ხელი.

— მოიცა, შვილო! — შეაჩერა შვილიშვილი და ცირას მავედრებელი თვალებით გახედა, — ამ ხნის მოხუცი მოვსულვარ, იქნებ ჩემს ჭაღარას სცე პატივი. ბიჭის ცოდოსა ნუ დაიდებ, შენს გაზრდას... ჩემო იოსებ, ორიოდ დღე დამრჩენია...

— რა ვქნა, მიხო პაპა, — ხელები გაშალა იოსებმა, — მე რა შემიძლია.

— მამა ხარ, გამდელი ხარ. მე რა გასწავლო ამხელა კაცსა. განა ისე არ იქნება, როგორაცა შენ ურჩევ?

— ძველი დრო კი არ არის, პაპაჩემო, — ლაპარაკში უნებურად ჩაერთო ლევანი და ჩამრგვალებული ქალის მოთმინების ფიალაც აივსო (იმავ წამს შოთიკო პაპას ხელიდან დაუსხლტა და ოთახიდან გავარდა!).

— იქნებ რამეს გვიწუნებ, გოგო, — გესლიანად მიახალა ცირას, — ბიჭი არ მოგწონს, თუ ოჯახი!

— როგორ! — დააბრიალა თვალები, — უფლება არ მაქვს სხვა მიყვარდეს?

— გაქვს, სამწუხაროდ, — თითქმის ამოიოხრა მაღალმა კაცმა, რის ვაივაგლახით წამოდგა, ცოლსაც უთხრა, ადექიო და ჩამრგვალებულმა ქალმა იდაყვით მოიცილა მისი ხელი.

— სულ შენი ბრალია! — ბოლმიანად უთხრა, — მივიდეთ, უარსა როგორ გვეტყვიან, მივიდეთ, — თავის კანტურით გამოაჯავრა, — წადი ახლა ჯანდაბაში!.. დაედევნე ბიჭს, თავსა არაფერი აუტეხოს!.,

სუფრა აიშალა. ლევანმა ჭიქა ღვინით შეივსო და სხვებსაც რომ არ დაენახათ, მწყურვალივით გამოსცალა. მერე ღილინის ხასიათზე დადგა, თვითონაც წამოდგა, გამწარებული სტუმრები კიბემდე მიაცილა...

— გიყვარს და მამამ არ უნდა იცოდეს, შე მამაძაღლო? — გულში ჩაიკრა ცირა იოსებმა, მარტონი რომ დარჩნენ.

— ეს იმიტომ, რომ მალე წასულიყვნენ, — გაუნებივრდა ცირა.

— მომატყუე, მომატყუე... მამას რომ შენთვის უნდა, ქვეყნიერებაზე ჯერ ვინმე გაჩენილა ისეთი?!.

იოსებმა შვილს თავზე ხელი გადაუსვა და რამდენჯერმე შუბლზე აკოცა. ცირა განაბულიყო მამის მკერდზე, მიჩვეული იყო ალერსს და იმ წუთას ისიც ახარებდა, მამას რომ ესმოდა შვილის გულში დანთებული ცეცხლის გამომწვევი მიზეზი. მერე კი მოხდა ის, ლევანი სიზმრადაც რომ ვერ ნახავდა, წარმოდგენითაც რომ ვერ წარმოიდგენდა: იოსების წასაყვანად მოვიდნენ...

— უნდა მაპატიო, — მოუბოდიშა ლევანს, — გამიგებ ალბათ, წაუსვლელობა არ შეიძლება და არც შენი წაყვანის უფლება მაქვს. თბილისიდან რაიკომში ხალხი ჩამოსულა და ყვარლის ტბაზე...

— როგორ გეკადრებათ, — გაბოტილი დადგა ლევანი, მთვრალად რომ არ სჩვენებოდა, — მე ავალ სასტუმროში. თქვენ წაბრძანდით.

— მიზეზს კი გაძლევ, მაგრამ... ცუდად გცნობებია იოსებ ახმეტელი, — კოპებშეკრულმა ტორივით ვეებერთელა ხელები მხრებზე შემოხვია ლევანს, შეზარხოშებულისთვის დამახასიათებელი მოწადინებით ჯერ გემრიელად ჩაკოცნა, მერე თავი გადასწია უკან და ისევ შეხედა, — ზედმეტი ლაპარაკი არ გვინდა ჩვენ, ვაჟკაცები გვქვია და ბოლომდე ვაჟკაცები დავრჩებით... გოგოებს გიტოვებ მასპინძლად, მაგრამ არც ისეთი გოგოები არიან, არ იცოდნენ, ვის გორს ატარებენ!.. სხვა რა გითხრა, საპირფარეშო სახლს უკანაა, ზემოდან აქვს მისასვლელი...

ბნელა, ცაზე მკაფიოდ გამოიკვეთნენ ვარსკვლავები. კავკასიონზე წამომჯდარი ნახევარმთვარე მკრთალი სხივებით ელამუნება ცივგომბორის კალთებზე შეფენილ სოფელს. აქაიქ გაისმის ძაღლების ყეფის ხმა. თავგამოდებით ჭრიჭინობენ ჭრიჭინობელები.

ლევანი ეზოში მიდი-მოდიოდა და თან ორიოდე წუთის წინ მომხდარ ამბებს აცოცხლებდა გონებაში. მიუხვდა იოსებს (ან ყოველ შემთხვევაში, ასეთი დასკვნა გამოიტანა!), რატომაც შეატოვა ნასვამ მამაკაცს ორი ახალგაზრდა გოგო, თანაც საკუთარ სახლში. დიახ თითქმის აგრძნობინა, იოსებ ახმეტელი ის კაცი არ არის, ვისაც სირცხვილის ჭმევას გაუბედავო. ეს ერთის მხრივ, მაგრამ გამართლება ცოტა ჩანდა. თვით ცირაც კი შეაშფოთა ამ ამბავმა, ჭიშკრამდე მიჰყვა, სად მიდიხარო; იოსებმა მაშინ ანდაზა შეახსენა; „ვირს უფროსად რომ დაგინიშნავენ, „აჩი“ არ უნდა უთხრაო“. ცირას, რა თქმა უნდა, სულაც არ ეანდაზებოდა და იოსები ალაპარაკდა, მე ჯერ აქ ვცხოვრობ, აქ ვაპირებ სიკვდილს, საფლავიც ამ ხალხმა უნდა გამითხაროსო. იოსების მოჩვენებით მკაცრ ხმაში ლევანმა სევდაც შეიგრძნო, თითქოს ამ დაკუნთულ კაცს სიამოვნებდა ღვინის სმა, დროსტარება, სიმღერა და ტვირთადაც აწვა, როგორც მოვალეობა და სამსახური. ამიტომ არ შეეძლო უარი ეთქვა თამადობაზე და ამიტომაც აუცილებლად უნდა გამოეთრო თბილისიდან ჩამოსული „სტუმრები“... სხვა მხრივ, თვით ლევანი არ ეჩვენა უნდო ადამიანად („სიფათზეც ჰმოიკითხება კა-

ცის პატიოსნება!..“) , იმასაც მიხვდა, ჩემს შვილს ლევანი უყვარს და არც ლევანია გულგრილი ჩემი შვილისადმი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ოჯახში არ მესტუმრებოდაო; მეზობლის ერთადერთი გოგო, ცირასთან ვინც მოდიოდა ხოლმე ბავშვობიდან, გულნაზი, მძევლად დატოვა შინ და სამ ადამიანში რა უნდა მომხდარიყო, უთენია კი ცოლიც ამოვიდოდა წინანდალიდან. კიდევ ერთი ვარიანტი გათვალა იოსებმა ალბათ, უარეს შემთხვევაში, რაღას ვიზამ, შვილს ქმარს ვუშოვი და მე კიდევ კარგ სიძეს!..

ლევანმა მანქანა თალარქვეშ დააყენა და კარები საგულდაგულოდ დაკეტა. სხეული შეიმსუბუქა, სახსრებში გაიმართა. ესიამოვნა, გრილი ნიავი ტანზე მომდგარ ოფლს რომ უშრობდა. ერთხანს დოინჯშემოყრილი თვალგაშტერებით მისჩერებოდა მეორე სართულის განათებულ ფანჯრებს, რომელთა გადაღმა გულნაზი და ცირა საქმიანად ფუსფუსებდნენ. გუნებაში ჩაიცინა, მაგრად უნდა დავთვრეო, უთხრა საკუთარ თავს (კარგად იცოდა, როგორც დაეძინებოდა ასე შეზარხოშებულს გოგოების გვერდით!), ჭკულიანად დაამთქნარა, აჩეჩილი თმა გაისწორა, გულს სიმშვიდე უსურვა და საფეხურებს აუყვა..

გოგოებს სუფრა გაეახლებინათ. ჭიქებიც უკვე ღვინით იყო სავსე. ორთქლი ასდიოდა ხაშლამას და ქათმის დაბრაწულ ნაჭრებს. მადისმომგვრელად იცქირებოდა შუშა კიტრი, ბუსუსშეუცლელი პამიდორი, აჭრელებული ბოლოკი, მწარე წიწაკა, თუშური გუდის ყველი, ახლად გამომცხვარი შოთის პური... მაძღარი ადამიანიც ვერ დარჩებოდა გულგრილი. ჰოდა, ლევანმაც მსუნაგივით ჯერ იყნოსა, მერე ორივე ხელი ერთმანეთზე რამდენჯერმე მძლავრად გაუსვ-გამოუსვა და იკითხა, არ დავიწყოთო?!. გულნაზი უკვე ხაშლამას შეექცეოდა მადიანად, მეტის მოთმენა აღარ შემიძლიაო; ცირა კი რატომღაც მოწყენილი იჯდა და ხელს არაფერს აკარებდა.

— გადაიღე, თორემ გულნაზი იტყვის, ეს რა უმადო ხალხს გადავეყარეო,— ხაშლამა მიაწოდა ლევანმა ცირას, — სხვათა შორის ვისთან მაქვს პატივი, შეიძლება უფრო უკეთ წარმომიდგინო? — გულნაზიზე ანიშნა.

— კარის მეზობელია. ერთად გავიზარდეთ.

— დიდად სასიამოვნოა, — თავი დაუკანტურა ლევანმა გოგონას. — გათხოვილი ბრძანდებით?

— ჯერ არა...

— ჯერ არა, — გაიმეორა ლევანმა, — რაოდენ დამახასიათებელი და ახლობელი[illegible] ყველა ჩვენგანისთვის, ჯერ არა!.. ჯერ არ[illegible] ჯერ არ მოვმკვდარვარ, ჯერ არ მიმიღწევია მიზნისთვის, ჯერ არ ვიცი, რა იქნება ხვალ, ჯერ არ მიგვრძნია ნამდვილი სიყვარულით თრობა... ჯერ არა, ჯერ არა, მაგრამ მაინც ჯერ, რადგან იმედი გვაქვს, ხვალ აუცილებლად ასრულდება. არადა მოვა „ხვალ“ და კვლავ გავიმეორებთ — ჯერ არა, ჯერ არა... ადამიანი იმედით ცოცხლობს, იმედით სულდგმულობსო; მოდით, ამ იმედს გაუმარჯოს, ხვალინდელ ლამაზ დღეს და ამ პატარა ნაპერწკალს, ჩვენს გულში შეფარებული გაღვივებას რომ ელის!

ლევანმა მრავალაზროვნად ჩახედა ჭიქას, კიდევ ერთხელ გაიღიმა და თითქოს ოქროსფერ გამჭვირვალე სითხეს შეეძლო მასში ჩაყურყუმელავებული იმედების რეალობად ქცევა, ბოლომდე შესვა. ცირამ თვალები დაახამხამა, ლევანის თქმული ყოველი სიტყვა ისე ესმოდა, როგორც ზარების რეკვა, იმ ჰანგების აჟღერება, მხოლოდ სასიამოვნოდ რომ ძვრება სულში და ამასთან მწარე განცდითაც იპყრობს მსმენელს, სიმშვიდეს უკარგავს. ცირასთვის იქნებ გახსენების ცდაც იყო, ყოველივე, განცდილის აღდგენა, რაც თავისივე აღიარებით არცთუ დიდი ხნის წინ თითქოს უარყო კიდეც. განა ამასვე არ მოითხოვდა მისგან ლევანი და, განა იგივე ლევანი არ ცდილობს უკან მიბრუნებას?!. დიახ, ლევანის თვალებში ბუნდად ბჟუტავდა იმედის ნაპერწკალი; მის წამიერ გამოხედვებს თან სდევდა იდუმალი მწუხარება და სასოწარკვეთის საწყისი იმპულსებით გამოხატული ღრმა სულიერი გარდატეხა, ნაძალადევი ცდა უგონო სიმთვრალისკენ, დროებით მაინც რომ გამოსთხოვებოდა სინამდვილესთან უთანაბრო ჭიდილს... რაღაც მსგავსი უფრო ადრე იგრძნო ცირამ, სასტუმროს წინ, შეხვედრის პირველსავე წუთიდან, მაგრამ მაშინ გულისთქმას არ დაუჯერა; უცაბედი გამოცხადებით მოფრენილმა სიხარულმა სძლია ყოველივეს და ხაკუთარი განცდებიც კი დავიწყებას მისცა; სადღაც გაფრინდა ის, რაც ადრე მოხდა, გაიგო; აღტაცებით შეჰყურებდა ბედნიერების კოშკის მფლობელ უფლისწულს, მეოცნებე გოგოს არსებაში რომ ფანტავდა წარმოდგენილ აბსტრაქტულობას და სურვილთა განუხორციელებლობას.

„ლევანს უჭირს და თანაგრძნობას მთხოვს, — გაიფიქრა, — ტყუილად მხიარულობს,

სრულიადაც არ ემხიარულება, მაგრამ ასე მაჩვენებს თავს!..“

გული დასწყდა, რომ არ შეეძლო ლევანის ძარღვიანი მკლავების დაწყნარება, მალიმალ რომ თრთოდნენ; არ შეეძლო ჩამოვარდნილი თმის გასწორება, შუბლზე მომდგარ ოფლს წარბებთან რომ მიეწებებინა; არ შეეძლო ტუჩებზე ხელის შეხება, ასეთ მგრძნობიარე სიტყვებს რომ წარმოთქვამდნენ. მერე როგორ ჩაიხუტებდა პატარა მკერდში ამხელა მამაკაცის ლამაზ თავს, დაუკოცნიდა ნაღვლიან თვალებს, ოდნავ წვერმოშვებულ ლოყებს, თხელ ტუჩებს... მაგრამ სურვილიც არის და სურვილიც! თავს სძლია, თვითონაც ლევანივით ნაძალადევად გაიღიმა, ნერწყვი ძლივს გადაყლაპა და უცბად, არცთუ დამაჯერებლად წარმოთქვა:

— მე დღევანდელ დღეს ვადღეგრძელებ, ლევან!..

ლევანს გაეღიმა. გულზე მალამოსავით მოედო ნათქვამი, მაგრამ ცირას მაინც არ შეხედა. პირიქით, სიგარეტის კვამლში გაეხვია მაშინვე, თითქოს ამით შეძლებდა გულნაზის ცნობისმოყვარეობის გაფანტვას, ქალური ეშმაკობით რომ ცდილობდა მათ სახეებზე საიდუმლოს ამოკითხვას. ცირა კი ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ბავშვური გაუბედაობით ცდილობდა თავისი აზრის დასაბუთებას:

— დღევანდელს იმიტომ, რომ ჩვენ დღეს ბედნიერები ვართ, არა, შეიძლება არც ვართ, მაგრამ ნამდვილად არ გვინდა რაიმე ცუდის გახსენება. ხომ არ გვინდა, ლევან?

— არ გვინდა, — გაუბედავად დაეთანხმა ლევანი და ცირამ განაგრძო:

—ბოდა, არ ვიცი, როგორ ვთქვა. ვიღაც მიმტკიცებდა, ადამიანი უნდა ისწრაფოდეს უკეთესი ხვალინდელი დღისკენ და ცხოვრობდეს დღევანდელითო. მეც დღევანდელით ვცხოვრობ, ლევან, დღევანდელ დღეს გაუმარჯოს!

— თუ ასეა, — შეეხმიანა გულნაზი, — მე ოქტომბრის ოცდაათს ვერ ვადღეგრძელებ?!

— ოქტომბერში რაღა ამბავია? — იკითხა ლევანმა და გულნაზს გაეღიმა.

— თქვენ თუ ხვალინდელი დღის იმედი გაქვთ, ცირას — დღევანდელის, მე არ შეიძლება, რომ ოქტომბრის ოცდაათის იმედი მქონდეს?

— როგორ არა, როგორ არა, მაგრამ თქვენ ძალიან შორს გადაიტანეთ.

—კახეთში რთველიბა მაშინ მთავრდება და!..

გულნაზის ასეთმა გულახდილობამ ჯანსაღი სიცილი გამოიწვია. ყველასათვის გასაგები იყო, კახეთში რთველობის დამთავრებისთანავე რომ ქორწილები იწყება და გულნაზის საქმროს დღეც ჰქონია დანიშნული, როცა ხელი უნდა მოეწერათ... ამ სიცილში გოგოები ჩუმი მზერით ერთმანეთს რაღაცას გადასცემდნენ, რაც ლევანს შეუმჩნეველი არ დარჩენია და, რადგან საერთო თამაშიდან გამოძევებულად მიიჩნია თავი, გადაწყვიტა, თითო ჭიქა ღვინო მათთვისაც დაელევინებინა.

— აბა, გოგოებო!.. — მხიარულად შეუძახა, — ასეთ სადღეგრძელოს რა სჭირდება?

— გაუმარჯოს! — თითქოს ამას ელოდაო, გულნაზი ჭიქას სწვდა და ბოლომდე გამოსცალა. ცირამ შეშფოთებით დააბრიალა თვალები.

— რას გაუმარჯოს, გოგო!

— რას და, ჩემს ოცდაათ ოქტომბერს, — მშვიდად დაუბრუნა პასუხი, — დალიე შენც!

— მე ვერ დავლევ, — ხელები გაასავსავა ცირამ, — ნამდვილად ვერ დავლევ.

— ნუ ინაზები შენცა!..

— აბა, — ცირას ჭიქა ლევანმა აიღო და პირთან მიუტანა, — მეზობლებმა არ გვაჯობონ!.. რა გვჭირს შეუძლებელი?

— ვერ დავლევ!.. თუ არა, შენ გაქვს, ქალბატონო, მიზეზი, — თავს დაესხა გულნაზის. — მე არ შემიძლია... იცოდეთ, დავთვრები, და თქვენი მოსავლელი ვიქნები... აუუჰ, რა საძაგლობაა!..

ლევანმა თითქმის ძალით დაალევინა; მერე კი შერცხვა, რადგან კარგად არ გამოუვიდა. ცირას შეეძლო ისეც წარმოედგინა, მავნე ზრახვების ბიჭებმა რომ იციან ხოლმე გოგოების ძალით დათრობა, შემდეგ იოლად რომ აისრულონ გულის წადილი. საქციელის გასაქარწყლებლად მაშინვე შეავსო თავისი ჭიქა, ორივეს სადღეგრძელო ერთად შესვა, თქვენ კი, როგორც გნებავთ, არ დაგაძალებთო, ბოდიშივით მოუხადა ცირას.

— გულნაზი, ხედავ? სუფრის წევრებად არ გვთვლის. აბა, დაგვისხი!.. ვერ ვთქვი კარგად? დაგვისხი-მეთქი!..

ცირას ჭიქა ეჭირა ხელში და ლევანს ელოდა, როდის შეუვსებდა. იმ ერთ ჭიქას წონასწორობიდან გამოეყვანა და უკვე ალკოჰოლის მოყვარულივით ჭირვეულობდა, მოსახმარებლად გულნაზიც მოიშველია, და ერთობლივი მოთხოვნით სადღეგრძელო კვლავ ბოლომდე შეისვა.

მეტი აღარც იყო საჭირო, გოგოები უცბად ალაპარაკდნენ; უთავბოლოდ იცინოდნენ, დასცინოდნენ უკან გაბრუნებულ სასიძოს და თან სიბრალულსაც გამოთქვამდნენ, აღარ ეხათრებოდნენ ლევანს, შიგადაშიგ მასაც ეხუმრებოდნენ, ჭამდნენ და სვამდნენ, დროდადრო ჭირვეულობდნენ კიდეც, და ლევანს თავი უარესად გაუბრუვდა. უცნაური ძალა ისედაც მაღლა-მაღლა ეწეოდა, ეგონა, გემის კიჩოზე მდგარს, სადაცაა მშფოთვარე ზღვის ტალღები მოიტაცებენო.

— ახლა, ვხვდები, რატომ თვრება მამაჩემი მალ-მალე! — სიცილით წარმოთქვა ცირამ,

ორივე ხელით თმა აიჩეჩა და ლევანს მიუბრუნდა; — გამხიარულება მინდა ახლა მე!

— მეტი მხიარულება აღარ გამიგია! — გაიცინა ლევანმაც.

— მომიყევი რამე... რაც უნდა იყოს, მზად ვარ ყველაფერი მოვისმინო!

— იყო და არა იყო რა...

— არ მინდა იყო და არა იყო რა... — ნებივრად თქვა ცირამ — ანეგდოტები გვითხარი!

— სათქვენო ანეგდოტები ჯერ არ მისწავლია... არც შემეხვეწო, მაინც არ ვიტყვი. სხვა რამ მოიფიქრე.

— მაშინ, მიმღერე!

— რადგან არ იშლი... — ამოიოხრა ლევანმა, — სიმღერის რა მოგახსენო, მაგრამ დავუკრავ; მხოლოდ, ერთხელ!., თუ, რა თქმა უნდა, კლავიშები გავარჩიე, ცოტა ვერ მაქვს კარგად საქმე, — თავთან თითი დაიტრიალა.

— თქვენ გამაგრდით, აქ ვართ ჩვენ! — თითქოს გაამხნევა გულნაზიმ და ლევანს გაეღიმა. ოთახის კუთხემდე, სადაც პიანინო იდგა, რიხიანად მივიდა, მრგვალ სკამზე დაჯდა, ერთხელ შემობზრიალდა და ფშავ-მოხევურ კილოზე დაიწყო:

ის კი არ არის ბიჭობა, .
რო გამაგრებდნენ, ჰმაგრობდე.
ბიჭს მაშინ დაგიძახებდი,
თავისთავადა ჰვარგობდე...

ალტაცების ნიშნად ცირამ ჯერ ტაში შემოჰკრა, შემდეგ ყელი გამოუწია:

— კიდევ, რა!..

— მეტი არ ვიცი, — ხელები გაშალა ლევანმა და პიანინოსკენ შეტრიალდა, სახურავი ახადა, ცოტა ხნით თითებს ისრესდა, თითქოს კონცერტის დაწყების წინ შინაგანი მღელვარების დაძლევას ცდილობსო; რამდენჯერმე, გოგონებისთვის შეუმჩნევლად ღრმად ჩაისუნთქა.

ცირას ბავშვური ჭირვეულობა სადღაც გაქრა. იგი შესცქეროდა ლევანის ფართო ბეჭებს და თვითონაც უკვირდა, ეს კაცი მის თვალში როგორ მაღლდებოდა თანდათან და როგორ იხვეწებოდა, ისანთლებოდა... დიახ, მის წინ სწორედაც ის იჯდა, ბავშვობიდანვე მოსვენებას რომ არ აძლევდა, ეს ის უფლისწული გახლდათ, რომელსაც შეეძლო გულის დაპყრობა თავისი მომხიბლველობით და სილამაზით, თეთრ რაშზე ამხედრებული, ეს ის გახლდათ, აქამდე მხოლოდ ოცნებით შექმნილ ღრუბლებში რომ დანავარდობდა, ახლა კი თავისი ფეხით მოსულიყო და მის გართობას ლამობდა... ოთახში ჩამოწოლილი მდუმარება დაბალმა, წყნარმა მუსიკამ შთანთქა. ცირა პაპისეულ სავარძელში მისვენებული (პიანინოს გვერდით რომ იდგა), თვალებგაშტერებით დაწაფებოდა მომაჯადოებელ მუსიკას.

როგორც არცთუ იშვიათად ხდება, გრძნობებს აყოლილ ადამიანს თითქმის ყოველთვის უმნიშვნელო რაღაც უშლის ხოლმე ხელს, სრული კმაყოფილების მისაღებად. მაშინაც კი, როდესაც ირგვლივ მხიარულებით აღსავსე ატმოსფერო ეკვრის, სიტკბოების მორევი თავისკენ ითრევს და ატყვევებს, ყურადღების მცირედი მოდუნება, ცხოვრებით შექმნილ და განცდილ მწუხარებებთან აბრუნებს. აბრუნებს და, არ შეიძლება წამიერად მაინც არ შესძრას იგი განვლილი უსამართლობით აღმოცენებულმა და გულის სიღრმეში ჩაძირულმა ხვალინდელი ბედნიერი დღეების იმედის დაკარგვის შიშმა. ამისთვის განსაკუთრბული რამ როდი ყოფილა საჭირო ან ხანგრძლივი დროის დინება, — გონებას გაელვების მსგავსი სისწრაფით შეუძლია მთელი მსოფლიო შემოგატაროს, ყველა განცდილი გაგახსენოს და მათგან ერთი მაინც დაგიტოვოს სულის მოსაშხამად. იქნებ ბახის მუსიკამ შექმნა კიდეც მარცვალი, ლევანის გონებაში ნელი რომ აღმოაცენა; აზროვნებას დაუბრუნა პიროვნება, სწორედ იმ ბავშვობის ასაკში მაცოცხლებელ ელექსირს რომ წარმოადგენდა გრძნობააშლილი ბიჭისათვის. ახლა კი... სიყვარულს როდი ჰქონია თვალები ახელილი, თურმე იგი ხშირად ჯურღმულში გითრევს, საიდანაც საღ-სალამათი ვერასდროს ამოხვალ. ასე ისურვა ბედმა ლევანისთვის და იქნებ ამჯერად ლევანი უმზადებს ცირას მსგავს ბედს?!. „არა, — უთხრა თავის თავს, — ეს მხოლოდ ჩემი ხვედრია და გასხვისება არ შეიძლება!..“ უცბად შეწყვიტა დაკვრა, მოტრიალდა მტკიცე გადაწყვეტილებით, ყველაფერს გულახდილად ვაღიარებო და, ცირა იჯდა ტყვედქმნილი, ბედნიერი სახით. მისი სიამოვნებით აღსავსე თვალები, შორს უსასრულობაში იცქირებოდნენ; იცქირებოდნენ იქით, სადღაც მუსიკის ჯადოსნურ სამყაროში და ასე უცბად დადუმებულ ოთახში დაბრუნებაზე უარს აცხადებდნენ.

ლევანი წამით შეყოვნდა და თავს შეებრძოლა. ალბათ გულნაზის იქ ყოფნაც უშლიდა ხელს. რა ჯავრი ჰქონდა, რას იტყოდა ვიღაც თელაველი გულნაზი ლევანზე, მაგრამ ცირასთვის არ იყო სულერთი; ვერ წარუდგენდა თავს კეთილ მოძღვრად, უიღბლო ადამიანის ალსარებას რომ მოისმენდა და არ გაჰკილავდა. არა და, როგორ სურდა ცირასთან ურთიერთობის გარკვევა. ადგებოდა და ყველაფერს ეტყოდა; ეტყოდა, რომ საძაგელია, აუტანელი ხასიათის, რომ თითქოს რწმენადაკარგული, ძალით ტაკიმასხარაობს და თან ჭკვიანი კაცის როლს თამაშობს მხოლოდ და მხოლოდ მისი გულის მოსაგებად და იმიტომაც, რომ საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა აქვს... ვერ გაბედა; ვერც იმაში დარწმუნდა, რომ ცირა ყოველი-

ვეს გაუგებდა. იქნება ამით შეითრევდა გაუგებრობათა სამყოფლოს მოჯადოებულ ლაბირინთებში, საიდანაც იშვიათად აღწევენ თავს სულიერი ტრამვის გარეშე...

„ეს ოხერი გული მაინც გემორჩილებოდეს, ჰაერის უკმარობას რომ ჰყავს ასე მოდუნებული, — ყელზე მოივლო ხელი ლევანმა და პირი გააღო,— და კიდევ სიგარეტი, უარესად რომ მაბრუებს და მათრობს... კიდევ კარგი, გონება მიმუშავებს სადად, სხეული კი აღარ მემორჩილება... ლევან! შემაგრებაა საჭირო და კიდევ ხვალინდელ დღეზე ფიქრი. ლოგინი თუ გიშველის ახლა...“, — გაიფიქრა და მაშინვე ადგა, მდუმარედ მოავლო თვალი ოთახს, აუჩქარებელი ნაბიჯებით აივანზე გავიდა.

ნახევარმთვარე ოდნავ ასცდენოდა კავკასიონს. შუშაბანდის მინები მკრთალად ირეკლავდნენ რუხ სხივებს. მდუმარედ გამოიყურებოდა ირგვლივ მიდამო და ფოთლები ნაზად შრიალებდნენ ღამის სიმყუდროვეში.

კიბის საფეხურებზე ჩამომჯდარი ლევანი თავჩაქინდრული, მძიმედ, ღრმად სუნთქავდა.., მერე ხელის შეხებამ გამოაღვიძა, ცირა იყო, გვერდით მისჯდომოდა, თავი მხარზე მიედო და მკლავზე ფრთხილად ეფერებოდა.

— შენ ხარ? — ვითომ სხვათა შორის ჰკითხა ლევანმა, განგებ შეტოკდა, რომ ცირასგან განთავისუფლებულიყო და მერე გვერდით მიცურდა.

ცირაც გასწორდა, უფრო მოხერხებულად მოეწყო, მაგრამ ხელი არ გაუშვა.

— რომ იცოდე, რა კარგად გეძინა, — ჩურჩულით უთხრა — რამდენი ხანია, ვერაფრით ვერ გაგაღვიძე.

— რამე ცუდს ხომ არ ვაკეთებდი?

— გეძინა, ლევან, რა უნდა გაგეკეთებინა? ასე, თავჩაღუნულს გეძინა.

—ჰო, — თავი მოიქექა ლევანმა — საძაგლობაა ამდენი ღვინის სმა. მაგრად მეძინა?

—პირველად რომ შეგხედე, შემეშინდა, ავად ხომ არ გახდა-მეთქი, გვერდით მოგიჯექი და, ვეღარ ავდექი.

— ცემენტს მაინც თავისი სინოტივე აქვს, გაცივდები.

— ისე ვარ გახურებული.., თანაც შენ მათბობდი.

— თავიდან ასე იცის, მერე კი გაცივდები და გვიან იქნება. ადექი.

— შენც ადექი. განა შენ არ გაცივდები? ორივე ერთად ავდგეთ.

— სუფთა ჰაერზე მსიამოვნებს... შენ მიდი, მე ცოტა ხანს კიდევ ვიქნები და მერე მოვალ.

— სად მივიდე, ბიჭო — შეშფოთებით დააბრიალა თვალები ცირამ, — იცი, როგორი მშიშარა ვარ?

— რაღაცას მატყუებ, — თვალებში შესცინა ლევანმა, — დედაშენთან მარტო არ რჩები ხოლმე?

— დედა მაინც დედაა, ლევან, დედასთან არ მეშინია და ალბათ იმიტომ, რომ დედაა. თუ საჭიროა, ღამესაც გამითევს. გულნაზის კი უკვე მკვდარივით სძინავს...

ერთად ადგნენ, ერთად აიარეს ორიოდ საფეხური და ერთად შევიდნენ შუშაბანდში. მხოლოდ მოპირდაპირე ფართომინებიანი კარიდან გამოდიოდა მკრთალი შუქი, ყველა დანარჩენი ოთახის კარი ჩაბნელებული იყო. ლევანს არც უფიქრია, სადაც სინათლე ენთო, პირდაპირ იმ ოთახში შევიდა; შევიდა და იქვე შედგა. ხელმარცხნივ, პატარა აბრა ანათებდა ორ საწოლს, — ორივე გაშლილი იყო, ოდნავ ქვევით, სკამებზე ქალის ტანსაცმელი ეწყო. თვალისმომჭრელად ბზინავდა კედელზე მიყუდებული უშველებელი ოვალური სარკე; სარკესთან წიგნებით სავსე პატარა მაგიდა და წიგნების კარადა იდგა. ლევანი მიხვდა, ცირას ოთახში შევსულვარო და გამოსვლა დააპირა, მაგრამ ცირამ გზა გადაუღობა, მერე კი სკამი დადგა საწოლთან და ჰკითხა, რომელ საათზე გინდა ადგომაო.

— ასე, ექვსისთვის, — ძლივს ამოილუღლუღა ლევანმა, უნებურად საწოლთან მივიდა; ჯერ ისევ გაუგებრობით მოცულ ბურანში დახეტიალობდა, რომ ჩამოჯდა იმ საწოლზე. ცირას ფუსფუსისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ფეხსაცმელები გაიხადა წვალებით. მხოლოდ მაშინ იგრძნო, თითები რომ სტკიოდა და სახსრებშიც შესივებოდა ფეხები, ხელი დაისვა ერთ-ორჯერ, მერე შვებით ამოისუნთქა, ლოგინზე ტანსაცმლიანი მიწვა, თავქვეშ ამოიწყო ხელები და თვალები დახუჭა.

— მაღვიძარას ექვსის ნახევრისთვის დაგიყენებ, მაგრამ ასე აპირებ წოლას? — ჩაესმა ცირას ხმა; ისიც გაიგონა, მაღვიძარას საქოქს რომ ატრიალებდა, ბოლოს სინათლეც ჩაქრა.

— როგორც მახსოვს, დიდ ოთახში უნდა დამეწვინე, — ჩურჩულით თქვა ლევანმა. მაშინვე იგრძნო კიდეც, თავთან ცირას შიშველმა ფეხებმა რომ გაიარეს, იასამნის სუნამოს სურნელებაც იყნოსა და თვალები შიშით გაახილა. ვერაფერი კი გაარჩია, კუპრივით ეჩვენა სივრცე.

— დიდ ოთახში გულნაზის სძინავს, — ჩურჩულითვე თქვა ცირამ.

— შენ? — შიშით ჰკითხა ლევანმა და ცირამ ხალისით უპასუხა:

— მე — ჩემს ლოგინში.

— არ შეიძლება!..

— ამაღამ ჩვენ და-ძმა ვართ.

— შენ ახლა მთვრალი ხარ...

— შენც მთვრალი ხარ.

— მით უმეტეს, არ შეიძლება.

— ნუ გამკიცხავ, ლევან, ერთხელ მეც მინდა ვიყო ბედნიერი, ერთხელ მაინც-მეთქი, როცა ამის საშუალება მომეცა. არ ვიცი, რა დამემართა, მაგრამ სულაც არ მრცხვენია შენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილით კი გულნაზის შევუწვები ფერხთით, მაინც ვერაფერს გაიგებს...

იატაკზე კვლავ გაიარეს შიშველმა ფეხებმა, ხის საწოლმა დაიჭრიალა და ყრუდ გაისმა ზამბარების ხმა. ლევანი თითქმის გამოფხიზლდა. გულს საშინელი ბაგაბუგი გაუდიოდა, პირი უშრებოდა და მალ-მალე ნერწყვს ყლაპავდა. მერე ის ნერწყვიც გაუშრა და წყურვილის საშინელი მოთხოვნილება იგრძნო.

— მაშინ მე წავალ, ცირა... — არადამაჯერებლად წაილუღლუღა ლევანმა. ცირამ კი საბანი კისრამდე დაიფარა, ლევანივით თავქვეშ ამოიწყო ხელები და რაღაც წაიბუტბუტა.

— რა თქვი? — ჰკითხა მაშინ ლევანმა და ცირა შეირხა.

— საკუთარი თავის იმედი არ გაქვს? ხომ გითხარი, ახლა მე და შენ და-ძმა ვართ-მეთქი. არა ვართ?

— ვართ, მაგრამ რომ არა ვართ, ისიც კარგად იცი... წყალი უნდა დავლიო. სად მოდის თქვენთან, მგონი ეზოში, არა?

— ხელს რომ გადაყოფ, საწოლის თავთან, იატაკზე, მაცივრიდან გამოღებული წყალი გიდგას სურით...

რაღა ეთქმოდა, წყალი შესვა, მაგრამ ადგომით რატომღაც ვერ ადგა. დაბნეული იყო ძალიან და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ამასობაში თვალიც მიეჩვია სიბნელეს; მთვარის შუქით განათებულ ოთახში თითქმის ყველაფერი გაარჩია. სცადა, უფრო უკეთ მოწყობილიყო საწოლზე, ფეხები ოდნავ გაშალა, იქნებ როგორმე ძილი მომერიოსო, მაგრამ რაც უფრო ებრძოდა თავს, არ ეფიქრა გვერდით მწოლარე გოგოზე, მით უფრო მეტად ეფიქრებოდა. უცნაური ძალა მისკენ ეწეოდა. ჯერ ისევ გაუგებრობა დაპატრონებოდა ლევანის სულსა და გონებას, ვერ დარწმუნებულიყო თავის სიძლიერეში, უფრო ის რაღაც ძალა სჯაბნიდა და რაც დრო გადიოდა, ცდუნებას თავისი გაჰქონდა... ვერც მთელი დღის ძალი გამოაფხიზლებდა ასე, ვერც წამალი თუ საწამლავი, ვერც სპეციალური გამოსაფხიზლებელი, — ისე სალად აზროვნებდა, თითქოს წვეთიც არ შეესვას. თავი კი ისევ სტკიოდა და უფრო მეტადაც, საფეთქლებთან სისხლი ხმაურობდა. შესძლებდა დილამდე ასეთი უჩვეულო გამოცდის ჩაბარებას?! — იმედი ცოცხალი თევზივით უსხლტებოდა ხელიდან... გადაბრუნდა... გადაბრუნდა და მთვარის შუქით ოდნავ განათებული ცირას სახე დაინახა. პატარა მკერდთან თხელი საბანი ზღვის ზედაპირივით ირხეოდა მძიმედ, რიტმულად. გოგონაც არანაკლებ ებრძოდა საკუთარ გრძნობებს, ღრმად სუნთქავდა და ემჩნეოდა, ღამის იდუმალება მასაც ართმევდა ძალას. ორივეს ეშინოდა განძრევის, ერთი ხელის გაშლაზე კი იწვებოდნენ და იმდუღრებოდნენ, ორივეს სხეული თრთოდა ახლად დაბადებული ბავშვივით, ოფლში ცურავდა ორივე...

— ხელს ხომ არ გიშლი? — ველარ გაუძლო ცდუნებას ცირამ და ლევანს ალმოდებული თვალები შეანათა.'

— რატომ არ იძინებ?.. დახუჭე თვალები. — ძლივს ამოილუღლუღა ლევანმა და ხმაში სისუსტე შეემჩნა. ჩახვეულება მოუნდა, მაგრამ ვერ გაბედა. ასე მოეჩვენა, მათ სულწასულობას თავს წაადგებოდა ცირას მთელი ნათესაობა, მეზობლობა, ამხანაგობა... და მარტო ცირასი?!.

— ლევან, ხედავ რამეს? — კვლავ ცირამ დაარღვია მდუმარება და ოდნავ, მაგრამ მაინც სცადა ლევანისკენ მიწევა.

— არა, — იცრუა ლევანმა.

— რატომ არ მელაპარაკები, ხომ არ გძინავს?

— მძინავს...

— „ის კი არ არის ბიჭობა, რომ გამაგრებდნენ, ჰმაგრობდე...“ ვინ თქვა?

— ვაჟამ... რატომ არ დაიძინებ? — ოდნავ მოლბა ლევანი და ცირას მაშინვე ხალისი მიეცა.

— არ მეძინება... ალავერდში თუ ყოფილხარ?

— ბევრჯერ.

— სანთლები თუ დაგინთია.

— არა. შენ?

— გუშინ დავანთე. მამამ წამიყვანა; ამხანაგებთან ერთად შიგ ეკლესიაში იმღერეს, მე კი მანამდე სანთელი დავანთე და დღეს შენ გამომეცხადე.

— მე რომ არ დამინთია? — თითქოს თავის თავს ჰკითხა ლევანმა და ცირამ რომ არაფერი თქვა, მცირეოდენი დუმილის შემდეგ განაგრძო: — სრულიად შემთხვევით ჩამოვედი, ცირა, ხვალ დილით კი თორმეტ საათამდე რუსთავში უნდა ვიყო. უკვე ათი საყრდენი სადგური შემოვიარე. დიდი უფროსის დავალებას ვასრულებ.

— ბედნიერი ხარ, — ღრად ამოისუნთქა ცირამ და ლევანს სევდა მოეძალა, უსიამო აზრებმა თავი შეახსენეს.

— ყველას თავისი სადარდებელი ზურგით დააქვს, რომ იცოდე. სხვა სხვის საქმეში ბრძენიაო. ბედნიერი შენ ხარ, რომ საკუთარი თავის გარდა სხვა სადარდებელი არ გაწუხებს. არც ისეთი იოლია ცხოვრებასთან ჭიდილი, როგორც ენა ამოთქვამს. ხე იჭრება, ნაფოტები ცვივიან. მე კი არც ხე ვარ, არც ნაფოტი რა ვარ, ჩემო ცირა, თვითონაც ვერ გამირკვევია. ვარ ალბათ ერთი ჭიუტი კაცი, ლამაზ იდეალებს რომ ებლაუჭება და ფაქიზი გული აქვს, რის გამოც ყველა გადასანსვლას უპირებს.

— მეც მათ რიცხვში მთვლი? — ხმის კანკალით ჰკითხა ცირამ და ლევანს კვლავ აუ-

ჩქროლდა გული, ოდნავ რომ მინაბულიყო სამსახურის და მასთან დაკავშირებული უსიამოვნებების უნებლიე გახსენების გამო. თავისდა უნებურად ხელი გადასწია, ცირას თმას გაეთამაშა.

— შენ კარგი გოგო ხარ, — ჩურჩულით უთხრა — ყველაზე კარგი, თუ ოდესმე ვინმე შემხვედრია...

ლევანმა თმა მოსრისა და მაშინ კი საბოლოოდ აუთრთოლდა თითები. იმ წამსვე ცირამ ხელი მოავლო მის ათრთოლებულ თითებს, ლოყაზე მიიდო, ცეცხლმოდებული ტუჩები ხელისგულს გაუსწორა და ფრთხილად აკოცა. აკოცა მეორედ, აკოცა მესამედ და ყოველთვის ისე ჰკოცნიდა, თითქოს ეშინოდა, თოვლის ფანტელივით არ შემომადნენო; ტუჩებს მიადებდა თუ არა, მაშინვე აცილებდა... ლევანმა ცოტა ხანს გაუძლო, მერე კი მთელი ტანით შეტოკდა, ძარღვებდაჭიმული აიმღვრა, აწრიალდა, წინააღმდეგობის გაწევას ლამობდა თითქოს და მის ნაცვლად ცირას ყურის ბიბილოს აწვალებდა; ბიბილოდან მერე ყელზე გადაინაცვლა, ყელიდან ცოტა ქვევით... საბნის პირმა არ გაუშვა.

— შენ კარგი გოგო ხარ, ცირა, — ბუტბუტებდა გონწართმეული, თან ცირასკენ იწევდა. გონება უკვე ვეღარ ეწინააღმდეგებოდა გრძნობას; ცირას ლევანის ხელი მძლავრად ჩაებღუჯა, მხოლოდ ინსტიქტებით ეურჩებოდა, სინადვილეში კი ეხმარებოდა მოძრაობაში და რადგან ლევანს არ ჰყოფნიდა მანძილი თუ ძალა, უცბად თვითონ აიწია ზევით და ხელისგულს ახლა პაწია მკერდის წვერი გაუსწორა... ლევანს თვალთ დაუბნელდა. იმდენად უმანკო ეჩვენა სხეული, შიშმა შესძრა, თითქოს ხელისგული ცეცხლზე აეწვაო, ელდანაკრავივით უკან ამოსწია, მაგრამ ცირამ მოასწრო, მაჯაზე სწვდა, კვლავ ტუჩებზე მიიდო და ბუტბუტით ამოთქვა:

— მაკოცე...

ლევანმა ყურებს არ დაუჯერა.

— რა თქვი? — თვალდახუჭულმა ჰკითხა.

— მაკოცე, — გაიმეორა ცირამ...

ყველაფერს სასმელს ვერ დააბრალებ, მაგრამ მაინც სასმელის ბრალი იყო: ცირასთვის ღვინოს ქალური თავშეკავებულება წაერთმია და ლევანიც ბოროტად იყენებდა მის სისუსტეს. თუმცა, ვის შეეძლო გაეგო, თვითონ კი იყო ძლიერი?!. ჰოდა, აკოცებს. მერე? ვინ შეძლებს განსაზღვროს, რა მოხდება მერე?!. რას ეტყვის იოსებს, რას ეტყვის თვით ცირას, როცა გონს მოვა?!. რას ეტყვის ხალხს, ქვეყანას?! (ხალხი და ქვეყანა იმ დროს არ გახსენებია ლევანს, იოსების ცეცხლოვანი თვალები კი რატომღაც დაინახა!..). ადამიანი მაინც ადამიანია და რაღაცით განსხვავდება ცხოველისაგან. ზოგს შესწევს ძალა და უნარი, ზოგს გააჩნია სინდისი, ყველაზე დიდ სათნოებად რომ მიაჩნია და მას ისე ეპყრობა, როგორც საკუთარ თვალებს, როგორც საკუთარ სხეულს (ან იქნებ თვალები დაითხაროს, სხეული დანით დაისეროს, ბოლო-ბოლო თავი მოიკლას, სინდისს კი ვერ უღალატოს!), საკუთარი სხეულის დამორჩილება კი ვისაც უცდია, არცთუ ძალიან ძნელია. ლევანისთვის რაც მოხდა, ისიც საკმარისი იყო. მიხვდა ღრმად რომ შეტოპა; მხოლოდ, როგორ დაეძვრინა თავი, ფიქრი სჭირდებოდა. შესაძლოა, ცირას თავი დამცირებულად ეგრძნო, არადა, ისიც იცოდა, რომ ვერც ცირას გაამტყუნებდა. ეს გონწართმეული გოგონა, გამოუცდელობის გამოცდას რომ ატარებდა, მისთვის მანამდე შეუცნობ სტიქიას დაეტყვევებინა და სულ რამდენიმე წამი, ან იქნებ წუთი სჭირდებოდა ბოლომდე დასაცხრომად. ხელი კი წაართვა, მაგრამ იქვე გააჩერა და ცირამ თვალები გაახილა კიდეც.

— ჯერ კიდევ ბავშვი ხარ, — მოეფერა ლევანი.

— ჰოდა, ბავშვებს ძილის წინ ჰკოცნიან ხოლმე, — კვლავ დახუჭა თვალები, — მეც მინდა ვიცოდე, როგორ აკოცებდი ასეთ ბავშვს, — ბუტბუტებდა უკვე ლევანის ტუჩებთან.

— ასეთ ცდას არ გირჩევ. ნასვამი ვარ და ღვინის სუნი ამომდის.

— ძალით რომ დამალევინე, აბა რა გეგონა, მაკოცე ახლა!

ლევანმა ოდნავ მიადო ტუჩები ლოყაზე და მაშინვე მოაცალა.

— მასე არა... აი, აქ, — საჩვენებელი თითი ტუჩზე დაიდო.

ლევანი კვლავ დაიხარა, ტუჩებით მისწვდა სასურველ ადგილს, მაგრამ ისე იოლად ვეღარ მოაცილა, როგორც ლოყიდან: ცირამ ორივე ხელი კისერზე შემოაჭდო და მთელი ძალით მიიზიდა ლევანი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლილი ხუციშვილი

## მივალ იქ სადაც ჰყვავის იმედი

ზამთრის კალთის ქვეშ გაზაფხული
შემოიპარა,
თუმცა არა ჩანს ყვავილი ჯერაც,'
მე ბეწვის ხიდით გადავალ მჯერა,
სად ემიჯნება ბედს უბედობა,
მაგრამ არ უჩანს გზას დასასრული,
ბედს ვეჯახები, შუბლგაჩეხილი,
და ვიმტვრევ მკლავებს,
როგორც ტოტებს ქარში ხეხილი.

## ივრის ნაპირთან

მე სადაც ვიყავ, ეს ნათელი ცა დამყურებდა,
დიდ გზიდან მოველ, ამ პატარა ნაფეხურებთან,
აქ მაღალ ალვებს აუწვდიათ ცამდე ხელები,
ბავშვობის ციდან მოფრინავენ გულწითელები.
ჩამავალი მზე რომ ათრთოლებს საღამოს ზარებს,
ტალღები ტალღებს მოჰყვებიან, როგორც ფიქრები...
მოუსვენარი სული ისევ აქ დამატარებს,
ხსოვნის ხასხასა ნახატებში ჩავიძირები,
ივრის ფშანებთან თავს იხრიან ცისარტყელები,
მშობლიურ ბუდეს უბრუნდება გულწითელები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯანრი გოგეშვილი

# თეთრი კედელი

რომანი აქტუალური, სადღეისო პრობლემატიკით იქცევს ყურადღებას. მასში მხატვრული დამაჯერებლობითაა გადმოცემული ახლო წარსულის ნეგატიური მოვლენების მართალი სურათები და მთავარი გმირის, ახალგაზრდა ინჟინრის — საურმაგ ჟღენტის შინაგანად მთლიანი და გაუბზარავი სულიერი პორტრეტი.

რომანი

(საჟურნალო ვარიანტი)

„ელასა-მელასა, ქიქა მეკიდა ყელასა, მთქმელსა და გამგონებელსა, ძილი ნებისა ყველასა“, თითქოს დამფრთხალი ფრინველივით წამოფრინდა ეს სიტყვები ცნობიერებაში გაღვიძებიდან ერთი წუთის შემდეგ.

საურმაგმა უკვე იცოდა, მატარებელი ბოლო სადგურში შედიოდა, და იგი ყველა იმ სადგურს გასცდა, სადაც კი ჩამოხდომას აპირებდა.

ახლა თვალებდაბრეცილი მისჩერებოდა ვაგონის ჭერს და რაღაც საფიქრალის შეკოწიწებას ცდილობდა.

სულ ზედა, პირველ საწოლზე, საწოლზე კი არა, ბარგის დასაწყობ თაროზე იწვა, ულოგინოდ, გაუხდელად და, რა თქმა უნდა, იმგვარ ყოფაში, არც ლოგინი და არც სამოსის გახდა რომ არ შეუქმნიდა მგზავრობის შემამსუბუქებელ კომფორტს. ერთი რამ კი იქნებოდა კარგი, დაწოლისას ფეხსაცმელი გაეძრო, გრძნობდა, მომეტებული სითბოსაგან ფეხები დასივებოდა და ერთხანს მაინც გაუჭირდებოდა სიარული... ცხრა საათის განმავლობაში ჩემოდანი უწევდა სასთუმლის მაგივრობას და კისერი კარგა გვარიანად სტკიოდა:

იწვა ჭერს მიშტერებული, იმ წყვეტილი ხაზების მიღმა მომავალი სამოქმედო გეგმის მონიშნებას ცდილობდა და ბორბლების რიტმულ ხმაურს გულმოდგინედ უგდებდა ყურს.

მერე შარვლის ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოაძვრინა, ოფლით დაცვარული შუბლი მოიწმინდა, ყელ-კისერიც ამოიმშრალა, ცხვირსახოცი ისევ ჯიბეში ჩაიდო, იდაყვს დაეყრდნო და წამოიწია.

უნდა ამდგარიყო, სხვა რა გზა ჰქონდა.

იატაკზე დადგომისთანავე უსიამოვნოდ შეიშმუხნა, მაინც მოხდენილად ჩაისწორა ლავსანის კოსტიუმი. ეს ნაჭერი ნაკლებად იჭმუჭნებოდა და ამან ახლა გულუბრყვილოდ შეაგულიანა.

„ესე იგი, აქ... კი არ მინდოდა ასეთ დიდ ქალაქში მოხვედრა, მაგრამ, ჯანდაბას, იყოს ეს... ვნახოთ, იქნებ გაგვიმართლოს... ამ მხარეს რუკაზე თავისი სასაზღვრო ნიშნები აქვს. ვნახოთ, იქნებ აქ სხვა ცხოვრებით ცხოვრობენ... ესე იგი, აქ, ალბათ, თავიდანვე აქეთკენ მომიწევდა გული ჰმ, ზღვა და რომანტიკა... „ელასა-მელასა, ქიქა მეკიდა ყელასა...“ საურმაგი გვერდზე გადგა, ქვედა საწოლზე მსხდომთა წინ რომ არ ყოფილიყო ატუზული.

მერე ოფლის სუნითა და თამბაქოს კვამლით დამძიმებული ჰაერი ისე შეპარვით შეისუნთქა, გეგონებოდათ, გაფილტვრას უპირებსო.

— აკი, ადრე ჩასვლას აპირებდი, — ჩლიფინით უთხრა ვიღაცამ. — სამი მანეთი კიდევ უნდა დამიმატო...

გამცილებელი გახლდათ. პატარა, მსუქანი კაცი. სახეზე ცბიერი ღიმილი დასთამაშებდა.

— დაგიმატებ არა... — აგდებულად შეესიტყვა საურმაგი და ცივად შეათვალიერა. კაცმა თავი გადააქნია.

— ავდგეთ, ავდგეთ! — შესძახა, საურმაგს მოხერხებულად აუარა გვერდი და ვაგონის მეორე ბოლოსაკენ გაცუხცუხდა.

საურმაგმა თვალი გააყოლა და ვიღაც ჩემოდანთან დახრილი ქალიშვილის შხვართალა ფეხებს უწია მზერა, მაგრამ, ცნობისმოყვარეობა უმალ დასძლია და ფანჯრისკენ გაიხედა.

სინათლე მკრთალად ეფინებოდა სივრცეს. ბუნდოვნად მოჩანდნენ ხეები და ხეებს იქით მდგომი სახლები. ერთგან ზღვის სანაპიროც გამოიკვეთა.

მერე ვიღაცამ ფანჯრის ჩამოწევა მოისაზრა და იქიდან მონაბერი სუფთა და გრილი ჰაერი სახეზე მაცოცხლებლად მიესალბუნა.

ახლა კიდევ უფრო გარკვევით ხედავდა ზღვას. რატომღაც, იფიქრა, ზღვას მბრძანებლური და მედიდური იერი დაჰკრავსო. ზღვა კი, ბინდბუნდში გახვეულიყო და ჩვეული სილურჯე მღვრიე სიზავით შესუდვროდა. საურმაგმა ხელ-პირის დაბანა მოიწადინა. დააპირა კიდეც საპირფარეშოსკენ წასვლა. მაგრამ ერთი პირობა ჩემოდნის უმეთვალყუროდ დატოვებისა შეეშინდა. მერე უცებ შეტრიალდა და მხნედ გააბიჯა. თითქოს ბედი გამოეწვიაო, თითქოს ჩემოდნის დაკარგვა სულაც არ დაადარდიანებდა, ჩემოდნისა, რომელშიც ჩაწყობილი სამოსისა და ნივთების მეტი ახლა თითქმის არაფერი გააჩნდა.

მგზავრები უკვე ჩასასვლელად აფუსფუსებულიყვნენ. ვიღაც ქალი დაოსებული ხმით უხმობდა საპირფარეშოსთან ატუზულ კაცს. კაცი შეძლებისდაგვარად არ იმჩნევდა, მას რომ ეძახდნენ, სახემოღრეცილი, მოჩვენებითი სიმშვიდით ჭანაგრძობდა ლოდინს.

უკან მიბრუნებულმა საურმაგმა ალმაცერად გახედა კიდისკენ გადმოქანებულ ჩემოდანს, თაროდან ჩამოიღო და უნებლიეთ ჩაიცინა. მერე იგრძნო, ვიღაც უთვალთვალებდა, ფეხი მოინაცვლა და იმ ქალიშვილს დაადგა თვალი, წეღან ჩემოდანში ნივთებს რომ ასწორებდა. იგი ისე მზერადამძიმებული მისჩერებოდა, გეგონებოდათ, გასავლელ გზაზე აღმართული საგნის ვარგისიანობას ამოწმებსო...

„დასასვენებლად თუ მიდის... ალბათ, მეც უდარდელი კაცის იერი მაქვს, გამარჯობათ, ქალიშვილო! ნება მიბოძეთ... და, რომც გიბოძოს... აჰ, არა...“ აღარ დაუტანებია თვალი ვიწრო კაბაში გამოკვართული სხეულისათვის. ფრთხილად შებრუნდა და გააბიჯა.

გზადაგზა ბოდიშს იხდიდა და უკვე კარამდე გაბაწრულ მგზავრებში მოხერხებულად მიძვრებოდა. მართალია, რიგის თავში ვერ მოექცა, მაგრამ იმდენი კი შეძლო, ტამბურში დაწყობილ, ნაადრევად მოყვანილი ბოსტნეულით დატენილ ტომრებსა და იქვე ასვეტილ, ნაცრისფერ კოსტიუმებში გამოწკეპილი მამაკაცების უკან დამდგარიყო.

მატარებელმა სვლას უკლო. საურმაგმა შარვლის იმ ჯიბეზე მოისვა ხელი, სადაც ორმოცდაათმანეთიანი ეგულებოდა, ერთადერთი ქაღალდის ფული, რაც საერთოდ ებადა. ხარბად შეისუნთქა კარიდან მონაბერი, ქორფა მწვანილისა თუ კიტრის სურნელებით შეზავებული სუფთა ჰაერი და მხრები გაშალა. მერე სადგურის ბაქანზე მიმავალ მგზავრებში მიაბიჯებდა. მიაბიჯებდა ნელა, მსუბუქად, თითქოს არხეინადაც კი. გაახსენდა, ამ ქალაქში სულ ერთხელ იყო ნამყოფი, ისიც ბუნდოვნად ახსოვდა, რადგან ოთხი წლისაც არ იქნებოდა, დედამისმა რომელიღაც შორეულ ნათესავს რომ ასტუმრა. ამან გაახარა. ამან კი არა, ეს ქალაქი რომ სრულიად უცნობი გახლდათ მისთვის, იმან.

„ელასა-მელასა, ჰიქა მეკიდა ყელასა...“ თითქოსდა არც კი ამჩნევდა, ისე იმეორებდა გონებაში ამ სიტყვებს. ასე იყო, აეკვიატებოდა რომელიმე უმწიფარი წინადადება და მორჩა, ვერა და ვერ ამოიგდებდა თავიდან. ასე იყო, თუმცა ეს ახირება ერთი ორჯერ წაადგა კიდეც. „იყო და არა იყო რა...“ — ყმაწვილობისას, ერთხელ, უცაბედად აღმოაჩინა, რომ ეს სიტყვები უმიზნოდ გაჩხერილიყვნენ მის ცნობიერებაში. მერე მთელი დღე ლოცვასავით იმეორებდა: „იყო და არა იყო რა... იყო და არა იყო რა...“ რარიგ არ სცადა მათი მივიწყება, ამაოდ... ლამის ბოდვად გადაქცეოდა. მაშინ ისევ იმ აკვიატებულ სიტყვებს მიჰყვა და ქართული ხალხური ზღაპრების კითხვა დაიწყო. გულმოდგინედ დაეწაფა, რაღაც თავისებური აზარტით და იმდენი საჭირო და აუცილებელი შეგონება ამოიკითხა მათში, რომ სულდაშოშმინებული, მადლობელიც კი იყო, იმ „იყო და არა იყო რას“ აჩემებისა.

ახლა ძალზე მოეწადინა ზღვის სანაპიროზე გასულიყო, მაგრამ შეშინდა მის სიმშვიდიერეს სხვა რამისკენ არ წაებიძგებინა, თანაც შიმშილის შეგრძნება მოეძალა. შარვლის ჯიბეში ჩაცურებული ხელის თითები ფრთხილად შეახო ქაღალდის ფულს. შედგა, ჩემოდნიდან ლაბადა ამოიღო, ჩაიცვა და უნებლიეთ გაუღიმა გზად მომავალ ცისფერთვალება გოგონას.

„ელასა-მელასა, ჰიქა მეკიდა ყელასა, მთქმელსა და გამგონებელსა ძილი ნებისა ყველასა“, ჩაიღიღინა და ჩემოდანი აიღო. „დასწყევლოს ღმერთმა, დღეს მადიანად უნდა ვისაუზმო...“ გადაწყვიტა უცებ, თან ქუჩა გადაჭრა, რათა სასაუზმეში შესულიყო.

სასაუზმედან, სადაც ორი ულუფა სოსისი შეჭამა და ორი კათხა ლუდი დაგემოვნებით შესვა, კმაყოფილი კაცის იერით გამოვიდა. კვლავ ძალზე ეწადა სანაპიროზე გაეღწია, მაგრამ ქუჩის ბოლოს მაინც გააჩერა ვიღაც უცნობი მამაკაცი და ფეხსაცმელების ფაბრიკის ადგილსამყოფელი ჰკითხა... იქითკენ რომ მიაბიჯებდა, გუმანით გრძნობდა, იმ დღეს მისთვის წარმატება უნდა მოეტანა. ტყავის ჩემოდანი არც ისე მჩატე გახლდათ და ინანა, სადგურის შემნახველ საკანში რომ არ დატოვა. ქუჩებში მიმომსვლელი ადამიანების ჩაცმულობაში ადვილად შეამჩნია სიხალვათე და უბრალოება და ამან გულუბრყვილოდ გაახარა. უნებლიეთ სიმპათიურად განეწყო აქაურობის მიმართ, თუმცა ჯერ კიდევ არ იცოდა, მოსწონდა თუ არა ეს ქალაქი. ფიქრობდა, არჩევანი უკვე აღარ მაქვსო.

...და აი, მოულოდნელად მზის სხივები დაეფინა ქალაქს. საურმაგის შემეცნებაში ყოვე-

ლივეს თითქოსდა სუდარა ჩამოეცალა. გაორკეცებული სიმხნევით მიაბიჯებდა. ცდილობდა სხივდაფენილ ადგილებზეევლო. ამისთვის ერთგან ტროტუარიც მიატოვა. ავტობუსის გაჩერებასთან რომ იდგა, მაჯის საათზე მალი-მალ იხედებოდა. უკვე მტკიცედ გახლდათ დაჯერებული, რომ იმ დღეს გაუმართლებდა და ძვირფასი წუთების დაკარგვა ადარდებდა. ... მაგრამ ფაბრიკის შესასვლელთან მაინც შეუყოვნდა, შეემზადა, მერე კარისკაცს, თავგადაპარსულ მოხუც კაცს, მშვიდად უთხრა:

— კადრების განყოფილებაში მინდა მივიდე...

კაცს არაფერი უკითხავს, ისე დაუქნია თავი.

ახლა სხვაც უთხრა:

— თუ შეიძლება ჩემოდანს თქვენთან დავტოვებ...

კაცმა ხელით მიუთითა ჩემოდანი სად უნდა დაედგა.

ფაბრიკის ეზოში მიმავალი, გზადაგზა სამოსს ისწორებდა, თან ოთხსართულიან, ლურჯად შეღებილ შენობას ათვალიერებდა, საიდანაც მანქანა-დანადგარების ყრუ ხმაური გამოდიოდა. მოპირდაპირედ მდებარე ერთსართულიანი შენობის კიბის საფეხურები თითქმის აირბინა. დერეფანში დინჯად ჩაიარა. კადრების განყოფილება, მარცხენა მხარეს, სულ ბოლო ოთახში აღმოჩნდა. ოთახის კარს ჯიქურ მიადგა და იქიდან ფაციფუცით გამოსულ ვიღაც ქალს კინაღამ შეენარცხა.

— თვალები რისთვის გაქვთ! — შეუწყრა იგი, ცივად შეათვალიერა და გაიქცა.

— თვალები?.. — თითქოს თავის თავს ჩაეკითხა საურმაგი და კარის ზღურბლს გადააბიჯა.

მის პირდაპირ, საწერ მაგიდასთან მჯდომმა ჭაღარათმიანმა ქალმა ალმაცერად გამოხედა.

— შეიძლება? — თამამად ჰკითხა ვაჟმა.

— მობრძანდით! — ქალი კვლავ ალმაცერად უცქეროდა.

იგი სამოც წელს იქნებოდა მიტანებული, მაგრამ საკმაოდ მიმზიდველად გამოიყურებოდა. თავის დროზე, ალბათ, ლამაზმანად ითვლებოდა.

საურმაგმა ორიოდე ნაბიჯი გადადგა და შედგა.

ახლა ხელმარცხნივ, ახალგაზრდა ქალიც დაინახა. ქალი ძალზე გამხდარი გახლდათ და სათვალე ეკეთა.

— რა გნებავთ? — ჰკითხა ხანშიშესულმა და ჭაღარა თმაზე ხელი მოხდენილად გადაისვა.

— უმაღლესდამთავრებულისათვის ადგილი ხომ არ გაქვთ? — თავაზიანად მიმართა საურმაგმა და მისი პიროვნებით აშკარად დაინტერესებულ ახალგაზრდა ქალს გაუღიმა.

— უმაღლესდამთავრებულისთვის?! — ხანშიშესული რაღაცნაირი პროფესიული ცნობისმოყვარეობით ჭვრეტდა, — მაინც, რა ადგილი გნებავთ?..

საურმაგმა გულდიად შესცინა.

ქალი რაღაცას მიუხვდა.

— დაბრძანდით! — უთხრა მოწყვეტით.

საურმაგი დაჯდა.

მასპინძელი ერთხანს დუმდა, გულმოდგინედ ათვალიერებდა, აი ისე, ოთახის გამქირავებელმა მოხუცმა ქალებმა რომ იციან.

საურმაგი ახლა ოდნავ იღიმებოდა, ქალს რიდით უცქეროდა, ხანდახან უკვე რაღაცის წერით გართულ სათვალიანსაც გახედავდა და ქალის მიერ წამოწყებული საუბრის გაგრძელებას უცდიდა.

— ჩვენი განხრით დაამთავრეთ, არა?.. — მოთრევით ჩაილაპარაკა ქალმა და უცებ მთელი ხმით ჰკითხა, — სად?..

— თბილისში, ფეხსაცმელების წარმოების ინჟინერ-ტექნოლოგი ვარ, — განუმარტა მშვიდად.

— კეთილი, დიპლომი... — ქალს ეტყობოდა, გაუკვირდა, დიპლომი რომ იქამდე არ ანახა.

საურმაგმა დიპლომი ჯიბიდან ამოიღო და ფრთხილად დადო მაგიდაზე.

მანდილოსანმა სწრაფად აიღო, გადაშალა, ცნობისმოყვარეობით წაიკითხა საჭირო მონაცემები და საურმაგს გაღიმებულმა ახედა.

— გიმუშავნიათ სადმე?

— დიახ, თბილისში, ოსტატად...

— პირველ ფაბრიკაში?..

— დიახ...

— მერე?..

გაიღიმა, პასუხის გაცემა გაუძნელდა.

— თბილისელი ხართ? — იჭვნეულად ჩაეკითხა ქალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თბილისელი, ვიწროდ ვცხოვრობდით და... — თავისთავად წამოსცდა, მერე რატომღაც აჩქარდა, — არ გეგონოთ, ნასამართლევი ვიყო, ან...

— ალბათ, გაიგეთ, ახალი ფილიალი რომ ავაშენეთ, — ნიშნის მოგებით შეაგება მასპინძელმა

„ოჰო, აგაშენა ღმერთმა, მე რატომ არ გამახსენდა, აკი სადღაც წავიკითხე...“ — გაიფიქრა და თავი დაუქნია.

— დიახ, ვიფიქრე, უკეთესი პირობები იქნება-მეთქი, — დასძინა მერე.

— ჰო, ჩვენ გვჭირდება სპეციალისტები, ამაზე განცხადებაც დავბეჭდეთ, თბილისიდან, ალბათ, მალე მივიღებთ ახალ კადრებს. თუმცა უმაღლესდამთავრებული აქაც ბევრია, მაგრამ... თავად მე ტექნიკური განათლება მაქვს. ეს შემდეგ დავამთავრე... ადრე კი პროფტექნიკურ სასწავლებელში ვსწავლობდი. ვმუშაობდი იმავე სასწავლებლის დირექტორად... თუმცა მოადგილე უმაღლესდამთავრებული მყავდა. ამით ის მინდა ვთქვა, რომ პრაქტიკულ ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს, — შეყოვნდა, მაგრამ რაკი იგრძნო, სტუმარი გულმოდგინედ უსმენდა, ლაყბობის ეშხზე მოსულმა დაუზარებლად განაგრძო:

— ჩვენი ფაბრიკის მთავარი ინჟინერი ჩემი აღზრდილია, შესანიშნავი ადამიანია, ჩვენი დირექტორიც კარგი ახალგაზრდაა. ოღონდ საცოდავი კუჭის ტკივილმა გააწვალა. წელს მეორედ გაიკეთა ოპერაცია და ახლა სანატორიუმში ისვენებს. მის მოვალეობას ჩემი აღზრდილი ასრულებს... მოდი და ვნახოთ! — საზეიმო ხმით განაცხადა ბოლოს. წამოდგა.

— გმადლობთ...

—ჰო, მართლა, შრომის წიგნაკი თუ გაქვთ?

— რა თქმა უნდა, — საურმაგმა შრომის წიგნაკი გაუწოდა.

კადრების განყოფილების გამგემ „თავაზიანად“ წაგლიჯა იგი ხელიდან, ერთი პირობა დაჯდომა დააპირა, მაგრამ შრომის წიგნაკი გადაფურცლა და ჩანაწერების კითხვამ გაიტყუა.

— ცხრა თვეზე მეტი არ გიმუშავნიათ?! — შეშფოთებით იკითხა მან.

— დიახ, საწარმოო პრაქტიკის ჩაუთვლელად ასეა, უმაღლესის დამთავრების შემდეგ სამხედრო სამსახურის მოხდა მომიწია და...

— აჰა... — ქალი, ეტყობა, ეჭვებმა შეიპყრეს. — ამ ქალაქში ჩაწერილი თუ ხართ?

— არა... — მიუგო მძიმედ, — შერცხვა ეთქვა, პირდაპირ ქუჩიდან შემოვალაჯეო, — თქვენ, ალბათ, საერთო საცხოვრებელი გექნებათ?

— აჰა, — თავის დაქნევით თქვა გაღიმებულმა, თითქოსდა მიგიხვდი, რა გეგმებსაც აწყობო, — გვაქვს, მაგრამ, იცით... თქვენ რომ პირდაპირ ინსტიტუტის მიერ იყოთ გამოგზავნილი... თუმცა, წამოდი, დავითი ვნახოთ...

მთავარი ინჟინერი კინაღამ საურმაგის ნათესავი აღმოჩნდა, გვარად ისიც ჟღენტი გახლდათ. სტუმარს წარდგენისთანავე გამოჰკითხა ნათესაური შტოს გენეალოგია და, კიდევ კარგი, მათ შორის, სისხლისმიერი კავშირი არ დამტკიცდა, თორემ საურმაგი მზად იყო ჭასაქცევად.

ინჟინერი ტანჩადგმული, მოჭიდავის აღნაგობის ორმოციოდე წლის მამაკაცი იყო. ბრტყელი პირისახის, ბრტყელი ცხვირის, ბრტყელი ბაგე-ტუჩის პატრონი და, არ იქნება ზედმეტი თუ ვიტყვით, ნაცრისფერი ფართო თვალებიც გაბრტყელებულს მიუგავდა, რატომღაც გეგონებოდათ, ამ კაცს თვალის ბუდეები არა აქვსო. მეჩხერი თმა კეფაზე შერჩენოდა ცოტათი და, ალბათ, იმ ადგილსაც მალე მიატოვებდა.

იგი საწერ მაგიდასთან მდგომ მაღალ სავარძელში მოკალათებულიყო და ფიქრობდა.

კადრების განყოფილების უფროსი, თამარ ცინცაძე და საურმაგ ჟღენტი მის ხელმარცხნივ, კედელთან მიდგმულ დაბალფეხება სავარძლებში ისხდნენ.

მთავარმა ინჟინერმა კარგა ხანს იფიქრა, თავდახრილმა, წითელი ფანქრის წაუთლელი ბოლო შეუჩერებლივ აკაკუნა მაგიდაზე.

საურმაგი მან თითქმის დაჰკითხა. ბევრად იმაზე მეტის გაგება მოინდომა, რაც კადრების განყოფილების უფროსმა.

— მეცხრე საამქროში რომ გაგვეშვა ოსტატად... — წაეშველა მას თამარი.

— აჰა,... — ისე თქვა, თავი არ აუწევია, — ესე იგი, ცხრა თვე ოსტატად იმუშავე, ...ჰო, იქ... — ერთბაშად ასწია თავი და მიაჩერდა, — წინ წაწევა არც აქაა ადვილი. ვიცი, ვიცი, ახალგაზრდა ხარ, უცხო ქალაქში გადმოსახლებას ცოტა რომანტიკული ელფერიც დაჰკრავს, მაგრამ ნამდვილად შეელევი თბილისს?..

— ნამდვილად... — გულღიად მიუგო საურმაგმა.

— ამას წინათ ერთი ჩემი ნათესავიც აქეთკენ გადმოვიდა საცხოვრებლად, ეგ სოფლელები აკლავენ თბილისს თავს, თორემ... — ტუჩი აიბზუა თამარმა (ალბათ, ერთ დროს თბილისში ცხოვრება ოცნებად ჰქონდა ქცეული და ახლა იმ გახუნებული ოცნების დაგესვლა ეამა).

ეროვნული

— მაშ ასე, მეცხრე საამქრო, — ჯერ თავი გადააქნია და მერე გადაწყვეტილებით უთხრა დავითმა, — იცოდე, არ შემარცხვინო, შენი მომავალი შენზეა დამოკიდებული. საცხოვრებლის საქმეს მოვაგვარებთ, ერთ სამ წელიწადში ბინასაც მიიღებ, ახლა კი საერთო საცხოვრებელში მიგიჩენთ ადგილს, აბა შენ იცი, როგორ გაამართლებ!

— ვეცდები... — ესლა უთხრა და სავარძლიდან წამოიწია.

— იჯექი, იჯექი, — ხელი დაუქნია ინჟინერმა, — იმედია, გვარს არ შემირცხვენ!

საურმაგი დაჯდა და რატომღაც მორიდებით შეხედა თამარ ცინცაძეს.

— საამქროს უფროსი კარგი კაცია, მართალია, ცოტა ფიცხია, მაგრამ თავისი საქმე კარგად იცის, მე მგონი, გაუგებთ ერთმანეთს, — დავითი ტელეფონის ყურმილს დასწვდა, აიღო და ყურთან მიტანამდე შესძახა! — ალო, მეცხრე საამქროს შემაერთეთ! — მერე ჩაახველა და როცა ნაცნობი ხმა გაიგონა, რიხით განაგრძო: — გურამი ხარ?.. ჰო, გამარჯობა, ლავრენტი სადაა?.. კარგი, კარგი... თქვენთან ოსტატია საჭირო, არა? ფინიშთან, შენს ცვლაში, ...კეთილი, გიგზავნით ერთ ახალგაზრდას, აბა, რომ იცოდე, რა ვაჟკაცია, მადლობა ღმერთს. ხე, ხე... უმაღლესდამთავრებულია, თბილისიდან. წამოვა, წამოვა... საამქრო დაათვალიერებინე, მერე საერთო საცხოვრებლის გზასაც ასწავლი, ლავრენტიმ, მოვა თუ არა, დამირეკოს. კარგი, თუ შეთანხმდებით, ხვალიდან გავაფორმებთ.

მერე საურმაგი ფეხზე იდგა და მოწიწებით უხდიდა  მადლობას ქალსაც და კაცსაც.

მერე კიდევ, დერეფანში თამარ ცინცაძე ასე არიგებდა:

— თუ რაიმეს ისეთს შეამჩნევ, აუცილებლად მე მომმართე, ანდა მთავარ ინჟინერს, თუგინდ საამქროს, ან ცვლის უფროსს ედებოდეს ბრალი, არ მოგერიდოს. მოდი და  მითხარი. დეიდა თამარ, ასე და ასე-თქო... დაგეხმარები... ოღონდ თავად ძალზე ფრთხილად იყავი, მუშებთან თავიდანვე მკაცრად დაიჭირე თავი, ყველას ნუ გაუშინაურდები... — ქალი ოციოდე წუთს ელაპარაკა დამრიგებლურად და საურმაგს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს სადაზვერვო სამუშაოზე აგზავნიდნენ.

. . . . . . . . . . .

„ელასა-მელასა, ჭიქა მეკიდა ყელასა, მთქმელსა და გამგონებელსა ძილი ნებისა ყველასა“.

ეზოში ბიჭუნასავით მოეძალა გაქცევის სურვილი და მაინც ისე მიაბიჯებდა, გეგონებოდათ, მანძილს ზომიერი ნაბიჯებით ზომავსო.

„დღეს ნაღდად გიშველა გვარმა და თამარ ცინცაძის თბილისიდან გადმოხვეწილმა ნათესავმა...“ ხალისიანად კენწლავდა თავის თავს.

ფეხსაცმელების ფაბრიკის ფილიალი ქალაქის განაპირას მდებარეობდა და იქამდე, თხუთმეტი კილომეტრის გავლა საურმაგს ავტობუსით მოუხდა.

ფანჯარასთან იჯდა, გზას თვალს აყოლებდა და იმ აკვიატებულ წინადადებას გულში არხეინად ღიღინებდა. ამჩნევდა კი, რაღაც სხვას ფიქრობდა, მაგრამ ჯერ კიდევ სუსტად, თითქოსდა აზროვნების მიღმა. მერე თავისდაუნებურად წაიჩურჩულა „ნუთუ ნებისყოფამ უღალატა...“ როცა ნათლად აღიქვა, გვერდით არავინ ეჯდა, ღრმად ამოისუნთქა. საფიქრალი  სადღაც, გონების სიღრმიდან წამოიზარდა და თამამად იწყო გამოკვეთა.

„... მთელი მისი ცხოვრება პატიოსანი შრომით ირჩენდა თავს და როგორც თავისი თავისაგან, ისე სხვებისგანაც სიწმინდეს მოითხოვდა. ფუფუნებაში არ გვაცხოვრებდა, მაგრამ გაჭირვებაც არ გვიგრძნია. მომავალს მუდამ იმედის თვალით უყურებდა, ალბათ, შვილების მომავალიც ეიმედებოდა. როცა ფარტაზმა ვერ გაუძლო ცდუნებას და ჩალიჩობას მიჰყო ხელი, სახლიდან გაგდება დაუპირა და თავად რომ არ წასულიყო, კიდეც გააგდებდა. მე კი, რატომღაც უმარიფათოს მეძახდა... ეს შემდეგ, როცა ჯარიდან მობრუნებულმა თავის რჩენა ვერ შევძელი, როცა ხელფასი ვერ ვიმყოფინე სახარჯოდ... რა ვიცი, იქნებ ეს ჩემი ხელგაშლილობის ბრალია. არა, ბოლო დროს, თითქმის გადამეტებული სიზუსტით ვხარჯავდი ფულს, მაინც სათხოვარი მქონდა ის დაწყევლილი. ჯერ დედაჩემმა უმატა ბუზღუნს, მერე მამაჩემიც წაეშველა და ბოლოს გაცხარებულმა იმ კომბინატორებზე მიმითითა, ნახე, შენი ფაკულტეტი დაამთავრეს  და როგორ ცხოვრობენო. შენმა შვილმა კი ფიზკულტურული დაამთავრა-მეთქი... ხელი  ჩაიქნია, არც ერთი არ უქნიხართ ღმერთსო... ნუთუ ნებისყოფამ უღალატა?!. იქნებ ფიზიკურმა სიძაბუნემ მის სულსაც  და მრწამსსაც დარია ხელი. ახლა მას უფროსი შვილის საქმიანობაც ახელებს და უმცროსი შვილის „უცოდველობაც“. ალბათ, სულ სხვა მომავალს ელოდა... არა, სწორად მოვიქეცი, დროა, როგორც სხვას, ისე ჩემს თავს დავუმტკიცო, რომ თავის რჩენა შემიძლია, თუმცა იქნებ ეს ბიჭურ გამოხდომად დამენათლოს... არა, იქ გაჩერება აღარ შემეძლო. აქ, მიწა რომ შევჭამო, დედაჩემის მიერ მაგიდაზე გამოზოგილად დადებულ მანეთიანს  მაინც არ ავიღებ და ვერც მამაჩემის სასოწარკვეთილ ხმას გავიგონებ. „სანამდე, სანამდე გაგრძელდება ასე?! ჩემი და დედაშენის პენსია სულ ას ხუთი მანეთია, ას ხუთი...“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე, გვარიანად ვიჩქარობდი. დედაჩემი ტიროდა, მამაჩემი კი ზერელედ ამშვიდებდა: „კარგი, წავიდეს... ნახავს, დარწმუნდება და დაგიბრუნდება“. არც კი უთქვამს, რას ვნახავ. რაში დავრწმუნდები. გამოხაცნობი და დახალჭენი მრავალწერტილები არ დაიშურა. ეეჰ, რას ერჩი, მას ხომ პატიოსანი კაცის ოცნება ასაზრდოებდა. ჯანსაღი, მშრომელი და ალალ-მართალი შვილები აღეზარდა, მაგრამ, ალბათ, ის აღარ უფიქრია, თუ იმ სიჯანსაღისთვის, ორმოცი წლის განუწყვეტელი შრომის შედეგად დანიშნული პენსიის გაყოფა მოუწევდა. მე კი რა ვქნა... წლების განმავლობაში შინ და გარეთ მუდამ იმას ჩამჩიჩინებდნენ, რომ სწავლას, პატიოსნებას, ალალმართლობას უნდა დავწაფებულიყავ. რა თქმა უნდა, ყოველივე ამასთან ერთად, უფროსებისადმი რიდსა და პატივისცემას მაჩვევდნენ... და ახლა, ყველაფერი ეს, ჩემს წინ, თითქოსდა კედელივით აღმართულა... არა, კარგი ვქენი, რომ ავიჩქარდი. სამსახურშიც არ გამეჩერებოდა. საამქროს ხელმძღვანელებს კარგა ხანია აღარ მოვდიოდი თვალში. მიხვდნენ, მათი კომპანიონი ვერ გავხდებოდი და რაღაც-რაღაცებს მაყვედრიდნენ. ჰე, ამანაც აუცილებელი ბიძგი მომცა. ან რა გამაჩერებდა, როცა ვხედავდი, ხალხს გულზე ეკლად ვესხობოდი. ბოლოში, ხალხს არა... იმათ და მათ ძმაკაცებს... ამგვარად, საურმაგ ულენტი, ბედნიერებისა და ჭეშმარიტების საპოვნელად გაეშურა... ბოლოში, მოხაპოვებლად... ელასა-მელასა, ჭიქა მეკიდა ყელასა...“

— ბოლო გაჩერება! — თითქოს ამოიხროტინაო, ისე თქვა კონდუქტორმა ქალმა.

საურმაგმა მისკენ მიიხედა და გაეღიმა. ქალი ძალზე გამხდარი იყო და გამხდარ კისერზე სქლად დაეხვია სახვევი.

— ბოლო გაჩერება! — კვლავ გაიმეორა მან.

„ყოველი ბოლო გაჩერება, ამასთანავე პირველია...“ მხნედ გაიფიქრა საურმაგ ულენტმა, ლაღად წამოდგა და მარჯვენათი სკამზე დადებული ჩემოდანიც აიყოლია. მერე დინჯად წავიდა წინა კარისკენ, თუმცა უკანა კარიც ღია იყო და იქამდე ორიოდე ნაბიჯის გადადგმა დასჭირდებოდა.

●

საურმაგი კარგა ხანს ელოდა უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის ინჟინერს. და ამ ლოდინის ყოველი წუთი უკვე მტკივნეულად ჭიანურდებოდა. თან ისე გრძნობდა თავს, თითქოს ახალი ბედის დასანათლავად ცხოვრების ხელუხლებელ ემბაზში ჩაშვებას ეპირებოდა.

საამქროში არცთუ ისე ცუდად შეხვდნენ. საამქროს უფროსმა ლავრენტი ღამბაშიძემ, თავდაპირველად ცივად შეათვალიერა, მერე ოდნავ გაუღიმა, გაეცნო და ბოლოს ხელის ჩამორთმევაც ინება. როცა ვინაობა გამოჰკითხა და გაიგო, თბილისელ კაცთან ჰქონდა საქმე, რატომღაც აიმრიზა.

— ვნახოთ, გამოგცდით, — თქვა ბოლოს, — არც კი ჰკითხა მშობლიური ქალაქის მიტოვების მიზეზი, — ხუთი წელი გისწავლია და... პარტიული ხომ არ ხარ? — დაინტერესდა შეპარვით.

უარყოფითი პასუხი რომ მიიღო, ვითომდა საურმაგს რისიმე შეშინებოდესო, ისე დაამშვიდა:

— არა უშავს, არა უშავს... — და თავისებური ღიმეჭით გაიღიმა.

მერე ცვლის უფროსთან ერთად საამქრო მოატარა, თან გზადაგზა „ახალბედას“ ცოდნის შემოწმება სცადა. ამაში ცვლის უფროსიც გვარიანად წაეხმარა. ყოველგვარი გადახვევების გარეშე ეკითხებოდა ამა თუ იმ პროცესის შესრულების ტექნოლოგიას.

საურმაგი თავისებურ კმაყოფილებას მოეცვა. ტყავ-რეზინის „ნეირიტისა“ და „ლატექსის“ წებოების ნაცნობ, გამაღიზიანებელი სუნით შეზავებულ ჰაერს ლაღად ისუნთქავდა და პასუხებს ხალისიანად იძლეოდა.

საამქრო ვრცელი ჯახლდათ, შიგ მამაკაცის ფეხსაცმელს კერავდნენ.

საურმაგი უკვე ნამალევად ზეიმობდა, ისე რომ გაუმართლა იმ დღეს და როცა ღამბაშიძემ დერეფანში გასვლისას მოკლედ უთხრა:

კარგი, გაფორმდით, სამჯერ გადაუხადა მადლობა.

— როცა გაფორმდები, მოდი და საერთო საცხოვრებელში ადგილსაც გიშოვი, — დააიმედა ლავრენტიმ.

ახლა ერთხელ უთხრა მადლობა, ოღონდ უფრო ომახიანად და სწრაფად გაშორდა.

„არ უნდა იყოს ცუდი კაცი, — ფიქრობდა საურმაგი გზადაგზა, — მომთხოვნი იქნება, მით უკეთესი, ოღონდ მთლად მრუდე ხასიათისა არ იყოს და...“

მერე იმაზე ფიქრობდა, ჩამოსვლის და დაბინავების ამბავი დღესვე შეეტყობინებინა მშო-

ბლებისათვის, თუ დაეცადა. გადაწყვიტა, დაეცადა, თანაც თავს უსაყვედურა, ხანდახან ძალზე აჩქარება ვიციო.

ჩემოდანი კარისკაცთან ჰქონდა მიბარებული და იქვე დატოვა, რადგან იმედოვნებდა, იმ დღეს ყოველივეს მოაგვარებდა და საერთო საცხოვრებელშიც მიუჩენდნენ ბინას.

აგერ კი მთელი ერთი საათი ელოდება უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის ინჟინერს.

ვიღაც თავგადაპარსულმა ვაჟმა უთხრა, ბერაძეს აქ ტყუილუბრალოდ ელოდები, საამქროებში ეძებეო.

შიმშილი მოეძალა, მაგრამ დანაყრება არ უფიქრია. ინჟინრის ნახვა კი ვერ მოხერხდა, ხან იქ მიასწავლიდნენ, ხან აქ. იმას კიდევ, თითქოს უჩინმაჩინის ქუდი ხურებოდეს, ვერსად გადააწყდა. ბოლოს გაღიზიანდა კიდეც და საზეიმო განწყობილება ლამის ჩაუცხრა. გადაწყვიტა, მთავარი ინჟინრისთვის ეთხოვა დახმარება. გზად ბერაძის კაბინეტის კარი მოსინჯა, კვლავ დაკეტილი დახვდა. არც საწარმოს თავკაცი აღმოჩნდა ადგილზე. უკან გამობრუნდა და ილაჯგაწყვეტილი ბერაძის კაბინეტის პირდაპირ კედელს მიეყრდნო. ხუთიოდე წუთის შემდეგ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და კარს უიმედოდ მიაწვა. კარი გაიღო. მოულოდნელობისგან შეცბა კიდეც. მერე მხრებში გასწორდა, ოთახში შევიდა და იკითხა:

— შეიძლება?

— შეიძლება, — იყო პასუხი.

საწერ მაგიდასთან მხრებზე დალალდაყრილი ქალიშვილი იჯდა. საშუალო სიმაღლისა იქნებოდა, სიგამხდრეშეპარული მკვრივი სხეულის მქონე. მოუხელთებელი სინატიფით დახვეწილი სახის ნაკვთები მკაცრ გამომეტყველებას დაეჩრდილა და ნუშისფერ თვალებშიც იმ სიმკაცრეს დაედო ბინა.

ეცვა თეთრი, შინნაქსოვი სვიტრი და რაღაცით საბრძოლველად აღგზნებულ მოფარიკავე ქალს ჩამოჰგავდა.

ქალიშვილმა წამით თვალი შეავლო შეხულს და ჟურნალში რაღაც ჩაწერა.

— გამარჯობათ! — ბედს დამორჩილებული კაცივით თქვა საურმაგმა.

— გამარჯობათ! — ჟურნალი დახურა, გვერდზე გადადო, საურმაგს დაურიდებლად შეაჩერდა და ოფიციალური კილოთი უთხრა: — მობრძანდით, თქვენ, ალბათ, ულენტი ბრძანდებით, მეცხრე საამქროს მომავალი ოსტატი, ახლახან შემოვედი, დაბრძანდით...

„კერპი“, — გაიფიქრა ვაჟმა და რატომღაც გაეღიმა, ეტყობა, ვერ მიცნო“.

— გმადლობთ, — ჩაილაპარაკა, აუჩქარებლად დაჯდა და საპასუხო მზერა შეაგება.

— მუშაობდით ადრე სადმე? — ბერაძის სიდინჯე კიდე ვუფრო გამოიკვეთა.

— თბილისში, პირველ ფაბრიკაში, ოსტატად, ერთ წელს... — პასუხი ნათლად, ოღონდ მაინც მეტისმეტი მომჰირნეობით გასცა.

ქალიშვილი მიუხვდა.

— გეჩქარებათ? — წყენა მკრთალი ირონიით გამოხატა.

— დიახ... — მოსხლეტით მიუგო.

— კეთილი, აბა დავიწყოთ...

საურმაგი მიხვდა, ცოტა უხეშად გამოუვიდა, მაგრამ გამოსწორება არ უცდია.

ბერაძემ ინსტრუქტაჟის ჩატარება უაღრესი პუნქტუალობით დაიწყო და საურმაგ ულენტი თავისთან ნახევარ საათზე მეტხანს გააჩერა.

„ნამდვილი კერპია“, ფიქრობდა საურმაგი და თავადაც არ იცოდა, რატომ სიამოვნებდა ამის გაფიქრება. „სულ ერთია მაგისთვის, გეჩქარება თუ არა... ალბათ, ვერ მიცნო“.

საურმაგი ცდებოდა, ლალი ბერაძემ მასში უმალ შეიცნო თანაინსტიტუტელი, საურმაგ ულენტი, რომელიც ერთ დროს მის მეგობარ გოგონას მალული სიყვარულით უყვარდა.

ერთი პირობა კიდეც სურდა საურმაგს გამოცნაურებოდა, მაგრამ ვაჟის ნაჩქარევმა და მომჰირნე პასუხებმა შეაყოვნა. ხვდებოდა, ვაჟს უსაფრთხოების ტექნიკის დაცვაში ჩასატარებელი ინსტრუქტაჟისათვის ჩვეული პუნქტუალობა აღიზიანებდა, იმასაც ხვდებოდა, ვაჟის მეხსიერება მიხეულ ზედმეტ სახელს „კერპს“ დასტრიალებდა. განვლილი ცხოვრების წინააღმდეგობებით სავსე ეპიზოდები თითქოსდა სადღაც, გონების მიღმა ჭიანჭველებივით დაფათურობდნენ და ყოველივე ეს გულუბრყვილოდ სიამოვნებდა.

წამით თავი სახელმძღვანელოებსა და კონსპექტებში ჩაფლული იხილა და სასიამოვნოდ გააჟრჟოლა.

უნებლიედ საურმაგსაც სტუდენტობის წლები გაახსენდა.

ბერაძეს მთელი ინსტიტუტი იცნობდა. იგი ერთადერთი „სტუდენტი-ლექტორი“ იყო, ვისაც კათედრის გამგე ზოგჯერ ლექციების წაკითხვას ანდობდა. საურმაგს მასთან ისეთივე ნაცნობობა ჰქონდა, როგორც მათი ფაკულტეტის სტუდენტთა უმრავლესობას. ლალი ბერაძემ ინსტიტუტი მასზე ორი წლით ადრე დაამთავრა, ამბობდნენ, კათედრაზე დატოვებენო... მაგრამ

საურმაგი ახლა ბერაძეზე არ ფიქრობდა, გამოგონილი სიმშვიდით უსმენდა უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის ინჟინერს, ზოგჯერ კითხვებზეც პასუხობდა, ოღონდ სადღაც, ცნობიერების შორეულ მერიდიანზე, წარმოსახვის კალეიდოსკოპში, ყოფილ თანაკურსელ გოგონებს ხედავდა, მაიას, ნუნუს, ლილის, ლამზირას და საოცრად სწყინდა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ არც ერთი მათგანი რომ არ ენახა, არც მათი ასავალ-დასავალი იცოდა წესიერად. თანაკურსელი ბიჭები უფრო ხშირად ეგებულობდნენ ერთმანეთის ამბავს; უმრავლესობა განაწილებისდა მიხედვით მუშაობდა. გოგონებმა კი, ეტყობა, „უღალატეს" პროფესიას. მაგრამ ახლა არც ამაზე ფიქრობდა. იგი უნებლიედ მათ სახეებს ხედავდა შიგადაშიგ და დაღალატიანებულად გრძნობდა თავს, ბერაძესთან ერთადერთი იმათგანიც რომ არ აღმოჩნდა ამ ოთახში.

— ფრთხილად იყავით, — გააფრთხილა ინჟინერმა, როცა საურმაგმა თავისი გვარის გასწვრივ, ჟურნალის ფურცელზე სწრაფად მოაწერა ხელი, — რაიმე რომ მოხდეს, მთელი სიმკაცრით მოგთხოვთ პასუხს.

— ვიცი... — თავი დაუქნია მან და გაუღიმა, — ამისი იმედი მექნება, — ბერაძის მიერ რეზოლუციადადებული განცხადება აიღო და კარს მიაშურა.

„კერპი..." — ფიქრობდა დერეფანში მიმავალი — „მთელი საათი მჯიჯგნა და კი ვერ მიცნო... თუ არ ინდომა, ვერ ვეცნე, არა, ალბათ, მივავიწყდი, ისე, მაგათ კურსზეც ოთხი გოგო სწავლობდა, მგონი... თუ არ ვცდები, ერთ მათგანს მოვწონდი კიდეც... ჰმ, კერპი...".

●

მოქანცული ნელა მიაბიჯებდა. ჩემოდანიც ემძიმებოდა... არასდიდებით არ სურდა მოძალებულ სევდას დაეჯაბნა, ცდილობდა მხნე კაცის იერი მიეღო, მაგრამ დაღლილობა და ჯერ კიდევ მიუმცხრალი სიბრაზე თავისას შვრებოდა და ნაბიჯებიც მოთრეული გამოსდიოდა.

ახლაც ისე იყო ჩაცმული, როგორც ამ ქალაქში ჩამოსვლის პირველ დღეს, ჯიბეშიც იმდენივე თანხა ეგულებოდა, რაც მაშინ, ოღონდ ახლა წვრილმანი ფულისაგან შეკოწიწებული და მათზე ხელის შევლებისას ეს „სიმცირე" ისე გულუბრყვილოდ სწყინდა, თითქოს მეტი სადარდებელი არა ჰქონდა რა.

ერთი პირობა, კიდეც ინანა, სამსახურიდან რომ ასე ერთბაშად დაეთხოვა, მაგრამ უმალ გაახსენდა, ვიღაც ვიგინდარასთვის ბოდიში მოხდა რომ მოსთხოვეს და ახლა უკვე ის ინანა, ამ თავხედური მოთხოვნისათვის იმ ვაჟბატონებს თავიანთი სიტუტუცე შესაცნობად რომ ვერ აგრძნობინა.

ხომ რაღაც ოცდაექვსი დღე იმუშავა იმ საამქროში, წამოსვლისას მაინც გვარიანი სევდა გამოიყოლია, მის უბანზე მომუშავე ადამიანებთან განშორებით გამოწვეული.

სამსახურში მისვლისთანავე, გადაიცვამდა თუ არა ხალათს, მხნედ შემოუვლიდა ნაკადს. ყოველ მუშას გულთბილად ესალმებოდა, ზოგს ქათინაურსაც ეტყოდა, თავის ტოლსა და ხასიათსანდოს მხარზეც შემოჰკრავდა ხელს. სამუშაოს დაწყების წინ სხვისი განწყობილების გამოსაცოცხლებლად თბილ სიტყვას არასოდეს იშურებდა, თუმცა ზოგჯერ თავად გახლდათ უგუნებოდ.

ასე იყო, ქალებს ამ მომხიბვლელი ვაჟისგან მიძღვნილი ქათინაური ხალისს მატებდა და საქმისადმი უფრო გულდაჯერებულს ხდიდა. მამაკაცებს კი, მეტადრე ჭაბუკებს, მისი ძლიერი მარჯვენის მხართან შეხება, სიამაყესა და საქმისადმი ერთგულებას უორკეცებდა.

...არც ისე იყო საქმე, განრისხებაც იცოდა და ბევრჯერ, ისე ერთიანად აენთებოდა, გეგონებოდათ, ქვეყნიერებას წალეკვით ემუქრებაო, მაგრამ თუ სულ მთლად ვიგინდარასთან არ ჰქონდა საქმე, ბოლმის გაყოლა არ სჩვეოდა.

იქ, თბილისში გამოთხოვებისას ბევრი ეუბნებოდა „არ წახვიდე, რა, საურმაგ... ნუ დაგვტოვებ, ასე უნდა შეველიოთ ერთმანეთს?!" „დარჩი, საურმაგ, რითი გაგაბრაზეთ?!"

იქ, თბილისში მუშაობის დროს, საურმაგი პირველ დღიდანვე „შებოჭილი" აღმოჩნდა. ცვლის უფროსი სტუდენტობისდროინდელი ამხანაგი გამოდგა, საამქროს უფროსი კი მისი კარგი მეგობრის მამა. და მათ შორის, თითქოსდა ჩვეულებისამებრ, დაუკითხავად დამკვიდრდა შემთანხმებლობითი ურთიერთობის ატმოსფერო, ამას საურმაგის „ახალბედობამაც" შეუწყო ხელი. მერე კი, როცა მან, იმათი საჩოთირო საქმეებისგან თავი შორს დაიჭირა, ცვლის უფროსი უკვე აღარ იყო ამხანაგი, საამქროს უფროსის შვილი, მართალია, კვლავ მეგობრობდა მასთან, მაგრამ მამამისი უკვე აღარ უცქერდა, როგორც შვილის მეგობარს.

ატმოსფერო უარყოფითად დაიმუხტა. საურმაგი ხვდებოდა, „ზემდგომი ამხანაგებისთვის" ზედმეტი კაცი იყო და არც მას შეეძლო ყველაფერზე თავის ქნევა. ნათლად ამჩნევდა, რაც უფრო მეტი დრო გადიოდა „მორჩილებაში", მით უფრო უძნელდებოდა გაბედული სიტყვის თქმა.

...ამიტომაც, აქ, ფაბრიკაში მუშაობის დაწყებისთანავე გადაწყვიტა, სათქმელი [illegible] ეთქვა, და როცა ლამბაშიძესა და ცვლის უფროსს ერთ-ორ ტექნოლოგიურ პროცესზე თავისი შენიშვნა გაუზიარა, ერთმაც და მეორემაც წინასწარშეთანხმებულებივით, დაცინვით უთხრა: „ნუ ჩქარობ, ყმაწვილო, ნუ ჩქარობ...“

იმათ არც ის ეჭაშნიკათ, მუშებთან პირველ დღიდანვე მეგობრული ურთიერთობის დამყარებას რომ ცდილობდა, ალბათ, ესეც გამოუსწორებელ ცოდვად ჩაუთვალეს და ასე, თავისდაშეუმჩნევლად, ამ ოცდაექვსი დღის განმავლობაში, საურმაგ ჟღენტს „ცოდვების“ კარგა მოზრდილი ხურჯინი აეკიდა.

... და, აჰა, მხნედ გამოაბიჯა ქუჩაში. ხელში მისი ერთადერთი ნივთიერი სიმდიდრე, ტყავის ჩემოდანი ეპყრა, პიჯაკის ჯიბეში ხუთიოდე წუთის უკან კადრების განყოფილებაში მიღებული შრომის წიგნაკი ედო. მხრები გაშალა და ისე შვებით ამოისუნთქა, თითქოს დიდი ხნის საწადელი აისრულა; ეს მერე და მერე მოაწვა სევდა და დაღლილობაც თან მოიყოლია.

შეუმჩნევლად სანაპიროსაკენ გაუყვა გზას. დილის მერე არაფერი ეჭამა, მაგრამ აღარც შიოდა. იმ სირბილსა და დავიდარაბაში თუ შთანთქა ჩვეული ჯანსაღი მადა.

უეცრივ მთელი არსებით შეიგრძნო გაზაფხულის მეკვლე დღის მათრობელა სითბო... სიოც ესალმებოდა სახეზე, კიდევ უფრო გაუწია გულმა სანაპიროსაკენ. ქუჩაში მიმავალ ხალხსაც დააკვირდა. კვლავაც ესიამოვნა მათ ჩაცმულობაში შემჩნეული უბრალოება და ხალვათობა. გოგონების მომხიბვლელი, ჯიშიანი ფეხების დანახვა იმ სიოსავით მიესალმუნა.

ახლა ვიღაც სილამაზედ ჩამოღვენთილი ქალი გაახსენდა, რომელიც არასოდეს ენახა.

სანაპიროსთან პედაგოგიური ინსტიტუტის შენობის პირდაპირ გავიდა და ძლივს გასახსენებელ ამბავივით, წვალებით მოაგონდა, ახალგაზრდა რომ გახლდათ, სიცოცხლით აღსავსე და ამან მწველი სევდა მოჰგვარა.

ზღვა, მართლაც, ზღვასავით მომხიბლავი იყო. პაწაწინა, ჩიორა ტალღებიც იფოფრებოდნენ.

ჩემოდანზე ჩამომჯდარი, ჰორიზონტს მუზამოვლენილი ხელოვანივით შეფრფინვით გასცქეროდა. და, რა თქმა უნდა, აღარაფერზე აღარ ფიქრობდა. მოულოდნელად გონების მიღმა სიტყვა „ლაწირაკი“, თითქოსდა ლაწირაკივით გაიძურწა და წამით სიბრაზემ მოიცვა. გაიფიქრა, რომ საკადრისი პასუხი ვერ გასცა ლამბაშიძეს და დავით ჟღენტიც ტყუილუბრალოდ „შენდობილად“ მიიჩნია.

ბოლოს მშობლები გაახსენდა, რატომღაც შემცივნებულს დაემსგავსა.

დამსვენებლები კარგა ბლომად იყვნენ. მეტადრე მხარმარცხნივ, ტურბაზის მხარეს და იმათ ჟრიამულში, ვიღაც მომღერლის ხავერდოვანი ხმა დანარნარებდა, მაგრამ საურმაგს ყველაზე გარკვევით, თანაც მკვეთრად, უცნობი ქალის თავაწყვეტილი კისკისი ჩაესმოდა, არც კი აინტერესებდა, ვინ ან რაზედ იცინოდა, ოღონდ მაინც ხარბად უგდებდა ყურს და ელიმებოდა.

მერე თვალების აქეთ-იქით წოწიალი დაიწყო. ვინმე ნაცნობთან შეხვედრა და გამოლაპარაკება თუ მოესურვა. ალაგ-ალაგ გოგონების მომხიბვლელ, ჯიშიან ფეხებს თვალებით მიუალერსა და კვლავ ის ვიღაც სილამაზედ ჩამოღვენთილი, უსაშველოდ ნაცნობი ქალი გაახსენდა, ქალი, რომელიც არასოდეს ენახა. მასთან ალერსი და სიამტკბილობა მოუნდა და წამით ამ სურვილმა ვნებიანად გათანგა კიდეც.

რატომღაც, სულაც არ ფიქრობდა იმაზე, მომავალში რას იზამდა, ან რა მოელოდა. ასე ეგონა, ყოველი საზრუნავი მოწესრიგებული ჰქონდა, რაკი მხიარულმა ატმოსფერომ და იმ ქალის გახსენებამ სასიცოცხლოდ ალესა.

მხოლოდ ერთს ნანობდა გულუბრყვილოდ, იმ ოცდაექვსი დღის განმავლობაში სულ ორჯერ მოახერხა სანაპიროზე გამოსვლა.

უნებურად თბილისის ზღვა გაახსენდა და ამასთან ერთად ის შემთხვევაც გამოჩხრიკა აზროვნებამ, იქ, ნაპირიდან ორი მეტრით დაშორებული, ამხანაგებით გარშემორტყმული, უმოწყალოდ, „მათხოვრულად“, რომ იხრჩობოდა. ჩუმად, ხმის გაუღებლად ცდილობდა ფეხის მოკიდებას, უცაბედად სიღრმისკენ გადაქანებული. ცურვა სრულებით არ იცოდა, არადა, სახოწარკვეთილი კაცივით აღრიალებაც ესირცხვებოდა. წყალი გვარიანად ყლაპა და მაინც ისე გამოაღწია ნაპირზე, ერთ ძმაბიჭსაც კი არ გაუგია, იმ ხუთიოდე წუთში რა ბეწვზე ეკიდა მისი სიცოცხლე. არც მერე მოუყოლია ვინმესთვის, ალბათ, რაღაცით თავადაც დაუჯერებლად მოაჩნდა ამგვარი რამ... მერე დიდხანს გაუძნელდა ცურვის სწავლა, მდინარეებს კიდევ, ჰო და ჰო, შებედავდა, ზღვას კი „სიკვდილის პატიებისათვის“, მოკრძალებული კაცივით ერიდებოდა. თუმცა ბოლოს და ბოლოს მაინც გაუშინაურდა.

უცებ ტალღების მიფერება მოუნდა, ოცამდე კენჭი ესროლა პაწაწინა, აფოფრილ ტალღებს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მოულოდნელად. ოცდამეერთეს რომ იღებდა, თითქოს იმან რაღაც უჩურჩულაო, ისე შეცბა. ნაჩქარევად მიიხედა მარჯვნივ და უნებურად კვლავ შეცბა.

შორიახლო, სანაპიროს კიდესთან ლალი ბერაძე იდგა და დამორცხვებულ გოგონასავით უღიმოდა.

საურმაგი განცვიფრდა, მის სახესაც თბილი ღიმილი დაეპატრონა.

იმ პირველი დღის შემდეგ, ამ ოცდაექვს დღეში, მხოლოდ ორჯერ შეხვდა ბერაძეს. გამარჯობა უთხრეს ერთმანეთს. ეს იყო და ეს. არც ერთს არ უცდია ნაცნობობის განახლება. ახლა კი ორივე კარგა ხნის უნახავ მეგობრებივით შესცქეროდა ერთმანეთს.

საურმაგმა ოცდამეერთე კენჭი პიჯაკის ჯიბეში ჩაიდო და წამოდგა.

ორივემ ორიოდე ნაბიჯი წარსდგა და პირისპირ შესდგნენ.

— გამარჯობათ! — მიესალმა საურმაგი.

— გამარჯობათ! — მხრებზე დაყრილი დალალები შეისროლა ლალიმ, — გამოგვექეცით... — მისი სახიდან ღიმილი ნაუცბათევად გადაიმალა.

— მაიძულეს, — ჩაიცინა ვაჟმა. — წამოსვლისას ინსტრუქტაჟი ხომ არ უნდა ჩამებარებინა?

— იქნებ სჯობდა, — სახე ისევ გაუმხიარულდა, ოდნავ გვერდზე გადგა და გეგონებოდათ, პასუხს აძლევსო, ისე ჰკითხა, — ლამბაშიძეს ვერ შეეწყვეთ?..

— ეტყობა, ინფორმაციის წყაროები...

— ამას რა წყაროები უნდა, შეხვენების შემდეგ ყველა თქვენზე ლაპარაკობდა.

— მაინც, რას?..

— ლამბაშიძეს კინაღამ სცემაო...

— არ მიფიქრია, თუმცა ნაღდად სასარგებლო საქმეს ჩავიდენდი.

— მაინც, რა მოხდა?..

ბერაძეს საოცრად მეგობრული ხმა ჰქონდა და მანაც დამჯერე ბავშვივით ნაჩქარევად მოუთხრო გადახდილი დავიდარაბის შესახებ.

— არ უნდა გამოქცეულიყავით, — უსაყვედურა ლალიმ, — გაგიხარებიათ ლამბაშიძის გული.

— ყელში ამოსვლოდეს... — ზღვას გახედა და უნებურად გაიფიქრა „იქნებ ვინმეს ელოდა და...“ — ხომ არ შეგაყოვნეთ? — ჰკითხა მორიდებით.

— არა, — ამ შეკითხვამ ლალი გაახარა, — არა, მე აქ ხშირად მოვდივარ...

— კარგად ცურავთ? — თავად იგრძნო, ამით რაღაც სხვა ჰკითხა, ოღონდ სახელდობრ რა, თავადაც ვერ გეტყოდათ.

— მგონი, კარგად, — რატომღაც სიმორცხვე შეეპარა ლალის ხმას.

„კერპი“... სულაც არ ჩანს კერპი“, გაიფიქრა საურმაგმა.

„ფრთხილად იყავი, არ შეგიყვარდეს, ეგ საურმაგ ელენტია, ტყუილუბრალოდ იწერები, კარგად არ ვიცნობო, მაგ ბიჭს თითქმის ყველა გოგო მასე, „კარგად არ იცნობდა“ და მაინც ყველას მოსწონდა. საურმაგიც, გეგონებოდა, ყველას თანაუგრძნობსო, ყველას ანებივრებდა ღიმილითა და ქათინაურებით. ფრთხილად იყავი, არ შეგიყვარდეს, ეგეც კერპია, ოღონდ მოღიმარე კერპი...“ გაახსენდა ლალის მეგობარი ქალიშვილის მიერ გამოგზავნილი წერილიდან ერთ-ერთი ნაწყვეტი და უნებლიედ შეშინდა. წამით იეჭვა, რომ ეს ვაჟი მართლაც მოსწონდა. ამან კი მისთვის უხილავი და უჩვეულო სამყარო დაანახვა. სამყარო, რომლის აღმოჩენას ყოველთვის უფრთხოდა. მეოცნებე იყო, მეოცნებე რომანტიკოსი და რატომღაც ამას სხვებთან ურთიერთობაში ხრულებით არ ამჟღავნებდა. იქნებ ფიქრობდა, საკუთარი თავის მთლიანად „გამხელით“ მასთან ურთიერთობაში მყოფ ადამიანთა შეხედულებებს დაადალატიანებდა.

იქ, მთაში, საოცრად ლაღად გრძნობდა თავს. ბავშვობაში, როცა ცხვარს მწყემსავდა, მთელი განცხრომით შეეთქვიფებოდა ხოლმე ბუნების ამოძახილს. მერე როცა სხვა ატმოსფეროს ეზიარა და სხვების მიმართ მოვალეობის გრძნობა მოეძალა, მის გარეგნულ იერს —„კერპის“ „ყალიბი“ მოარგო. ...განცდები კი ისევ ბალღობისდროინდელი ჰქონდა. ისევ ძველებურად უყვარდა ბარაქიანი თოვა. უცაბედად წამწამზე ფანტელის დასკუპება და ცრემლად ჩამოდნობა... თოვლი ძალზე ბევრი თოვლი... „უჰ რა კარგია, გაზაფხულზე, ძილში შეშინებულივით რომ მოსწყდება მთას და ხევში ხარხარით გადავარდება, თითქოსდა ნანახი სიზმარი გაახსენდაო“. კიდევ ქარის ტირილი უყვარდა, კვნესა და ტირილი. ბალღობაში სახლის კედელზე მიყრილ თოვლს წყალს მიასხურებდა, მერე შიგ თავწატეხილ ბოთლს ჩააყინავდა, ბოთლში ქარი იწყებდა სისინს და მიდარაჯებული, გათოშვამდე ზღაპრულ ქვითინს უსმენდა. გაზაფხულის შხაპუნა წვიმაც ახარებდა საოცრად, შხაპუნა წვიმა, გაყინულ მიწას თითქოს მისი ჯათბობის წყურვილით დაუზოგავად რომ უტყლაშუნებს. მოსწონდა, უეცარი წვიმისაგან შეშინებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხი ქუჩას რომ მიატოვებს და აქა-იქ შეყუჟულნი მოუთმენლად ელიან გამოდარებას, წყლის ჭვრეტა უყვარდა, მოლივლივე ზღვისა, თუკი ხაწიერზე ხალურჯის გარდა, ვერაფერს ხედავდა.

...შემოდგომა კი რატომღაც აშინებდა, რადგან გაძარცვული და დაოხლებული ადამიანის ხევდა აღეძვრებოდა. ოღონდ შემოდგომისას, თივის სურნელი აღაგზნებდა. ებარებოდა მოთიბული ბალახის სურნელებით დამტკბარიყო. აპრილის თვე კი მისი ოცნების ოცნება გახლდათ. ყოველ კვირტის მიალერსება ეწადა, ფუშვინვით გაღვიძებულ ბავშვს რომ აგონებდა სინორჩით. და, თავისდა გასაოცრად, უნებურად უფიქრია: ბედისწერის ჟამს, იმ ბოლო დღეს, ნეტავი აპრილთან (გამომშვიდობება დამებედოს, ჭეშმარიტ აპრილთან, რათა სიხარულის ტკბილი ზმანება თან ვიახლოო... ადვილი მისახვედრია, პოეტიც გახლდათ და ლექსებსაც ამოთქვამდა, ოღონდ სიტყვების გარეშე, და შეუცნობლად ეუღლითებოდა სული იმ ლექსების სიმხურვალით ...და ისე ლექსებიც, ის მოუხელთებელი პოეზია მხოლოდ მის არსებაში ღივლივებდა, დათარეშობდა, ლღვებოდა...

...ასე იყო, ლალი ბერაძე ახლობლებისთვისაც კი ამოსაცნობი გახლდათ, თუმცა უმრავლესობა მის პიროვნებას ყველასთვის შესწავლილად თვლიდა; ჭეშმარიტებისმაძიებელ, გაბედული და ენერგიული ხასიათის მიღმა, სამსახურებრივი მოვალეობის უნაკლოდ შემსრულებელ, გულცივ ადამიანსაც კი ხედავდნენ.

— არ უნდა გამოქცეულიყავით, — სიმკაცრე მოიშველია ფიქრებაშლილმა ქალიშვილმა, — ახლა, ალბათ, ისევ თბილისს დაუბრუნდებით? — ირონია გაეპარა ხმაში.

— არა, თბილისში არა, იქაც ლამბაშიძეები მელოდებიან...

— თუ დარჩენას აპირებთ, ჯერ ბინის საკითხი უნდა მოგეგვარებინათ, — დამრიგებლური კილოთი უთხრა ლალიმ.

— დღეს სასტუმროს შევაფარებ თავს, მერე კი სადმე ოთახს ვიქირავებ.

— იცით რა, თუ მართლა დარჩეთ და ბინა ვერ იშოვოთ, მე დამირეკეთ, მამიდაჩემის მეზობლებში გავიკითხავ.

და უცებ ორივემ იგრძნო, ერთმანეთს უნდა გამომშვიდობებოდნენ.

— ნახვამდის... — თბილად უთხრა ბერაძემ და გაეცალა.

— ნახვამდის! — თვალი არ გაუყოლებია, ზღვას გახედა. ორი თითით ჯიბიდან სიგარეტი ამოაპარა, მოუკიდა, ჩემოდანზე ჩამოჯდა.

რაღაცნაირი უჩვეულო სიმსუბუქით, არხეინად ეწეოდა სიგარეტს. ლალი ბერაძეზე სტუდენტობისდროინდელი ცხოვრებიდან რაღაც-რაღაცები ახსენდებოდა და ყოველივე ეს მასზე სიგარეტის კვამლივით მათრობელად მოქმედებდა. მერე ზღვის ჰორიზონტზე ჩამავალ მზეს მისჩერებოდა და ასე ეგონა, მზის სხივებს უჩუმრად მიჰყვებოდა.

...ბინის მოძებნა კი აზრადაც არ მოსდიოდა, თანაც ამ ამბისადმი ისე გულგრილად იყო განწყობილი, გეგონებოდათ, როცა კი მოისურვებს, ამ ქვეყანას ერთ პატარა ოთახად ჴადააკეთებს და სახურველ ლოგინსაც გაიშლის შიგო.

მზე კი, ჰა, ხაცა იყო, ზღვაში ჩაცურდებოდა.

●

მეორე მამაკაცის პორტრეტი ბევრად უფრო ჰგავდა „ორიგინალს“, პირველი მამაკაცის პორტრეტზე უფრო მეტად. ძნელად აღსაქმელი სახის ნაკვთები კი ჰქონდა; რაღაცნაირად ერთმანეთში აღეხილი გეგონებოდათ.

პირველი მამაკაცის პორტრეტის ხატვა მეორედ დაიწყო. უმალ იგრძნო, ამჯერად თვალთან ერთად, ხელმაც შეიცნო ხაჭირო შტრიხების მოხაზულობა და მათრობელა სიამტკბილობას მინებდა.

მამაკაცი თვლემდა. იდაყვი ხკამის სახელურზე ედო, გაშლილი ხელისგულით კი თავს იმაგრებდა.

შეპარვით ჴახედავდა, მორიგ შტრიხს აღიქვამდა და ხატვას განაგრძობდა.

მერე კმაყოფილების ნიშნად ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა, უფრო სწორად, მოიწადინა ღრმად ჩაესუნთქა. მარცხენა ფილტვი უჩვეულოდ ახრიალდა. „თითქოს ჰაერი გემის ლუზახავით მისრიალებსო...“, ეს, შესაძლოა, სხვას სრულებითაც არ აღექვა ამგვარად, მაგრამ მას, მუდამ ახეთი შეგრძნება ეუფლებოდა.

ის მათრობელა სითბო თითქოს თავხედურად შემოაცალეს. წიგნაკი და ფანქარი გიმნასტურის ჯიბეში ჩაიდო, იქამდე კი სუნთქვა შეაჩერა, ბოლოს შეპარვით იწყო ფილტვების ჰაერით შევსება. ამასთანავე, თავისუფლებისგანაც განიძარცვა. შემცბარი ცდილობდა ზედმეტად არ „გაეღიზიანებინა“ ფილტვი და მისი ახრიალება, აგრერიგად მწველად შესაცნობი არ გამხდარიყო. „ჩახაზერი ვარ...“ გაიფიქრა და ინანა, პირველად ინანა, ჰოსპიტალის მთავარ ექიმს რომ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუჯერა, არც მაიორ გორდეევს, არც ეკატერინა ნიკოლოზის ასულს და არც ჟენიას... ერთი სული ჰქონდა, ხანამ იქიდან „აიწყვეტდა“, ეგონა, ჰოსპიტალში ყოფნა იყო მისი ავადმყოფობის მიზეზი. არადა, კიდევ ორი თვე რომ მოეცადა, მერე რამდენიმე თვით სანატორიუმში გაამწესებდნენ და მკურნალობის ძირითად კურსსაც მორჩებოდა. „სულ ხუთი-ექვსი თვე დაიცადე, ბიჭო, და მერე ჩიტივით იფრენ, სულ ხუთი-ექვსი თვე“, ასე უთხრა მაიორმა გორდეევმა. ეს კი მუქთახორად გრძნობდა თავს, იქნებ განკურნებულადაც... თითქოს აგვიანებდა და აჩქარება იყო საჭირო...

ილუმინატორში თვითმფრინავის ფრთის კიდე მოჩანდა. იმას მიაშტერდა. მალე თავის თავში აღმოცენებული ჰიპნოზის ზეგავლენით, ასე ეგონა, თვითმფრინავი მხოლოდ იმ ერთ ფრთას იყო მინდობილი, აღძრული ასოციაცია მისთვის მტკივნეულ ადგილს ესალბუნებოდა და სიხალისეს მატებდა, მაგრამ უცებ კვლავ იგრძნო, როგორ აზრიალდა მარცხენა ფილტვი და ილუზია თითქოს იმ ხრიალმა შეიწოვა. ახლა მთავარი, რაც ეწადა, ის იყო, არ ეფიქრა, ოღონდ მის მაგივრად, თითქოს ვიღაც სხვა ფიქრობდა, განმარტოებით რომ მოკალათებულიყო მის სულში და დაუზარებლად მოუთხრობდა ბედგანამწარი ბიჭის ამბავს. სიკვდილი სულ ახლოს იყო და მისი აჩრდილის ლაციცი რაღაცნაირ ფლეგმატურ სიმშვიდეს ჰგვრიდა.

...გამომშვიდობებისას ბიჭებმა ჰოსპიტლის სასადილოში პირთამდე სავსე რძიანი ჭიქები აღმართეს და ტრადიციისამებრ ერთხმად შესძახეს:

— ჰლექი ძირს, ძირს ჰლექი და მის აგენტებს, კოხის ჩხირებს, მუსრი გავავლოთ!!!

„ჰლექი ძირს, ძირს ჰლექი და მის აგენტებს, კოხის ჩხირებს, მუსრი გავავლოთ!.. არა, ასე ადვილად არ დავნებდები. ჩავალ, რამდენიმე თვე ვიმკურნალებ, ისე ვიმკურნალებ, მკურნალის მეტმა არავინ გაიგოს, არც დედაჩემმა... ერთი ამ პნევმოთორაქსს მოვრჩე, ერთი, მკერდში ჰაერის ამ ბუყბუყს მოეღოს ბოლო... კარგი ვქენი, რომ არ დავუჯერე მაიორ გორდეევს, არც ეკატერინე ნიკოლოზის ასულს, არც ჟენიას... ავადმყოფობის მკურნალი თავად ავადმყოფია. დასახული მიზნისკენ ლტოლვა, აი, ჩემი სამკურნალო რეცეპტი... ჰლექი ძირს, ძირს ჰლექი და მის აგენტებს, კოხის ჩხირებს, მუსრი გავავლოთ!“

ახლა ძალზე სურდა ვინმეს გასაუბრებოდა. სამწუხაროდ, გვერდით არავინ ეჯდა. მის პარალელურად, თვითმფრინავის იქეთა მხარესაც ერთი ბოლო სავარძელი იყო დაკავებული. შიგ მჯდომი შავგვრემანი მამაკაცი, რომლის პორტრეტიც წელან დახატა, მარცხნივ გადმოქანებულიყო, თავი აქეთ-იქით უკონწიალებდა და ისე ეძინა.

„ეგ კოსმოსურ ხომალდში უფრო ხალვათად იგრძნობდა თავს, — გაეღიმა, — კიდევ კარგი, თავდაყირა არ დავხატე. გვერდით რომ ეჯდა ქერათმიანი, ის ბევრად მორჩილი მენატურე გახლდათ. კიევში რომ არ გადასულიყო, მეორედ დავხატავდი. არც დაინტერესებულა, რას ვაკეთებდი. ალბათ, არც შეუმჩნევია სანახევროდ ეძინა. ზოგი ჭირი მარგებელია, პორტრეტების ხატვაში ხომ მაინც გავიწაფე ხელი...

გალაღებულმა გიმნასტურის კიდევ ერთი ღილი შეიხსნა. ილუმინატორში გაიხედა.

თვითმფრინავი „ტუ-104“ დასავლეთიდან მოფრინავდა. თავისებური სიდინჯით, უხილავი, მაგრამ მრავალჯერ გაკვალული გზით.

— ამხანაგო მგზავრებო, გთხოვთ შეიბნიოთ ქამრები!.. — სტიუარდესას ხმაში მოვალეობის მოხდის შენიღბული მომაბეზრებლობა იგრძნობოდა.

მან კი სიხარულის მოზღვავება იგრძნო. ეგონა, უკვე მშობლიურ ქალაქში მიაბიჯებდა დედასთან შესახვედრად.

როცა თვითმფრინავის ტრაპზე ჩადიოდა, ის უცნობი შეამჩნია. შავგვრემანი მამაკაცი წინ მიუძღოდა. ერთი პირობა გაიფიქრა, ნახატს ვუსახსოვრებ, ესიამოვნებაო, მაგრამ წამით მის უსიცოცხლო, ჩამქვდარ სახის ნაკვთებს რომ შეავლო თვალი, გადაიფიქრა.

აჰა, მშობლიურ მიწაზე დაადგა ფეხი. ტანში ზვავად მოვარდნილი სიყვარულისაგან დაშინებულივით შეუცნობლად გააჟრჟოლა.

გიმნასტურის ღილები შეიკრა და მტკიცე, მხედრული ნაბიჯებით გაემართა გასასვლელისაკენ, სადაც მისი პატარა, ყავისფერი ჩემოდანი უნდა მიეღო.

ნოდარ დიდებულიძეს დედა მწოლიარე ავადმყოფი დახვდა. სამი დღის წინ, თავსხმა წვიმაში მოხვედრილს გრიპი შეჰყროდა და უცაბედად მოვლენილ სენს ადვილად დაეჯაბნა.

შვილის გამოჩენამ თინათინს ავადმყოფობაც მიავიწყა და სისუსტეც. უმალ წამოფორთხიალდა საწოლიდან. ერთადერთი ვაჟის ალერსით ვერა და ვერ იჯერა გული, მერე გაახსენდა, გრიპი რომ ჰქონდა და ნაჩქარევი სიფრთხილით განერიდა.

ნოდარი კარგა ხანს ეხვეწებოდა, ისევ ლოგინში ჩაწექი, თუკი ჩემი ჩამოსვლა ოდნავ მაინც გაგიხარდაო, მაგრამ დედა ამ თხოვნამ, ცოტა არ იყოს, გაანაწყენა კიდეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნულარ მაწყენინებ, შვილო, ნუ, გენაცვალე, ალმანიშვნინე ეს ბედნიერი დღე... — ჩურჩულებდა იგი, თან თვალებს შვილის ალერსით ანებივრებდა.

მერე კი, როცა სიხარულად ქცეულმა ქალმა, მის დახაწედად შემორბენილი მეზობლის პატარა გოგო გულნარა მაღაზიაში ხანოვაგის საყიდლად გაუშვა, თავად კი სამზარეულოში დატრიალდა, შვილი მიხვდა, დედას ახლა, უბრალოდ არ შეეძლო სუფრა არ გაეშალა, და ლოგინში ჩაწოლა, ალბათ, კიდეც ავნებდა.

— მე ორი თვით ადრე გელოდი, კიდევ კარგი, შენს წერილებს დროულად ვიღებდი, მერე ხმა გავრცელდა, საერთაშორისო ვითარება გამწვავდა და იმიტომ აყოვნებენ დემობილიზებასო. გული გახეთქვაზე მქონდა. არ გიკვირს, როგორ ჩავძელი. ორი წელი და ორი თვე გელოდე, ორი წელი და ორი თვე! მაინც, რატომ არ გამოგიშვეს შვებულებაში იმ ჩემი ცოდვით სავსეებმა. ვიცი, ვიცი, შენი ამხანაგი მომიყვა, როცა მომინახულა, ვილაც ახალბედას გამოხარჩლებიხარ და... ნეტა რაღას ვწუწუნებ, რაკი ჩამოხვედი, ახლა რაღა მიჭირს. ჩემი დევივით ბიჭი, ჩემი კაჟივით ბიჭი. ეეჰ, ნეტა მამაშენი მოსწრებოდა ამ დღეს... — ცრემლმომდგარი თინათინი დივანზე მჯდომს ხარბად გამოხედავდა და ჩვეულებისამებრ მთელი არსებით გაუღიმებდა.

კედელზე ოვალურ ჩარჩოში ჩასმული მამის სურათი ეკიდა.

მამას მაღალი შუბლი, დიდრონი თაფლისფერი თვალები, უსწორმასწორო და მაინც საოცრად მიმზიდველი სახის ნაკვთები ჰქონდა. მილიციის მუშაკის ფორმა, ცოტა არ იყოს, მრისხანე იერს აძლევდა.

უცქეროდა სურათს და ძალზე ეწადა მამის გახსენება, ისეთისა, როგორიც მას უნდა ხსომებოდა. რატომღაც ვერასგზით ვერ მოახერხა და ძალზე ეწყინა.

გეგონებოდათ, დედამისს, რომელიც იმჟამად ნათესავებსა და მეზობლებზე პატარ-პატარა, ნაუცბათევად გახსენებულ ამბებს მოუთხრობდა, დიდი ყურადღებით უსმენდა, სინამდვილეში კი, დივანზე განუძრევლად მჯდომი, მკრთალად მოღიმარე, ერთთავად იმას ცდილობდა, რაც შეიძლება „წყნარად“ ესუნთქა და როგორც კი მკერდიდან ჩვეულ ბუყბუყს გაიგონებდა, ეგონა, მთელ ქვეყნიერებას ესმოდა ეს ხმა. შემცბარი სუნთქვას წყვეტდა და დედისკენ მოცქირალი, სიმშვიდის ნიღბად, იმ მკრთალ ღიმილს იმარჯვებდა.

„არა, ახლა რაიმეს თქმა, რაიმეს თქმა კი არა, რაიმეს დაცდენაც, რაიმეს მინიშნებაც საშინელი ბოროტება იქნება, საშინელი ბოროტება...“

კიდევ თავიდან წყვეტდა მეათედ გადაწყვეტილს და რცხვენოდა, საშინლად რცხვენოდა, ავად რომ გახლდათ, დედის იმედის გამართლება რომ არ შეეძლო, რომ არ შეეძლო ყოფილიყო „კაჟივით ბიჭი... დევივით ბიჭი...“

მაღაზიიდან მობრუნებულ გულნარას მეზობლის ქალებიც მოჰყვნენ.

თავის თავში დაუკითხავად აღმოცენებული განწყობის წყალობით, ფარული მალვით უფრთხოდა მის სანახავად მოსულ ახლობლებისთვის ეკოცნა. ახარებდა მათი სიმცირე (სამუშაო დღე იყო და მეზობლებთაგან თითო-ოროლა დიასახლისი თუ იყო სახლში). და როცა საზელდახელოდ გამზადებულ სადილზე დედამისმა მისი ამხანაგების მოპატიჟება გადაწყვიტა, პატარა გულნარაც შეამზადა მათ მოსაყვანად და მოსაძებნად, ნოდარმა არ ინდომა: კომისარიატში მისვლა მეჩქარება და ბიჭებს სუფრასთან ვერ მივატოვებო, იმართლა თავი.

მერე ძალზე კმაყოფილი გახლდათ, ასე რომ მოიქცა. აბა იმ ხალხს ხომ არ ჩაუშხამებდა პურ-მარილს.

სუფრასთან, მართლაც, მცირე დროით გაჩერდა: დრომომჭირნე კაცივით დრო იხელთა თუ არა, ხალისიანად მოსაუბრე მეზობლებს ბოდიში მოუხადა და მაგიდა მიატოვა.

ქუჩაში მიმავალი იმას შიშობდა, ვინმე ნაცნობს არ გადაყროდა, ამაში კი გაუმართლა. ტუბდისპანსერამდე, რომლის ადგილსამყოფელი ბუნდოვნად იცოდა, ისე მიაღწია, არც მას შეუმჩნევია ისეთი ვინმე, შესაგებებლად რომ ულირდა და ეტყობა, „ისეთს“ თავადაც არვის დაუნახავს. „ალბათ, ყველამ ყველაფერი იცის და მიფრთხიან...“ ღვარძლიანი ეჭვი დაუკითხავად მოევლინა. „აჯიჯგნინე, აჯიჯგნინე ამ ეჭვს ახლა თავი, მაინც საიდან გამოტყვრა...“ ნაბიჯს აუჩქარა. ამგვარ საქციელს ყოველთვის სიმშვიდის მოსაპოვებლად იშველიებდა.

ჭაღარათმიანმა ექიმმა ქალმა არცთუ ისე ხალისიანად მიიღო. არადა, მეტად სათნო შესახედაობა ჰქონდა.

— ასე ადრე რატომ გამოეწერეთ ჰოსპიტალიდან? — მკაცრად ჰკითხა მან, როცა საბუთების გადათვალიერების შემდეგ ტომოგრაფიის სურათს გახედა.

ჯერ მორჩილი დუმილი არჩია, მერე კითხვა რომ გაუმეორეს, რაღაცას მოაბა თავი.

— მერედა?!. — ეეჰ, ეს ახალგაზრდები, მუდამჟამს სადღაც გეჩქარებათ, ორი წელი თუ მოითმინე, შვიდი თვეც დაგეცადა, მკურნალობის პირველ კურსს მაინც დაამთავრებდი, მერე ჰაერის გაშვებაც შეიძლებოდა. კარგი, გაიხადე.

სულ მთლად შემოეცალა სითამამე და მერე, როცა მაღალფეხება საწოლზე წელზევით შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილი იწვა, რატომღაც სულ არ ადარდებდა ნემსის მოსალოდნელი ჩხვლეტა. არც ის ქვაბ-კირვებია, ჰალარათმიანმა ექიმმა ნეკნებს შორის, უმალ, გაუწვალებლად რომ ჩაარჭო ნემსი.

ეს შემდეგ, როცა ექიმისთვის და ექთანისთვის მადლობა გადახდილი და სხვადასხვა აბებით ჯიბეებგატენილი სამხედრო კომისარიატისკენ მიაბიჯებდა, შემდეგ მოიცვა იმ თითქოსდა „ახლობელმა“, უსიამოვნო განწყობილებამ, რომელიც ნემსის ჩხვლეტამდე ეუფლებოდა.

სამხედრო კომისარიატში მცირე ხნით შეაყოვნეს, მაგრამ თავად მაინც არ ჩქარობდა. ალბათ, ქვეშეცნეულად გული ეთანადრებოდა, ასე ადვილად რომ „მოიშორეს“ თავიდან.

ქუჩაში დინჯი ნაბიჯებით გამოვიდა. ისევ აუჩქარებლად გაუყვა გზას. შეეცადა საფიქრალაწეწილი გონება დაეწმინდა და, ასე ვთქვათ, სამოქმედო გეგმა მიეღო. ამაოდ... მაგრამ ახლა მაინც მხნედ გრძნობდა თავს, რადგან შეეძლო თავისუფლად ესუნთქა და ხიხინის აკვიატებული შეგრძნება ამ ბოძებული „სრულყოფით“ გაეყუჩებინა. მერე ავტობუსში ჩაჯდომა იფიქრა, ჩვეულებისამებრ გაუჩქარა კიდეც და კიდევ უფრო წამოენთო სახიცოცხლოდ. სახლისკენ მიმავალ ქუჩაზე რომ მიაბიჯებდა, მიუხაროდა კიდეც. სიკეთეს იხსენებდა, თავისი წილი ცხოვრების წილნახვედრ სიკეთეს. ხედავდა კიდეც თვალებგახელილი, ცნობიერების სათუთ წარმოსახვაში, რაღაც ფორმაცვალებადი, მოლაციცე საგნების სახით. ხატვის ჟინი მოეძალა და სულში ფანტაზიის ფუნჯმა იწყო ფათური. მოულოდნელად შეცბა, მარჯვნივ მიიხედა და გაირინდა. ის სახლი, ისევ ისე იდგა. დაბალი, კედლებგაშავებული ხის სახლი, პირქუში იერით. პატარა ფანჯრებზე საღებავაცლილი დარაბები მოეხურათ და ეს კიდევ უფრო ამუქებდა იმ უსიამოვნო განცდას, მისი დანახვისას რომ მოიცვა, ეზოც გაუკაცრიელებული ეჩვენა. იქაურობას კი გაერიდა, მაგრამ იმ სახლზე ფიქრი თითქოს უხეირო საგზალივით წაიყოლია. ბავშვობის მოგონებები მწუხრით შეისუდრა, ახლა მოხუცი ქალი ედგა თვალწინ, შავებით მოსილი, ნაოჭებით სახედაღარული. და იმ ნაოჭებში გეგონებოდათ, იმ სახლიდან გამონაჟონი სიპირქუშე ჩასწოლოდა. გამუდმებით იმ სახლის აივანზე იჯდა. ცივი, ფერდაკარგული თვალებით სადღაც, მოუხელთებელ შორეთში მაცქერალი.

იმ სახლს მუდამჟამს მორიდებით უვლიდა გვერდს დიდი თუ პატარა. განსაკუთრებით ბავშვებს ეშინოდათ იქაურობის. იმ ეზოში მდგომი, ლოყაწითელა ნაყოფით დახუნძლული ვაშლის ხეებისაც ეშინოდათ, იმ ეზოში მობიბინე ხასხასა მოლისაც, რადგან დედები ათასნაირ საშინელებას უწინასწარმეტყველებდნენ იქაურობასთან გაშინაურების მცდელობის საფასურად.

სახლის აივანზე მჯდომი ქალი კი, ფერდაკარგული თვალებით მოუხელთებელ შორეთში იცქირებოდა, ოღონდ ხალხს ქუჩისკენ მომზირალი ეგონა და ბევრი გაურბოდა მისკენ გახედვას. „ჰლექიანები!“ თითქოს ყველასდაგამაფრთხილებლად ჰაერში გამოკიდული ასოებით ეწერა იმ ეზო-კარმიდამოს.

მთელი ოჯახი ამოეწყვიტა ავბედით სენს, მხოლოდ ის ქალი შერჩენოდა გაცივებულ კერას. ბოლოს ის ქალიც მიიცვალა. სახლს კი პატრონად, ვიღაც ოცი წლის ნაპატიმრალი ნათესავი გამოუჩნდა. იმ კაცს გამოსარჩევად ბოროტი გამოხედვა ჰქონდა და ერთხანს მისიც ისე ეშინოდათ, როგორც იმ დედაბრისა, ხანამ ყოფილმა პატიმარმა საიდანღაც ცოლ-შვილი არ ჩამოიყვანა და ამ ეზოში პატარა, ცისფერთვალება, დღენიადაგ მოჟღურტულე გოგო-ბიჭმა არ იწყო თამაში.

...მერე და მერე თითქოს ჰლექმაც დაკარგა ის ძრწოლვისმომგვრელი მრისხანება, თავისებურად განიარაღდა მისდამი ფანატიკური შიში...

დაქანცული დღე ბინდად იღვრებოდა, ქუჩაში მიმომსვლელ ხალხში მისი ნაცნობები და კეთილისმსურველნი ბევრნი აღმოჩნდნენ. ყველა გულთბილად ხვდებოდა. ხელსართმევდნენ, ეხვეოდნენ... „როგორ ხარ?“, „ხომ კარგად გიკითხო?“ — პასუხი ყველასთვის ერთი ჰქონდა: „კარგად!“, სინდისი კი ქენჯნიდა.

სახლში ფეხაკრეფით შევიდა. დედამისს კი, ეტყობა, დაწოლა სულაც არ ეფიქრა. სკამზე შემდგარი სურათის ჩარჩოს თეთრი ნაჭრით წმენდდა და მთრთოლვარე ხმით ჩურჩულებდა...

— მოხვედი, შვილო? ახლავე, ახლავე... — ნაძალადევი სიმარდით ჩამოვიდა სკამიდან და შვილს მიაშურა.

— რატომ არ დაწექი, დედა? — უსაყვედურა მან.

— უკვე უკეთ ვარ, შვილო, უკეთ, — ხელები ნაზად შემოხვია მხრებზე, — რაო, რა გითხრეს კომისარიატში?

— შეგიძლია, სამოქალაქო ცხოვრება გააგრძელოო, — ეს წინადადება ხაზგასმით გამოუვიდა ნათქვამი, ალბათ, მისთვისაც უთქმელი და უჩინარი სიყალბე თუ შენიღბა.

— ჩემი დევივით ბიჭი, ნეტავი მამაშენი მოსწრებოდა ამ ბედნიერ დღეს, სულ იმას გაიძახოდა, ჩემი ბიჭი რომ სიმართლეს დაუდგება დარაჯად, ყველა ქურდსა და გარეწარს შიშით სული გასძვრებაო, აღარ დასცალდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგონა, მეუღლის სურათს მიხედავდა, მაგრამ დედა კვლავ თვალებში შესცქეროდა და მის სხეულში შიშმა გაისავსავა.

— ცუდად ხომ არა ხარ, შვილო? — ჩაძიებით ჰკითხა შეშფოთებულმა.

— არა, დედა, ცუდად მყოფს რა მიგავს, —მონდომებით გაიღიმა, — მიდი, თუ ჩემი ხათრი გაქვს, დაწექი.

— ჩემზე ნუ იდარდებ, ახლა უკეთ ვარ, შვილო, — გიმნასტურის ღილები ფრთხილად შეუხსნა, — ახლა რას აპირებ, ჩემო ბიჭიკო, ვისწავლოთ უნდა, ხომ?..

ორივემ დივანისკენ გადადგა ნაბიჯი.

— ჰო, დედა, ალბათ, იურიდიულზე ჩავაბარებ, კვლავ ვცდი ბედს... — ხელი მოხვია და მასთან ერთად დივანზე დაჯდა.

— მტკიცედ გადაწყვიტე, მამის კვალს გაჰყვე? — კვლავ თვალებში შეაცქერდა.

— მტკიცედ... — თითქოს დაიქადნაო, ისე უთხრა.

თინათინმა თავი დახარა.

— შენ რომ რაიმე მოგივიდეს, თავს არ ვიცოცხლებ შვილო... — თქვა ცოტაოდენი დუმილის შემდეგ, — მაგრამ რაკი ასე გადაგიწყვეტია, — კვლავ იატაკს ჩააჩერდა, ოღონდ შვილს ასე ეგონა, ისევ თვალებში მიცქერისო, — მე ადრეც ვიფიქრე ამაზე, მე და მამაშენი ერთად ვფიქრობდით...

— დედა... — მარჯვენა კიდევ უფრო ძალუმად შემოაჰდო შვილმა.

— ჰო, შვილო, ჰო, კარგა ხანია მე და გიორგის ერთად ფიქრი დაგვჩემდა... — რატომღაც დამნაშავესავით გაუღიმა, — ხომ იცი, ამ ბოლო დროს რა ძნელი გახდა იურიდიულზე ჩაბარება. აკი იმ წელსაც ტყუილუბრალოდ ეწვალე. ამას წინათ მამაშენის ყოფილ მეგობარს შევხვდი, შენზე ვისაუბრეთ. თუ ასე გულით სწადია, როცა სამხედროდან ჩამოვა, მილიციის სკოლაში გააგრძელოს სწავლა, მერე უმაღლესშიც ადვილად მოეწყობაო. მამაშენმაც ეგ სკოლა დაამთავრა, შვილო, უმაღლესში სწავლა შემდეგ გააძელა, ოღონდ დამთავრება აღარ დასცალდა... შენ კი, ჩემო იმედო, ყველა მისი დაწყებული საქმე უნდა დაასრულო, — თვინიერად დასძლია მოძალებული ხევდა.

...და შვილთანაც მოვიდა იმედი, რწმენამ ფრთხიალით შეასხა ოცნების ფრთები. საფიქრალი უმალ შეივსო გამამხნევებელი წინადადებებით: „...ჯანდაბას, გამოვაშვებინებ ჰაერს, აკი მაიორმა გორდეევმა მითხრა, შვიდ თვეზე მეტხანს ნულარ გააგრძელებო, სამი თვე ხომ გავიდა, ჯანდაბას, გამოვაშვებინებ ჰაერს, მორჩა, მეყო ყალთაბანდობა!“

დედა ახლა ფიქრიას ახსენებდა, უქებდა. მშობლიური რიდით რაღაც-რაღაცებს მათ მომავალზე მიანიშნებდა.

იგი დედის მხარს მიჰკვროდა, მშვიდად სუნთქავდა სიხარულწამონთებული მკერდით და პატარა, ბაფთიან გოგონაზე ფიქრობდა. ბავშვობაში ერთხელ ძალდატანებით რომ აჩუქა ლოყაწითელა ვაშლი, რომლის ჩაკბეჩაც მას გულუბრყვილოდ ერცხვინებოდა. იმ გოგონას ფიქრია ერქვა და ამით თითქოსდა შეპარვით აიძულებდა მასზე ეფიქრა. ეფიქრა იმ ლოყაწითელა, ჯიბით ნატარებ და მერე სადღაც დაკარგულ ვაშლზე.

— ჰო, შვილო... — რაღაცის გახსენებამ სასურველ თემაზე საუბარი მიატოვებინა თინათინს, — კინაღამ მიმავიწყდა, თანაც ისიც ვიფიქრე, არ ეწყინოს-მეთქი. ამას წინათ კუთხის ოთახი გავაქირავე, მეზობლებმა მთხოვეს და... დროებით იცხოვრებსო, მითხრეს... ჩავწერე კიდეც, რა მექნა, უარი ვერ ვუთხარი...

— ვინ არის?

— წესიერად არც კი ვიცი, მაგრამ, ეტყობა, კეთილი ბიჭია. ახლა მგონი, რომელიღაც კვლევით ინსტიტუტში მუშაობს, მერე ვთხოვ, სხვაგან გადავიდეს, იქნებ უცებ ვერ მოახერხოს, მაგრამ...

— რას ერჩი, თუ კეთილი ბიჭია, იყოს, ჩვენ ეს სამი ოთახიც თავისუფლად გვეყოფა, მიუშვი, იცხოვროს იმ კაცმა, — თბილად შესცინა დედას.

ძალზე სურდა ყველა კეთილი კაცისთვის რითიმე შეემსუბუქებინა საზრუნავი და სადარდებელი.

დედა მიუხვდა. საფეთქელთან ეამბორა და მშვიდად უჩურჩულა.

— კეთილი, შვილო, იცხოვროს, ღმერთმა ხელი მოუმართოს...

●

თავდაპირველად ქალაქის შინაგან საქმეთა სამმართველოს კადრების განყოფილებას ესტუმრა. დედის დარიგებისამებრ, მამამისის ყოფილი მეგობრის მაიორ პაპიაშვილის ახავალ-დახავალი უნდა გაეკითხა, მაგრამ რატომღაც ეუხერხულა და ახალგაზრდა ლეიტენანტს, კადრების

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილების ინსპექტორს პირდაპირ გაანდო თავისი სურვილი, ლეიტენანტმა ოცდამერვე ოთახში კაპიტან ბუაჩიძესთან მიახწავლა.

— დააგვიანეთ, — უთხრა კაპიტანმა, როცა გულდასმით მოუსმინა, — უკვე ყველა ჯგუფი შევსებულია, აი, გუშინწინ რომ მოხულიყავით... — იგი თანაგრძნობით უცქეროდა.

. . . . . . . . . . .

გარეთ გასულმა ერთბაშად იგრძნო დაღლა და უნებურად წალასლასდა.

მზიანი ამინდი იდგა, თბილი. ნიავიც ქროდა. იგი კი, სითბოსა და პაერდანატრებულს დაემსგავსა. მოეჩვენა, ფილტვმაც რახარუხი ატეხა... ახლა ეგონა, თავიდანვე ზედმიწევნით იცოდა, ასე რომ მოხდებოდა, ზუსტად ასე და არა სხვაგვარად, მაგრამ დაჭერებულიც რომ ყოფილიყო ამგვარ დასასრულში, მაინც გაივლიდა გასავლელ გზას. უხეიროდ რომ გვეთქვა, გამოხაშვებ სისხლს უნდა დაეტოვებინა ძარღვები, რათა მერე მთელი სიცოცხლე არ ექიჯგნა. ალარაფერზე ფიქრი აღარ სურდა. უიმედობამ სევდის ბადეში გაახვია. მერე უცებ წამოენთო, უცებ შეუტია თავის თავს... სიძაბუნეზე მოუვიდა ბრაზი. საერთოდ, ყველა ალალ-მართალი ადამიანის სიძაბუნეზე... „...რა მქონდა საწუწუნო... ავდამყოფობა?.. ეეჰ, ისე, როგორც გონება, სხეულიც ყოველთვის რაღაცას ეჩიდება. მთავარია, არ დაგჯაბნოს ავმა სენმა, უხეირო აზრმა. რა მქონდა საწუწუნო... ყოველ ეპოქას თავისი წილი ავადმყოფობა „ამშვენებდა“, ეს რაღაცნაირად სიმბოლურიცაა. ეგ ჭლექი, მე, ალბათ, სულ სხვა რანგში ამყავს. ეპოქის ამა თუ იმ სენმა თავისებურად ჩამოძერწა ადამიანის ფსიქოლოგია. აი, რისი უნდა მეშინოდეს. ავმა სენმა, უხეირო აზრი არ მომისოოს...“

სახლისკენ მიმავალმა უკვე იცოდა, რა უნდა ეთქვა დედისთვის, რით უნდა ენუგეშებინა. ეტყოდა, რომ უმაღლესში ჩაბარება ურჩიეს. და ისიც თავს გადადებდა და თავისას მიაღწევდა. მერე და მერე კი ზედმეტ ეჭვებს თუ გამოიწვევდა. იქნებ დედისთვისაც გაემხილა, რა აწუხებდა, რა ბოჭავდა.. მერე ჯანმრთელობაც გაუმაგრებდა მხარს და... რა მქონდა საწუწუნო?.. „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია...“ რა მქონდა საწუწუნო?!.. „ეპოქის ამა თუ იმ სენმა თავისებურად ჩამოძერწა ადამიანის ფსიქოლოგია. აი, რისი უნდა მეშინოდეს, ავმა სენმა უხეირო აზრი არ მომისოოს...“

იმ ეზოს რომ ჩაუარა, ის ცისფერთვალება ბავშვები მოაგონდა და გაეხარდა. იმათ მიუალერსა კიდეც მეზღვაურების პაწია კუნჭულში. სიკვდილზე აღმოცენებულ სიცოცხლეზე თუ ფიქრობდა.

სახლში შესულს დედამისი საწოლზე ტანგაუხდელად მიწოლილი დახვდა. არ ეჰაშნიკა.

— მოხვედი, შვილო? — ძლივს მოხედა თინათინმა, — როგორა ხარ, მოგიკვდეს დედა, — აშკარად ეტყობოდა, სუნთქვა უჭირდა.

კარგად, კარგად, დედა, — ხმა აუთრთოლდა. დაუკითხავად მოეძალა შიში.

„ჩემი ამბავი ხომ არ შეიტყო, იქნებ გულმა არ მოუთმინა და ტელეფონით მაითხ ელაპარაკა?!.“

— მოდი, გაკოცო, — ძლივს ამოთქვა ავადმყოფმა.

დაიხარა და თავად აკოცა ლოყაზე და შიშმაც დაუდევრად შებოჭა.

— დედა... — ძლივს ამოიხრიალა და ახლა მისივე ხმამ ააფორიაქა. თინათინმა თვალები მილულა, სუნთქვა წაერთვა, სახე დაეძაბა.

— დედა... სასწრაფოს გამოვუძახებ, ახლავე, — ახლავე — დაფეთებული წამოიჭრა.

— გულნარა... — წაიჩურჩულა დედამისმა, მაგრამ იგი უკვე ოთახიდან გარბოდა.

უცაბედად კიბეზე წაიფორხილა და მიწაზე გაიშოტა.

„რა მქონდა საწუწუნო...“ ეს სიტყვები თითქოსდა ხურდა ფულივით დაცვივდა მის წინ და როცა წამოიმართა, გეგონებოდათ, ამ ფულის წამოკრეფა სურდა.

მირბოდა და საშინლად ემძიმებოდა ჩექმები. ეგონა, ფეხებზე ბორკილები ეკიდა. უნებურად კიდევაც დაიხედა ზედ. ჭიშკარში გულნარა და მეზობელი ქალები შემოდიოდნენ.

— ცუდადაა, შვილო? — შეხძახა ერთმა იმათგანმა და გამოიქცა.

— ჰო, სასწრაფოს...

— მე უკვე გამოვუძახე, — დაასწრო გულნარამ.

წამით შედგა. ქალები სახლისკენ გარბოდნენ. თავად ქუჩაში გავიდა „სასწრაფოს“ შესახვედრად.

მოულოდნელად სახლიდან შეკივლების ხმა მოისმა. მთელი ძალით შეტრიალდა და გაიქცა. ოთახში შმაგივით შევარდა. პირველი ქალის ხმას მეორისა წაეშველა. ოთახის კუთხეში მიყუჟულ გულნარას მკიდა თვალი და საწოლთან ჩაიჩოქა.

— დედა... — წარმოთქვა ხაოცარი სიმშვიდით სუნთქვაგაშმირებულმა.

მოეჩვენა, დედამისმა ზეგ-ტუჩი შეარხია.

— დედა... — თითქოს პატარა ბიჭივით პატიებას თხოვდა.

— სასწრაფო მოვიდა! — შესძახა ვიღაცამ.

— ადექი, შვილო, ადექი, — იმედიანად უთხრეს ქალებმა და ხელები ჩასჭიდეს. წამოდგა და კარს მიაშურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექიმი, მოხუცი მამაკაცი, ხვნეშით შემოვიდა ოთახში. უკან ექთანი გოგონა მოჰყვებოდა.

კედელს აკრული ისე მისჩერებოდა ორივეს, როგორც სასწაულმოქმედთ. მერე ესლა გაიგონა, მამაკაცის ბოხი ხმით ნათქვამი:

— ბედი უნდა ყველაფერს, ამ სიცხით გათანგული ქალისთვის გულსაც უღალატნია.

„ბედი უნდა ყველაფერს, ბედი უნდა ყველაფერს...“ შოლტივით გაიზუზუნეს ამ სიტყვებმა საფიქრალში.

კიდევ უფრო მიეკრა კედელს.

ქალები დაბალი ხმით მოთქვამდნენ და უხეიროდ ამშვიდებდნენ. თავად კი გახევებული იდგა და სადღაც, უსასრულობისაკენ მიჰქროდა.

ორმოს ზედაპირის სიგრძე მეტრ-ნახევარი გახლდათ, სიგანე — ოთხმოცი სანტიმეტრი, და ოთხ მეტრამდე ამოსათხრელი, ჯერ მხოლოდ სამი მეტრი სიღრმისა თუ იქნებოდა. საურმაგი მარჯვედ იქნევდა მოკლეტარიან წერაქვს. მაღალყელიანი ქრომის წაღები ეცვა. წაღებში სპორტული შარვლის ბოლოები ჰქონდა ჩატანებული, წელზევით კი შიშველი იყო... განსაკუთრებით პირველი ორი ორმოს ამოთხრა ეძნელა. მერე კი მიწისმთხრელის თავისებური ალღო გამოიმუშავა და ახლა არც კანგაუხეშებული ხელისგულები სტკიოდა, არც ორმოს კედლის ზედაპირიდან ქვის ავბედითად დასხლტომისა ეშინოდა, არც ზევით ამოძრომაზე ცოდვილობდა. შავმიწა ნიადაგს ქვიანი ფენა მოსდევდა, ქვიანს — სილნარი, ახლა ხრეშის მაგვარ ქანს ეჭიდებოდა ძალაყინითა და ბარ-წერაქვით.

საურმაგმა მუშაობას თავი მიანება და ზეცას ახედა, კამკამა სილურჯე ესალმუნებოდა თვალებს.

— ხომ არ შეგვეხვენა... — ჩაილაპარაკა თავისთვის.

მერე ნელა იწყო ორმოდან ამოსვლა. გაჩაჩხულ ფეხებს მოხერხებულად აბჯენდა ორმოს კედლებს. მიწის ზედაპირზე მჭიდროდ ფეხდადგმულმა ხელები გაშალა და წამით გულის ძგერას მიუგდო ყური.

... იმ საღამოს კიდევ დიდხანს იჯდა ზღვის პირას.

... მზის ამოსვლას სანაპიროსთან შეხვდა. ქოჩორა ტალღებით ნაპირამოქარგულმა ზღვამ მზერა მიიტაცა. წყლიდან ოქროს თევზი ამოცურდა. „რას ინებებ, ყმაწვილო?“ ჰკითხა მათრობელა ხმით. ხმა ვერ გაიღო. უამრავი რამ ჰქონდა სანატრელი და თითქოს არც — არაფერი. „რას ინებებ, ყმაწვილო?“ ოქროს თევზი გაქრა. „სიყვარულს სიყვარულს!“ მიადევნა უიმედოდ. „რას ინებებ, ყმაწვილო?“ ჩაეკითხა საკუთარი ხმას. ხიბლი ჭეშმარიტებად იწამა და საკუთარმა უმწეობამ გაახელა. „ნატვრა რად გინდა, შენ ყველაფერს შენით მიაღწევ...“ დასცინა იმ უმწეობას, იჩქარა იქაურობას გასცლოდა. გზად, მიწაში ჩამარხული რელსის ამონაშვერს დაეჯაჯგურა. „კი მაგრამ, ამას აქ რაღა უნდა?!“ რა თქმა უნდა, ვერაფერი მოუხერხა და გზა გააგრძელა. „რას ინებებ, ყმაწვილო?!“ კვლავ დასცინოდა საკუთარ უმწეობას.

ფეხსაცმელების ინდივიდუალური კერვისა და შეკეთების ფაბრიკის ადმინისტრაციის შენობას კითხვა-კითხვით მიაგნო. ერთსართულიანი შენობა დასანგრევად შემზადებულს ჰგავდა. შესამჩნევად ვიწრო და შესამჩნევად გრძელი, გზატკეცილის განაპირას გაწოლილ ლიანდაგს მოგაგონებდათ. კედლები მზეზე გამომშრალი თევზის კანივით აქერცლოდა. საურმაგმა კართან გაკრულ აბრას დინჯად შეავლო თვალი და დერეფანში თამამად შეაბიჯა. სამუშაო ოთახები ვაგონის კუპეებივით მხოლოდ ერთ მხარეს ჩარიგებულიყვნენ. მხოლოდ დირექტორის კაბინეტს და მისაღებს მიეტაცნა შენობის ორივე მხარე. მისაღებში პატარა მაგიდასთან ორი ქალი საქმიანობდა.

— დირექტორის ნახვა თუ შეიძლება? — იკითხა კარის ზღურბლთან შემდგარმა.

სანაქებოდ ჩასუქებულმა ლამაზმა ქალმა, დატალღული შოკოლადისფერი თმით, წითელი ლოყებით, ვნებიანი თვალებითა და პომადით სქლად შეღებილი ბაგე-ტუჩით რომ დაგამახსოვრებდათ თავს, გულგრილად ამოხედა.

— რა გნებავთ? — ჰკითხა და წამით საწერ მანქანაზე ბეჭდვა მიატოვა.

— პირად საქმეზე...

— დირექტორი შვებულებაშია, მთავარ ინჟინერს მიმართეთ!

არ განაწყენებულა ახე უცებ რომ მოიშორეს. მოკრძალებით გადაიხადა მადლობა. მიხ-

რუნებისას მეორე ქალის ცისფერ თვალებს შეავლო მზერა, უნდოდა იმისთვისაც ეთქვა რაღაც და თავი ოდნავ დაუქნია. „მთავარ ინჟინერთან, ესეც ბედი...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ჰორიზონტს გადაცილებულმა მზემ სხივები თითქოსდა უბეში ჩაიკრიფა, აცივდა. საურმაგი წამოდგა და ხამოსის გამოცვლას შეუდგა. „ხვალ, კვლავ მოვსინჯავ... რაღაცას ელის ინჟინერი, არა, ქრთამის მიმცემი რომ არ ვარ, მგონი მიხვდა, თითქოს სურს შემისწავლოს, თითქოს მამოწმებს... რაღაცას ელის ინჟინერი, ეტყობა, ქრთამზე მეტად სხვა რამე აინტერესებს...“ და ფეხსაცმელების ინდივიდუალური კერვისა და შეკეთების ფაბრიკის მთავარ ინჟინერთან შეხვედრის სამი შემთხვევიდან, მეხსიერების საუფლოში ბოლო ორს დაკვირვებით გადაავლო თვალი.

ინჟინერი გულთბილი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. არ იმჩნევდა, ისე კი ცნობისმოყვარე იყო, ფრიად, გულდასმით, ოღონდ სხვათა შორის გამოჰკითხა ვინაობა.

— ჩასაწერი ხარ, ქალაქის ჩაწერა გინდა... — ჩაილაპარაკა ერთგან, შეაცქერდა, — თუმცა, შესაძლოა, დროებით, ჩაუწერლად მიგიღოთ, მერე რაღაცას მოახერხებ... — გეგონებოდათ, ნამალევად წააქეზა, — ვნახოთ, ვნახოთ, კიდევ შემოიარე, რაღაცას მოვიფიქრებთ... — გულიანად შეჰპირდა და დერეფანში ფიქრიანი იერით გამოაცილა.

„ელასა-მელასა ჰიქა მეკიდა ყელასა, მთქმელსა და გამგონებელსა ძილი ნებისა ყველასა“. უნებლიეთ საურმაგს ისევ ის სიტყვები მოაგონდა, ჩაიცინა.

მინდვრის ბოლოში გამოსარჩევად მაღალი, ჯერ კიდევ ხარაჩოებშეუხსნელი შენობები აღმართულიყვნენ. იმათ კედლებს რომანტიკულად ელაციცებოდა მზის სხივები.

დაიძაბა, შეეცადა მშვიდად, ძალზე მშვიდად ეცქირა ყველაფრისათვის. „მგონი კმაყოფილი დარჩა ჩემი პასუხებით... შევატყვე ისიც ესიამოვნა, ამ კუთხისთვის უცხო კაცი რომ ვარ. რაღაცას ელის ინჟინერი...“ ერთხანს იმ ორმოსთან იდგა, რომელშიც სამუშაო იარაღი და ტანსაცმელი დატოვა. იმ შენებადაუმთავრებელი სახლებისკენ იცქირებოდა. ბოლოს მზერაში გამოუცნობი ბურუსი ჩაეძერწა და ისე მოწყვეტით გადააქანდა, ორმოში კინაღამ ჩაემხო. დამფრთხალი გვერდზე გადახტა.

უცებ საშინლად მოუნდა ადამიანებთან ყოფნა. იმის გაფიქრებამ კი, შესაძლოა, არავის ხჭირდებოდეს ჩემი თავიო, შეზარა. მალულად თბილისისკენ გაუწია გულმა. საყვარელ ქუჩებში ხეტიალი, თანაქუჩელ ბიჭებთან ლაზღანდარობა მოუნდა. ...და უმალ იმ ბიჭთან შეხვედრა გადაწყვიტა. მიხვდა, მთელი ეს დღეები ამისთვის ემზადებოდა, მაგრამ უნებურად მისი პატივსაცემი მწუხარების დარღვევას ერიდებოდა.

სახლისკენ გაუტია. გზაში იმაზე ფიქრობდა, საჭირო იყო თუ არა მისი თავგამოდება. იქნებ ზოგჯერ თავისებური სიამოვნებაც გახლდათ დარდსა და ვარამს მარტოდმარტო გამკლავებოდა კაცი. ეზოს ჰიშკართან შეყოვნდა. ახლა იგრძნო, ქუჩები ისე გამოიარა, ეგონა, დიაფილმით უჩვენებდნენ ქალაქის ხედებს.

ეზოს სიღრმეში მდგომი სახლი მდუმარებაში და სიბნელეში ჩაფლულიყო. გუმანით მიხვდა, ერთ-ერთ ოთახში დივანზე გაუხდელად იწვა მწუხარებისგან სულაწეწილი ადამიანი და სიბნელისათვის თვალი გაეშტერებინა. მასთან შესახვედრად შეემზადა, რაღაც თბილად გალღვა მკერდქვეშ. „კაცი კაცითა...“ გაიფიქრა და გონებაში მტკიცედ ჩასახლდა აზრად გამოკვეთილი ადამიანური მოვალეობა.

●

ცხოვრება თავისას ითხოვს, მაგრამ რა უფლებით, ბედისწერის რა კანონებით?! გამოუცნობშია მისი არსი, მისი რაობა და იმ გამოუცნობს მუდამ იმედის თვალით ვეჭიდებით...“ ზღვის სანაპიროზე ამოშენებულ ჯებირთან მდგომი ნოდარ დიდებულიძე მოლივლივე წყალს ჩასჩერებოდა და დედაზე ფიქრობდა. თუმცა თავად ვერც კი გეტყოდათ, ფიქრობდა კი?.. ასე ეგონა, მთელი მისი არსება მიუწვდომელ და ყველა საფიქრალისგან მოწყვეტილ განსჯას მოეცვა და ამ განსჯას, რაღაც უხილავი, ზეკაცური წარმართავდა.

დედის უეცარმა გარდაცვალებამ შეუცნობლობის ბურუსში გახვია. დაკრძალვაზე, რომლის ორგანიზაცია თინათინის ძმებმა ითავეს, ისე გრძნობდა თავს, როგორც გადამთიელი და ამ ცხოვრებისგან სამოწყალოდ შეხიზნული, მერე სევდად და გაოცებად იქცა. გაოცება დედის სიკვდილის მძაფრმა განცდამ მოჰგვარა, როცა კუბო საფლავში ჩაასვენეს და მიწა დაურიდებლად მიაყარეს. „ნეტავ ცხოვრება კიდევ რა ყულფს მიმზადებს?!“ უნებურად გაიფიქრა მაშინ და ესეც გაუკვირდა, გაუკვირდა, რომ ამის გაფიქრება შეძლო. მერე ის პირველი გაოცება დედის მეორე სიცოცხლედ იწამა, არა და არ ინდომა ნათესავ ქალთაგან ვინმეს დედის მაგივრად ედიასახლისა. თავისი თავის მოვლა-პატრონობა რწმენის აღდგენაში უნდა დახმარებოდა... მოსიყვარულე და ერთგული დეიდა კი შეეჭვდა. ალბათ, შეყვარებული ჰყავს, და ამ სახლში მასთან განმარტოებას ეშურებაო... მხოლოდ ორმოცის გადახდის შემდეგ ამოისუნთქა შვებით

და მაინც სოფელში გამგზავრებამდე რამდენჯერმე სთხოვა „შვილო, ცოტა კიდევ დაიცადე და მერე დედაშენის სულიც გაპატიებს, ვინმეს საშენოს თუ შემოიყვან ამ სახლში, ოღონდ ობერს და უბედურს არ გადაეყარო და...“ პასუხად ჩაეცინა. ვერვინ მიმხვდარიყო, რად ერიდებოდა იგი ვისიმე შეწუხებას ამგვარი სიჯიუტით. ყველგან და ყველაფერში მისდამი ნობათიცით მიძღვნილ შიშველ სიბრალულს ამჩნევდა და ეს უკიდურესად აღიზიანებდა. სტუმარი იშვიათად ჰყავდა და თავადაც იშვიათად სტუმრობდა ვინმეს. უკვე აღარავის უმალავდა, ავადმყოფი რომ იყო, პირიქით, აზვიადებდა კიდეც. ჰკითხავდა ვინმე:

— რაო, რით ავადმყოფობ, ნოდარ?

ის კი, თითქოს გამომწვევად უპასუხებდა:

— ჭლექით!...

— მერე რაა, — აიმედებდნენ, — ნუ გეშინია, ტუბერკულოზი ახლა, გრიპივით მოსახდელია.

— რისი უნდა მეშინოდეს, სხვას უნდა ეშინოდეს ჩემი, — უდარდელად ჩაიცინებდა.

იგი ყოველნაირად ცდილობდა, საკუთარი თავის გარშემო ობობას ქსელივით მოექსოვა ეჭვის ხლართები და იმ ეჭვებით სასიცოცხლო ლტოლვას იოხებდა. ...ხანდახან სახაბიც გამოტყვრებოდა. ერთხელ ნათესავ გოგონას შეხვდა. გალაღებული მიეგება და გადაეხვია. შეამჩნია, უნებლიეთ აარიდა გოგონამ თავი. ძლივს შეინარჩუნა სახეზე ღიმილი და ისე გამოემშვიდობა, დაბეჯითებით ცდილობდა, როგორც თავად ფიქრობდა, არავინ აეძულებინა მისთვის ნაძალადევად გაეღიმათ, ნაძალადევად ჩამოერთმიათ ხელი, ნაძალადევად მისალმებოდნენ. ის კი არა, ახლობლებისგან გამოსხივებულ ჩვეულ ნათესავურ სითბოსაც კი ემალებოდა. ყველაფერ ამაში სანტიმენტალიზმით დაღდასმულ სიბრალულს ხედავდა. და ეს ნაძალადევი განდგომა რაღაცით ცხოვრების რაობაში წვდომის სურვილის ზოძალებას ემსგავსებოდა.

„გამოუცნობშია მისი არსი, მისი რაობა და იმ გამოუცნობს იმედით ვეჭიდებით...“ არც კი უწყოდა, რისი რაობის ასახსნელად შემორჩა ეს სიტყვები საფიქრალს. „ნეტავი საურმაგი შინ დამხვდებოდეს“, ინატრა და უმალ იგრძნო, საურმაგ ელენტი ერთადერთი ადამიანი გახლადათ, ვისაც გულმხურვალედ მიენდობოდა, ისიც შეამჩნია, ამ ჭეშმარიტების გამხელას ქვეცნობიერად ერიდებოდა.

საურმაგი დედის დაკრძალვის დღეებში გაიცნო. იგი იმით იყო ყველასგან გამოსარჩევი, რომ მის გარშემო მყოფი ახლობლებივით ჭირისუფლობას არ ჩემულობდა და არც სანუგეშო სიტყვებით მოუბეზრებია თავი. უბრალოდ, საჭიროებისას თუ გაელაპარაკებოდა და ხანდახან საუბარში სიკვდილსაც სიცოცხლესავით მოიხსენიებდა. ...მერე იმ საღამოს ჯიქურ დაადგა თავზე. ჩაბნელებულ ოთახში დაუკითხავად აანთო სინათლე და უთხრა:

— იცი, რა, ნოდარ, რამდენიმე თვე კიდევ უნდა გამაჩერო შენთან, ახლა ქუჩა-ქუჩა წანწალისა და ბინის ძებნის თავი აღარ მაქვს...

— თუკი შენ გინდა... — საწოლზე წამომჯდარი ნოდარი დაბნეულს ჰგავდა.

— მინდა რომელია, — ჩაიცინა საურმაგმა, — თუ არ გეწყინება, ხანდახან სამზარეულოთიც ვისარგებლებ, თინათინ დეიდა ნებას მრთავდა, — დედამისის სახელი ისე ახსენა, ვითომდა სადმე დროებით წასული ეგულებოდა, — დილით ჩაი თუ არ დავლიე, გამოფიტული ვარ. ისე, ამ საღამოსაც მივირთმევდი, დღეს კარგა ღრმად ჩავყევი ბარს და...

— სიამოვნებით, ოღონდ... — ნოდარი წამოწითლდა. ალბათ, უნებურად ის უხეირო თავმოყვარეობა თავისი ავადმყოფობის გახსენებას აძალებდა. მაგრამ საურმაგმა დაასწრო.

— სახლში თუ არ გაქვს, გავალ და...

— როგორ არა! — გამოცოცხლდა ნოდარი.

მალე მსუყედ გაწყობილ სუფრას უსხდნენ. საურმაგი ჩაის დაგემოვნებით სვამდა, თან თავსგადამხდარ ცხოვრებიდან სასაცილო ეპიზოდებს ჰყვებოდა. მერე ნოდარიც ჩაითრია საუბარში და როცა მას ცხოვრებაზე საყვედურის მაგვარი რაღაც წამოსცდა, დაფიქრებით უთხრა:

— კაცმა შენი წილი სიცოცხლე ლამაზ ჭიქილში უნდა გალიო და თუ მხოლოდ წამებაა ეს ცხოვრება, ადამიანური მოვალეობა გვაიძულებს, ლამაზად მაინც ეწამოთ, გამიგე?..

ნოდარმა თანხმობის ნიშნად გაუღიმა. ...და ასე, საურმაგი დაუკითხავად გაუშინაურდა. შესაძლებლობის მიცემისთანავე საჭირბოროტო საკითხებზე გაუბამდა საუბარს. ხდებოდა ისე, რომ ზოგჯერ მარტოს უწევდა ლაპარაკი, მაგრამ მაინც არ კარგავდა სიხალისეს, თავის თავთან გააბამდა ბჭობასა და კამათს. მაშინ ნოდარს მისი შურდა კიდეც და სიმპათიით იმსჭვალებოდა. და მაინც ერთხელ იმ ახირებულმა მოვალეობის გრძნობამ „გააბოროტა“ და საკუთარ სახლში „ღრმად“ მიმალვით მასთანაც სცადა განშორება.

საურმაგმა დროულად აუღო ალღო.

— თუ მართლა არ შეიძლება ჩემისთანა კაცის შენთან სიახლოვე, მაშინ საავადმყოფოში უნდა დაწვე, ჩემო ძმაო, რას იზამ, კაცობრიობის ჯანმრთელობას უნდა გავუფრთხილდეთ, —

ამგვარი მონოლოგი გაუმართა ოთახის ჩაკეტილ კართან მდგომმა. — მაგრამ, როცა კაცი ძალით იჩემებს უბადრუკობას, ეს ბოროტმოქმედებაა, შენი ჭირვეულობის გულისათვის მე ჩემს ხენაკში ბერად ვერ დავეყუდები. თან იმისაც მეშინია, არ გაველურდე და, კიდევ, საშინლად არ მიყვარს, ახალგაზრდა კაცი რომ მხოლოდ იმაზე ოცნებობს, როგორმე ლამაზი ყულფი გამოინასკვოს... არ მიყვარს და მორჩა!.. გააღებ თუ არა კარებს? გააღე თუ არა, შემოვამტვრიე! — მთელი ხმით შესძახა ბოლოს და ორიოდე წუთის შემდეგ მართლაც ისე ძლიერ მიაწვა კარს, კედელი შეაზანზარა.

უნებლიე სიბრაზით წამონთებულმა ნოდარმა უმალ გააღო კარი და როცა ახარხარებულმა მეგობარმა ხელები მოხვია, თავისეულ უმწეო გამოხდომაზე თავადაც გულთბილი სიცილით უპასუხა.

— ბინის ქირა მინდოდა მომერთმია, მაგრამ ვერ შეგკადრებთ, თანაც, რომ არ გამინებივრდე, ვითარც დაუწესა დიდმა ლიკურგემ სპარტელებს, ისე ჩვენთვისაც სისიტიებს, საჯარო სადილობის წესს, ანუ ზიარად პურის გატეხას ვაწესებ. პროდუქტების პირველი წყება უკვე მოტანილია, გთხოვთ, ჩაიბაროთ! — მაღალფარდოვნად დაასრულა თავისი სიტყვა საურმაგმა.

— რა გაეწყობა, იძულებული ვარ, ეგ წინადადება მივიღო, სანამ ერთ დღეს კარი მართლა არ შემოგიმტვრევია, — მხიარულად შეეპასუხა მადლიერების გრძნობით აღვსილი.

ახლა წამით ის წუთები გაახსენდა და ძალზე მოუნდა იმ საღამოს რაღაც განსაკუთრებული ვახშმით გამასპინძლებოდა მეგობარს.

დედის მიერ გადანახული ათასი მანეთი, რომელიც ბიძიამ გადასცა, ჯერ კიდევ თითქმის ხელუხლებელი ჰქონდა, ამიტომ გასტრონომისკენ თამამად გააბიჯა, თან იმაზე ფიქრობდა, რაც შეიძლება, ხელგაშლილად ევაჭრა.

გასტრონომში სურსათის გარდა, ორი ბოთლი სამარკო ღვინოც იყიდა, არა მხოლოდ საურმაგისთვის, ფიქრობდა, ოდნავ მაინც გათამაშებოდა ბახუსს, რათა ყოველნაირად „სრულყოფილ მამაკაცად“ ეგრძნო თავი.

მშვიდი ამინდი იდგა, ელნათურების სინათლე და ჩამუქებული ბინდი ვნებიანი დღის დასასრულს თითქოსდა უმტკივნეულოდ ნილბავდა.

სანაპირო ქუჩას გრძელი ნაბიჯით მიუყვებოდა. შიგადაშიგ ნავსადგურში აღმართულ ამწეებს გახედავდა, ხიბლავდა მათი სიდიდე, სიმხნევე ემატებოდა, იქითკენ დაუკითხავად მიუწევდა გული, თან ის მამაკაცი მაცთუნებლად ახსენებდა თავს. „თფუ, მგონი ისევ ვუთვალთვალებ, ეგ ჩვევაც რა ჭირად ამეკვიატა, თფუ, დეტექტივობის მანიაღა მაკლდა... ნეტავი საურმაგი ხახლში დამხვდებოდეს“, ღრმად ჩასუნთქვა ინდომა და ასე ეგონა მთელი მკერდი შეავსო ჰაერით.

ორიოდე კვირის წინ იმ მამაკაცს შემთხვევით გადააწყდა. უმალვე შეიცნო და გაეხარდა, მახსოვრობამ რომ იმარჯვა. მამაკაცი ლუდხანის წინ იდგა და კათხით ლუდს სვამდა, თან იქვე მდგომ მამაკაცებს, ჩაცმულობით და იერით უცხოელებს რომ ჩამოჰგავდნენ, მთვრალი კაცის ჟესტიკულაციით რაღაცას უმტკიცებდა. მერე ერთი იმათგანი სიგარეტით გაუმასპინძლდა. მამაკაცმა იქვე მოუკიდა სიგარეტს, კვამლი ხარბად ჩაისუნთქა, უცხოელებს ხელის აწევით გამოემშვიდობა და თავის გზას გაუყვა.

წუთით შეყოვნებულმა ნოდარმა ჯიბეში წიგნაკს შეავლო ხელი, რომლის ერთ ფურცელზე იმ მამაკაცის პორტრეტი ჰგულებოდა დახატული, ქუჩა გადაჭრა და მამაკაცს მორიდებით აედევნა. ალბათ, მასთან გამოცნაურება და თავის შეხსენების მაგვარი რაღაც თუ ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ ასიოდე მეტრი ისე გაიარეს, მიახლოვება ვერ გაბედა. მოულოდნელად წინ მიმავალმა ნახევრად მოწეულ სიგარეტს თავი მოუსრისა და შარვლის უკანა ჯიბეში ჩაიდო, თან ნაბიჯს მოუმატა. მთვრალი კაცის იერი შესამჩნევად ჩამოეცალა. ნოდარი წამით გაირინდა, საიდუმლოებამოცული განწყობით დაიმუხტა და უცნობს მოჭარბებული სიფრთხილით მიჰყვა. ოთხასიოდე მეტრის გავლის შემდეგ მამაკაცი საზღვაო ნავსადგურის შესასვლელში შევიდა, ნოდარი უცებ გამოერკვა, გამასხარავებულივით იგრძნო თავი. თანაც შვებით ამოისუნთქა. „მეც ვიფიქრე... აი, რა იცის უსაქმურობამ, სადღაც თვითმფრინავში შემთხვევით დავხატე და ახლა ინტრიგის ბადეში მინდოდა გამეხვია. აი, რა იცის უსაქმურობამ...“ ასე კი გაიფიქრა, მაგრამ მალული და მცირედი ეჭვი მაინც გამოიყოლა და, მერეც, თუმცა დადარაჯება ეთაკილებოდა, ნავსადგურის მხარის სანაპიროზე სეირნობას მოუხშირა, უცნობთან შეხვედრის იმედს თან ატარებდა. ზოგჯერ თავმოსრესილი, ნახევრად მოწეული სიგარეტი გაუკრთებოდა თვალწინ. ნავსადგურში აღმართულ ელექტროამწეებს ჟინიანად დაუწყებდა თვალთვალს და ის ეჭვი სადღაც, სულის სიღრმეში დაუდევრად დაიწყებდა ფუსფუსს. მაშინ ისიც ეგონა, უცნობი ერთ-ერთი ელექტროამწის ჯიხურიდან უჭვრეტდა და ეს გულუბრყვილოდ ახელებდა.

ახლა თითქოს ამ უხეირო ჩვეულების გადაჩვევის დრო დაუდგა. ნავსადგურისკენ გახედვას ერიდებოდა. „ეს რა მანია ამეკვიატა, ხვავს თავი დავანებოთ, ნავსადგურში უამრავი პროფე-

სიის ხალხია, რა მაინცდამაინც ამწეზე უნდა მუშაობდეს. აი, რა იცის უსაქმურობამ... ჰმ... ნეტავი საურმაგი სახლში დამხვდებოდეს..."

...მაგრამ საურმაგი ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო სამსახურიდან.

„ალბათ, კვლავ ზეგეგმით მუშაობს, გაწვალდა კაცი..." ჩაილაპარაკა სახლის აივანზე ასულმა და უცებ იგრძნო, განმარტოების და რაიმეს დახატვის ჟინი მოეძალა.

სახლში შესულმა მაინც გააწყო სუფრა. ერთხანს საურმაგის მოსვლას ელოდა და იმ ჟინის დათრგუნვას ცდილობდა, მერე საკუთარმა თავმა დაიმარტოხელა და დივანზე მორჩილად მიწვა, რაღაცის გამოსახულება ბუნდოვნად ალიცლიცდა ცნობიერებაში.

ჰერის შეულებავი ფიცრები ბზარებითა და ჩრდილებით მიმოქარგულიყო. ჩვეულებისამებრ, გონებაში მხატვრული სიუჟეტების მონახაზებს გაადევნა თვალი, მერე თეთრად შეღებილი კედლის ნაოჭებს ჩაუღრმავდა და იქ, სადაც ჩრდილი ტეხილ ხაზებად ჩამოღვენთილიყო, იდუმალებით მოცულმა სურათმა იწყო ლაციცი. მომშვილდული მუზა ათრთოლდა და დაიბანგა. ...შტრიხები თანდათან მუქდებოდნენ. სურათი, თითქოსდა უხილავი ფუნჯის წყალობით იკვეთებოდა და მაცდუნებლად ცოცხლდებოდა. გარინდული ფრთხილად წამოდგა, საღებავები თითქმის სურათისთვის თვალმოუცილებლად შეამზადა და ფუნჯმომარჯვებული თეთრ კედელს მოვალესავით მიადგა. დანახულის სხვა ტილოზე გადატანა არც უფიქრია, რადგან მხოლოდ იმ ნაოჭებისა და ჩრდილების ნაზავში შეეძლო აღქმული შტრიხების ამოცნობა.

ხატავდა ერთიანად აღტყინებული და თავმივიწყებული, ლამის სილუეტებში ჩაღვრილ ფერებს შთაენთქა. და როცა დამცხრალმა მუზამ აზროვნებაში თითქოსდა გონგი ჩამოჰკრა, ფრთხილად დაიხია უკან და თავის ნამოქმედარს გაოცებული მიაჩერდა.

კედლის ქათქათა ფონზე ლურჯი, მეწამული და ყვითელი ფერებით ხორცშესხმული სიუჟეტი ერთი შეხედვით უნებლიე უნდობლობას აღძრავდა.

ბოჰემურ სუფრას ორი შიშველი მამაკაცი უჯდა. ახალგაზრდა კაცი ცოდვებისგან განწმენდილს ჰგავდა და თავზე მზის შუქი ელვრებოდა. ხანმიტანებულს ოვალურ სახეზე მზაკვრული ღიმილი დასთამაშებდა. გარშემო კახპები დაჰფოფინებდნენ და მისი მახინჯი სხეულის მიალერსებას ერთურთს ეცილებოდნენ. მამაკაცი კი მაგიდაზე გაშლილ ეტრატზე უხილავი კალმისტრით რაღაცას გულმოდგინედ წერდა და სულაც არ ადარდებდა წინ მჯდომი თანამესუფრე, მარცხენა ხელით აღმართულ პაწია ყანწს რომ დასწაფებოდა, მარჯვენა ხელით გრძელ, საძაგლად აჭრელებულ ენაში მარჯვედ ჩაჰფრენოდა და, ღმერთმა უწყის, რას უპირებდა, იმ ენის ამოგლეჯას თუ ბოროტი აზრისას. არც ახალგაზრდა კაცი გახლდათ აღშფოთებული, თუმცა მაგიდის იქითა მხარეს მდგომი ეშმაკი ხის ვებერთელა ჩანგალზე წამოგებულ პაწია კუბოს მოწიწებით უწვდიდა, იმდენად მოწიწებით, მარცხენა ხელი მკერდზეც კი მიედო.

„სიკვდილის სიცოცხლეს თუ დასწაფებია... ჰმ, ნაადრევად დავბრძენდი, თანაც უხეიროდ".

მოულოდნელად შეცბა. ასე ეგონა, მის არსებაში, თავისთავის გარდა, უამრავი, სხვა სიცოცხლე ცხოვრობდა და ყოველი მათგანი თავის ჯერს ელოდა იმ სიკვდილის სიცოცხლის გასაგრძელებლად.

ეზოდან ჭიშკრის გაღების ხმა მოისმა.

„საურმაგი..." რატომღაც დაიმორცხვა, სწრაფად გაამწკრივა სკამები კედელთან, რათა ნახატი ოდნავ მაინც დაეფარა. მერე საღებავები და ფუნჯი მეორე ოთახში გაიტანა და ხელების დასაბანად გასწია.

მალე აივანზე ვიღაცამ მძიმედ ამოაბიჯა და კარზე მუშტი ზედიზედ დაჰკრა.

უმალ მიხვდა, მოსული საურმაგი რომ არ იყო, საურმაგი მშვიდად შეეცდებოდა კარის გაღებას. ნაჩქარევად იწყო ხელების შემშრალება და პირსახოცი საღებავებით აჭრელა.

— ნოდარ, გამიღე, ჰა! — ამპარტავნულად მოითხოვა ვიღაცამ.

ნოდარს არაფერი უთქვამს, ისე მიაშურა კარს, მაგრამ მოსულმა კარი თავად გააღო.

— გამარჯობა, ძველო! — შესძახა რაღაცით გახარებულმა. ოთახში თამამად შეაბიჯა, მასპინძელს მოეხვია, ზერელედ აკოცა და უსაყვედურა: — მთლად დაგვეკარგე, ვერც ხანაპიროზე გადაგაწყდება კაცი და ვერც ბაღში.

გაგრძელება იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ძველეგვიპტური „მკვდართა წიგნიდან"

ძველეგვიპტური „მკვდართა წიგნი" დაახლოებით 5 ათასი წლის წინათ შეიქმნა. იგი შემოგვინახა XVIII დინასტიის დროინდელმა პაპირუსებმა (დაახლ. 1500-1400 წ. ქრისტემდე). ანის პაპირუსი, რომელიც დაცულია „ბრიტიშ მუზეუმში" შეიცავს ერთერთ ყველაზე ავტორიტეტულ ტექსტს მკვდართა წიგნის თებესეული ვერსიისას. იეროგლიფური ტექსტი გვაძლევს რიტმულ მეტყველებას, რომელსაც ევროპელი მთარგმნელები თავისუფალი ლექსით თარგმნიან. ჩვენც ავირჩიეთ თავისუფალი ლექსი, რომელიც მიახლოებულია ძველ ქართულ „წყობილ სიტყვასთან". ვინიეტების აღწერა გადმოვიღეთ პროზით. (იეროგლიფური ენის ტრანსლიტერაცია გვაძლევს საინტერესო დამთხვევებს ქართულ სიტყვებთან და როგორც ჩანს უკავშირდება ზოგი მათგანის ეტიმოლოგიას, რასაც შენიშვნებში მივუთითებთ).

## დაფა I

ვინიეტი: წერა-მწერალი ანი[1] ხელაპყრობილი დგას საზორველ ტაბლასთან. მსხვერპლად იწირება პური, ხორცი და კვერი, სამწდეურებით ღვინო და ზეთი, ხილი, ლოტოსი და სხვა ყვავილნი. ყელსაბამიანი ანი შემოსილია თეთრი და ზაფრანისფერი აბრეშუმით. თავზე პარიკი ადგას, სამაჯურებითა და საწვივეებით შემკულს. უკან უდგას მეუღლე, „ოზირისი", დიასახლისი, ამენის[2] დასთა დედოფალი თუთუ,[3] მსგავსადვე შემოსილი. მარჯვენაში მას უპყრია კვერთხი და ვაზის რტო, ხოლო მარცხენაში მენატ, (თასმიანი დისკო).

**ტექსტი:** თაყვანისცემა და შესხმა რაასი, ოდეს იგი
ამოეჯხდების აღმოსავლეთის თვალსაწიერზე.

უჰვრიტე ოზირის ანის, აღმწერელსა საღმთოთა მსხვერპლთა!
რომელი იტყვის: გიხაროდენ ღმერთთა მშობელო,
ხეპერას[4] დარად როს აღმოჰხდები და განანათლებ ნუტს,[5]
დედას შენსას
გვირგვინოსანო მეუფეო ღმერთთა ყოველთა!
მოგესალმება ნუტ დედა შენი, მკლავებგაშლილი,
მანუს[6] ქვეყანა შეგიტკბობს და ღმერთქალი მაატ[7]
ჩაგეკონება ნახევარის წლით.

---

1 ანი — მთვარის ღმერთი

2 ამენი — „დაფარული ღმერთი"

3 თუთუ — ანის მეუღლე, მთვარის ქალღმერთი (შდ. ლაზურ-მეგრული „თუთა" — მთვარე).

4 ხეპერა — შუაღამის მზის, ტმუს ფაზა, თვითქმნილი ღმერთი, მამა ყოველთა ღმერთთა.

5 ნუტ — ღმერთი, რომელიც განასახიერებს ცას, სების, მიწის ღმერთის ცოლი.

6 მთები ნილოსის დასავლეთ ნაპირზე, თებეს საპირისპიროდ.

7 მაატ — „მზის ასული, ღმერთთა დედოფალი" — სამართლიანობის, ჭეშმარიტების პერსონიფიკაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეე, მან მოგმადლოს ძალმოსილება, ნათელი, ძლევა,
აღდგომა და განახლება სულისა შენის,
რათა იხილო ჰორუს, ორთავ თვალსაწიერით[1]
კა[2] ოზირისის, წერა-მწერლის, ანის დიდება,
რომელი იტყვის: „დიდება თქვენდა, ჰოი ღმერთნო სულის ტაძრისა,
ოდეს აღწონით ცასა და მყარს თქვენის საწონით
აღმოაცენებთ საზრდელსა და ხორცის სიუხვეს.
დიდება შენდა, ტატუნენ[3] ერთო, შემოქმედო კაცთა ყოველთა
ბღვარ-ბორრაისის, აღმოსავლის და დასავლის ღმერთთა!
აღწერეთ ხოტბა ღვთისა, რაასი, ცათა უფლისა, მეუფისა,
ცხოვრებისა და სიმრთელისა, მადლისა და ძალმოსილების,
თაყვანს სცემდეთ დიდმშვენიერსა, ოდეს იგი აღმოჰხდების
ათეტის[4] ნავში,
ზესკნელისა და ქვესკნელის მკვიდრნი შენ გადიდებენ.
თოტი[5] და მაატ აღავლენენ შენდამი ხოტბას
მტერი შენი სახმილს მიეცა, დაემხო დრკუ და ქვეგამხედვარი,
მკლავებგათოკილს წარსტაცეს ფერხნი,
ძენი უმწეო ამბოხისა ვერ აღდგებიან,
საუფლო სახლი ზატიკობს კვლავ, შვების ჰანგები აღვსებენ
დიად სავანეს,
იშვებენ ღმერთნი, ოდეს სჭვრეტენ რაას აღმომხდარსა,
სხივნი მისნი აპკურებენ სამყაროს ნათლით,
ამაზრზენია სიდიადე ღვთაებისა, მანუს ქვეყანას ეწვევა ოდეს,
ყოველ ცისმარე შობით თვისით განაბრწყინებს იგი ცისქვეშეთს,
და უბრუნდება კვლავ კონცხსა მას, სად წინადღით დაივანებდა.
გევედრები, ურისხველი იყავ ჩემდამი, რათა ძალმედვას ჭვრეტა
შენის სახიერების,
რათა ძალმედვას ქვეყნად რბოლა, ვირის განგმირვა, თრგუნვა ბოროტის,
რათა ძალმედვას ჟამიერად აპეპის[6] მოკვლა.
თვალით ვიხილო აბტუ[7] თევზი დაბადების ჟამს,
და თევზი ანტი,[8] ოდეს იგი აღმოცენდება,
ვიხილო ანტი ტბასა შინა ნავით მავალი.
ჰორუს[9] მესაჭე ვიხილო თვალით, თოტი და მაატ დავლანდო მის
ორთავე მხარეს,
ვიხილო სექტეტ-ნავის ქიმი, ვიხილო კიჩო ათეტ-ნავისა,
დეე, მისი მადლით ოზირის ანის კაა უჭვრეტდეს

---

1 აღმოსავლის და დასავლის თვალსაწიერი.

2 კა — სხეულის ხატი, ფორმადმქმნელი ენტელექია.

3 ტატუნენ, ანუ ტენენ, სების მსგავსად, მიწის ღვთაება.

4 ათეტი — საღამოს მზე.

5 თოტი — პერსონიფიკაცია გონებისა, თვითმცენი და თვითარსი, „რაას გული", დამწერლობის გამომგონებელი, მეცნიერების, ხელოვნების დამწყები, უებრო ასტრონომი და მათემატიკოსი, „კანონის მეუფე".

6 აპეპი — გველი, სიბნელის პერსონიფიკაცია, რომელსაც ამარცხებს ამომავალი მზე — ჰორუსი.

7-8 აბტუ და ანტი თევზები დახატულია ზანდუკებზე, რომლებიც აწყვია ამომავალი მზის ნავში.

9 ჰორუს — ძე იზისისა და ოზირისისა, ამომავალი მზის პერსონიფიკაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განუწყვეტლივ დისკოს მზისას, მთვარის ღვთაებას ყოველცისმარე,
დეე, სულმან ჩემმან შეიძლოს რბოლა ყოველ მხარეს, წადილისამებრ,
მოიხსენონ სახელი ჩემი სამსხვერპლო დაფაზე,
დეე შეევსწროს ჩემდა მომართ მსხვერპლისა ზორვას,
ჰორუსის უშქარ მხლებელთა თანა,
დეე, მზის ნავში შემიმზადონ საყდარი იმ დღეს,
ოდეს გამოვალს ღმერთი გარე –
დეე, მიმიღოს ოზირისმა დიდების თვისის სასუფეველში!

## დაფა II

ვინეტი: ანკიდან[1] ამოზრდილ ზეაპყრობილ ხელებს უჭირავს დისკო მზისა, ანკი დგას ტეტზე (შანდალზე), რომელიც არის ემბლემა აღმოსავლეთისა და ოზირისისა. ტეტი ჰორიზონტზე დგას. დისკოს ოთხივე მხარეს ძაღლისთავიანი მაიმუნები, განთიადის სულები, დამხობილნი და ხელაპყრობილნი თაყვანს სცემენ დისკოს. ტეტის მარჯვნივ — ქალღმერთი ნეფთიდა, მარცხნივ ქალღმერთი იზიდა. ორივენი ხელაპყრობილნი თაყვანს სცემენ ტეტს და იჩოქებენ ატის (სხივოსანი ნახევარსფეროს) ემბლემის წინაშე. ზემოთ — ცის ნიშანი. ეს ვინეტი ეკუთვნის უშუალოდ ამომავალი მზის ჰიმნს.

ტექსტი (ჰიმნი ოზირისისადმი):

დიდება ოზირისს, უნ-ნეფერს, აბიდოსის დიად ღვთაებას,
მარადჟამობის მეუფეს, უფალს დაუსაბამობისას,
ბევრეულთა წელთა განმლეველს თვისის არსობით.
უხუცეს ძესა, ნუტის წიაღით გამოსრულსა,
სებისა და ერპატის შობილს, ბღვარისა და
ბორრაისის გვირგვინთ მეუფეს, საზეო
თეთრი გვირგვინით შემკულს,
ღმერთთა და კაცთა მეუფემან თვისთა ღვთიურ წინაპართაგან[2]
მიიღო სკიპტრა, კაუჭი და საჩრდილობელი,
იხარებდეს გული შენი ამენტის[3] მთებში.
ძე შენი ჰორუს დამკვიდრებულ არს საყდარსა ზედა შენსა.
გვირგვინოსანი მეუფე ხარ ტატუსი[4] და განაგებ აბტუს,[5]
ძლევამოსილი მწვანეს მოჰმადლებ ქვეყნიერებას,
ნებ-ერ-ჩერი[6] ხარ ხელმწიფებით,
იგი მიუძღვის ყოველივეს, რაც არსებობს და არ არსებობს
სახელი მისი არის ამ დროს: ტა-ჰერ-სეთა-ნეფ,[7]
ძლევამოსილი ვალს იგი ქვეყნად სახელით სეკერ,
მარად და მარად არსობს იგი სახელით უნ-ნეფერ.[8]

---

[1] ანკი — ეგვიპტური ჯვარი, სიცოცხლის ნიშანი.
[2] ოზირისი, ღამის მზე, იყო ძე რაასი, მამა და ძე ჰორუსისა.
[3] ამენტი — ქვესკნელის საუფლო.
[4] ტატტუ — ორი ქალაქის სახელი ქვემო ეგვიპტეში.
[5] ოზირისის დაფლვის ადგილი.
[6] ნებ-ერ-ჩერი — მარადჟამობის უფალი.
[7] ქვეყნის წამყვანი.
[8] უნ-ნეფერ — „კეთილი არსი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდება შენდა ხელმწიფეო ხელმწიფეთაო, უფალთ უფალო,
მთავართ მთავარო,
რომელი ჰფლობ ყოველსა სოფელს ნუტის წიაღით, განაგებ
ქვეყნებს და აკერტსა,[1] დიდება შენდა,
სხეული შენი ოქროა შუმი, ზურმუხტოვანი ნათლით
ბრწყინავ და თავს გადგას შარავანდედი.
ბევრეული წლის ანი ხარ და ძალოვანი ტანი შენი
მეუფებს ყოველთა ზედა.
პირმშვენიერი ნათობ ტა-სერთში[2]
მოჰმადლე კას ოზირისის, მწერალ ანისას, სიდიადე
ზეციური, მიწაზე და ნეტერ ხერეტში[3]
რათა ცურვით შთავიდე ტატტუდ და ცოცხალ სულად დავივანო
აბტუს ქვეყნად, ვითარცა ბ ე ნ უ მ (ფენიქსმა),
შთავიდე და გამოვიდე თავისუფლად ტუატის სახლში.
მერგოს პური გრილი სავანის, ანუს მსხვერპლი და ხვავრიელი
სანახები სეხეტ-არუსი[4] სამარადჟამოდ.

## დაფა III

ვ ი ნ ე ე ტ ტ ი: მიცვალებულის გულის აწონვის სცენა. ანი და მისი მეუღლე (თუთუ) შედიან ორმაგი კანონის ანუ ჭეშმარიტების დარბაზში, სადაც გული, სინდისის ემბლემა, სასწორზე აიწონება ფრთით (კანონის ემბლემით). ზემოთ — თორმეტი სკიპტროსანი ღმერთი, აღსაყდრებულნი საზორველის წინაშე, რომელზეც აწყვია სამსხვერპლო ხილი, ყვავილები და ა. შ. ღმერთების სახელებია: ჰარმარის, „დიდი ღმერთი ნავში მჯდომი“; ტმუ; შუ, ტეფნუტ, ანუ „ზეციური ასული“; სებ; ნუტ, „ზეციური ასული“; იზის, ნეფტის, ჰორუს, „დიდი ღმერთი“, ჰათორ, „ამენტას ასული“; ჰუ და რა. სასწორის უღელზე ზის ძაღლისთავიანი მაიმუნი, რომელიც თოტს[5] განასახიერებს, ღმერთების მწერალს. ტურის თავიანი ღმერთი ანუბისი ამოწმებს სასწორის ისარს, რომლის საკიდ კაუჭს ფრთის ფორმა აქვს. ანუბისის თავზე ასეთი წარწერაა: „საფლავის მკვიდრი გევედრება, სიმართლის აღმწონო, კეთილად გამართე სასწორი“. სასწორის მარცხნივ, ანუბისის პირისპირ, დგას ანის „ბედი“ ანუ „წერა“, შაი, ზემოთ მოსჩანს საგანი, რომელსაც უწოდებს მ ე ს ხ ე ნ ს (წყრთის საზომი ადამიანის თავით), რაც განასახიერებს დაბადების ადგილს. მის უკან დგანან ქალღმერთები: მესხენეთი[6] და რენენეთი.[7] მესხენეთი განაგებს სამშობიარო ოთახს, რენენეთი კი როგორც სჩანს, მეთვალყურეობს ბავშვის აღზრდას. მესხენეთის უკან ანის სულს განასახიერებს ქანდარაზე მჯდომი კაცისთავიანი ფრინველი. სასწორის მარჯვენა მხარეს ანუბისს უკან უდგას თოტი, ღმერთების მწერალი, ხოლო თოტის ზურგსუკან დგას მდედრობითი ურჩხული ამამი, ანუ „შთამნთქმელი“ (იგივე ამ-მიტი, ანუ „მკვდართა შთამნთქმელი“).

---

[1] აკერტი — ნეკროპოლისი

[2-3] ტა-სერთი, ნეტეხ-ხერეტი — ქვესკნელის სახელწოდებანი.

[4] სეხეტ-არუ — სამოთხე, დაახლოებით ბერძნების ელიზიუმი.

[5] თოტი იწოდება აგრეთვე „სასწორის მეუფედ“, ანუ „ხემენუს მართლმწონ მეუფედ“.

[6] მესხენეთი — მშობიარობის ქალღმერთი.

[7] რენენეთი — როგორც ვარაუდობენ, დაკავშირებულია სიტყვა „რენენ“-თან, რაც ნიშნავს ძუძუს წოვას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტექსტი: ოზირის, წერა-მწერალი ანი იტყვის:
გული ჩემი დედაა ჩემი, გული ჩემი დედაა ჩემი,
გული ჩემი ყოფად მოვლინებაა ჩემი!
ნუ აღმიდგებით წინ სამსჯავროზე
ნუ აღმიდგები წინ ჰოი, ჩაჩავ[1]
არ განმეშორო, ოდეს წარვსდგები საწონთა მეუფის წინაშე!
შენ ხარ კა ჩემი,
შენ აყალიბებ და განამტკიცებ კიდურებს ჩემსას,
გამომეცხადე, ოდეს მივალ სასუფეველში,
რათა შენიტმა[2] არ შებღალოს სახელი ჩემი,
არვინ იზრახოს ჩემზე ძვირი, ღვთის წინაშე ოდეს წარვსდგები,
მეისმინე ვედრება ჩემი...[3]
თოტი, მსაჯული ჭეშმარიტი ოზირისის წინაშემდგომ ღმერთთა დიდის განზრახვისა,
იტყვის: „ისმინეთ განსჯა ჩემი.
გული ოზირისის აღიწონა ჭეშმარიტებით, სული მისი მოწმეა ამის.
ჭეშმარიტად სცნო გული ესე დიდის საწონის ღმერთთა სამსჯავრომ,
ვერ ჰპოვა მასში გულარძნილება,
იგი აროდეს აჩანაგებდა ტაძრად საზორველს,
არავის ვნებდა საქმე მისი,
დედამიწაზე არვის სმენია ძვირი სიტყვა მისი ბაგიდან,
ღმერთთა დიადი საკრებულო მიუგებს თოტს, ხემენუს[4] მკვიდრსა:
„ის რაც იზრახა პირმან შენმან, არს ჯერჩინება განმართლებისა
ოზირისი, მწერალი ანი წმინდა არს და გულმართალი
და არ მიუძღვის ჩვენს წინაშე რაიმე ბრალი.
დე, ნუ შთანთქავს მას ურჩხული ამამეტ, ნურც დასთრგუნავს მას,
ხორცის საზორველს ნუ მოაკლებთ, ოზირისის მადლს,
სეხეთ-ჰეპეტუს სანახებში დაივანებდეს
ჰორუსის თანმხლებ ღმერთთა შორის სამარადჟამოდ.

## დაფა IV

ვინეტი: განმართლებული ანი მიჰყავთ ოზირისთან. მარცხნივ — ქორისთავიან ღმერთს ჰორუსს, ძეს იზისისას, ორმაგ გვირგვინოსანს (ჩრდილოეთისა და სამხრეთის ემბლემა), ანი ხელჩაკიდებით მიჰყავს აღსაყდრებულ „ოზირისისთან, მარადჟამობის მეუფესთან“, აუზარ ნებ თეტ-ტა-სთან. ოზირისის ტახტი დგას აკლდამის ფორმის საკურთხეველში. ღმერთს ახურავს ატეფი (ფრთოსანი გვირგვინი), კისერზე შებმული მენატი[5] ზურგზე ჰკიდია. ხელთ უპყრია კაუჭი, სკიპტრა და ჯაჭვი, მეუფების ნიშნები. იგი გახვეულია მოხატულ ქსოვილში. ტახტის ცალ მხარეზე აკლდამის კარებია გამოსახული. მას უკან უდგანან მარჯვნიდან ნეფტისი და მარცხნიდან იზისი. მის წინაშე ლოტოსის ყვავილებზე დგანან ჰორუსის (ანუ ოზირისის) ოთხი ძე, ანუ ოთხი მხრის ღმერთები. პირველს, მესთას, ადამიანის თავი აქვს; მეორეს, ჰაპის, მაი-

---

1 ჩაჩა — ოთხივე მხრის ღმერთები: მესთა, ჰაპი, ტუამაუტეფ და ქეფსენუფ.
2 შენიტი — ღვთიურ არსებათა სახეობა.
3 ეს წინადადება გაწყვეტილია შუაზე.
4 ხემენუ — რვა კოსმიური ღმერთის ქალაქი.
5 მენატი-თასმიანი დისკო, საყელოს გაგრძელება, ბედნიერების ტალისმანი.

ეროვნული

მუნის თავი: მესამეს, ტუამაუტეფს, ტურის თავი: მეოთხეს ქებსენუფს, ჭოროსის თავი. ლოტოსის მახლობლად ჰკიდია ვეფხის ტყავი.

საკურთხევლის ხუფი სვეტებს ეყრდნობა, ლოტოსის ლავგარდანებით დამშვენებულთა. მას აგვირგვინებს ჰორუს სეპტის, ანუ ჰორუს-სეკერის ფიგურა, აგრეთვე ურეების[1] რიგები.

საკურთხევლის შუაგულში ანი იჩოქებს ღმერთის წინაშე ლერწმის საფენზე, მარჯვენა ხელი აღუპყრია თაყვანების ნიშნად, ხოლო მარცხენაში უჭირავს ხ ე რ პ ი — სკიპტრა. თავზე ადგას გათეთრებული კონუსისდარი პარიკი (გაურკვეველი მნიშვნელობისა). მისი ძაბრისებრი საყელო პატიოსანი თვლებითაა მოოჭვილი. გვერდით უდგას მაგიდა, რომელზეც აწყვია სამსხვერპლო ხორცი, ხილი, ყვავილები და ა. შ. ზედა თაროებზე ღვინის, ლუდის, ზეთის, თაფლის სამწდეურნი ჩამწკრივებულან, იქვეა პური, კვერი, მიტკალი, ყვავილწნულები და სათითაოდ დაწყობილი ყვავილები.

**ტექსტი:** იტყვის ჰორუს, ძე იზისიაა: „მოველ შენთან ჰოი უნ-ნეფერ,
და მოგგვარე ოზირის ანი.
გულმართალი აღმოჩნდა იგი საწონსა ზედა,
არც ღმერთის, არც ქალღმერთის მიმართ არ მიუძღვის რაიმე ბრალი.
თოტმა აღწონა იგი იმგვარად, ვით ამცნო მას ღმერთების დიდმა
განზრახვამ ჭეშმარიტებით,
აჰა, იტყვის ოზირის ანი: „მეუფეო ამენტისაო,
შენს წინაშე ვარ უცოდველი,
არა ვყოფილვარ გულარძნილი,
შეგნებით სიცრუე არ მიზრახავს მე არასოდეს
მომმადლე წყალობა, რათა ვემსგავსო სათნოყოფილთა
წინაშემდგომთა შენთა,
რათა ვიქცე ოზირისად, სათნოდ სამყაროს მეუფისა,
ჭეშმარიტ მწერლად სამეუფოდ,
ანი, მეტრფე ოზირისისა, ძლევამოსილი.

## დაფა V და VI

**ვინიეტი:** სამგლოვიარო პროცესსია აკლდამისკენ მიემართება და გრძელდება ორ დაფაზე. მეხუთე დაფის შუაგული: მიცვალებულის მუმია ასვენია ზანდუკებზე თუ საკურთხეველზე, რომელიც საგორავებიან ნავზე შეუდგამთ. ნავში ხარებია შებმული. მუმიის თავთით და ფერხთით, ნეფტისისა და ოზირისის ორი პატარა მოდელია. იქვე დაჩოქილა ანის მეუღლე თუთუ, შეცხადებული. ნავს მიუძღვის ვეფხისტყაოსანი ქურუმი ს ე მ ი, რომელიც აკმევს საკმეველს და თასით ღვრის ზედაშეს. მას მოსდევს რვა მოტირალი, ერთი მათგანი ჰაღარაა. ბოლოში მოსჩანს აკლდამის თაღი, თუ ზანდუკი, რომელზეც ზის ანუბისის ფიგურა. თაღზე ამოკვეთილია „დაცვისა“ და „სიმყარის“ ემბლემების ორნამენტები. ზანდუკი მიაქვს მარხილს, რომელსაც მიჰყვება ოთხი მხლებელი. ოთხს მოსდევს ორი. აქეთ-იქიდან სხვა მხლებლებს მოაქვთ ანის სადგარი, ყუთები, სკამი, ტახტი, კვერთხი და ა. შ.

მეექვსე დაფაზე პროცესსია აკლდამას მიადგება. ცენტრში — მოტირალი ქალების ჯგუფი, რომელთაც მოსდევენ მხლებლები. მათ მოაქვთ ყვავილებით სავსე ყუთები უღელზე შედგმულნი, სანელსაცხებლე ლარნაკები და ა. შ. მარ-

[2] ურე — მზის ფრთოსანი დისკო. ფრთა — მაატის. თატის მეუღლის სიმბოლო.

ჯვნივ — ძროხა და მისი ხბო, ყვავილებით შემკული სკამები, უცხოდ მოხატულნი, თავგადაპარსულ მხლებელს მოაქვს ახლადდაკლული ძროხის ბარკალი ქელეხისათვის. მარცხენა მხარეს სხვა ჯგუფი უკანასკნელ რიტუალებს ასრულებს. აკლდამის კართან ფეხზე დგას ანის მუმია, რომელსაც უნდა მიაგონ უკანასკნელი პატივი. მისთვის ხელი გადაუხვევია ანუბისს, აკლდამის ღმერთს. მუმიის წინაშე დაჩოქილი თუთუ ეთხოვება მეუღლის ნეშთს. საზორველთან დგას ორი ქურუმი: ერთი მათგანია სემი, ვეფხისტყაოსანი, მარჯვენა ხელში საზედაშე სამწდეურით, მარცხენაში — სასაკმევლეთი; მეორე ქურუმს მარჯვენაში უპყრია ხელსაწყო, რომლითაც ეხებიან მუმიის ბაგეებსა და თვალებს, მარცხენაში კი „პირის გასაღები“ ხელსაწყო. იქვე იატაკზე გამწკრივებულან „პირის გასაღები“ სხვა ხელსაწყოები, ხელსაწყო მესხეთი,[1] აკლდამის ყუთი, განწმენდის ყუთები, სახვევი, საზედაშე თასები, სირაქლემას ფრთა, ხელსაწყოები: სებური, ტემანუ, ანუ ტენტეტი და ფეშ-ენ-ქეფ. უკან მდგომი ქურუმი ხერ-ჰები კითხულობს მიცვალებულის საკითხავს პაპირუსიდან.

ტექსტი: აქა დასაწყისი პერ-ემ-ჰრუსი, დღის წიაღიდან
აღმოცენებისა, აზმათა და დიდებათა, დიდებული
ნეტერ-ხერეტიდან და მშვენიერი ამენტადან
აღმოსვლისა და კვლავ მუნ შთასვლისა.
წარმოითქვას დაფლვის დღეს: შთასლვა აღმოსვლის შემდგომ

ოზირის ანი, ოზირისი, მწერალი ანი იტყვის:
„დიდება შენდა, ამენტის კუროვ,
ჩემთან არს თოტი, დიდი მეუფე მარადჟამობის.
ვარ დიდი ღმერთი მზის ნავში მჯდომი,
ვიწუურთიდ შენთვის.
ღმერთთაგანი ვარ, წმიდა მთავართა დასთაგანი[2]
რომელნი ექმნენ მწედ ოზირისს, ჟამსა მას სიტყვათ აღწონვისსა,
ოდეს სძლო მან მტერთა თვისთა
მოაჯე ვარ შენი, ოზირის,
ნუტის ნაშობ ღმერთთაგანი ვარ, რომელთ აღხოცეს
ოზირისის მტერნი ყოველნი,
და საკრეველით წარმოსატყვევნეს ეშმა სებაუ.
მოაჯე ვარ შენი, ო, ჰორუს,
ვიწუურთიდ შენთვის, უკუვაქციე მტერნი შენნი,
სახელისა შენისათვის.
მე ვარ თოტი, რომელმან მივმადლე ძლევა ოზირისს,
დღესა მას სიტყვით აღწონვისსა
ანუს მკვიდრის, ყოვლად ძლიერი მოხუცის სახლში[3]
თეტეტი ვარ, ძე თეტეტისა; თატუს ჩავისახე, თატუს ვიშევ.
დღეს შეცხადებულთ შორისა ვარ, მწარედ რომ ჰგოდებენ
ოზირისის ხვედრს რეხტეტის ორმაგ ქვეყანაში,
მე მივეც ძლევა მტერთა ზედა ოზირის ანის,
რაამ უბრძანა თოტს მოემადლა ოზირისისთვის დათრგუნვა მტერთა,
მე აღვასრულე ჯერჩინება,

---

[1] უცნაური დამთხვევა საქართველოს კუთხე მესხეთთან. იგივე ფუძისაა ქალღმერთ მესხენეთის სახელი (მთარგმ. შენ.).

[2] იგულისხმება ოთხი მხრის ღმერთები.

[3] რაას ტაძრის სახელი ჰელიოპოლისში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვარ ჰორუსთან, დღესა თეშთეშის[1] შემოსვისა,
გულით უძრავი ღმერთის განმწმენდ წყლის ავზთა განხმისას,
რე-სტაუს დაფარულ საუნჯეთა კარის შეფქვისას,
მე ვარ ჰორუსთან, რომელიც იცავს მარჯვენა მხარეს
ოზირისისას სეხემ-ქალაქში.[2]
მე საღვთო ცეცხლში შთავინთქმი და კვლავ აღმოვალ დღესა
მას ეშმათ წარწყმედისა სეხემ ქალაქში,
მე ვარ ჰორუსთან ოზირისის დღესასწაულზე,
მეექვსე დღეზე მსხვერპლს შევწირავ ტენატის ჟამსა,
დიდი ანუს დღესასწაულზე.[3]
ტატუს მოგვი ვარ, რერე[4] ვარ ტაძრად ოზირისისა,
დღესა მას ქვეყნის წარხდომისა
დაფარულსა ვჭვრეტ რე-სტაუში,
ვკითხულობ წიგნს ტატუს სულის დღესასწაულზე.
სემ[5] ქურუმი ვარ, აღვასრულებ მსახურებას,
დიდი მეუფე დიდთა საქმეთა, ოდეს სდგამენ
ჰენუს ნავს მარხილზე, სეკერის დიდ დღესასწაულზე,
სუტენ-ჰენენში[6] მიწას ვთხრი ნიჩბით,
ჰოი თქვენ, რომელნი სრულჰყოფთ სულთა ოზირისის სასუფევლისთვის
მწედ ექმენით სრულყოფილ სულსა ოზირისისას,
ანი მწერლისას, მძლევარისას,
რათა დამკვიდრდეს ოზირისის სავანეში.
ისმენდეს თქვენებრ, ხედვიდეს თქვენებრ,
სდგეს თქვენებრ და სჯდეს თქვენებრ!
ჰოი, რომელნი აწვდით იფქლსა და ლუდს
სრულყოფილ სულებს ოზირისის სასუფეველში,
იფქლსა და ლუდს ნუ მოაკლებთ ორი ჟამით ოზირის ანის სულს.
ძლევამოსილს აბტუს ყოველთა ღმერთთა წინაშე,
ძლევამოსილს შორის თქვენსა.
ჰოი თქვენ, სრულყოფილ სულთათვის გზათა
განმხმელნო ოზირისის სასუფეველში,
განახვენნით გზანი, მოვალს სული ოზირისისა,
საღვთო მსხვერპლთა აღმწერლისა, სარანგისა, ანის მძლევრისა,
და, აღვიდეს იგი გულდაგულ ოზირისის სასუფევლად და კვლავ
დასტოვოს იგი მშვიდობით.
ნუ უკუაგდებთ, ნუ გააბრუნებთ, აღვიდეს მუნ ნეტარებითა,
დასტოვოს იგი ნებსით თვისით, ანი მძლევარმან.
ნება მისი აღსრულდებოდეს ოზირისის სასუფეველში
ვლიდეს მუნ და თქვენთან უბნობდეს განათლებული სული მისი.
სრულ არს იგი და საწონის სამსჯავროზე განმართლებული.

---

[1] თეშთეში — ოზირისის სახელი.

[2] სეხემ-ქალაქი-ხნეს მეტროპოლისი ქვედა ეგვიპტეში, ბერძ. ლეტიპოლისი.

[3] ოზირისს ეწოდება „მეექვსე დღის დღესასწაულის მეუფე“. ხოლო ტენატი თვის მეშვიდე დღის დღესასწაულია.

[4] რერე — იეროგლიფის მნიშვნელობა გაურკვეველია, გავს მწოლარე ვეფხს.

[5] სემ ანუ სეტემ, ფთას ქურუმი მემფისში.

[6] ბერძ. ჰერაკლეპოლისი.

თარგმნა ზვიად გამსახურდიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა



გასტონ ბუაჩიძე

# ტიციან ტაბიძე და ლოტრეამონი

I

შორეულ მონტევიდეოში 1969 წლის გაზაფხულზე სამი ფრანგი პოეტის ქანდაკება აღიმართა: ლოტრეამონის, ლაფორგისა და სიუპერვიელის. სამივემ სხვადასხვა დროს აქ, ურუგვაის დედაქალაქში იხილა დღის სინათლე.

სამიდან ერთის — ლოტრეამონის — სახის ნაკვთები უცნობია, მაგრამ მხატვართა ფანტაზიას ეს როდი ბორკავს: „პარანოია-კრიტიკის მეთოდით" სალვადორ დალიმ ცხრამეტი წლის პოეტი წარმოგვიდგინა.

„გრაფ დე ლოტრეამონი" ეჟენ სიუს ერთ-ერთი რომანიდან ნასესხები, ოდნავ გადასხვაფერებული ფსევდონიმია. პოეტის ნამდვილი სახელია ისიდორ-ლიუსიენ დიუკას (მონტევიდეო, 1846 — პარიზი, 1870).

ოცდაოთხი წელი იცოცხლა ლოტრეამონმა და მოწაფეობის ასაკიდან ახლად გამოსულმა, ფრანგული პოეზიის ვინძლო ყველაზე პირქუში წიგნი — „მალდორორის სიმღერები" შექმნა.

1869 წლის ზაფხულში „მალდორორის სიმღერები" ბელგიელ გამომცემელ ალბერ ლაკრუას ავტორის ხარჯით, ხელნაწერის წაუკითხავად აუწყვია. ოციოდე ეგზემპლარი ავტორს გაეგზავნა. ოღონდ წიგნის წაკითხვისას ლაკრუას თმა ყალყზე დაუდგებოდა: „ცხოვრება მეტისმეტად მუქ ფერებში წარმოდგენილი მოეჩვენა და გენერალური პროკურორის აჩრდილიც მოელანდა", წერს ერთ-ერთ თავის პირად ბარათში ი. დიუკასი. მაშინ ხომ ყველას კარგად ახსოვდა ბოდლერის „ბოროტების ყვავილებისა" და ფლობერის „მადამ ბოვარის" გამო ტარტიუფების მიერ გამართული სასკანდალო სასამართლო პროცესები.

„მალდორორის სიმღერების" გავრცელებაზე ა. ლაკრუამ უარი თქვა. ავტორმა პირობის შესრულება მოსთხოვა. ბოლოს კომპრომისულ შეთანხმებას მიაღწიეს: წიგნი ავტორის სახელით გაიყიდებოდა მხოლოდ ბელგიასა და შვეიცარიაში. და მაინც გამომცემელი ფეხს ითრევდა: მაღაზიის თარომდე ამ თხზულების მიღწევა ლოტრეამონს თავის სიცოცხლეში არ ღირსებია.

პოეტი განაგრძობს მუშაობას. პირად წერილებში იგი აცხადებს, რომ უარჰყო თავისი წარსული, „სრულიად შეცვალა მეთოდი, რათა ამიერიდან უმღეროს მარტოოდენ იმედს, მშვიდობას, ბედნიერებას, მოვალეობას". ყოველივე ამის შედეგია „ლექსების" პირველი და მეორე მონაკვეთი, რომლებიც პარიზში დაიბეჭდა 1870 წლის აპრილსა და ივნისში. ძველ „მეთოდთან" ერთად, პოეტმა „გრაფ დე ლოტრეამონის" ფსევდონიმზეც აიღო ხელი და ეს ტექსტები ისიდორ დიუკასის სახელით გამოსცა. „მალდორორის სიმღერებთან" შედარებით, „ლექსების" სულისკვეთება მკვეთრად განსხვავებული და, ხშირ შემთხვევაში, საწინააღმდეგოც კია. ამგვარად დაუპირისპირდა ისიდორ დიუკასი გრაფ დე ლოტრეამონს.

ავტორის ჩანაფიქრით, ამ ახალი თხზულების „პროზაული ნაწყვეტები" მას „დროთა მსვლელობაში" უნდა გაეგრძელებინა და „პერმანენტულ გამოცემად" ექცია. ეს კი აღარ დასცალდა. 1870 წლის 24 ნოემბერს, 24 წლის ასაკში ისიდორ დიუკასი სასტუმროს ნომერში გარდაიცვალა. სიკვდილის მიზეზი უცნობია. გასული საუკუნის დამლევს, პარიზის ძველი სასაფლაოს გაუქმების შედეგად, პოეტის საფლავიც დაიკარგა.

მაგრამ „მალდორორის სიმღერებს" საბოლოო დავიწყება არ ეწერათ. ერთხანს ისინი ჩრდილში თვლემდნენ, ვიდრე, ჩვენი საუკუნის დასაწყისში, ჯერ სიურრეალისტების, მერე კი ფართო მკითხველის ყურადღება არ მიიპყრეს.

## II

ქართულ მწერლობაში ლოტრეამონის შემოსვლა, დამატებითი მასალების მოლოდინში, ჯერ-ჯერობით 1918 წლით შეიძლება დავათარიღოთ. ამ წელს დაიწერა ტიციან ტაბიძის სონეტი „ვალერიან გაფრინდაშვილს", რომელსაც წინამდებარე წერილის დასასრულს განვიხილავთ. ქართულ ლიტერატურულ პერიოდიკაში ლოტრეამონის სახელს ცისფერყანწელთა ოციანი წლების გამოცემებში იხსენიებენ. ლოტრეამონი ფრანგი სიმბოლისტების — ვერლენის, რემბოს, მალარმეს — და მათი წინამორბედის ბოდლერის შემოქმედებისადმი ქართველი სიმბოლისტების მიერ გამოჩენილ ყურადღებას ინაწილებს. მაგრამ თუკი სხვა დასახელებული პოეტების შემოქმედებას იმ დროისათვის არა მხოლოდ ფრანგული, არამედ ფართო საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა, მივიწყებული ლოტრეამონი არსებითად ახალგაზრდა სიურრეალისტებმა — ფილიპ სუპომ, ანდრე ბრეტონმა, პოლ ელუარმა ხელახლა აღმოაჩინეს პირველი მსოფლიო ომის დამთავრების მომდევნო წლებში. ლოტრეამონის შემოქმედების ქართული გამოძახილი, მართალია, ნაწილობრივი და შორეული იყო, მაგრამ იგი საკმაოდ ახლო მისდევდა პოეტის სამშობლოშივე მისი შემოქმედების მიმართ ინტერესის გაღვივებას. ლოტრეამონთან ქართველი პოეტები ფრანგული სიმბოლიზმისა და უახლესი პოეზიისადმი (პოლ კლოდელი, მაგალითად, მისი შემოქმედებითი გზის დასაწყისშივე ითარგმნა ქართულად) ინტერესმა მიიყვანა.

ქართველთათვის ლოტრეამონის აღმოჩენის წყაროც ცნობილია. ესაა პოეტის, პროზაიკოსისა და ესსეისტის რემი დე გურმონის (1858-1915) ესსეთა კრებული „ნიღბების წიგნი" (1896-1898), რომლის რუსული თარგმანი 1913 წელს დაბეჭდა გამომცემლობამ «Грядущий день», თითოეულ ნარკვევს ახლავს ფ. ვალოტონის მიერ შესრულებული ფრანგი პოეტების პორტრეტები (მათ შორის — ლოტრეამონის პორტრეტი, მხატვრის ფანტაზიის ნაყოფი). წიგნი რუსულად თარგმნეს ე. ბლინოვამ და მ. კუზმინმა. რემი დე გურმონის „ნიღაბთა წიგნი" ფრანგული სიმბოლიზმის ყურადსაღებ განზოგადებას შეიცავს. არც ის გარემოებაა უმნიშვნელო, რომ „ნიღაბთა წიგნის" ერთ-ერთი მთარგმნელი, რუსი პოეტი და მწერალი მიხეილ კუზმინი (1875-1936) სხვადასხვა დროს ახლო იდგა სიმბოლიზმის, აკმეიზმის და სიურრეალიზმის მიმდინარეობებთან. მ. კუზმინისათვის ახლობელი იყო სერგეი სუდეიკინის მხატვრობა, რომელსაც ტიციან ტაბიძემ ერთი-თავისი მოგონება უძღვნა. ქართველი და რუსი სიმბოლისტების ინტერესები მრავალმხრივ ემთხვეოდა ერთმანეთს.

„ნიღბების წიგნს" კარგად იცნობდნენ ცისფერყანწელები და საკმაოდ ხშირადაც იმოწმებდნენ. ქართველი პოეტებისათვის ხსენებული ქმნილება ლოტრეამონზე შილებული ცნობების ერთადერთ თუ არა, უმთავრეს წყაროდ მაინც ჩანს. ამიტომ არსებითია ლოტრეამონის მიმართ თვით რემი დე გურმონის პოზიციის დაზუსტებაც.

ლოტრეამონის ცხოვრება და შემოქმედება რემი დე გურმონმა ერთმა პირველთაგანმა იკვლია. ჯერ კიდევ 1891 წელს, ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ბიბლიოთეკარად მუშაობის დროს, რემი დე გურმონმა ლოტრეამონზე თავის მიერ მიკვლეული ცნობები გამოაქვეყნა. მაგრამ ბევრი რამ კვლავაც დაზუსტებას მოითხოვდა. ლეონ ჟენონსოს კვალდაკვალ, რ. დე გურმონმა 1850 წელი მიიჩნია პოეტის დაბადების წლად. ამის შემდეგ აღმოაჩინეს ისიდორ დიუკასის დაბადების მოწმობა, ხოლო 1928 წელს —მისი გარდაცვალების მოწმობის ასლი გამოქვეყნდა.

ყოველივე ეს ანგარიშგასაწევია „ნიღაბთა წიგნში" შეპარული ფაქტობრივი თუ სხვა ხასიათის შეცდომების ასახსნელად. ასე მაგალითად, კრიტიკოსი გვეუბნება, რომ ლოტრეამონი ოცდარვა წლის გარდაიცვალა. რუსულ ტექსტში შეპარული შეცდომა — «князь Лотрэамон» — შემდგომში, როგორც ვნახავთ, ტიციან ტაბიძემაც გაიმეორა.

მწერალთა და მკვლევართა პროტესტი გამოიწვია ლოტრეამონის ფსიქიურად დაავადებულად გამოცხადებამ. ამგვარი მტკიცებით გასული საუკუნის დამლევს გამოვიდა ლეონ ბლუა. მას გამოეხმაურა თავის ესსეში რემი დე გურმონიც. ლოტრეამონს იგი „ავადმყოფ, შეშლილ გენიოსად" წარმოგვიდგენს და იმით ამართლებს, რომ „შეშლილი გენია მაინც გენია არის". ამ მონაგონის გამოძახილი ზოგჯერ ჩვენს დროშიც გაისმის.

მაგრამ რემი დე გურმონის ესსეში მთავარი მაინც „მალდორორის სიმღერების" პოეტური მშვენიერებისა და თვითმყოფადობის აღიარებაა. ქართველმა მწერლებმაც ამ მხრივ აღიქვეს ეს ტექსტი. გარდა ამისა, თვით რ. დე გურმონმაც ბოლომდე არ გაიზიარა „სიგიჟის ვერსია" და იმავე ესსეში ლოტრეამონის ირონიასაც მიაქცია ყურადღება. ფრანგი პოეტის (და ფრანგული პოეზიის) ამ არსებით თვისებას გაუსვამს ხაზს თავის კრიტიკულ ნაწერებში ტიციან ტაბიძეც.

და ბოლოს, თავისი დაკვირვებების საილუსტრაციოდ, რემი დე გურმონს რამდენიმე პასაჟი მოჰყავს ლოტრეამონიდან. ამ პასაჟებით გაეცნენ პირველად ლოტრეამონს ქართველი პოეტები.

თავის წერილს „ლირიკის ელიზიუმი" ვალერიან გაფრინდაშვილი თითქოს მაყურებელთა დარბაზში წარმოთქვამს: „ეს შემდეგ:

აპლოდისმენტები, ხმაურობა, აღტაცებული ან მრისხანე სახეები. მაგრამ პოეტი შემოქმედების დროს ყოველთვის მარტოა და მის აუდიტორიას შეადგენენ ოთახში მომწყვდეული ნივთები: „ყორანის" ავტორმა მარტოობაში დალია სული და არასოდეს პარტერის თანაგრძნობა არ უნახავს. ლოტრეამონი მოკვდა ყველასათვის უცნობი, მან დატვირთვა თავისი ჰირვეული და ზვიადი სტრიქონები დემონიურ სახესთან ერთად. ის უთუოდ ანთებული იყო დიდი პოეტური ცეცხლით და ისე დაიფერფლა, როგორც მირაჟი უდაბნოში". („მეოცნებე ნიამორები" 1923, №9, გვ. 13).

ოდნავ მოშორებით ვალერიან გაფრინდაშვილი განაგრძობს: „...ლირიკა არავისთვის სავალდებულო არ არის. ის არისტოკრატიულია ზედმიწევნით. ლირიკის წინ დიდი პერსპექტივებია: ბავშვის ტიტინიდან ფაუსტის სიბრძნემდე, ბირონის სიმღერიდან მალდორორის მონოლოგამდე".

ავტორს „მალდარორი" უწერია. ეს და სხვა დამახინჯებული ფორმა („მოლდარორი" ტიციან ტაბიძესთანაც გვხვდება და, სამწუხაროდ, მის რუსულ გამოცემაშიც გაპარულა*. მაგრამ სწორი ორთოგრაფიაც გვხვდება ტ. ტაბიძესთან და წინამდებარე წერილში ჩვენს თავს უფლება მივეცით, ყველგან ის აღგვედგინა. ვფიქრობთ, ეს მცირე შენიშვნა გასათვალისწინებელია ქართველი პოეტის თხზულებათა მომავალ გამოცემებში.

შესაძლოა შალვა აფხაიძის წერილში „მთვარე პოეზიაში" („რუბიკონი", 1928, № 8) „კოსმიური გომბეშოს" ხსენება აგრეთვე უკავშირდებოდეს გომბეშოს თემას „მალდორორის სიმღერებში", რასაც ქვემოთ უფრო დაწვრილებით შევეხებით.

1926 წელს ქართველ პოეტთა ერთი ჯგუფის ინტერესების დასადგენად ფასეულია აგრეთვე გარეშე მოწმის, ილია ერენბურგის მოგონება: — **Я писал после поездки в Грузию в 1926 году... «В Верийских садах зурна плачет, как любимая женщина, голос которой нельзя не узнать и через тысячу лет. Пусть поэты «Голубых рогов» любят Рембо и Лотреамона; неискушенные души повторяют их стихи доверчивым девушкам возле могилы Грибоедова, когда в одно сливаются созвездия астрономов, огни Сололак и взволнованные зрачки. А на стенах духанов истекают кровью арбузы, написанные Нико Пиросманашвили..»****.

* Т. Табидзе, Статьи, очерки, переписка, Тб., 1964, с. 12.

** Илья Эренбург, Люди, годы, жизнь, Книги первая и вторая, М., 1961, с. 516.

ყველაზე მნიშვნელოვანი და ხელშესახები კვალი ლოტრეამონთან შეხვედრამ, ქართველ პოეტთა შორის, ტიციან ტაბიძის მხატვრულ წარმოსახვაში ჰპოვა.

ლოტრეამონისადმი ტიციანის მიმართებაში სამი ასპექტია გამოსაყოფი: კრიტიკული ნაწერები, თარგმანი, პოეზია.

ქრონოლოგიურად ფრანგი პოეტი ჯერ ლექსებშია ნახსენები: 1918 წელს — ხსენებულ სონეტში „ვალერიან გაფრინდაშვილი"; 1919 წ. — ლექსში „ორპირის სეზონი".

რაც შეეხება ლოტრეამონის პოეზიის კრიტიკას, 1923 წელი ტიციანისათვის ერთგვარად ლოტრეამონის ნიშნით მიმდინარეობს. დასაწყისშივე, გაზეთ „რუბიკონის" პირველი ნომერი (21 იანვრით დათარიღებული) ხელოვანთა სასახლეში წლის განმავლობაში წასაკითხად განზრახულ მოხსენებათა შორის მკითხველებს აუწყებს ტიციან ტაბიძის მოხსენებას: „თავადი ლოტრეამონ". არ ვიცით, შედგა თუ არა ეს მოხსენება. რაც შეეხება ლოტრეამონის „თავადობას", ეს შეცდომა, როგორც ვნახეთ, „ნიღაბთა წიგნის" რუსული გამოცემიდან მომდინარეობს.

წლის განმავლობაში ტიციანის კრიტიკულ ნაწერებში რამდენჯერმე იხსენიება ლოტრეამონი. სხვა მხრივ, მისდამი ინტერესს გვიდასტურებს იმავე „რუბიკონში" 11 მარტს დაბეჭდილი ტიციანისეული თარგმანი ლოტრეამონიდან, რაზეც საგანგებოდ შევჩერდებით.

თავის თხზულებათა მეოთხე ტომში, რომლის სათაური უნდა ყოფილიყო „დაისრული სებასტიანე (კრიტიკული პროზა)", ტ. ტაბიძე აპირებდა შეეტანა: „თავადი ლოტრეამონ და სხვა დაბეჭდილი და დაუბეჭდავი წერილები" („რუბიკონი", 1928, № 2). შესაძლოა „თავად ლოტრეამონზე" წერილისა და ზემოხსენებული მოხსენების ჩანაფიქრი ერთიანდებოდეს.

1928 წლის დამლევს თბილისურ კაფე „იმედში" გამართულ ქართველ მწერალთა საღამოს ტიციან ტაბიძე აღფრთოვანებით იგონებს („მეოცნებე ნიამორები", 1928, № 10). ამ საღამოს ჩაისახა, ტიციანის აზრით, ქართული დადაიზმი. გამოსვლებში საფრანგეთისა და რუსეთის პოეზია, ლოტრეამონი და მალდორორი იხსენიებოდა.

მაგრამ ჯერ კიდევ ამ საღამომდე, სტატიაში „ირონია და ცინიზი", ტიციან ტაბიძე წერდა: „...უნდა ითქვას აგრეთვე, რომ ირონია არა თუ დამთავრება ფრანგული პოეზიის, შეიძლება ეს იყოს მისი ეროვნული გამართლებაც.

ყოველ შემთხვევაში ეს არის ნიშანი: ფრანსუა ვიიონის, არტურ რემბოს, ტრისტან კორბიერის, ლოტრეამონის...

მალდორორის დიალოგი ლოტრეამონის არის უკანასკნელი დაწურვა ირონიის. განა უნდა გამეორება იმ სიტყვებს, როცა მალდორორი

ხედავს ყველა ერთად შეერთებულს: აკვარიუმის სასწაულებს, ძერას, რომელიც სდარაჯობს მკვდარ ილიზიუმს, რვა ფეხას აბრეშუმისცქერით, ყველაფერს ძილის მომგვრელს, ანემიურს..., და ვინ დათვლის ამ პარადს ლეშებისას. მალდორორი მოითხოვს ამის რეაქციას..."

ირონიის ამგვარ შეფასებაში შესაძლოა რემი დე გურმონის ხსენებული დაკვირვების გამოძახილიც იყოს.

ოდნავ მოშორებით, ტიციან ტაბიძე მარინეტის უპირისპირებს ლოტრეამონს, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ: „ყველაზე უფრო უშედეგოდ პოეზიისათვის გაიარეს მარინეტის მანიფესტებმა. მარინეტი შეიქნა გ. დანუნციოს ეპიგონი, მისი დეკლარაციები მაშინაზე და მილიტარისტულ ლექსებზე დარჩნენ მხოლოდ ნიმუშებად ყალბი რიტორიკის და უნაყოფობის.

რასაც მარინეტი ლაპარაკობდა ზედმეტი ჟესტიკულაციით, უკვე გადაიმღერა ვერჰარნმა. პოეზია ეკვივალენტით რომ აყვეს კიდეც მაშინას, ამით სრულიად არაფერი არ იცვლება.

რადგან დღეს ლექსი იზრდება უფრო სიღრმით და მარინეტი ვერასოდეს ვერ მისწვდება ლოტრეამონის უკანასკნელ ტერორს".

და ბოლოს, ნიშანდობლივია შემდეგი განცხადება: „პოეზიის სედანი და მარნა ერთად იყო ლაფორგში და ლოტრეამონში. პირველად აქ გადატყდა ხერხემალი, და ამას ვერ გაამართლებს რახიტიკების თაობა, ბევრიც რომ წერონ მაშინის პათოსზე".

ჟიულ ლაფორგის პოეზიის მიმართ გამორჩეულ ინტერესს იჩენდა ტიციან ტაბიძე. 1923 წლის 28 იანვარს გაზეთმა „რუბიკონმა" პოეტის თხზულებათა ექვსტომეულის პროსპექტი გააცნო თავის მკითხველებს. ამ გამოცემის მეხუთე ტომი ტ. ტაბიძეს. მთლიანად ჟიულ ლაფორგისათვის დაეთმო: მასში უნდა შესულიყო ტიციანისეული წინასიტყვაობა და „ფეერიული სობოროს" მისივე თარგმანი.

ამიტომ ტიციანის მიერ ლაფორგის გვერდით ლოტრეამონის მოხსენიება მეტყველი და მნიშვნელოვანია.

ქალაქ სედანთან 1870 წელს პრუსიასთან ომში დამარცხდა საფრანგეთის არმია, ხოლო მდინარე მარნასთან 1918 წელს გაიმარჯვა გერმანელებზე. „პოეზიის სედანითა და მარნათი" ტ. ტაბიძე, შესაძლოა, პოეტური ტრადიციების მსხვრევასა და ახალი ფორმების დამკვიდრებას გულისხმობდეს და ამ ფენომენს ლოტრეამონსა და ლაფორგს უკავშირებდეს.

ლოტრეამონისადმი ინტერესი ეპიზოდური არ ყოფილა ტიციან ტაბიძისათვის. გადის წლები და იგი კვლავ და კვლავ უბრუნდება ფრანგი პოეტის სახეს. 1926 წელს, პარიზიდან ახლად დაბრუნებული ლადო გუდიაშვილისადმი მიძღვნილ წერილში პოეტი წერს: „ჯერ კიდევ ლოტრეამონის მალდორორს არ ეთქვა თავისი მონოლოგი, ყოველ შემთხვევაში ლადო გუდიაშვილისათვის მაინც, რომ მას ჰქონდა ყნოსვა გომბეშოს ფერის სალებავისა: აკი თვითონ ნიკო ფიროსმანი უხსნიდა მას სალებავის ალქიმიას".

წერილში „სალიტერატურო ქართულისათვის" (1928 წელს) ტიციან ტაბიძე ენის განვითარებას ცხოვრების ფართო ასახვას უკავშირებს და ამბობს, რომ მწერალს უნდა ჰქონდეს „თანამედროვე ცხოვრების ათვისების, ახალი რიტმისა და ყოფის გაგების ალღო". ტ. ტაბიძე მოითხოვს სხვა ეროვნული კულტურების გამოცდილების კრიტიკულ გათვალისწინებას. ლაპარაკია ენის განახლებასა და, ამავე დროს, მისი სიწმინდის დაცვაზე. ამ კონტექსტში იხსენიებს ტ. ტაბიძე ახალ ფრანგულ მწერლობასაც.

„თანამედროვე ფრანგი დადაისტები და სიურრეალისტები ამ გზას ასე აჩვენებენ:

ფილიპო სუპო ემყარება ლოტრეამონს და რემბოს, ლოტრეამონისა და რემბოს ძირები კი უწევენ ფრანსუა რაბლესა და ფრანსუა ვიიონამდე".

ეს უკანასკნელი დაკვირვება არსებითი ჩანს ქართველი სიმბოლისტებისათვის: ისინი ხომ ახალი ფორმების ძიებას რუსთაველისა და ვაჟა-ფშაველას მემკვიდრეობას უთავსებენ.

1981 წელს დაწერილ ნარკვევში „ახალი კოლხიდა", ტ. ტაბიძე კვლავ უბრუნდება ლოტრეამონს: „...ჭალადიდისა და პალიასტომის ბაყაყები მაგონებენ ლოტრემაონის გომბეშოს მონოლოგს, რომელიც ქართულად ვთარგმნე კიდეც.

მე მგონია, მთელ მსოფლიო პოეზიაში ლოტრეამონის გომბეშოს დიალოგზე უფრო სასოწარმკვეთი სტრიქონები არც კი მოიპოვება.

აქ მორალური ქვეყანა ქიმიურად არის დაშლილი.

ყველა ეს ალბინოსები, აქვარიუმის სასწაულები, ჯილეზე მიმპალი დამხრჩვალი ძაღლები, წურბელები, ყველაფერი, რაც ძილისმომგვრელია და გადაშენებით ემუქრება სამყაროს.

უეჭველია, დაეთანხმები ლოტრეამონს.

როცა ხედავ უმსგავსობისა და უწმინდურობის ამ ბუდეს, საჭიროა რაღაც რეაქცია.

მაგრამ წინათ ამ რეაქციაზე არც კი ვფიქრობდი. ახლა თვით ცხოვრებამ, ჯანსაღმა ადამიანურმა ინსტინქტმა, რომელიც მოყვება წელმაგარ ხალხს, თვითონ მაჩვენა ამ უწმინდურობის საწინააღმდეგო გზა.

უკეთეს ანალოგიას კაპიტალისტური ქვეყნის დახსნისა, კრიზისისა და გადაგვარებისას ადამიანი ვერც კი წარმოიდგენს, როგორც ლოტრეამონის ნახევრად გიჟური სტრიქონებია. აქ ვერაფერს შველის ამერიკის სტაბილური კაპიტალიზმი, რადგან ისიდორ დიუკასი-ლოტრეამონი სწორედ ამერიკიდან მოევლინა საფრა-

ნგეთს და მისთვის გზა მონტევიდეოდან პარიზამდე ერთი განუწყვეტელი რგოლია“.

მის მიერ თარგმნილ პასაჟს ტ. ტაბიძე მეტწილად „გომბეშოს მონოლოგს“ უწოდებს. ზემოთ ნახსენები „გომბეშოს დიალოგი“ შესაძლოა მექანიკური შეცდომა იყოს. მაგრამ აგრეთვე დასაშვებია, რომ ტ. ტაბიძე გომბეშოსა და მალდორორის დიალოგს გულისხმობდეს.

მომდევნო, 1932 წელს, ტ. ტაბიძე კვლავ მოიხსენიებს ლოტრეამონს თავის ნარკვევში „ისტორიული ნოველა „მამელუკი“. პირველი ხსენება უარყოფითია; გულისხმობს რა უიარალოს მოთხრობა „მამელუკის“ დაბეჭდვის, წელს (1912) და მის მომდევნო წლებს, ტ. ტაბიძე წერს: „ამ დროს ტონის მიმცემ მწერლებად ითვლებიან: ლოტრეამონი, ოსკარ უაილდი, სტანისლავ პშიბიშევსკი, კნუტ ჰამსუნი, ლეონიდ ანდრეევი, პეტრე ალტენბერგი და სხვ.“

მიუხედავად ამისა, ტ. ტაბიძე მაინც პირველობას ლოტრეამონს ანიჭებს. იხსენიებს რა ზემოთ ჩამოთვლილი მწერლების ნაწარმოებებს (გარდა ალტენბერგისა), ტ. ტაბიძე განაგრძობს:

„ყველაზე უფრო ძლიერი წარმომადგენელი ამ დაცემის ეპოქისა არის ფრანგი ლოტრეამონი, რომელმაც თავის გომბეშოს მონოლოგებში შექმნა ჟრუანტელის მომგვრელი პროზა, სადაც ქიმიურად დაშლილია მორალიც და ბუნებაც.

შემდეგ არც ერთი ოსტატი არ ამაღლებულა ლოტრეამონის კონცეფციამდე. შავმა დემონმა სამუდამოდ დადაღა თავისი ეპოქის ფრანგული პროზა და მისი ზეგავლენა ახალ სკოლაზე უფრო წარღვნასა ჰგავდა, ვიდრე გავლენას“.

კვლავაც ერთი ფრაგმენტია ნაგულისხმები, სახელდობრ „გომბეშოს მონოლოგი“, რომელიც რატომღაც „მონოლოგებად“ გადაიქცა. თუკი ადრე ტ. ტაბიძე ლოტრეამონის შემოქმედებას „პოეზიად“ იხსენიებდა, ახლა იგი მის „პროზაზე“ ლაპარაკობს.

მაგრამ გავიხსენოთ, რომ 1911-1912 წლებში შექმნილ თავის მინიატურებს ტ. ტაბიძე ხან „ლექსს პროზად“, ხანაც „პატარა პოემებს პროზად“ უწოდებს. შესაძლოა, „მალდორორის სიმღერების“ ჟანრიც მას წარმოუდგებოდა, როგორც „პოემა პროზად“. ამდენად ლოტრეამონის ფრაგმენტის ტიციანისეული ათვისება საინტერესოა აგრეთვე ქართველი პოეტის შემოქმედებაში ახალ ფორმათა ძიების თვალსაზრისით. ცხადია, „ლექსები პროზად“ ტ. ტაბიძის შემოქმედებაში წინ უსწრებს ლოტრეამონის გაცნობას. ამიტომ ლოტრეამონის ხელწერას შემზადებული უხვდება ტ. ტაბიძე.

დასასრულ ტ. ტაბიძე უბრუნდება თავის საყვარელ იდეას: ლიტერატურულ მიმდინარეობათა უნივერსალურ ხასიათს. ტიციანის აზრით, დროთა მსვლელობით ერთ ქვეყანაში, ერთ კულტურაში აღმოცენებული ახალი ლიტერატურული მიმდინარეობა კანონზომიერად სხვა ქვეყნებშიც უნდა გავრცელდეს. და თუ ეს მაშინვე არ ხდება, მაშასადამე, საქმე გვაქვს გარდუვალი პროცესის დროებით შეფერხებასთან. ქართული ლიტერატურის ისტორიაში ერთ ასეთ შეფერხებას ტ. ტაბიძე ამჟერად სოციალური მიზეზებით ხსნის:

„საქართველოში ყოველთვის საგრძნობი იყო ლიტერატურულ სკოლებზე ჩამორჩენა. დღეს ნათელია, რომ ეკონომიურ საწარმოო ძალთა განვითარება განსაზღვრავდა ამ ჩამორჩენას. ლოტრეამონი უთუოდ ამერიკაში უნდა დაბადებულიყო (ის იყო შვილი საფრანგეთის ელჩისა მონტევიდეოში) და პარიზში უნდა ეგრძნო მორის როლინა. მართალია, აკაკი და ილიაც შეესწრნენ პარიზის კომუნას, როგორც ბოდლერი და ვერლენი, მაგრამ რამდენი დაშორებაა მათ ლექსებში!

ასევე დაუჯერებელია, რომ ვაჟა-ფშაველა და არტურ რემბო თითქმის თანამედროვენი იყვნენ“.

ლოტრეამონის მამა, ფრანსუა დიუკასი, საფრანგეთის ელჩი არ ყოფილა. იგი მონტევიდეოში მუშაობდა საფრანგეთის საკონსულოს კანცლერად.

ტ. ტაბიძის მიერ ნახსენები მორის როლინა (1846-1903) ისიდორ დიუკასის თანატოლი კი იყო, ოღონდ მათი გზები პოეზიაში სხვადასხვაგვარად წარიმართა. როლინას სამწერლო დებიუტი ლოტრეამონის გარდაცვალების შემდეგ, 1877 წელს შედგა, ხოლო მისი ყველაზე ცნობილი ლექსთა კრებული „ნევროზები“ 1883 წელს დაიბეჭდა. ფრანგული ლიტერატურის ისტორიაში მ. როლინა მეორეხარისხოვან პოეტად დარჩა. უბრალო ქრონოლოგიის გამო, ლოტრეამონი მორის როლინას ვერ „იგრძნობდა“ პარიზში. შესაძლოა, ტიციან ტაბიძის მიერ ამ ორი სახელის დაახლოება განაპირობა მორის როლინას პოეზიაში „სატანურმა“ თემამ, რომელიც „მალდორორის სიმღერებშიც“ ასე მძლავრად გაისმის იმ განსხვავებით, რომ მ. როლინას შთაგონებაზე გადამწყვეტი გავლენა ედგარ პოს პოეზიამ მოახდინა.

1936 წლის 15 აპრილით დათარიღებულ ფრაგმენტში, „ავტობიოგრაფიიდან“, მშობლიური ორპირის გახსენებას კვლავ გარდუვლად ლოტრეამონის ხსენება მოჰყვება: „ჩემს თვალწინ ციებისაგან იჟლიტებოდა მთელი სოფლები, წყევლა კრულვით სტოვებდა ხალხი შეჩვეულ ადგილებს. ამ ამბის ხილვა მაგონებდა ფრანგი პოეტის ლოტრეამონის ლექსებს. გომბეშოს მონოლოგი „მალდორორის სიმღერიდან“— ეს იგივე ორპირის ბაყაყების ყოველდღიური ორკესტრი, იგივე გადაგვარების სიმღერა იყო“.

ამგვარად, 1918 წლიდან მოყოლებული 1936 წლამდე, ანუ ტიციან ტაბიძის ლიტერატურული მოღვაწეობის სიმწიფის პერიოდში ლოტრეამონის სახელი თითქმის არ შორდება ქართველ პოეტს. დროთა მსვლელობაში ტ. ტაბიძე სხვადასხვაგვარად აფასებს ფრანგი პოეტის შემოქმედებას, მაგრამ ურყევი რჩება მისი რწმენა ლოტრეამონის სიდიადისა და მისი პოეზიის გაბედული ნოვატორობისა. მის მიერ თარგმნილ ფრაგმენტს ტ. ტაბიძე აღიქვამს, როგორც ადამიანთა საზოგადოებაში ყოველივე ბილწისა დ გადაგვარებულის წინააღმდეგ გალაშქრებას.

1928 წელს გაზეთი „რუბიკონი" რუბრიკით „საფრანგეთის პოეტები" პერიოდულად ათავსებს XIX და XX საუკუნის ფრანგი პოეტების თარგმანებს. ამ რუბრიკით დაიბეჭდა ბოდლერის, არტურ რემბოს, ჟიულ ლაფორგის და სხვათა ლექსები. 11 მარტს დაიბეჭდა ტიციან ტაბიძის მიერ თარგმნილი ფრაგმენტი ლოტრეამონიდან.

მთარგმნელზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა საკუთრივ გომბეშოს სახემ. ამიტომ, დროთა მსვლელობაში, მის მიერ თარგმნილი პასაჟი ქართველი პოეტის წარმოსახვაში გომბეშოს სახეს უკავშირდებოდა. თუკი ტ. ტაბიძის მიერ სხვაგან ნახსენები „გომბეშოს ანექსია" მის ორიგინალურ შემოქმედებას არ შეხებია, სამაგიეროდ თარგმნილ ნაწყვეტზე ეს ითქმის.

მაგრამ თვით გომბეშოც ხომ ისეთი უჩვეულოა, რომ მისი უყურადღებოდ დატოვება არ იქნებოდა. სურათის სისრულისათვის, აღვადგინოთ გომბეშოს თემის ჟღერადობა „მალდორორის სიმღერებში".

გაკვრით გომბეშო მრავალგზის არის ნახსენები. მთვარიანი ღამით გაშმაგებული ძაღლები საცოდავად მართავენ ყეფას მთელი სამყაროს წინააღმდეგ, მათ შორის „გომბეშოების" წინააღმდეგ, რომლებსაც ისინი ყბის მკვეთრი დარტყმით თელავენ (მაშ რატომ მოშორებულან ჭაობს?...) „სხვაგან, ლოტრეამონისეულ ბესტიარიუმში „გომბეშოს დიდი თვალი" გაიელვებს. კიდევ სხვაგან, მეტამორფოზების ნაკადში, გამოჩნდება „კაცი გომბეშოს სახით".

კაცობრიობის წინააღმდეგ ამხედრებული მალდორორის სიძულვილი, ამავე დროს, ადამიანის შექმნილი ღმერთის წინააღმდეგაა მიმართული. ღვინით გალეშილი შემოქმედი შარაგზაზე გათხლართულა. იგი იმ „ბალლინჯოსავით მთვრალია, ღამით სამი კასრი სისხლი რომ შეუწოვია". ყველა გამვლელი, ცხოველი თუ ფრინველი მას შეურაცხყოფას აყენებს. სხვებს არც გომბეშო ჩამორჩება. მან გზად მიმავალმა შემოქმედის შუბლზე ნერწყვი დაანთხია და თქვა: „ეხე შენ. ამხელა თვალი რომ არ მოგეცა ჩემთვის, ამ მდგომარეობაში მყოფს ვერც კი დაგინახავდი და შენი სხეულის ტალამაზეს კდემამოსილად დავფარავდი [illegible] კესანებისა და კამელიების გროვით, ისე რომ კაციშვილი ვერ შეგამჩნევდა".

მეოთხე სიმღერის ერთი ეპიზოდი იწყება სიტყვებით: „ჭუჭყიანი ვარ. ტილები დამსევია". მთხრობელი გვანდობს: „ჩემი მარცხენა იღლიის ქვეშ გომბეშოების ოჯახი დაბუდებულა და, როდესაც რომელიმე მათგანი ამოძვრება, მეღიტინება. ფრთხილად იყავით, გომბეშო არ გამექცეს და თქვენს ყურში არ დაიწყოს ქექა; მერე ხომ თქვენს ტვინშიც შეაღწევს".

შუა საუკუნეების თქმულებებში ნახსენები „გომბეშოთა წვიმებიც" გამოჩნდება „მალდორორის სიმღერებში". გომბეშოები და კუტკალიები „რამდენიმე ნაბიჯის ჩამორჩენით მიჰყვებიან გარდაცვალების ზეიმს".

და ბოლოს, „ლექსების" ერთ პასაჟშიც მოიხსენიება გომბეშო.

თუკი საშინელსა და ფანტასტიურ სამოსელს მოვაცილებთ, აშკარა ხდება, რომ ლოტრეამონისათვის გომბეშოს მთავარი ღირსშესანიშნაობაა მისი დიდი თვალი.

სწორედ ეს თვისება იჩენს თავს „მალდორორის სიმღერების" იმ ეპიზოდში, სადაც გომბეშო გამოდის ავანსცენაზე. „წურბელას ძმა ნელა მიაბიჯებდა ტყეში" — ასე იწყება ეს ამბავი. „წურბელას ძმა", რაღა თქმა უნდა, — მალდორორია. და უცებ: „ვინაა ის არსება, შორს, ჰორიზონტზე რომ გამოჩნდა და უშიშრად ირიბი და მოუთმენელი ნახტომებით ჩემთან მოახლოებას რომ ბედავს? მის სიდიადეს მშვიდი სინაზე გადაჰფენია! მისი მზერა თუმცა რბილია, ღრმად გწვდება. მის ვეება და თითქოს ცოცხალ ქუთუთოებს სიო ათამაშებს. ჩემთვის უცნობია იგი. თვალს მის ურჩხულისეულ თვალებს რომ გავუსწორებ, ტანს ჟრუანტელი მივლის; ეს კი პირველად მემართება მას აქეთ, რაც გამშრალი ძუძუსთავები მიწოვია იმ არსებისა, ვისაც დედა ჰქვია. მის გარშემო თითქოს თვალისმომჭრელი შუქის შარავანდედიაო. ხმა რომ ამოიღო, ბუნება დადუმდა და ყოველივე აცახცახდა. ხომ ჩემსკენ მოეშურები, თითქოს მაგნიტი გიზიდავსო. დე ასე იყოს, წინ არ აღგიდგები. რა მშვენიერია! ამას გულისტკივილით ვამბობ. შენ უთუოდ ძლიერი ხარ; სახეც ხომ ზეადამიანური გაქვს, სამყაროსავით სევდიანი; თვითმკვლელობასავით მშვენიერი. მძულხარ რაც ძალა და ღონე მაქვს; და შენი თვალების დანახვას მირჩევნია ვიხილო გველი, საუკუნეთა დასაბამიდან ჩემს კისერს მოხვეული... როგორ?.. ნუთუ შენა ხარ, გომბეშოვ? დიდო გომბეშო!.. უბედურო გომბეშო!.. მომიტევე!.. მომიტევე!.. რა გესაქმება ამ დედამიწაზე, სადაც მარტოოდენ წყეულნი არიან?"

უჩვეულოა გომბეშოს მოვლინება: ჭაობიდან

კი არ ამოცოცდება იგი, არამედ, შარავანდედით მოსილი, ზეციდან დედამიწაზე ეშვება: „მაგრამ რა უყავი შენს მყრალსა და ჩირქოვან მუწუკებს, ასეთი ნაზი რომ გამხდარხარ? — ეკითხება გაოგნებული მალდორორი. — როდესაც, უზენაესი ბრძანებით, ზეციდან ჩამოხვედი და ნაირსახოვან არსებათათვის ნუგეშისცემა დაგეკისრა, მიწაზე ქორის სისწრაფით დაეშვი და ფრთა არ დაგღლია ამ შორი, დიდებული ფრენით; მე დაგინახე! საბრალო გომბეშო! მაშინ განვჭვრიტე მე უსასრულობაც და ჩემი უსუსურობაც“.

ამჟერად უკვე გომბეშოს თემის უმთავრესი ნიშნები გადაგვეშალა. მშვენიერი ფრთოსანი გომბეშო პოეტის განსახიერებაა. მიწას იგი ზეცამ მოავლინა ადამიანთა და სულდგმულთა სანუგეშოდ.

ამას გვიდასტურებს განსაზღვრა: „ტბისა და ჭაობის ხელმწიფევ! ისეთი დიდებით შემოსილო, მხოლოდ ღმერთს რომ შეჰფერის...“ მალდორორიც შეევედრება: „დარჩი... ო, დარჩი ცოტა ხანს ამ დედამიწაზე! დაუშვი შენი თეთრი ფრთა და ნუღა ალაპყრობ შენს მზერასა და მოუსვენარ ქუთუთოებს!“

მაშინ გომბეშო ეტყვის თავის ულმობელ სათქმელსა და კეთილ რჩევასაც მისცემს: „მისმინე, მალდორორ, ხომ ხედავ სარკესავით აღუშფოთველ ჩემს სახეს? შენზე ნაკლები ჭკუა, ვგონებ არც მე უნდა მქონდეს. (...) მე შენსკენ მისთვის მოვედი, რომ უფსკრულს გადაგარჩინო. (...) განდევნე ის ფიქრები, შენს გულს უდაბნოსავით რომ ავერანებენ; ცეცხლზე უფრო მწველია ეგ ფიქრები. შენი გონება იმდენად დასნეულდა, რომ ველარც კი ამჩნევ და ასე გგონია ბუნებრივად მოქმედებ მაშინ, როდესაც პირიდან უაზრო, თუმცა ჯოჯოხეთური სიდიადით აღსავსე სიტყვები ამოგდის. შე უბედურო! შენი დაბადების დღიდან მოყოლებული, რა გითქვამს ხეირიანი? უკვდავი გონების ბეჩავო ნამსხვრევო! შენ ხომ ღმერთმა შეგქმნა ესოდენ სიყვარულით! (...) ...მე შენ მძულხარ. რადა გაქვს ეს უცნაური ხასიათი? რა უფლებით მოხველ ამ მიწაზე მის მკვიდრთა დასაცინად, სკეპტიციზმის ტალღებს აყოლილო დამპალო ნაფლეთო! თუკი ეს ქვეყანა არ მოგწონს, იმ სფეროებს დაუბრუნდი, საიდანაც მოხველ. (...) ...ვერაფრით ვერ გამირჩევია, ადამიანი ხარ თუ ზეადამიანი! მაშ მშვიდობით; გზაზე გომბეშო აღარასოდეს დაგიხვდება. ჩემი სიკვდილის მიზეზი შენ იყავი. მე კი მარადისობას მივაშურებ, რათა შენი შენდობა ‚გამოვთხოვო“.

ამაზე მკაცრი განაჩენი მალდორორს, ვგონებ, არც სმენია. და თუკი თეთრფრთიანი გომბეშოს სახით მას თვით პოეტი მოევლინა, მათი შეხვედრა და საუბარი არსებითია „მალდორორის სიმღერების“ ეთიური კონცეფციისათვის.

ლოტრეამონის გომბეშოს სახე უფრო გასაგები ხდება მცირე ისტორიული ექსკურსის შუქზე. როგორც 1964 წელს მიაქცია ყურადღება ფრანგმა მკვლევარმა ა. ფონგარომ, შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ფანტასტიური გომბეშოს სახე ევროპული ლიტერატურისათვის როდია უცხო. ჯერ კიდევ შექსპირის პიესაში „ვითარც გნებოთ“ ერთ-ერთი მოქმედი პირი მოხუცებული ჰერცოგი, ახსენებს „შხამიან გომბეშოს, რომელიც ძვირფას ქვას ინახავს თავში“ (მეორე მოქმედება, სცენა 1). მართლაც, ხალხური გადმოცემით, გომბეშოს (განსაკუთრებით კი — მამალი გომბეშოს) ისეთი სახესხვაობა არსებობს, რომელიც მთელ სიცოცხლეს მღვრიე წყლიდან წმინდა წყლის თვალის გამოყვანას უნდება.

ეს სახე იმთავითვე პოეტური განვითარების შესაძლებლობას შეიცავდა.

„საუკუნეთა ლეგენდაში“ ვიქტორ ჰიუგომ ერთი მოზრდილი და გახმაურებული ლექსი უძღვნა გომბეშოს (ლექსი პირველად შეტანილია 1859 წ. გამოცემაში). გომბეშო წყლის გუბიდან გამოცოცდა და ზეცას შეჰყურებს. მახინჯია გომბეშო და ცა — მშვენიერი. მაგრამ ცის ანარეკლი თვით გომბეშოს თვალსაც ამშვენებს. ადამიანები — მოზრდილები და ბავშვები — მოსაკლავად იმეტებენ გომბეშოს, სახედარი კი მას სიცოცხლეს შეუნარჩუნებს. სიმახინჯისა და სილამაზის, ბოროტებისა და სიკეთის ჰიუგოსეული დაპირისპირების საბაბს იძლევა „გომბეშო“, ეს „მშვენიერების შემყურე საზიზღრობა“.

როგორც ჩანს, ვიქტორ ჰიუგოს ამ ლექსმა შეამზადა „მალდორორის სიმღერებში“ გომბეშოს გამოჩენა. ჰიუგოს ლექსში ლოტრეამონისათვის არსებითი აღმოჩნდა გომბეშოს სახის დაკავშირება ცის ლაჟვარდთან და სიკეთესთან. ქრისტიანული შეწყალების შარავანდედი მოსავს ჰიუგოსეულ გომბეშოს და ლოტრეამონმა, თავის მხრივ თეთრი ფრთით წარმოსახა იგი.

გარდა „მალდორორის სიმღერებისა“, ვიქტორ ჰიუგოს ლექსის გამოქვეყნების შემდეგ არა ერთი ფრანგი პოეტის ქმნილებაში გამოჩნდა გომბეშო.

შესაძლოა, ვ. ჰიუგოს ლექსს უშუალოდ უკავშირდებოდეს ტრისტან კორბიერის (1845-1875) ე. წ. „შემობრუნებული სონეტის“ ფორმით დაწერილი ლექსი „გომბეშო“. „ლაფის ბულბულს“ უწოდებს გომბეშოს კორბიერი და თავის სონეტს მოულოდნელი ოხუნჯობით ამთავრებს: „საღამო მშვიდობისა — ეს გომბეშო მე ვარ“. ვარდზე მომღერალი ბულბული პოეტის აღმოსავლური ალეგორიაა. ცხოვრების ლაფში მომწყვდეული და მაინც მშვენიერი ლექსების შემქმნელი პოეტის სახე სულ სხვაა. ამგვარად ბულბულისა და გო-

მზეშოს სახეთა დაკავშირებისათვის გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა ტრისტან კორბიერმა.

კიდევ ერთ გარემოებას მივაქციოთ ყურადღება — ტ. კორბიერის სონეტი დათარიღებულია: „ამ საღამოს, 20 ივლისს“. „გომბეშოს სიმღერა განსაკუთრებით შესანიშნავია ხმელთაშუა ზღვისპირეთში ზაფხულის საღამოობით...“, შენიშნავს ა. ფონგარო.

გომბეშო არა, მაგრამ გამორჩეული „ცისფერი ბაყაყი“ ჰყავს პოლ ფორს.

გიიომ აპოლინერთანაც პატიოსანი თვალის შესაქმნელად გომბეშო ორ წყაროს მიმართავს: „გომბეშოები, რომლებიც სილაჟვარდემ და წყაროს წყალმა დაამწიფა“.

სხვაგან: „გომბეშო გამოსცემს ნაზ ლაჟვარდოვან ხმას“.

ესაა გომბეშოს თემის მხოლოდ ზოგიერთი, ყველაზე ცნობილი მაგალითი, ახლა თუკი „მალდორორის სიმღერების“ გომბეშოს დავუბრუნდებით, აშკარა ხდება მისი ანალოგია ბოდლერის ალბატროსსა თუ სტეფან მალარმეს გედთან. „გედის“ სახელწოდებით ორჯერ თარგმნილი მალარმეს სონეტი ფრანგი პოეტის 1919 წელს ქუთაისში გამოცემულ კრებულში შევიდა. ამრიგად, მალარმეს გედმა და ლოტრეამონის გომბეშომ თითქმის ერთდროულად შემოდგეს ფეხი ქართულ მწერლობაში.

III

ორიოდე სიტყვა საკუთრივ ტიციანისეულ თარგმანზე. ცხადია, იგი თარგმანის თარგმანია და, სამწუხაროდ, დედნის უშუალო ინტერპრეტაციას არ შეიცავს. შედეგი მაინც საინტერესოა იმის დასადგენად, თუ რა სახეს იძენს ლოტრეამონი ქართულად.

ერთი უნებლიე გადახვევისაგან ქართული ტექსტი თვით ენის ბუნებამ იხსნა. „გომბეშო“ ფრანგულად მამრობითი სქესისაა და ეს, როგორც ვნახეთ, მნიშვნელოვანია ძვირფასი თვლის მწარმოებელი მამალი გომბეშოსა და პოეტის სიმბოლიკისათვის. ამდენად რუსული «жаба» მთლად ვერ შეესატყვისება ამ სახეს. ქართულში კი გრამატიკული სქესის უქონლობის გამო, საკითხი თავის და თავად მოიხსნა.

სხვა მხრივ, აღსანიშნავია ტ. ტაბიძის სწრაფვა, რაც შეიძლება ერთგული დარჩეს ტექსტისა. ლოტრეამონის მხატვრულ სახეთა გაბედულ მწკრივს სავსებით ღებულობს მთარგმნელი. ყოველივე ამის წყალობით, მიუხედავად ორმაგი თარგმანისა, ქართული ვერსია საკმაოდ ახლო რჩება ფრანგულ დედანთან (ცხადია, ამ გარემოებაში თავისი წვლილი მიუძღვის შუამავალ რუსულ თარგმანსაც).

რუსული ტექსტის მიმართ მთარგმნელი ორმაგადაა დავალებული: მისი მეოხებით მას უხვად შემოაქვს ქართულში, ერთის მხრივ — გალიზმები, მეორე მხრივ კი — რუსიზმები.

გალიზმებია: გალლიუციზაცია, [illegible] სომნამბულური, დემორალიზაციის სილლოგიზმები, ასფიქსიები და სხვ. სიმბოლიზმის სამშობლო ხომ საფრანგეთია. ამიტომ გალიზმებისაკენ მიდრეკილება ნიშანდობლივი ჩანს როგორც რუსული, ასევე ქართული სიმბოლისტური თარგმანის სკოლებისათვის. ოღონდ, იმ კონკრეტულ ვითარებაში, რომელშიდაც იგი იმყოფებოდა (გავიხსენოთ თუმცა გვიანდელი, მაგრამ დამახასიათებელი წერილი ტ. ტაბიძისა სალიტერატურო ქართულის თაობაზე). ლექსიკონის გამდიდრების საჭიროების გათვალისწინებით და, კერძოდ, ევროპული სინამდვილისაკენ მათი ერთბაშად მიბრუნების ცდიდან გამომდინარე, ქართველი სიმბოლისტები უფრო ჭარბად და ბოროტადაც კი იყენებდნენ გალიზმებს, ვიდრე მათი ჩრდილოელი თანამოკალმენი.

კვლავაც ლექსიკონისა და მსოფლაღქმის „ევროპეიზაციის“ მიზნით, ქართველი პოეტები რუსიზმებს ისეთ შემთხვევაშიც იშველიებენ, როდესაც ქართულში უკვე დამკვიდრებული შესატყვისობები არსებობს. მოტანილ ტიციანისეულ თარგმანში ორი ამგვარი მაგალითია: „ტრაურული“ და „ტიულენის სახის“.

თავს იჩენენ საკუთრივ ქართული ენის თავისებურებანიც. საგრძნობია, მაგალითად, ცნება „სულისა“ და მისი დერივატების სიჭარბე: სულიერი აღელვებანი, სული უარყოფისა, სულიერი საწამლავი, სულს ღრღნიან. აგრეთვე ცნება „გული“ და მისგან წარმოებული სიტყვები: გულის წასვლა, გულის მოსვლა, გულწრფელობა. ყოველივე ეს, ამა თუ იმ ქართველი მწერლის ნებითი ჩანაფიქრისაგან დამოუკიდებლივ, გარდუვალია, და ტექსტს გარკვეულ, ქართულ თვალთახედვას ანიჭებს. ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში გადმოქართულებული ტექსტი მეტ სულიერ ამაღლებასა და გულთან მიტანილ განცდას ამჟღავნებს.

მეტყველია ამ მხრივ ქართული ვერსიის უკუშედარება ფრანგულ დედანთან. ლოტრეამონთან არც გულისა და არც სულის ხსენებაა. სამაგიეროდ, და მიუხედავად მისი პოეტური მსვლელობის ზოგჯერ მისტიური ელფერისა, საგულისხმო დაჟინებით ვლინდება „გონება“ და მისი მონათესავე ცნებები: „გონი“, „ჭკუა“, „ლოგიკა“. ამ სიტყვებზეა აგებული უფრო ფართო ცნებები და მხატვრული სახეები: „ჩემი გონება გაფართოვდა“ (ამ გამოთქმის ზუსტი შესატყვისის მოცემას თავს არიდებს ქართული ვერსია), „გონი უარყოფისა“ (ქართული „სული უარყოფისა“), „დევნილი ლოგიკა“, „წმინდა აქსიომები“...

ქართული პოეტური აღქმის ერთგული ჩანს ტიციან ტაბიძე მაშინაც, როცა იგი ტექსტის აფექტურობას აძლიერებს. ნაცვლად ლოტრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამონისეული „ვინაიდან მძულხარ“, ქართულად ვკითხულობთ: „მძულხარ შენ სამუდამოდ“.

სხვა მხრივ, ქართულ ვერსიაში დასანანია გაქრობა, დაშლა ზოგიერთი ობიექტური თუ ვიზუალური წვრილმანისა. რაც შეეხება „ზვიგენებს“, ეს გაქრობა უნებლიეა, მაგრამ მით უფრო საგრძნობი, თუ გავიხსენებთ ზვიგენის სახის მნიშვნელობასა და ხვედრით წონას ლოტრეამონის პოეტურ სამყაროში. სხვა სახის — „მიწებებული ქუთუთოები“ — გადმოტანა იქნებ გაჭირდა. გაკვირვებას იწვევს გაქრობა სახისა „უსიტყვო სასოწარკვეთის მთვრალი საათები“, ესოდენ დამახასიათებელ ეპითეტს რომ შეიცავს ფრანგული პოეზიის მთელი ნაკადისათვის, რემბოდან აპოლინერამდე, და რომლის წარმომადგენელიცაა ამ შემთხვევაში ლოტრეამონი.

IV

თუმცა ქართველ პოეტს ლოტრეამონის შემოქმედება სრულად არ გაუთვითცნობიერებია, მისი პოეზია არ დარჩენილა ტიციან ტაბიძისათვის მარტოოდენ გარეგნული, თუნდაც რომ ძლიერი რეფლექსიის საგნად, არამედ მის ლექსებშიც გაიდგა ორიოდე ფესვი. რამდენიმე გარემოება ნათელჰყოფს, თუ რით დააინტერესა ლოტრეამონმა ტ. ტაბიძე როგორც კრიტიკოსი და მთარგმნელი. ლოტრეამონი შეტანილია ცისფერყანწელთათვის ავტორიტეტულ და ტიციანისთვის სამაგიდო რემი დე გურმონის წიგნში. მაგრამ ეს არ კმარა: განა „ნიღაბთა წიგნში“ შეტანილი ფრანგი პოეტების ყველა ფრაგმენტი თარგმნა ტ. ტაბიძემ? ცხადია (და მისი გამონათქვამიდანაც ჩანს), რომ იგი მიიზიდა ლოტრეამონის პასაჟის არაჩვეულებრივმა პოეტურმა ძალამ. თანაც, ეს ძალა იმ მიმართულებით მოქმედებდა ფრანგულ პოეზიაში, რა მიმართულებითაც უნდოდათ ევლოთ მშობლიურ მწერლობაში ცისფერყანწელებს. ფილიპ სუპოდან მოტანილი სიტყვები სწორედ ამ მხრივაა საგულისხმო: ტიციანისათვის ლოტრეამონი კურიოზული შემთხვევა, ცალკე მდგომი უცნაური შემოქმედი კი არ არის, არამედ ფრანგული მწერლობის განვითარების მაგისტრალურ ხაზზე დგას, ფრანსუა ვიიონიდან და რაბლედან მოყოლებული დღემდე. ლოტრეამონში ტ. ტაბიძეს იზიდავდა აგრეთვე სიახლე მისსავე სამშობლოში ხელახლა აღმოჩენილი პოეტისა. და ბოლოს, ცისფერყანწელები ხომ არ დასჯერდნენ მარტოოდენ ფრანგული სიმბოლიზმისა და პოსტსიმბოლიზმის ათვისებას (რაც ისტორიული ჩამორჩენილობის დაფარვას უდრიდა მათთვის), არამედ უახლოესი მიმდინარეობების, კერძოდ — დადაიზმისა და სიურრეალიზმის — ათვისება და სინთეზიც სცადეს. ხოლო საამისოდ ლოტრეამონის შემოქმედება აუცილებლად და პირველ რიგში გასათვალისწინებელი იყო. აქედან გასაგებია, ტ. ტაბიძის მხრიდან, ლოტრეამონის უფრო ფართო გაცნობისა და ათვისების სურვილი. „თავად ლოტრეამონზე“ გამოცხადებული (და, იქნებ წაკითხული) მოხსენებაც, ამ სურვილს უფრო გამოხატავდა, ვიდრე უკვე რეალურად შესწავლილის შედეგს. ეს შესწავლა რემი დე გურმონის ოთხგვერდიან „ნიღაბს“ რომ გასცდენოდა, მაშინ ხომ მცდარი განსაზღვრება „თავადი“ ლექციის სახელწოდებაში არ მოხვდებოდა. მოგვიანეინტერესის გასაგებად, მაგრამ, გარდა ამისა, რომ ლოტრეამონის გაცნობაში ტიციანი რემი დე გურმონის „ნიღაბთა წიგნს“ გასცდა.

ყოველივე ზემოთქმული სამართლიანია ლოტრეამონისადმი რეფლექსურ-შემეცნებითი ინტერესის გასაგებად, მაგრამ, გარდა ამისა, ტიციანი ეგებება ლოტრეამონს როგორც პოეტი პოეტს:

დუელში მოკლულ ორეულთა დადევი გორი,
ლოტრეამონის მაინც გებრძვის შენ
მალდორორი,
მეც შენთანა ვარ ამ ბრძოლაში, ვინ
დამაკავებს?

ამ უცნაურ ტერცინას შეიცავს 1918 წელს დაწერილი სონეტი „ვალერიან გაფრინდაშვილს“. „რუბიკონში“ ლოტრეამონიდან თარგმანის დაბეჭდვამდე კიდევ სამი წელი რჩება, ხოლო „ნიღაბთა წიგნის“ გამოცემიდ-ნაც საამა წელმა განვლო. ამ ორ თარიღს შორის შუაგზაზეა ეს სონეტი, რომელიც ლოტრეამონის მიმართ ტიციანის დამოკიდებულებაში თავისებურ რუბიკონს აღნიშნავს.

შესაძლოა, იმ დროისათვის, როდესაც ტ. ტაბიძის ზემოთ მოტანილი სტრიქონები დაიწერა, უკვე არსებობდა ან იწერებოდა ვალერიან გაფრინდაშვილის „დიასების“ (ქუთაისი, 1919 წ.) დასკვნითი ლექსი, „იავ-ნანა სამგლოვიარო“, სადაც პოეტი თავის სულს მიმართავს და იმ დროს იგონებს, როდესაც

დღე მაისობდა ნორჩი, სპეკალი,
ცამ სურვილები აქარავანა.
არ კითხულობდი დაწყევლილ მგოსნებს:
ლოტრეამონს და ფრანსუა ვიონს.

„დაწყევლილი პოეტები“ — ასე უწოდა ზოგიერთ თავის თანამედროვე პოეტზე დაწერილ ნარკვევების კრებულს პოლ ვერლენმა. პ. ვერლენს არც ვიიონი და არც ლოტრეამონი არ შეუტანია თავის კრებულში „დაწყევლილი მგოსნები“, მაგრამ ვ. გაფრინდაშვილი ამ ცნებაში XV და XIX საუკუნის ორ პოეტს აერთიანებს მათი ხვედრის მიხედვით. საერთოდ ფრანსუა ვიიონის პოეზიას „ცისფერყანწელები“ უაღრესად აქტუალურად აღიქვამდნენ და მის სახელს სხვა შემთხვევებშიც ახალი დროის ფრანგი პოეტების გვერდით იხსენიებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის მაგალითი ტ. ტაბიძის კრიტიკულ ნაწერებშიც ვნახეთ.

ნიშანდობლივია ერთი გარემოებაც: ლექსი „ვალერიან გაფრინდაშვილს" დაწერილია ორპირში. თითქოს და რაო, მაგრამ ტიციანისეულ აღქმაში ლოტრეამონი და მისი გომბეშო მშობლიურ ორპირს, მის ჭაობებსა და ბაყაყებს დაუკავშირდა. ამიტომ ნათესაური კავშირი დამყარდა ტიციანის პოეზიაში ლოტრეამონის, მალდორორისა თუ გომბეშოს თითოეულ ხსენებასთან. სხვა ფრანგმა პოეტებმა უფრო საფუძვლიანი, არსებითი კვალი დასტოვეს ტიციან ტაბიძის შემოქმედებაში: ბოდლერისა და ბესიკის, მალარმესა და რუსთაველის სინთეზზე ოცნებობდა იგი, თავის მეგობრებთან ერთად გატაცებით კვლავ და კვლავ უბრუნდებოდა რემბოს „მთვრალ ხომალდს", გონებითა და სულით დაატარებდა ჟიულ ლაფორგის „კვირა დღეებს", მაგრამ მარტოოდენ ლოტრეამონს ხვდებოდა იგი შინ, ორპირში:

ლოტრეამონის მალდორორი, უშნო გომბეშო,
კოსმიურ ტალახს დასტიროდა ჩვენს
ორღობეში,
(„ორპირის სეზონი", აპრილი, 1919 წ.)

განა უცხო პოეტზე ითქმის ასე? ასე ახლობელსა და სახლიკაცზე ითქმის, რომელიც სევდასაც და წუხილსაც გჭვიგებს.

და კვლავ ღამეულ სიჩუმეში, ოცნებით ორპირისაკენ წასულს, ჩაესმის ტიციანს ის, რასაც იგი მხოლოდ თავის ტანიტს ანდობს:

დღეს თბილისში ვარ... მაგრამ ორპირი
სტირის ჩემს სულში ვაშლის ხეებად,
და მალდორორის ხმა ოქროპირი
ორივეს ერთად ჩვენ შეგვეხება.

შენ გძინავს, ამის არა გესმის რა,
იცოდე, ამ ხმამ ულვთოდ გამსრისა.
(2 აპრილი, 1926).

რარიგ ძლიერად უნდა განეცადა ტ. ტაბიძეს ლოტრეამონის სტრიქონები ანდა რარიგ მეტყველად უნდა მიენიშნათ მათ მისთვის რაღაც მძიმე წინასწარგრძნობა, რომ ამ სიტყვებით გამოეხატა პოეტს ეს შეგრძნება: „ამ ხმამ ულვთოდ გამსრისა". მაგრამ, ამავე დროს, „ორპირის ოქროპირს" ტიციანი ხომ ნახევრად ხუმრობით თავის თავს უწოდებდა და სწორედ ეს ეპითეტი, „ოქროპირი", ლუკმა პურივით გაუნაწილა მან მალდორორს (ამჯერად მასში არა ვერაგ გმირს, არამედ თვით ლოტრეამონს გულისხმობდა). მოტანილი სტრიქონები „რუბიკონში" გამოქვეყნებულ თარგმანს მოჰყვა და მასზე მუშაობის გამოძახილს, მისი შხამისაგან თავის დაღწევის წადილს შეიცავს.

ტრისტან კორბიერისაგან განსხვავებით, ტ. ტაბიძე, როგორც ჩანს, უფრო ხშირად გაზაფხულზე, აპრილში იგონებს ხოლმე გომბეშოს.

ტიციან ტაბიძის პოეზიაში ლოტრეამონის ექო გარეშე თვალისა და ყურისათვის ყოველთვის ისე აშკარა და უდავო არ უნდა იყოს, როგორც განხილულ შემთხვევაში. ამავე თემას ეხმაურება ორპირზე დაწერილი სხვა სტრიქონებიც:

მღერის გომბეშო გაუმშრალი და ოქროპირი
(გალაკტიონ ტაბიძე", 1927).

ანდა, „ორპირის ოქროპირში":

ეს არ არის სიმღერა... ეს არც ლექსია
მე თვითონ მაშინებს გომბეშოს ანექსია.
მე მინდა ვთქვა, ქართველ ხალხმა რაც
დამავალა,
მე მინდა გავხსნა მისი აწმყო და მომავალი.
(თბილისი, 1922 წ.).

თუკი აქ ლოტრეამონის გომბეშოა ნაგულისხმები, მას არ მოუხდენია ქართველი პოეტის ანექსია. და ხომ უმჯობესია კიდეც ლოტრეამონთან მცირე, მაგრამ ძლიერი და ხანგრძლივი — თითქმის ოცი წლის — ოქროპირული წილნაყრობა?

ნოდარ კომახიძე

# „ჩვენი გული თქვენდა წაიღოთ“ ანუ შეხვედრები გ. სააკაძესთან სტამბოლში

ჩემი ცხოვრება ისე აეწყო, რომ წლების მანძილზე მრავალგზის ვიყავი მივლინებული მეზობელ თურქეთში.

ეს გახლდათ დაუვიწყარი შეხვედრების, სჯა-ბაასის, ხილვისა და გაოცების, განცდებისა და შთაბეჭდილებების მთელი ჯაჭვი, შეხვედრები უწინარეს ყოვლისა წარსულთან, საოცრად ცოცხლად შემონახულ ქართულ სამყაროსთან.

რამდენი შეხვედრა აღიბეჭდა სამუდამჟამოდ ჩვენს ხსოვნაში! რაოდენ საინტერესო მასალა დაგროვდა, ღირსი იმისა, რომ უთუოდ გახდეს დაინტერესებული მკითხველის საზიარო და საკუთრება!

რამდენი მარგალიტი შემოუნახავთ ჩვენი უბის წიგნაკებს, გაელვებასავით მოკლე ხანში რომ ივსებოდა სიტყვებით, ფრაზებით, ფრაგმენტებით, ცნობებით, ნანახ-განცდილითა და მოსმენილ-გაგონილით! ივსებოდა და ხშირად გვესმოდა მოსაუბრის იკლიკანტური კითხვა:

— რას ჩხიბავ მაგ დევთერს?!

ვჩხიბავთ თქვენს კეთილ საქმეს, განძად რომ შემოგვინახეთ ჩვენი ენა ქართული, სუფთა ზნე და „სისხლით კაცობა“! განა ეს დასავიწყებელია? ვჩხიბავთ, რამეთუ ტვინი და ხსოვნა ვერ დაიტევს ყოველივეს.

დაუვიწყარია ის მცირე პასაჟები, ასევე უცვლელად რომ უნდა გადავიდეს ქაღალდზე, როგორც ისტორიული ქართულის ხელუხლებელი ნიმუში, მეტყველების ძეგლი, დატვირთული შინაარსით და თავისუფალი მწიგნობრული ზეგავლენებისაგან.

ბევრ მამულიშვილს უწერია და უკვლევია, ფილმიც გადაუღიათ და ნარკვევებიც დაუწერიათ, მაგრამ ერთი და ორი ენთუზიასტი, თუნდაც ხანგრძლივი მივლინების დროს, ყველაფერს ვერ მოიხელთებს. იქნებ გამორჩათ ზოგი რამ, იქნებ ვერ შეხვედრიან იმ საინტერესო ადამიანებს, რომელთაც სხვა შეხვდა და შეეზიარა! ამიტომ ყოველი სხვა ჩანაწერიც ისევე საჭიროა, როგორც ადრინდელი. ისინი კი არ გაიმეორებენ, არამედ შეავსებენ ერთმანეთს ენობრივი მონაცემებით თუ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ეტიუდებით.

ამიტომ ვბედავთ ჩვენი მცირე მონაპოვრის გატანას ფართო სამსჯავროზე.

●

ქართველთა სამოსახლოები თურქეთში! მათი მთა და ბარი! რამდენი მთაა და რამდენი დიდებული მონასტერი, მანათობელი, როგორც მთიები, და მტკიცე, როგორც ტინი თიები!

თიები — მთაა. უყვართ ჩვენს მოძმეებს მთა, იქნება იქიდან მაინც ვიხილოთო მამული ჩვენი!

„ჩვენი თიები თქვენი დასალანდავია. სუფთა ტაროსში კავკასია ჩანს. ზაფხულს კარჩხალის თიებზე ავდივართ და ვიყურებით თქვენდა...“

მთას კი არა, უბრალო მწვანილის სუნსა და გემოსაც საქართველოს უკავშირებენ. „ქინძი სტამბოლში არ იციან. ქინძის სუნი ჩვენი სოფლის სახლში სულ დაგუბებულია, იმდენს ვხმარობთ. ტყისპირზე ამოვა ანჯორიკაი (უთუოდ არჯაკელი, საბას ორჯოიკი, ცერცისწვერა ბალახი). თოვლი რომ აშრება, ამოყვება, ამოწვერავს, მერე არ იჭმის: იგი ნა (უნდა) მოხარშო, წურვილი ნა გააკეთო. დონდოლლოს ტყავ გადააძრობ, გაკნეტ და შეჭამ: კნატიკნუტი, კმაწიკმაწი!“

ბევრი საწუხარი აქვთ ჩვენს მოძმეებს ნახევარმთვარის ქვეშ, მაგრამ ერთი მთავარი ფიქრია ერის ბედი და გვარტომობა. ზოგან ქართული დავიწყებიათ და ამასაც დარდობენ.

„შავშეთში ორი სოფელია: ქვათეთრისი და შავქედი. მაგრამ სიტყვა ქართული არ იციან და რა ვიღონოთ?“

ჩვენდა სასიხარულოდ ვგებულობთ, რომ ბევრმა უკვე იღონა და არც თუ უშედეგოდ.

„მელენიპირში ერთი წელია, რაც დეისწავლეს ჩვენებური თვლა და სიტყვა. ადრე დანგრეული იცოდნენ: „ათ და ერთ“, „ათ და ორ“, „ათ და ოთხ“. ახლა იტყვიან: თერთმეტი, თორმეტი...“

იუსუფელის სოფელ ქობაჲს სახელიც აღარ შერჩენია ქართული, მაგრამ „გაუგებარ ქართულს მაინც ლაპარიკობენ“: „ჩვენ ვამბობთ ბარტყს, ბღარტს, ღარჭს, ისინი — ჯილბაღას“.

როგორც ფუტკრის ნაყარი უცხო ხის ამორჩეულ ტოტს, ისე ეხვევიან ქართველები იმ სოფელს, კუთხეს, სადაც ბედის უკუღმართობამ მათი წინაპრები მოახვედრა, იქაა მათი საცხოვრისიც და სამარეც.

„ჩვენებს სხვაგან არ ასაფლავებენ. აუცილებლად სოფელში, თავის მიწაში მიყავთ... მამაჩემი ორ კვირაზე მეტი ვერ დადგა სტამბოლში. მთები რომ არ იყო, უკან გაიქცა“.

საქართველოში სწავლის მიღებაზე ოცნებობენ: „საკითხავად ბალანა გურჯისტანში ნა გამოვუშვა“. ეს „ნა“ შემოკლებული სიტყვაა, მესხურადაც „უნდას“ ნიშნავს („რა ნა ქნას კაცმა?“). თურქეთში მას ხშირად გაიგონებთ.

დედის ძმას ქართველები „ტაიას“ ეძახიან, როგორც აჭარაში, ბიძაშვილს ტაიაშვილს. ქალბაღანა ცოლ-შვილია, ჩაფული — ფეხსაცმელი (ასეა სვანეთში და აჭარაშიც); ჯოლგი — ღორღი და ხრეში („ღვარმა ქვა-ჯოლგი ჩამოიტანა“), გარგანი — არგანი („ჯოხი რომ დეიბიჯგანებ“), გაფუტებული — შეშლილი, გეწანწკალები — გენაცვალები.

დაღლილზე იტყვიან მეიღალა, მოღალულიაო, მსუქანზე — კიტრივით კაციაო, კიდევ იტყვიან სვინპაი ან პომპლუციაო, კარგ ადამიანზე — გულიდან კაციაო, შინაარსიან ცხოვრებაზე — ერთი ყოფნით დიდი ძალა მოვაო.

ბობოლაი — ჭრიჭინაა, ბელლევანი — ბელელი (სადაც ფქვილს შეინახვენ და შიგ თაგვი ვერ შევა), მერეგი — სათივე, დეიხარჯა — გარდაიცვალა, ძალიანი ქათამი — ნიგვზიანი ქათამი;

მხლის ჯიშებია: სასელია, ზებედაურაი, უჩხითურაი, მარიობაი (მარიობის თვეში მოდის), ღომაი, ხეჭეჭურაი („ზამთარს მოდის“)...

რა ღრმად ჩამჯდარა ხალხის მეხსიერებაში სიტყვა, უცხო ცის ქვეშ საუკუნეებს რომ გაუძლო! ეს უკვდავებაა! ზოგი სიტყვა დღეს ჩვენში აღარ ისმის, იქ კი შემონახულა... ჩემგან ესმით სიტყვა — კაპიკი. როცა მათი შეკითხვის პასუხად ვუხსნი ამ სიტყვის მნიშვნელობას — უკვირთ, ჩვენ მარჩილს ვიტყვითო. ერთ-ორ მარჩილს ვიშოვი და ისე ვინახავ ოჯახს — ასე ამბობენ. ვეკითხები, შენი ძმა სად მუშაობს? ღიმილით მპასუხობს — ჩემი ძმა კი არ მუშაობს, ირჯება (გარჯა, გასამრჯელო), მუშაობა ხარის საქმეაო.

თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ენაში თითქმის ოთხსაუკუნოვანზა პერიოდმაც ვერ გვაგრძნობინა ანალოგიების წაშლის [illegible]. საქმე გვაქვს მშობლიურ ენასთან, შარლვიან ქართულთან. იქაც დედას — დედას და ნენას ეძახიან. დედამთილს — დედამთილს და დედას, სახლის სახურავს — ყავარს, სასიმინდეს — ნალიას, ცრემლს — კურცხალს, ხანჯალს — ყამას... იქაცაა ჭალები, „მთა ჭილყვავიანი“, ადესა ყურძენი, იქაც რატომღაც ბალღინჯოს სუნი აქვსო, ხუმრობენ, „ჭვირთავენ შეშას“, ატარებენ „ლივერს“ (რევოლვერს), იტყვიან დააკვერცხა, დააწყვედა (დაახეთქა, დაანარცხა) და სხვა. ზისამზურა (მზესუმზირა), ძლაბლი (ზღარბი), „ჭყინტლი სიმინდი“... იქაც ამზადებენ საცივს, „კერიაზე კარდალს ჩამოჰკიდებენ“, „დოში ჩაფუნჩხავენ ჭადს“, სერობენ, სეირობენ, „მუხის წკვერტებს მოჭრიან“... იქაც ეუბნება დედა შვილს: „მოდი, შვილი, ჩამეხუტე, მაკოცე!“, სოფლის წყარო — საცივია, გუთანს წკვერტულა რკინა აქვს წინ. უყვართ სიტყვა „დასტურ“ (დასტურ ლაპარაკობ ამას?). თევზაობაზე იტყვიან — „წყალში თევზს ხის ძირში ფეხით მუუჩაჩქუნეფ და შეშპება ბადეში“, ან „ტაფაზე იალს (ერბოს) დავასხამთ, იგი აწუწუნდება, მერმე პირპილას ჩავაგდებთ შით, ავაბრუნებთ-დავაბრუნებთ“.

იქაც იციან მარიამობისთვე, ენკენისთვე, თიბათვე... იქაც ისმის ჩვენი სადღეგრძელოები: „ვინც ჩვენ გველოდება, ვისაც ვენატრებით, ვისაც მამულ-დედული უყვარს, იმას გაუმარჯოს!“

„ახლა ვინც ჩვენგან შორს არიან, ჩვენზე ფიქრობენ, მეგობრები, თელი კარგათ იყვან!“

„ჩვენს შვილებს ღმერთმა სიცოცხლეში სიმწარე არ დაანახოს!“

„ჩვენი წინაურობა (წარსული) მევიგონოთ, რანი ვიყავით...“

ზემო იმერეთში ახლაც ცოცხლობს თურქული სიტყვა „ჩორბა“ (ცხელი წვენი), თურქეთში ქართველებმა ასეთი რამ მიამბეს:

„ძველი ცოლ-ქმარი, ადრე რომ იყვნენ ქორწინებისას, იმ რესტორანში წავიდნენ: ახალგაზრდობა გავიხსენოთო. ქალი ეუბნება: „გახსოვს, აქ რომ ვიყავით? როგორ ვიწოდით სიყვარულით, ორივეს გვცხელოდა. მე ახლაც ვიწვი, მცხელაო“. ქმარმა მიუგო: „ქალო, უკან გეჭწი, გცხელა და გიკვირს? ძუძუები ჩორბაში ჩაგიდვიაო!“

მრავალი სხვა საინტერესო სიტყვაც ჩაგვიწერია, მაგრამ არ გვინდა მკითხველს თავი მოვაბეზროთ.

●

ძალზე მნიშვნელოვანია ქართველთა გვარსახელი და ტოპონიმიკა.

იქაცაა რუსთავი, ნალვარევი, კოდმე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

არტანუჯში ოთხი მოზრდილი სოფელია: სამწყარო, ხერთვისი, მამაწმინდა, ხატილა.

შავშეთის იმერხევს ახლა მეიდანჯიკს ეძახიან.

მურვანეთში მურვანიძეები ცხოვრობენ, მახარეთში — მახარაძეები, ირემეთში — ირემაძეები...

„მე ირემაძე ვარ. ჩვენს სოფელს ქვია ირემეთი. აქ ვინცხა ცხოვრობს, ყველა ირემაძეა. კორტანეთი მინდიეთის უბანია, იქ კორტანიძეებია, გორიეთში — გორაძეები, თევთიეთში — თევთაძეები, ქიბორეთში — ქიბორიძეები, ქავთარეთში — ქავთარაძეები, სიმონეთში — სიმონიძეები“.

ქართული ძმობის, გატანის მაგალითად მივიჩნიე ერთი გვარ-სახელი:

„ჩვენ კრუხი გვქვია, რადგან ქართველების დაცვა, ნათესაობის მოვლა გვიყვარდა და დაგვერქვა კრუხი“. „განა გურჯებიდან სხვანაირი კაცი გამოვა?!“

დიდი სოფელია აკრია. უკან ტყე აკრავს, იმავე მხარეშია მინდიეთი, ხერთვისი, ზედვაკე, ეფრათი, ქვაბისთავი, ჩხუტუნეთი (ხერთვისის გაღმა). ამ ექვს სოფელს ერთად ქვია მაჰახელა (ქართული თოფის სახელი აქედან მოდის). აქ ღელეები ერთად იყრება. სოფელში სამი გვარია — კორტაძე, მოფრინაძე, დუმბაძე. „საზღვრამდე ასი მეტრია. სიმღერა ისმის მემლექეთიდან. იმღერეთ! ცოცხლობა იყოს თქვენი!“

ხერთვისშიც ცოცხლობს ქართული სიტყვა, ქართული სახელი, გვარი, სამკვიდრო. ასევე მამაწმინდაში, ქვაბისთავშიც, ნაჰიშკრევშიც...

„ჩვენ ერთი ადგილი გვაქვს, უდაბნო ქვია. მზე წინ-წინ მიანათებს“.

თუ სამოსახლო მცირეა, გლეხი ოხვრით იტყვის: ერთი ჰაჰვი მიწა მაქვსო; ე. ი. ერთი პეშვი, ხელის დადება! ამავე მნიშვნელობით ცოცხლობს ეს დიალექტიზმი გურიაში, ზემო აჭარაში, ლეჩხუმში, იმერხევში (ალ. ღლონტი).

„ჩვენს სოფელს აკრიას სამი მთა აქვს: დევთობანი, ნაჰიშკრევი, ჰურიპირა. მინდიეთის მთას ქვია მერეთა, ქვაბისთავის მთას ლეკობანი, ზედვაკეს მთას — ჩიკუნეთი. ჩვენს სოფელს აკრიას ოთხი უბანი აქვს: მელასათიბე, უკანატყე, ჯამიკარი, ველივაკე... მარადითის სოფლებია კინჩხულეთი, ხება (ხებარი), ძელასკური“.

„ჩვენთან ერთ ადგილს ქვია ნალვარევი. აქ უბნებია მამაწმინდა, ლომაშენი, მამანეთი“.

„ბახმაროს მთა და მისი ლექსი ჩვენშიც ვიცით. ნადარბაზევი და ნაგომვარი ჩვენი მთებია. ახლოა ის მთები“.

უდაბნოში და ნაოხარშიც ცოცხლობს ქართველი და სიმტკიცეა მისი თანამგზავრი ისტორიის ქარტეხილებში.

●

„თქვენთან მერცხალი იცის? სტამბოლში და იზმირში არ იცის. ჩვენს სოფელში კი ბევრი ბუდობს, ხალხი ძრიელ პატრონობს. საქართველოს მახარობელია მერცხალი“.

პავილიონში რომ ქუთაისის ავეჯი დაინახეს, თვალში შუქი ჩაუდგათ; „ჩვენი მობილია. მეტი აპწკენს (ბრწყინავს)!“

ჩვენი კარგი საკუთარივით უხარიათ. ეს უსიტყვოდაც იკითხება მათს თვალებში და კეთილ ქართულ გაბადრულ სახეებზე.

„ჩვენს საქართველოში რომ სტუმრის დაფასება სცოდნიათ, გიგიკვირდება! თურმე ბორჯომს დალევ და თვალებიდან წინწკლებს დაგაყრევინებს“.

წარმოსადეგი კაცია ჩვენი მოსაუბრე. მამის ამბავი გვითხრას, თუ არ შეწუხდება...

„იმფერი საქმე იქნება, შევწუხდები? მოხუცი ლამაზად ქართულაი ლაპარიკობს. 75 წლის არის. კაცმა საცხა იყოს, თავისი ენა არ უნდა დეივიწყოს. ენა თუ დეივიწყე, სისხლსაც დეივიწყებ. მოხუცი ალალი ქართველია. მამა სოფელშია, თელი სიმღერები იცის. ოთხი კაცი ყავს მობანე. აქ ცხელა, არ დადგება. ჩემი ბებია ცხემლაიდან არის (ცხემლა იცი? ხიდან ტარებს აკეთებენ). ჩემი აბიძაი ჰემ (თან) მუზიკას (თულუმს — გუდასტვირს) უკვრის, ჰემ სამობს (ცეკვავს). გიგიკვირდება ისე, სოფლად შუაში დაანთებენ ცეცხლს, ჩალის ღერს მოგოგვენ იმით და სამობენ. დავულს (დოლს) გააცხელებენ ცეცხლის ზევიდან, გამაგრდება და უმფო ხმას იძლევა“.

მოხუცებულ პავლეს ძვირფასი ქვები აქვს შენახული, ქართული წარწერებით. ზიჩის სურათები შეუნახავს სათუთად. რუსთაველი თამარს მიართმევს წიგნს. ბევრს რაიმე აქვს სახსოვარი, სიმბოლო გურჯისტანისა.

როგორ დაუცავთ მშობლიური ენა უცხო გარემოში, როგორ შემოუნახავთ ჩვენებური თქმები, ამბები, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ეტიუდები!

რა ქართულს არ გაიგონებ! სუფთას, ნარევს, გალექსილს, პროზაულს... „ნიკო, ნიკო; რაზბონიკო! შენი ჰირიმე! გულში ჰირიმე, სულში ჰირიმე, შენ გენაცვალე!“ ყურს მოკრავ სიმღერას — „კარგი იყო არ გამეცნე თავიდან“. და უმატებენ

ერთი ცხენი, ორი კვიცი
ამის მეტი აღარ ვიცი.

ან კიდევ

ბათუმი და შოჩა,
გათავდა და მორჩა.

ქართველები ერთად სახლდებიან, რომ ერთმანეთს მიხედონ.

ჩემი სიმაურს არ ჭავს აი კაცი? იგი რომ ლექსებს იტყოდა გურჯისტანზე... წელი გაუ-

კავდა. ნირს არ იშლიდა... მოუჭყაპავდით (ე. ი. უზელდით) წელსო.

აკრიელებმა ჩინებულად იციან ქართული.

„ტჭე თუა მაჭახელაში?"

„ცაი არ ჩანს! ბევრი გვაქვს წყავი. დათვებს უყვარს".

ბევრი რამ უჭირთ: გზები, სკოლები, საავადმყოფოები, შუქი, უმუშევრობა. დიდია ჯაფა და გასაჭირი.

„ჩვენს ექვს სოფელში ექიმი და სინათლე არ არის. უმუშევრობის გამო ხალხი საშოვარზე (გურბეთში) მიდის. სოფელი სამ მთას შუა ჩამალულა. ბათუმიდან 70 კილომეტრია. ადრე ფეხით 18 საათში ჩადიოდნენო დიდვანები".

მშობლიურ საქართველოს მონატრებას, საუკუნეობით აუხდენელ ოცნებას, მისი ბედისა და ენისადმი ინტერესს ძნელბედობის ნისლი ვერ ფარავს.

●

თურქეთში მცხოვრებ ქართველთა სოფლებში ფილოლოგი ბევრ საშურ საქმეს ნახავს. უნდა ჩაიწეროს ლექსი, იგავი, ზღაპარი, ანეგდოტი, ნოველა — ვიდრე დავიწყებას მიეცემა.

ჩვენ სახელდახელოდ ჩავიწერეთ ორიოდე პროზაული ნიმუში და ლექსი.

„დელმა (თურქულად სულელს ნიშნავს) კაცმა კატა გარეცხა. რას ირჯები, კაცოო? — ჰკითხეს. — მაგ კატას რა ერჩოდიო? — რავა რას ვირჯებიო! — მიუგო დელმა. — გამომეცადა ნდაო. გარეცხვაზე არ მოკტა და რომ გავწურე, მაშინ რამ მოკლაო? (თურმე ხელი მოუჭირა და სული დააშპენია)".

„ორი მონადირე. ორმა დელმა მონადირემ წერო ნახა. ეგერ წეროო! — თქვა ერთმა. ჰო, თხა არისო! — ჰო, წეროაო! — ამაზე შეიტაკნენ, ერთმანეთს დასცხეს, ხალხმა ძლივს გაარიგენ. ამასობაში წერო გუუფრინდათ".

„ჭკუანაკლები კაცი ქალაქში მიდის, ზურგით ლობიო მიაქვს გასაყიდად. უნდა იაროს თვრამეტი საათი. ჩავიდა ერთ ნაჰიეში (რაიონში). იქიდან ათი საათის გზაა ქალაქამდე. — აქ მოგვყიდე მაგ ლობიო, — ეუბნებიან. — რა გინდა იმავე ფარას მოგცემთ! კი, მარა, მერე მე რაღა ნა ვწიკოო? — მიუგო დელმა და წავიდა".

აკრიის სოფლებში, ხერთვისში თუ სხვაგან, შემორჩენილია ბევრი რამ, რაც ჩვენში დავიწყებულია. რამდენი სიტყვა, ამბავი, ხატოვანი თქმაა, სიამოვნებით რომ გამოიყენებს მწერალი! თუ საქონელი პატრონს „უხტის", „ბონდრულში არ დგებაო", იტყვიან (ბონდრული ულელია), „ხარი ბზიკობსო", „ჯიქი საქონელიაო". გლეხი კამეჩს „ბაყვზე შუუსომს ჯოხს და წავა"; მკერავი ქალი „ზუბუნაის კერავს" (ე. ი. პერანგს), და უთვალავი ახეთი თქმაა შემონახული. ახლა რამდენი ფრთიანი თქმა და ანდაზაა ჩაუწერელი! „ქარმა გაიშრი-შინა, სულ დააგო სიმინდი, დეიკრუწნება [illegible] იბადა გოგონა, ერთი დაუტაშუნე!" „ჭკვიანის ხიდის გავლამდე, დელს მთა გუდუურბენიაო" და ა. შ.

სოფლებში მრავალი მთქმელია, ბევრი ლექსი და სიმღერაც მოვისმინე. ზოგი საქართველოში ცნობილი ლექსების ვარიანტი, გამეორება ან გადამღერებაა, ბევრიც ორიგინალური.

ჩაწერილი მასალებიდან მინდა მკითხველს ზოგი ნიმუში მივაწოდო:

პარახოდი მიდის, მოდის, არა ჩერდება,
ცას ღრუბელი ემატება, ბნელდება,
გურჯისტანის ნახვა მინდა — ძნელდება...

---

აპრილო და მაისო,
მშვიდობით, ქუთაისო!
ჩვენი ლამაზი ბათუმი
ბარიშნებით გაივსო.

---

კვირადღე წასვლა მწადია,
თლად დევიარო გურია...
გურჯები ჩვენი ძმებია,
გურჯების ნახვა მწყურია.

---

მთვარე რო დეიფლასტება,
ლხინი იქნება ორწილი —
მიტყეპებული (ე. ი. კარის) მეზობლის
ოდაში არის ქორწილი.

---

ძაღლი ვარ — ძვალი მინდა,
ოხვათის ბალი მინდა...
გოგოებო, წამომყევით —
ჩემს ნენეს რძალი უნდა!

---

ორშაბათს ჯვდექ დილასა,
ვირი ჩავაბი ჰალასა,
სუას წყალი, ხრიმოს ნარი,
ეტანებოდეს ბალახსა.
საწყალობელმა რა ვიცი,
თუ ჰალას მგელი მგელობდა,
წაველ და ჩამოუარა —
თურმე ბუჩქებში ელოდა.
„ვირო, შენ ვისი ვირი ხარ?"
„თუ გინდა სიტყვა ნამდვილი,
მე ქალაქელი ვირი ვარ,
ვწიკე პლაკე და მარილი —
წიკვა ხომ ჩემი ვალია!
გინდა, მოგიტეხ პლაკიებს —
ჭამე ჩაი და ფხალია!"
მგელი:
„მე ფხალაფხულას არა ვჭამ,
ჩემ გვარს არ უყვარს ფხალია,
ჩვენი საჭმელი ხორცია,
კუდი, ფეხი და ფხარია.
მახარობელი გავგზავნოთ,
ვიხმოთ ყორანი, ყვავია,

მობრძანდნენ, გავისეიროთ,
ვაგორვოთ ვირის თავია!“
(მგელი ვირზე ჯდება)

ლალე: (სიმღერას მევლუდი იწყებს: ეო, მეო, თუ შენ გენაცვალეო)
ყირათ ცხენზე შამაჯდუმლეს,
რა ვქნათ ახლა, თქვესო!
კალოზე რომ მიმიყვანეს,
სკივრი დამიდგესო.
ხელათ ფეხი დავაბიჯე,
სკივრი გავტეხეო.
ჩაფულები რომ ჩამაცვეს,
წავეპლაკუნეო.
ას ქალში რომ დამაყენეს,
ყველას ვაჯობეო.
დედამთილმა გამაგზავნა,
ბოსტანში წადიო,
არც შაკრიფო, არც ჩატეხო,
ამომიტანეო!
გაკუქებული წაველი,
ღობეც გავქალეო,
რაც თუ მწვანილობა იყო,
თელათ დავტოტეო:
მაზლებს ფეხი ვუბაკუნე,
მული მოვფეხვეო;
დედამთილი შექერს მაჭმევს —
თითი, წავკვნიტეო.
დედამთილი კვერ მიგდებდა,
ცეცხლი ვუნელეო,
მამამთილმა გადმეიხედა,
ეგ რას ირჯებიო!
მამამთილს წვერში წავახტი,
წვერი ვაპწკილეო,
მისი წვერის ნაპწკილავი
ცაში ვაყარეო!

ხსენებულ სოფლებში არქეოლოგები არ ჩადიან, მაგრამ ძველ ქართველთა შთამომავალნი ისედაც პოულობენ სიძველის საოცარ ძეგლებს, ისევ ქართველთა ნახელავს და ნაამაგარს: წარწერიან ქვებს, ჭურებს...

„სახლების თემელს (საძირკველს) რომ ვთხრით, უზარმაზარი დერგები (ჭურები) ამოდის. სამას-ოთხასი წლის ღვინოა ხოლმე შით. მე ერთი მოვთხარე, ოთახისხელა იყო“.

„ჩვენთან ერთ მთას ქვია როინაი. წინ-წინ, მთის წვერზე დიდვანი ქვებია, მაშინდელი დარჩენილი, ძალიან ძველი. მის ქვეშ დერგების ნატეხებია“.

„ჩვენს სოფელში სამი თვის წინ უნახავთ დერგი, შიგ ექვსი კაცი ჩავიდოდა. ძველი ღვინო ყოფილა შით. იქაურობა რომ მუსლიმანი გახდა, აქ შარაფი არ გაკეთებულა, ძალიან ძველია, თქვარანდარა (თუ არა და) მერე ვინ გააკეთებდა?“

ცალკე კვლევისა და განსჯის საგანია ძველ ქართულ მიწაზე აღმართული ჩვენი ტაძრები, მსოფლიო სამშენებლო ხელოვნების უნიკალური ძეგლები, რომელთაც ბედმა და ჟამთა სიავემ მათი მშენებელი ხალხის ხვედრი გაუზიარა.

●

ქართველ მამათა სავანე სტამბოლში. ქართული ეკლესია. 1861.

დამფუძნებელი პეტრე ხარისჭარანთი (ხარისჭარაშვილი). განაგებდა სავანეს 1892 წლამდე.

ეკლესიაში ინახება ხატები წარწერებით: „წმიდაო ნინა საქართველოს მფარველო — ევედრე ჩვენთვის“; „მარიამ ღვთისმშობელო, იბერიის მოციქულო, მეოხ მეყავნა ჩვენ ცოდვილთა ქართველთა“: „ლურდის სასწაულთმოქმედი ღვთისმშობელი ქართველ კათოლიკების მონასტერში ქ. კოსტანტინეპოლს“.

ეკლესიის ამშენებელია ა. ხითარიშვილი. სავანეში დაცულია ფერწერული სტენდები საერთო გვირგვინით „გამოჩენილი ქართველები“. აქ 32 პორტრეტია: წმ. ნინოს, მირიანის, ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარის, ერეკლეს, ილიას, აკაკის, ალ. ჭავჭავაძის. გრ. ორბელიანის, რაფ. ერისთავის, ნინო ორბელიანის, ს. მესხის, მ. ბროსეს და სხვ. პორტრეტთა ამ თავისებურ გალერეაში ბოლო ადგილი პოეტ იოსებ დავითაშვილს ეკუთვნის. აქვეა იმერეთის, აფხაზეთის, ოდიშის, კახეთის, ახალციხის; გურიისა და საქართველოს ღერბები.

საკურთხევლის წინ საფლავზე წარწერა: „საფლავსა ამასა მდებარეა პეტრე ხარიჭარანთი, დამფუძნებელი ქართველთა კათოლიკე სავან მონათა და მხევალთა უმანკო ჩასახებისათა...“

სავანის უკანასკნელი (1961-1982 წლებში) გამგე იყო აწ განსვენებული პავლე იაკობაშვილი (ანდღულაძე), საეკლესიო საბჭოს თავმჯდომარე — პავლე ზაზაძე, ეკლესიის ქომაგი-მოღვაწე სერვეთ წერეთელი, სტეფანე გიორგიძე. ალფონსი ხითარიშვილი, ბენედიქტე ვარდიძე, პიო ბალიძე, შიო ბათმანაშვილი, პეტრე ტატალაშვილი... ასეთია მამა პეტრეს გარდაცვალების შემდეგ სავანის მესვეურთა თანამიმდევრობა 1889-1961 წლებში.

●

ძალზე აგვაღელვა შეხვედრამ დიდ მოურავთან, საქართველოს ეროვნულ გმირთან, ძმათა ქიშპობით განდევნილ სარდალთან, რომელიც მოშურნე გადამთიელთა ღალატით დაეცა თურქეთის მიწაზე. მისი სახე სავანის კედელზეა შემონახული, მისი სახელი კი — ქართველთა გულში.

ცხადია, ეს იყო შეხვედრა სიმბოლური, გა-

ეროვნული

მოხატული ქრისტეფორე დე კასტელის ცნობილი სურათით და ლექსით, რომლის ავტორია განსწავლული პატრი შალვა ვარდიძე:

საქართველოს ლომ-გმირი დიდი მოურავი

რა ჟამს კვდებოდა სამშობლო ჩვენი,
დიდო მოურავ, აღმოჩნდი მხსნელად,
რა ჟამს უკეთურთ, სიბნელის ძეთა
არ მოგასვენეს, გაგწირეს მსხვერპლად.

გმირო, ლომგულო, მტარვალთ მმუსვრელო,
ხმალი იშიშვლე მის დასაცველად!
რა ჟამს შეიგნო ქართველთა ერმა
აზრების ძგერა შენი გულისა,

უკვდავო, გულის საკურთხეველზედ
ნიშნად დიდებულ მომავალისა
მღალატთ სასირცხოდ, შენს სადიდებლად
აღგიგებს ძეგლსა სიყვარულისა!

10 აპრილს, 1913
შალვა ვარდიძე

როგორც ვხედავთ, პოეტური თვალსაზრისით ლექსი სულაც არ ბრწყინავს, მაგრამ მისი მნიშვნელობა უდავოა, რამდენადაც გამოხატავს განწყობილებას, სიყვარულს დიდი ეროვნული გმირისადმი. საყურადღებოა მისი დაწერისა და დაცვის ფაქტი უცხო ცის ქვეშ, ეკლესიაში, სადაც საეროთაგან მხოლოდ ქვეყნისათვის თავდადებულ ადამიანთა სახესა და სახსენებელს ინახავდნენ, ნიშნად მათი განსაკუთრებული ღვაწლისა.

პატრი შ. ვარდიძე იყო ქართველი საეკლესიო მოღვაწე, მიხ. თამარაშვილის მიმდევარი და მადიდებელი.

XX საუკუნის დასაწყისში დასავლეთ ევროპაში მოღვაწეობდნენ მკვლევარები, რომლებიც საქართველოს კულტურისა და ეკლესიის ისტორიით იყვნენ დაინტერესებული. მათ გამოქვეყნებული აქვთ საგულისხმო შრომები, მაგრამ, სამწუხაროდ, თავი ვერ დააღწიეს მრავალ სიყალბეს, რომლებიც არაქართველ საეკლესიო მოღვაწეთა შრომებში გაიპარა.

ამ მხრივ ფრანგი მკვლევარი რ. ჟანენი დიდი კეთილსინდისიერებით გამოირჩევა, სიმპათიურად უყურებს ივერიის წარსულს. ესაა ენერგიული მოღვაწე, რომელმაც ყურადღება მიაქცია ქართველთა სავანეებს უცხოეთში, გამოაქვეყნა არაერთი შრომა და მათ შორის „ქართველები იერუსალიმში“ (1913). ეს შრომა ფრანგულიდან ქართულად თარგმნა შალვა ვარდიძემ და საკუთარი კომენტარების დართვით გამოსცა სტამბოლში 1921 წელს. ჩვენს ხელთაა ამ წიგნის ფოტოპირი, ივანე ჯავახიშვილის ფაქსიმილეთი, მისივე პირადი ბიბლიოთეკიდან (ფოტოპირის თაობაზე ცნობა მოგვაწოდა აკად. პ. გუგუშვილმა, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ). ჟანენის თქმით, ქართველთა უცხოეთის სავანეებში „საუკუნეთა განმავლობაში ქართველმა ერმა ღირსეულად გამოამჟღავნა თავისი შემოქმედებითი ნიჭი და კულტურული ძლიერება“.

ჟანენის წიგნი მეცნიერული კეთილსინდისიერების, დიდი ერუდიციისა და ქართველთა მიმართ კეთილგანწყობილების შესანიშნავი ნიმუშია, საბუთი იმისა, რომ უცხოეთში „პატივს სცემენ საქართველოს წარსულ შემოქმედებას და დიდებას“. ეს ვარდიძის სიტყვებია.

ასეთი მოღვაწის აზრი დიდ მოურავზე უთუოდ საყურადღებოა და ერთხელ კიდევ წარმოაჩენს გიორგი სააკაძეს საქართველოს ერთგულ შვილად და ყველა დროის ერთ-ერთ უშესანიშნავეს სარდლად.

●

ორიოდე ნიმუში შთაბეჭდილებების წიგნიდან ჩაწერილი ქართულ ენაზე:

„ჩემი დიდი სამშობლო, შენ მაღა ხარ! შენ ლამაზი ხარ. სალამ, დიდი საქართველო! ჩემი ლამაზი სამშობლო. სალამ, ჩემი კაი ბედიენი ქართველი ძმაო! მე ერთი თქონი ძმა ვარ. ახლა ჩვენ სოფელში ასი სახლი არი. ჩვენ ქართველი ვართ. ნახვამდის, ჩემი ლამაზი საქართველო“.

„საქართველო!!! ეს რა მშვენიერი სახელია, რა თბილი თქმულებაა! დიდ ღმერთს იმიტომ ვჭერობ, რომ მეც ქართველი გამაჩინა, დამბადა. ეს ჩემი დიდი ამაყია. საქართველოს გამოფენა: მარტო ხომ ჩვენთვის საინტერესო არაა. თურქებიც და სხვა უცხო ხალხებიც გაოცებული დარჩნენ. იმიტომ, რომ ქართველი ხალხი ეროვნულად არ ეგულებოდნენ. მისი ხელოვნება, მისი კულტურა და მრეწველობა მათთვის ბნელში იყო. ეხლა ნაბიჯ-ნაბიჯ სინამდვილეს ხედავს ყველა ქვეყანა. ქართველი ხალხი დიდ ენერგიით ამაყად ცხოვრობს. მისი უძველესი მეზობლები, მრავალი სახელის ხალხები დაიხოცნენ, გაქრენ და ქართველი ხალხი დინჯათ ფეხზეა.

ვულოცავ ჩემ ხალხს წარმატებას. უფრო და უფრო უდიდეს წარმატებას. ჩვენი პირის სინათლე...

დაილოცოს საქართველო,
მისი მთები, ველები!
თუ დავჭირდე, ჩემს სამშობლოს
თავზე შემოვევლები...

„არ შეიძლება ჩემი გრძნობების აღწერა ამ გვერდებში. დიდ სიხარულით და ამაყით გნახეთ. ყოველი ერთამეთზე ლამაზი და მშვენიერია. საქართველოს წარმატებები არა მარტო აქაურ ქართველებს, ყველას აინტერესებს.

გვინდა, რომ მოხვიდეთ ხშირად და აჩვენოთ საქართველოს მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება, ფოლკლორი და სხვ.

გვინდა კიდევ, რომ ვიცოდეთ თქვენი მოხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა წინდაწინ, მაშინ შევატყობინებდით ყველა აქაურ ქართველებს. მაშინ მეტი ქართველები მოვიდოდნენ.

გისურვებთ წარმატებას, სულით და გულით, ეროვნულ და მშობლიურ საკითხებში"...

„დღეს ვარ საქართველოს გამოფენაზე. დიდი სიხარულით მივიღე დედა მიწის ჰიერი. იმედი მაქვს, რომ საქართველოს დიდობა აქ მყოფი ქართველებისათვის დიდი ძალა არის.

გაუმარჯოს ქართველ ხალხს".

●

შორია მათი ფუძე-მამული, აყვავებული მემლექეთი... და მაინც შორი არ არი: იქვეა, მკერდში, გულის გულში.

იქ, თურქეთის სოფლებში არიან ირემაძეები, დუმბაძეები, გორაძეები, ქავთარაძეები, ხიმონიძეები, მახარაძეები... იქაც და აქაც.

სადაც ისინი არიან, იქაც ყველგან საქართველოა, და არ ალმოიფხვრება არასოდეს იმ გულებში საქართველო!

„სანამ გნახავდით, სული ამომივიდა ყიაში... ეს თვე დიდი სინათლე იქნა. გაგვისრულდა სიზმარი. სულ ჩვენი სისხლის მონატრულები ვიყავით. ახლა, როცა იქაურები, ჩვენი სისხლი დავინახეთ, თლათ გევიხარეთ. ღმერთმა გურჯიშვილი თვალებიდან არ მოგვაშოროს!"

აკრიელს, მინდიეთელს, ხერთვისელს, მამაწმინდელს, ხერთვისის გადალმელს, ჩხუტურეთელს, ზედვაკისა თუ ქვაბისთავის მკვიდრთ — შორეულსა და მახლობელს ერთნაირად ახარებს ჩვენი სიმაღლე და სინათლე, სიმრავლე და სიკეთე.

„ყური შენთან მაქვს. გნახე და გევიხარე. რა მონატრებულები ვართ, გიგიკვირდება. თქვენი ცოცხლობა იყოს! რამდენი იქნებით ახლა? ბევრი უნდა დადგეთ, მაშინ კაი იქნება! ჩვენც ბევრი ვართ. თელი ძმები რო შევიყრებით ოდა ეივსება... რაცხა უნდა შორ ვიყოთ, ჩვენი გულები არნა გაშორდეს. ჩვენი გული თქვენდა წაიღოთ!"

●

ჩვენი სტუმრობით გაიფანტა ბევრი ნავსი აზრი, ორგულთაგან რომ სმენიათ ჩვენს ბედზე, ხალხის ცხოვრებაზე.

„ზოგს ძალიან სხვანაირად გონიათ, ზალჩი ირჩობიანო, გონიათ. ერთი ქება ნა (უნდა) დავწერო გურჯისტანისა".

ინტერესი თანამემამულეებისადმი ყოველ სოფელში, ყოველ ოჯახში, ყოველ ადამიანში ცოცხლობს, როგორც ტრადიცია; მე მაოცებდა მათი აქტიურობა.

„— მაჰახელელებს ძრიელ გვაინტერესებს ჩვენი ძველი გვარი და ისტორია. ასობით წლის წინათ მუსლიმანი გამხდარვართ. იმაზე წინ რა ვიყავით, არ ვიცი. გვიამბე ჩვენი საქმე. რა ბედია იქ? დედა ანბობს: კაი ფეხისა გამოდექით თქვენ. გვითხარით თქვენი კაი ამბავი. თქვენ ბევრი დაგვაფასეთ ჩვენ...

— დიდი ოჯახი გქონიათ.

ყოველ ღამე აქ ვგროვდებით თელი ძმები, რადგან დედა ჩემთან არის.

— მამაც ხომ ქართველია სულით?

— სულით და ხორცით, მაშ ვინ იქნება? ქალი გურჯისტანში გავაგზავნე და ნენაი მარტოა...

— მალე წავალთ და იქ ვნახავთ.

— თქვენი წასვლა ერთი კუთხიდან მიხარია, ქალბალანას დეინახავთ. მეორე კუთხიდან მწყინს.

— ჩვენც გვაწუხებს განშორება.

ხომ მოხვალთ კიდევ? შვილის ქორწილში ნა დაგპაიჯო. ჩამოხვალ?"

— აუცილებლად...

— ჩვენი სიამაყეა სისხლით კაცობა. დაგვილამდეს უნდა? არა! ვინც არ უნდა დაგვწყევლოს, არ გვეშინია, არ წეგვეწევა. ღმერთმა გაცოცხლოს! იხაროს ჩვენმა საქართველომ!

— რას დამაბარებთ?

— დიდი, დიდი სალამი ყველას! სიცოცხლით იყავით, ძმებო!"

გვესმის და გვჯერა: არ ალმოიფხვრება ქართველთა გულში საქართველო! ამისი მოწმობაა 300-400 წლის წინ დედის კალთიდან მოწყვეტილების, შთამომავალთა მეტყველება, მეხსიერებაში მტკიცედ აღბეჭდილ — ჩადუღაბებული გვარ-სახელი, ადგილთა სახელი, და რაც მთავარია, წეს-ჩვეულება და სულისკვეთება.

იზმირი-სტამბოლი-თბილისი. 1983

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ წივწივაძე

# „ჯვარს ეცვი, თუ გინდა, საშველი არ არის...“

მავანნი თავიანთ სუსტ ნაწარმოებებს იმდენ დროსა და ენერგიას რომ ახარჯავდნენ, რამდენსაც შემდეგ მათ დაცვას ანდომებენ, ვინ იცის, იქნებ ოდნავ უკეთესადაც გამოსვლოდათ...

ფრიდებერტ ტუგლასი — ესტონელი მწერალი

როცა ჩემს წერილს („კრიტიკა“ № 4, 1984 წ.) ვწერდი, რა თქმა უნდა, არც იმას გამოვრიცხავდი, რომ შეიძლება ვინმეს ეპასუხა, მაგრამ ის კი არ მეგონა, ეს „ვინმე“ თავად ავტორი თუ იქნებოდა.

ყოველ შემთხვევაში, ასე რომ არ მომხდარიყო, გაცილებით აჯობებდა, რადგან საკუთარი ნაწარმოების დაცვა, როგორც ეპიგრაფიდანაც დავრწმუნდით, ცოტა უხერხულიც ყოფილა.

ყოველივე ეს პატივცემულ მწერალსაც უგრძვნია და ამ უხერხულობაზე თავადაც წუხს:

„რაკი თავზე ნაცარი წავიყარე, ამ წერილს პირადად მე, რომანის ავტორი ვწერ და არა სხვა ვინმე“-ო...

პატივცემული მწერლის საქციელი — თავზე ნაცარი რომ წაუყრია, ჩემი განსასჯელი არ არის. მე იმაზე უნდა ვაგო პასუხი, მკითხველს არ შეაყაროს თვალში ნაცარი.

●

„თუ მარტოოდენ ასაკს გავყვებით, ორმოცს მიტანებული ჩვენი თავცეცხლა „ჯვარცმული“ თ. წივწივაძე ხშირი წვერითა და ყურებზე გადაგრეხილი ულვაშებით დღესაც ვერ დაიკვეხნის...“

ეს სიტყვები ეკუთვნის მწერალს, რომელიც „აწონილი სიტყვის“ ავტორია!

მისი დამბეჭდავი რედაქტორი არის ავტორი წიგნისა „ზომიერების გრძნობა თანამედროვე ქართულ კრიტიკაში“.

ბევრ სხვა რამესთან ერთად, გულსატკენი ისიც არის, რომ ამ თემაზე მათგან დაცინვას ნაკლებად ვიმსახურებ. ვისაც პატივცემული მწერლისთვის და უფალი რედაქტორისთვის ერთხელ მაინც მოუკრავს თვალი, შემჩნეული ექნება, თმის საქმე (თავზე ვგულისხმობ!) არც ისე აქვთ აყურში მოყვანილი, რომ სხვებს დასცინოდნენ!

მაგრამ ასეც რომ არ იყოს და ეს ბუნებრივი ნაკლი მომეტებულად გამაჩნდეს, ამ სერიოზულ ხალხს, ჩემი თმის სიგრძით რომ დაინტერესებულან, მეტი საქმე არაფერი აქვთ?!

ამ მძიმე წუთებში ისღა მამშვიდებს და ის მგვრის მცირეოდენ შვებას, რომ პატივცემული მწერალი, როგორც ყოველთვის, არა მარტო უპასუხისმგებლოდ, უყურადღებოდაც იქცევა — სტილურ თუ ფაქტობრივ შეცდომებს აქაც უშვებს!

„ორმოცს მიტანებული“ ერთი სიტყვაა და ერთად უნდა დაეწერა!

ამის გარდა, ჩემი არც ასაკია ზუსტად მინიშნებული და არც თმის ფერი!

სათაურიც ვერ მოუზომავს პატივცემულ მწერალს, ცოტა უფრო მკვეთრი გამოსვლაა, ვიდრე ამას მე ვიმსახურებდი:

„ლიტერატურული ტერორიზმის ალსაკვეთად“ (!).

ამისმაგვარ სათაურებს ჩვენი პერიოდული პრესა ოცდაათიან წლებში ხმარობდა. მაგრამ, ეტყობა, მაშინ ამ საქმისთვის უფრო გამოცდილი რედაქტორები გვყავდა და ზომაზე მეტად მძაფრ სათაურს რუბრიკასაც შესაფერს ურჩევდნენ. მაგალითად, ასეთს:

მოღალატის ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს!

მთლად ასე არა, მაგრამ ჟურნალ „ცისკარში“ დასათაურებულ რევაზ ჯაფარიძის წერილს — „ლიტერატურული ტერორიზმის ალსაკვეთად“ — ნამდვილად დაშვენდებოდა რუბრიკა:

კრიტიკოსის ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს!

მსგავსი შინაარსის შემცველი რუბრიკის გარეშე პატივცემული მწერლის შემოთავაზებული სათაური, სამწუხაროდ, მთელ თავის „მომხიბვლელობას“ ჰკარგავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის გარდა, აუცილებელია ისიც ვიცოდეთ, ვიდრე პატივცემული მწერალი ლიტერატურული ტერორიზმის ალხაკვეთად ხმას აღიმაღლებდა, იქამდე ყოვლად უწყინარი ლიტერატურული კრიტიკის წინააღმდეგ გაილაშქრა.

მართალია, საკუთარი ნაწარმოების დაცვის მიზნით გაილაშქრა, მაგრამ გაილაშქრა თავგანწირვით, პოზიციის დაუთმობლად!

ყოველივე ამას კი საკუთარი მწერლური კეთილდღეობისათვის აკეთებდა!

მაგრამ ჯერ ისაა საინტერესო, გამოუქვეყნებელი მასალის წინააღმდეგ რომ იბრძოდა, რა იცოდა, რა ეწერა იმ წერილში?

მერედა, რისი ეშინოდა?!

თუ სამართლიანად გააკრიტიკებდნენ, ეს საკუთარი რომანის შემდგომ სრულყოფაში დაეხმარებოდა, თუ არა და, არაობიექტური კრიტიკა ხომ თავად მის დამწერს ჩააგდებდა უხერხულ დღეში?!

ძნელი დასაჯერებელია, რომ პატივცემული მწერალი წინასწარ იმისთვის ზრუნავდა, ჩემმა რეცენზენტმა სირცხვილი არ ჭამოსო!

●

ბოლოს ყველაფერი მაინც ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო: დაიბეჭდა წერილი!

იქ გაირკვა, რომ წერილში მკაცრად არის გაკრიტიკებული ავტორიტეტული მწერალი. ჩვენში ეს რომ იოლი საქმე არ არის, დავიმოწმებ კრიტიკოს ჯ ა ნ ს უ ღ ღ ვ ი ნ ჯ ი ლ ი ა ს, იმ ჟურნალის რედაქტორს, სადაც გაკრიტიკებული მწერლის პასუხი დაიბეჭდა:

„ავტორიტეტული მწერლების ბარიერი ერთ-ერთი დიდი დაბრკოლებაა ქართული კრიტიკული აზროვნების გზაზე. ამ ბარიერის გადალახვისა თუ მოშლის საქმე სერიოზული რიგის ამოცანაა. თანაც, გადაუდებელი და საშური საქმეა“.

მშვენიერი აზრია!..

მაგრამ, დიდი ილიასი არ იყოს, რამდენად უფრო მშვენიერია, იმდენად უფრო მიკვდება გული... საქმე ის არის, როცა მე სიმწრით, ამდენი დავიდარაბის შემდეგ მოვახერხე და ავტორიტეტული მწერლების ბარიერს საძირკვლიდან ერთი ქვა გამოვაცალე, პატივცემულმა რედაქტორმა გაკრიტიკებული მწერლის სრულიად შეუმოწმებელი (ეს რომ ასეა, ქვემოთ დავრწმუნდებით!) პასუხის დაბეჭდვით ეს ბარიერი უფრო დიდი ლოდით გაამაგრა!

ამასაც არ დავიჩივლებდი, ქართული კრიტიკის ბედით მასავით რომ არ ვიყო დაინტერესებული.

„კრიტიკული აზროვნებისათვის არ უნდა არსებობდეს გაუკრიტიკებელი მწერლები (ე. წ. ავტორიტეტული მწერლები). ჯერ ერთი, კრიტიკა აუცილებელია თვით ამ მწერლებისათვის, რადგან 'განუკითხავი ქება (კარგისა და ცუდისა), ადუნებს მათი ავტორის შემოქმედებით ძალებს და საბოლოოდ უკმარისობის გრძნობისაგან განმუხტული, იგი სუსტ მწერლად ყალიბდება“.

რაკი პატივცემულ კრიტიკოსს მიაჩნია, რომ „კ რ ი ტ ი კ ა ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა ა მ მ წ ე რ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს“, რადგან „განუკითხავი ქება ადუნებს მათი ავტორის შემოქმედებით ძალებს“, აქედან გამომდინარე, მე დახმარების ხელი გამიწვდია „მძიმე ჯვრის“ ავტორისათვის, რომ იგი „დროთა განმავლობაში სუსტ მწერლად არ ჩამოყალიბდეს“. ჯანსულ ღვინჯილიას კი, ალბათ, უნებლიეთ, ხელი შეუწყვია ამ პროცესის დაჩქარებისათვის!

ამის გარდა, რადგან კრიტიკოსს მიაჩნია:

„როდესაც ხელყოფისაგან ვიცავთ ერთს და მეორის პრესტიჟს კი გულგრილად ვეპყრობით, ჩვენდა უნებურად იმ ცილისმწამებლის დონეზე ვეშვებით, კულტურით მასსვე ვუთანაბრდებით“.

სამწუხაროდ, მე საკმაო საფუძველი მაქვს ვიფიქრო, რომ ეს გათანაბრება მწერალსა და რედაქტორს შორის უკვე მოხდა! ამას მაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ისინი, ხელიხელჩაკიდებულნი, ჩემს ლიტერატურულ პრესტიჟსაც „გულგრილად ეპყრობიან“ და პიროვნულ შეურაცხყოფასაც მაყენებენ!

„თუ მარტოოდენ ასაკს გავყვებით, ორმოცს მიტანებული ჩვენი თავცეცხლა „ჯვარცმული“ თამაზ წივწივაძე ხშირი წვერითა და ყურებზე გადაგრეხილი ულვაშებით დღესაც ვერ დაიკვეხნის...“

„რეცენზენტი არ ცხრება... პირზე იქედნური ღიმილით გადმოგვცემს რომანის სიუჟეტს...“

„რით განსხვავდება ეს ცინიზმი იმ ცინიზმისაგან, გოლა-ფაშას პირუტყვულ წადილს რომ უდევს საფუძვლად?“

„შეიძლება ამაზე შორს წავიდეს ცინიზმი, უხამსობა და ღვარძლი, რომელიც არა მარტო ერთი „ცალკე აღებული“ მწერლის, არამედ მთელი ლიტერატურის წინააღმდეგ არის მიმართული?“

„ახლა ამაზე ქირქილებს ჩვენი „ჯვარცმული“, ქუდი ჩაუკეცია და ბუქნას უვლის, ბილწი კი არა, ის არ გინდათ?“

„აბა, ის ოდესმე წარმოიდგენდა, რომ ვინმე ამის გამო სამარცხვინო ბოძზე გააკრავდა და საფურთხებლად გახდიდა?“

„აღარც ჩვენს „ჯვარცმულს“ მიეცემოდა 'ზესაძლებლობა მისი სრული არარაობა ემტკიცებინა, აღარ დასჭირდებოდა იქედნური ქირქილი...“

„...წამოიძახებს ჩვენი „ჯვარცმული“. აი, თურმე მას რა აინტერესებს... ლობის ძირას ქვებს ეძებს, რომ ავტორს ესროლოს“.

„...შეიძლება თუნდ ერთი კაცი გამოირჩეს, ვისაც ის ბინძური ეჭვი დაებადება, ჩვენს პატივცემულ „ჯვარცმულს“ რომ აწვალებს?“

„აქ „ჯვარცმული“, ეტყობა, ზედმეტად ღელავს. გარს სექსუალური ილუზიები შემოსჯარვიან“.

„თ. წივწივაძეს ეცოტავება რომ „მძიმე ჯვრის“ გამო მის ავტორს თავზე ლაფს ასხამს...“

„ხომ არ გაირჯება თ. წივწივაძე და არ გვიბრძანებს, რა „შეშვენის“ „კულტურული ქვეყნის“ კრიტიკოსს... სხვათა მიერ აღიარებულ რომანზე მსჯელობის დროს? დინჯად, აუჩქარებლად... უნდა განიხილოს ნაწარმოების ავ-კარგი თუ უწმინდურობით სავსე ორმოს უნდა მოხადოს თავი და ავტორიცა და მისი ნაწარმოებიც სიბინძურეში ამოავლოს?“

„გავყვეთ კიდევ? ვაჩვენოთ ისიც, რა მალაყებს გადავდივართ ხრესილის ომის ამსახველი ეპიზოდების გაქილიკებისას? ვგონებ, აღარ უნდა იყოს საჭირო...“

მართლაც, „ვგონებ, აღარ უნდა იყოს საჭირო“ მსგავსი შეურაცხმყოფელი ციტატების კვლავ მოტანა, ამას ალბათ ის აჯობებს, ადრე ნათქვამი ახლაც გავიმეოროთ:

ამ სიტყვების დამწერი კაცი „აწონილი სიტყვის“ ავტორია!..

მისი დამბეჭდავი რედაქტორი კი ავტორია წიგნისა — „ზომიერების გრძნობა თანამედროვე ქართულ კრიტიკულ აზროვნებაში“.

რაკი მე ნებაყოფლობით ვიდე თავს ავგიას თავლის დასუფთავება, ეტყობა, ბოლომდე უნდა მოვითმინო...

ოღონდ ერთს კი ვკითხავ პატივცემულ რევაზ ჯაფარიძეს, სხვათა შორის, მისივე სიტყვებით ვკითხავ:

„... სადა ვართ? რის დამტკიცებას ვლამობთ? ნუთუ ეს ყოველგვარ საფუძველს მოკლებული და უწმაწური ლანძღვა-გინება შეიძლება პირიდან ამოუვიდეს სერიოზულ ლიტერატორს, ვინც ოდნავ მაინც პატივს სცემს თავის მწერლურ ღირსებას და მკითხველს? ეს ვასწავლოთ ახალგაზრდობას, ამ ზნეობრივი მაგალითით წარვუძღვეთ წინ...“ („აწონილი სიტყვა“).

●

მოხდა ისე, რომ სრულიად მოულოდნელად გააკრიტიკეს ავტორიტეტული მწერალი რევაზ ჯაფარიძე!

ჩვეულებრივ ლიტერატურულ ატმოსფეროში ეს ფაქტი იმდენად ბუნებრივად ჩაითვლებოდა, რომ პროფესიონალი მკითხველის გარდა არავინ დაინტერესდებოდა.

ჩვენში კი ყოველი რიგითი კრიტიკული გამოსვლაც უჩვეულო გამოხდომად აღიქმება.

ამ თითქმის უმნიშვნელო ამბით რომანის ავტორიც განცვიფრებულა!

„ასე მოევლინა ქვეყნიერებას სენსაციური სათაური „მძიმე ჯვარი და ჯვარცმული მკითხველი“-ო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორმალურ პირობებში და ნორმალურ ვითარებაში რატომ უნდა იყოს ჩვეულებრივი კრიტიკული წერილის დაბეჭდვა სენსაციური?

ანდა: რა ქვეყნიერებას გადასწვდებოდა იმ ალმანახის ფურცლები, სამ თვეში ერთხელ რომ გამოდის და ისიც ძალზე მოკრძალებული (3000 ცალი!) ტირაჟით?

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ავტორიტეტულმა მწერალმაც კარგად იცის, მაგრამ სიმართლე ხელს არ აძლევს! — ურჩევნია მისი გაკრიტიკება რაღაც უფრო დიდსა და მნიშვნელოვანს დაბრალდეს, ვთქვათ, საგანგებო შეთქმულებას, და არავითარ შემთხვევაში იმას, რომ იგი ჩვეულებრივ ვითარებაში მხოლოდ იმისთვის გააკრიტიკეს, რომ სუსტი ნაწარმოები დაწერა!

იწყება მიზეზთა კვლევა და საოცარი ისაა, რომ ამ საქმეში მთელი ლიტერატურული რესპუბლიკა მონაწილეობს!

სანამ ამას გაარკვევდნენ, რასაკვირველია, პირველი მეხი იმ ჟურნალის რედაქტორს დაატყდება, სადაც წერილი დაიბეჭდა!

ასეც მოხდა!

„წლების განმავლობაში გ. გვერდწითელი თავს არიდებდა ამ სტრიქონების ავტორთან პირდაპირ, პატიოსან პოლემიკას. როგორც ჩანს, მაქსიმალურად მომგებიანი დროის დადგომას ელოდა — ეს დროც დადგა. იგი ალმანახ „კრიტიკის“ რედაქტორად დანიშნეს...“

მთავარი შეთქმული გამოაშკარავებულია!

მაგრამ იმხელა საქმისთვის, როგორიც რევაზ ჯაფარიძის გაკრიტიკებაა, მარტო ის არ იკმარებდა! ძაღლის თავი სხვაგან არის საძებარი!

„კრიტიკოსი-რედაქტორი აქაც წინდახედულად მოიქცა — თავად უკან დადგა, ობიექტური კრიტიკის დროშაააფრიალა და ალმანახის ტრიბუნა... სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიზეზით განაწყენებულ სხვა პირებს დაუთმო“.

ცხადია, „განაწყენებულ პირებში“ ჩემი ჩასმა პატივცემულ მწერალს გაუჭირდებოდა, რადგან ჩვენი ურთიერთობა აქამდე ისე წარიმართა, რომ ერთმანეთთან კარგი სალმის მეტი არაფერი გვაკავშირებდა!

ამიტომ ამ საქმისთვის სხვაგვარად უნდა მოევლო. ასე გაჩნდა იდეა — ჩემთვის დაქირავებული კრიტიკოსის მუნდირი ჩაეცმიათ!

„ეშმაკს არ ეძინა, ერთი გაუთვალისწინებელი შემთხვევა მაინც მოხდა; საგანგებოდ მოწვეულ ავტორს, პასკვილებზე დასპეცებულ თამაზ წივწივაძეს დროზე ვერ ურჩიეს, თავისი განზრახვა სათაურში არ გამოემჟღავნებინა. ის ნელნელა უნდა შეეპარებინა მიმნდობი მკითხველი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხთვის და ნალარა არა თავში, არამედ ბოლოში დაეცა!"

ეტყობა, გამოუცდელობის ბრალია, რომ დროზე ადრე დავტოვე სანგარი!..

პატივცემულ მწერალს კი მკითხველის შეცდომაში შეყვანის გამოცდილება აქამდეც ჰქონია — ნელ-ნელა უნდა შეეპარებინა მიმნდობი მკითხველისათვის და ნალარა არა თავში, არამედ ბოლოში დაეცა!

რომანის ავტორმა ჩემი „მორალური სახე" თუმცა არასასიამოვნო კუთხით წარმოაჩინა, მაგრამ თვად ის ფაქტი, რომ მე „საგანგებოდ მომიწვიეს" ავტორიტეტული მწერლის „დასამხობად", ჩემს ლიტერატურულ შესაძლებლობებს რამდენადმე ფასს მატებს!

რასაკვირველია, უნიჭო კაცს ამ საქმისთვის არ დაიქირავებდნენ!

უნდა ვიფიქროთ, საგანგებოდ მოწვეული კრიტიკოსი საგანგებო პირობებსაც მოითხოვდა — ადვილად არაფერზე დათანხმდებოდა!

შეთქმულებს იდეალური ატმოსფერო შეუქმნიათ:

„ა, ბატონო, ბურთი და მოედანი! ალმანახის კარი ღიაა, საჭირო გვერდების რაოდენობა განუსაზღვრელი, მიდი და დაამტკიცე, თუკი რამე შეგიძლია!"

ეტყობა, მართლა ბევრი რამ დავამტკიცე! ისიც კი მოჩვენებიათ, შესრულებული სამუშაო ერთი კაცის შესაძლებლობებს დიდად აღემატებაო და ეჭვი კონსულტანტებზე მიუტანიათ!

„ჭირს, სწორედ რომ ჭირს კამათი სტატიის ავტორთან და მის ინკოგნიტო კონსულტანტებთან".

და ყველაფერი ეს მარტო იმისთვის კი არ კეთდება, რომ პატივცემული მწერლის ერთი კონკრეტული ნაწარმოები დაიწუნონ, თურმე შეთქმულებს უზურში სხვა რამ ჰქონიათ — პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით თავად მწერალი დაამხონ!

ამ მიზნის მისაღწევად „ლიტერატურული ტერორისტები" შანტაჟსა და პროვოკაციასაც არ ერიდებიან!

„არის თუ არა ეს აშკარა პროვოკაცია..." მკითხველის დარწმუნებას ცდილობს პატივცემული მწერალი და ამ ეჭვს უფრო ამძაფრებს:

„რაკი რევაზ ჯაფარიძე ამოჩემებულად არ მოგვწონს და ქართულ ლიტერატურაში ზედმეტ ადამიანად მიგვაჩნია, გადავაქციოთ ბავშვის ნაბანი წყალი და ბავშვიც თან გადავაყოლოთ?

ვაგლახ, რომ ეს ყველაფერი საქართველოში მარტო თ. წივწივაძეს და გ. გვერდწითელს არ ეკითხება, სხვებიც აცხადებენ პრეტენზიას".

ეს კი მეტისმეტია! პატივცემულ მწერალს ეჩვენება, რომ წინ ნახევარი საქართველო გადადგომია!

აი ლეგენდა, გაკრიტიკებულმა მწერალმა საკუთარი უმწეო ნაწარმოების დასაცავად რომ შექმნა!

. . . . . .

მე კი ახლა ვრწმუნდები, ჟურნალის რედაქტორებს წინასწარ ჰქონდათ ამოცნობილი, რასაც გაკრიტიკებული რევაზ ჯაფარიძე მოიმოქმედებდა და ამიტომაც იყო, ჩემი საცოდავი წერილით კარდაკარ დიდხანს რომ მატარეს...

●

თავის საპასუხო წერილში პატივცემული მწერალი არ მალავს ჩემდამი დამოკიდებულებას და ხელიდან არ უშვებს შემთხვევას, როგორმე უპატივცემულოდ მომეპყრას.

„თ. წივწივაძე... ქირქილის გუნებაზე დამდგარა",

„ახლა ამაზე ქირქილებს ჩვენი „ჭვარცმული", ქუდი ჩაუკეცია და ბუქნას უვლის".

„...რა გამოგვიჩნდა მორიგი სამასხარაო?"

„...ღობის ძირას ქვებს ეძებს, რომ ავტორს ესროლოს".

„აქაც ოხუნჯობს ჩვენი „ჭვარცმული".

„რა ვქნა, როგორ წავართვა ლაზლანდარებს ჩემი ქუდი..."

რა თქმა უნდა, სასიამოვნო არ არის, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ეს დამამცირებელი სიტყვები გესმოდეს, მით უფრო, როცა თავი ლიტერატორი გგონია და ქუჩის მასხარად გამოყავხართ, მაგრამ ჩემი ხანმოკლე ლიტერატურული ცხოვრება ისე აეწყო, ისე შევეჩვიე ყოველივე ამას, რომ არც მიკვირს, „ეს რა ხმები ესმის ჩემთა ყურთა...".

ესეც არ მაკმარეს, კიდევ უფრო გასამასხარავებლად ნაუცბათევი სახელიც შეურქმევიათ ჩემთვის:

„ჭვარცმული მკითხველი", სათაურში რომ ზარ-ზეიმით მოვიხსენიე, მე თავად ვარო! კეთილი და პატიოსანი. ვის წაართმევ უფლებას, თავის თავს ის დაუძახოს, რაც გაეხარდება? მეც ნუ დამძრახავს და ნუ მიწყენს, თუ ქვემოთ ამ სახელით მოვიხსენიებ, უფრო მოკლედაც, ადგილის დაზოგვის მიზნით მარტო „ჭვარცმულს" ვუწოდებ, რადგან მარჯვე სახელია, მოკლეც არის და პატრონის კამათის ფორმასაც ზუსტად მოუხდება".

სულ ტყუილად შიშობს პატივცემული მწერა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი — ნუ დამძრახავ და ნუ მიწყენო. როდის ყოფილა, მე ვინმე დამეძრახოს ან ვინმესგან რამე მწყენოდეს. ახლა კი მით უფრო უნდა მიხაროდეს — დიდი ქართველი მწერალი ნათლიად მომეკიდა!

თუმცა ისტორიული რომანის ავტორს ისიც უნდა მოეხსენებოდეს, რომ აქამდე ქრისტიანულ სამყაროს ერთადერთი ჯვარცმული ჰყავდა — უფალი იესო!

ამიტომ ამ თემაზე და ამ საგანზე ამგვარი „ხუმრობის“ უფლება თავისთვის არ უნდა მიეცა!

სხვათა შორის, ტყუილად ჰგონია პატივცემულ მწერალს, რომ „ჯვარცმული“ სალანძღავი სიტყვაა. ამ საკითხთან დაკავშირებით, ნება მომეცით, დიდი ილიას აზრი მოგახსენოთ.

„მოდით და იმისი გაბუტვა და თვალთა ბრიალი აიტანეთ, ვისაც ნაწერი დაუწუნეთ, თუნდ საბუთიანადაც. რომ გამკითხველს გაკითხული მტრად გადაეკიდება და ეცდება სხვასაც გადაჰკიდოს... ამას უნდა თუ არა გაძლება? განა ჯვარცმა არ არის ახეთი გარემოება კრიტიკოსისათვის!“

უმორჩილესად ვთხოვ ჩემს ძვირფას ნათლიას, ნება დამრთოს ამ კუთხით მცირე სამსახური მეც გავუწიო. რაკი ახალი სახელის შექმნის მექანიზმი მასწავლა, ჩემგანაც ამ სამსახურის გაწევა ძნელი არ არის.

პატივცემული მწერალი ერთგან წერდა: „*რაკი თავზე ნაცარი წავიყარე*“.

აქედან ახეთი სახელი გამოვა: *თავზენაცარწაყრილი* პატივცემული მწერალი...

თუ ეს გრძლად მოგვეჩვენება, „*ადგილის დაზოგვის მიზნით*“ პირდაპირ „*ნაცარწაყრილის*“ დარქმევაც შეიძლება!

აი, ნახეთ რა სხარტად და მოკლედ გამოვა!

„*ნაცარწაყრილ*“ მწერალს ძალიან მოსწონს საკუთარი რომანი!..

„*ნაცარწაყრილი*“ ჩემი კრიტიკით უკმაყოფილოა!..

●

კი შევპირდით, რომ ასე მოვიქცეოდი, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, დანაპირების შესრულება გამიჭირდა. ყოველ შემთხვევაში, მე ამას ვერ შევძლებ! რადგან სხვისთვის შეურაცხყოფის მიყენება *ჩემთვის ბუნებრივი საქციელი ვერ იქნება*. ამას კიდევ ის მირჩევნია (როგორც არაერთხელ უქნიათ), ისევ აქეთ მლანძღონ.

ამიტომ რევაზ ჯაფარიძე ჩემთვის ისევ პატივცემულ მწერლად დარჩება, როგორც აქამდე იყო.

●

ალბათ, გიკვირთ კიდეც, თავის მართლებას რომ არ ვჩქარობ. ამას გარკვეული მიზეზი აქვს. ჯერ ერთი, პატივცემული მწერალი თავისი წერილის მთელ სიგრძეზე მხოლოდ მიყვირის და ძნელი გასაგები ხდება, რაში მადანაშაულებს.

მეორეც, რაკი ამ ყვირილზე გული არ გამისკდა და აზროვნების უნარიც შემრჩა, სულაც არ არის ძნელი (ამაში მალე დარწმუნდებით), ყველა იმ ნაძალადევი ბრალდებისაგან თავი რომ დავიცვა.

მორჩილად ვხრი თავს და ქვემოთ შევეცდები, აღვიდგინო პატიოსანი კაცის სახელი. ამასთან, რაკი პატივცემული მწერლის აზრით, „*დაქირავებული თავდამსხმელი*“ ვარ, შევეცდები, ჩემს „ბუნებას“ აქაც არ ვუღალატო და, ზოგი ბრალდების გაბათილების შემდეგ, ცოტა იქითაც შევუტიო!

●

თურმე ნუ იტყვით, გაოცებულია პატივცემული მწერალი, ქართულ მწერლობაში „მძიმე ჯვრის“ გამოქვეყნებამდეც არსებობდა ამ სათაურის მქონე ნაწარმოები და, მერე ოდნავ გამოწვევითაც, გვეკითხება:

„*ხომ არ გვიბრძანებთ, სად არის ის ნაწარმოები? ავტორი არა ყავს? ასე ყველამ როგორ დაივიწყა, რომ მხოლოდ ჩვენს „ჯვარცმულს“ ახსოვს?*“

რასაკვირველია, სწორი არ არის ამის თქმა — ასე ყველამ როგორ დაივიწყაო. რაკი პატივცემულმა მწერალმა იმ წიგნის სათაური გადმოწერა, *ხსომებია კიდეც*! ამის გარდა, ყველას რომ დავიწყნოდა, მაშინ აღარც მე მეცოდინებოდა, რადგან ეს ამბავი იმათგან ვიცი, ვისაც დღესაც ახსოვს!

ის ნაწარმოები ახლა სად არის, ამდენი არ ვიცი! ის კი ვიცი — *მისი ავტორის ხსენება გარკვეულ მიზეზთა გამო რომ არ შეიძლება*!

რა თქმა უნდა, ეს კარგად იცის პატივცემულმა მწერალმაც და იმიტომაც გაბედულად სვამს კითხვას — „ხომ არ გვიბრძანებთ, სად არის ის ნაწარმოები? ავტორი არ ყავს?“

სამაგიეროდ, სხვა ავტორს დავასახელებ, ვისი სათაურითაც დავალებულია თქვენი ნაწარმოები! მისი სახელი და გვარია *ლეონჰარდ ფრანკი*! თუ „გვიბრძანებს“ რევაზ ჯაფარიძე. მამის სახელსაც მოვახსენებთ!.. მოთხრობას კი ჰქვია „*ჯარისკაცის ქვრივი*“.

„ეს რომ წავიკითხე, მართალი მოგახსენოთ, შევწუხდი და მაშინვე უნივერსალური ცნობარი „დიდი საბჭოთა ენციკლოპედია“ გადავშალე“.

ვიდრე პატივცემული მწერალი შესაბამის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვერდს მოიძევდეს შესაბამის ტომში, იქამდე ყურადღება მივაქციოთ, რევაზ ჯაფარიძე რომ ნერვიულობს — მართალი მოგახსენოთ, შევწუხდით...

ე. ი. თუ აღმოჩნდება, რომ ლეონჰარდ ფრანკს მართლა აქვს ამ სახელწოდების ნაწარმოები, მწერლისთვის ეს დიდად სამწუხარო იქნება!

ამასობაში „დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ საინტერესო ცნობაც უპოვიათ:

„27-ე ტომის 614-ე გვერდზე მართლაც არის მოხსენებული ეს მწერალი — გერმანელი ყოფილა, დურგლის შვილი...“

წინადადებიდან ირკვევა, რომ რევაზ ჯაფარიძეს პირველად გაუგია ამ მწერლის სახელი — გერმანელი ყოფილა... თანამედროვე მწერალს კი მეტი ინფორმაცია უნდა ჰქონდეს დაგროვილი საზღვარგარეთელ კოლეგებზე!

„დიდმა საბჭოთა ენციკლოპედიამ არ იცის ლ. ფრანკის ასეთი რომანი და მაინც და მაინც მე ვიყავი ვალდებული მცოდნოდა...“ შემოგვჩივის „მძიმე ჯვრის“ ავტორი.

ამავე სახელწოდების რომანი ლეონჰარდ ფრანკს მართლაც არა აქვს, მას ამავე სახელწოდების მოთხრობა აქვს!

ჩვენში და სხვაგანაც ლეონჰარდ ფრანკის შესახებ მოცემულ ყოველ ინფორმაციაში უცვლელად მეორდება, რომ მან ემიგრაციაში (შვეიცარიაში) ყოფნის დროს დაწერა „ჯარისკაცის ქვრივი“.

გამომცემლობა „ნაკადულმა“ 1969 წ. ქართულ ენაზე გამოსცა მისი რომანი „ქრისტეს მოწაფეები“, წინათქმაში ქალბატონ ნელი ამაშუკელსაც საჭიროდ მიუჩნევია, მკითხველისათვის შეეხსენებინა, რომ ლეონჰარდ ფრანკი სხვა ნაწარმოებებთან ერთად ავტორია მოთხრობისა „ჯარისკაცის ქვრივი“.

„ომის საშინელებით შეძრწუნებულმა შვეიცარიაში ჯერ ომის წინააღმდეგ მიმართული მოთხრობები „მამა“, „ჯარისკაცის ქვრივი...“ დაწერა, შემდეგ კი ცნობილი წიგნი „ადამიანი კეთილია“.

ასე რომ, კეთილ ადამიანებს დღესაც ახსოვთ გერმანელი მწერლის ის მოთხრობა, პირველი მსოფლიო ომის დროს რომ დაწერა და სათაურად „ჯარისკაცის ქვრივი“ დაარქვა!

ასევე, აგერ ახლახანს ცალკე წიგნად გამოვიდა რევაზ ჯაფარიძის რომანი „ვნების კვირა“. ამ სათაურის რომანი კი ცოტა ადრე, 1956 წელს დაწერა ფრანგმა მწერალმა ლუი არაგონმა.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ კარგი საქმე გააკეთა, ამ რომანის ქართული თარგმანი ახლახანს რომ გამოსცა: პატივცემულ რევაზ ჯაფარიძეს, ჩემი ნათქვამის დასამოწმებლად, „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ მძიმე ტომების ხელახლა გადმოლაგება აღარ დასჭირდება!

●

მკითხველს დავპირდი, ყოველი ბრალდების გაბათილების შემდეგ დამატებით მეჩვენებინა სარეცენზიო რომანის სისუსტე.

ვასრულებ დანაპირებს.

„მძიმე ჯვრის“ მიხედვით როსტომ ერისთავს ჰყავს ერთგული ყმა ალი ენგიჩარი. მის ბიოგრაფიაში ასეთი დეტალია: მოღვაწეობდა კონსტანტინოპოლში, შეაკეთა აიასოფია, გადავიდა ეთიოპიაში, ადის-აბებაში, მერე კარნუ-ქალაქში, და ბოლოს, სტამბოლსაც უწიათ.

სამწუხაროდ, ალი-ენგიჩარს სამასი წლით დააგვიანდა! — დაახლოებით ამდენი დრო გასული აია სოფიას ტაძარი, მის დაუხმარებლად, მეჩეთად რაც გადაკეთდა!..

სამაგიეროდ, ალი-ენგიჩარი ადრე წასულა ადის-აბებაში! იმდენად ადრე, რომ ეს ქალაქი მაშინ დაარსებული არც იყო!..

მხოლოდ 150 წლის შემდეგ, ალბათ, ალი-ენგიჩარის „პატივსაცემად“ დააარსა იგი იმპერატორმა მენელიკ II.

აქედან გამომდინარე, ადის-აბების დაარსებაში მცირეოდენი წვლილი (ისევე როგორც ყველა საქმეში!) ქართველებსაც მიგვიძღვის, თუმცა რაღა „მცირეოდენი“, როცა მისი დაარსების იდეა პატივცემულ მწერალს, რევაზ ჯაფარიძეს 150 წლით ადრე გასჩენია!..

ალი-ენგიჩარი (ბედი არ გინდა) თავის დროზე ვერც კარნუ-ქალაქში მოხვედრილა! რომანის ავტორი და ალი-ენგიჩარი ეძახიან ასე ამ ქალაქს, თორემ იმ დროისთვის კარნუ-ქალაქს არზუმი ჰქვია!:.

„პატრებს ისიც ჩინებულად მოეხსენებოდათ, რომ როსტომ რაჭის ერისთავი მცირე აზიის ნახევარკუნძულზე, თვით იერუსალიმში, წმინდა ბარბალეს მონასტერს აშენებდა“.

ალი-ენგიჩარისა არ იყოს, იერუსალიმსაც ხეტიალი დაუწყია! ამდგარა და პალესტინიდან წამოსული მცირე აზიის ნახევარკუნძულზე ისე მოსულა, „მსოფლიოს გეოგრაფიული საზოგადოების“ წარმომადგენლებისთვისაც არაფერი უკითხავს!..

თუმცა საშიში არაა, დაკარგვით მაინც არ დაიკარგება! — ასე არ იყო, კონსტანტინოპოლიდან წამოსულმა ალი-ენგიჩარმაც (დიდი წვალებით) ბოლოს სტამბულს რომ უწია?..

●

მე ჩემს წერილში არ გავიზიარე პატივცემული კრიტიკოსის, გიორგი ნატროშვილის აზრი: „რ.

ჯაფარიძის რომანის პირველ და მეორე წიგნებში უკვე ჩანს ძირითადი კონფლიქტი ამ მართლაც შექსპირული მასშტაბის ტრაგედიისა“.

ამის თაობაზე რევაზ ჯაფარიძე მპასუხობს:

„ეს „შექსპირული მასშტაბის ტრაგედია“ და „შექსპირული ხასიათები“ სამი კრიტიკოსის — ბესარიონ ჟღენტის, გიორგი ნატროშვილის და დევი სტურუას წერილებში გვხვდება. რაკი მაღალი შეფასება არ მოსწონს (ეტყობა, პატივცემულ მწერალს ძალიან მოსწონს! — თ. წ.) და დაუმსახურებელ ეპითეტად მიაჩნია, რაღა დაგიმალოთ, მეგონა, თ. წივწივაძე სწორედ ამ დებულების კრიტიკის ფონზე გაშლიდა თავის მსჯელობას... მაგრამ მან ეს არ ინება“.

რატომ არ *ვინებე*, ახლავე მოგახსენებთ.

ჩემს კრიტიკოსობას თავი რომ დავანებოთ, პატივცემული მწერლის თვალში მე ნორმალური კაცის შთაბეჭდილებას ვერ ვტოვებ. მისი წერილის მიხედვით *ქუჩის ავარა ბიჭს* უფრო ვგავარ!

*„ლობის ძირას ქვებს ეძებს, რომ ავტორს ესროლოს“.*

*„...ქუდი ჩაუკეცია და ბუქნას უვლის“.*

ამის შემდეგ მე რომ მემტკიცებინა, *რევაზ ჯაფარიძე და უილიამ შექსპირი* განსხვავებული ძალის მწერლები არიან და ერთმანეთში არ აგვერიოს-მეთქი, მაშინ პატივცემული მწერლის აზრი ჩემზე ხომ გამართლებული იქნებოდა?

მაშინ ხომ ლიტერატურული საზოგადოების თვალშიც ისეთი გამოვჩნდებოდი, როგორიც პატივცემულ მწერალს ვგონივარ?

*აი, რატომ არ „ვინებე“ მსჯელობის გაშლა „ამ დებულების ფონზე“!*

●

„მძიმე ჯვრის“ ავტორი, კითხვაზე პასუხის გაცემა რომ მომანდო, მერე მკითხველს მიუბრუნდა „ჩვენ კი წინ წავიდეთ, ვინაიდან ერთობ გრძელი და მომქანცველი გზა გველოდება“-ო.

რაღაც მაქვს გასარკვევი და ახლა მე უნდა ვთხოვო მწერალს მცირე ხნით დაყოვნება.

„ჯვარცმულის“ აღშფოთებას იწვევს თვით ანოტაციაც კი წიგნისა, რომელსაც რატომღაც ავტორის დაწერილად თვლის“.

ასე რომ მეფიქრა, ამისათვის საკმაო საფუძველი გამაჩნდა, რადგან ყოველ ახალ გამოცემაში ანოტაციის ეს ფრაზა — *რომანში ცოცხლდება მე-18 საუკუნის საქართველო* — უცვლელად მეორდება. დამეთანხმებით, ეს იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, თუ იგი წიგნის ავტორს ეკუთვნის!

რევაზ ჯაფარიძე კი ამტკიცებს:

„სხვათაშორის, ანოტაცია გ. ნატროშვილის იმავე წერილიდანაა, საიდანაც ჩვენს ძვირფას „ჯვარცმულს“ ავტორის გამამტყუნებელი ციტატი მოაქვს“.

სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ მომიწევს ჩვენი ძვირფასი მწერლის გამტყუნება! — რადგან ეს სადავო ფრაზა „მძიმე ჯვრის“ პირველ გამოცემაში („მერანი“, 1978 წ.) გვხვდება, გიორგი ნატროშვილის წერილი კი დიდი მოგვიანებით დაიწერა!

აბა, თვად პატივცემულ გიორგი ნატროშვილს მოვუსმინოთ:

„რ. ჯაფარიძის რომანის *პირველ და მეორე* წიგნებში უკვე ჩანს...“

ციტატის გაგრძელება საჭირო აღარ არის, რადგან „უკვე ჩანს“, რომ პატივცემული კრიტიკოსის წერილი მოგვიანებით დაწერილა! კერძოდ, მაშინ, „პირველი და მეორე წიგნები“ ერთად რომ გამოსულა! ეს კი 1979 წელს მოხდა!

საინტერესო შემთხვევაა, არა? ბოდიშს კი ვიხდი მწერლის დაყოვნებისათვის, მაგრამ ეს საქმე რომ არ გამერკვია, ბრალი მე დამედებოდა!

●

*„ბატონიშვილმა თუთამ, თექვსმეტი წლის მოწიფულმა ქალმა, რომელიც გივი ამილახვრის შვილიშვილს ჰყავდა დანიშნული და სააღდგომოდ ჯვარიც უნდა დაეწერათ, ამ წუთიდან სამად სამი დღე იცოცხლა“.*

შესაშური სიზუსტეა! — *ამ წუთიდან სამად სამი დღე იცოცხლაო.* მაგრამ ავტორს უნდა მოეხსენებოდეს, რომ *თეიმურაზ II, ერეკლე II* და *გივი ამილახვარი* ცნობილი ისტორიული პიროვნებები იყვნენ, ამიტომ ამ სფეროში რა ფანტაზიაც არ უნდა აწვალებდეს, ელემენტარული სინამდვილის ცოდნა მაინც საჭიროა!

ცნობილია, რომ ერეკლეს 24 შვილი ჰყავდა. რევაზ ჯაფარიძეს კიდევ ერთი მიუმატებია — აქამდე უცნობი *თუთა ბატონიშვილი!* რომელიც, მწერლის ფიქრით, „გივი ამილახვრის შვილიშვილს ჰყავდა დანიშნული და სააღდგომოდ ჯვარიც უნდა დაეწერათ...“

თუ ამ „სიზუსტეს“ მივყვებით, ერეკლეს 24 შვილიდან *თუთა* არც ერთს არ ერქვა!..

თუ ამ „სიზუსტეს“ მივყვებით, გივი ამილახვარს შვილიშვილი საერთოდ არ ჰყოლია!..

საბრალო თუთას კიდეც რომ ეცოცხლა, არარსებული დედოფალი არარსებულ სიძეზე სააღდგომოდ ჯვარს როგორ დაიწერდა?!.

ამ სიზუსტით, სიძე-დედოფალი რომ ამოიცნო მწერალმა, თავისუფლად შეეძლო, ქორწილში თამადად ვახტანგ გორგასალი მიეწვია, მაყრად დავით აღმაშენებლის ლაშქარი ეახლებინა!..

ქვემოთ მწერლის ორ წინადადებას მოვიტან:

„თეიმურაზმა ვახტანგის სიძობით ისარგებლა: რაკი ბატონიშვილს ნადირმა სპარსეთის ლაშქრობებში გაწეული ღვაწლი დაუფასა და ნიშნად წყალობისა ქართლი უბოძა, ისიც დაუყოვნებლივ გამოემგზავრა სამშობლოში და სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში მეფედ ეკურთხა. ქართლის მეფე ვახტანგი, მტრისგან მორეული და დამხობილი, ამ დროს გადახვეწილი იყო სამშობლოდან და თავისი მრავალრიცხოვანი ამალითურთ, რუსეთის ძველ სატახტო ქალაქ მოსკოვში ცხოვრობდა“.

ამასთან დაკავშირებით მე ვწერდი:

„ეს ციტატი მხოლოდ ორი წანადადებისაგან შედგება და, როგორ გგონიათ, რამდენი შეცდომა შეიძლება დაუშვა ორ წინადადებაში?

წინასწარ ამის ზუსტი განსაზღვრა გაჭირდება, ისე, თვალდათვალ ეტყობა, ცოტა არ უნდა იყოს“.

ჩემი შენიშვნებიდან პატივცემული მწერალი მხოლოდ ა და ბ პუნქტებზე არ დამეთანხმა, სხვა დანარჩენი სადავოდ არ გაუხდია.

მაგალითად, სადავოდ არ გაუხდია ჩემი ნათქვამი, რომ „მიუხედავად ამ გაურკვევლობისა, ვერც ერთი მათგანი „დაუყოვნებლივ სამშობლოში ვერ გამოემგზავრებოდა“, რადგან ისინი, მამაც და შვილიც, ორთავენი, კარგა ხანია, სამშობლოში იყვნენ“.

სადავოდ არ გაუხდია ჩემი ნათქვამი, რომ „იმ დროს, როცა თეიმურაზი ქართლის ტახტზე (1744 წ.) დაჯდა, ვახტანგ VI მოსკოვში აღარ ცხოვრობდა, სამწუხაროდ, იმ. ქვეყნად იყო წასული“.

სადავოდ არ გაუხდია ჩემი ნათქვამი, რომ ვახტანგ VI „მარტო სამშობლოდან კი არა, ამ ქვეყნიდანაც საერთოდ წასული — შვიდი წელი იყო გასული, რაც ასტრახანის მიწაში იწვა...“

სადავოდ არ გაუხდია ჩემი ნათქვამი, რომ „ორი წინადადების პირობაზე ამდენი შეცდომა ბევრია“.

ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, არც ერთ არსებით შეცდომაზე „მძიმე ჯვრის“ ავტორს პასუხი არ გაუცია!

ეტყობა, ასე რომ მოიქცე, ამის „უფლებასაც“ მოპოვება უნდა!

ყოველ შემთხვევაში, მართლაც დიდი მწერალი უნდა იყო, ყველასთვის სავალდებულო კამათის ეს წესი შენზე რომ არ ვრცელდებოდეს!.. მე კი, ვიდრე ამ შეღავათიანი „პატენტის“ მფლობელი გავხდებოდე, იქამდე ათასობით შენიშვნაზე მომიწევს პასუხის გაცემა...

ახლაც გულწრფელად უნდა ვაღიარო, რომ ა პუნქტთან დაკავშირებით რომანის ავტორი გაცილებით მართალია, ვიდრე მე. ამიტომ ბოდიშს ვიხდი პატივცემული მწერლის წინაშე არა მარტო აქ, არამედ მთელ ჩემს წერილში დაშვებულ ამ ერთადერთ უზუსტობაზე.

ზემოთ ვთქვი — ავტორი გაცილებით მართალია. გაცილებით და არა სავსებით. რადგან მწერლის ფრაზას აშკარად აკლია სიცხადე და გაუგებრობაც ამან წარმოშვა.

ძნელი მისახვედრია, რომ „სპარსეთის ლაშქრობები“ მაინცდამაინც სპარსელების მიერ სხვათა ქვეყნების დალაშქვრას ნიშნავს, მით უფრო, როცა მწერალი ამის ახსნას ცდილობს, თავადაც ცდება.

„საიდან გამომდინარეობს წერილის ავტორის ეს აზრი?.. ნუთუ იქიდან, რომ „სპარსეთის ლაშქრობა“, „სპარსეთზე ლაშქრობას“ ნიშნავს? ვითომ ასეა?

გავიხსენოთ... რომაელთა ლაშქრობები ჩრდილოეთ აფრიკაში, სხვანაირად პუნიკურ ომებს რომ უძახიან“.

პატივცემულ მწერალს უნდა მოვახსენოთ, რომ „პუნიკური ომები“ სწორედ პუნების (ფინიკიელების) წინაალმდეგ ომს ნიშნავს და სხვას არაფერს!

მაგრამ „მძიმე ჯვრის“ ავტორის ეს შეცდომაც არ იკმარებს საიმისოდ, თავი რომ ვიმართლო. მეტი ყურადღებით რომ ვყოფილიყავი, ეს მცირე უზუსტობაც არ გამეპარებოდა. ამიტომ კიდევ ერთხელ ვიხდი ბოდიშს, პატივცემულ მწერალს უნებურად გული რომ ვატკინე.

„რა ვუპასუხოთ ბ პუნქტს, რომელშიაც „ჯვარცმული“ ავტორიტეტულად გვმოძღვრავს, როცა თეიმურაზზე და მის შვილზეა საუბარი, მაშინ კახელ ბატონიშვილში ყოველთვის პატარა კახს გულისხმობენო“! — გვეკითხება მწერალი.

უნდა მიპასუხოს, რომ ეს სრული სიმართლეა!

„აბა, ერთი ხელახლა წავიკითხოთ. რა ირკვევა?“ — ბრძანებს პატივცემული მწერალი და ადრინდელ ნათქვამს ასე ხსნის:

„სიტყვა-ტერმინი „ბატონიშვილი“ წინადადებაში ნახმარია „ჩამომავლობის“ აზრით. ნათქვამია, რომ ნადირმა ქართლის სამეფო ტახტი ბაგრატიონთ კახური შტოს ჩამომავალ თეიმურაზს მისცა. თეიმურაზი კი, როგორც მისი შვილი ერე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლე, ვიდრე მეფედ ეკურთხებოდა, ბატონიშვილის ტიტულს ატარებდა“.

დიახ, ნამდვილად ასე იყო — თეიმურაზი ვიდრე მეფედ ეკურთხებოდა, ბატონიშვილის ტიტულს ატარებდა!..

მაგრამ, როცა „ნადირმა, ნიშნად წყალობისა, ქართლი უბოძა“, ეს კი, მოგეხსენებათ, 1744 წელს მოხდა, თეიმურაზი უკვე თერთმეტი წელიწადია კახეთის მეფეა და არა ბატონიშვილი!

აქედან გამომდინარე, პატივცემულ მწერლის კითხვას: „მაშასადამე, როგორ ყოფილა საქმე?“ — ასე უნდა ვუპასუხოთ: თეიმურაზი რომანის ავტორს 1744 წელსაც ბატონიშვილი რომ ჰგონია, სიმართლეს არ შეეფერება! — თერთმეტი წელიწადია, რაც მეფე გახლავთ!

„კიდევ უფრო გულდასაწყვეტად გაგვიხდება საქმე, როდესაც შევიტყობთ, რომ წერილის ავტორის მიერ საპაექროდ გამოტანილი „ორი წინადადება“ წიგნის ახალ, 1979 წლის გამოცემაში, რომელსაც რომანის ავ-კარგის გამრჩევი ყოველი კრიტიკოსი უნდა ეყრდნობოდეს, საერთოდ არ არის. ასე რომ, ამ ადგილას მკითხველიცა და ჩვენი თავიც ტყუილად მოვაცდინეთ“.

მწერალს უფრო გულდასაწყვეტად ალბათ მაშინ გაუხდება საქმე, როდესაც შეიტყობთ, რომ ეს „ორი წინადადება“ მე ზემოთ დასახელებული, 1979 წლის გამოცემიდან ამოვწერე...

მწერალმა კი თავის საყვარელ მკითხველს ასეთი სიყალბე არ უნდა აკადროს!

●

როგორც ნახეთ, მე კიდევ ერთი მძიმე ბრალდებისაგან ვიხსენი თავი და ახლა საშუალება მაქვს, რომანის ავტორს მოვთხოვო ახსნა-განმარტება შემდეგი წინადადების გამო:

„ასტრახანს გაემგზავრნენ ბატონიშვილები გიორგი და იულონი, ერეკლეს ძენი, რომელთაც საყვარელი პაპა უნდა დაეტირებინათ და მისი კუბო სამშობლოდან ჩატანილი მიწით დაეფარათ“.

პატივცემულ მწერალს ერეკლეს 24 შვილიდან ასტრახანს გასამგზავრებლად იულონი კარგად ვერ შეურჩევია, რადგან ამ დროისთვის ის ხუთი წლისაც არ არის!

ალბათ, დამერწმუნებით, რომ პატარა იულონის ასტრახანში ჩაყვანა უფრო ძნელი საქმე იქნებოდა, ვიდრე იქიდან თეიმურაზის ცხედრის სამშობლოში ჩამოტანა!

ამის გარდა, მშობლებს მოწყვეტილი ეს „ძუძუმწოვარა“ ბავშვი იმდენს იტირებდა გზაში, „საყვარელი პაპის დასატირებლად“ აღარ ივარგებდა!..

●

პატივცემული მწერალი ჩემი გვარ-სახელის დამოწმებისას მუდამ შემოკლებული ფორმით კმაყოფილდება — „თ. წივწივაძე“. მის თვალში, ალბათ, ამის ღირსიც არა ვარ, მაგრამ კიდევ უფრო შეკუმშვა აღარ ხერხდება, რადგან მარტო „თ. წ.“ მკითხველს არაფერს ეუბნება.

სამაგიეროდ, საკუთარ თავს მეტი პატივისცემით და სიყვარულით ეკიდება და მუდამ ასე წერს „რევაზ ჯაფარიძე“. თუ შემთხვევა მიეცა, უფრო სრული ფორმითაც გვთავაზობს „რევაზ ანდრიას ძე ჯაფარიძე.“

ამ გარემოებას „თ. წივწივაძეც“ ანგარიშს უწევს და მწერლის სახელსა და გვარს შემდგომშიც მთელი სიგრძე-სიგანით მოიხსენიებს...

●

რევაზ ჯაფარიძე ჩემი საყვარელი მწერალი არასოდეს ყოფილა, მის პიროვნულ ღირსებებს კი მუდამ პატივს ვცემდი, ამიტომაც არის, რომ პატივცემული მწერლის ყოველ შენიშვნას ყურადღებით ვეკიდები.

„აწი რა ვქნათ? რომ არ მოგვეწყინოს და უნებლიედ არ ჩაგვთვლიმოს, ხომ უნდა ვიპოვოთ რაიმე საოხუნჯო მასალა? და თ. წივწივაძეც პოულობს“.

ეტყობა, პატივცემულ მწერალს და მე სხვადასხვანაირად გვესმის ოხუნჯობის მნიშვნელობა. მაგალითად, ამ წინადადებაში მე საოხუნჯოს ვერაფერს ვხედავ:

„სწორი არ არის, თითქოს სოლომონის პირველი ცოლი, თინათი, ინალიშვილის ქალი იყო“.

მწერალი მაინც გაუბრაზებია ჩემს მოკრძალებულ განცხადებას. ის წერს:

„თ. წივწივაძე ფრჩხილებში შენიშნავს: (სხვათა შორის ინალიშვილის ქალი ცოლად ჰყავდა კაცია დადიანს, თუმცა გაეყარა (ვინ ვის? — რ. ჯ.) და მეორედ იქორწინა ერეკლე მეორის დაზე — ელისაბედზე).

რაკი ფრჩხილებში შევნიშნავ, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ არასწორად შევნიშნავ! მაგრამ რომანის ავტორს ჯერ იმის გარკვევაში დავეხმაროთ, რომ გვეკითხება, ვინ ვის გაეყარა.

რადგან ერთ-ერთი „გაყრილი“ ჯვარს იწერს ერეკლე მეორის დაზე, ელისაბედზე, ეს, რასაკვირველია კაცია იქნებოდა.

თინათის ამ გადაწყვეტილების მიღების „ტექნიკური“ საშუალება არ გააჩნდა — ცოლად ვერ მოიყვანდა ელისაბედს.

ეს ასე ძნელი მისახვედრი რომ არ იყო?

ყოველ შემთხვევაში, იმაზე ძნელი ამოსაცნობი არ იქნებოდა, ვიდრე „სიძობის“ საკითხია ამ ფრაზაში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თეიმურაზმა ვახტანგის ხიძობით იხარგებლა..."

აქ კაცი მართლა ვერ გაიგებ, თეიმურაზია ვახტანგის ხიძე თუ პირიქით — თეიმურაზს ერგება ხიძედ ვახტანგი!..

მაგრამ ახლა ამის ამოხაცნობად ვის სცალია, ავტორი გაჯავრებული ჩანს:

„მაშ, მაშ, „სხვათა შორის", სიტყვამ მოიტანა!.. მაგრამ ამის შესახებ სრულებით არაფერი წერია „მძიმე ჯვარში?"

აბა, ყური დავუგდოთ, რა შეიძლება წაიკითხოს კაცმა რომანის მეორე ტომის 532-ე გვერდზე".

ამას მოსდევს ვრცელი ამონაწერი რომანიდან, რომელიც ძალზე უინტერესოდ იკითხება; ცოტა მეშინია კიდეც, ხიმწრით ნაშოვნი მკითხველი არ დამიფრთხოს. ამიტომ მაქსიმალურად შევამცირებ და მხოლოდ ჩვენთვის საჭირო ადგილს მოვიტან.

„...შე კაცო, ნუ მიწყენ და, თუკი თანამეცხედრესთან გაყრას და აფხაზეთის მთავრის მომდურებას აპირებდი, ამილახვრის ნაცოლარი რომ არ მოგეყვანა და ცოლად არ დაგესვა, ქალი გაწყდა ამერ-იმერში?"

— ...ის „ამილახვრის ნაცოლარი" მეფე ერეკლეს ღვიძლი და გახლავს, დედოფალო..."

პირდაპირ საოცარია!..

მწერალთან მე იმის თაობაზე კი არ ვდავობდი, კაცია დადიანმა ერეკლე მეორის და რომ შეირთო, ამაზე რომანში არაფერი წერია-მეთქი, „მძიმე ჯვრის" ავტორთან სხვა რამის გამო ვკამათობდი. კერძოდ, იმაზე, რომ კაცია დადიანის პირველი ცოლი ინალიშვილის ქალი იყო და არა აფხაზეთის მთავრის ასული!

ზემოთ მოტანილმ ტექსტის მიხედვით კი „ხელახლა ირკვევა", რომ მწერალმა ისევ არაფერი იცის იმის შესახებ, კაცია დადიანის პირველი ცოლი ინალიშვილის ქალი რომ იყო! რადგან საკუთარი და ეუბნება კაციას — „თუკი ...აფხაზეთის მთავრის მომდურებას აპირებდიო".

ამიტომ მწერლის კითხვას: „მაშ, მაშ... ამის შესახებ სრულებით არაფერი წერია „მძიმე ჯვარში?" სამწუხარო პასუხი უნდა გავცეთ — რაც ჩვენ გვაინტერესებდა, იმის შესახებ სრულიად არაფერი!

ახლა რაც უწერია, ის გავარკვიოთ, ანუ „ამილახვრის ნაცოლარის" შესახებაც ვისაუბროთ.

„კაცია დადიანი თავის სულიერ თანამეცხედრეს, აფხაზეთის მთავარ შერვაშიძის ასულ ელენეს, საეკლესიო წესით გათვისებოდა და მეფე ერეკლესთან დამოყვრება გადაეწყვიტა — ერეკლეს და, ელისაბედი, კაციაზე თითქმის ათითორმეტი წლით უფროსი, უკვე ხანშიშესული ქალი, თავად დიმიტრი ამილახვრის თანამეცხედრე იყო, მაგრამ პაატა ბატონიშვილის შეთქმულებაში გასული ამილახვარი და ბატონიშვილი ელისაბედი განრისხებული მეფის ბრძანებით ტფილელ მიტროპოლიტს გაეყარა და ამილახვრის ნაცოლარს დღე-დღეზე ოდიშის მთავართან უნდა ექორწინა".

კარგია, რომ მწერალს ყველაფერი დეტალურად აქვს აღწერილი. ამით მეტი საშუალება მეძლევა, სინამდვილეს შევაჯერო.

კაცია დადიანს აფხაზეთის მთავრის ასულთან „საეკლესიო წესით გათვისება" არ გაუჭირდებოდა, რადგან შერვაშიძის ქალი ცოლად არასოდეს ჰყოლია!

ოდიშის მთავარს ცუდი აზრი არც მაშინ მოსვლია, როცა „მეფე ერეკლესთან დამოყვრება გადაწყვიტა..." მაგრამ მინდა მწერალმა იცოდეს, რომ ისინი, ერეკლე და კაცია, ერთმანეთს მოყვრებად უამისოდაც ერგებოდნენ — მეფე ერეკლეს ცოლად ჰყავდა კაცია დადიანის და!

ისიც მინდა მწერალმა იცოდეს, რომ ელისაბედი, „თავად დიმიტრი ამილახვრის თანამეცხედრე" არ ყოფილა, ის დიმიტრი ამილახვრის შვილის — გიორგი ამილახვრის დანიშნულად ითვლებოდა!

ამ საქმეში კი მამა-შვილის ერთმანეთში არევა ნამდვილად არ ივარგებს!

ისიც მინდა მწერალმა იცოდეს, რომ „ერეკლეს და, ელისაბედი, კაციაზე თითქმის ათითორმეტი წლით უფროსი, უკვე ხანშიშესული ქალი" არ ყოფილა!..

რადგან ის, ოდიშის მთავარს რომ მიათხოვეს, მხოლოდ 14 (თოთხმეტი!) წლისა იყო! არა მგონია, თოთხმეტი წლის გოგონა, იმდროისთვისაც კი, ვინმეს ხანშიშესულად ჩაეთვალა.

მით უფრო არ უნდა ჩაეთვალა პატივცემულ მწერალს, რომელიც ცოტა ადრე წერდა:

„ბატონიშვილმა თუთამ, თექვსმეტი წლის მოწიფულმა ქალმა..."

„თხუთმეტი თუ თექვსმეტი წლის მოულოდნელად დაქალებულ გულქანს..."

აქედან გამომდინარე, თუ თექვსმეტი წლის თუთა მოწიფულ ქალად ითვლება, ხოლო თხუთმეტ-თექვსმეტი წლის გულქანი „მოულოდნელად" დაქალებულა, რატომ ერეკლეს 14 წლის და, ელისაბედი, იქნებოდა მაინცდამაინც ხანშიშესული?

მაგრამ ჩემს გასაჩერებლად მწერალს მუდამ მზადა აქვს პასუხი: „მხატვრული ნაწარმოების კონცეპციისთვის" ასეა საჭიროო!

მე კი ჯერჯერობით ვერაფერი გავიგე, „მხატვრული ნაწარმოების კონცეპციისთვის", მით უფრო, როცა ის ისტორიული ხასიათისაა, რატომ არ შეიძლება ფაქტები და მოვლენები ცოტა სინამდვილესაც დავამგვანოთ?

ეტყობა, ამას რომ მივხვდე, მეც მწერალი უნდა ვიყო!

მაგრამ, ვთქვათ და, ჩემი მოკლე ჭკუით ამას ვერასდროს მივხვდები, მაგრამ ის ხომ მაინც უნდა გამაგებინოს მწერალმა — თოთხმეტი წლის გოგოზე „ათი-თორმეტი“ წლით უმცროსი როგორ იქნება ის კაცი, რომელიც ამ გოგოს ცოლად ირთავს?!

მართლა რა ყოფილა ეს „მხატვრული ნაწარმოების კონცეპცია!“ თუ უნდა, ორი წლის ბავშვსაც დააცოლშვილებს!..

სხვათა შორის, ეს ციტატიც ორი წინადადებისაგან შედგება და, როგორც ვნახეთ, აქაც ბევრი შეცდომაა. თუმცა ეს ამბავი უფრო იმას გააკვირვებს, ვისაც რომანი წაკითხული არა აქვს, თორემ მე ამდენი უზუსტობა ხშირად მწერლის ერთ წინადადებაში შემხვედრია...

მაგრამ ახლა ეს არ არის მთავარი, ჩემთვის ის უფრო მნიშვნელოვანია რა ვუთხრა მწერალს, ანუ რა პასუხი გავცე ამ შეკითხვაზე:

„წერებულა, თანაც უფრო „მსუქნად“ და, როგორც ლიტერატურას შეეფერება, პერსონიფიცირებულად. მაშ, ვის და რისთვის ვასწავლით, ორჯერ ორი ოთხიაო?

ჩემი სწავლებისაგან ჯვარი გწერიათ!..

მე ზემოთ მხოლოდ ის აღვნიშნე, რომ ციტატაში მოთხრობილი ამბავი, მართალია, „მსუქნად“, მაგრამ მთლად ისე არ არის გადმოცემული, „როგორც ლიტერატურას შეეფერება“.

რაკი პატივცემულ მწერალს საკუთარ შეცდომებზე მითითება სწყინს — „ვის და რისთვის ვასწავლით, ორჯერ ორი ოთხიაო“, ჩემს შენიშვნებს ასეთი ახსნა უნდა მოვუძებნო:

ეს ყველაფერი იმისთვის კი არ გავიხსენე, ვინმეს ვასწავლო, ორჯერ ორი ოთხიაო, არამედ, სრულიად შემთხვევით — საშუალება რომ მომეცა, სკოლაში ნასწავლი მასალა ჩემთვის გადავიმეორე...

ასე თქმა აჯობებს, — ავტორიტეტული მწერლის პატივმოყვარეობა ნაკლებად შეილახება!

●

რომანში ბევრი მწერლური ლაფსუსია. ერთი მათგანი, როგორც ადრეც შევნიშნე ჩემს წერილში, ასეთი სახისაა:

„საქმე ისაა, რომ თინათის... უფრო ახლო ნათესავი არავინ ჰყოლია, ვიდრე მისთვის საკუთარი ქმარი, სოლომონ მეფე ყოფილა!“

პატივცემული მწერალი ამ დასკვნით გაოცებულია: საიდან და რით მტკიცდება ეს? ეს რა უბედურება დატრიალებულა რომანის ავტორის თავსო.

„ცოტა უცნაურად კი გამოდის, მაგრამ რომანის მიხედვით რომ ასეა, აქვე შევამოწმოთ“, — ვწერდი მაშინ მე, რადგან რომანიდან მოტანილი ციტატების შეჯერების შემდეგ ასეთ დასკვნამდე მივედი:

1. კოჰიბროლა სოლომონის ბებია ყოფილა;

2. კოჰიბროლა თინათის ბებია ყოფილა.

კოჰიბროლა სოლომონის ბებია რომ არის, ამაზე ადვილად შევთანხმდით, ხოლო თინათის ბებიაც რომ ყოფილა, ეს საკითხი მთლად ადვილად არ გადაწყდა!

არადა, „მძიმე ჯვრის“ მიხედვით ზუსტად ასე გამოდის!

„იგი (თინათი! — თ. წ.) სულ პატარა იყო, ვარციხის სასახლეში რომ მოიყვანეს გურიიდან და სანამ თავის კანონიერ მეუღლესთან, გულის რჩეულ ბატონიშვილ სოლომონთან სარეცელს გაიყოფდა, ღამ-ღამობით, ბებია, ოდესღაც საარაკო სილამაზით განთქმული კოჰიბროლა, იწვენდა ლოგინში“.

ამ წინადადების მიხედვით სრულიად აშკარაა, რომ კოჰიბროლა თინათის ბებიაც ყოფილა!

ვიმეორებ, ასე წინადადების მიხედვით გამოდის, თორემ სინამდვილეში ასე რომ არ იყო, რომანის ავტორზე მეტად, ამაში ქვემოთ დავრწმუნდებით, ჩემთვის არის ცნობილი!

რა თქმა უნდა, ეს უნებლიე ლაფსუსია, მაგრამ მწერალი არ ტყდება, არაფერს თმობს — „ვაი, სირცხვილო, რომანში სისხლის აღრევის აპოლოგიასთან გვაქვს საქმე!“-ო, ერთს შესძახებს ხმამაღლა და მერე იმგვარად და იმდენს იცავს ამ უნებლიე ლაფსუსს, ვიდრე უმძიმესი შეცდომა არ მოუვა!

„ახლა, როცა ამდენი ვიკვლიეთ და ვითავცემეთ, უკვე დანამდვილებით ვიცით, ვისი ბებიაა კოჰიბროლა“.

ავტორი კი წერს, ამდენი კვლევის შემდეგ უკვე დანამდვილებით ვიცით, ვისი ბებიაა კოჰიბროლა, მაგრამ ეს ჯერჯერობით ზეპირი განცხადებაა, საბუთიანობა მაინც აკლია, ამიტომ უფრო აკონკრეტებს:

„სასახლეში იყო ცას გამოკერებული დედაბერი, ყოფილი ულამაზესი ქალი, ყოფილი დედოფალი, ახლა კი ბებია, მხოლოდ ბებია. მისთვის უკვე შეუფერებელი სახელი ყველას დავიწყნია და დიდი და პატარა ბებიას უძახის. სოლომონმა რომ მცირეწლოვანი თანამეცხედრე, თინათი შეირთო, ის, თინათი, ჯერ კიდევ არ იყო იმ ასაკისა, როცა შეიძლება ქალმა მამაკაცის სარეცელი გაიყოს. სოლომონის ბებია, ოჯახის უხუცესი ქალი მას თავისთან იწვენდა“.

აქ ისე გულმოდგინედ და ისე ბეჯითად ლაპარაკობს რომანის ავტორი „ცას გამოკერებულ დედაბერზე“ და „ოჯახის უხუცეს ქალზე“, ცოტა კიდევ რომ ვაცალო, შეიძლება ვინმეს სინამდვილედაც მოეჩვენოს და გულუბრყვილო მკითხველი შემიცდინოს!

ამიტომ დროზე შევწყვიტე ციტატა, სიმართლე რომ მოგახსენოთ.

შემჩნეული გექნებათ, რომ მე მწერალთან ზოგად დავას ვერიდები, მუდამ საბუთის იმედზე ვარ!

მოგეხსენებათ, საბუთს დიდი ძალა აქვს!

თუნდაც ამ საბუთს:

„კვალად მცირედისა ჟამისა იქმნა მეფესა და დადიანს შუა შური. ესე ალექსანდრე მეფემან აბრალა დედის ნაცვალსა თვისსა თამარ გურიელის ასულსა (რომელსაც უწოდდენ კოჭიბროლად), შეიპყრა და მოჰკვეთა თავი“ (ნიკო დადიანი, „ქართველთ ცხოვრება“, გვ. 177).

დარცხვენილი მწერლისკენ ცოტა ხნით გახედვა ჰირს! — მეც ადამიანი ვარ (მართლა ტერორისტი კი არა!) და კაცის მდგომარეობაში შევდივარ!..

არადა, აქეთაც თინათის „ბებიას“ საცოდაობაც მკლავს! ორიოდე სიტყვით ისიც უნდა გავიხსენო!

საბრალო კოჭიბროლავ!.. არც სიცოცხლეში გქონია ბედი და სიკვდილის მერეც არავის ეცოდები... პატივცემულ მწერალს ჰგონიხარ „ცას გამოკერებული დედაბერი“, „ოჯახის უხუცესი ქალი“, თორემ ჩვენ ხომ ვიცით, ისე ახალგაზრდას წაგკვეთეს თავი, რომ სოლომონის პატარა საცოლის ლოგინში ჩაწვენა კი არა, საკუთარი შვილიშვილის კალთაში ჩაგორებაც ვერ მოასწარი...

მე წინასწარ ვგრძნობდი, ამ დღეში ჩავარდნილი პატივცემული მწერალი მეტისმეტად აღშფოთდებოდა, ამიტომ მის დასაწყნარებლად სჭგანგებოდ იმ ისტორიკოსის (ნიკო დადიანის!) ცნობა მოვიტანე, თავად რომ დიდ პატივს სცემს.

სხვა დროს მწერალს არაერთხელ უსაყვედურებია ჩემთვის:

„არ ერწმუნოს რომანის ავტორი ისტორიკოს ნიკო დადიანის მიერ მოწოდებულ ცნობას...“

რას ჰქვია, არ ერწმუნოს, აბა, ჩემს იმედად მტერი იქნა!..

●

ზემოთ მოტანილ ეპიზოდში მე თავს ვიცავდი, მწერალი მიტევდა. ახლა ჩემი ჯერია, მაგრამ ამ უფლებით არ ვისარგებლებ, რადგან წინ ერთი საგულისხმო მაგალითი მიდევს:

გენათელმა ეპისკოპოსმა, იოსებმა, კათალიკოსი ბესარიონი შეაჩვენაო, წერს რომანში რევაზ ჯაფარიძე.

საეკლესიო ისტორიიდან თითქმის იშვიათი შემთხვევაა, ეპისკოპოსს კათალიკოსი რომ შეეჩვენებინოს!

მაგრამ, ეტყობა, უწმინდესი კათალიკოსისაგან მამაო იოსებს ისე ჰქონდა სისხლი გამშრალი, საამისო დრო ხელში რომ ჩაიგდო, იერარქიულ საფეხურს ანგარიში აღარ გაუწია და ძალაზე შეაჩვენა!

ამიტომ ცოტა ხნით მეც გავერიდები პატივცემულ მწერალს.

●

„მძიმე ჯვრის“ ავტორს, ვატყობ, საბუთებით ლაპარაკი არ უყვარს.

ბუნებრივიც არის, ასეთ შემთხვევაში თავის დაცვა ჰირს. „ნივთმტკიცების“ გარეშე კი, რასაც გინდა, იმას იტყვი. აქ ნაკლებად აგებ პასუხს.

„ასე ქილიკობს ჩვენი პატივცემული რეცენზენტი სოლომონისა და მისი ძმების გარშემოც“.

კოჭიბროლასთან ხომ მართალი აღმოვჩნდი, ახლა ვნახოთ, სოლომონის დედმამიშვილების საქმეში თუ გამამტყუნებთ.

„ზოგი ისტორიული წყაროს მიხედვით ბატონიშვილებს ერთი ძმა კიდევ ჰყოლიათ, სახელად ბაგრატი... მართალია, იგი, ჰამერის ცნობით, ძმის (სოლომონ მეფის) მოღალატე ყოფილა, მაგრამ ამისთვის ღმერთი დასჯის, ჩვენ კი დედმამიშვილებიდან არ უნდა გამოვწყვიტოთ!“

ამას მე ვწერდი.

პატივცემული მწერალი კი ასე მპასუხობს

„თუ მხოლოდ „ზოგიერთი წყაროს“ მიხედვით ჰყავდა სოლომონს მეოთხე ძმა, ხოლო სხვა წყაროები, რომლებიც შეიძლებოდა რ. ჯაფარიძეს ხელთ ჰქონოდა, ხსენებულ ფაქტს არ ადასტურებენ, რატომ მაინცდამაინც იმ წყაროს უნდა დაყრდნობოდა, რომელიც მის მხატვრულ კონცეფციას დაარღვევდა და კონცეფციის დარღვევის წყალობით რომანი სულ სხვა მიმართულებას მიიღებდა? განა მან, რომანისტმა და არა ისტორიული ტრაქტატის ავტორმა, დაუშალა ვისმე, სოლომონის მეოთხე ძმა „დედმამიშვილებში არ გამოწყვიტონ?“ მწერალმა დაწერა ის, რაც სურდა დაეწერა. მან იცოდა, რას და რისთვის წერდა. მაშ, დაეცადა, ვიდრე ათასი გამვლელი და გამომვლელი მზამზარეულ რეცეპტს მიაწოდებდა?“

ერთი შეხედვით, გარეგნულად, აქ ყველაფერი რიგზეა!

კარგად მოქცეულა მწერალი, იმ წყაროებს რომ არ დაეყრდნო, რომლებიც ხელთ არ ჰქონდა!

მაგრამ უფრო კარგად მაშინ მოიქცეოდა, ვიდრე რომანის წერას შეუდგებოდა, ის „ზოგიერთი წყარო“ რომ მოეპოვებინა!

ასევე მართალია მწერალი, „ათას გამვლელს და გამომვლელს“ რომ არ დაუჯერა!

თუმცა მთლად არ ვამართლებ! რადგან მე მგონია, შვილების საკითხთან დაკავშირე-

ბით პატივცემული მშობლების ნათქვამისთვის მეტი ანგარიში უნდა გაეწია.

მშობლები კი, აი, რას წერენ:

„...ჩვენ, მღვთივ გვირგვინოსანმან, პატრონმან, მეფეთ-მეფემ ალექსანდრემ და თანამეცხედრემან ჩვენმან, დედოფალთ-დედოფალმა, პატრონმან თამარ, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან სოლომონ, ნარინ-დავით, იესემ და ბაგრატ ესე საბოლაოთ გასათავებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ...“

კეთილო მკითხველო! მეც შემიწყალეთ, ცუდ დღეში ვყავარ რომანის ავტორს — რამდენ სიმართლესაც ვეტყვი, იმდენჯერ მლანძღავს „სიტყვითა უშუერითა“.

განმიკითხეთ და მიბოძეთ „საბოლაოთ გასათავებელი წყალობის წიგნი“, რათა მწერალმა მეტად აღარ დამიძახოს: „ჩვენი თავცეცხლა ჭვარცმული...“.

ამ სამსახურს კეთილად გადავიხდი, მეტი სიზუსტით გავარკვევ დედმამიშვილების საკითხს.

„მღვთივ გვირგვინოსნებმა“ დაგვიდასტურეს, რომ მათ იმ დროისთვის, როცა ეს სიგელი შეადგინეს (1744 წ.) ოთხი შვილი ჰყავდათ:

სოლომონ,

ნარინ-დავით,

იესე,

ბაგრატ.

რამდენიმე წლის მერე (დაახლოებით 1746-47 წწ.) კიდევ ერთი სასურველი ძე შესძენიათ.

მეფე ალექსანდრე სხვა წყალობის წიგნში წერს:

„...პირმშომან და სასურველმან ჩვენმა სოლომონ და ნარინ-დავით, იესემ, ბაგრატ და არჩილ...“

ამის შემდეგ სულკურთხეულ ალექსანდრეს ერთი შვილი კიდევ გაუჩნდა და სახელად გიორგი დაარქვა. მაგრამ ამის საბუთს აღარ მოვიტან, რადგან ეს უკვე მეტისმეტი იქნება — „მძიმე ჯვრის“ ავტორმა მეოთხე შვილის ხსენებაზეც ერთი ამბავი ამიტეხა!

„თუ მხოლოდ „ზოგიერთი წყაროს“ მიხედვით ჰყავდა სოლომონს მეოთხე ძმა, ხოლო სხვა წყაროები, რომლებიც შეიძლებოდა რ. ჯაფარიძეს ხელთ ჰქონოდა, ხსენებულ ფაქტს არ ადასტურებენ, რატომ მაინცდამაინც იმ წყაროს უნდა დაყრდნობოდა...“

სხვისი არ ვიცი, მე, პირადად, ჩემმა ნაწერმა ამ დღეში რომ ჩამაყენოს, თავს დავისჯიდი — ან კარგა ხნით აღარაფერს დავწერდი, ან, რასაც დავწერდი, გულდაგულ შევამოწმებდი...

თითქმის წარმოუდგენელია, პატივცემულ მწერალს, მე-18 საუკუნის დასავლეთ საქართველოზე რომან-ეპოპეას რომ წერდა, ხელთ არ ჰქონოდა წიგნი — „ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა“ (თბ., 1958 წ. ავტორი შ. ბურჯანაძე).

თქვენმა მონა-მორჩილმა ეს საბუთები იქიდან ამოვიწერე.

„ვინ იყო უფროსი, სოლომონი თუ იოსები? ასე გავცემთ პასუხს თუ ისე, ნუთუ ეს რაიმეს წყვეტს რომანში?“ — გვეკითხება პატივცემული მწერალი, უფრო სწორად, მე მეკითხება.

რა ვუპასუხო?

სხვა გზა არ არის, უნდა ვურჩიო რომანის ავტორს, რომ ჩემი წერილიდან ეს ადგილი ხელახლა წაიკითხოს:

„ცხადია, ნაწარმოებისათვის დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, იესე უფროსი იქნება სოლომონზე თუ უმცროსი, მაგრამ როცა დავწერთ, რომ იგი სოლომონზე უმცროსია, მაშინ სხვა გარემოებას მაინც უნდა გავუწიოთ ანგარიში.

კერძოდ იმას, რომ სოლომონის ტახტზე ასვლის მომენტში იესე ბატონიშვილი უკვე გელათის მიტროპოლიტია!

ეს კი, თითქმის შეუძლებელია... ასაკის გამო!

სოლომონი ჩვიდმეტი წლის გამეფდა. აქედან გამომდინარე, მისი უმცროსი ძმა, უკეთეს შემთხვევაში, თხუთმეტ წელს ცოტათი თუ იქნებოდა გადაცილებული!

ამ ასაკის სამეფო გვარის კაცი შეიძლება ჯარის სარდალიც იყოს და დიდი სახელმწიფო მოხელეც. მაგრამ გელათის მიტროპოლიტი ვერ იქნება!“

მე ეს ვარაუდით არ დამიწერია. მივდექ-მოვდექი, გავიკითხე, წავიკითხე და ბოლოს იმასაც მივაკვლიე, რომ ოცდაათ წლამდე მიტროპოლიტი ვერ გახდები!

ამის დამადასტურებელი საბუთიც მაქვს!

„მღვდელი 30 წელზე უმცროსი არ იკურთხოს, გინდაც ძლიერ ღირსეული კაცი იყოს, რადგან უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ ოცდამეათე წელს მიიღო ნათელი და დაიწყო მოძღვრება. ამიტომ მღვდლებიც 30 წლისანი იკურთხნენ“ (ექვთიმე ათონელი, VI კრების კანონები, თავი 15, წიგნში „სადვთისმეტყველო კრებული“, № 11, გვ. 17).

გენათელი მიტროპოლიტი კი, „მძიმე ჯვრის“ მიხედვით, თხუთმეტი წლისაც არ არის!

ამიტომ მწერლის კითხვას: „ვინ იყო უფროსი — სოლომონი თუ იოსები?“ ასე გავცემთ პასუხს თუ ისე, ნუთუ ეს რაიმეს წყვეტს რომანში?“ — ასე უნდა ვუპასუხო:

კარგ და სრულყოფილ რომანში ბევრ რამეს წყვეტს, ხოლო ისეთ რომანში, როგორიც „მძიმე ჯვარია“, პატივცემული მწერლის მტკიცებით, ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია...

„თ. წივწივაძე იმასაც კი გვედავება, თუ რომანის პერსონაჟთაგან ბევრი სხვა ყმაწვილი ბიჭი პირტიტველაა და „ნიკაპსა და საულვაშეზე ძლივს ემჩნევა აჩხაბაჩხა წამოსული ქერა ბუსუსები“, იოსებს რად აქვს წვერ-ულვაში და გრძელი თმაო?“

ჯერ სინამდვილე აღვადგინოთ, რისთვისაც ვედავები:

„რომანში, სხვა ადგილას, ამ ხნის ბიჭები ჯერ კიდევ პირტიტველები არიან... თხუთმეტი წლის იოსები კი „ბერული წვერითაა“ შემოსილი!“

ახლა გეკითხებით, ეს ამბავი მართლა არ უნდა გამკვირვებოდა?

ამიტომ ვიკითხე მოკრძალებულად:

„წვერის ამოსვლასაც ალბათ თავისი დრო ექნება და რაკი მის ამოწვერას დიდი საეკლესიო თანამდებობაც ვერ დააჩქარებს, ხომ არ აჯობებდა, მწერალს ძმების ასაკობრივი თანმიმდევრობა მეტი სიზუსტით გაერკვია?“

რიდისა და მოკრძალების პასუხად, პატივცემული მწერლისგან გვარიანი გინება მივიღე:

„თუ მარტოოდენ ასაკს გავყვებით, ორმოცს მიტანებული ჩვენი თავცეცხლა „ჯვარცმული“ თ. წივწივაძე ხშირი წვერითა და ყურებზე გადაგრეხილი ულვაშებით დღესაც ვერ დაიკვეხნის...“

რასაკვირველია, მე ამეებით მართლაც ვერ დავიკვეხნი, მაგრამ ხომ არიან განსხვავებული ნაკლის ადამიანებიც, რომლებიც თავიანთი ზრდილობით ვერასოდეს დაიკვეხნიან?!

●

მაინც რით დავიმსახურე რომანის ავტორისაგან ეს წყენა?

მხოლოდ იმით, რომ გავბედე და ვუთხარი — ცოტა შეუსაბამობაა, როცა თხუთმეტი წლის ყმაწვილი „გრძელი თმებით და ბერული წვერულვაშით არის დამშვენებული“, ხოლო სხვა ადგილას იმ ხნის ბიჭები პირტიტველები არიან-მეთქი.

განა ასაკთან დაკავშირებით ნაკლები უზუსტობა შეგვხვედრია რომანში?

ზოგი მათგანი ახლაც გავიხსენოთ:

ყოფილა შემთხვევა, როცა რომანში სამი თვის და რამდენიმე დღის ბავშვი უკვე „წლინახევრის“ გამხდარა.

ოთხი წლის იულონი ასტრახანს წავიდა, საყვარელი პაპის დასატირებლად...

შვიდი წლის წინათ გარდაცვლილი ვახტანგ VI ისევ მოსკოვში „ცხოვრობდა“.

სოლომონმა უბაყურა ბატონები ჯერ კიდევ მაშინ მოიხადა, დაბადებული რომ არ იყო!

მეფე თეიმურაზი თერთმეტი წლიწადია, რაც მეფეა. მწერალს კი ჯერ ისევ ბატონიშვილი ჰგონია!

და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ...

●

შემდეგ ჩვენი ძვირფასი ჯვარცმული სოლომონ მეფის ცოლების ამბავს გვიყვებაო, წერს „მძიმე ჯვრის“ ავტორი — „სამჯერ იფსკვნა ჯვარიო, გვატყობინებს. პირველად თინათიზე, მეორედ — მარიამზე, მესამედ — ქაჯაიას ნაქვრივალზე (ეს „ნაქვრივალი“ ნეტა რა უნდა იყოს? — რ. ჯ.), ბერი წულუკიძის და იყო, ქალიშვილობის სახელით გულქანი“.

ჩემს ოპონენტებთან კამათში ასეთი ჩვევა გამომიმუშავდა: თუ გადაუდებელი საქმე არ გამოჩნდა, პირველად კითხვით წინადადებაზე ვამჯობინებ პასუხის გაცემას.

ალბათ, ასეც უნდა იყოს, რაკი გეკითხებიან, კიდეც უნდა უპასუხო.

„ეს „ნაქვრივალი“ ნეტა რა უნდა იყოს? — რ. ჯ.“ — აინტერესებს „რ. ჯ.“ — ე. ი. რევაზ ჯაფარიძეს.

ქალს რომ ქმარი მოუკვდება, ასეთ ქალზე ამბობენ ხოლმე, ქვრივიაო. ხოლო თუ იმის აღნიშვნაც სჭირდებათ, ვის ჰყავდა ადრე ცოლად, მაშინ ამბობენ ხოლმე, მაგალითად, ასე, ბოდოკიას ნაქვრივალიაო!

ჩვენს შემთხვევაში, რაკი გულქანი ცოლად ქაჯაიას ჰყავდა, ქმრის სიკვდილის შემდეგ ქაჯაიას ნაქვრივალად დარჩა.

ასეც წერენ, მაგალითად, „აკაკის კრებულში“, სადაც პირველად დაიბეჭდა „სოლომონ მეფის კარისკაცები“ (1897 წ. № 8), ასეთი ფრაზაა:

„იმერეთის მეფემ, დიდმა სოლომონმა ქაჯაიას ნაქვრივალის ცოლად შერთვა მოიწადინა“.

ამ თქმულებას ზოგ გამოცემაში პირდაპირ ასეთი სათაური აქვს — „სოლომონ მეფე და ქაჯაიას ნაქვრივალი“.

თუ პატივცემულ მწერალს ისიც აინტერესებს, თვითონ სიტყვა „ნაქვრივალი“ როგორი გზით არის მიღებული, ამასაც ვეტყვი:

დაახლოებით ისე, როგორც მის რომანში — „ამილახვრის ნაცოლარი“.

თუ პატივცემულ მწერალს ისიც აინტერესებს, „აკაკის კრებული“ რაღააო, ამასაც ვეტყვი:

აკაკი (აკაკი წერეთელი —თ. წ.) სცემდა კრებულს, რომელშიც, დროდადრო ხალხურ თქმულებებსაც აქვეყნებდა.

სხვათა შორის, ეს ის კრებულია, სადაც პირველად დაიბეჭდა ისტორიული თქმულება „სოლომონ პირველი და მისი თანამედროვენი“.

ხსვათა შორის, ეს ის თქმულებაა, პატივცემულმა მწერალმა „მძიმე ჯვარში“ „ოდნავ სახეცვლილად“ რომ გადაწერა!

ქაჯაიას ნაქვრივალთან დაკავშირებით მე ვწერდი:

„დადიანის ასულის სიკვდილმა სოლომონი ადრიანად დააქვრივა. ერთი წლის მერე მეფემ ქაჯაიას ნაქვრივალი შეირთო. ამ ქორწინებაზე რომანში არაფერია ნათქვამი“.

რევაზ ჯაფარიძე ასე მპასუხობს:

„...თუ ნაწარმოების ბოლოს გულქანისა (ე. ი. ქაჯაიას ნაქვრივალის — თ. წ.) და სოლომონის ქორწინების აღწერას, ანუ ისტორიული სინამდვილის მხატვრულ ქმნილებაში ნატურალისტურად შემოტანას ავტორმა თავი აარიდა, ეს იმიტომ კი არ მოხდა... რომ მან ამ ქორწინების შესახებ არაფერი იცოდა, არამედ იმიტომ, რომ ამას მხატვრული ქმნილების კომპოზიცია და ნაწარმოებში ჩაქსოვილი აზრი ვერ იტევდა“.

სხვა რომ არაფერი ვთქვათ, საოცარი პასუხია!..

მეფე სოლომონმა 49 წელიწადი იცხოვრა, აქედან დაახლოებით 30 წელი ცოლიანი იყო. ამ ოცდაათი წლიდან თხუთმეტი წელიწადი ქაჯაიას ნაქვრივალი ჰყავდა!

ერთი მითხარით, როცა სოლომონის ცხოვრების რომანს ვწერთ, ოთხ ვეებერთელა წიგნში იმდენი როგორ ვერ უნდა მოვახერხოთ, ორიოდ სიტყვა ვთქვათ მეფის მეუღლეზე, რომელიც 15 წელიწადი ცოლად ჰყავდა და ამ ხნის მანძილზე იმერეთის დედოფალი იყო?

„ამას მხატვრული ქმნილების კომპოზიცია და ნაწარმოებში ჩაქსოვილი აზრი“ რატომ ვერ დაიტევდა?

თუკი იმერეთის მეფეზე დაწერილ რომანში, არავის რომ არ ჰკირდებოდა, „ევროპის შვიდწლიანი ომის“ თემა შემოიტანეთ, მეფის ცოლზე რომ რაიმე თქმულიყო, არ მოხერხდებოდა?

„ისტორიული სინამდვილის მხატვრულ ქმნილებაში ნატურალისტურად შემოტანას ავტორმა თავი აარიდა“, რომ წერთ, დალოცვილო, ნატურალისტურად შემოტანას თუ თავი აარიდეთ, როგორც რომანისტს ჩვევია, მხატვრულად შემოგეტანათ.

მით უფრო, როცა ფრაზის ეთიკურ მხარეზე ფიქრში დრო არ გეკარგებათ!

ვთქვათ, რა დროს წაილებდა წინადადების ასე სახელდახელოდ შედგენა:

„ბერი წულუკიძის და, გულქანს... რომანის საერთო ფართობის მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია“.

ერთი მითხარით, როგორი წარმოსადგენია, ეს მშვენიერი ქალბატონი რომანის საერთო ფართობის მნიშვნელოვან ნაწილზე?..

ეს მშვენიერი ქალბატონი ორჯერ გათხოვების შემდეგ ხომ მაინც უნდა გეხსენებინათ სოლომონის მეუღლედ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბა, ის ჯობია, რომანის მიხედვით, ბოლო თხუთმეტი წელიწადი სოლომონი გარდაცვლილ მეუღლესთან რომ ცხოვრობს და მასთან ერთად ეწევა ცხოვრების ჰაპანს?

„მწერლური კონცეპციის“ კიდევ მეტად დარღვევა რითი შეიძლება?

ამ სიმართლით რომ იაროს ქართულმა პროზამ, შორს წავა?

●

„თუ ჩვენს „ჯვარცმულს“ დავუჯერებთ, ავტორს სოლომონის შვილების ასაკი და სახელებიც კი არევია ერთმანეთში. სად, რომელი წიგნის რომელი გამოცემის რომელ გვერდზეა ეს არევდარევა?“ — გვეკითხება მწერალი.

ახლავე მოვახსენებ.

1) „სოლომონმა წამოზრდილი ბატონიშვილი დარეჯანი და წლინახევრის თამარი ხელში აიყვანა და გულზე აქეთ-იქიდან მიიხუტა“.

2) „საზეიმოდ გამოწყობილი ბატონიშვილები — დარეჯანი და ნინო დედას აქეთ და იქით ამოსდგომოდნენ და უკვე გაბედულად გალობდნენ“.

„ნინო კარგი სახელია! მეც ძალიან მომწონს და ალბათ არც არაფრით ჩამოუვარდება თამარს, მაგრამ მაინც ჯობია ბავშვს თავისი სახელი დავუძახოთ“! — ვწერდი მაშინ მე, ახლა კი წყაროს მოგახსენებთ:

პირველი ციტატის წყარო: რევაზ ჯაფარიძე, „მძიმე ჯვარი“, წიგნი III. გამომცემლობა „მერანი“, 1979 წ. გვ. 408-409. ოთხასმერვე გვერდზე ამ წინადადების სამი სიტყვა — სოლომონმა წამოზრდილი ბატონიშვილი—დატეულა, დანარჩენი, ოთხასმეცხრე გვერდის ზემოდან პირველ სტრიქონზეა გადატანილი!

მეორე ციტატის წყარო: რევაზ ჯაფარიძე, „მძიმე ჯვარი“, წიჴნი III. გამომცემლობა „მერანი“, 1979 წ., გვ. 472. ზემოდან მე-5 სტრიქონი, ქვემოდან — 29-ე!

მე მგონი, ზედმეტად მოვინდომე, წყარო სრულად რომ მიმეთითებინა: ეტყობა, ასე ჯობდა, ერთხელ და სამუდამოდ რომ გარკვეულიყო და სხვა დროს სალაპარაკო არ გამხდარიყო — „სად, რომელი წიგნის რომელი გამოცემის რომელ გვერდზეა ეს არევ-დარევა?“

ახლა ირკვევა, წყაროს დასახელებას რომ შევძლებდი, პატივცემულ მწერალს წინასწარ უგრძვნია, ამიტომ უკან დასახევი გზა დაუტოვებია!

„მაგრამ, წარმოვიდგინოთ, ავტორს მართლაც ლაფსუსი მოუვიდა, თითქმის ორიათასგვერდიან წიგნში ახალდაბადებული ბავშვის სახელი შეეშალა, მერე თ. წიწწივაძეს რა უხარია?“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯერ ერთი, „თამარ უოფილი“ ნინო ექვსიოდე წლისაა და „ახალდაბადებულად“ სულაც არ ჩაითვლება.

მეორეც, „თ. წივწივაძეს რა უხარია“, რომ ბრძანებს ავტორი, არც ესაა მართალი!

მე არაფერიც არ მიხარია, მაგრამ თუ ყოველი შეცდომის აღმოჩენისას თავში მუშტი არ დავიშინე, ავტორმა სულგრძელად უნდა მაპატიოს, რადგან ასე რომ მექნა, პირველი წიგნის ჩათავებამდე ხელში ჩავაკვდებოდი!..

შემდეგი სამი წიგნი კი წაუკითხავი დამრჩებოდა...

●

ასე რომ მომხდარიყო, მარტო ჩემი თავი არ დამენანებოდა, რაკი ავტორს შეცდომების გასწორებაში ვეხმარები, გული დამწყდებოდა, ეს საქმე ბოლომდე მიუყვანელი რომ დამრჩენოდა.

რომანში კი ჯერ ბევრი რამ არის გასასწორებელი:

„შერისხული ქვეშევრდომის მიწა და უძრავმოძრავი ქონება დასტურლამალისა და ვახტანგის სამართლის წიგნის თანახმადაც, ყოველთვის მეფის საკუთრებაში გადადიოდა ხოლმე“.

პატივცემულ მწერალს აშკარად უჭირს ქართული სამართლის ისტორიაში გარკვევა!

აქ დასტურლამალი არ უნდა ეხსენებინა, რადგან იგი ამ შემთხვევაში ისევე უადგილო და ზედმეტია, როგორც ჩემდამი მწერლის საყვედური:

„ვისაც „მძიმე ჯვარი“ თავიდან ბოლომდე, პირველი წიგნიდან მეოთხე წიგნამდე წაუკითხავს, რასაც, მიზეზთა და მიზეზთა გამო, „ჯვარცმულ მკითხველს“ ვერასგზით ვერ დავაბრალებ...“

პატივცემული მწერალი მეტად უნდა გამფრთხილებოდა და არ უნდა გავეწირე! რადგან, ასე მგონია, მე ვარ ერთადერთი კაცი, ვისაც „მძიმე ჯვარი“ (გვერდებგამოუტოვებლად!) თავიდან ბოლომდე მაქვს წაკითხული!..

●

„რეცენზენტი არ ცხრება, ჩვეულებას არც ქვემოთ ღალატობს, პირზე იქედნური ღიმილით გადმოსცემს რომანის სიუჟეტს. ასე გვიყვება ის ქუთაისში სოლომონის თავმჯდომარეობით ჩატარებული საეკლესიო კრების ამბავს...“

პირზე იქედნური ღიმილით გვიყვებათ, ამის თქმა ალბათ ნამეტანია, თორემ ღიმილის მომგვრელი მართლაც კია იქ განხილული საკითხების მწერლისეული გადმოცემა.

კრებაზე პათეტიკური შეძახილი გაისმა — „სად არის და რატომ არ იღებს ხმას „უნეტარესი და უწმინდესი კათალიკოსი ანტონი, რად გაჩუმებულა?“

ანტონს მართლაც ჰქონდა ხმა ამოსაღები! — მაგრამ არა ამ რეპლიკის, არამედ უფრო სხვა რამის გამო!..

მაგრამ, სამწუხაროდ, ამ დროს ანტონი უკვე აღარ არის „უწმინდესი და უნეტარესი კათალიკოსი“, იგი, ექსორიაქმნილი, რუსეთშია გადახვეწილი!

საეკლესიო კრებას კი, რომელიც „სოლომონ მეფის თავმჯდომარეობით ჩატარდა“, უნდა სცოდნოდა ამის შესახებ...

●

„წერილის კულმინაციაა სამასხარაო ქვეთავი: „ქმარი... ცოლის ნათლიად“. რა კურიოზია ეს? მართლა არის „მძიმე ჯვარში“ ამგვარი სულელური შეუსაბამობა?“

. რამდენიც გნებავთ, იმდენია! ზოგ მათგანზე ახლა მოგახსენეთ, ბევრსაც აწი გეტყვით!

რას ნიშნავს „გლეხკაცური სალოცავები?“ რა სურს ამით გვითხრას მწერალმა — გლეხებს სხვა სალოცავები ჰქონდათ და თავადაზნაურობას კიდევ სხვა?

დედათა მონასტრის წინამძღვრად მწერალს გამოუყვანია არა ქალი-მონაზონი, რომელიმე იღუმენია, არამედ მამაკაცი — მიტროპოლიტი მიხეილი!

ბარაკონის ეკლესიაში მისი კურთხევისას დეკანოზმა „თავის მხურვალე ლოცვა-ვედრებაში მოიხსენია... ხელმწიფე-იმპერატორი ელისაბედ პეტრეს ასული და სრულიად რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის უწმინდესი სინოდი“, — წერია „მძიმე ჯვარში“.

მე-18 საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს ქართული ეკლესია არც რუსეთის იმპერატორს და, მით უმეტეს, არც სინოდს მოიხსენიებდა!

ყალბია რომის პაპის წერილიც სოლომონისადმი, ყალბია იმიტომ, რომ იგი რომის პაპს კი არ დაუწერია, არამედ რევაზ ჭაფარიძეს!

და ამ სიყალბეში მთავარი შეცდომა მაინც ესაა: „მაცხოვარი ერთბუნებოვანია და არამცდაარამც ორბუნებოვანი“, ასე იტყოდა ამას სომეხთა მღვდელმთავარი და არავითარ შემთხვევაში — რომის პაპი!

პატივცემულმა მწერალმა არ იცის, რომ კათოლიკობაც და მართლმადიდებლობაც დიოფიზიტობაა. და რომის პაპი სიზმრადაც არ იქადაგებდა ქრისტეს ერთბუნებიანობას!

---

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲬᲘᲕᲬᲘᲕᲐᲫᲔ .
„ᲯᲕᲐᲠᲡ ᲔᲪᲕᲘ, ᲗᲣ ᲒᲘᲜᲓᲐ, ᲡᲐᲨᲕᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ...“

როცა პატივცემულმა მწერალმა თავის თავისთვის მეტად უხერხული კითხვა დასვა — „მართლა არის „მძიმე ჯვარში“ ამგვარი ხულელური შეუსაბამობა?“ ამიტომ იყო, რომ დავუდასტურე. დავუდასტურე იმის მიუხედავად, რომ დამოწმებული ჰყავდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე.

„ეკლესიის საკითხების ირგვლივ წერილობით ახსნა-განმარტებას მაძლევდა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, ამჟამად სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია“.

ჩემს პირველ წერილში პატივცემული მწერალი საეკლესიო საქმეების უცოდინრობაში რომ ვამხილე, მიპასუხა:

„დაირღვა ბევრი სხვა რამეც, მაგრამ იმიტომ კი არა, თითქოს ავტორმა არ იცოდეს, რომ კათალიკოს ილია მეორის ავტორიტეტულმა კონსულტაციებმა ეკლესიის საკითხში ამაოდ ჩაიარა...“

ამაოდ რომ ჩაუვლია, მე ზემოთ ვაჩვენე.

●

„ცალკე უნდა აღინიშნოს სტატიის ავტორის ალტაცება იმით, რომ რომანის 64-ე გვერდზე კორექტურული შეცდომა უპოვია, მეხუთის მაგიერ იქ მართლაც პირველი წერია“.

ვინც რომანის ირგვლივ გამოთქმულ ჩემს შენიშვნებს ყურადღებით თვალს ადევნებს, დარწმუნებული ვარ, ღიმილს ვერ შეიკავებს მწერლის ამ განცხადებაზე — „ცალკე უნდა აღინიშნოს სტატიის ავტორის ალტაცება იმით, რომ რომანის 64-ე გვერდზე კორექტურული შეცდომა უპოვია....“

ხომ ასე ულმერთოდ მლანძღა პატივცემულმა ავტორმა თავის წერილში, რაღა დაგიმალოთ და, ისეთ გუნებაზე ვიდექი, თუ რამე გამამხიარულებდა, აღარც მეგონა!

მწერლის ზემოთ ნათქვამზე მეც გამეცინა!..

კორექტურული კი არა, „ნაღდი“ შეცდომის აღმოჩენაც რომ მგვრიდეს ალტაცებას, „მძიმე ჯვრის“ წაკითხვის შემდეგ ჩემზე ბედნიერი კაცი დედამიწის ზურგზე არ იქნებოდა!..

„რომანის ავტორმა არ იცის, სოლომონის გვირგვინოსანი მამა მერამდენე ალექსანდრე იყო?“ — გვეკითხება რევაზ ჯაფარიძე.

მე არ მითქვამს, პატივცემულმა მწერალმა ეს არ იცის-მეთქი. ამ გარემოებას ხაზი მხოლოდ იმისთვის გავუსვი, რომ მსგავსი უყურადღებობა რომანში ხშირად შეიმჩნევა.

მწერალი კი გვთხოვს, გადავშალოთ „მძიმე ჯვრის“ პირველი-მეორე წიგნის მოსკოვური გამოცემა, სადაც ეს შეცდომა გასწორებულიაო.

კეთილი და პატიოსანი.

მადლობა ეთქმით რუს გამომცემლებს — ეს უზუსტობა რომ არ გაპარვიათ, მაგრამ აქ ავტორის თავმოწონების საფუძველს მე ვერ ვხედავ. ეს ფაქტი რუსი კოლეგების ყურადღებიანობაზე უფრო მიუთითებს, ვიდრე ავტორის სიყოჩაღეზე!

მე დარწმუნებული ვარ, ასევე მძიმე ჯაფა დაადგებათ საკავშირო გამომცემლებს რომანის შემდგომი ორი წიგნის გამოცემისას.

იქ ბევრი რამ იქნება გასასწორებელი!

მაგალითად, იქაურ მკითხველს, მეტი რომ არ ვთქვათ, ირონიულ ღიმილს მოჰგვრის ქართველი მწერლის განსწავლულობა რუსეთის ისტორიის საკითხებში.

„შობას, 25 დეკემბერს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უეცრად გარდაიცვალა იმპერატრიცა ელისაბედი და მეორე დღესვე რუსეთის ხელმწიფის გვირგვინი დაიდგა მისმა მხოლოდშობილმა ძემ, ბატონიშვილმა პეტრემ, ამიერიდან იმპერატორმა პეტრე მესამემ“.

წინადადებას რიხი არ აკლია, სამწუხაროდ, ასევე რიხიანით წასულა შეცდომებიც!..

პატივცემულმა მწერალმა არ იცის, რომ იმპერატრიცა ელისაბედს მხოლოდშობილი ძე არ ჰყოლია!

მეტიც!— იგი საერთოდ გათხოვილიც არ ყოფილა!

მართალია, შვილი უქმრომ გააჩინა, მაგრამ არა მხოლოდშობილი ვაჟი, არამედ ნაბუშარი გოგონა, რომელსაც, როგორც უკანონოს, ტახტზე ფიქრის უფლებაც არ ექნებოდა!

იმპერატორი პეტრე მესამეც თავიდანვე პეტრე როდი ყოფილა!

იგი მამით გერმანელი იყო და სახელიც გერმანული ერქვა — კარლ ულრიხ ჰოლშტაინი!

კარლი ელისაბედის დისწული იყო და რუსეთის ტახტიც ამ გზით მიიღო. პეტრე მესამეც მაშინ დაირქვა, გამეფებისას.

როგორც ვნახეთ, ბევრი უზუსტობაა.

მე რომ ალტაცებას მგვრიდეს „კორექტურული შეცდომის პოვნა“, ამდენი „ნაღდი“ შეცდომის ერთად აღმოჩენაზე სიხარულისგან გული უნდა წამსვლოდა!

ასევე ირონიულ ღიმილს გამოიწვევს რუს მკითხველში ქართველი მწერლის განსწავლულობა ევროპის სახელმწიფოების გეოგრაფიაში.

„მგლის მადაალძრული ფრიდრიხი, რომელსაც ჩუმჩუმად ინგლისის მეფე გიორგიც აქეზებდა, პატარა და სუსტი საქსონიის დაპყრობით არ დაკმაყოფილდებოდა და ომის ცეცხლს სილეზიაში, ვენის სამეფო კარის კუთვნილ მიწაწყალზე გადაიტანდა, აქედან კი პოლონეთამდე და რუსეთამდე ერთი ნაბიჯიდა რჩებოდა“.

პრუსია სწორედ პოლონეთსა და რუსეთს ესაზღვრებოდა. ამიტომ იგი საქსონიასა და სილეზიაში შეჭრით კი არ უახლოვდებოდა, არამედ, პირიქით, უფრო და უფრო შორდებოდა ამ ორ სლავურ ქვეყანას!..

„...ვენის სამეფო კარი, რომელსაც სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან... ოსმალეთის ფლოტი ემუქრებოდა“.

ასე გამოდის, რომ ვენას ორი მხრიდან, სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან ზღვა აკრავს, თორემ ფლოტი როგორღა მიუდგებოდა?

საინტერესოა, როგორ გამოვიდა შუაგულ ხმელეთიდან ზღვაზე ავსტრიის დედაქალაქი?

ვინმე მადლობელი რომ იყოს, რუსი რედაქტორის სამუშაოს ნაწილობრივ აქვე შევასრულებდი, მაგრამ უნდა შევწყვიტო, თორემ ვინც ის მოახერხა, ავსტრიის დედაქალაქისთვის წყალი (სამდინარო წყლებს არ ვგულისხმობ) შეეყენებინა, ხომ წარმოგიდგენიათ, ჩემნაირ უპატრონო კაცს რას უზამს!..

●

„რომანის წერის პროცესში გადავწყვიტე მეფე სოლომონის კორონაციის ადგილად გელათის აკადემიის დიდი დარბაზი ამერჩია...“

საქმე ის არის, რომ იმ შენობაში, რომელსაც პატივცემული მწერალი „აკადემიის დიდ დარბაზს“ უწოდებს, სოლომონის დროს, რუსეთის ელჩების, ტოლჩანოვისა და იევლიევის ცნობით, იყო ბერების სატრაპეზო, დარბაზის შუაგულში ჩაგდებული დიდი ქვევრით.

ამიტომ იქ მეფედ კურთხევის ცერემონიალი მეტად შეუფერებელი იქნებოდა, მით უფრო, კორონაციისათვის!

რადგან ეს სიტყვა თავისთავად ნიშნავს ტახტზე ასვლისას ქრისტიანი მონარქის მიერ ხელისუფლების საზეიმო მიღებას.

ამიტომ ვწერდი:

„აკადემიაში მეფეს არ აკურთხებდნენ — მეფეს ტაძარში დაადგამდნენ სამეფო გვირგვინს!“.

ამაზე მწერალი ასეთ ახსნა-განმარტებას იძლევა:

„სოლომონი ტახტზე თურქეთის სულთნის წარმომადგენლებს უნდა აეყვანათ და სულთნის ერთგულებაზე დაეფიცებინათ, ეს ცერემონიალი კი, დამერწმუნებით, ქრისტიანული ეკლესიის საკათედრო ტაძრისთვის, როგორიც გელათია, მეტისმეტად შეუფერებელი ჩანს. ამიტომ შუვაჩერე არჩევანი სარწმუნოების თვალსაზრისით შედარებით ნეიტრალურ ადგილზე, გელათის აკადემიის დიდ დარბაზზე...“

ვისაც „მძიმე ჯვარი“ წაკითხული არა აქვს და არ იცის მისი ავტორის მწერლური უგულისყურობა, შეიძლება ეს განცხადება სარწმუნოდაც ეჩვენოს.

ჩემი დაჯერება ცოტა ძნელია, ის ამ საქმეს ასე საგულდაგულოდ არ გამოიძიებდა!

აბა, სხვა მაგალითი ვნახოთ:

„არჩილ და ელენე ბატონიშვილების ნიშნობა დიდი ზარ-ზეიმით გადაიხადეს ცისარტყელის შვიდფერით გაბრწყინებულ ისნის სასახლის სამეჯლისო დარბაზში“.

კი მაგრამ, სადღა იყო „ცისარტყელის შვიდფერით გაბრწყინებული ისნის სასახლე? იგი 500 წლის წინათ არ მოთხარა ჯალალ-ადდინმა?!.

ამიტომ ვთქვი ზემოთ — ავტორი „ამ საქმეს ასე საგულდაგულოდ არ გამოიძიებდა!“

●

პატივცემული მწერლის რისხვა წერილის ფურცლებიდან არა ერთხელ დამტყდომია თავს. თითქოს ალარაფერს უნდა გავეკვირვებინე, მაგრამ პატარა ქვეთავისთვის—„ურცხვი გოლა“ — იმდენი მომხვდა, „რუსის ბარაბანს“ რომ არ მოხვედრია...

„რომანისტი ვისიმე სექსუალური გრძნობების აჩქროლებას კი არ ლამობს...“

„რით განსხვავდება ეს ცინიზმი იმ ცინიზმისაგან, გოლა-ფაშას პირუტყვულ წადილს რომ უდევს საფუძვლად?“

„შეიძლება ამაზე შორს წავიდეს ცინიზმი, უხამსობა და ღვარძლი, რომელიც არა მარტო ერთი „ცალკე აღებული“ მწერლის, არამედ ლიტერატურის წინააღმდეგ არის მიმართული?“

მკითხველი უნდა გავაფრთხილო, ამას რომანის პერსონაჟი „ურცხვი გოლა“ კი არ ამბობს („ურჯულოს კვალობაზე“ ის ღმობიერი კაცია!), არამედ პატივცემული მწერალი ამბობს ჩემი მისამართით!

კი მაგრამ, ასეთი რა დაუშავე, ალბათ, ქუჩაში თუ დახვდი და უდიერად მოეპყარით, — იკითხავს გაოგნებული მკითხველი.

პატივცემულ მწერალს, ვიდრე ჩემს წერილს წაიკითხავდა, ერთი-ორი დღის წინ მართლა შევხვდი, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა, ერთმანეთი პატივისცემით მოვიკითხეთ და ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავშორდით, ახლა თქმა მიჭირს, თორემ შემაქო კიდეც.

განსაკუთრებით ჩემს ლიტერატურულ გამბედაობას გაუსვა ხაზი.

მეც შევპირდი, რომ ამ კუთხით მუშაობას გავაგრძელებდი...

●

სამწუხაროა, რომ პატივცემულ მწერალს წესიერი კამათისთვის მიუღებელი ერთი ცუდი ჩვევა აქვს: დაგწამოს ის, რაც შენს დღეში არ გიფიქრია.

ეს ხერხი გამოუცდელ მოკამათეს კიდეც დააბნევს და, ამდენად, შეიძლება ეფექტურიც იყოს, მაგრამ არაწესიერი გზით მიღწეული წარმატება შვების მომგვრელი ხომ ვერ იქნება?

„მე, ასე გასინჯე, კიდევ დამებადა ერთი კითხვა. ვთქვათ, თ. წივწივაძის წერილი „მძიმე ჯვარი და ჯვარცმული მკითხველი“ წაიკითხა ახალგაზრდა აბიტურიენტმა ან საშუალო სკოლის მოსწავლემ...“

ესეც ახალი უბედურება!..

ჟურნალის იმ ნომერში რაკი არსად იყო მინიშნებული, რომ ჩემი წერილის წაკითხვა ეკრძალებოდათ ახალგაზრდა აბიტურიენტებსა და სკოლის მოწაფეებს, მე რა ვიცი, იქნებ წაიკითხეს კიდეც!..

ახლა იმაზე უნდა ვიდარდო, რა უბედურება შეიძლება მოჰყვეს ამ ამბავს — ვერ გათხოვდებიან, ცოლებს ვერ მოიყვანენ თუ აბიტურიენტები უმაღლესში ვერ მოხვდებიან?

ამიტომ გულისფანცქალით ველოდი მწერლის განაჩენს...

„რა ვუპასუხოთ, როგორ უნდა დაწერილიყო სწორი, „შესაბამისი“ ქართულით ზემოთმოყვანილი ფრაზები? კერძოდ, რა შეცდომები მოსვლია რომანის ავტორს, რომ ახალგაზრდა მკითხველმაც გაითვალისწინოს სასკოლო ან საგამოცდო თემის დაწერისას?“

სულ ეს იყო და სხვა საშიშროება არაფერია მოსალოდნელი?

ასე რომ მცოდნოდა, აღარც გულს შევასკდებოდი!

თუ მეტი უბედურება არ არის მოსალოდნელი, ამაზე როგორ არ ვუპასუხებ ახალგაზრდა აბიტურიენტებსა და სკოლის მოსწავლეებს!

პირველ რიგში, მშვიდად იყვნენ, „მძიმე ჯვარი“ არ არის ის ნაწარმოები, სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლების პროგრამებში რომ შეიტანონ!

მეორეც „რა შეცდომებიც მოსვლია ავტორს“, მე ის არავისთვის დამიმალავს. ჩემს წერილში ამაზე სრულადაა საუბარი!

ხოლო, რისთვისაც „ის ფრაზები“ მოვიყვანე, იქვე ავხსენი და ასე ვთქვი:

„მწერალი ასევე უყურადღებობას იჩენს პერსონაჟთა ლექსიკის მიმართ. სხვებს რომ თავი დავანებოთ, სამეფო კარის წარმომადგენლების ენაც შეუფერებელია არა მარტო იმ საუკუნისთვის, არამედ მათი სოციალური მდგომარეობისთვისაც“.

„ახალგაზრდა მკითხველმაც უნდა გაითვალისწინოს“, თუ ის მწერლობაში აპირებს მოსვლას, რომ რევაზ ჯაფარიძის „ის ფრაზა“:

„— ღმერთო, ეს რა დამემართა... ბავშვები ჯავრით დამეხოცებიან, გადაირევა სოლომონი!“

დედოფლის ნათქვამს არ ჰგავს! ასე ბაზარში საყიდლებზე წასულ სოფლელ ქალს რომ შემოაღამდება და უკანასკნელ ავტობუსზე დააგვიანდება, ის წუწუნებს!

●

„რაკი თავზე ნაცარი წავიყარე, ამ წერილს პირადად მე, რომანის ავტორი ვწერ და არა სხვა ვინმე, ვისაც „ჯვარცმულის“ წრეგადასული მკრეხელობა შეზარავდა, შეზარავდა არა იმდენად შინაარსით, არამედ ფორმით და პროტესტის გამოსახატავად ხელში კალამს აიღებინებდა“.

პატივცემულ მწერალს მართლა რომ ჯეროდეს, გამოჩნდებოდა ვინმე, „ვისაც „ჯვარცმულის“ წრეგადასული მკრეხელობა შეზარავდაო“, არ აჩქარდებოდა, იმ პატიოსან კაცს დაელოდებოდა, საკუთარ თავზე ნაცრის წაყრის ერთობ დამამცირებელ პროცედურას რომ აარიდებდა!

აღარც მე ჩამაგდებდა ამ დღეში — ლამის ქვეყნის მოღალატედ რომ გამომაცხადა!..

„ყველამ, ვისაც საქართველოს მიწაზე ფეხი დაუდგამს და გულში ჩადებული ავი ზრახვა არ მორევია, კარგად იცის, რა სიმაღლისა და სიგანისა უნდა იყოს ეს ლობე“.

ასე რომ მცოდნოდა, ამისთვის საქვეყნოდ თუ შემაჩვენებდნენ, ხმას როგორ ამოვიღებდი! ყოფილიყო მასპინძლებსა და სტუმრებს შორის კაცის სიმაღლე ლობე ჩამდგარი და ასე ეჭამათ პური!..

მაგრამ მეტი მომიხდება! რა ძალა მადგას, სხვის ლობეში ცხვირს რომ ვრგავ! ანდა, რა ჩემი ჭკუის საქმე იყო, ამაზე რომ ვწუხდი:

„სადღეგრძელოს გადაღმაც იტყოდა ამ საქმით დაინტერესებული კაცი, მაგრამ ღვინოზე მისაყოლებლად ამ სიმაღლე ლობეზე რა გადმოიყვანდა!“

თუ არ გადმოვიდოდა, მის დღეში ნურაფერი ეჭამა!

თუმცა, ამას ახლა ვამბობ, გამწარებული რომ ვარ, თორემ მაშინ ვფიქრობდი, შეცდომის გასწორებაში ავტორს ხელს წავუკრავ-მეთქი და გულწრფელად ვურჩიე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ამ ყოვლად უხერხულ მდგომარეობას ადვილად აარიდებდა თავს მწერალი, მეფის ამალა ქიშკარზე მოვლით, ვენახში რომ შემოეყვანა ან სუფრა იქვე წყაროზე გაეშალა...“

„ხელის წაკვრა“ ეგრე არ უნდაო, იუკადრისა ჩემი სამსახური პატივცემულმა მწერალმა!

„ვისაც „ჭვარცმულის“ წრეგადასული მკრეხელობა შეზარავდა... და პროტესტის გამოსახატავად ხელში კალამს აალებინებდა..,“

კალამი კი არა, ხელში თოფი მაქვს ახალები (ტერორისტი მაინც არ ვიყო!), თავი რომ მოვიკლა! ეს რამ აფიქრებინა პატივცემულ მწერალს ჩემზე — „ვისაც საქართველოს მიწაზე ფეხი დაუდგამს და გულში ჩადებული ავი ზრახვა არ მორევია...“

●

პირველ წერილში ავტორისადმი მიმართულ ჩემს ზოგ შენიშვნას მცირე ირონიაც ახლდა: „მწერალს, ეტყობა, უგრძვნია, რომ ტრადიციული სტილითა და მანერით დაწერილ რომანს მოულოდნელი მხატვრული სახე ან ახლად მიგნებული შედარება ნაკლებად მოუხდებოდა. ამიტომ არჩევანი სხვათაგან ნახმარ და ცხოვრებით მრავალჯერ შემოწმებულ, მაგრამ უკვე სტერეოტიპად ქცეულ გამოთქმებზე შეუჩერებია“.

მე მოველოდი, პატივცემული მწერალი საპასუხო წერილში მოიტანდა ერთ მხატვრულ შედარებას მაინც და ამ გზით შეეცდებოდა ჩემი „მცდარი“ აზრის გაბათილებას!...

აი, ნახეთ მსგავს სიტუაციაში რა კარგად მოიქცა ერთი უცხოელი ჯენტლმენი!

როცა ის, სამოცდაათ წელს გადაცილებული კაცი, მოცურავეთა საზოგადოების პრეზიდენტად აირჩიეს, მოწინააღმდეგეებმა ხმა დაუყარეს — ცურვა არ იცისო!

ახლად არჩეული პრეზიდენტი ამ ბრალდების გასაბათილებლად „ცნობის ახალებად“ კი არ წასულა, ცილინდრი მოიხადა, გვერდზე დადო, თავად ტანსაცმლიანად წყალში გადახტა და აუზი მოხდენილად გაცურა!..

ყველამ დაინახა, დაყრილი ხმები სინამდვილეს არ შეეფერებოდა!..

ცხადია, ასევე „ადვილად“ შეეძლო პატივცემულ მწერალს ჩემი ბრალდებისგან თავი დაეცვა, მაგრამ ეტყობა რომანში გაბნეულმა „მხატვრულმა შედარებებმა“ ამის საშუალება არ მისცეს!. ამიტომ თავის დაცვის უფრო ზოგად საშუალებას მიმართა: „რომანის სისუსტე, მისი მხატვრული დონის არასახარბიელო მდგომარეობა ამ გზით არ მტკიცდება, ჩვენს ძვირფას „ჯვარცმულს“ რომ აურჩევია“-ო.

ამ გზით, ალბათ, არც საკუთარი ნაწარმოების დაცვა შეიძლება, ჩვენს ძვირფას მწერალს რომ აურჩევია!..

●

„ვიდრე თ. წივწივაძე რომანს ხელში აიღებდა, როგორ ფიქრობთ, რამდენმა ათასმა და ათიათასმა მკითხველმა მოასწრო მისი წაკითხვა? ამ ათასებიდან შეიძლება თუნდ ერთი კაცი გამოირჩეს, ვისაც ის ბინძური ეჭვი დაებადა, ჩვენს პატივცემულ „ჯვარცმულს“ რომ აწვალებს?“

რასაკვირველია, პატივცემულმა მწერალმაც კარგად იცის, რომ მის წინ, ჩემი სახით, ერთი საწყალი და სიმართლეს გამოდევნებული ლიტერატორია, თორემ მართლა „ტერორისტს“ ამას ვერ შებედავდა!

სამწუხარო სიმართლეს კი, როგორც აქამდე მითქვამს, ახლაც ვიტყვი.

„რამდენმა ათასმა და ათიათასმა მოასწრო მისი წაკითხვაო“, რომ ბრძანებს მწერალი, მეტისმეტია!

ჩემი ხელობის კაცს, დღედაღამ ლიტერატორების გვერდით რომ ტრიალებს, ჯერ შემთხვევა არ მქონია, ვისთვისაც მიკითხავს, ეთქვას, „მძიმე ჯვარი“ წაკითხული მაქვსო.

არადა, მწერალმა ისეთი წიგნი კი უნდა დაწეროს, ერთი-ორმა ლიტერატორმაც რომ წაიკითხოს...

ის რეცენზიები „მძიმე ჯვარს“ რომ მიეძღვნაო? მომიგრის პატივცემული მწერალი. ამ საკითხზე ჩემს წინა წერილში საგანგებოდ ვიმსჯელე და ვთქვი:

„მძიმე ჯვარს“ უფრო ისინი აქებენ, რომელთაც ეს ნაწარმოები საერთოდ არ წაუკითხავთ!“

სამწუხაროდ, ახლაც ამ აზრზე ვარ და ვერც იმის საფუძველს ვხედავ, შეხედულება რომ შევიცვალო.

●

„ე. წ. ოიდიპოსის კომპლექსისადმი მიდრეკილებას ჩვენი საყვარელი „ჯვარცმული“ სხვაგანაც არაერთჯერ იჩენს, გამეორება რომ არ გამომივიდეს, ამ საკითხის გარშემო ჩემი მოსაზრების გამოსათქმელად მეც სხვა ადგილას შევჩერდები“.

მეც მზად ვიყავი ამ მეტად საჩოთირო „საკითხის გარშემო“ მეპასუხა ორიოდ სიტყვა და დიდხანს ველოდე, როდის მოიცლიდა პატივცემული მწერალი თავისი „მოსაზრების გამოსათქმელად“, კარგა ხანს შემიყოლია, ამის გასარკვევად სხვა ადგილას შევჩერდებიო.

მთელი წერილის მანძილზე მოლოდინად ქცეული და მეტისმეტად დაძაბული ველოდი, როდის მოგვახსენებდა ამის შესახებ.

რომანშიც და წერილშიც ეს

იყო ერთადერთი დრამატული ხაზი, მწერლური მიგნება, რომელიც მომეწონა.

მაგრამ მწერალთან ბოლომდე რომ რამე მომეწონოს, ეტყობა, ამის იღბალი მე არ მაქვს:

„ამ ადგილას, შეპირებისამებრ, მე მინდოდა ორიოდე მოსაზრება გამომეთქვა ოიდიპოსის კომპლექსისადმი ჩვენი რეცენზენტის დამოკიდებულების შესახებ, მაგრამ ალღო მკარნახობს, რომ არ ღირს, სექსუალურ თემას ისედაც გაუმართლებლად ბევრი ადგილი მივუძღვენით“.

„სექსუალურ თემაზე“ მე პატივცემულ მწერალთან ჩემს წერილში არ მილაპარაკია. ალბათ, სხვებში ავერიე და ამიტომაც იყო, რომ თქვა: ამ თემაზე ლაპარაკი „ალღო მკარნახობს, არ ღირსო“.

●

„განა მსგავსი ლაფსუსი მხატვრული სიტყვის მსოფლიო გენიოსებსაც არ მოსვლიათ? ნატაშა როსტოვა 12 თვეს იყო ორსულად, ნაცვლად 9 თვისა“. — წერს რევაზ ჯაფარიძე.

არა მგონია, მთლად სწორი იყოს, მსოფლიო გენიოსებს მაინცდამაინც ნაწარმოებში დაშვებული შეცდომების ჯამით შევედაროთ!

თუ ეს ერთადერთი საზომი იქნება ამ „შეჯიბრში“, მაშინ პატივცემული მწერლის უპირატესობა ისედაც აშკარაა! — გაპარული შეცდომების რაოდენობით „მძიმე ჯვარი“ ერთბაშად აჭარბებს მსოფლიო გენიოსების ხელიდან გამოსულ ყველა ნაწარმოებს!

ამის თქმას ვერ გავბედავდი, წინ პატივცემული მწერლის ერთი საგულისხმო შეცდომა რომ არ მედოს:

„ნატაშა როსტოვა 12 თვეს იყო ორსულად, ნაცვლად 9 თვისა...“

მე აქამდე ძალიან მიჭირდა — იმ რომანის შეცდომებზე ველაპარაკებოდი მკითხველს, რომელიც აბსოლუტურ უმრავლესობას წაკითხული არ ჰქონდა!

ახლა წარმოუდგენლად უკეთეს „პირობებში“ ვარ — ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“ თითქმის ყველამ ვიცით!

ამიტომ უფრო თამამად ვიტყვი: ნატაშა როსტოვა 12 თვეს ორსულად არ ყოფილა!

დ. ს. მერეჟკოვსკიმ თავის მონუმენტურ, ორნაწილიან მონოგრაფიაში „ლ. ტოლსტოი და დოსტოევსკი“ (1901-1902) პირველად აღნიშნა, რომ ტოლსტოის რომანის „ომი და მშვიდობის“ მომხიბლავმა პერსონაჟმა ნატაშა როსტოვამ ორი თვით ადრე მოილოგინა!

პატივცემული რევაზ ჯაფარიძე კი სხვას ამტკიცებდა — ნატაშა როსტოვა 12 თვეს იყო ორსულადო!

რასაკვირველია, ამით ის კი არ მტკიცდება, რომ მწერალს „ომი და მშვიდობა“ არა აქვს წაკითხული, ეს შემთხვევა უფრო იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ ეს ამბავიც ყურმოკრულად აქვს განაგონი!..

სერიოზულ კამათში კი ყურმოკრული ამბების იმედად ყოფნა არაფერს გვარგებს!..

ყოველ შემთხვევაში, ასე მაინც არ უნდა ეკითხა:

„მოვიგონოთ სხვა მაგალითიც? ვგონებ ეს ერთიც კმარა“.

როგორც ახლა ვნახეთ, ეს ერთი მაგალითი ნამდვილად არ კმარა! მაგრამ მეტის მოტანასაც აღარ ვითხოვ, პატივცემულმა მწერალმა წინასწარ „დამაშინა“:

„ეს ერთიც კმარა... არ მინდა ზედმეტი მაგალითებით ვისმე ტვინი გავუღლაყო“.

ამ შემთხვევაში მწერალი არ აჭარბებს — თუ მაგალითების მოტანა ამ „სიზუსტით“ კიდევ გააგრძელა, ეს საშიშროება ნამდვილად გველის!..

●

„მძიმე ჯვრის“ ავტორს, რომანში დაშვებული ფაქტობრივი და მწერლური ლაფსუსების გასამართლებლად, წერილის ეპიგრაფად ლუკიანე სამოსატელის სიტყვები წარუმძღვარებია:

„...პოეზიაში შეუზღუდველი თავისუფლებაა და ერთი კანონია — სწრაფვა პოეტისა, რომელსაც მუზები წარმართავენ. მას ვერ აუკრძალავ, ჰენებით ატაროს ცხენი შემოსულ ყანაში ისე, რომ ერთი თავთავიც არ გაათელვინოს...“

ძნელი წარმოსადგენი არაა, ამ სტრიქონების პოვნით გამოწვეული მწერლის სიხარული! რამდენად უგულო უნდა იყო კაცი, მწერლის ეს აღტაცება რომ გაანელო! ამიტომ ცოტა ვაცადოთ...

ჩვენ კი ამასობაში ის ფრაზები მოვიძიოთ, სადაც პატივცემული ლუკიანე მწერალს ისევ ჰყავს დამოწმებული.

„მაშ, რით და როგორ უნდა გავასხვაოთ ისტორია ლიტერატურისაგან? შეიძლება განათლებულ საზოგადოებაში მეოცე საუკუნის დამლევს, 1800 წლის შემდეგ ნეტარხსენებულ ლუკიანე სამოსატელის გარდაცვალებიდან, ფრიდრიხ ენგელსი „ანტიკურ ეპოქის ვოლტერს“ რომ უწოდებდა, ამ ელემენტარული საკით-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული

ხის გარშემო სერიოზული მსჯელობა გავმართოთ?“

პირველ ყოვლისა, მადლობას მოვახსენებ პატივცემულ მწერალს მნიშვნელოვანი ცნობის მოწოდებისათვის, სხვა ვითარებაში ალბათ არ გამახსენდებოდა „ნეტარხსენებულ ლუკიანე სამოსატელს“ გარდაცვალებიდან მრგვალი თარიღი (1800) რომ შესრულებია! ღმერთმა მისი სული იმ ქვეყნად გაანათლოს, ჩვენ კი მისეულ აზრებს აქაც არა ერთხელ გავეხარებინოთ!

მშვენიერი აზრის მიუხედავად, არა მგონია, ზემოთ დამოწმებული ლუკიანე სამოსატელის ციტატიდან ის აზრი გამოდიოდეს, რომ ისტორიული რომანის მწერალს, „რომელსაც მუზები წარმართავენ“, იმისი უფლებაც ჰქონდეს, ისეთი განუკითხაობით აჰენებდეს პოეტურ ცხენს, ისტორიის რეალურ „ყანაში“, როგორც ამას „მძიმე ჯვრის“ პატივცემული ავტორი სჩადის!

ამასთან, იმ გარემოებასაც უნდა გაეწიოს ანგარიში, რომ ბრძენი მწერალი ამას პოეზიაზე ამბობს, თორემ პროზაში, შეიძლება, ცოტა სხვაგვარად იყოს!

კარგი იქნებოდა აქ, ამ სფეროში მომუშავე რომელიმე დიდი შემოქმედი დამემოწმებინა, მაგალითად, ლევ ტოლსტოი!

მართალია, მძიმე ჯვრის ავტორის აზრით, არც ეს რუსი გენიოსია შეუმცდარი, მაგრამ პროზის საკითხებში, ალბათ, ჩვენზე მეტად მაინც ის იქნება გარკვეული!

ყოველ შემთხვევაში, სხვებს ჯერჯერობით ასე მიაჩნიათ!

აი, რას წერს იგი მეოცე საუკუნის დამდეგს, „ნეტარხსენებული ლუკიანე სამოსატელის“ გარდაცვალებიდან თითქმის 1700 წლის შემდეგ:

„როდესაც ისტორიულ ნაწარმოებს ვწერ, მიყვარს სინამდვილესთან ახლოს ვიყო უკიდურეს წვრილმანებამდე“ (ლევ ტოლსტოი, წერილი ოფიცერ ი. ყორღანოვისადმი, 1902 წლის დეკემბრის თარიღით).

●

დასასრულ, კიდევ ერთხელ უნდა გავიმეორო პატივცემული მწერლის ნათქვამი:

„რაკი თავზე ნაცარი წავიყარე, ამ წერილს პირადად მე, რომანის ავტორი ვწერ და არა სხვა ვინმე...“

რასაკვირველია, ეს მოჩვენებითი თავმდაბლობაა!

„გულწრფელმა“ აღიარებამ მკითხველი შეცდომაში რომ არ შეიყვანოს და არ აფიქრებინოს — ერთადერთი შემთხვევა ყოფილა, ავტორი საკუთარ ნაწარმოებს რომ იცავს, იძულებული ვარ, ამ კუთხით პატივცემული მწერლის წარსულიც გავიხსენო.

ქვემოთ გთავაზობთ „ცხრილ-დიაგრამას“, სადაც ეს „სურათი“ უფრო თვალსაჩინოდ იქნება გამოკვეთილი.

**რევაზ ჯაფარიძე გააკრიტიკა:**

1. აკაკი ბელიაშვილმა
2. პოლიკარპე კაკაბაძემ
3. რევაზ მიშველაძემ
4. ანდრო მირიანაშვილმა
5. თამაზ წივწივაძემ

**რევაზ ჯაფარიძეს გამოექომაგა:**

1. რევაზ ჯაფარიძე!
2. რევაზ ჯაფარიძე!
3. რევაზ ჯაფარიძე!
4. რევაზ ჯაფარიძე!
5. რევაზ ჯაფარიძე!

მე ეს „ცხრილი“ თითქმის ხახელდახელოდ შევადგინე და, ალბათ, ბევრი გამომრჩა, რომელთა კრიტიკულ წერილებსაც თავად გაკრიტიკებულმა რევაზ ჯაფარიძემ უპასუხა! მაგრამ ახლა ესა არაა მთავარი, რადგან მე იმას კი არ ვითვლი, პატივცემულ მწერალს რამდენჯერ მოუწევდა ზემოთ ნახსენები უსიამოვნო პროცედურის გამეორება, არამედ გულწრფელად მინდა ვურჩიო, როცა გააკრიტიკებენ, იმწუთშივე კალამს ნუ აიღებს ხელში, ცოტა დაიცადოს, იქნებ მართლაც გამოჩნდეს ვინმე, ვისაც მწერლის დაცვის სურვილი დაებადება...

●

„რა გამოვიდა საბოლოოდ? დამტკიცდა, რომ „მძიმე ჯვარი“ სუსტია? ვაი, რომ ვერა. ვაი, რომ ამოდენა წერილის, თითქმის მთელი ალმანახის ჩათავების შემდეგ გაქირი სახედარივით ისევ იქა ვდგავართ, სადაც წერილის დასაწყისში ვიდექით. რატომ? იმიტომ, რომ რომანის სისუსტე... იმ გზით არ მტკიცდება, ჩვენს ძვირფას „ჯვარცმულს“ რომ აურჩევია“.

პატივცემულ მწერალს მიაჩნია, რომ ჩემს წერილში, მიუხედავად რეცენზენტის დიდი მცდელობისა, არ დამტკიცდა „მძიმე ჯვრის“ სისუსტე!

მერედა, თუ ამას გულწრფელად ამბობს, ასე არ ურჩევნია? ამაზე განაწყენებული რატომ უნდა იყოს, ეს უფრო არ უნდა უხაროდეს?!

მე ვერ შევამჩნიე, რომ პატივცემულ მწერალს ჩემმა სუსტმა წერილმა სიხარული მოჰგვარა!

თუმცა, შეიძლება, უხარია და არ იმჩნევს!..

**P. S.** რომანის შემდგომ სრულყოფაში პატივცემულ მწერალს გულწრფელად შევთავაზე ჩემი სამსახური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჭარბებული ამბიციების გამო მან ეს დახმარება ითაკილა.

არადა, ადრე რევაზ ჯაფარიძე ერთგვარი „შურითაც“ წერდა:

„მე რომ ვ. ურჯუმელაშვილის ადგილზე ვიყო (მაშინ პატივცემული ვანო ცოცხალი იყო — თ. წ.), წერილში გაბნეულ სახარგებლო შენიშვნებს ორივე ხელს ჩავჭიდებდი და ნაწარმოების შემდგომი სრულყოფისათვის გამოვიყენებდი“ („აწონილი სიტყვა“, გვ. 476).

როცა იგივე სამსახური მე შევთავაზე მწერალს, მან ეს დახმარება ითაკილა.

...ამის მიუხედავად, მე დარწმუნებული ვარ, ყოველი ჩემი შენიშვნა დროთა განმავლობაში ჩუმ-ჩუმად ჰპოვებს ასახვას „მძიმე ჯვრის“ ფურცლებზე.

თუმცა, რაღა დროთა განმავლობაში! ეს პროცესი ნელ-ნელა დაწყებულა:

„წერილში მოყვანილია ქსნის ერისთავ იასეს და სოლომონ მეფის დიალოგი, ალის ციხეში რომ გაიმართა. მეც მომყავს იგი მთლიანად...“

წერს „მძიმე ჯვრის“ ავტორი და ამ საზეიმო დაპირების მიუხედავად — „მეც მომყავს იგი მთლიანად“-ო, „მთლიანი“ ტექსტიდან მხოლოდ ჩემს მიერ შემჩნეული უზუსტობა ამოუღია მთლიანად!

ვეძებ და ამ „მთლიან დიალოგში“ აღარსად არის ჩემთვის ნაცნობი ფრაზა:

„შეხვალ და გამოსვლა აღარ გინდა, იქვე მოუწყვია დიდებული წიგნსაცავი — აშურბანიპალის ბიბლიოთეკა გეგონება...“

თუმცა რატომ მიკვირს. ეტყობა, ადამიანები სუსტები ვართ და ნაკლზე მითითება ყველას გვწყინს.

მით უფრო, როცა ამ შეცდომის გამო კიდეც ვუსაყვედურე პატივცემულ მწერალს.

„არც იასე ერისთავს და არც თვით ამ წიგნსაცავის მფლობელ ახალციხის ფაშას წარმოდგენა არ ექნებოდათ აშურბანიპალის ბიბლიოთეკაზე... ამ სახელწოდების ბიბლიოთეკა არქეოლოგებმა ამ ამბიდან დაახლოებით ასი წლის შემდეგ (1854 წ) აღმოაჩინეს“.

არ ეცოდინებოდათ და, შენ კარგად იყავი, მაგის ამოგდებას რა უნდა — ერთბაშად ნაწარმოების კომპოზიცია არ დაირღვესო — „მამშვიდებს“ რომანის ავტორი და „მთლიანად მოყვანილ დიალოგში“ ეს ფრაზა სახელდახელოდ მოუკვეთია!

მსგავს საქციელში პატივცემული მწერალი წინათაც ჰყოლიათ შემჩნეული.

„კიდევ უფრო საოცარი (არ ვამბობ, აღმაშფოთებელი მეთქი) ის არის, რომ რ. ჯაფარიძემ ჩემი შენიშვნების საფუძველზე გაასწორა უხეში შეცდომები... და ახლა „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე მევე თავად მეკამათება“...

მადლობას მოვახსენებ ბატონ ანდრო მირიანაშვილს ამ საინტერესო ცნობისთვის („კრიტიკა“, № 1, 1984 წ.) და მინდა წინასწარ იცოდეს „მძიმე ჯვრის“ ავტორმა, როგორც კი მსგავს საქციელში მეორედ შევნიშნავ, ამ ამბავს მეც ქვეყანას მოვდებ!..

ნურც იმის იმედად იქნება პატივცემული მწერალი, რომ კამათს გააგრძელებს და მეც მომწყინდება ამ ერთობ დიდი და მომქანცველი რომანის კითხვა.

დარწმუნებული ბრძანდებოდეს, „მძიმე ჯვრის“ ერთხელ წაკითხვისთანავე იმდენი შეცდომა ამოვწერე, მთელი ცხოვრება მეყოფა მასთან საკამათოდ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოლია სოსელია

# შენიშვნები თამაზ წიწვიძის კრიტიკული წერილის გამო

გასული წლის ალმანახ „კრიტიკის“ IV ნომერში გამოქვეყნდა რევაზ ჯაფარიძის ისტორიული რომანის — „მძიმე ჯვარისადმი“ მიძღვნილი კრიტიკული წერილი („მძიმე ჯვარი და „ჯვარცმული მკითხველი“). წერილის ავტორი და, მასთან ერთად, რედაქციაც მწერლისა და მისი კრიტიკოსის მიმართ მსჯავრის გამოტანას მკითხველს ანდობენ“. (გვ. 41-42, 107-108). ეს ფრიად მისასალმებელი მოვლენაა. „განსხვავებულ აზრთა გაზიარება“, ჭეშმარიტების გარკვევას ხელს უწყობს. რაც შეეხება „მსჯავრის გამოტანას“, ამის პრეტენზია ჩვენ სრულებით არა გვაქვს. გვინდა მხოლოდ კრიტიკოსის მისამართით გამოვთქვათ რამდენიმე შენიშვნა, რომელიც შეიძლება „მსჯავრის გამოტანს“ გამოადგეს.

რადგან კრიტიკოსი „კონკრეტული მაგალითების მოხმობით“ და წვრილმანების გარკვევით მსჯელობას ირჩევს, ჩვენც ამ გზას დავადგებით:

1. ავილოთ სოლომონ იმერთა მეფის „ოჯახური გარემო“. „რომანის მიხედვით, წერს თ. წიწვიძე, სოლომონი ალექსანდრე მეფის უფროსი შვილია. მომდევნო იესეა, უმცროსი — არჩილი.

„სინამდვილეში, — უთითებს კრიტიკოსი, — ასეთი თანმიმდევრობაა — იესე, სოლომონი, არჩილი...“ და იქვე ავსებს თითქმის კიდეც ამ სიას:

„ზოგი ისტორიული წყაროს მიხედვით ბატონიშვილებს ერთი ძმა კიდევ ჰყოლიათ, სახელად ბაგრატი, რომელიც სოლომონისა და არჩილის შუათანაა“ (გვ. 47).

აქ არც მწერლის სიაა ზუსტი და სრული და არც მისი კრიტიკოსის, რომელსაც ამის პრეტენზია აქვს. მაინც უფრო სწორია მწერლის სიის თანმიმდევრობა. კრიტიკოსი კი თითქოს ასწავლის რომანის ავტორს: იესეა სოლომონზე უფროსიო (იხ. იქვე) და ამაზე აგებს თავის შემდგომ მსჯელობას. ცარიელი სიტყვებით რომ არ ვილაპარაკოთ, ახლა ვნახოთ რა წერია ამის შესახებ ისტორიულ საბუთებში.

1744 წლის დოკუმენტში ვკითხულობთ: „...ჩვენ, მღვთივ გვირგვინოსანმა პატრონმა მეფეთ-მეფემ ალექსანდრემ და თანამეცხედრემან ჩვენმან, დედოფალთ-დედოფალმა, პატრონმან თამარ, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან სოლომონ, ნარინ-დავით, იესემ და ბაგრატ (ხაზი ჩვენია — ო. ს.) ესე საბოლაოთ გასათავებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ, ბარათაშვილ ქუმსის“ და სხვ.

სხვა, ცოტა გვიანდელ, 1747 წლის აგვისტოს წყალობის წიგნშიც იგივე მეფე ალექსანდრე ამბობს: „... პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან სოლომონ, და ნარინ-დავით, იესემ, ბაგრატ და არჩილ“ (ხაზი ჩვენია — ო. ს.)

ჩანს მეფეს არჩილი 1744-1747 წლებს შუა შეეძინა, ან 1744 წელს იგი ისე პატარა ყოფილა, რომ მას სიგელში ჯერ კიდევ არ იხსენიებდნენ.

კიდევ უფრო გვიან, 1748, 1749 წლების საბუთებში ვხედავთ ალექსანდრეს ყველაზე უმცროს მეექვსე ვაჟს — გიორგის, რომელიც აღნიშნულ წლებში მამასა და ძმებთან ერთად იხსენიება რიგით ბოლოში.

დოკუმენტები, რომელთაც ჩვენ ვემყარებით, დედნებია, მათზე რამე ეჭვის შეტანა, გამორიცხულია.

ისე რომ, იმერთა მეფე ალექსანდრე მეხუთეს, როგორც კრიტიკოსს ჰგონია, ოთხი კი არა, ექვსი ვაჟი ჰყავდა. მათგან ყველაზე უფროსი ნამდვილად სოლომონი იყო.

2. კრიტიკოსს მოაქვს ამონაწერი „მძიმე ჯვარიდან“, სადაც მწერალი ამბობს: „დათუნა ნაფიჩვაძემ უკან გაბრუნებაც ვერ მოასწრო, რომ ზემო მხარის სარდლის — ქაიხოსრო წერეთლის უფროსი ძმა, მეფე ალექსანდრეს ძველი თანამებრძოლი, პაპუნა, უკვე ოთახში შემოვიდა, ყაბალახი მოიხადა და დამხდურთ მოწიწებით მიესალმა“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ ამონაწერს კრიტიკოსი ასეთ კომენტარს უკეთებს:

„სინამდვილეში, ე. ი. ისტორიულად არსებული პაპუნა და ქაიხოსრო წერეთლები, ძმები არ ყოფილან“ და უკანასკნელი „არც ზემო მხარის სარდალი“ იყოო (გვ. 66).

აქაც არც მწერალია ზუსტი და არც კრიტიკოსი.

წერეთელთა ფეოდალურ გვარში იმდენი პაპუნა და ქაიხოსროა (ეს მათი საგვარეულო სახელებია), რომ ძალიან ძნელია კაცმა თავი გაართვას ვინ ვისი ძმა ან შვილი იყო და ვის როდის რა სახელო ეჭირა.

ერთში კი კრიტიკოსი მართალია: ქაიხოსრო და პაპუნა წერეთლები ძმები არ არიან. ქაიხოსრო პაპუნას პირმშო შვილია.

მწერლის „მძიმე ჯვარში“ სოლომონ მეფის თანამედროვე ქაიხოსრო V და მისი შვილი პაპუნა IV მოქმედებენ. ტყუილად ჰგონია კრიტიკოსს, რომ მწერალი ცდება, როცა ქაიხოსრო წერეთელს ზემო მხარის სარდლად წარმოგვიდგენს. ქაიხოსრო ნამდვილად იყო ზემო მხარის სარდალი. ამ თანამდებობით პირველად იხსენიება იგი 1755 წელს და ჰქონდა ეს სახელო მას სიკვდილამდე (1769 წ.). შემდეგ კი ზემო მხარის სარდლობა მისმა უხუცესმა შვილმა — პაპუნა IV მიიღო.

ასეთ წვრილმანებზე ლაპარაკი იქნებ სულაც არ ღირდა, მაგრამ კრიტიკოსი მწერალს სწორედ წვრილმანებში აკრიტიკებს. თანაც, თავის წერილის პრინციპად მას (კრიტიკოსს) როგორც თავად აცხადებს, „აფთიაქარის სიზუსტე“ აურჩევია და ჩვენც მის წერილს ამ პრინციპით ვუდგებით. ბოლოს, მკითხველმაც უნდა იცოდეს: არის თუ არა კრიტიკოსის ნათქვამში „აფთიაქარის სიზუსტე“ დაცული.

3. კრიტიკოსი პაპუნა წერეთელს ადვილად არ ეშვება. ამიტომ მსჯელობა ჩვენც კვლავ მასზე უნდა გავაგრძელოთ: „ამასთანო, — შენიშნავს კრიტიკოსი, — პაპუნა წერეთელი „მეფე ალექსანდრეს ძველი თანამებრძოლი“ (ოთხი უკანასკნელი სიტყვა მწერლისაა და კრიტიკოსს წინწკლებში მოაქვს, ო. ს.) კი იყო, მაგრამ არც სოლომონთან იქნებოდა ცუდადო“ (იხ. იქვე).

ე. ი. კრიტიკოსი ეთანხმება მწერალს იმაში, რომ პაპუნა ალექსანდრეს „ძველი თანამებრძოლი“ იყო და თავის მხრივ ავსებს ვითომ მწერლის ნათქვამს და წერს: „სოლომონის სამეფო კარზე პაპუნა წერეთელი სამი (! ო. ს.) დიდი სახელოს მფლობელი იყოო“ (იქვე).

არ არის ეს ასე.

კრიტიკოსი აქ რამდენიმე შეცდომას უშვებს: ჯერ ერთი, პაპუნა წერეთელი სოლომონის სამეფო კარზე მხოლოდ ერთ დიდ სახელოს — ზემო მხარის სარდლობას ფლობდა. 1784 წლის 21 ივნისს (სოლომონის სიკვდილის შემდეგ) პაპუნამ მეორე დიდი თანამდებობა — მოლარეთუხუცესობაც დაიკავა, მაგრამ ეს მას მეფე დავით გიორგის ძემ მისცა და ჰქონდა მხოლოდ მის კარზე. სანამ ამ მეფესა და პაპუნას შორის განწყობილება გამწვავდებოდა (1786 წ.) პაპუნა „საწერეთლოს უფროსადაც“ იყო, მაგრამ თავადური გვარის უფროსობა სამეფო კარის მოხელეობა არ არის.

შემდეგ. მეფე ალექსანდრეს დროინდელი პაპუნა წერეთელი ამ მეფის თანამედროვე კი იყო, მაგრამ მისი „თანამებრძოლი“ არ ყოფილა. პირიქით, იგი თვითონ ებრძოდა ალექსანდრეს. პაპუნა მეფის სასტიკი მოწინააღმდეგის არგვეთის თავად ზურაბ აბაშიძის სიძე იყო და მის პოზიციაზე იდგა. პაპუნა „უკუდგა“ ალექსანდრესაგან, როცა იგი ზურაბსა და მის მოკავშირე გრიგოლ რაჭის ერისთავს ებრძოდა. ამიტომ მოაკვლევინა მეფემ შემდეგ მასთან დაზავებული პაპუნა „ღალატად“ ვარციხეს 1738 წელს. ეს პაპუნა ზემო მხარის სარდალი იყო და სათვალავით მეორე პაპუნაა წერეთელთა გვარში. იგი სოლომონ მეფეს არ მოსწრებია. ის პაპუნა, რომელიც ამ მეფის კარზე იღვწის, ზემოხსენებული პაპუნა II-ის შვილიშვილი, ქაიხოსრო V-ის ძე პაპუნა IV არის.

ამგვარად, მწერალი და კრიტიკოსიც სხვადასხვა დროის მოღვაწე, სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების, ორ სხვადასხვა პიროვნებას ერთ პირად მიიჩნევენ. კრიტიკოსი არათუ ასწორებს მას, არამედ ართულებს, რადგან იგი, როგორც თავად ამბობს, „აფთიაქარის სიზუსტით“ წერს!..

4. კრიტიკოსი მკითხველის ყურადღებას მიაქცევს ალექსანდრე მეფის გარდაცვალების ამბებთან დაკავშირებულ მწერლისეულ თხრობას და მოაქვს მისი რომანიდან ასეთი ციტატა: „ოთახის შუაგულში, ჭილოფგადაფარებულ უბრალო ტახტზე საცვლების ამარა ესვენა ის, ვინც მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ქვეყნის შეუზღუდველ ბატონად და განმგებლად ითვლებოდა“.

„გაჩხრეკს“ რა ამ წინადადებას, კრიტიკოსი ამბობს: „თუ წინადადებას ახლოდან გავჩხრეკთ, აქაც ბევრი უზუსტობა აღმოჩნდება“. „ქვეყნის შეუზღუდველ ბატონად“ გამოცხადდო კაცი, რომელსაც ტახტზე ასვლისთანავე (1721 წ.) მ ე უ რ ვ ე ს უნიშნავენ (ხაზი კრიტიკოსისა, ო. ს.), ცოტა უხერხულიაო“ (გვ. 53-54).

შემდეგ, ჩამოთვლის იგი (კრიტიკოსი) ალექსანდრეს ძნელბედობის ამბებს და კვლავ იმეორებს: „ასეთი „ნამსახურობის სიის“ პატრონი მეფის ქვეყნის მონარქად გამოცხადება — ალბათ გაგვიჭირდებაო“ (გვ. 54).

აქაც „აფთიაქარის სიზუსტის“ მიმდევარი კრიტიკოსი, თავის პრინციპს ღალატობს: ის ალექსანდრე, რომელზედაც კრიტიკოსი მსჯელობს, 1721 წელს კი არ გამეფებულა, არამედ — 1720 წელს. არსებობს ამ მეფის მიერ 1736 წელს

გაცემული სიგელები, რომელთაც ბოლოში 1720 წელს მოჭრილი მისი ბეჭედი უზის. ამ ბეჭდის ლეგენდაში წერია: „ღვთით ვიქმენ მეფედ მე, მონა სახელად ალექსანდრე. 1720“.

ასეთ წვრილმანს არ გამოვედევნებოდით, მაგრამ კრიტკოსს „აფთიაქრული სიზუსტის“ პრეტენზია აქვს..

შემდეგ, რაც მთავარია: რ. ჯაფარიძე მეფე ალექსანდრეზე „ქვეყნის შეუზღუდველი ბატონი“ იყოო კი არ ამბობს, არამედ — „ითვლებოდაო“. ეს იმას ნიშნავს, რომ მწერალი მეფის თეორიულ მდგომარეობაზე ლაპარაკობს. თეორიულად კი ყოველი მეფე, რაც გინდ სუსტი არ უნდა ყოფილიყო იგი, ქვეყნის „შეუზღუდველ“ უზენაეს ბატონად ითვლებოდა. თავადაც ასეთადვე თვლიდა თავს. საამისო კონკრეტული მაგალითები ისტორიულ დოკუმენტებში მრავლადაა. სულ სხვა საქმეა, ახორციელებდა თუ არა ფაქტობრივად, პრაქტიკაში ესა თუ ის მეფე თავის თეორიულ უფლებას. მაგრამ, ასე იყო თუ ისე, იურიდიულად ის მაინც მონარქად ითვლებოდა.

დავუჯეროთ ახლა კრიტიკოსის „აფთიაქარის სიზუსტეს?..“

5. ჩვენი მორიგი შენიშვნა კოჰიბროლას ბებიობასთან დაკავშირებულ კრიტიკოსის კომენტარს ეხება: ამ კომენტარში ერთმანეთთან დაპირისპირებულია რომანიდან მოტანილი ორი სხვადასხვა ამონაწერი: პირველში მწერალი სოლომონის უმცროს ძმას არჩილს ათქმევინებს — ხვაშაქი (სოლომონის დედის — თამარის მოახლე) სიკვდილის წინ „სულ ცხონებულ *ბებიაჩვენს*, *კოჰიბროლას*, და თინათის ახსენებდაო“ (ხაზი კრიტიკოსისაა, ო. ს.). მეორეში კი თვით მწერალი მოგვითხრობს: თინათი „სულ პატარა იყო, ვარციხის სასახლეში რომ მიიყვანეს გურიიდან და სანამ თავის კანონიერ მეუღლესთან, გულის რჩეულ ბატონიშვილ სოლომონთან, სარეცელს გაიყოფდა, ლამლამობით *ბებია* (ხაზი კრიტიკოსისაა,, ო. ს.),ოდესლაც საარაკო სილამაზით განთქმული კოჰიბროლა, იწვენდა ლოგინში“.

ამ ამონაწერების დაპირისპირების საფუძველზე კრიტიკოსი „არკვევს“:

1. *კოჰიბროლა* სოლომონის ბებია ყოფილა.

2. *კოჰიბროლა* თინათის ბებია ყოფილა.

როცა *ადამიანებს საერთო ბებია ჰყავთ* (ხაზი კრიტიკოსისაა, ო. ს.), ისინი ერთმანეთის ან: დედმამიშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები ან კიდევ ბიძაშვილ-მამიდაშვილები არიან..

საქართველოში კი ზემოთ ჩამოთვლილი ქრისტიანი, სისხლისმიერი (მიაქციეთ ყურადღება: *სისხლისმიერს*, ო. ს.) ნათესავები ერთმანეთში არ ქორწინდებოდნენო“ (გვ. 46).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკოსს სურს დააბნიოს მკითხველი და დაარწმუნოს იგი, რომ ზემოთ მოტანილ ორ ამონაწერში თითქოს გაუგებრობაა, სინამდვილე სწორად არაა ასახული. მაგრამ არ არის ეს ასე:

სოლომონის ძმის არჩილ ბატონიშვილის ნათქვამიც სწორია და მწერლის მონათხრობიც. დავაკვირდეთ მეორე ამონაწერს: ამბობს განა აქ სადმე მწერალი კოჰიბროლა თინათის „სისხლისმიერი ბებია იყოო?! არა, არ ამბობს. მერედა, ქმრის (სოლომონის) ბებია, ხნიერი ქალი კოჰიბროლა, თინათისათვის (რომელიც პატარაობიდანვე ვარციხის სასახლეში იზრდებოდა მის (კოჰიბროლას), გვერდით, ხომ იყო არასისხლისმიერი, მაგრამ ზოგადი გაგებით ბებია, გათხოვებამდეც და გათხოვების შემდეგაც.

ცოლ-ქმრის ბებია ხომ არის მათთვის ზოგადი, ე. ი. არაპირდაპირ სისხლისმიერი მნიშვნელობით „საერთო ბებია“. ქმრის ბებია ცოლსაც ხომ ბებიად ეკუთვნის და პირიქით. მაგრამ ისინი განა ერთი დედმამიშვილები ან ბიძაშვილ-მამიდაშვილები არიან!

ახლა დავუბრუნდეთ კრიტიკოსის ორივე ამონაწერს:

პირველში სისხლისმიერ, პირდაპირ ბებიაზეა ლაპარაკი, მეორეში კი — ზოგადად ბებიაზე.

ამას ვითომ ვერ მიხვდა კრიტიკოსი? ესაა მისი „აფთიაქარული სიზუსტე?!“...

6. არც მაშინ არის კრიტიკოსი ზუსტი, როცა მწერალს კონსტანტინეპოლის ხსენებას უკრძალავს: „სოლომონის მეფობის დროს კონსტანტინეპოლს უკვე, დიდი ხანია, რაც სახელი გადარქმეული აქვს — 1453 წლიდან მას *სტამბოლი* ჰქვია... (ხაზი კრიტიკოსისაა, ო. ს.) ავტორს ეს რატომღაც დავიწყნია და, შინაურულად, ძველი სახელით იხსენიებს“ (გვ. 86).

მართალია, 1453 წლის შემდეგ კონსტანტინეპოლს სტამბოლი დაერქვა, მაგრამ მას ამ სახელთან ერთად, სოლომონის მეფობაში (XVIII საუკუნის მეორე ნახევარი), მასზე ადრე და გვიანაც, „შინაურულად“ და გარეშეც, კონსტანტინეპოლსაც ეძახდნენ საქართველოში და სხვაგანაც ქრისტიანულ სამყაროში. ეს დოკუმენტურად დასტურდება.

სადაა აქ კრიტიკოსის „აფთიაქარული სიზუსტე“?...

7. რაკი კრიტიკოსი ასეთ სიზუსტეს იჩემებს, ორიოდე სიტყვით „მეჯლისსაც“ შევეხებით: „...თურქული „მეჯლისი“ და ქართული „დარბაზი“ — დაახლოებით ერთი და იმავე მნიშვნელობის სახელმწიფო პოლიტიკური ინსტიტუტიაო“, აცხადებს იგი (გვ. 59).

„მეჯლისი“ არაბული წარმოშობის სიტყვაა. თანამედროვე თურქულ მეტყველებაში მას პარლამენტის აღსანიშნავად ხმარობენ. იყო თუ არა რომანში აღწერილ ეპოქაში „მეჯლისი“ ქართული „დარბაზის“ შესატყვისი, ეს სპეცია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლური კვლევის საკითხია და რის საფუძველზე გადაწყვიტა კრიტიკოსმა ასე იოლად. ეს რთული საკითხი, არ ვიცით...

კიდევ ერთიც: „როგორ მოგწონთ“, როცა კრიტიკოსი კორექტულ შეცდომასაც („ალექსანდრე პირველი“) აზვიადებს და მწერლის მძიმე ცოდვად წარმოაჩენს! (გვ. 54).

რაც შეეხება კრიტიკოსის მსჯელობის ტონსა და ხერხს, ეს, რბილად რომ ვთქვათ, ყოვლად მიუღებელი და არაეთიკურია.

მეტს აღარ გავაგრძელებთ. რაც ითქვა იქიდანაც ნათელია, რომ კრიტიკოსი არ არის „აფთიაქარივით ზუსტი“. იგი ხშირად თავად ცდება და, ამასთან, გაურკვევლობა შეაქვს მწერლის ნათქვამში. ამით ჩვენ იმას კი არ ვამტკიცებთ, რომ რ. ჯაფარიძე ყველაფერში ზუსტია. არა, სრულებით არა. მას აქვს უზუსტობანი და ეს სულ არაა გასაკვირი: თითქმის ორიათას გვერდიან ისტორიულ რომანში მწერალს შეიძლება ზოგჯერ ფაქტობრივი და სტილისტური ხასიათის უზუსტობა გაეპაროს. თვით კრიტიკოსს 67 გვერდიან სტატიაში სადაც იგი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „აფთიაქარის სიზუსტეს“ იცავს, გაეპარა შეცდომები. მაგრამ ამისათვის მის გამასხარავებას ჭეშმარიტების ნამდვილი მაძიებელი არ იკადრებს...

ჩვენი აზრით, სავსებით სწორია გ. ნატროშვილი, როცა წერს: „მძიმე ჯვარი სწორედ ის წიგნია, სადაც მთელი სიმაღლით გამოჩნდა მეფე სოლომონი და გამოჩნდა ტრაგიკული, აწეწილ-დაწეწილი მე-18 საუკუნეო..“

ამ წიგნში ავტორმა „მთავარ კონფლიქტად, სიუჟეტის ცენტრად აქცია... გააფთრებული ბრძოლა სიუზერენსა და ვასალებს შორის და ნაწარმოების რთულ ქსოვილში მას დაუმორჩილა ყველაფერიო...“

რომანში მწერალმა გვიჩვენა „ნამდვილი ხალხური ხასიათებიო“. და სხვ. ამ შეფასებას ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ. ჩვენი აზრითაც, „მძიმე ჯვარში“ ძირითადად სწორად და ცოცხლად აისახა სოლომონ მეფის დროინდელი ფეოდალური საქართველოს სული.

რომანის მხატვრულ ღირსებაზე ჩვენ არაფერს ვამბობთ. ამაზე მსჯელობა მწერლების საქმეა. მაგრამ ვიტყვით მხოლოდ რომ „მძიმე ჯვარი“ ჩვენ სიამოვნებით წავიკითხეთ და კრიტიკოსს ვთხოვთ „ჯვარცმულ მკითხველს“ არ მიგვათვალოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აუცილებელი განმარტებანი

სარედაქციო წერილი, სამწუხაროდ, თამაზ წივწივაძისა და რევაზ ჯაფარიძის კამათით ვერ შემოისაზღვრება. ჩვენ ბედნიერნი ვიქნებოდით მარტო ამ ერთ შემთხვევასთან რომ გვქონოდა საქმე. ჩვენს ლიტერატურულ და კულტურულ ცხოვრებაში დამკვიდრებულ სამიშ ტენდენციასთან მოგვიწევს ბრძოლა.

რამდენიმე წლის წინათ დაუწერელი კანონის ნებით კრიტიკოსი უძლური იყო ავტორიტეტული მწერლების წინაშე. როგორი სუსტი ნაწარმოებიც არ უნდა გამოექვეყნებინა აღიარებულ მწერალს, მისი გაკრიტიკება მაინც წარმოუდგენელი ჩანდა. ამ „საჩოთირო საქმეს“ გაურბოდა ნებისმიერი რედაქცია.

მოხდა ძირეული ცვლილება. კრიტიკა გამოვიდა მონური შიშის ტყვეობიდან, შებედა დიდ სიმაღლეებს. დღეს ჩვეულებრივი ამბავია ცნობილი მწერლის სუსტი ნაწარმოების კრიტიკა, აღიარებული ავტორის ნაკლის მხილება. როგორ ველოდით ამ დღეს, როგორ გვენატრებოდა თამამი, პირდაპირი, შეუპოვარი მხილება.

ახლა ყველა ერთხმად აღიარებს, რომ კრიტიკა გამოცოცხლდა.

რამდენი ბრძოლა დასჭირდა კრიტიკას, რომ ამისათვის მიეღწია, რამდენი უსიამოვნების გადატანა მოუხდათ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, რა ვნებათაღელვანი ტრიალებდა კულუარებში, რედაქციებზე ზემოქმედების რამდენგვარი ფორმა ამუშავდა... გასაგებიცაა — აღიარებული მწერლის კრიტიკა ჩვენში ხომ იშვიათი ხილი იყო!

ეს მონაპოვარია. მონაპოვარია თავისთავად კრიტიკის გამოცოცხლება. მონაპოვარია კრიტიკოსთა მხრივ უპირველეს ყოვლისა შინაგანი ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვა.

მონაპოვარია რედაქციების მხრივაც ეს სითამამე, გაბედული პუბლიკაციები!

მაგრამ, ყოველგვარ კრიტიკას კრიტიკა ვერ დაერქმევა და ყოველგვარ გამოცოცხლებას — კრიტიკული აზრის აღორძინება.

გადაუდებელ ამოცანად გვეჩვენება დროზე გავაანალიზოთ ის მეთოდები და ფორმები, რაც მოპაექრეთა მიერ იქნა გამოყენებული მწვავე კამათსა და ცალკეულ წერილებში.

კარგი იქნებოდა კრიტიკის გამოცოცხლება კრიტიკული აზროვნების ფორმათა დამახინჯების ფასად არ მომხდარიყო, კარგი იქნებოდა დაგვეცვა კამათის კანონები.

ფაქტია: ქართული კრიტიკული აზროვნება თავის გზას ასე ვერ გააგრძელებს, ერთმანეთზე განაწყენებული, ჩასაფრებული, განქიქების ვნებით შეპყრობილი მოპაექრენი ჭეშმარიტებას ვერ დაადგენენ.

თამაზ წივწივაძისა და რევაზ ჯაფარიძის კამათი გვაიძულებს თავი მოვუყაროთ საჭირბოროტო საკითხებზე ნაფიქრს.

რამდენი კამათი გვახსოვს, შორს რომ არ წავიდეთ, ამ ოცი-ოცდაათი წლის მანძილზე? თითქმის ყველა დავამ უნაყოფოდ ჩაიარა! ღირს თუ არა ეს მოვლენა დაფიქრებად? არის თუ არა იგი თავისი არსით საგანგაშო? იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ მოვლენის გარშემო სერიოზული საუბარი მოგვიწევს (სხვა გამოსავალს ვერ ვხედავთ). პოტენციურ მოპაექრეს გაუჭირდება ისეთი კამათის დასახელება, სადაც მოკამათეებმა ისე, როგორც ეს ჭეშმარიტ ლიტერატორებს შეჰფერით, გასაზიარებელი შენიშვნა გაიზიარეს, ერთი საბოლოო აზრი შეიმუშავეს და დაამკვიდრეს იგი. თუმცა კიდეც რომ მოინახოს ერთი ან ორი მაგალითი, ამით საერთო სურათი ხომ არ შეიცვლება!

და ნუთუ იმ ლიტერატურულ და მეცნიერულ პრობლემათა გადაუწყვეტელობა არაფერს ამუხრუჭებს? თუ ყველაფერი ისედაც ნათელია ლიტერატურასა და მეცნიერებაში, მაშინ საერთოდ რატომ ვდაობთ? ხოლო თუ ვიწყებთ კამათს იმ მიზნით, რომ ამა თუ იმ საკითხს ნათელი მოვფინოთ, ხომ არაერთგზის დავრწმუნდით, რომ ამგვარი კამათით არაფერი გაირკვევა? არაფერიც რომ არ გარკვეულა, ეს ერთი უბედურებაა, სხვა რიგის ზარალია ტყუილად მოცდენილი ჟურნალ-გაზეთების ფურცლები და ძვირფასი დრო. კიდევ უფრო დიდი უბედურებაა მკვეთრად დაქვეითებული კამათის კულტურა, კრიტიკული აზროვნების დაცემული დონე.

უნდა გამოვტყდე, მიჭირს ამ საკითხზე წერა. მიჭირს, რადგან კამათის დარღვეულ ეთიკაზე რამდენიმე წერილი მაქვს სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული. ყველაზე სრულად ეს საკითხი თამაზ წივწივაძის მიერ საგანგებოდ დასახელებულ ჩემს წიგნში მაქვს გაანალიზებული მრავალი კონკრეტული ფაქტის მოშველიებით („ზომიერების გრძნობა თანამედროვე ქართულ კრიტიკულ აზროვნებაში“). ამიტომ ვშიშობ უნებურად ადრე გამოთქმული მოსაზრებები არ გავიმეორო. იქნებ ჯობდეს, როცა ეს აუცილებე-

ლი იქნება, თვითციტირების ნაკლებ სიმპატიურ ხერხს მივმართო და როგორც ოპონენტებისაგან ასევე მკითხველისაგან წინასწარვე ვითხოვო პატიება.

ჩვენ თავის დროზე არ შევთანხმდით თუ რა არის კრიტიკული აზროვნების ჭეშმარიტი ფორმები და მეთოდები. თითქოს ისედაც მშვენივრად ვიცით ეს ანბანი. ანკეტებსა და ინტერვიუებში, ცალკეულ წერილებსა და დისკუსიებში ყველამ შესანიშნავად დავახასიათეთ კრიტიკის დანიშნულება, ვიცით, კრიტიკოსი ობიექტური რომ უნდა იყოს, სამართლიანი, მოპაექრისადმი ღრმა პატივისცემით განმსჭვალული...

ალმანახ „კრიტიკის“ ფურცლებზე ბევრი ძალიან გაბედული, თამამი კრიტიკული წერილი გამოქვეყნდა. რაც შეეხება თამაზ წივწივაძის წერილს რევაზ ჯაფარიძეზე იგი ამ ფორმით ავტორს არ უნდა გამოექვეყნებინა.

თამაზ წივწივაძეს აქვს საინტერესო წერილები. მე განსაკუთრებით მომწონს ქართულ სასიმღერო ტექსტებზე მის მიერ წლების წინათ თქმული მძაფრი სიტყვა. ქართული სასიმღერო ტექსტების განუკითხავი შებღალვა შეუდარებელი ხალხური სიმღერების ქვეყანაში მართლაც მოუთმენელი ფაქტია და ნაგულისხმევი წერილი ამიტომ განსაკუთრებული დანიშნულებისაა. ამ წერილში იგი ობიექტური და პირუთვნელი ჩანს. კრიტიკის საგანიც იმსახურებდა და მისი, როგორც კრიტიკოსის შესაძლებლობანი სრულად გამოვლინდა — თამაზ წივწივაძე მახვილი თვალით ამჩნევს თვით უმნიშვნელო ლაფსუსსაც კი. ამდენად შეუძლია გარკვეული დახმარება გაუწიოს მწერლობას. მაგრამ რატომღაც თითქმის ყველას მიმართ განურჩევლად ირჩევს სარკაზმით, ირონიით გაზავებულ სტილს.

ჯერ დედამიწის ზურგზე არ დაბადებულა მწერალი, ვისაც ცინიზმსა და სარკაზმში შეურაცხყოფა არ დაენახოს და მშვიდად შეხვედროდეს ასეთ შეფასებას.

თამაზ წივწივაძე რატომღაც ნაკლებ უფიქრდება თავის მოწოდებას. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სიამოვნებას გვრიდეს ნებისმიერი მწერლის განქიქების პროცესი. სერიოზულად არ ჩაფიქრებია იმ გარემოებასაც, რომ ამგვარი კრიტიკა შედეგს ვერ მოიტანს, მწერალს ვერ დაითანხმებს და შემოქმედებით პროცესში ვერ წაეშველება. მისი შენიშვნების გარკვეული ნაწილი ანგარიშგასაწევია, თან ცინიზმისა და სარკაზმის უჩვეულო ვნებათაღელვა რომ არ მოსდევდეს.

არც ერთი შენიშვნა არ გაიზიარა რევაზ ჯაფარიძემ, რადგან მტრულად განეწყო მტრული პოზიციებიდან გამოჩხრეკილი შენიშვნების მიმართ!

ფართოდ აღიარებულმა მწერალმა, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა რევაზ ჯაფარიძემ კატეგორიული უარი განაცხადა ალმანახ „კრიტიკაში“ გაეცა პასუხი კრიტიკოსისათვის (საჭიროდ მიმაჩნია დაინტერესებულ მკითხველს საქმის ვითარება გავაცნო). ასევე კატეგორიულად მოითხოვა „ცისკარში“ გამოქვეყნებულიყო მისი პასუხი.

არავის არ უნდა გაუკვირდეს ცნობილი მწერლის აღშფოთება და აღელვება, მისი კატეგორიული მოთხოვნებიც. ადვილი მოსათმენი როდია 60 წელს გადაცილებული მწერლისათვის, ვინც გარემოსილია ხალხის განსაკუთრებული სიყვარულითა და ყურადღებით, ვისაც სწორედ „მძიმე ჯვარში“ აგერ ახლახანს რუსთაველის სახელობის პრემია მიენიჭა, დაუნდობელი ირონია და სარკაზმი, რითაც ასე დატვირთულია თამაზ წივწივაძის წერილი. ცხადია, უფრო სწორი იქნებოდა, კამათი გაგრძელებულიყო იქ, სადაც დაიწყო. დიდ ტირაჟიან „ცისკრის“ ფურცლებზე არ გადმოგვეტანა იგი, მაგრამ როგორც რედაქტორს, არავითარი უფლება არ მქონდა უარი მეთქვა ცნობილი მწერლისათვის, რაკი იგი გარკვეული არგუმენტებით ასაბუთებდა თავის მოთხოვნის სისწორეს. მართალია, რედაქციას ჰქონდა პრინციპული დავა რევაზ ჯაფარიძესთან, ჩვენ მოვითხოვდით ამოეღო კრიტიკოსის სალანძღავი, შეურაცხმყოფელი სიტყვები წერილიდან პატივცემულ მწერალს. ვიმეორებ: რა თქმა უნდა, ძალზე ძნელი მოსათმენია, აბუჩად რომ იგდებს ახალგაზრდა კრიტიკოსი ნაწარმოებს, რომელსაც მრავალი წლის თავაულებელი შრომა შეალიე... და სამწუხაროდ შეურაცხმყოფელი ფრაზები დარჩა..

თამაზ წივწივაძისა და რევაზ ჯაფარიძის კამათი ყველაზე უფრო სრულად გამოხატავს ჩვენში ფეხმოკიდებულ არაჯანსაღ, არალიტერატურულ კრიტიკულ ფორმებს. ამ კამათით ყველაზე მწვავედ ვიგრძენით, როგორ თვალსა და ხელს შუა დაგვიმახინჯდა კრიტიკის სააზროვნო ფორმები, როგორ შეიბღალა მისი ნორმები, როგორ დაუფიქრებლად, გაუცნობიერებლად მიეცა ფართო ასპარეზი დაუწმინდავ, არა მწერლურ, არამეცნიერულ ვნებებს.

გასარკვევია არა მარტო ამ ერთი კონკრეტული კამათის სტრუქტურა, გასარკვევია, საერთოდ ჩვენი „პაექრობების“ მექანიზმი.

თეორიულად მშვენივრად ვიცით, რომ კრიტერიუმიც არსებობს, პრინციპიც, პოზიციაც, მეთოდიც და ხერხიც. პრაქტიკულად? არ ვიყენებთ მათ! ვამახინჯებთ. ან სულაც ვივიწყებთ, არავითარ პატივს არ ვცემთ, არ ვექვემდებარებით. პრაქტიკულად ანგარიშსწორების ვნებათაღელვაში ვართ გახვეული და ყველა მეთოდსა და ხერხს პირად ინტერესს ვუმორჩილებთ.

ნუ მიწყენენ კოლეგები, ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები, ლიტერატურული და არალიტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატურული პრესის თანამშრომლები, მეტ-ნაკლებად ყველა ვცოდავთ კამათის ეთიკურ კანონებთან! განმაქიქებელი, დაუნდობელი, აბუჩადამგდები, შეურაცხმყოფელი სტილი კამათში იმდენად ჩვეულებრივი გახდა, არც გვიკვირს, არც გვეხამუშება, მეშინია თქმა, არ გვენატრებოდეს და არ ვესწრაფოდეთ კიდეც! საშიშია, ამ ვნებებზე არ აღიზარდონ მომავალი ლიტერატურული თაობები. ყოველ შემთხვევაში, საქმეს კარგი პირი არ უჩანს.

ვერც „ცისკარი", ვერც ნებისმიერი სხვა ერთი რედაქცია საერთო წრიდან ვერ ამოხტება. ცნობილი ავტორები თავს არ მოიხვევენ ერთი რედაქციის პრინციპებს, როდესაც პრესაში ნორმად არის მიჩნეული მწარესიტყვაობა, ჩასაფრებული კრიტიკა და როდესაც ყველაფერი ეს ბევრ ჩვენგანს ილია ჭავჭავაძის ბასრ კრიტიკულ სტილთანაც კი აქვს გაიგივებული, როდესაც საგანგებოდ არის მიჩქმალული, რომ ილია ჭავჭავაძე დიდი ლიტერატურული პოზიციებიდან ამბობდა მკაცრ სიტყვას და არა პირადული ნაწყენობით ან ანგარიშსწორების სურვილით. ამ ორ საგანს შორის უზარმაზარი განსხვავებაა და ამ განსხვავების დავიწყება ღუპავს დღეს ჩვენს დავას.

არ აღმოჩნდა თამაზ წივწივაძის მიერ გაწეული დიდი შრომა ცნობილი მწერლისთვის სასარგებლო და არა იმიტომ, რომ შენიშვნების გარკვეული ნაწილი მართებული არ იყოს. შენიშვნების გარკვეული ნაწილის მართებულობა რევაზ ჯაფარიძემ თითქოს აღიარა კიდეც, მაგრამ სწორედ რომ თითქოს აღიარა და მეტი არაფერი.

მწერლის განწყობილება არ დაემორჩილა თვით სწორ შენიშვნასაც კი, რადგან თამაზ წივწივაძის წერილში მხოლოდ მტრული დამოკიდებულება ამოიკითხა. თამაზ წივწივაძემ უნდა ირწმუნოს, რომ მის მიერ წარმართული კრიტიკის პათოსი გამორიცხავს მწერლისადმი პატივისცემასა და გულშემატკივრობას, წერილი ამჟღავნებს ნაკლის საგანგებოდ მჩხრეკელის, ჩასაფრებული კაცის მისწრაფებას.

და მთელი ეს შთაბეჭდილება შექმნა თამაზ წივწივაძის მიერ შერჩეულმა კრიტიკის ფორმამ და საგანგებოდ მომარჯვებულმა ხერხებმა. პამფლეტისა და პასკვილის ხერხებს თამაზ წივწივაძე თავისი წერილების უმეტეს ნაწილში იყენებს, მიმართავს სარკაზმსა და ირონიას. ყოველ მათგანს აქვს არსებობის უფლება და ისინი ზოგჯერ თამაზ წივწივაძეს ისე ზუსტად, დროულად და მოქნილად გამოუყენებია, რომ მოწონებაც დაუმსახურებია. როდესაც მისი კრიტიკა ლიტერატურულ თუ არალიტერატურულ კურიოზებს ეხებოდა, მეთოდიც ამართლებდა და ხერხიც; მაგრამ თანდათან კრიტიკოსის საერთო სტილად დაემკვიდრა ანალიზის მითითებული ფორმები და დავიწყებულ იქნა მათი დანიშნულება, ზუსტი ადგილი და სწორი მისამართი.

თამაზ წივწივაძეს უკვე შენიშნეს, რომ რევაზ ჯაფარიძე არ არის ის მწერალი, ვისი მისამართითაც სარკასტული და განმაქიქებელი ტონი უნდა იქნას მომარჯვებული (ჯუმბერ თითმერია — „ლიტერატურული საქართველო"). შენიშნეს ისიც, რომ ოთხწიგნიანი რომანი მარტო ამოკრეფილი ლაფსუსებით არ უნდა შეაფასო.

როდესაც ნაწარმოებისათვის ასეთი მკაცრი განაჩენი გამოგვაქვს, იგი ყოველმხრივ უნდა გავაანალიზოთ. თორემ იმ ლაფსუსებს იქით იქნებ ყველაფერი დიდებულია?

ამ ლაფსუსებს გარდა რომანის ოთხ წიგნში ხომ მოცემულია XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობის მხატვრული სურათი, ნაწარმოებს აქვს თავისი კონცეფცია!

როგორ არის აგებული ნაწარმოები კომპოზიციურად? როგორ არის დახატული ხასიათები? როგორ არის ნაგრძნობი ისტორიული საქართველოს ეროვნული ტკივილები? როგორ არის გახსნილი პერსონაჟთა სულიერი სამყარო?..

თუკი რევაზ ჯაფარიძის, როგორც მწერლისა და მოქალაქის დამსახურებას არ გავიხსენებდით საგანგებოდ, კონკრეტულად ამ რომანის მნიშვნელობასა და ღირსებებზე მაინც უნდა გაგვემახვილებინა ყურადღება. მაშინ სამართლიანობასთან ძალიან ახლოს ვიქნებოდით და თითოეული შენიშვნაც კრიტიკოსისა სულ სხვაგვარ შინაარსს შეიძენდა.

აქვე ქვეყნდება ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ოლია სოსელიას წერილი, სადაც დასაბუთებულია, რომ თამაზ წივწივაძის მიერ ამოკრეფილი ლაფსუსები და უზუსტობანი ყოველთვის არ არის „აფთიაქის სასწორზე" შემოწმებული. რომანის ზოგი ადგილი განგებ არის დამახინჯებული კრიტიკოსის მიერ, რათა შემდგომ ოხუნჯობის საბაბი მიეცეს. ტექსტის საგანგებოდ დამახინჯების შემთხვევებზე რევაზ ჯაფარიძემ საპასუხო წერილში მიუთითა კრიტიკოსს.

თავის სასარგებლოდ არგუმენტების შეტრიალებისა და დაჯგუფების, მისთვის არახელსაყრელი არგუმენტების მიჩქმალვის ტენდენცია მეც უნდა შევნიშნო თამაზ წივწივაძეს. ჩემი მისამართით გამოთქმული შენიშვნები მაქვს მხედველობაში. ამ ტენდენციის უყურადღებოდ დატოვება არაფრით არ იქნება სწორი, რადგან, ეტყობა კრიტიკოსი ამ თვალსაზრისით, არც თუ ისე იშვიათად სცოდავს.

მაგალითად: თამაზ წივწივაძე თავგამოდებით ცდილობს დაამტკიცოს, რომ ალმანახ „კრიტიკის" ფურცლებზე მისი წერილის გამოქვეყნება

ბრალად არ უნდა მოეკითხოს გურამ გვერდწითელს — „კრიტიკის“ რედაქტორს.

მაგრამ ამავე წერილში, როგორც დავინახეთ, თამაზ წივწივაძე ასევე თავგამოდებით ცდილობს დაამტკიცოს, რომ რევაზ ჯაფარიძე და „ცისკრის“ რედაქტორი „ხელიხელჩაკიდებულნი“ იბრძვიან მის წინაალმდეგ.

ბუნებრივად ისმის კითხვა: თუ „კრიტიკის“ ყოფილი რედაქტორის გურამ გვერდწითელის თამაზ წივწივაძის მოკავშირედ გამოცხადება უსამართლობა და უაზრობაა, რა ლოგიკის ძალით მივიჩნიეთ, „ცისკრის“ რედაქტორი რევაზ ჯაფარიძის თანამებრძოლად?

ავტორთა ანგარიშსწორების ვნებათაღელვა იქამდე გათამამდა, რომ მისი კარნახით ლამისაა ამ უსიამოვნო კამათების თანამონაწილეებად გამოცხადდეს რედაქციებიც, რედაქტორებიც და მალე ალბათ მთელი საზოგადოებრივი აზრიც.

შეუძლებელია! ვერც რედაქციები, ვერც მკითხველი და ვერც საზოგადოებრივი აზრი ამგვარი კინკლაობის მხარეზე ვერ დადგება, პირიქით, ყოველთვის დაუპირისპირდება მას!

კიდევ ერთი მაგალითი:

თამაზ წივწივაძე ზოგჯერ თავის ნებაზე ისე შეატრიალებს ოპონენტის აზრს, ისე წარმოადგენს შეკვეცილ ან ამოგლეჯილ ციტატას, რომ დიამეტრალურად იცვლება შინაარსი; ოღონდ საქილიკო კონტექსტი „შექმნას“ და საამისოდ არ დაგიდევთ ნამდვილი სურათის დამახინჯებას, არ უფიქრდება, რომ ამ გზით ცილს სწამებს თავის ოპონენტს.

ჩემი მისამართით წერს:

„იქ გაირკვა, რომ წერილში მკაცრად არის გაკრიტიკებული ავტორიტეტული მწერალი. ჩვენში ეს რომ იოლი საქმე არ არის დავიმოწმებ კრიტიკოს ჯანსულ ღვინჯილიას, იმ ჟურნალის რედაქტორს, სადაც გაკრიტიკებული მწერლის პასუხი დაიბეჭდა:

„ავტორიტეტული მწერლების ბარიერი ერთ-ერთი დიდი დაბრკოლებაა ქართული კრიტიკული აზროვნების გზაზე. ამ ბარიერის გადალახვისა თუ მოშლის საქმე სერიოზული რიგის ამოცანაა. თანაც გადაუდებელი და საშური საქმეა!“

მშვენიერი აზრია...

მაგრამ დიდი ილიასი არ იყოს, რამდენად უფრო მშვენიერია, იმდენად უფრო მიკვდება გული... საქმე ის არის, რომ მე სიმწრით, ამდენი დავიდარაბის შემდეგ მოვახერხე და ავტორიტეტული მწერლობის ბარიერს საძირკველიდან ერთი ქვა გამოვაცალე. პატივცემულმა რედაქტორმა გაკრიტიკებული მწერლის სრულიად შეუმოწმებელი (ეს რომ ასეა ქვემოთ დავრწმუნდებით!) პასუხის დაბეჭდვით ეს ბარიერი უფრო დიდი ლოდით გაამაგრა“.

ე. ი. რა: — მე სიტყვით თურმე სხვას ვამხილებ, ხოლო საქმით ხელს ვუშლი პირუთვნელ კრიტიკოსებს. თამაზ წივწივაძეს სურს ასეთი აზრი დაამკვიდროს. ეს გახლავთ ცილისწამება!

საქმეში ჩახედულ მკითხველს არ ჭირდება ალბათ შეხსენება, გამიკრიტიკებია თუ არა საჭიროების შემთხვევაში ავტორიტეტული მწერლები! მაგრამ ამჯერად უფრო სხვა რამ არის საინტერესო: როდესაც თამაზ წივწივაძე მკითხველს არწმუნებს ჯანსულ ღვინჯილია ერთს ამბობს და მეორეს აკეთებსო, იგი მის მიერვე დასახელებულ ჩემს წიგნში („ზომიერების გრძნობა თანამედროვე ქართულ კრიტიკულ აზროვნებაში“) რატომ უვლის გვერდს ადგილებს, სადაც პრინციპული ლაპარაკია იმაზე თუ რა ფორმით უნდა ვაკრიტიკებდეთ ავტორიტეტულ თუ არა ავტორიტეტულ მწერლებს?

ჩემს წიგნში, საიდანაც კრიტიკოსმა ციტატა ამოგლიჯა, არანაკლები პრინციპული მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვებსაც:

„მოკამათეთა ბრძოლა დღევანდელ სალიტერატურო კრიტიკაში არაფრით არ განსხვავდება იმ შინაფეოდალური ბრძოლების შინაარსისაგან, საუკუნეების მანძილზე რომ უღრღნიდა სულსა და სხეულს ჩვენს ქვეყანას. დღეს ამ ბრძოლის შინაარსი ქართული კულტურის სხეულს ღრღნის“ (გვ. 63).

„რამდენიც არ უნდა ვმალოთ ფარდის უკან ურთიერთობა, რამაც განმაქიქებელი წერილი შთაგვაგონა, წერილის ქსოვილი მაინც ჯიუტად გვამხელს, რადგან ლიტერატურული ვნებათაღელვის კარნახით გაწეულ კრიტიკას თავისი ფორმები აქვს, ხოლო ანგარიშგასწორების ვნებათაღელვით დამუხტულ შენიშვნებს — თავისი“. (გვ. 76).

„ანგარიშსწორების ვნებათაღელვით დამუხტულ არც ერთ შენიშვნას ადრესატი არ მიიღებს, როგორი ზუსტიც არ უნდა იყოს ეს შენიშვნა და როგორი სასარგებლოც არ უნდა იყოს მისთვის ამ შენიშვნის არსი. იგი შინაგანად უპირისპირდება მოპაექრის სულისკვეთებას, განწყობილებას, დამოკიდებულებას, და რაკი უპირისპირდება, მიუღებელი ხდება ყოველი ნიუანსი, ყურადღებით არ ეკიდება არც ერთ დებულებას, ანგარიშს არ უწევს არც ერთ არგუმენტს. სამაგიეროს მიზღვის სურვილი ბატონდება სულში და მისი რეალიზაციისათვის იძაბება“. (იქვე. გვ. 76)

ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია.

თამაზ წივწივაძემ პრინციპული მნიშვნელობის მქონე სხვა მოსაზრებანიც დაუმალა მკითხველს და დიდი ილიას სიტყვებიც კი მოიშველია, რათა საოხუნჯო განწყობილება შეექმნა.

აი, ეს მეთოდია არასწორი და მიუტევებელი. ავტორიტეტულ მწერლებს დიახაც უნდა ვუთ-

ხრათ საჭიროების შემთხვევაში პრინციპული სიტყვა, მაგრამ ეთიკის დაურღვევლად.

დიდ გაოცებას იწვევს თამაზ წივწივაძის განცხადება:

„კი შეგპირდით, რომ ასე მოვიქცეოდი, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, დანაპირების შესრულება გამიჭირდა. ყოველ შემთხვევაში მე ამას ვერ შევძლებ! რადგან სხვისთვის შეურაცხყოფის მიყენება ჩემთვის ბუნებრივი საქციელი ვერ იქნება, ამას კიდევ ეს მირჩევნია (როგორც არაერთხელ უქნიათ) ისევ აქეთ მლანძღონ".

დაუჯერებელია, თამაზ წივწივაძე ვერ გრძნობდეს, რომ მისი წერილი „მძიმე ჯვარი" და ჯვარცმული მკითხველი", რომელსაც ალმანახის 67 გვერდი უჭირავს, დასაწყისიდან დასასრულამდე „სხვისთვის შეურაცხყოფის მიყენებაა" თავისი სარკაზმით და აბუჩად ამგდები ტონით, ქირქილითა და ოხუნჯობით...

ეს წერილი სარედაქციო დასკვნის დანიშნულებას ატარებს და ამდენად მიზანშეუწონლად მიმაჩნია გამოვედავო თამაზ წივწივაძის ყოველ არასწორ შენიშვნას, ან დაწვრილებით ვაანალიზო მისი ხერხები და მეთოდები.

რაც შეეხება ერთმანეთის ლანძღვას, ფიზიკურ მონაცემებზე გამახვილებულ ყურადღებას, რომლის ცენტრში მეც მოვხვდი, იგი არ ემორჩილება არავითარ კრიტიკას. ორივე მხარე უნდა გაფრთხილებოდა არამარტო საკუთარს, არამედ საერთოდ ქართული მწერლობის რეპუტაციასაც. რაც შეეხება აგრეთვე რედაქციების ვალსა და პასუხისმგებლობას ამ საკითხთან დაკავშირებით, ამაზე წერილის დასასრულს საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ.

თამაზ წივწივაძეს ყოფნის ძალა გაბედულად, გამოვიდეს ავტორიტეტული მწერლების წინააღმდეგ. თითო-ოროლას შეუძლია ეს ჩვენს სინამდვილეში და ეს თვისება არ შეიძლება არ დაუფასდეს კაცს. სწორედ რუსთაველის პრემიის ლაურეატის სახელიც რომ არ შეაკრთობს და კალამს აიღებს ხელში, ეს არის მოსაწონი. ოღონდ მტრული და საგანგებო ჩანაფიქრისაგან უნდა ვიყოთ თავისუფალი, თორემ თუ ასე გაგრძელდა, ისეთი შთაბეჭდილება ბატონდება თითქოს ჩვენში ჩასაფრებული წერილების მეტი არაფერი იქმნება. კრიტიკოსის მიწოდების ფორმა და შინაარსი ისეთსავე თვითგალებას ითხოვს, როგორც საკუთარ თავში დიდი გაბედულებისათვის ძალების პოვნა!

ნაწარმოების უკან დგას ადამიანი, ვისთვისაც შეურაცხყოფის მიყენების უფლება არა გვაქვს. პრინციპული და უშეღავათო კრიტიკა მაინცდამაინც დაცინვას და ქილიკს რატომ უნდა გულისხმობდეს!

მე ამ „შეგონებებს" არ ვწერ იმ იმედით, რომ მას ვინმე ყურად იღებს. კარგი კი იქნებოდა ასე მომხდარიყო. ვწერ იმიტომ, რომ ამ ქვეყანაზე, ამ უზარმაზარ ქართულ ლიტერატურაში ჩვენ მარტო არა ვართ. იმიტომ უნდა ითქვას, რომ ასეთი დავა მიუღებელია, ასეთი ტონი შეუწყნარებელი.

თამაზ წივწივაძის წერილების უმრავლესობა ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის და ისეთ აზრსაც ბადებს, თითქოს კრიტიკოსის სტილი საერთოდ ასეთია, მას მხოლოდ ასე შეუძლია წერა.

ეს მცდარი და ნაადრევი დასკვნაა. თამაზ წივწივაძეს აქვს პოზიტიური წერილები (ლადო სულაბერიძესა და ჯანსუღ ჩარკვიანზე) და, რაც მთავარია, თამაზ წივწივაძეს შეუძლია ყოველგვარი სარკასტულობის და ცინიზმის გარეშე „წაიყვანოს" მძაფრი კამათი. გავიხსენოთ თუნდაც ერთი ადგილი მისი წერილიდან:

„ჩემი შენიშვნებიდან პატივცემული მწერალი მხოლოდ ა და ბ პუნქტებზე არ დამეთანხმა, სხვა დანარჩენი სადავოდ არ გაუხდია.

მაგალითად, სადავოდ არ გაუხდია ჩემი ნათქვამი, რომ „მიუხედავად ამ გაურკვევლობისა, ვერც ერთი მათგანი „დაუყოვნებლივ სამშობლოში ვერ გამოემგზავრებოდა", რადგან ისინი, მამაც და შვილიც, ორთავენი, კარგა ხანია სამშობლოში იყვნენ.

სადავოდ არ გაუხდია ჩემი ნათქვამი, რომ „იმ დროს, როცა თეიმურაზი ქართლის ტახტზე (1744 წ.) დაჯდა, ვახტანგ მე-6 მოსკოვში აღარ ცხოვრობდა, სამწუხაროდ იმ ქვეყნად იყო წასული".

სადავოდ არ გაუხდია ჩემი ნათქვამი, რომ ვახტანგ მე-6 „მარტო სამშობლოდან კი არა, ამ ქვეყნიდანაც საერთოდ წასულა — შვიდი წელი იყო ასტრახანის მიწაში იწვა...".

სადავოდ არ გაუხდია ჩემი ნათქვამი, რომ „ორი წინადადების პირობაზე ამდენი შეცდომა ბევრია".

ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, არც ერთ არსებით შეცდომაზე „მძიმე ჯვრის" ავტორს პასუხი არ გაუცია!"

დაჭირდა ამ მონაკვეთში თამაზ წივწივაძეს სარკაზმი, ტექსტის დამახინჯება, არგუმენტის სათავისოდ შეტრიალება? აკლია ამ ადგილს რიტმი, დინამიკა, სიმძაფრე? ეს ადგილი უფრო ნაღდ ლიტერატურულ შთაბეჭდილებას ახდენს თუ მისი ცნობილი ოხუნჯობანი?

მკითხველს სურს ხედავდეს მწერლებსა და მეცნიერებს ერთად შეკავშირებულთ, ლიტერატურულ და მეცნიერულ პრობლემებს რომ წყვეტენ პრინციპულ დავაში. ვაი, რომ ძალიან ხშირად მკითხველი აშკარად გრძნობს, როგორ ეზიზღებათ მოკამათე მხარეებს ერთმანეთი. იგი ხედავს სწორედ ზიზღს სულისკვეთების ადგილას, ლაფში ამოსვრილ ქვას არგუმენტის ნაცვლად, ჯიუტ მტკიცებას ლოგიკური ანალიზის საპირისპიროდ. დიდი მწერლური და სამეცნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერო საქმეების წინ დასაძრავი ენერგია ქიშპობასა და კინკლაობას ეწირება.

ასეთი წერილები ისტამბება ხშირად როგორც ლიტერატურულ, ასევე არალიტერატურულ პრესაში. არც ჟურნალ-გაზეთების ჩამოთვლას აქვს აზრი, არც მოკამათეთა დასახელებას. ძალიან შორს წაგვიყვანს ყველა მათგანის ჩამოთვლა.

სასურველი დონის წერილები, სტატიები, გამოკვლევები ქართულ კრიტიკას სოლიდური რაოდენობით დაუგროვდა. მაგრამ, საკმარისია, რაიმე პრობლემაზე კამათი წამოვიწყოთ, პასუხი და პასუხის პასუხები გაჩნდეს, რომ ერთბაშად მჟღავნდება ანგარება, მტრობა, ჩასაფრება, ამბიცია... უზუსტობა, ცილისწამება; მჟღავნდება მღვრიე ვნებები, უსამართლო, სუბიექტური განწყობილებები... გვერდზე რჩება გადაუწყვეტელი ლიტერატურული და მეცნიერული პრობლემები, შეუსწავლელი თემები...

მკითხველი მეტს ვერ მოითმენს, უკვე მძაფრი სიგნალები გაისმის პროტესტისა. ჩვენ დიდად გაცნობიერებული და გემოვნებიანი მკითხველის ფართო აუდიტორია გვყავს, მალე ეს აუდიტორია მკაცრად ალაპარაკდება! არა გვცალია ჩვენ ერთმანეთის საძიძგნად და გულსაკლავად. ეროვნული მწერლობისა და მეცნიერების არაერთი მტკივნეული პრობლემა მოუვლელი და მიუპატრონებელია. ენციკლოპედიაში, რომელთაც მსოფლიო მასშტაბის დანიშნულება აქვთ, გაღარიბებულად არის წარმოდგენილი ქართული მწერლობისა და მეცნიერების, ჩვენი უმდიდრესი ისტორიის მონაპოვარი, იმიტომ, რომ ერთმანეთთან კინკლაობაში გვეცვითება ენერგია, ფიქრი, ძალა და განწყობილება. ასეთ კამათებში ჩართულნი დიდი ხნით ვწყდებით სიმაღლეებს, ან კი როგორღა გავიხედავთ იქით, თვალიც გვიბრმავდება და გულიც.

ვფიქრობ, დადგა დრო, საბოლოოდ შევთანხმდეთ, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლება, საბოლოოდ შევთანხმდეთ კრიტიკული აზროვნების ფორმებზე, იმაზე, თუ რა არის ბოლოსდაბოლოს ჭეშმარიტი ლიტერატურული სიმძაფრე და სიმწვავე. უკვე აუცილებელი გვეჩვენება დიდი და პრინციპული საუბარი შედგეს შექმნილ მდგომარეობაზე და ლიტერატურის წმიდათაწმიდა კანონები მოჩვენებითად კი არ გავიხსენოთ, მათ წინაშე ჩვენი მკაცრი პასუხისმგებლობის წესი დავამკვიდროთ. ჩემის აზრით, კამათის ეთიკური კანონების ხელყოფის უფლება არც ავტორებს არ უნდა ჰქონდეთ და არც რედაქციებს. სანამ დასაშვებად არის მიჩნეული მსგავსი რამ, მანამ მდგომარეობის გამოსწორებას ნუ მოველოდებით, მანამ ცალკეული რედაქციების მეცადინეობა ამ მიმართულებით კრახისათვის იქნება განწირული.

გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ შექმნილ ვითარებას სერიოზული დაფიქრება და პრინციპული მსჯელობა მოჰყვება.

ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია, ვერ შეურიგდება, რომ მომავალი ლიტერატურული თაობები კამათის ასეთ კულტურაზე გაიზარდონ! კამათის ასეთ კულტურაზე ახალბედა კრიტიკოსების აღზრდა ქართული ლიტერატურის მომავლის წინასწარ დამახინჯებას მოასწავებს.

„ცისკარი“ მოვალეა უშეღავათო დამოკიდებულება დაამყაროს ლიტერატურასა და ცხოვრებაში მომხდარ ყოველ მნიშვნელოვან მოვლენასთან და, რაც შეიძლება, დროულად გაამჟღავნოს საკუთარი პოზიცია.

ჯანსუღ ღვინჯილია

## ლიტერატურული მემკვიდრეობა

კარლო სიხარულიძე

# ჟურნალ „მოამბის" პუბლიცისტიკა

(1894-1895 წ. წ.)

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში სწრაფად ვითარდებოდა კაპიტალიზმი. შენდებოდა ფაბრიკა-ქარხნები, რკინიგზები. კაპიტალისტური ურთიერთობანი სოფლის მეურნეობაშიც შეიჭრა. იგი დაუნდობლად ანგრევდა ფეოდალური წყობილების თვით საფუძველს — ფეოდალურ მიწათმფლობელობას.

კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებამ სხვა სახე მისცა ქართველი ხალხის სულიერ ყოფას, მის ფსიქიკურ წყობას, კულტურასა და ყოფა-ცხოვრებას. 90-იან წლებში დღის წესრიგში დადგა სხვა, მანამდე უცნობი პრობლემები. ყველა ეს მოვლენა მკაფიოდ აისახა XIX საუკუნის 90-იანი წლების ქართულ მწერლობაში, საზოგადოებრივ აზროვნებაში, პრესაში და, კერძოდ, პუბლიცისტიკაში.

ამ მხრივ ძალზე დამახასიათებელია „მოამბის" ფურცლებზე დასტამბული პუბლიცისტური წერილები, რომელთა თემატური მრავალფეროვნება, საკითხების საოცრად ფართო წრე, პროფესიონალიზმი და ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე დგომა უთუოდ აყენებდა ჟურნალს ქართველი ხალხის უკეთესი მერმისისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

„ივერიის" ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთების შემდეგ ქართველი საზოგადოება ფაქტიურად საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის გარეშე დარჩა და ამიტომაც იგი დიდი სიხარულით შეხვდა 1893 წელს „ივერიაში" დაბეჭდილ ცნობას, რომელიც თავის მკითხველებს აუწყებდა: „ტფილისში კერძო დეპეშით ამბავი მოვიდა, რომ ს. პეტერბურგის ბეჭდვის საქმეთა მთავარ სამმართველოს ნება დაურთავს ქართულს ენაზედ ჟურნალის გამოცემისა. ჟურნალს სახელად ეწოდება „მოამბე" და უმთავრესად ლიტერატურულს და სამეცნიერო წერილებს დაჰბეჭდავს. რედაქტორად ჟურნალისა დაუმტკიცებიათ ნაფიცი ვექილი ა. ჭყონია, ხოლო გამომცემლად — ნ. ღოღობერიძე". (დ. ჩიკვილაძე ჟურნალ „მოამბის" დაარსების ისტორიისათვის. ჟურნალისტიკის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები". ტ. III).

ჟურნალ „მოამბის" გამოცემის იდეა და ამ დიდ მნიშვნელოვანი საქმის პრაქტიკულად განხორციელება თავს იდო გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწემ, მწერალმა და პუბლიცისტმა ალექსანდრე ჯაბადარმა, რომლის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართული კულტურისა და მწიგნობრობის განვითარების ბევრი მნიშვნელოვანი ფურცელი. საკმარისია აღინიშნოს, რომ მისი ინიციატივით 1890 წელს დაარსდა „ქართველთა ამხანაგობა წიგნის გამოცემისა", რომლითაც მკვიდრ ნიადაგზე დადგა ქართული წიგნის გამოცემის საქმე.

1892 წელს ა. ჯაბადარმა განიზრახა ყოველდღიური გაზეთის გამოცემა და თხოვნით მიმართა საცენზურო კომიტეტს, მაგრამ უარი მიიღო. იმ დროს არსებული წესებით მას კარგა ხანს აღარ ჰქონდა გაზეთის გამოცემის უფლება და ამიტომ სხვა გზა აირჩია — სთხოვა ნაფიც ვექილს ა. ჭყონიას, რომ ჟურნალის რედაქტორობა ეკისრა, ხოლო გამომცემელი ნ. ღოღობერიძე ყოფილიყო, იმ პირობით, რომ რამდენიმე თვის შემდეგ ჟურნალის გამოცემას ოფიციალურადაც ა. ჯაბადარი ჩაუდგებოდა სათავეში.

დაწყებულ საქმეს კიდევ დიდხანს დასჭირდა ზრუნვა და მცდელობა. მისი გამოცემა მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მოხერხდა.

მალე ჟურნალის პროგრამაც დაამტკიცეს. აღსანიშნავია, რომ საცენზურო კომიტეტმა მოითხოვა პროგრამიდან მესამე და მეოთხე მუხლების ამოღება, მაგრამ ბედნიერი შემთხვევის წყალობით პროგრამა უცვლელი სახით დამტკიცდა.

ჟურნალი „მოამბე" ასე განმარტავდა თავის მიზანსა და ამოცანას: „ჟურნალის უპირველესი დანიშნულებაა გაუადვილოს ქართველ ერს ევ-

როპული და რუსული განათლებისა და მოქალაქეობის შეთვისება. რა თქმა უნდა, ამას ვერ შესძლებს მხოლოდ ერთი ჟურნალი და ერთი თაობა, მაგრამ ეს არის იდეალი, რომელიც ყველგან თვალწინ უნდა გვედგეს“ („მოამბე“, 1894 წ. №1, გვ. 18).

„მოამბის“ პროგრამა მრავალმხრივი, საინტერესო და ტევადი იყო. იგი მოიცავდა XIX საუკუნის 90-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა მნიშვნელოვან სფეროს. და მართლაც, არ ყოფილა ამ პერიოდში რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ჟურნალის ყურადღების მიღმა დარჩენილიყოს. თავისი არსებობის თორმეტი წლის მანძილზე (1894-1905 წ. წ.) „მოამბე“ საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა, აქტიურად მსჯელობდა ერისათვის მტკივნეულ და საჭირბოროტო პრობლემებზე.

ჟურნალის როლისა და ავტორიტეტის ამაღლებას ისიც დიდად უწყობდა ხელს, რომ მის ირგვლივ შემოკრებილნი იყვნენ ქართული მწერლობისა და ინტელიგენციის შესანიშნავი წარმომადგენლები: ნიკო ნიკოლაძე, პეტრე უმიკაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, იაკობ გოგებაშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ლუარსაბ ბოცვაძე, ალექსანდრე მანსვეტაშვილი. ჟურნალის ფურცლებზე აიდგეს ფეხი დავით კლდიაშვილმა, შიო არაგვისპირელმა, ვასილ ბარნოვმა და ბევრმა სხვამ.

„მოამბეს“ კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ არსებულ სიტუაციაში სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭებოდა ხალხში სწავლა-განათლების შეტანას, ამიტომაც დაჟინებით ცდილობდა ამ პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას. „...ხელში ისეთი ფარხმალი უნდა ავიღოთ, რომ ჩვენი ადგილ-მამული, სამშობლო შეგვარჩინოს. ეს ფარ-ხმალი, სხვათა შორის, ხომ სწავლა-ცოდნაა, ურომლოდაც შეუძლებელია ქვეყანას შესაფერისი სიმდიდრე გამოვალებინოთ და კეთილდღეობა დავუმკვიდროთ“ — წერდა იგი („მოამბე,“ 1894 წ, №2, გვ. 83).

ჟურნალმა სპეციალური წერილების სერია მიუძღვნა ილია წინამძღვრიშვილის დამსახურებას, რომელმაც თავისი ხარჯითა და მეცადინეობით პირველდაწყებითი სკოლა გამართა, და ყოველი ღონისძიებით უჭერდა მხარს ასეთ წამოწყებებს.

„მოამბის“ 1894 წლის მესამე ნომერში დაბეჭდილ „შინაურ მიმოხილვაში“ ნიკო ნიკოლაძემ სპეციალურად გაანალიზა ამ მხრივ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობა, აღნიშნა მისი დიდი როლი და მნიშვნელობა. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, — წერდა იგი, — ფრიად საპატიო და საყურადღებო დაწესებულებაა, რომლის მოღვაწეობა ჩვენთა შვილთა და მომავალთათვის ღირსახსოვარი და მოსაგონებელი იქნება. ამიტომაც ყოვლად შეუძლებელია მწერლობამ თვალყური არ ადევნოს იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ დაწესებულების მოქმედებას ჩვენი საზოგადოების გამოფხიზლებასა და წარმატებისათვის“ („მოამბე“, 1894 წ. №3, გვ. 101).

სწავლა-განათლების, ხალხის გათვითცნობიერებასთან ერთად „მოამბე“ დიდ ყურადღებას უთმობდა ეკონომიკის საკითხებს, ხშირად მსჯელობდა ამასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და ამოცანებზე. 1894 წლის გავისტოში ნ. ნიკოლაძე ხაზგასმით აღნიშნავდა — „ჩვენთვის განსაკუთრებით საფიქრალია, რომ საქართველო, რომელიც ესოდენ მდიდარია თავის ბუნებრივი რესურსებით, უხმარი ლოდია, თუ კი ხალხს მისი გამოყენების ცოდნა, იარაღი და საშუალება არა აქვს. სქართველოს ბუნება დიალაც მდიდარია, მაგრამ მისი სიკეთე ჯერ ბევრით ვერაფრით დასტყობია არც ქართველობას, არც ქართველებს. მისი შრომის ნაყოფი და შემოსავლის უმეტესი ნაწილი უცხოეთს ამდიდრებს“ („მოამბე“, 1894 წ. № 8 გვ. 73).

ჯერ კიდევ საპროგრამო წერილში ჟურნალი ხაზგასმით მიუთითებდა: — ამჟამად მსოფლიო სარბიელზე საშინელი ბრძოლაა გამართული ეკონომიურ ნიადაგზე. ბრძოლა უთოფოდ და უხმლოდ. ამ ბრძოლაში ის იმარჯვებს, ვინც უკეთესსა და უმეტეს ნაწარმოებს გამოიტანს ქვეყნიერების ბაზარზე“.

შემთხვევით როდია, რომ პროგრესულად მოაზროვნე ქართველი ინტელიგენცია კარგად გრძნობდა იმ ძირეული ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის აუცილებლობას, რომელთა წინაშეც ქვეყანა 90-იან წლებში იდგა. თავისი ბუნებრივი რესურსებით ესოდენ მდიდარი საქართველოს ნაწარმის უდიდესი ნაწილი უცხოკაპიტალს ეკუთვნოდა. დღის წესრიგში დგებოდა ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის რაც შეიძლება სწრაფი ტემპით წინ წამოწევა, ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისათვის აუცილებელი საგზაო მშენებლობის, განსაკუთრებით, რკინიგზის ტრანსპორტის განვითარება.

„მოამბეს“ კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისათვის აუცილებელი იყო ვაჭრობის, აღებ-მიცემობის განვითარება. ამ პრობლემებს მიუძღვნა ჟურნალმა წერილი სათაურით — „საქონლის გამზიდავი ვაჭრობა“. „ღვთის მადლით, — წერდა იგი, — იმ დღესაც მოვესწარით, როცა ქართულმა მწერლობამ ვაჭრობაზედაც უნდა იქონიოს, მსჯელობა, რადგანაც თანდათან მრავლდება იმათი რიცხვი, ვინც აღებ-მიცემობის ასპარეზზე მოქმედებს. იყო დრო, ამ ოცი-ოცდაათი წლის წინათ — როცა სათაკილოდ მიაჩნდათ ჩვენში ეს ასპარეზი“ („მოამბე“, 1894 წ. №12, გვ. 68).

„მოამბე“ კარგად გრძნობდა, რა არასახურვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი იყო ქვეყნის ეკონომიკისათვის გავრცელებული აზრი, რომ თითქოს ვაჭრობა, ალებმიცემობა ქართველი კაცისათვის სათაკილო იყოს, „ეს შოვნა და შეძენა ისე ადვილი როდია, როგორც უმეცარს ჰგონია. ხანგრძლივი, გონიერი, წინალვე მოსაზრებული ბრძოლაა საჭირო, არა თუ კერძო ვაჭრობისა, თვით მთელი საზოგადოებისაც, თუ გვსურს ძველი შეცდომა გავასწოროთ და ხელიდან გაშვებული ძალა დავიბრუნოთ. ამისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ ძველებური აზრი და ფიქრი შევიცვალოთ ვაჭრობის შესახებ“ — წერდა ჟურნალი („მოამბე“, 1894 წ. №12, გვ. 70).

„მოამბე“ სისტემატურად აწვდიდა ქართველ მკითხველს უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო მოვლენების ანალიზსაც, ყურადღებით ადევნებდა თვალ-ყურს მსოფლიო ასპარეზზე მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს. იგი საერთაშორისო მოვლენებს ისეთი კუთხით განიხილავდა, რომ თითქმის ყველა მიმოხილვა დაკავშირებული იყო ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებთან, პასუხს სცემდა ქართული სინამდვილიდან წამოჭრილ ბევრ კითხვას თუ პრობლემას.

„მოამბის“ 1895 წლის თებერვლის ნომერში დაბეჭდილი „უცხოეთის მიმოხილვა“ თითქმის მთლიანად ეხმიანება 90-იანი წლების საქართველოს ეროვნულ პრობლემატიკას. მიმოხილვა მიეძღვნა 1895 წ. საფრანგეთში ჩატარებულ სახელმწიფო არჩევნების შედეგებს. ამ მასალებიდან გამომდინარე, სტატიის ავტორი ნ. ნიკოლაძე აკეთებს დასკვნებსა და განზოგადებებს, რომლებიც პირდაპირ პასუხობენ საქართველოს შინაპოლიტიკური ცხოვრებიდან წამოჭრილ ბევრ კითხვას. „მართალია, ჭერჭერობით დიდი რამ არაფერი აქვთ გადასაწყვეტი ჩვენს მიერ ამორჩეულ პირებს, — წერდა ნ. ნიკოლაძე — რაც კი რამ უმთავრესია ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, რასაც კი ნამდვილი გავლენა აქვს ჩვენი ერის ბედსა და მომავალზე, ვერ სწვდება ჩვენში პირების ასპარეზი“ („მოამბე“, 1895 წ. № 2, გვ. 110).

საგულისხმოა, რომ „მოამბის“ ჩასახვა — წარმოშობა და საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლა დაემთხვა ქართველი ერის ისტორიის რთულ, შინაგანი წინააღმდეგობებით აღსავსე პერიოდს, ძირეული გარდაქმნები, რომლებიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხდებოდა, განაპირობებდა პრინციპულად სრულიად ახალი, მანამდე უცნობი ამოცანების გადაწყვეტის საჭიროებას, რის გამოც „მოამბეს“, მის მებრძოლ იარაღს, პუბლიცისტიკას არ შეეძლო დარჩენილიყო ადრე არსებული ფორმების ჩარჩოებში. იგი მოწოდებული იყო, გაეწმინდა გზა აგრარულ-ფეოდალური საქართველოს ნანგრევებისაგან, ჩამდგარიყო ახალი იდეების პროპაგანდის სამსახურში, რომელსაც პროგრესულად მოაზროვნე ქართველი 60-იანელები ქადაგებდნენ.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პირობების ძირფესვიანი გარდაქმნის პროცესმა, რომელიც 90-იანი წლების საქართველოში მიმდინარეობდა, შეცვალა პუბლიცისტიკის ობიექტები, მისი ძირითადი ყურადღება მიაპყრო ახალ საზოგადოებრივ კონფლიქტებს, განსაზღვრა მისი დარტყმის მთავარი მიმართულებანი, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა ის გამომსახველობითი ფორმები და სპეციფიკური ჟანრობრივი თავისებურებანი, რომლებიც დამახასიათებელია ჟურნალ „მოამბის“ ამ წლების პუბლიცისტიკისათვის.

„მოამბის“ პირველსავე ნომრებში სისტემატურად ქვეყნდებოდა პუბლიცისტური ხასიათის წერილები და სტატიები, რომლებიც იბეჭდებოდა რუბრიკებით — „შინაური მიმოხილვა“, „შინაური ქრონიკა“, „უცხოეთის ქრონიკა“ და სხვ. მათ საფუძვლად ედო საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების, ეკონომიკის მნიშვნელოვანი მოვლენები და აქტუალური საკითხები.

„სრულიად სხვა სურათს წარმოადგენს ახლანდელი ჩვენი ყოველთვიური ჟურნალი „მოამბე“, — წერდა 1895 წელს იაკობ გოგებაშვილი, — ორი წელიწადია იგი გამოდის ყოველთვე ვეებერთელა ტომებად და მთელი ოცდაოთხი წიგნი მიუძღვნა ჩვენს საზოგადოებას. დიდი წილი ყოველი ნომრისა შედგება ნიჭით და ცოდნით დაწერილი წერილებისაგან, რომელთა შორის ზოგნი მაინც დაამშვენებდნენ ევროპულს, საუკეთესო ჟურნალსაც კი“ (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. მე-3 გვ. 7 ).

ამ სტრიქონებით საკმაოდ ნათლად არის ნათქვამი იმ დიდ როლსა და მნიშვნელობაზე, რომელიც ჟურნალმა „მოამბემ“ შეასრულა ქართული საზოგადოებრივი აზრის ფორმირების საქმეში.

„მოამბის“ (1894-1895 წ. წ.) პუბლიცისტური მასალის შესწავლა-ანალიზი უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ თავისი არსებობის პირველივე წლებიდან ჟურნალმა შესძლო დამდგარიყო ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების, კულტურისა და ეკონომიკის მოწინავე პოზიციებზე, დაეკავებინა ქართული პრესის ისტორიაში სავსებით განსაზღვრული, მისთვის შესაფერი ადგილი, საიდანაც იგი დიდი რუდუნებით ამხელდა ქართველი ხალხის გარეშე თუ შინაურ მტერს, დაუცხრომლად იბრძოდა ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, ქართული ეროვნული კულტურის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობისთვის ებრძოდა ყოველივე დრომოჭმულს, რაც ხელს უშლიდა ქართველი ხალხის წინსვლა-განვითარებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქეთევან ანანიაშვილი

# დაბრუნებული ბავშვობა

... ტელეფონის ზარმა მაუწყა — რენომ თქვენი ნახვა ისურვაო. მივქრივარ. რენო მძიმე ავადმყოფია. ეს კარგად ვიცი, მაგრამ ამაზე ფიქრს ახლოსაც არ ვიკარებ. მე მიმიხარია იმ რენოსთან, სულ რომ იწვის, სულ რომ ფეთქავს, ირგვლივ ხალისსა და მომხიბლაობას აფრქვევს, სიკეთის ფერებში ხედავს სამყაროს და ვერ წარმოუდგენია ქვეყნად არსებობა ბოროტებისა, მაშინაც კი, როცა ეს ბოროტება, შეიარაღებული, მის გვერდით დგას. რენოსთან, ვისი უსაზღვროდ პოეტური ფერწერული ტილოებიც ფიქრთა კორიანტელსა და განცდათა უსასრულობაში ძირავენ მხილველს...

... რენო თურქია უაღრესად ჰარმონიული პიროვნება იყო. მასში თანაბარის ძალით ენთო ნიჭი ხელოვანისა და ნიჭი ჭეშმარიტი ადამიანობისა. ზანგებამ თითქოს იმიტომ დაანათლა ეს ორი სიმაღლე (რაც არცთუ ასე ხშირია ერთ ადამიანში), რომ უფრო ძალუმად განგვეცადა ცხოვრებიდან მისი ნაადრევი წასვლა.

მე იმ რენოსთან მივიჩქარი, რეზო თაბუკაშვილმა რომ მომიყვანა და მითხრა: ქეთო, ნუ ღელავ, ისეთი მხატვარი მოგიყვანე, მთელ ჩვენს კაბინეტს გადაგვიხატავსო... ეს „იშვიათი მხატვარი“ — შავგვრემანი ბიჭუნა, შემკრთალი მაღალი შეფასებით, იდგა დარცხვენილი, არ იცოდა სად წაეღო ხელები და თავჩაქინდრული შუბლქვემოდან გამომყურე მუქი თაფლისფერ მომწვანო თვალებით მეკითხებოდა — შევძლებო განა?

დავალება, მართლაც, რთული იყო. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მესვეურებს თავის დროზე მშობლიური ენისა და ლიტერატურის კაბინეტის კეთილმოწყობა დაგვიანებოდათ. ომმა კი ამის განხორციელების იმედი მთლიანად გადაწურა. ის ისე გამოიყურებოდა სხვა, მშვენივრად ნაამაგარი სასწავლო კაბინეტების მწკრივში, ვითარცა ზღაპარში ღარიბი, ობოლი ბავშვი, ფანჯრიდან რომ თვალცრემლიანი შესცქერის მდიდრულად მორთულ-მოკაზმულ მხიარული ბავშვებით გარშემორტყმულ ნაძვის ხეს.

ნორჩმა მხატვრებმა იტვირთეს ამ საქმის თაოსნობა. და განა მარტო ნორჩმა მხატვრებმა? ამოძრავდნენ, დატრიალდნენ ყველანი. თვითონ რეზო თაბუკაშვილმაც, აღიარებულმა ნორჩმა პოეტმა, მოულოდნელად შექმნა შთამბეჭდავი სურათი — „დავით გურამიშვილის ტყვეობიდან გამოპარვა“. ხშირად ვფიქრობ, ხომ არ იყო სამშობლოდან გადახვეწილი გურამიშვილის ტრაღიკული ბედი საწყისი იმ დიდი ეროვნული საქმიანობისა, რომელსაც დღეს რეზო თაბუკაშვილი ასეთი რუდუნებით ეწევა? ვინ იცის, იქნებ სწორედ გურამიშვილის ჭირმა და „ქართლის ჭირმა“ დაანთეს რჩეული ქართველი ბავშვის გულში ის მაღალი გრძნობა, რომლის ძალითაც დღეს იგი გასაოცარი თავგანწირვით უცოცხლებს და უბრუნებს სამშობლოს სამშობლოდაკარგულ სახელოვან შვილებს და ერის მადლობას იმკის.

და აი, ამ რეზომ მოიყვანა ჩემთან რენო თურქია. მოიყვანა, როგორც ნორჩი მხატვარი, ის კი სასახლეს ემსახურა, ვით დასრულებული ხელოვანი.

საფრანგეთის ერთ-ერთი ჟურნალის რედაქტორმა გულისყურით რომ გაეცნო კაბინეტის ცხოვრებას, პარიზში დაბრუნებისას თავის ჟურნალში დაბეჭდა ის, რაც ჩვენთან ყოფნისას დიდად კმაყოფილმა გვითხრა — ბევრი სასწავლო დაწესებულება მინახავს, ყველაზე საინტერესო თბილისის პიონერთა სასახლეა. გამორჩევით მომწონს ქართული ლიტერატურის კაბინეტი. წარმოიდგინეთ, ბავშვებს თვითონ დაუხატავთ მათი სათაყვანებელი მწერლების პორტრეტები. მერე როგორ? ჩინებულად! ასეთ ლამაზ პოეტურ სამყაროში პოეტის დაბადება სულაც არ გაგიკვირდება. ამიტომაც მრავლობენ აქ ისინი...

ტატიანა ტესმა კი ასე მოისურვა თავისი მოწონების გამოხატვა — **На стенах юными художниками созданные великие поэты цветут, а в кабинете юные поэты расцветают. Все это так прекрасно!**

ბორის პასტერნაკი, ბატონმა გიორგი ლეონიძემ რომ ასტუმრა ლიტერატურის კაბინეტს, დიდხანს იდგა რენოს შექმნილ სურათთან „ფიქრი მტკვრის პირას“ და ბოლოს ძალიან იდუმალად თქვა: **Ах, вот как он думал.**

და თუ პიონერთა სასახლის მშობლიური ლიტერატურის კაბინეტი თავისი სილამაზით მრავალი წლის მანძილზე თავს აწონებდა შინაურს თუ უცხოელს, თუ ის უხვად იმსახურებდა ქებადიდებას, ეს ქება ერთ-ერთ პირველთაგანს რენოსაც ეკუთვნოდა.

ერთხელ რენომ ლიტერატურის კაბინეტში

შილერის, შეიძლება ითქვას, შესანიშნავი პორტრეტი შემოარბენინა. ეს მისთვის არავის დაუვალებია. აღელვებით, თითქოს თავს იმართლებსო, თქვა: „შილერი მოგიყვანეთ. თავისუფლების მგოსანია. მე თავისუფლების მოთაყვანე ვარ ცხოვრებაშიც და ხელოვნებაშიც. ან კი ვინ გაჰყო ისინი ერთმანეთისაგან! თავისუფლება და ისევ თავისუფლება არის სათავე ყველა გამარჯვებისა!“

მე იმ რენოსთან მივიჩქარი, ასე მწვავედ რომ უყვარს თავისუფლება. თავისუფლად, ლაღად რომ შემოაღებდა ხოლმე, სალამზე ადრე, რაიმე მღელვარებაზე და საინტერესოზე რომ იწყებდა ლაპარაკს. ჯერ სულ ბავშვი ელვასავით შემოიჭრებოდა ჩვენს ოჯახში, მხატვრების ცხოვრებაზე და მათ ნაღვაწზე დაწერილ წიგნებს დაგვილაგებდა მაგიდაზე — წაიკითხეთო — გვიბრძანებდა. და ჩვენ ისეთ სახეს მივიღებდით, თითქოს პირველად ვხედავდით ამ წიგნებს, მადლობას ვუხდიდით, [განა შეიძლებოდა, ცივი წყალი გადაგვესხა იმ აღტაცებული გრძნობისთვის, რომ ის ჩვენ „გვანათლებდა“. ცოტა ხნის შემდეგ იწყებოდა „ახლად წაკითხულის“ ირგვლივ სჯა-ბაასი. კამათში ებმებოდა ჩვენი ოჯახის ყველა წევრი — ჩემი და-ძმა ნუცა და ლევან ანანიაშვილები, დედ-მამაც კი... რენო განსაკუთრებით ღელავდა, სიტყვა რაფაელს რომ მისწვდებოდა. მას მტკივნეულად უყვარდა ეს ხელოვანი (რაფაელისადმი სიყვარული რენოს ბოლომდე შერჩა).

რატომღაც სულ მეჩვენებოდა, რომ რენო ჰგავდა რაფაელს. მათ სულიერ წყობაში, სულიერ სიფაქიზეში, იყო რაღაც ნაზად ვაჟკაცური. ისეთი, რასაც ვერ იტყვი, უნდა იგრძნო, განიცადო.

პატარა რენოს პეიზაჟები (ის მათ დროდადრო ჩვენი ბინის „სალონში“ გამოამზეურებდა ხოლმე. ხუმრობით „რენოს გამოფენას“ ვეძახდით), იზიდავდა ჩვენი ოჯახის, განსაკუთრებით ჩემი დის — ნუცას უფროს მეგობარს, გამორჩეული გემოვნების მქონე ადამიანს, ყველასათვის სათაყვანო გერონტი ქიქოძეს. ერთ-ერთი ასეთი „რენოს გამოფენის“ დათვალიერების შემდეგ, ბატონმა [გერონტიმ ღიმილით შთაბეჭდილებათა წიგნი მოგვთხოვა, თან დასძინა — საკვირველი ბავშვია! უჩვეულოდ გრძნობს ფერს. აი, ამ პეიზაჟში, მზით მოოქროვილ ტყის პეიზაჟზე მიგვითითა, სადაც, სადღაც შორს, შორს, გაუბედავი სიწითლით, როგორც იმედი, ილიმოდა უსახელო უცხო ყვავილი, მე მის მომავალს ვხედავო.

მე იმ რენოსთან მივდივარ, საგურამოში ჩასვლისთანავე ილიას სახლის ხატვა რომ დაიწყო. ბავშვები დარბოდნენ, ილიას დალონებულ სახლს ათვალიერებდნენ. კოცნიდნენ ბებერ კაკლის ხეს, ელერსებოდნენ ილას წყაროს, მკითხაობდნენ — სად დაუდგამს ილიას ფეხი სად ჩამომჯდარა, სად ჩასძინებია?.. თითოეული მათგანი თავისებურად გამოხატავდა ერის დიდი მამისადმი სიყვარულს, მუხლისმოდრეკას მის წინაშე. რენო კი ხატავდა ილიას სახლს... ხატავდა ფუნჯით კი არა, გულით, სულით, მთელი თავისი არსებით... არნახული გატაცებით, არნახული მონდომებით.

ჩვენგან შორს ქუხდა, ჭექდა და ელავდა ომი. გამწარებით იბრძოდნენ ქართველი ვაჟკაცები, ომისფრად შეფერილიყო აქაც ყველაფერი. სწორედ ასეთ დროს ვინდომეთ იმ დიდი მებრძოლის კარმიდამოში ყოფნა, ათეული წლები რომ ომობდა საქართველოს უკვდავსაყოფად. გვეძინა იმ ოთახებში, სადაც მისი მაღალი სული ტრიალებდა, გვეამაყებოდა, რომ მის ფეხნავალ იატაკზე უბრალოდ მოფანტულ თივაზე რიგითი ჯარისკაცებივით ვიწექით და დიდხნობამდის ვფიქრობდით, ალბათ, ყველანი ერთ ტკივილიან საფიქრალზე, მარად უპასუხოდ დარჩენილ შეკითხვაზე.

გამაოგნებელი სიცხადით წარმომიდგა მაშინ იქ, ღრმად მოხუცებული ოლღა გურამიშვილის ნატანჯი, მიტკლისფერი სახე. ბავშვობაში, სკოლაში მიმავალი, თითქმის ყოველდღე ვხედავდი მას მთაწმინდის ერთი უძველესი, აივნიანი სახლის ფანჯარაში გადმომდგარს. მის შემყურე თითოეულ ბავშვს დაბინდული, მაგრამ დაჟინებული მზერით აკვირდებოდა, იფიქრებდით, ვიღაცას ეძებსო და შემაძრწუნებელ შეკითხვას უთვალავჯერ იმეორებდა: „მითხარით, მითხარით, ვინ მოჰკლა ილია, ვინ?“ რად მოჰკლეს ილია?!

ჩემი მეხსიერება ფერუცვლელად ინახავს იმდროინდელ თეთრ-უძილო ღამეს. ავდექი. მძინარ ბავშვებს გადავხედე. რენო და გურამ ახათიანი არ ჩანდნენ. ვღელავდი. გარეთ გამოვედი. ილიას კაკლის ხის ძირში, მიწაზე რენო ჩამომჯდარიყო. საგურამოს მთვარე ალერსით დაჰნათოდა ბავშვის კეთილშობილ ფიქრიან სახეს და ხის ტოტებში იდუმალად შეპარული სხივებით ფანტასტიკურად ჩრდილებს მის ფერხთით აფენდა. რენო მლოცველს ჰგავდა. შეიძლება, მართლაც ლოცულობდა. იმ ვერცხლისფერ ღამეს აქ ყველაფერი თავისთავად ლოცვას ჰგავდა, ლოცვას ცამდე აღზევებულს. უსიტყვოდ შემოვბრუნდი. გურამი სადღაა? ხის კიბით მეორე სართულზე ავირბინე. ფართო მამაპაპური აივნის მოაჯირის სვეტს მიყრდნობილი მკერდზე მკლავებგადაჭდობილი ძველი დროის რაინდივით იდგა გურამი (რაინდული იერი გურამს ბოლომდე შერჩა. იერი კი არა, ის ნამდვილი რაინდი იყო ცხოვრებაშიც, თავის უსაზღვროდ ორიგინალურ, სულიერი სიბრძნით განათებულ შემოქმედებაშიც, თუგინდ სიკვდილშიც...) იდგა გურამი და იისფრად მონანავე ქართლის მშვენიერ ველებს მონუსხულივით გაჰყურებდა. გაჰყურებდა და ფიქრობდა... განა ცოტა ექნებოდა საფიქრალი ბავშვს, რომელმაც სულ მალე, თბილისში დაბრუნების შემდეგ, მომიტანა დიდი განცდით დაწერილი

ლექსი, რომლის ორი სტრიქონი წარუშლელად ჩამრჩა ხსოვნაში:

ბევრჯერ იყო საქართველო დაჭრილი,
მაგრამ მუხლზე დაჩოქილი არასდროს!

დღესაც მტკიცედ არ ვიცი, მომესმა თუ არა მაშინ შორეულ ტკბილსევდიანი ჭიმღერა მეურმისა. არა, ნამდვილად ისმოდა იგი, რადგან გურამმა გამოიხედა, სულაც არ გაიკვირვა ჩემი იქ ყოფნა, თავზე ხელი გადაისვა და თითქოს თავისთვის თქვა — „რა ღამეა, ღმერთო, რა ღამეა! თანაც ეს ურმული, ასე რომ მაგონებს იმას...“

დილამ „მწუხრის ზეწარი“ ჩამოახია საგურამოს იმ უჩვეულო ღამეს და მზე ისეთი ელვარებით შემობრძანდა ილიას სამეუფოში, თითქოს ქვეყანა მხოლოდ სიხარულისა და მშვენიერებისათვის ყოფილიყოს შექმნილი. თითქოს საგურამოს ამ ნათელ ოცნება-ღამეთა წყებაში მარადიულ შავ ლაქად არ მოჩანდა უწმინდესი სისხლით დალახვრული, ერთი ულმერთო, ღვთის რისხვა ცოდვის ღამე...

მას შემდეგ წლებმა დაუოკებელი სიმძლავრით ჩაიგრიალეს, თქვეს თავისი სათქმელი და ბევრიც უთქმელად დატოვეს... იმ ღამის სუნთქვა დღესაც ხშირად მაგონებს ხოლმე თავის თავს და მიკვირს, ვით შესძლო რენომ იმ ღამის ეული კაკლის ხის ჩრდილების ილიას სახლის ამ მზით განათებულ პეიზაჟში ჩაწყვილება.

მე იმ რენოსთან მივდივარ, მივდივარ კი არა, უკვე მისი ბინის კარს ვაღებ. შევდივარ რენოს ოთახში, რენოს საწოლს ვუახლოვდები. ის ღიმილიანი და ზახარებული მხვდება. ბავშვივით მეფერება, მეალერსება. მიმტკიცებს, რომ მასზე ძლიერ არავის ვუყვარებივარ, რომ არსად, არასდროს ცდილა პირველობას, არავის აროდეს გასჯიბრებია. ჩემ სიყვარულში კი ქვეყანას უცხადებს შეჯიბრს. პირველობას არავის დაუთმობს. კვლავაც დახატვას მპირდება მისი „სულის მეცენატს“. მე ვეხუმრები, ათი წლის შემდეგ დამხატე, უფრო კარგი ვიქნები-მეთქი. ასი წლის შემდეგაც დაგხატავთ, მაინც დასახატი იქნებითო. ვიცინით, მომავალზე ვფიქრობთ.

მე კარგად ვიცი, რა მიხარია. ის, რომ ისეთ რენოს ვხედავ, როგორთანაც მომიჩქარდა. რა უხარია რენოს? მივხვდი. უხარია თავისი ბავშვობა. აკი შემოსვლისთანავე მითხრა: თქვენს დანახვაზე ბავშვობა დამიბრუნდა, თქვენ გვერდით გატარებული ბედნიერი ბავშვობაო. აი, ეს ბავშვობა უხარია რენოს, ბავშვობა, რომელიც ჩემთან ერთად შემოვიდა მასთან, მისი ოთახის ჩაქუფრულობა ფუნჯის ერთი მოსმით ააჟღრიალა, აახმიანა. დადის ეს ბავშვობა რენოს თვალწინ, რენოს ოთახში და იმეორებს წარსულს. რენო მდუმარედ იყურება ოთახის სიღრმეში და ხედავს, როგორ დარბიან ბავშვები — გოგონები და ბიჭუნები. ხმაურობენ, ხმაურობენ, ხმაურობენ... მათ ახალისებთ ყველაფერი. შეჰხარიან ერთმანეთს, შეჰხარიან მზეს, მთვარეს. მათთვის ბნელი ღამეც კი დღის ნათელშია გამოწყობილი. მართავენ საღამოებს, შეხვედრებს, დისპუტებს. კამათობენ, ბობოქრობენ, თავისუფლობენ...

რენოს ოთახი სდუმს სხვაგვარი დუმილით უცხო დუმილით. რენო იმეორებს ბავშვობას. სასახლის ერთ ლამაზ, მზით, პოეზიით და სასახლის ბაღში მონავარდე ჩიტების ჟღურტულით აჟრიამულებული ოთახის კედლებს დიდებულ ქართველ მწერალთა პორტრეტებით აელვარებს. რენოს ოთახი თილისმა ფერებით ივსება. მათში რენოს სულის ფერებიცაა გარეული. სადღაც უსასრულოდ რეკენ ზარები... ციდან მოფარფატებენ იისფერი ყვავილები... და ეს ფერები, ფერებში გადასული რენოს სულისა, ეს იისფერი ყავილები, ზარების გუგუნსა და აჟრიამულებულ ბავშვებს აყოლილნი, მღერიან, მღერიან, უმღერიან რენოს უჩვეულო, მისთვის არგაგონილ ღვთიურ სიმღერას...

... ოთახიდან ფეხაკრეფით გამოვდივარ... რატომ დგას კართან ასე მოწყენით ირემა-ქალი? რას მწუხარებს, ნეტავ? რად მიყურებენ უძირო სევდით მისი დიდრონი, წყლიანი თვალები?

რენო ხომ ბავშვობას იმეორებს. ჯერ სულ ბავშვია. მას კიდევ გრძელი, აღმართ-დაღმართებით სავსე გზა აქვს სავალი. გზა ნათელი, დიდი ხელოვანისა...

და რა ხელი აქვს მასთან სიკვდილს!

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, პასუხისმგებელი მდივანი 72-43-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-30, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 7. 05. 85 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 15. 07. 85 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11. სააღრ.საგ. თაბახი 15.85. შეკვ. № 1048. უე 05277. ტირაჟი 61.000.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

634/105

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ. ინდექსი 76286

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ